შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ოცი ტომად

თბილისი
2007

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XIV

პუბლიცისტიკური წერილები

1898 - 1906

"ილიას ფონდი"
2007

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე
ანდრო ბედუკაძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ლამარა გვარამაძემ
და ლამარა მეგრელიშვილმა
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლამარა
გვარამაძემ

ტომის რედაქტორი გიორგი აბაშიძე

„ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე)
2007

პუბლიცისტური
წერილები

1. ილია ოქრომჭედლიშვილი

(ნეკროლოგი)

გუშინ, სამს იანვარს, დილით გარდაიცვალა ერთი კარგი ქართველი კაცი, ილია ოქრომჭედლიშვილი. მისი ცხოვრება სწორედ გამუდმებული, დაუღალავი შრომა იყო. ღარიბის დედ-მამის პატრონი, ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, რომ ტფილისში სადღაც მაღაზიაში ემსახურებოდა რაღაც დაბალ ხარისხის ადგილზე. აქ, რაც დრო და შეძლება შესწევდა, თვითონ შეუდგა წიგნების კითხვასა და სწავლას. არც მასწავლებელი ჰყოლია, არც ხელთმძღვანელი, არც სადმე სასწავლებელი ჰღირსებია. თავისით გაიხსნა გონება იმოდენად, რომ ყურადღება მიიქცია მაშინდელ ქართველ ყმაწვილკაცობისა. მოუგროვეს ფული და გაისტუმრეს რუსეთში. იქ იმოდენად მოიხერხა საქმე, რომ პირველსავე წელიწადს შევიდა პეტერბურგის უნივესიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. დაასრულა უნივესიტეტი და განწესდა ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორად. კარგა ხანს დაჰყო ამ თანამდებობაში. ადვილად წარმოსადგენია, რა მხნეობა და რა უკანდაუხეველი სულთა-სწრაფვა უნდა ჰქონოდა, რა გაუტეხელი და რკინის ხასიათი, რომ თვითონ ლუკმა-პურის მონატრულს, სხვისგან ყოვლად უმწეოს, უნუგეშოს, უცხო ქვეყანაში გარდახვეწილს, უნივერსიტეტი დაესრულებინა და კაცად გამხდარიყო. საოცარი ღონე ჰქონდა სულისა და ამავე დაუღალავ ღონით იბრძოდა უკანასკნელ დღემდე. რაც ბედი

უფრო მეტს ეურჩებოდა, იგი უფრო მეტის ძალღონით უძალიანდებოდა და ომს უსწორებდა.

რაკი მოსკოვში გადავიდა და ლაზარევის ინსტიტუტში პროფესორობა მიიღო, მისს ბრძოლას ლუკმა-პურისათვის სიმწარე და სიმწვავე ცოტად თუ ბევრად გაუნელდა. აქ განიზრახა, რომ უნდა გავმდიდრდე, ვიდრე ჯანი და მხნეობა ჩემთან არისო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორიო“ და სწორედ ასეც მოუხდა: აქ, მოსკოვში შეუდგა ტყის საქმეს და დიდიძალი ფული შეიძინა და საკმაო პატივიც მოიპოვა სოგდაგართა შორის, როგორც პატიოსანმა და გამჭრიახმა მშრომელ-გამრჯელმა. რაკი გამდიდრდა, იმ ყმაწვილკაცებს, რომელნიც პირველ შეეწივნენ და რუსეთში გაისტუმრეს, მადლი იმითი გარდაუხადა, რომ თავისის ხარჯით ბევრი ქართველი გაზარდა. სახელების ჩამოთვლა მის მიერ გაზდილებისა აქ უადგილოდ მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არა ერთი და ორი ასი თუმანი მოუხმარებია სამადლო საქმისათვის, ქართველებისათვის. გაჭირვებული ქართველი კაცი არა ყოფილა მოსკოვში, რომ მისთვის თავისი წვლილი არ მიეწოდებია. ბევრს ინახავდა ქართველს, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. წინამძღვარიანთკარის სკოლას ხუთასი თუ ექვსასი თუმანი შესწირა, ქართულს თეატრს ასი თუმანი თუ ცოტა ნაკლები მიაშველა, „ვისრამიანი“ საკუთარი ხარჯებით დაჰბეჭდა, ამისათვის სამოცი თუმანი გამოუგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და რავდენი სხვა ისე წვრილი სამადლო საქმე ჰქმნა, ის ღმერთმა იცოდეს. ზოგნი იმისთანანი არიან ჩვენში დღესაც, რომელნიც კაცად გამხდარან მისის შემწეობით, ოთხ-ოთხ, ხუთ-ხუთ წლობით მის ხარჯით ყოფილან სასწავლებლებში შინ, თუ საზღვარგარეთ. ძალიან ეჯავრებოდა, როცა ცულლუტი ვინმე ფულს გამოსტყუებდა. მე ჩემი ქონება შრომითა და გარჯით მიშოვნია და მინდა, რომ ყოველმა ჩემმა გროშმა ღირსეულს და

გამოსადეგს კაცს ხელი გაუმართოსო, — ამბობდა განსვენებული, — ფულის ტყუილუბრალოდ გადაყრა გაქურდვაა ქვეყნისაო. ცულლუტი და უქმი — გაუმაძღარი გლახაა და ყოველი გლახა მეტხორცია ერისა, თუ საპყარი არ არის და, მაშასადამე, საპყარობით შესაბრალისიაო.

აწ განსვენებულს გული არ უდგებოდა რუსეთში, თუმცა ყოველივე იქ შეიძინა. გული საქართველოსაკენ ეწეოდა. და ამ სიყვარულს თავისის ქვეყნისას ვეღარ გაუძლო. გაჰყიდა ყველაფერი, რაც მოსკოვში ჰქონდა, დაანება თავი ტყის საქმეს, რომელიც დიდს მოგებას აძლევდა, დაანება თავი სამსახურს და გადმოვიდა აქ ცოლ-შვილითა. თუმცა იმოდენა ქონება ჰქონდა, რომ შეეძლო კარგად ეცხოვრა უშრომელად და გაურჯელად, მაგრამ მისთვის უქმად ყოფნა სიკვდილი იყო... რად მინდა ეს ქონება, თუ ჩემს ქვეყანაში არა ვიმოქმედე რა ჩემთვისაც და სხვისთვისაცაო, — ამბობდა ხოლმე განსვენებული, — თუნდაც ეგეც არ იყოსო, ის, რაც მინდა ჩემის ქვეყნისათვის, ეს ქონება იმისათვის ერთი ყლაპიაო. გადმოვიდა ჩვენში და აქაც ტყის საქმეს მოჰკიდა ხელი. აიღო უგანათლებულესის თავადი მინგრელსკის უზარმაზარი ტყე ივჯარით ცხენისწყლის პირას, სვანეთის საზღვრებთან ახლო. რაც იმოქმედა აქ, რაც აქ შესძლო, ცალკე კაცისაგან დაუჯერებელია. გასჭრა გზები, გასწმინდა მთელი მდინარე ცხენისწყალი ტინისა და კლდისაგან და უშველებელ ხეების წყლით ზიდვას გზა გაუხსნა, ააშენა ქარხანა და მანქანებით დაუწყო ხე-ტყეს მზადება. არც ბუნებამ და არც კაცმა აქ ხელი არ შეუწყო, გზები ნიაღვრებმა რამდენჯერმე წაუხდინეს, ქარხანა, რომელიც ბევრი დაუჯდა, გადაეწვა და დაზღვეული არა ჰქონდა, კაცმაც ბევრი უმტრო, ბევრი აბრკოლა და ყოველ ამ უბედურებამ შთანთქა მისი ქონება. იყო დრო, როცა ისე დაუძლურდა ქონებით, რომ თითქმის სანანურად გაუხდა ეს დიდიმედიანი საქმე. გული მაინც არ გაიტეხა, ისევ თავის მხნეობას დაენდო, გზები რამდენჯერაც

წაუხდა, იმდენჯერვე შეუპოვრად აღადგინა, წყალთან ბრძოლა გამოიარა, ქარხანა დაეწვა, უფრო უკეთესი ააშენა, უფრო უკეთესი მანქანები დასდგა და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დღეს შეეძლო თქმა: წადილი ავისრულე, საქმე მაგრად დავაყენე ფეხზედაო. დღეს ეს ტყის საქმე გამოკეთებულია და მოგების გზაზეა დამდგარი. ვაი, რომ აღარ დასცალდა და ის ბოლო ველარ ჰნახა, რის იმედიცა ჰქონდა და რასაც შეალია თვისი ქონება და იქნება თვისი სიცოცხლეც.

თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ჩემის მხნეობით ვძლიე წყალსაც, ცეცხლსაც, ნიაღვარსაც, არაფერს შევუშინდა, არაფერს გავექეცი, საქმე საქმეზე მივიყვანე და ჩემი გავიტანეო. გაიტანა და მერე როგორ? „არა მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. საქმიანი კაცობაც ეს არის! გამრჯელი და მშრომელი ამისთანა მხნე კაცს ეთქმის.

[1898]

2. პატარა საუბარი

ქართველნო დედაკაცნო, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართნა, მაგრამ პირველ სიტყვაზედვე ძალიან შევფრთხი, შევღონდი. აქ დედაკაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლენი, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შევშინდი. ვაი თუ ეს სახელი ითაკილოთ, იუკადრისოთ, გვიწყინოთ. ვაი, რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!..

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, — უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია, — ძუ იყოს, თუნდა ხვადიო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია, ერთია. ამასა ჰმოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი

ენა, და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისათვის, რომელის სქესისაც გინდ იყოს! ჩვენო დედებო, ჩვენო დებო, ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო თუ გათხოვილნო — შეირჩინეთ ან შეგარჩინეთ კი ყოვლად პატიოსანი, მაღალმნიშვნელობიანი სახელი „დედაკაცობისა?“ ვაი, რომ არა!..

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა, დადნა სახელიცა. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია. მთა ბექად გადაიქცა, მუხა — ლელწმად, ზღვა — წყაროდ, ადამიანი — პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედაკაცობა და სად ქალობა!.. დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელიღაა თითქო „კაცი-დედა“ მარტო მათღა შერჩენიათ. დღეს „დედაკაცი“ რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: მე ქალი ვარ და არა „დედაკაციო“, თითქო ქართული „დედაკაცი“ და რუსული „бабa“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი!.. „დედაკაცი“ — ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავადნეთ!.. ცოდვა არ არის „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!.. ეს რას ჰნიშნავს, წინსვლას, თუ უკან დაწევას? აბა, დაუკვირდით, დაუფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულს სულითა და ხორცით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისეც ქალი ან ვაჟი, ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ისევ მოზარდია, კაცი — უკვე გაზრდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვანობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვანებაც სულისა, იმიტომ რომ მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. სხვა ყოველი მარტო ქალ-ვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდ ერთიცა და

მეორეც ას-ასის წლისანი იყვნენ და შვილებგარშემორტყმულნი. ქალი გასათხოვარია თუ გათხოვილი, შვილებიანია თუ უშვილო, — მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს „დედაკაცობამდე“ და მინამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა „დედაკაცი“.

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის-დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“!

ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ „ვაჟამდე“ — ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოხდეს. ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა „ვაჟი-კაციაო“. ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნება იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს. აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიღაა და თითქო არა კაცი. სად ქალობა და სად დედაკაცობა!.. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარი ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო

დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!..

ვაი, რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო „ქალებიღა“ დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა.

[1898]

3. <წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენებლად>

ტფილისი, 12 იანვარი.

11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, წირვა და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი საქართველოს მეფის ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევითა. დიდძალი ხალხი მიაწყდა ამ დღეს სიონის სობოროს. ასე რომ, შიგ ეკლესიაში ტევა არ იყო. გარედ მთელი სიონის ქუჩა ორპირად დაჭერილი იყო ხალხითა და პოლიცია ძლივს ამაგრებდა, რადგანაც ყველა ეკლესიაში შესასვლელად იწევდა და ეკლესიაში კი ადგილი არ იყო. ამ საუკუნოდ სახსენებელ დღეს მეფე ერეკლეს მიცვალებისას დაესწრნენ მისი ბრწყინვალება მთავარმართებელი თავადი გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის მოადგილე, მარშლები, ჩვენი დიდკაცობა, ქალი თუ კაცი, ქართველთა დაწესებულებათა წევრნი და თითო-ოროლა რუსთა მოხელეობის წარმომადგენელნი და მრავალნი სხვანი.

ამ სახით, ამ ქართველებისათვის ღირსსახსოვარს დღეს მეფე ერეკლეს გარდაცვალებისას პატივი სცეს მისმა ბრწყინვალებამ მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა და უმაღლეს მოხელეობის წარმომადგენელთა, დიდი და პატარა ქართველობისა მოვიდა, რომ ლოცვა-კურთხევით მოიხსენოს

განსვენებული მეფე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალამოღებული ჰპატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთის და თესლის კაცს, ვინც კი შემოკედლებულნი იყვნენ მისს საფარველ ქვეშ, რომელმაც ზედ შეაკლა ტფილისს თვისნი შვილნი, თვისნი ქართველნი, რომ ტფილელნი გადაერჩინა ძარცვა-ტაცებისა და ტყვეობისაგან, რომელმაც თუმცა უკანასკნელ დროს ვერ იხსნა ტფილისი წახდენისაგან, მაგრამ თავისი უკეთესი ძალ-ღონე ხომ შეალია, უკეთესი მამულისშვილნი ხომ შეაკლა და მტლად დაუდო. სხვა არა იყოს რა, ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი!..

რით გადაუხადა ესეთი ღვაწლი ტფილისმა მართლა და მისთვის ღვაწლითმოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გარდაიხადა? მით, რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტისმეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებულ აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.. ვთქვათ არც ეს იკადრეს და არ დაიმდაბლეს აღვირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი ეცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში! რას შეუფრთხა? ნუთუ მომავლინებელთა თვისთა? მოვლინებულმა არ უღალატა განა თვისთა მომავლინებელთა და მათის უმართებულობის წინაშე დაივიწყა მოვალეობა ქალაქის მოურავის თანამდებობისა!..

ეხლა ვკითხოთ იმათ, ვინც ყურები გამოგვიჭედა ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ღაღადითა: რის მომასწავებელია ასეთი უმართებულო, უგულო, უკადრისი, უზრდელი საქციელი მთელის იმ წყობისა, რომელთაც დღეს ხელთ უჭირავს პატრონობა ჩვენის ქალაქისა? ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე იყო, რომ

ასე ყურები გამოიჭედეს ბამბითა და სამარცხვინოდ თვალი დაიხუჭეს, მითამ და აქ არაფერიაო? ნუთუ ამას იქითაც იტყვით, რომ ეხლანდელი „მამანი ქალაქისა“ მართლა ქალაქის წარმომადგენელნი არიან და მისის სურვილების გამომეტყველნი და არა მარტო ერთგვარ წყობისა, რომელსაც მეორე ნაწილთან, ქართველობასთან არავითარი კავშირი და ერთობა არა აქვს და არც ჰსურს რომ ჰქონდეს? განა ესე ექცევიან ძმები ერთმანეთს? განა ერთის ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს, სადიდებელს ნუღარ ვიტყვით? სიტყვით რომ ძმობას იძახით, საქმით რადა ხართ ეგრე შორს? ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? ესეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალებასაფარებელი „классовая борьба“-ა? ნუთუ აქაც ეგ „борьба“ ჰლაპარაკობს და არა გულჩახვეული, უტყვი ავგულობა იმათ მიმართ, ვის ძმობასა და ერთობას ეგრე ებღაუჭებიან და ვის სადიდებელს და ღირსსახსოვარს დღეს ეგრე უკადრისად, უმართებულოდ და უზრდელად ექცევიან!.. ვისაცა გქონან ყურნი სმენად, ისმინეთ!..

[1898]

4. <სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების გზები>

ტფილისი, 13 იანვარი

ბევრს ჰლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ სოფელი თითქმის ყოვლად უნუგეშოდ არის დარჩენილი და ყოველ დღეს სულ უკან-უკან მიდის ქონებითაც და თითქმის გონებითაც. მართალიც არის, სოფელს ყველაფერი ენატრება, ნამეტნავად ჩვენში: არც სკოლა აქვს, არც სამკურნალო, ხელმისაწვდენი მკურნალიც არა ჰყავს, არც აფთექი გააჩნია, არც გზა და არც მისავალ-მოსავალი. ასე იფიქრეთ, მშვიდობით და მოსვენებით ცხოვრებაც, ქონების შერჩენაც კი დიდ განსაცდელშია სოფლად და ძვირად უჯდება სოფლელს. კაცი რომ უყურებს იმ გარემოებას, რომელთ შორის ჰტრიალებს სიცოცხლე და ცხოვრება სოფლელისა ცალკე და ცალკე ქალაქელისა, ისე ჰგონია, რომ ყველა სიკეთე, რაც ადამიანს თავისს საბედნიეროდ და სადღეგრძელოდ მოუგონია, მარტო ქალაქელებისათვის გამოუმეტნია და დაულოცნიაო.

ამ უნუგეშოდ ყოფამ სოფლისამ მიიქცია ყურადღება როგორც საზოგადოებისა, აგრედვე მთავრობისაც. ყველამ, ვისაც კი რაიმე შეძლება ჰქონდა ხმის ამოღებისა, ამ საგანს დაუწყო კვლევა და ძიება. ზოგი რა წამალს სდებდა ამ სოფლის უნუგეშობას, ზოგი რას. სხვათა შორის გამოირკვა, რომ ერთი დიდი ნაკლულოვანება სოფლისა უფულობაა. სოფლელმა, თუ საქმე რამ გაუჭირდა

იმისთანა, რომ ის ხარჯსა თხოულობს, ან უნდა ჩალის ფასად გადაჰყაროს თავისი მონაგარი, ან მამასისხლად აიღოს სესხი და თითქმის საუკუნოდ ეყმოს ფულის სესხად გამცემსა. ბევრი თითქმის მარტო ამ გარემოებაში ჰხედავს უმთავრესს მიზეზს სოფლელის გაღარიბებისას. რა თქმა უნდა, ერთი მიზეზთაგანი ესეც უნდა იყოს სხვათა მრავალთა შორის და, იქნება, ძლიერი მიზეზთაგანიც. ასეა თუ ისე, ამ მიზეზს ბევრს რასმე აბრალებენ და ამიტომაც ამ უკანასკნელ დროს მთავრობის მზრუნველობა ამ მიზეზზე მიიქცა.

მართალია, დიდი ხანია მას აქედ, რაც მთავრობა და თვით საზოგადოებაც შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ ამ მხრით უშველოს რამე სოფელსა. წამლად აღმოაჩინეს სხვადასხვა წვრილი ბანკები, რომ სოფლელმა ხელი გაიმართოს შეღავათიან და რიგზე მოწყობილ სესხითა. ამ წვრილმა ბანკებმა, რომელნიც თვითონ სოფლის თაოსნობაზე იყვნენ დამყარებულნი და წევრთა ურთიერთს ნდობაზე აგებულნი, ცოტად თუ ბევრად გაუადვილეს ფულის შოვნა სოფლელს და შეულავათეს სარგებელი, მაგრამ გამოცდილებამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ საკმაო სიკეთემდე ამ ბანკებს ბევრი რამ აკლიათ. ამისთანა ბანკებს მეტად პატარა ფარგალით მოუხაზეს სარბიელი მოქმედებისა, ასე რომ მარტო ერთგვარი ოპერაციები შეეძლოთ, სახელდობრ, ფულის გაცემა თავდებობის თამასუქებით ექვსისა და, სულ ბევრი, ცხრა თთვის ვადით. თავდებობით თამასუქების გარედ სხვა ყოველივე მოქმედება ბანკისა აკრძალული იყო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვერც თვითონ ბანკებმა გაშალეს საკმაოდ ფრთები და ვერც დიდი ხეირი მოუტანეს თვით სოფლელს, რომელთ საჭიროებაზე არ იყო გამოჭრილი კრედიტი ამნაირ ბანკებისა. მოკლევადიანი სესხი თამასუქით და ისიც თავდებობით მეტად უჭირდა სოფლელს, რომლის ღონე უფრო მისს საკუთრებაშია, მისს ნაამაგევში და გძელ ხანაში, რომელსაც ბუნებითად ითხოვს თვით მისი სოფლური შრომა და წარმოება. გამოირკვა, რომ

ხსენებულმა ბანკებმა საკმაოდ ვერ მოუმართეს ხელი სოფლელსა და ვერც თვითონ იხეირეს.

ეხლა, „Правительственный Вестник“-ის სიტყვით, მთავრობას დაუნახავს საჭიროდ კრედიტი წვრილ სასოფლო ბანკებისა შეუფეროს სოფლელის საჭიროებას. გამოცხადებულია ახალნი წესნი, რომლის ძალითაც მოქმედებას სოფლის წვრილ ბანკებისას უფრო დიდი და ფართო სარბიელი გაეხსნა. ამ წესებით ნებადართულია სოფლის წვრილმა ბანკებმა გირაოდ მიიღონ უძრავი და მოძრავი ქონება და შუამავლობა გაუწიონ სოფლელს სყიდვასა და გასყიდვაში. ამ სახით გლეხს შეუძლიან ისესხოს ბანკიდამ ფული და გირაოდ მისცეს თავისი უძრავი ქონება, რომელიც სრული მისი საკუთრებაა. ეს გვარი ოპერაცია უნდა მოხდეს აწ არსებულის წესით, ესე იგი, დაგირავებულს მამულს დაედება „запрешение“ და ვალის ამღებს ჩამოერთმევა ხელშეკრულობა, რომ არავითარის განკარგულებით არ დააფოლოს ღირებულება გირაო მამულისა, მაგალითებრ, არ გასცეს მამული იჯარით ხანგრძლივ ვადით, არ გაჰყიდოს ხელაღებით გასაკაფად ტყე და სხვა ამგვარი და ამასთან, თუ დაგირავებულ მამულში შენობაა რამე, ცეცხლისაგან უშიშარ ჰყოს დაზღვევითა. სესხი მიეცემათ ხუთის წლის ვადით და ამასთან ამგვარივე სესხი მიეცემათ მიწის სასყიდლად და ყოველგვარ სასოფლო მეურნეობის განკარგებისათვის, მაგალითებრ, გუბეებისა და ჭაობების ამოსაშრობად, სარწყავი წყლის გამოსაყვანად, ხილის ბაღისა და ვენახების ასაშენებლად, ახოების გამოსაღებად, შენობის ასაგებად, აგრედვე წისქვილების დასადგმელად, სამჭედუროების, სადურგლოების, აგურისა და თიხის ჭურჭლის ქარხნების გასამართავად და სხვა სახელოსნოებისა და საქარხნოებისა.

ხოლო გარდა უძრავი ქონებისა შესაძლოა სოფლელმა ფული ისესხოს ბანკიდამ და თავის მოძრავი რამ ქონება გირაოდ მისცეს. ეს მეორე გვარი ოპერაციაა, რომლის ნებაც აქამდე სოფელში

არსებულ წვრილ ბანკებს არა ჰქონდათ. ახალის წესის ძალით, გლეხს შეუძლიან ბანკიდამ ფული გამოიტანოს და გირაოდ დაუდვას სოფლის მეურნეობის ყოველგვარი ჭირნახული — პური, სიმინდი, ფეტვი და სხვა ამგვარი, აგრედვე ხელით რამ ნასაქმი და შინნაკეთები. ამისთანა გირაოს ან თვითონ ბანკი მიიბარებს და თავისს საკუჭნაოებში ინახავს, ან ჩააბარებს თვითონ პატრონს იმ პირობით, რომ პასუხისგებაში მიეცემა, თუ პატრონმა გირაოს ან მოაკლო რამ, ან ვერ უპატრონა რიგიანად. ბანკს ნება აქვს მიცემული, რომ თუ ვინიცობაა თვითონ მიიბარა შესანახად გირაო, გირაოს პატრონს ამისათვის გადაახდევინოს ასის თავზე არა უმეტესს სამისა (3%). წესდებაში მოხსენებულია, რომ იგი მოძრავი ქონება გლეხისა არ მიიღება გირაოდ, რომელნიც დასახელებულნი არიან კანონში და გლეხს არ გაეყიდება არც კერძო ვალში, არც სახელმწიფო გადასახადისათვის. ამისთანა სესხის აღების ნიშნად, სესხის ამღებს ჩამოერთმევა თამასუქი, რომელიც განთავისუფლებულ იქმნება ღერბის გადასახდელისაგან. ამისთანა თამასუქს ვექსილის ძალა ეძლევა და ამიტომ აქ ვალის პასუხის გამცემია არა მარტო გირაოდ მიღებული მოძრავი ქონება, არამედ სხვა ყოველი ქონებაც ვალის ამღებისა.

მესამე აპერაცია, ახალი წესით ნებადართული, შუამავლობაა ბანკისა სყიდვა-გასყიდვაში სოფლელისათვის. ბანკს ნება აქვს შუამავლობა გაუწიოს თავისს წევრთ ყოველ იმაში, რაც სასყიდელი აქვს და რაც გასასყიდი და ბანკის შემწეობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ კარგი საქონელი რაც შეიძლება იეფად უყიდოს და კარგს ფასად გაუყიდოს ნაწარმოები რამდენადაც შესაძლოა. თუ წევრს რისამე სყიდვა უნდა, ბანკს ნება აქვს ამისათვის ფული ასესხოს და გირაოდ მიიღოს ნასყიდი. ბანკს აგრედვე ნება აქვს თვისთა წევრთა ნაწარმოების გასასაღებლად იჯარები აიღოს, პირდაპირ ანგარიში დაიჭიროს მუშტართან, ანუ

სხვადასხვაგვარ დაწესებულებებთან და სოვდაგრებთან, ანუ თითონვე საჯაროდ გაჰყიდოს თავისს საკუთარს სადგურში წევრთა მონდობილობით და ნებართვითა.

ზემოხსენებულიდამ აშკარაა, რომ სასოფლო წვრილ კრედიტს მთავრობამ ახალის წესით ფართო სამოქმედო გზა გაუხსნა და უფრო მეტად შეუფერა იგი გლეხთა ეკონომიურ ძალ-ღონესა და საჭიროებას. თუ ამისთანა ბანკებს რიგიანი კაცები შეურჩია სოფელმა გამგებლად, იმედია, რომ ბევრს სიკეთეს მოუტანს გლეხკაცობას. ხოლო საკითხავი ეს არის: ითავებს ვინმე ჩვენში, რომ ამ ბანკების აქ ფეხის ასადგმელად მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გასწიოს და თაოსნობა იკისროს?

[1898]

5. გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები

I

ტფილისი, 17 იანვარი.

თ. გ. თუმანოვს, როგორც უკვე ყველას მოეხსენება, არამცთუ საკუთარი აზრი არა აქვს, სხვისი აზრის გაგების უნარიც არა ჰქონია. ორში ერთი: ან მართლა ამ უნარს მოკლებულია, ან ცოტა თუ ბევრი ლიტერატურული კუდიანობა სცოდნია და ამასთან მელურად მიცოცვა და გველურად კბენა. ჩვენ წინადაცა ვთქვით, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულ ბედზეა გაჩენილი. იგი ცალის ყბით, რომელიც ჩვენკენა აქვს მოქცეული, მითამ ჩვენთვისა სტირის და სწუხს და მეორეს ყბით, რომელიც თავის ამქრებისათვის მიუშვერია, იცინის და ჰხარობს, მითამ, ნუ გეშინიანთ, სულელებს ვაბრიყვებო. არ გვიკვირს: ნათქვამია — „ყოველი ბუნება გვართაკენ მიიზიდებაო".

ჩვენ ამასწინად „პატარა საუბარი" დავბეჭდეთ „ივერიაში" და ცოტა არ იყოს ვუსაყვედურეთ ჩვენს ქართველ „დედაკაცებს", რომ ქალებად გადაიქცნენ და „დედაკაცობა" გონებიდამ ამოიღეს. ჩვენ ამის გამო ის აზრიც გავატარეთ, რომ „დედაკაცობა" უფრო მაღალი, სასიქადულო დანიშნულებაა ჩვენის დედებისა, დებისა და მეუღლეებისა, ვიდრე „ქალობა" და „დედაკაცობის" ჩამოხდომა „ქალობამდე" იმ დიდ სამცნების დადნობაა, რომელიც გამოიხატება

სიტყვით: „დედა-კაცი“. რაკი საგანი დადნა, დადნა სახელიცა, ვთქვით ჩვენ. ამისთანა ამბავი ჩვენ ჩვენის დღევანდელ უბედურების მიზეზად დავსახეთ და ამ სახით ჩვენი ერთი ძლიერი ნაკლი დავასახელეთ.

რა პატივით ჰქონდა ქართველს შენახული საგანი და მცნება „დედაკაცობისა“ და, მაშასადამე, სახელიცა, ამის დასამოწმებლად მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი ჩვენის ქართულის სიტყვიერებისა, საცა სიტყვა „დედა“ ხმარებულია ვითარცა ასამაღლებელი საგნისა, სამცნებისა. ესეთი პატივი, რა თქმა უნდა, უსაბუთო, უმიზეზო არ იქნებოდა. მართალიც არის. მინამ დედაკაცობა ჩვენში მართლა დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო, უძღვებოდნენ სახელგაუტეხლად, ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას და გარედ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა და მამაკაცი – ზღუდე, გალავანი. სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვარჩინა ჩვენი მიწა-წყალი.

დღეს ეს ბურჯი, ეს ციხე-სიმაგრე ჩვენის ოჯახისა, ჩვენის ქვეყნისა, მისუსტდა, დადნა, თითქმის გაუქმდა. თითო-ოროლა იშვიათ მაგალითს გარდა, დღეს აღარც ოჯახისათვის გვყავს „დედაკაცი“, აღარც ქვეყნისათვის. ეს იმისთანა ნაკლად ჩავთვალედ, რომელსაც დიდი წილი უდევს ჩვენს დღევანდელ უბედურებაში. შევძელით ყოველ ამისი დასურათება და დასაბუთება თუ არა, ეს სულ სხვა ამბავია. ამ მხრით ჩვენზე ზედმოსევას, ამ მხრით ჩვენის „პატარა საუბრის“ განკითხვას, წმინდა ლიტერატურულ მართებულობის შნო და ფერი დაედებოდა, ჩვენ მიერ პატივით მისაღები და პატივით ანგარიშგასაწეველი.

თ. გ. თუმანოვმა ამ მხრით არ უკიჟინა ჩვენს „პატარა საუბარს“. იმან სულ სხვა მხრით მორთო თავისი მელური კუდის ქნევა და გველური სისინი. იგი სხვა გზით მოგვეპარა და ცხვირი თავისსავე საკუთარ ბუჩოში წაჰყო. იგი ამბობს: „ჩვენა

გვგონიაო, რომ „ივერიის“ მკითხველებს უფრო სერიოზული, უფრო ცხოველმყოფელი საგნები სწყურიანთ და ენატრებათ, ვიდრე ზემოხსენებულებისთანაო“. ეს სწორედ კუდიანური და კუდიანი ფრაზა, ეს გველური სისინი ასე ითარგმნების: რა დროს მაგისთანა აბდა-უბდაზე ლაპარაკია ქართველისათვისაო? რა სადღეისო საგანიაო და რის მაქნისიაო? „დედაკაცობის“ სულით და გულით დაუძლურება ქართველისათვის რა დიდი ჭირია, რომ მაგისათვის თავს იტკიებთო? ქართველს რაში ეჭირვება კაი დედაკცობაო? ქართველს მაგისთანა რაღაცეები რად უნდა, აწყენსო და სხვანი და სხვანი. დანარჩენი თ. გ. თურმანოვმა თავისისა და თავისის ამქრის დავთრებიდან ამოწეროს, როცა პირდაპირ თქმამდე გაგულადდება. ჩვენთვის ესეც საკმაოა, რომ გავუგოთ კრაჭუნი გაცვეთილის კბილისა, თუ ნამეტნავად გავიხსენებთ ერთს რუსულს ანდაზას: „Что русскому здорово, то немцу смерть“.

განა არა ვხედავთ, კუდი რათ ეწვის ამ შემთხვევაში თ. გ. თუმანოვს? განა ეჭვია, რომ თ. გ. თუმანოვს არ მოეწონებოდა და არც არასოდეს მოეწონება, რომ ქართველმა თავისს ავკარგიანობას თვალი გაუსწოროს, თავისი ნაკლი დაინახოს, თავისი ტკივილი იცოდეს და რაიმე გზა და წამალი ხსნისა იძიოს. ქართველს განა ის არ ურჩევნია, თავისს ნაკლს, თავისს სატკივარს თან გადაჰყვეს!.. დანახვა ნაკლისა ხომ ნახევრად გასწორებაა, ცოდნა სატკივარისა ხომ პირველი და თავიდათავი საჭიროებაა განკურნებისათვის და თ. გ. თუმანოვს რაში ეპიტნავება ქართველმა ნაკლი თავიდამ მოიშოროს, სატკივარისაგან გამოკეთდეს? ქართველმა რომ თავს უშველოს, თ. გ. თუმანოვს და მისს ამქარს რაღა ეშველება?

სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობისა“ გაძლიერებაა ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა და ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუმანოვის ამქრისა, ხომ დაეფანტათ დავთრები და ძაღლმა

პატრონი ვეღარ იცნა. აი, ვისთან კაკანებს და ვისთან სდებს კვერცხს ჩვენი გულშემატკივარი და კეთილისმყოფელი ქათამი. რა სერიოზული და ცხოველმყოფელი საგანიაო? ნუთუ ამას თ. გ. თუმანოვი მართალის გულით ამბობს!.. ორში ერთი: ან ეს მართალის გულით არის ნათქვამი, ან ჩვენი გაბრიყვება მოუწადინებია. პირველ შემთხვევაში თვალთახედვის ისარი ძალიან მოკლე ჰქონია და თვალი ვერ გადაუწვდენია საგნისათვის მთელ მისს სიგრძე-სიგანეზე. რადგანაც თ. გ. თუმანოვს თავისი საკუთარი ჭკუა არ უჭრის და სხვისასაც არ ივჯერებს, რაც გინდ მართალი იყოს და შიშით ენა მუცელში ჩაუვარდება ხოლმე მარტო სხვა ქვეყნის მეცნიერების ხსენებაზე. მოვიყვანთ მარქსის ნათქვამს: „როგორიც დედაკაცია ისეთი ოჯახიცაო, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაო“. ჩვენ ამას არ დაგვიჯერებდა, ეხლა კი იქნება იგრძნოს რა წამოროშა, როცა გვიკიჟინა, „დედაკაცობის“ გამო საუბარი სერიოზული არ არისო. აბა თ. გ. თუმანოვი რად მოინდომებს, რომ ქართველმა იცოდეს — რა დიდია მნიშვნელობა დედაკაცობისა ყველგან და, მაშასადამე, ჩვენთვისაც. რად მოინდომებს, რომ ჩვენი დედები, დები, მეუღლენი ამ მნიშვნელობამდე ამაღლდნენ და არა პეპელასავით დაფრინავდნენ. მაშინ სადღა სძოვოს მისმა ამქარმა?

გვაწყენს განა ქართველებს ამაების გათვალისწინება, ამაებზე ზრუნვა და ფიქრი. რა სერიოზული საგანიაო?.. მართალიც არის, დღეს ქართველმა დედაკაცობამ რომ მაღალი დანიშნულება დედაკაცისა თვალწინ დაიყენოს, ოჯახს უპატრონოს და გუშაგად დაუდგეს, ესე ადვილად ვეღარ გავა საძოვარზე იგი ჩრჩილი, რომელიც ჩვენს ოჯახსა სჭამს. იგი თაგვი, რომელიც ჩვენის ოჯახებიდამ ეზიდება თავისს სოროში ჩვენს საცხოვრებელს. ამით ცოტა არ იყოს ხახა დაუპატარავდებათ, კუჭი დააღნებათ და აბა, სერიოზობის მგალობელი თ. გ. თუმანოვი რათ ინდომებს ამას. რათ ინდომებს ამას ჩარჩულ ბურჟუაზიის ნაძირალობა!.. აკი არც ინდომა

და ქოქოლა მოგვაყარა თ. გ. თუმანოვის პირით. ძმობა და ერთობაო, მაინც არ იშლის და გაიძახის ეს უსტაბაში თავისის ამქრისა. რომელი იუდა ისკარიოტელი იქნება, რომ ძმას უკიჟინოს — თვალს რად ახელ, რად გინდა შენის ნაკლის დანახვა, შენის ნაკლის თავიდამ მოშორებაო? რად გინდა კარგი და მხნე დედაკაცობა გყვანდესო? მაგაზე უფრო სერიოზული სადარდელი ბევრი სხვა გაქვს და დახე, შენი გაზეთი „ივერია“ რაებზე გაცდენსო. თ. გ. თუმანოვის მანიფესტი ხომ არ არის მაგაზე უფრო სერიოზული, იგი მანიფესტი, როცა ქალაქის მოურავობა შორიდამ თითით ალოკვინეს და ამ კოღო-ბუზმაც „თავის ერთგულს ერს“ მადლობა გამოუცხადა, ბევრი თანხები დაჰპირდა და მერე კი ვაჟკაცურად ომიდამ გამოეპარათ. რა თქმა უნდა, ეს მანიფესტი და ერთობ ეს „მე მინდა კნეინა გავხდეს“ კომედია, ეს „კნეინა და ვეღარ-კნეინა“ უფრო სერიოზულია, თორემ ამ ნაჯღაბნს სასაცილო გაბუებისას თ. გ. თუმანოვი არ გამოსჭიმავდა თავისს სასახელოდ „Новое Обозрение“-ში, რომელსაც „Novus“-მაც კი, ამ სახელგანთქმულმა მებუკემ თ. გ. თუმანოვის ამქრისამ, ამას წინათ მიართვა ტიტული სერიოზობისა.

კიდევ ვიტყვით: რა თქმა უნდა, ეს მანიფესტი უფრო სერიოზულია, ვიდრე საგანი ჩვენის „პატარა საუბარისა“. არჩევანის საომრიდამ თ. გ. თუმანოვის გამოქცევა ხომ უფრო გადამეტებით სერიოზულია. ხუმრობაა, ამ სამსოფლიო ამბავმა შესძრა ცა და ქვეყანა, კინაღამ გერმანიის იმპერატორმა თავისი ხომალდები ჩინეთიდამ უკანვე არ დაიბარა, და დაიბარებდა კიდეც, რომ თ. გ. თუმანოვს არ დაესწრო და უშველებელი წერილები არ გამოეჭიმა ამ საგანზე თავისს სერიოზულ „Новое Обозрение“-ში და მით შერყეული ცა და ქვეყანა არ დაეწყნარებინა. რა ვუყოთ, რომ გამოვიქეცეო, „საცა არა სჯობს. გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“, იძახდა ჩვენი თ. გ. თუმანოვი და

ამით ყურები გამოუჭედა თავისს მკითხველებს. ყოველი ეს განა სერიოზული არ არის? იმაზე მეტი სადარდელი სხვა რა უნდა ჰქონდეს ქართველს, რომ თ. გ. თუმანოვი ვერ აცოცდა ქალაქის მოურავის ტახტზე და დააობლა „თავისი ერთგული ერი“, რომელიც, ცოტა რომ ვთქვათ, სულ ცოტა, 27 კაცისაგან მაინც შესდგება და ხუმრობაა ამოდენა ზღვა ერი!.. განა არა, დიდი შეცდომა მოგვივიდა რომ დღესაქამომდე ამ უფრო სერიოზულ საგანს არა ვჩივით და არა ვტირით.

ხუმრობაგაშვებით და განა ამისთანა სასაცილო და სამასხარო საგანი სხვაღა იქნება ქვეყნიერობაზე, და ამაების მჯღაბნავი სხვას უკიჟინებს არასერიოზობას!..

დაგვიწუნა ჩვენი „პატარა საუბარი“, ამაზე უფრო სერიოზული საგანი სწყურიანთ ქართველებსო. როგორ? როცა ვხედავთ, რომ ჩვენს სახლს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ნაოფლს, ჩვენს ნაღვაწს, ერთობ ჩვენს საცხოვრებელს შინ თუ გარედ დედაკაცობის მხნეობა, გარჯა, გაფთხილება, მოვლა, ჭკუა-გონება, მამულისშვილობა მოაკლდა, მაშინ გვეუბნებით — ეგ რა სერიოზული საგანიაო!.. ლამის ოჯახები თავზე წამოგვექცეს, მიწა-წყალი ხელიდამ გამოგვეცალოს, ენა დაგვიმუნჯდეს, დაგვეკარგოს, სახელი ქართველისა დედამიწის ზურგიდამ აიგავოს და მაშინ გვეუბნებით, — რა სერიოზული საგანია დედაკაცობამ თავისი ნაკლი დაინახოს და გასწორების გზას დაადგესო!.. ჩვენი საქმე ლამის სულის ამოხდამდე მივიდეს, და უდედაკაცოდ უღონოდ ქმნილი მამაკაცობა იწვევს თავისს დედებს, დებს, მეუღლეებს, თქვენც კაცნი ხართ, როგორც ჩვენ, მოდით, მოგვეშველენით, ერთმანეთით გავღონიერდეთ, გავძლიერდეთ, გავმხნევდეთ, რადგანაც უთქვენოდ ყოველივე ეს შეუძლებელია, და თ. გ. თუმანოვი კი გვირჩევს, ამას თავი დაანებეთ, ამაზე უფრო სერიოზული საგნები გაქვთო!... „О, дружба, о братство, этоты!..“

არ გაგვიკვირდება, რომ თ. გ. თუმანოვის დავთარში და მისის ამქრის ტიბიკონში ამაზე უფრო

ცხოველმყოფელი, ამაზე სერიოზული საგანი ბევრი სხვა ეწეროს, ნამეტნავად ქართველების საოხად და საბედნიეროდ. ეგ თქვენი დავთარი და ტიბიკონი თქვენთვის შეინახეთ. ჩვენ ჩვენი სახარება გვაქვს და თქვენის ამქრის მებუკე Novus-ი იუდა ისკარიოტელს მაცხოვრად ვერ გაგვიხდის, ბევრიც რომ კუდი იქნიოთ, ერთიერთმანეთზე გადაბმული.

ტფილისი, 19 იანვარი.

თ. გ. თუმანოვი თავისს გაზეთში* ამბობს: „თ. ი. გ. ჭავჭავაძე და მისი უმთავრესი თანამშრომელი ახნაზაროვი სომხის ჩამომავლობისანი არიან. როცა ეგენი ჭლაპარაკობენ ქართველთა საქმეებზე, არ ეშინიანთ შესწამონ ქართველის ძულება და როცა თ. გ. თუმანოვი ხმას იღებს ამავე საგანზე, იგი კი დაუძინებელი მტერი გამოდის ქართველებისაო. ლოღიკავ, სადა ხარო!“ ამ ძახილით ათავებს თ. გ. თუმანოვი თავისს ლათაიას.

რომ თ. გ. თუმანოვს დიდი ხანია შემოსწყრომია ლოღიკა — ეს ახალი ამბავი არ არის. ახალი მარტო ის არის, რომ ეხლა დაუნახავს საჭიროდ მონახოს დაკარგული ლოღიკა და სასოწარკვეთილებით ჰყვირის: ლოღიკავ, სადა ხარო. ჩვენ ამ ყვირილზე მოვახსენებთ, რომ ლოღიკა სწორედ იქ არის, საცა არ არის თ. გ. თუმანოვი.

ჩვენ თ. გ. თუმანოვს იმას კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორპირი კაცია, რომ იგი ჩვენთან ჰკაკანებს და კვერცხს კი სხვაგან ეზიდება. თუ რაც აქამდე გვითქვამს, საკმაო საბუთი არ არის ამ ორპირობისა, ნურას უკაცრაოდ, თუ რამდენსამე საბუთს კიდევ მოვაგონებთ.

ჩვენის სატახტო ქალაქის საბჭოში ქართველი თითქმის არ გააჭაჭანეს. თ. გ. თუმანოვი, რომელიც ასე გულტკბილად გვიქადაგებდა და გვიქადაგებს ძმობასა და ერთობას, როგორ მოიქცა? იმან არამც თუ

* იხ. „ნოვ. ობ“№ 4825

ამაში არ დაინახა გატეხა ძმობისა და ერთობისა, არამედ თვისის საქციელით ბეჭედიც დაჰკრა. სხვა, მართლის გულით მქადაგებელი ძმობისა და ერთობისა, ამისთანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა, არც კი მიეკარებოდა და ნამდვილი „საცა არა სჯობს. გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ ეს იქნებოდა. მაგრამ თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი. მიიღო ხმოსნობა ამ ძმურად შემდგარ საბჭოში და მოიფხანა გული წინააღმდეგ თავისის სიტყვისა. ამასაც არ დასჯერდა: მოურავობაც კი მოეწყურა ამისთანა ძმურად შემდგარ კრებულისა. ეხლა გვითხარით: სხვას რას ეძახით ორპირობას? ძმობის გამტეხთა შორის ჯდომა და მეთაურობა, ესე იგი მოურავობა, განა ორპირობა არ არის იმით მხრით, ვინც ძმობისა და ერთობის იავნანას გვიგალობს ყოველდღე?

ტფილისი არც დღეს არის თქვენი და არც ოდესმე ყოფილაო; და ამის დასამტკიცებლად მითამდა ისტორიული საბუთებიც წარუდგინა თავის ამქარს. მართალია, კვირანდელ თავის გაზეთში* ამაზე ცხელ-ცხელი აშა ჰკრა და საბუთად მოიყვანა, რომ „Новое Обозрение“-ს № 4547 ჩვენა ვთქვითო, რომ „როგორც პეტერბურგს არ ეთქმის, რომ ნემეცების ქალაქია, ისეც ტფილისს — სომხების ქალაქიაო“. მართალია, № 4547 ესა სთქვა, მაგრამ თ. გ. თუმანოვს ჰგონია, სხვებსაც ისეთი მოკლე ხსოვნა აქვთ, როგორც მას თვითონ. აი, იგი რას ამბობდა წინათ ამავე საგანზე** („Новое Обоз-рение“ № 4533) „1701 წ. ტურნეფორი სწერსო: ტფილისში თითქმის 20.000 მკვიდრია, ამათში 14.000 სომეხი, 3.000 მუსლემანი, 2.000 (?!) ქართველი და 500 რომის-კათოლიკენიო. აი რასა ვკითხულობთ ვლადიკინის წიგნშიო: 1803 წ. 2700 სახლიდამ ტფილისში 2681 სომხებს ეკუთვნოდა. თითქმის

* იხ. ნოვ. ობ.№ 4825

** იხ. ნოვ. ობ.№ 4825

დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილი კია, რომ სატახტო ქალაქი მაშინ შეადგენდა მთლად სომხის საკუთრებასა. აი, რას გვეუბნება იმისთანა კავკასიის მცოდნე კაცი, როგორიც ბ-ნი ვეიდებაუმიაო, — განაგრძობს თ. გ. თუმანოვის გაზეთი და მოჰყავს მისი სიტყვებიც: „ეტნოგრაფიის მიხედვით ტფილისი არის და, მგონია, ძველთა დროთაგანვე ყოფილა სომხის ქალაქიო“.

ხსენებულ საბუთების გაძლიერებისათვის თ. გ. თუმანოვის გაზეთი წარბშეუხრელად ამასაც უმატებს: „Главным лицом“, როგორც ეტყობა, „მელიქი“ ყოფილა ტფილისშიო (№ 4533). რასაკვირველია, „მელიქი“ და არა საქართველოს მეფე!.. ჩვენ-კი გვეგონა, რომ ქართველების სატახტო ქალაქში საქართველოს მეფე იქნებოდა главное лицо და არა „მელიქი“; და რადგანაც „მელიქი“ ყოფილა, გამოდის, რომ პოლიტიკურადაც ტფილისი სომხებისა ყოფილა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნუთუ იმას, რასაც დღეს თ. გ. თუმანოვი იძახის? საბუთები მოჰყავს, რომ ტფილისი ყოფილა და არის სომხის ქალაქი, გვეუბნება — ხუმრობა არ არის, ამას გვემოწმება კავკასიის დიდი მცოდნე კაციო, ამასთან იმასაც გვარწმუნებს, რომ ტფილისში სომხებს „მელიქის“ სახელით თითქმის თავისი მეფეც ჰყოლიათ, და ეხლა კი გვეფიცება: „როგორც პეტერბურგი ნემეცებისა არ არის, ისეც ტფილისი — სომხისაო“.

ერთი ჰკითხეთ, რათ იხარჯებოდა და ესეთი პირდაპირ დაუჯერებელი საბუთები წამოგვიშალა; თუ მართლა ეგრეა? გაგონილა!.. 1701 წ. 20.000 მკვიდრთა შორის ქართველები მარტო 2000 ყოფილან, თათრებზედაც კი ნაკლები, სომხებზედ ხომ რაღა თქმა უნდა. 1803 წ. 2700 სახლში მარტო 19 ქართველებისა იყოო ტფილისში!.. 19 სახლი ხომ მარტო მეფეების თავლასაც არ ეყოფოდა, რაც გინდ ღარიბნი ყოფილიყვნენ. ის ლოღიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმაგლეჯით გაჰკივის, „სადა ხარო“, მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფრები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა?

ორპირობა არ არის, მაშ სხვა რა ჯანაბაა! კაცი გუშინ იჭაჭებოდა იმისათვის, რომ დაამტკიცოს ტფილისი სომხებისა ყოფილა და არისო, და დღეს კი გვეფიცება, „როგორც პეტერბურგი ნემეცებისა არ არის, ისეც ტფილისი — სომხისაო“. ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო, განა? ორპირობა სხვა რაღაა!

სულ ერთი კვირა არ არის, რაც ასი წელიწადი შესრულდა მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღიდამ. ქართველობამ ეს ღვაწლით მოსილი თავისი მეფე გაიხსენა, პანაშვიდი გადაუხადა, შეავედრა ღმერთს სული მისი, სანთელი დაუნთო, საკმელი უკმია ლოცვითა და კურთხევითა. ყველა თესლისა და ხარისხის კაცმა პატივი სცა საქართველოს სახელოვან მეფის სახელს და მარტო თ. გ. თუმანოვის ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით აიწიეს, აინუნშიაც არ გაიტარეს. ახალ ისპანახის ბაზარში შემოტანის ამბავს უფრო მეტის პატივით მოეპყრობოდნენ დედაბუდიანად, ვიდრე ამ ჩვენს საპატიო დღეს მოექცნენ. ეს ამბავი სამართლიანის გულისწყრომით და რისხვით შენიშნა ყველამ და თ. გ. თუმანოვმა აქაც თავისებურად მოიქნია კუდი. ჯერ ხომ დიდებით მოიხსენია მეფე ერეკლე, ფრიდრიხ მეორის მიერ ქება-დიდებაც კი ამ მეფისა აუწყა თავისს მკითხველებს, მერე-კი სარჩლი და ქომაგობა დაუწყო თავისის ამქრის თვითმმართველობას, ვერ შეიტყეს, ვერ გაიგესო და სხვა ამისთანა. მითამ ჰნანობს კიდეც, რომ ეს ასე ფათერაკსავით მოხდა, მითამ სწუხს კიდეც და ბოლოს, რაც გულში ედვა, ვეღარ მოითმინა და თავისს გაზეთს წამოაროშვინა, — მართალია, ჩვენცა ვწუხვართ, რომ მეფე ერეკლეს სახსენებელ დღეს ასე უპატიურად მოექცა ჩემის ამქრის თვითმმართველობა, მაგრამ „დროა დავივიწყოთ წვრილმანი ანგარიშებიო“. რომელი ანგარიშებია „წვრილმანი“? აშკარაა, სხვათა შორის, ისიც, რის გამოც საჭიროდ დაუნახავს ამისი თქმა. აშკარაა, ეს მეფის ერეკლეს სახსენებელი დღე რომ არაფრად ჩააგდეს, ეს ღვაწლმოსილი მეფე რომ არ მოიხსენიეს, როცა დიდი და პატარა აქ, ამათ თვალთა წინ იხსენიებდა,

„წვრილმანი“ ყოფილა, იმისთანა „წვრილმანი“, რომ დავიწყებას უნდა მიეცეს. თუ მეფე ერეკლე იმისთანა სახელოვანი და ღვაწლმოსილი მეფე ყოფილა, რომ თ. გ. თუმანოვის სიტყვით, თვით ფრიდრიხ დიდსაც კი დიდის პატივით უხსენებია, მისი არხსენება აქ, ტფილისში, მისს სატახტო ქალაქში, რად უნდა იყოს „წვრილმანი“ და არა სხვილმანი ამბავი?

ორში ერთი: ან მეფე ერეკლე ღირსსახსენებელია და მისი ხსენება სხვილმანი ამბავია, ან სახსენებელი არ არის და მისი არხსენება „წვრილმანი“ საქმეა, არაფრად ჩასაგდები. ან ერთი სთქვით, ან მეორე. მესამეც შესაძლოა ითქვას, თუ ვისმე ხალისი აქვს თუნდ ერთს წუთს თ. გ. თუმანოვად გადაიქცეს. მაგალითებრ, მეფე ერეკლე დიდი სახელოვანი კაცი იყო, თვით ფრიდრიხ დიდმაც ევროპაში გასთქვა მისი სახელი,და ხსენება კი მისი, იმავ სახელგანთქმულ მეფისა, „წვრილმანი“ ამბავია. სწორედ ეს მესამე სთქვა თ. გ. თუმანოვმა. ეს რა არის, თუ არ ორპირობა?

ზოგი იტყვის, — ეს უგზოუკვლოდ ტანტალია ჭკუისაო. იქნება ესეც იყოს; და თუ ესეა, მართალია თ. გ. თუმანოვი, რომ საჭიროდ დაუნახავს მოიკითხოს: ლოღიკავ, სადა ხარო.

მაშ, დავუჯეროთ რაღა თ. გ. თუმანოვს!.. დავივიწყოთ, რომ ჩვენმა საყვარელმა ძმებმა საუფროსოში აიღეს და დაიჩემეს ჩვენი დედაქალაქი ტფილისი, დავივიწყოთ, რომ ჩვენის დედაქალაქის საბჭოში ქართველი აღარ გააჭაჭანეს, დავივიწყოთ, რომ აქ, ტფილისში, ჩვენი მეფეკი არ ყოფილა მეფედ, არამედ იმათი „მელიქი“, დავივიწყოთ, რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე არაფრად ჩააგდეს. ეს სულ ყველა „წვრილმანი ანგარიშებია“ ჩვენის კეთილისმყოფელის თ. გ. თუმანოვის სიტყვით. დავივიწყოთ ეს „წვრილმანი ანგარიშები“, დავიძინოთ ტკბილის ძილითა და თ. გ. თუმანოვი გვეტყვის იავნანას ძმობისას და ერთობისას თავისის სირინოზის ხმით და ეს განა არ კმარა!..

[1898]

6. პატარა საუბარი

უკვე გაზეთებში გამოცხადდა ამას წინად, რომ აქაურს მთავრობას დაუნიშნავს რევიზია, რათა გამოძიებულ იქნას ქალაქის მილის წყლის საქმე. არ იქნება ურიგო, რომ ეს სურვილი აუსრულდეს მთავრობასა და მით ათასნაირ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღოს. ეს ჩვენი მილის წყალი სწორედ თ. გ. თუმანოვსა ჰგავს: ხან ჰოა და ხან არა. რამდენი ხანია ეს მილები დაწყობილია, მანძილიც ავჭალიდამ ტფილისამდე მაგოდენად არაფერია, მაგრამ წყალმა კი გზა ვერ დაისწავლა ტფილისამდე, ხან მოდის და ხან სადღაც დაიკარგება ხოლმე. დრო კი კარგა ბლომად ჰქონდა, რომ წყალი მილს შესჩვეოდა და გზა გაეზეპირებინა.

იმედია ეხლა რევიზია გამოაჩენს, ეს წყალი რად არ ემორჩილება „კულტუროსანთა“ საბჭოს და რა მიზეზია მისის თავგასულობისა. ეს ინჟენერები ბევრი გვყავსო, იძახიან და თუ მართლაც ესეა, სად არიან ის კურთხეულ-დალოცვილები? ნუთუ, როგორც თ. გ. თუმანოვი ლოგიკას გასტირის „ლოღიკავ, სადა ხარო“, ჩვენც უნდა ვიძახოთ: ინჟენერებო, სადა ბრძანდებით? ამასა ჰქვიან — სახელია და სახრავი კი არაო. ჩვენი ურგები ქოთანი ქვასაო, მაწონი ძაღლსაო, კარგად უთქვამს, ვისაც უთქვამს.

ყველაფერს გვეტყვის დანიშნული რევიზია, მაგრამ მებრალებიან რევიზორნი. ამბობენ, რომ დღეს აქამომდე ქალაქის საბჭოს არა აქვს არც საფინანსო, არც სატეხნიკო ანგარიში ამ უშველებელის საქმისა, რომელსაც აუარებელი ფული ჩააყარეს, შეალიეს და საქმე მაინც თავისს რიგზე და ფეხზე ვერ დააყანეს. თუ ეს მართალია, რევიზორებს კარგა ბლომად გარჯა და დრო მოუნდებათ, რომ ამ საქმეს თავი და ბოლო გაუგონ, ჭეშმარიტება აღმოაჩინონ. საკვირველია, რომ ესე სამწუხარო არ იყოს!.. ეს რამდენი წელიწადია, რამდენი ხანია, რაც ქალაქისათვის მილის წყალი გამოიყვანეს და „კულტუროსანთა“ საბჭოს არ მოუკითხნია არც საფინანსო და არც სატეხნიკო ანგარიში. არც ერთი ეს ანგარიში არა აქვთ თურმე დღეს აქამომდე, არც პირველ ხანებისა, არც შემდეგისა. როგორ მოგწონთ ასეთი გულმტკივნეული პატრონობა ქალაქის ქონებისა? როგორ მოგწონთ ასეთი მამობრივი ყურადღება?

ბედი თქვენი, რომ თ. გ. თუმანოვი არ დასკუპდა ქალაქის მოურავის ტახტზე, თორემ ის გიჩვენებდათ, როგორ უნდა კუდით ქვის სროლა. ვაი, რომ გული არ შერჩა, როცა საომრად გაიყვანეს ბ-ნ ევანგულოვთან და მელასავით კუდამოძუებული გაიპარა ომიდამ ისე ჩუმად, რომ თაგვიც ვერ შეძვრებოდა ასე ფეხაკრებით თავის სოროში, თორემ... რა თორემ? განა მართლა ვაჟკაცობამ უღალატა! ნურას უკაცრაოდ: ჯამაგირი მოურავისა ითაკილა. ხმოსნობა ირჩია, რადგანაც ხმოსანს ჯამაგირი არა აქვს* ჯამაგირი ხომ ფულია და ფული, ხომ მოგეხსენებათ, ჭუჭყია და ჭუჭყს აბა როგორ მიეკარებოდა თ. გ. თუმანოვის უანგარო ხელი. თქვენგან არ მიკვირს!.. მართალია, ჯერ კიდევ წინად, მინამ ბ-ნ ევანგულოვს დაინახავდა საომრად გამოსულს, გული გულის ადგილას ჰქონდა და, როგორც მისი მანიფესტი გვარწმუნებს, მადიანადაც ილოკდა თითს ქალაქის ჯამაგირიანს მოურავობას რომ შორიდგან ეტრფიალებოდა, როგორც კატა ძეხვს, მაგრამ ეს რა ანგარიშში ჩასაგდებია. განა ცოტას იხვეწება, ეს წვრილმანი ანგარიშები დავივიწყოთო. ჩვენც დავივიწყოთ. ტყუილად კი არ

* იხ. „Новое Обозрение“ № 4827.

გვეკითხებოდა თავისი გაზეთის გუშინდელ ნომერში: „ თ. გ. თუმანოვს და სამს ქართველს, რომელიც ეხლა საბჭოში არიან, რომ ხმოსნობაზე უარი ეთქვათ, რას მოიგებდნენ ქართველებიო“. ასი თ. გ. თუმანოვიც რომ იჯდეს საბჭოში, არც მაშინ მოვიგებდით რასმე ქართველები, მაგრამ საბჭოს კი იქნება მოეგო რამ: ერთით უხეირო ხმოსანი ხომ ნაკლები ეყოლებოდა, სხვა არა იყოს რა. ახ, რა უბედურებაა ჩვენს თავს, რომ ქალაქის მოურავობას ასეთი ჭუჭყი აცხია: ჯამაგირი აქვს, თორემ დღეს თ. გ. თუმანოვი არ ითაკილებდა და მოურავად დაგვიბრძანდებოდა. ხუმრობაა, რა „მელიქი“ ეყოლებოდა ჩვენს ქალაქს!.. მე რომ კულტურონსნებისა ვიყო, მოურავს ჯამაგირს მოვუკვეთავდი, მაგ ჭუჭყს მოვაშორებდი, ოღონდ თ. გ. თუმანოვი „მელიქად“ გამოჭიმული გვყოლოდა. „მელიქი“ და რა „მელიქი“! მაშინ არამც თუ მილის წყალი დაგვაკლდებოდა, იმოდენა წყალს მოადენდა, რომ მთელი ქალაქი წყალწაღებული იქნებოდა, მაგრამ ამბობენ, „კულტურონსნებს“ არ უნდათ ჯამაგირის მოკვეთაო. პირიქით მომატებაც უნდათ, რომ თ. გ. თუმანოვი აღარ მიაკარონ ქალაქის მოურავობას. ამით ჰსურთ თურმე ჯავრი მისი ამოიყარონ, რადგანაც იმან ასე გააუპატიურა, გააბიაბრუა ფული, — ეს დღევანდელი ღმერთი და სალოცავი „კულტურონსნებისა“.

[1898]

7. ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები

I

ტფილისი, 24 იანვარი.

მას აქედ, რაც ბერძენთა და ოსმალთა შორის გათავდა ომი და, ავად თუ კარგად, მეომარნი შეარიგა ერთმანეთს ევროპამ, ყველას ეგონა, რომ ევროპის სახელმწიფონი, ნამეტნავად საფრანგეთი და მის გამო რუსეთი, ფეხზედ წამოაყენებენ ეგვიპტის საქმეს. ეს ფეხზედ წამოყენება ეგვიპტის საქმისა მარტო ინგლისისათვის არის არასასურველი და ფრიად განსაცდელიანი იმიტომ, რომ ინგლისი დღეს მარტო ჰბატონობს ეგვიპტეში და დიდად ურჩობს ეს ბატონობა გაუზიაროს ვისმე. ეგვიპტის საქმის წამოყენება კი სწორედ იმისი მომასწავებელია, რომ ან ინგლისი უნდა გამოვიდეს ეგვიპტიდამ, ან როგორმე დააკმაყოფილოს საფრანგეთი, რომელსაც საკუთარი ინეტერესები ნებას არ აძლევენ ეგვიპტეში პირველობა და უპირატესობა დაუთმოს ინგლისსა. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ერთი უდიდესი მიზეზი უთანხმოებისა და უსიამოვნებისა ეგვიპტე არის. ამიტომ ყველანი მოელოდნენ, რომ რაკი ევროპა მოიცლის და ეგრედწოდებული აღმოსავლეთის საქმე, ბერძნებისაგან ატეხილი, ევროპაში დაშოშმანდება, ეგვიპტის საქმე გაიღვიძებსო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ევროპას სხვა

სატკივარი გაუჩნდა, ევროპამ ჩინეთისაკენ მიიხედა და ნასკვი დღევანდელის პილიტიკისა იქ შეიკრა.

ამ სახით, ახლო აღმოსავლეთის საქმე შორ აღმოსავლეთზე მიიმართა. ევროპა ჰხედავს ჩინეთის სისუსტეს, „სნეულ კაცად" ეხლა ჩინეთი გადაიქცა. რადგანაც მოსალოდნელია, რომ ეს უზარმაზარი შორ აღმოსავლეთის სახელმწიფო თვისმა სისუსტემ და უძლურებამ თან გადაიტანოს, ყველას უნდა წინადვე როგორმე ფეხმოსაკიდებელი ადგილი დაიჭიროს ჩინეთში, რომ როცა დრო მოვა, ახლო იყოს, დიდი ლუკმა თვითონ მოითალოს და სხვამ არ დაასწროს. გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია ეხლა იმის ცდაში არიან, რომ, იქ, ჩინეთის საზღვრებზე, ზღვიდამ ჩინეთში შესავალი ადგილი ხელთ იგდონ ყოველ ანაზდეულად მოსალოდნელ შემთხვევისათვის. აბა უზარმაზარი, მაგრამ უღონო ჩინეთი რას გაუძლებს ამათს ზედმოსევას, და სხვა არა დარჩენია რა, რომ ყველას დღესვე საკმაო ლუკმა მიაწოდოს. სწორედ ესე იქცევა დღეს ჩინეთი, მაგრამ თუ აბრკოლებს რამ, ისევ ის, რომ ზედმოსეულ სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის ჰშურთ ყოველივე, რასაც ძალამიხდილი ჩინეთი ძალაუნებურად აწვდის, ოღონდ დამეხსენით და სხვას ნურას წაატანთ ხელსაო.

ამ შურმა და ცილობამ ეხლა ისე გააბა საქმე, რომ არა გვგონია, ევროპის სახელმწიფოებმა კარგა ხანსღა მოიცალონ ან ეგვიპტისათვის, ან ოსმალეთისა, და ერთობ ახლო აღმოსავლეთის საქმეებისათვის. აქ, ახლო აღმოსავლეთში, მარტო ერთი კრიტის კუნძულის საქმეღაა ჯერხანად ცოტაოდნად თავში საცემი. ევროპას ჯერ გუბერნატორად ვერავინ ამოურჩევია, თუმცა ამბობენ, რომ თითქმის გათავებულია, საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი იქნება კრიტის გუბერნატორად აღმორჩეულიო. ეს კრიტის კუნძულის საქმე ჯერ იმისთანა რასმე არ წარმოადგენს, რომ ამისის ფიქრით ევროპამ ისევ ევროპისაკენ მოიხედოს. ჩვენ ადრევაცა ვთქვით და ახლაც ვამბობთ, რომ თუმცა

შიგ ევროპაში აღმოსავლეთის საქმე ჯერ არ გათავებულა და მიძინებულია, მაგრამ შესაძლოა უეცრად იფეთქოს და დიდი ცეცხლი ატყდეს. კიდევ ვიტყვით, კრიტის კუნძულის საქმე ისეთი არ არის, რომ ამის გამო ევროპა ერთმანეთს დაეჯახოს. ეგ წყლულია აღმოსავლეთის საქმისა, მაგრამ ისეთი წყლული, რომ ევროპის დიპლომატია ადვილად უპოვის მალამოს. სულ სხვა ამბავი იქნება, თუ ამ გაზაფხულზე მაკედონიაში არეულობა რამ მოხდა. მაკედონიაში მოსალოდნელი ამბები ევროპის აღმოსავლეთის საქმეს წამოაყენებენ მთელის თავისის სიმწვავითა და, იქნება საქმე იქამდე მივიდეს, რომ თოფიც გავარდეს და ზარბაზანმაც დაიჭექოს. მაშინ, თქმა არ უნდა, შორაღმოსავლეთის საქმე ახლოაღმოსავლეთისად გადაიქცევა და ევროპა იძულებულ იქნება ჩინეთი მოასვენოს, ვიდრე ხელახლად იმისთვის მოიცლიდეს.

ხოლო საკითხი ეს არის: ვინ ხერხიანობს დღეს ასე, რომ ევროპა შორაღმოსავლეთისაკენ გაისტუმრა, იქნება იმ ფიქრით, რომ ერთ-ერთს დიდს სახელმწიფოს იქ შორს შევატოპინო, და აქ, ახლო, მე და ჩემმა მომხრეებმა მარტო გავიგდოთ ბურთი პოლიტიკის მოედანზედაო? არც ეს არის უადგილო — ვიკითხოთ: ვინ არ ასვენებს საფრანგეთსა შინ, რომ იქნება ამ შინაურმა ამბებმა არ მოაცალოს იგი საგარეო საქმეთათვისაო და მე კი ხელგაშლილი დავდიოდეო? ეს დრეიფუსის საქმე იმისთანა რა არის თავისთავად, რომ ლამის საფრანგეთში ძმათა შორის სისხლი ჩამოაგდოს და ერთი ნახევარი საფრანგეთისა მეორეს დააჯახოს ერთმანეთის საჟლეტად? მართალია, თუ უდანაშაულოდ დასჯილია დრეიფუსი, ამის გამო ხელახლად გადასინჯვა მისის საქმისა მართლმსაჯულობის მოვალეობაა, მაგრამ მარტო ამ მხრით ეს საოცარი საქმე ასეთს განგაშს, ასეთს რყევას თითქმის მთელის საფრანგეთისას ვერ გამოიწვევდა. აქ რაღაცა იმალავს თავს, აქ ვიღასიც ძლიერი ხელი ჰმუშაობს. გაუგებარია, რად არის ესე, რომ ერთის მხრით თვითონ საფრანგეთის ბედის

გამგებელი მთავრობა ამ გადასინჯვას ასე დაჟინებით არა ჰნდომობს და მეორეს მხრით, იმისთანა გამოჩენილნი კაცნი, როგორც ზოლაა, არ ერიდებიან წყევა-კრულვას ერისას და დაჟინებითვე თხოულობენ ხელმეორედ განკითხვას ვითომდა უდანაშაულოდ დასჯილისას. აქ მარტო დრეიფუსის ბედია გათვალისწინებული, თუ იგი მარტო მიზეზია, რომ მის გამო საფრანგეთს შინ საქმე გაუმწარონ, შინ დიდი სატკივარი აუჩინონ იმ იმედით, რომ საგარეოდ ვეღარ მოიცლისო? ვისთვის არის საჭირო ასეთს მდგომარეობაში ჩაყენება საფრანგეთისა, — ძნელი გამოსაცნობია; და უფრო ძნელი გამოსაცნობია — რისთვის უნდათ, რომ საფრანგეთმა საგარეოდ ვეღარ მოიცალოს იმდენად მაინც, რამდენადაც იგი სხვისთვის სახარბიელოა?

II

ტფილისი, 31 იანვარი

დღევანდელ დიპლომატიისათვის ორი დიდი ნასკვია გამოსახსნელი: ერთი შინევროპაში და მეორე შორაღმოსავლეთში, ესე იგი, ჩინეთში. კრიტის კუნძული, რომელმაც გამოიწვია ომი ოსმალთა და ბერძენთა შორის და რომელმაც კინაღამ ცეცხლი არ წაუკიდა მთელს ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ჯერ-აქამომდე დაწყნარებული არ არის. დიპლომატიამ ვერასგზით ამ საქმეს ბოლო ვერ მოუღო. მან, მართალია, დაადგინა უკვე ავტონომია ხსენებულ კუნძულისა და ამ მხრით ცოტად თუ ბევრად გამოიხსნა იგი სულთანის ხელიდამ, მაგრამ დღეს-აქამომდე ვერ მოუპოვა შესაფერი გენერალ-გუბერნატორი; რაკი გენერალ-გუბერნატორის კანდიდატობაზე მიდგა საქმე, იგი ეგრედწოდებული კონცერტი[?] ევროპის სახელმწიფოებისა, შეირყა და თითქმის ირღვევა კიდეც.

რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას კრიტის კუნძულისას და აქედამ აღარაფრის შიში აღარ იყოს ევროპისათვის მოსალოდნელი, დროებით

მაინც, რუსეთმა კრიტის კუნძულის გენერალ-გუბერნატორად მოიწადინა საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი. ამ კანდიდატურას — საფრანგეთი, როგორც მომხრე რუსეთისა, მაშინვე დაჰყაბულდა, იტალიამაც წინააღმდეგობა არ გამოიჩინა, ინგლისმა თითქმის თავისი თანხმობა გამოაცხადა, მარტო ავსტრო-ვენგრია და ოსმალეთი წინააღუდგა. გერმანიამ, თუმცა არც ჰო სთქვა, არც არა, მაგრამ აშკარა კი იყო, რომ იგი ამ საქმეში უფრო ავსტრიისაკენ არის.

ეხლა ამბობენ გაზეთები, რომ გერმანიამაც უფრო ცხადად გაიწია ავსტრიისაკენ და იტალიაც ისეთის თანაგრძნობით აღარ უყურებს საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის კანდიდატურას. ამ სახით, გამოდის, რომ კრიტის კუნძულის საქმეში ევროპა ისევ ორ ბანაკად გაიყო უწინდელებრ: ერთ მხრივ გერმანია, ავსტრო-ვენგრია და იტალია და მეორე მხრივ, რუსეთი და საფრანგეთი. გაზეთები ამბობენ, რომ თუ რუსეთის მიერ წამოყენებულმა კანდიდატურამ თავი ვერ დაიჭირა, რუსეთი ამ საქმეში აღარ გაერევაო, რადგანაც სხვაფრივ იმ ცეცხლის ჩაქრობა, რომელსაც მოასწავებს კრიტის კუნძულის მდგომარეობა, შეუძლებელიაო.

საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის გენერალ-გუბერნატორობას იმ მიზეზით ამჯობინებენ, რომ მისი დანიშვნა და სამუდამოდ დაწყნარება კრიტის კუნძულისა ერთი იქნებაო. კრიტის კუნძულის მკვიდრნი თითქმის ოთხი მეხუთედი ბერძნები არიან და სხვას ვის შეიშვნევენ ისე კარგად და გულდანდობით, თუ არ საბერძნეთის მეფის შვილსაო. ესეთი საზრისი, რასაკვირველია, საბუთიანია. მაგრამ არც ამისი მოპირისპირენი არიან უსაბუთონი. ისინი ამბობენ, რომ თუ საბერძნეთის მეფის შვილი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად კრიტის კუნძულ-ზე, კრიტი უფრო საბერძნეთისა იქნება, ვიდრე ოსმალეთისაო. ბერძნებმა რომ ომი ასტეხეს, მარტო იმისთვის, რომ კრიტის კუნძული წაართვან ოსმალებს და თვითონ დაიჩემონო. ოსმალებმა ამ ომში გაიმარჯვეს და ბერძნები დამარცხდნენ, და

ეხლა რომ იგი კუნძული ბერძნებმა დაიჩემონ, გამოვა, რომ დამარცხებულთ სასურველი არგუნეს და გამარჯვებული კი ცარიელზედ დასვესო. ეს რა სამართალიაო?

ვთქვათ, პოლიტიკაში სამართალი და სხვა ამისთანა მაღალ ფარდის სიტყვები ტყუილი რახუნია მოშლილ წისქვილისა, მაგრამ როცა უნდათ, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, და ამისთანა სიტყვებსაც ხელს მოსჭიდებენ ხოლმე. მეორე საბუთი უფრო საგულისხმიეროა. ბერძნებმა რომ თავისი მეფის შვილი კრიტის კუნძულის მთვარმართებლად დასვან, ეს ხომ საბერძნეთის გაძლიერებას მოასწავებს ბალკანეთის წვრილ სახელმწიფოთა შორის; და რომ ეს ასე არ მოხდეს, ხომ თვითოეული მათგანი, მაგალითებრ, სერბია, რუმინია, ბოლგარია, მოითხოვენ სამაგიეროსაო და მაშინ ხომ აირია დავთრები აღმოსავლეთის საქმისა და ოსმალეთის დანაწილების საშიშარი საქმე წინ აეტუზა ევროპასაო. რა ჰქმნას მაშინ ევროპამაო? რაკი ამ დანაწილებაზე მიდგება საქმე, ხომ ომი ასტყდა და საშინელი ომიცაო. როგორც ვხედავთ, ეს მეორე მიზეზი იმოდენად საბუთიანია, რომ არ უნდა გვიკვირდეს დღევანდელი სიფრთხილე ევროპისა და ასეთი დახანება და უთანხმოება მისთა სახელმწიფოთა კრიტის გენერალ-გუბერნატორის არჩევის საქმეში. აი, იგი ერთი ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა შინევროპაში, რომელმაც დღეს ევროპა ორ წინანდელ ბანაკადვე გაჰყო.

მეორე ნასკვი გამოინასკვა შორაღმოსავლეთში. გერმანიამ მიზეზი მოუდო ჩინეთს და ერთი კაი ნავთსადგური კიაო-ჩოუ ჩამოართვა. ინგლისმა ყურები აცქვიტა. შორიაღმოსავლეთი, საცა ინგლისს მთელი იმპერია ინდოეთისა უჭირავს და საიდანაც იხვეჭს მთელს თავის სიმდიდრესა და საცა ასეთი გაშლილი ბაზარი ჰქონდა თავისის უთვალავის საქონლისა, მეტისმეტი სასურველი ლუკმაა ინგლისისათვის. აქ რომელისამე სხვა სახელმწიფოს გაძლიერება დაუძლურებაა ინგლისისათვის, რომელიც

დღევანდლამდე თითქმის მარტო ბატონობდა იქ. ბევრგვარად დატრიალდა ჩინეთში ინგლისი, რომ როგორმე ხელი შეუშალოს გერმანიას და ფეხი არ მოაკიდებინოს ჩინეთში. მაგრამ ყველა მეცადინეობამ უქმად ჩაუარა და ზღვიდამ ჩინეთში შესავალი კარი გაიღო. გერმანიამ ნავთსადგური კიაო-ჩოუ დაიჭირა და თავისი ხომალდები დააბინავა.

რაკი რუსეთმა დაინახა ასეთი ამბავი, ამანაც ხელი გაიწოდა მეორე ნავთსადგურზედ, რომელსაც პორტ-არტური ჰქვიან და რომელიც კაი მოზრდილი კარია ზღვიდამ ჩინეთში შესასვლელად. ინგლისი აქაც მიესია მთელი თავისის ხერხითა, რომ ჩინეთს არ დაათმობინოს არაფერი რუსეთისათვის, მაგრამ აქაც ვერას გახდა რა. მაშინ დიდის რიხით შეუტია ჩინეთს, თუ პორტ-არტურში რუსებს დააყენებენ, ნავთსადგური ტალიენვანი ღია იყოს საყოველთაო შესავალ-გასავალად ჩინეთში ზღვიდამაო. ეს ისეთის რიხით დაუდვა პირობად ინგლისმა ჩინეთს, რომ თითქმის მუქარას მოასწავებდა. ვერც ამან გასჭრა, როგორც ვხედავთ. რუსეთი თავისის ხომალდებით დაბინავდა პორტ-არტურში და არც ნავთსადგური ტალიენვანი დასთმო საყოველთაო გზად ზღვიდამ ჩინეთში. ინგლისის მუქარამ, სჩანს, ტყუილად ჩაიარა, რადგანაც, რაკი ვეღარას გახდა რა, ამ ტალიენვანს ინგლისმა თავი დაანება, თითქო თავისდღეში არ ეხსენებინოსო. ჯერ ასეთმა ფახა-ფუხმა და მერე ასე ამოძუებამ კუდისამ ტალიენვანის გამო ააყაყანა მთელი ინგლისი. გავლენიანი გაზეთი ინგლისისა „Times“-ი ამბობს, რომ ჯერ სულ არ უნდა ეხსენებინათ ტალიენვანი, და რაკი ახსენეს, ბოლომდე უნდა ჩვენს მთავრობას მიეყვანა საქმე, თუნდ ამისთვის ომიც ატეხილიყოო.

რამ გააგულიანა უძლური ჩინეთი, რომ არ შეუშინდა ინგლისს არც მაშინ, როცა კიაო-ჩოუ დაუთმო გერმანიას, არც მაშინ, როცა პორტ-არტური მისცა რუსეთს? იმან, რომ აქ გერმანია და რუსეთი ერთად იღვწიან და ერთმანეთსა ჰშველიან. ვერც გერმანია შესდგამდა ფეხს კიაო-ჩოუში, ვერც რუსეთი

პორტ-არტურში, რომ ყოველივე ეს ადრევ მოლაპარაკებული არ ჰქონოდათ ერთმანეთში და გათავებული.

ჩინეთს დღეს ფული უჭირს, რომ იაპონიის ვალი გადაიხადოს. იაპონიას გირაოდ უჭირავს ერთი უწარჩინებულესი ნავთსადგური ჩინეთისა, და მინამ ჩინეთი ვალს არ გადაიხდის, იაპონიას ნება აქვს იმ ნავთსადგურის ჭერისა. ინგლისმა, რაკი მუქარით ვეღარა გააწყო რა, ეხლა ამ მხრით მოიწადინა თავისის წამხდარის საქმის გასწორება: მე გასესხებ ფულსა იაპონიის ვალის მოსაშორებლადაო. გაიბა ამაზე ლაპარაკი ჩინეთსა და ინგლისს შორის. ინგლისს უნდოდა ხელში ჩაგდება ჩინეთისა, რაკი ფულს ასესხებდა და ამით მისს შინაურ საქმეებში წილს დაიდებდა. თითქმის ეს საქმე თავდებოდა ინგლისის სასარგებლოდ, მაგრამ აქაც რუსეთმა შეუშალა ხელი. ეხლა გაზეთები გვატყობინებენ, რომ ჩინეთი ინგლისისაგან აღარა ჰსესხულობს, რადგანაც ფულს სესხად აძლევენ ორნი სახელმწიფონი ერთად, რუსეთი და გერმანიაო.

რატომ არა სჩანს ყოველს ამაებში საფრანგეთი? აი საკითხი, რომელიც ყველას ენაზე მოადგება, როცა შორაღმოსავლეთის საქმეს ითვალისწინებს კაცი. ამისი პასუხი ის არის, რაც 24 იანვარს საფრანგეთის პალატაში უთქვამს დეკრეს. ჩინეთის საქმე დიდი საქმეაო, აქ ევროპის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიანო. საფრანგეთის ინტერესები თხოულობენ — „აქ საქმე ისე დარჩეს, როგორც არისო“. არა გვგონია, ინგლისმა ამ პროგრამას სულით და გულით ხელი არ მოაწეროს, იმიტომ რომ აქ შეუცვლელად საქმეების დარჩენა ისე სახეირო არავისათვის არ არის, როგორც ინგლისისათვის. ჩვენ ისიც გვგონია, რომ აქ უნდა იმალავდეს თავს მიზეზი იმ სიტყვებისა, რომლებითაც დეკრემ დაასრულა თავისი სიტყვა საფრანგეთის პალატაში: ქებით და მოწონებით მოიხსენია რა ფრანგ-რუსთა კავშირი, სთქვა, — რომ ეს არ უნდა უშლიდეს საფრანგეთსა უგულითადესი

კეთილგანწყობილება იქონიოს ინგლისთანაო. არც ეს უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დეკრეს სიტყვა გამოწვეულ იყო კოშენის მიერ, რომელმაც უსაყვედურა საფრანგეთის მთვარობას, რომ იგი ხელს უწყობდა და ეხმარებოდა გერმანიას საბერძნეთის წინააღმდეგაო.

თუ ეს ასეა, უცნაურს რასმე წარმოადგენს ეს ორი, ერთმანეთზე შორი ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა. ძნელია კაცმა გაუგოს თავი და ბოლო ამ მართლა და უცნაურს ხლართულსა. ვინ ვისკენ არის ან სამტროდ ან სამეგობროდ — ძნელი გამოსაცნობია. საფრანგეთის პარლამენტში საჯაროდ ისაყვედურებიან, რომ საფრანგეთი ეხმარება გერმანიას საბერძნეთის წინააღმდეგა, მაშასადამე ეხმარება ახლო აღმოსავლეთის საქმეში და, თუ ეს მართალია, რა პასუხი უნდა მისცეს საფრანგეთმა რუსეთს. შორაღმოსავლეთში გერმანია და რუსეთი ერთად ჰმოქმედობენ ინგლისის წინააღმდეგ და საფრანგეთის ამაში გაჭაჭანებაც არ ისმის. ინგლისი მარტო იღვწის აქაც და იქაც რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთი იმავე დროს საჯაროდ იძახის, — რატომ არ უნდა ვიქონიო უგულითადესი კეთილგანწყობილება ინგლისთანაო და ბევრი სხვა ამისთანა. ეს რა ამბავია? ეს ინგლისთან კეთილგანწყობილების ხსენება ნუთუ პასუხია საფრანგეთისა იმაზე, რომ შორაღმოსავლეთის საქმეში გერმანია და ნამეტნავად რუსეთი უსაფრანგეთოდ მოქმედობენ? იქნება ევროპაში დიდი მზადებაა დასახვედრად დიდის რაიმე განსაცდელისა და, როგორც ყოველ მზადებაში, თავ-თავის ადგილას ჯერ არაფერია დალაგებული.

ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ კრიტის კუნძულის საქმე და მაკედონიის დაუწყნარებლობა ფრიად საშიშია ევროპისათვის იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც შემძლებელია ფეხზე წამოაყენოს ეგრედწოდებული ახლოაღმოსავლეთის საქმე მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა და მაშინ ევროპა სისხლდაუღვრელად,

უომრად ვერ გადარჩება. ჯერ ეხლავ არის ნიშნები, რომ წელს გაზაფხულზე ერთ-ერთი ზემოხსენებული საქმე, ან ორივ ერთად, თავისას მოითხოვენ და იქნება ეს არის მიზეზი იმ უცნაურის ხლართულისა, რომელსაც დღევანდელი პოლიტიკა წარმოადგენს შესახებ კავშირ-ზავობისა ევროპის სახელმწიფოთა შორის.

[1898]

8. <პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო>

ტფილისი, 4 თებერვალი

ამას წინად ტფილისის საბჭოში საუბარი გაიმართა პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო ტფილისში. ბევრი აიღეს, დაიღეს და ბოლოს საბჭომ დაადგინა, რომ თუ მთავრობა ტფილისში პოლიტეხნიკუმს გამართავს, ქალაქი ორას დესეტინა მიწას მიართმევს საჩუქრად და ყოველ წლივ მიაშველებს სამი ათასს თუმანს თავისის შემოსავლიდამ. ხუთი ხმოსანი ამისი წინააღმდეგი შეიქმნა და მათ შორის ბ-ნი ხუდადოვი. „ეს უკანასკნელი, – ამბობს „Новое Обозрение“, – უსათუოდ იმიტომაო, რომ იგი ყოველთვის წინააღმდეგია მარტო წინააღმდეგობისათვისაო“.

არ ვიცით ამის გამო, თუ სხვა რამ უფრო საფუძვლიან მიზეზით, ბ-ნმა ხუდადოვმა დაჰბეჭდა „Новое Обозрение“-ში წერილი და აგვიხსნა, რა საზრისით არ შეიწყნარა მან ზემოხსენებული განაჩენი საბჭოსი. ბ-ნი ხუდადოვი ამბობს, რომ პოლიტეხნიკუმი სასურველია და სასარგებლო და ამაზე უარს ვერავინ ვერ იტყვისო. ხოლო აქ საქმე ეს კი არ არის, არამედ ისაო, რომ ჩვენი ქალაქი, უამისოდაც ღარიბი, ძლივ უძღვება თავისს ვალებს და ეხლა ეს სამი ათასი თუმანი ყოველ წლივ კისერზე უნდა დაეწეროს ხარჯის მძლეველთაო. განა ქალაქს ნება აქვს ასე დაუმძიმოს ცხოვრება უამისოდაც ხარჯით დატვირთულ მკვიდრსაო? განა

ქალაქს არა აქვს ამაზე უფრო მეტად მღაღადებელი და დაუყოვნებელი საჭიროებაო? აქვს და ძალიან ბევრიცაო. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტო ისიც საკმაოა ვიცოდეთ, რა დღეშია ტფილისში მარტო პირველდაწყებითის განათლების საქმეო. აქ ბ-ნს ხუდადოვს მოჰყავს ციფრები და აქედამ გამოდის, რომ ტფილისში სულ ცხრა სკოლაა, საცა მარტო 859 მოწაფეა მაშინ, როდესაც მისის ანგარიშით ტფილისში 20,000 ყმაწვილი მაინც არის სკოლის ასაკისა და ოთხი იმოდენა, რაც პირველდაწყებით სკოლაში სწავლობენ, სხვა სასწავლებლებში რომ ვიგულვოთო, 15,000 მაინც ყოვლად უნუგეშოდ დარჩენილნი არიანო.

ეს ამოდენა რიცხვი უსკოლოდ დარჩენილის ბაშვებისა ისეთი ღრმა ჩასაფიქრებელი ამბავია, რომ კაცი უნდა დიდის გულდადებით მოეპყრასო. გულდადებით მოპყრობა კიდევ ის არისო, რომ რაც შეიძლება მეტი ფული იყოს გადადებული პირველდაწყებითის სკოლების გამრავლებისთვისაო. პოლიტეხნიკუმისათვის რომ სამი ათასი გადასდეთ, ეს ფული რომ პირველდაწყებით სკოლებს მიეშველოს, ხუთმეტი ახალი კარგად მოწყობილი სკოლა მოგვემატებაო, ათასი ბაშვი, რომელიც ეხლა მოკლებულია პირველდაწყებითს სწავლა-განათლებას. ისწავლიდნენ რასმე და გზას გაიხსნიდნენ უფრო მეტის ცოდნის შეძენისათვისაო.

დანარჩენს საუბარს ბ-ნ ხუდადოვისას ჩვენ თავს ვანებებთ. იმიტომ კი არა, რომ ანგარიშგასაწევი არ იყოს და ყურადღების ღირსი. პირიქით, საგულისხმოა და ჩასაფიქრებელი. ჩვენ აქ გვინდოდა მარტო მისი დედააზრი აგვენიშნა, რადგანაც პასუხები, რომელიც მან გამოიწვია ჯერ საბჭოში და მერე „Новое Обозрение“-ში, ამ ბრძენთა ბრძნულ გაზეთში, „საოცარი“ პასუხებია. ამ პასუხებში აშკარად სჩანს იგი გაუტეხელი ბუნება, რომელიც, რაც გინდა ჰმალო, მაინც თავს გამოიჩენს ხოლმე და, მეორეს

მხრით – სრული ჭკუის გლახაობა „Новое Обозрение“-სი.

დედააზრი ბ-ნ ხუდადოვისა იმაზეა აგებული, რომ როცა შვილები შიმშილით გიწივიან, მაშინ ბლამანჟეებზე ფულის ფანტვა სულელობაა, მით უფრო, როცა ჯიბე ცარიელი გაქვს და ვალი გაწევს კისერზედაო. ჩვენ ორას დესეტინას ქალაქის მიწას და ყოველ წლივ სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის ვწირავთ მაშინ, როდესაც თითქმის ხუთმეტი ათასი ბავშვი დაგვიტოვებია უანბანოდ, ჭკუა და გონება-გაუხსნელად, გულგაუნათებლად, გაუფაქიზებლადაო. ის არა სჯობია, თუ რამა გვაქვს ტფილისელებსა, ჯერ ამ სატკივარს უვიცობისას, გონებისა და გულის სიბნელისას ვუწამლოთო და მერე, თუ ამას გადარჩება რამ, პოლიტეხნიკუმზედაც ვიფიქროთო. აი, დედააზრი ბ-ნ ხუდადოვისა. ერთი ხმოსანი, რომელიც, როგორც ეტყობა, სხვებზე უფრო პირდაპირი და გულახდილი კაცია, ამაზე აი, რა პასუხს ეუბნება ბ-ნ ხუდადოვს: ბ-ნი ხუდადოვი იქნება კარგი მკურნალი იყოს, მაგრამ ფინანსისტი კი ვერაფერი ყოფილაო. ჩვენ რომ ორასს დესეტინას ვაძლევთ საჩუქრად, განა ვზარალობთ? პირიქით, დიდ მოგებაში ვართო: იმ ორასს დესეტინაზე პოლიტეხნიკუმს ააშენებენ, მაშინ გარშამო მიწები, რომელიც დღეს ჩალის ფასადაც არ გადის, საჟენი ოცდახუთი მანეთი გახდებაო.

როგორ მოგწონთ ეს „ჩოტკიანი“ ანგარიში იქ, სადაც უმაღლეს სასწავლებელზეა ლაპარაკი? ეგ გაჩუქე კი აღარ გამოდის, მაჩუქეა. რა ჭკუიანები არიან! საიდამ მოუარეს საქმეს! აღებაა თუ მიცემა ყველგან გამორჩენას და სარფას ეპოტინებიან, გამდიდრდებიან მა რა ეშმაკია. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, ნათქვამია. ზნე-ჩვეულებამ კულტურონსნებისამ აქაც თავი ვერ დაიმალა. ხელზე პოლიტეხნიკუმი დაიხვიეს, ლიბერალური გულმტკივნეილობა განათლებისათვის ბაირაღად დაიჭირეს და, თურმე ნუ იტყვით, გულში კი მიწების

მეტ ფასად გასაღება ჰქონიათ პოლიტეხნიკუმის მოწყალებითა. გამოდის, რომ პოლიტეხნიკუმი უმაღლესის განათლებისათვის კი არა სწყურებიათ, არამედ იმისათვის, რომ ქალაქელების მიწები ფასს მოიმატებენ და მიწის პატრონები ფულებს ჩაიჩხრიალებენ ჯიბეში. ეს განა იმას არა ჰგავს, რომ ზოგიერთი კუტრი ქალაქები მთავრობას სთხოვენ, ჯარები დაგვიყენეთ იმისათვის კი არა, რომ მტრისაგან უშიშარ ვიყვნეთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს საქონელს მუშტარი გავუჩინოთო და აღებ-ტაცება გავაჩაღოთო.

რა ყოფილა ეს წყეული კულტურა!.. ქვასაც კი წყალს გამოადენს. აბა, პოლიტეხნიკუმის დაარსებასაც კაცი რომ ფულის გამოდენის თვალით შეჰხაროდეს, ამაზე მეტი ხერხი და ოსტატობაღა გნებავთ!.. აბა, კაცმა „გაჩუქედამ“ რომ „მაჩუქე“ გამოსჩეკოს, ამაზე მეტი ჭკუაღა იქნება!.. არა, არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა!.. „ჩოტკის“ კაცი სულ სხვა ჯურისაა, ანგარიშიანი კაცია. პოლიტეხნიკუმი იმისათვის თავისთავად კი არ არის სასურველი, როგორც უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც შემძლებელია კაცი კაცად გაჰხადოს, არამედ იმით, რომ ქალაქის მიწები ფასში აიწევენ და მიწის პატრონები გამდიდრდებიან. უკეთეს საცდურს სხვას ვერასფერს მოიგონებს კაცი, რომ ჩვენებური ბურჟუაზიული საბჭო ჩანგალზე მოსულიყო და პოლიტეხნიკუმის წადილზე თითქმის ერთხმად აგებულიყო. ამ მხრით ჩვენ არ ვძრახავთ საბჭოს. პოლიტეხნიკუმი კარგი რამ არის, მაგრამ არა იმ მხრით, რომ მისის წყალობით ქალაქის მიწები ფასში აიწევენ, როგორც ჯარები არა იმ მხრით არიან სასარგებლონი, რომ, საცა დადგებიან, მედუქნეებს მუშტარი მოემატებათ.

გვეტყვიან, ტფილისის საბჭო სალაყბოდ არის გადაქცეული და ერთმა რომ წამოროშოს რამ, რა მიზეზია ჩამოკიდებისაო. მართალია, მაგრამ რომ ერთმა არავინ იმოდენა საბჭოში სიტყვა არ შეუბრუნა და არ უთხრა: ადამიანო, ეგ რა სთქვი? განა ორას

დესეტინას იმიტომ ვაძლევთ საჩუქრად, რომ ჩვენის საკუთარის ჯიბის ანგარიში გვქონდა? ეგ რაღა ჩუქებაა, როცა მაგისთანა გამორჩენა და სარფა — სწორედ ჯიბის სარფა — თან მოსდევს ჩვენთვის. ეგ ხომ აღებმიცემობაა, ხოლო სხვანაირი, სხვანაირ დარგისა და ოსტატობისა. ვის ატყუებთ? რა საკადრისია! ჩვენ პოლიტეხნიკუმს შევწირავთ ორასს დესეტინას, თუნდ ამით ქალაქის მიწებმა ფასში დაიწიონ, რადგანაც „სწავლისაგან გამდიდრება სიმდიდრეზედ უმდიდრიაო“.

აბა ამას ვინ ეტყოდა იქ, საცა ჰბჭობენ ხმოსნები ჩვენებურ ჩარჩულ ბურჟუაზიისა. ვთქვათ, პასუხის ღირსად არ გახადეს იგი ჩარჩული ფინანსისტი, რომელმაც დაუწუნა ფინანსისტობა ბ-ნ ხუდადოვს და დავჯერდეთ, რომ ამ მიზეზით ყური არავინ ათხოვა და სათანადო პასუხი არავინ უთხრა საბჭოში. „Новое Обозрение“ რაღაა, რომ იგი (№ 4838) არამც თუ უარობს ხსენებულს ჩარჩულ საფინანსო საზრისს, არამედ კვერსაცა სცემს. მეორე სხოლიოში, რომელსაც ეგ ბრძენთა ბრძნული გაზეთი თ. გ. თუმანოვის ამქრისა უკეთებს ბ-ნ ხუდადოვის წერილსა, „Новое Обозрение“ ამტკიცებს, რომ ქალაქის მიწები ტფილისში ფასს მოიმატებსო, პოლიტეხნიკუმი თუ გაიმართაო. თქვენვე გვიბძანეთ, შორს არიან ერთმანეთზე ეგ ჩარჩული ფინანსისტი, რომელმაც ანგარიში დაუწუნა ბ-ნ ხუდადოვს, და „Новое Обозрение“, რომელიც ამ ჩარჩულ თვალითვე ეტრფიალება პოლიტეხნიკუმს? „Новое Обозрение“ ხომ ერთი ცალკე კაცი არ არის, იგი ორგანოა მთელის ამქრისა. რას იტყვით, როგორ მოგწონთ ეს მწყობრი გალობა ერთის მხრით საბჭოსი და მეორეს მხრით „Новое Обозрение“-სი და მისის ამქრისა: პოლიტეხნიკუმს თურმე იმისთვის ეპოტინებიან, რომ ტფილისში უძრავი ქონება ფასს მოიმატებს. აბა ერთი სხვა მაგალითი გვიჩვენეთ სხვაგან, რომ უმაღლესის სასწავლებლის საჭიროება ამის მზგავსით რითმე არამცთუ დაესაბუთებინოთ,

არამედ ამისი მზგავსი პირიდამ ამოეშვას ვისმე თავისდა სამარცხვინოდ.

სადაც უმაღლეს სასწავლებელზეა ლაპარაკი, იქ რა მოსატანია ამისთანა დუქან-ბაზრული ანგარიშები? განა რომ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია!..

ქალაქის მიწების ფასი აიწევს თუ დაიწევს, განა ეს სახსენებელია იქ, საცა სწავლა-განათლებაზეა საუბარი? „Новое Обозрение“, რა თქმა უნდა, თავისებურად დაგვიწრიპინებს, ჩვენ ეგა ვთქვით იმიტომ, რომ ბ-ნმა ხუდადოვმა ჩვენს ქალაქს სიღარიბე დასწამაო, ფული ქალაქს არა აქვს და საიდამ მისცემთ პოლიტეხნიკუმს ყოველ წლივ სამი ათასს თუმანსაო. ჩვენც პასუხად ვუთხარით, რომ რაკი პოლიტეხნიკუმი გაიმართება, ქალაქის მიწები ფასში აიწევს, და ამით Оценочный сбор-ი მოემატება და სხვა შემოსავალიო (რომელი?). ნუთუ ეს პასუხია და არა ცარიელი როშვა!.. ბ-ნი ხუდადოვი, მართალია, სწამობს ტფილისს სიღარიბეს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ თუ რამე გაქვთ ჯერ პირველდაწყებით სკოლებს მოახმარეთ, ეგენი გაამრავლეთო.

აი ამაზე რა სასაცილო პასუხს ეუბნება „Новое Обозрение“: ბ-ნი ხუდადოვი მართალია, რასაც ამბობს პირველდაწყებით განათლების უნუგეშობაზე ტფილისშიო. მაგრამ ყოველ ამას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტეხნიკუმის დაარსებასთანაო. გესმით? ფული არა აქვთ რომ პირველდაწყებითი სკოლები მოიმატონ და წელიწადში სამი ათას თუმანს კი პოლიტეხნიკუმს აძლევენ და ამბობენ, აქ ერთს მეორესთან კავშირი არა აქვსო!.. ახ, ლოღიკავ, კაი საქონელი ხარ, მაგრამ სადა ხარ?

იმიტომ, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი არ იქმნას, ამითი არც პირველდაწყებით სკოლა გამრავლდება ჩვენში და არც ერთამოყვარენი მოგვემატებიანო, ამბობს „Новое Обозрение“, რომ დაასაბუთოს თავისი უცნაური ნათქვამი კავშირის შესახებ. ერთი დაუკვირდით ამ საბუთში რამოდენა

სულელობაა. რა თქმა უნდა, იმით, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი არ იქნება, პირველდაწყებით სკოლა არ იბღარტებს, ხოლო იმით კი, თუ სადმე სამი ათასი თუმანია, რომელსაც ქალაქი აძლევს პოლიტეხნიკუმს, და ეს ფული პირველდაწყებით სწავლა-განათლებას მოხმარდება, სკოლა იბღარტებს კი არა, მეტსაც იქმს.

ყველაზე უკეთესი სასაცილობა „Новое Обозрение“-სი შემდეგშია. იგი ამბობს ბ-ნ ხუდადოვის მითამდა პასუხად: ქალაქი ჰპირდება პოლიტეხნიკუმს სამი ათას თუმანს წელიწადში აწ არსებულ საშუალებიდამ კი არა, რომელიც დღეს აქვს, არც იმ ფულიდამ, რომელიც დღეს ხმარდება პირველდაწყებითს სკოლებს, არამედ იმ ფულიდამ, რომელიც, თუ პოლიტეხნიკუმი იქმნა, შემოვა „Оценочный сбор“-იდამ, რადგანაც ქალაქელების უძრავი ქონება იმატებს და იმატებს სხვა შემოსავალიცაო პოლიტეხნიკუმის წყალობით. აქ „Новое Обозрение“ არ გვეუბნება, ეს სხვა რა შემოსავალია, რომელიც პოლიტეხნიკუმის წყალობით იმატებს და ნურცა იკითხავთ, იმიტომ, რომ თვითონაც არ იცის, რომელ შემოსავლის მატება შეუძლიან პოლიტეხნიკუმს!

განა თქმა და განმარტებაღა უნდა, რომ აქ თვითვეული სიტყვა მარგალიტია იმისთანა უჭკუობისა, რომლის მაგალითი მარტო „Новое Обозрение“-ში თუ მოიპოვება, თორემ სხვაგან არსად.

„აწ არსებულ საშუალებიდამ კი არაო“* მაშ საიდამ? აწ არსებული საშუალება ხომ დღევანდელი შემოსავალია ქალაქისა. ამ შემოსავალს ხელს არ

* აი ნამდვილი სიტყვები „Новое Обозрение“-სი ამ საგანზე: Город обещает давать будущему политехникуму по 30 т.руб. в год не из наличных своих средств, не из тех средств, которыми поддерживаются начальныя школы, а из тех, которыя город получит в случае открытия политехникума: от возвышения ценности городских земель, увеличения оценочного сбора и других доходов.

ვახლებთო, ბრძანებს გაზეთი თ. გ. თუმანოვისა და მისი ამქრისა. რა რიგად იამება ეს ამბავი მისს ამქარს, თუ გაბრიყვდა და დაიჯერა!.. თუ არსებულ შემოსავალს ხელს არ ახლებენ, სამი ათასი თუმანი კი არა, რატომ ასი ათასსაც არ ჰპირდებიანო, იტყვიან გაოცებულნი. მითამ რა ეხარჯებათ. ხომ ყინულზე დაწერილი თამასუქია ამისთანა ლათაიები და რაც ამისთანა თამასუქებით კუჭი გაიძღოს პოლიტეხნიკუმმა, ჩვენ იმაში წილს ნუ დაგვიდებენ.

თუ ესეთი როშვა „Новое Обозрение“-სი მართლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ არის, მაშ რა არის შემდეგი სიბრძნე ამ უცნაურ გაზეთისა: „თუ პოლიტეხნიკუმი ქალაქში დაარსდება, ქალაქს ღონისძიება გაუძლიერდება: მამულის ფასები აიწევს: „Оценочный сбор“-ი იმატებს და იმატებს სხვა შემოსავალიცაო“. ვთქვათ, პოლიტეხნიკუმი დაარსდა, აბა, ამოდენა ქალაქისათვის, საცა 160,000 სულია, იმოდენა რა თაბაუთსა იქმს ერთი, თუნდ ორი და სამი პოლიტეხნიკუმი, რომ ეს სასწაული მოახდინოს, ესე იგი, იმოდენად ასწიოს მამულების ფასი, რომ „Оценочный сбор“-მა ან სხვა რამ შემოსავალმა 30,000 მანეთი დღევანდელზე მეტი შემოუტანოს ქალაქს.

მართალია, შეიძლება კაცმა იმედი იქონიოს, რომ მომავალში „Оценочный сбор“-მა და თუნდ სხვაგვარმა შემოსავალმა იმატოს, რადგანაც ქალაქი მკვიდრთა რიცხვით დიდდება, აღებმიცემობა ჰმატულობს და თვით ქალაქის მამულები, ვთქვათ, ათას წელიწადს შემდეგ მეტი ეღირება, ვიდრე ეხლა. მაგრამ ამნაირ მატებას თავისი ბუნებური გზა აქვს, თავისი დრო და ხანი უნდა და აქ ერთი თუ ორი და სამი პოლიტეხნიკუმი არაფერს შუაშია და თუ არის, წვეთია ზღვაში. ან რა მანქანებით უნდა პოლიტეხნიკუმმა ხსენებული სასწაული მოახდინოს? მით, რომ ქალაქში ათი ათასს, თუნდ ოცი ათასს თუმანს მეტ ფულს დაატრიალებს თავისს სახარჯოს? სხვა გზით ხომ განდიდება ქალაქის შემოსავლისა

პოლიტეხნიკუმს, თუ სხვა რამ ამისთანა დაწესებულებას ბუნებაში არ უწერია. ამოდენა ქალაქში, საცა მილლიონები ჰტრიალებს, ეს ათი ათასი, თუ ოცი ათასი თუმანი, რასაც პოლიტეხნიკუმი ქალაქში თავისს საზრდოდ დახარჯავს, ვერაფერსაც ვერ დააჩნევს იმისთანას, რომ კაცმა იმედი რამ დაამყაროს ქალაქის შემოსავლის განდიდებისა. დიდი საბერველი უნდა, რომ ამ გზით სარგებლობა პოლიტეხნიკუმისა წელიწადში სამი ათას თუმნამდე გაჰბეროს. თუ ეს საბერველი ჰქონია „Новое Обозрение“-ს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

კიდევ ვიტყვით: ზრდას ანუ კლებას მამულების ფასებისას და აქედამ „Оценочный сбор“-ისას და სხვა შემოსავლისას თავისი გზები და გარემოებანი აქვს, თავისი დრო და ხანი და პოლიტეხნიკუმები ვერც ფეხს აუჩქარებენ და ვერც ძუძუს მიაწვდიან საზრდოდ იმ სახით, როგორც თ. გ. თუმანოვსა ჰგონია. ვის აბრიყვებს? თვითონ პოლიტეხნიკუმი ამოგვიხეთს იმ წყაროსა, რომელიც სამი ათას თუმანს მეტს შემოსავალს მოგვიტანს წელიწადშიო. გაგონილა ამ სულელობამდე მიღწევა ჭკუათამყოფელ ადამიანისა!.. თუ პოლიტეხნიკუმს, თავისის უმაღლესის და წმინდა დანიშნულების გარდა, ეს სასწაულიც შესძლებია, გვიკვირს, ერთის მაგიერ რატომ ორი და სამი ან ამაზედაც მეტი პოლიტეხნიკუმი არ არის ყოველ დიდს ქალაქში. ეს ადვილი სახსარი ქალაქის შემოსავლის განდიდებისა და, მაშასადამე, გამდიდრებისა თ. გ. თუმანოვმა აღმოაჩინა პირველ და ქება-დიდება მისია და სხვა არავისი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმე, ეს დალოცვილი პოლიტეხნიკუმი!.. იმის გარდა რომ კაცს კაცად ჰხდის, თურმე ნუ იტყვით, მიკიტნისა და ჩარჩის უნარიცა ჰქონია: ჩარჩის გასაყიდს ფასს უმატებს და ჩარჩის სასყიდელს უკლებს. ბარაქალა, ღმერთმა იცის, თ. გ. თუმანოვს, რომ ეს დამალული უნარიც პოლიტეხნიკუმისა გამოამზევა.

მაშ ეგრე იცოდეთ ამას იქით: ქალაქი სამი ათასს ჰპირდება ყოველ წლივ პოლიტეხნიკუმს და თ. გ. თუმანოვი ამას ზედ უმატებს: ამას არც ქალაქის არსებულ შემოსავლიდამ მოგცემთო, არც სკოლების ფულებიდამაო, და არც იქიდამ, რაც დღეს ხელთა გვაქვსო. შენ რომ დაარსდები და ტფილისში ბინას გაიკეთებ, მამულების ფასები იქამდე აგვიწიე, რომ „Оценочный сбор"-მა და სხვა შემოსავალმა სამი ათასი თუმანი შემოსავალი მოგვიმატოს და მაშინ, რაც დაგპირდით, მიირთვიო. ამაზე გულუბრყვილო მორიგებაღა იქნება![*] ჭკუა უნდა თუ არა ამ სიბრძნით სვლას! ჭკუისა რა მოგახსენოთ და ვაჟკაცობა კი დიდი უნდა, რომ კაცი ამ სიმსხო სულელობას დაებღაუჭოს. თ. გ. თუმანოვს თითქო უკვირს კიდეც (მოდი და ნუ გაიკვირვებთ), რადგანაც ამბობს, ყოველივე ეს საბუთები გადაუშალეს (ნუთუ?) საბჭოში ბ-ნ ხუდადოვსა და მაინც ვერ გასტეხეს, როგორც სჩანს.

ჩვენ ამ პოლიტეხნიკუმზე დავიწყეთ ლაპარაკი არა იმისათვის, რომ ან საბჭო, ან ხუდადოვი გაგვემართლებინა. ეს საქმე უკვე გათავდა საბჭოში და ეხლა დროს დავაცალოთ რა იქნება. ხოლო თუ საბჭომ დაპირებული სამი ათასი თუმანი, თ. გ. თუმანოვის სიტყვისამებრ, მართლა იმ ყინულზე დაწერილ თამასუქს მიაჩემა, იცადოს მინამ მუხა ვაშლს დაისხამდეს, ან ამ თამასუქიდამ თ. გ. თუმანოვი ოქროს ზოდებს გამოადნობდეს და ან „Новое Обозрение" ჭკუას ისწავლიდეს.

[1898]

[*] ჩვენ ვურჩევთ ერთი „ნეუსტოიკის" ქალალდიც ჩამოართოს თ. გ. თუმანოვმა პოლიტეხნიკუმს, თუ პირობა ვერ შეასრულა. რომ ვერ შეუსრულებს მაგ პირობას პოლიტეხნიკუმი, ეგ ბავშვისთვისაც აშკარაა და მაშინ „ნეუსტოიკი" განალდდება და აი, კიდევ მოგება...

9. პატარა საუბარი

საკვირველი კაცია ჩვენი პატივცემული თ. აკაკი წერეთელი. იტყვი რასმე იმაზე, ჰჯავრობს და არ იტყვი, ამაზედაც სწყრება. იქნება შემთხვევა მოგვეცეს და ჩვენ ამ უცნაურს ამბავს როდისმე მოვუბრუნდეთ, ეხლა კი ამას ვიტყვი, რომ გუშინ „ცნობის ფურცელში" მწარედ შეუტია ჩვენს თეატრის მემატიანეს, რომელმაც გაჰბედა და დაუწუნა კამედია „ხანის ვეზირი", რომლის ავტორადაც იყო გამოცხადებული თ. აკაკი.

ეხლა ჩვენი პატივცემული პოეტი იძახის დიდის საყვედურით, რომ ეგ პიესა ჩემი არ არი, მე კი სიტყვასიტყვით ვთარგმნეო და „ივერიის" მემატიანე კი მე მაწერს, ვითომც ჩემი საკუთარი პიესა იყოსო.

კარგი და პატიოსანი. გვჯერა ეს ახალი ამბავი თ. აკაკისა, ხოლო ამ ძველ ამბავს რაღა ვუყოთ,რომ ყველა გაზეთში გამოცხადებული იყო, ვითომც ეს პიესა თ. აკაკის საკუთარი პიესაა და ეს ამბავი წარმოდგენამდე თავისუფლად დასეირნობდა გაუს-წორებლად. მაგალითებრ, „ივერიაში" ასეა გამოცხადებული რეჟისორისაგან: „ხანის ვეზირი",კომედია ოთხ მოქმედებად აკაკი წერეთლისა".

ვთქვათ, „ივერიას" არა დაეჯერება-რა, „ცნობის ფურცელშიც" ხომ ასეა გამოცხადებული: „ხანის ვეზირი", კომედია ოთხ მოქმედებად აკაკი წერეთლისა".

ნურც „ცნობის ფურცელს" დავუჯერებთ, ეს „Тифлисский Листок"-ი რაღაა (№25), სადაც გამოცხადებულია: „Новая пъеса «Визиръ Хана», ком. в 4-х действ. Ак. Церетели».

ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს, ეს «Новое Обозрение» №4836) რაღაა, სადაც გამოჭიმულია „Сцены из новой пъесы «Визиръ Хана», ком. в 4-х действ. Ак. Церетели.

ესეც იქით მივაგდოთ , «Кавказ» №29 რაღაა, საცა გამოცხადებულია «Сцены из новой пъесы Ак. Церетели «Визиръ Хана».

ვთქვათ, აქ ყოველგან ვიღაცამ უმტრო ბ-ნს აკაკის და ტყუილად დააბრალა ავტორობა ხსენებულ პიესისა, ეს რაღაა, რომ ცენზორთა კამიტეტში ეს პიესა წარდგენილია ამ სახით: „ხანის ვეზირი“, ოთხმოქმედებიანი კომედია თ. აკაკი წერეთლისა (სიუჟეტი გადმოღებულია)“. და იქვე რუსულად: „Визиръ Хана», комедия в 4-х действ. кн. Церетели (сюжет займствован). ამისთანა ზედწარწერა ცენზორთა კამიტეტში წარდგენილ ხელნაწერზე ვის შეეძლო ბ-ნ აკაკის ნებადაურთველად? და თუ ნებადართული არ არის მისგან, ვინ ითაღლითა ასე მოურიდებლად?

აკი ვამბობთ, ვთქვათ, გაზეთებმა იტყუეს, რატომ ბ-ნმა აკაკიმ არ ინება ტყუილის გასწორება გაზეთებითვე, მინამ წარმოადგენდნენ „ხანის ვეზირს“? აქ ხომ ხელზე ვერავინ დაიხვევს, არ ვიცოდიო, რადგანაც ხუთ გაზეთში ერთი და იგივეა გამოცხადებული. ამაზე მეტი ბუკი და ნაღარა ხომ არ დაიწყებდა ყვირილს და რატომ მოიყრუა ბ-ნმა აკაკიმ ყური და მარტო მაშინ გასწყრა, როცა ეს ბუკ-ნაღარადაკრული ამბავი „ივერიის“ მემატიანემ გაიმეორა? რად მიუშვა ბ-ნმა აკაკიმ საქმე აქამდე, რომ გაზეთებს ასე გაებრიყვებინათ საზოგადოება და მისთვის ეკუთვნებინათ ის, რაც მას არ ეკუთვნოდა? ამისს პასუხს ჩვენ ვერ მივცემთ; უეჭველია, თუ საჭიროდ დაინახავს, თვითონ ბ-ნი აკაკი გვეტყვის და მინამდე ერთს რასმე კიდევ ვიკითხავთ: ეს ყველა-ყველა და იმ ხელნაწერს ზემოხსენებული პიესისას, რომელიც წარდგენილი იყო ცენზორთა კამიტეტში, რად აწერია: „ხანის ვეზირი“, ოთხმოქმედებიანი კომედია თ. აკ. წერეთლისა (სიუჟეტი გადმოღებულია)“? და თუ ეს აწერია, მაშ, როგორღა ბძანებს ეხლა ავტორი, რომ ეგ პიესა ჩემი არ არის, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნიაო. ეხლა გვჯერა, რომ ნათარგმნია, მაგრამ ზოგიერთი მატრაკვეცა კი გულში გაიტარებს, აქ ყოველ ამაში, ცოტა არ იყოს, სურვილი ბრჭყვინავს სხვისის პიესის დაჩემებისაო, თუმცა ჩვენ კი ამაზე ძალიან შორსა ვართ და ბ-ნ აკაკის ამისთანებს ვერ შევკადრებთ.

რა თქმა უნდა, ამ ორში ერთი მართალი უნდა იყოს, ხოლო რომელი ერთი? ის, რომ „ხანის ვეზირი“ ოთხმოქმედებიანი კომედიაა თ. აკ. წერეთლისა, თუ მისი არ არის, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია? რა ნება გვაქვს, არ დავუჯეროთ ბ-ნ აკაკის, რომელიც დღეს იძახის, ჩემი არ არის, ნათარგმნიაო. დავჯერებით ხომ გვჯერა, მაგრამ თვალთა ჭვრეტას როგორღაც ებუნდება, როგორღაც ჩხვლეტს ზედწარწერა იმ ხელნაწერზე, რომელიც ცენზორთა კამიტეტში წარდგენილია. გამოდის — ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებსო.

გვეუბნება ბ-ნი აკაკი: სუფლიორმა აკი გამოაცხადა თვით თეატრშივე, რომ ეს პიესა აკაკის დაწერილი ნუ გგონიათ, ავტორი დიდი ხანია მკვდარი არისო. „ეს, რასაკვირველია, ყველამ კარგად გაიგონა, მაგრამ უკუღმართი სურვილი ძნელიაო, — ბრძანებს ბ-ნი აკაკი, — კიდეც აბრმავებს და კიდეც აყრუებს ვნებით გატაცებულ კაცსაო“. მაშ, ვნებით გატაცებული ვყოფილვართ, რომ განგებ თვალებს ვხუჭავთ და ყურებში ბამბას ვიცავთ, როცა ვივიწყებთ ხუთს გაზეთში გამოცხადებულს ავტორობას ბ-ნ აკაკი წერეთლისას, ცენზორთა კამიტეტში ხელნაწერზე წარწერას და ყოველ ამის უარს ვუჯერებთ ბ-ნ აკაკის და რომ ვუჯერებთ — ეს ნამდვილია. განა ამისთანა ქება-დიდებას მოველოდდით ბ-ნ აკაკი წერეთლისაგან მარტო იმისთვის, რომ ყოველ ამაზე თვალებს ვიბრმავებთ, ყურებს ვიყრუებთ, თვალით ნახულს, ყურით სმენილს ჩაილულის წყალს ვასმევთ და ეხლა ყოველ ამის უარობას ვიფერებთ მარტო იმ საპატიო საბუთით,

რომ დღეს ბ-ნ აკაკის ავტორობაზე უარის თქმა უნებებია.

სუფლიორმა თეატრში სიტყვით გამოაცხადაო. ვთქვათ, ეს თეატრში მყოფთ გაიგონეს. გაზეთების გამოცხადებული რაღამ ჩააჩუმოს? ხელნაწერზე ზედწარწერა ვიღამ ამოფხიკოს? ეს ბუკითა და ნაღარით რომ ქვეყანას მოეფინა, ავტორი პიესისა აკაკი წერეთელიაო, რამღა გააქარწყლოს? სუფლიიორამდე სად ბძანდებოდა ბ-ნი აკაკი, როცა ხუთი გაზეთი ერთად მისს ავტორობას ჰღაღადებდნენ რეჟისორის ნებართვითა? განა შეეძლო რეჟისორს ასე გამოეცხადებინა, თუ რომ... რაღა თუ რომ? მართალია, ბ-ნი აკაკი: „უკულმართი სურვილი ვნებით გატაცებული კაცისა" ძნელი ყოფილა.

საკვირველია, რომ მარტო ბ-ნ აკაკის შეემთხვევა ხოლმე ამისთანა ამბები, რომ მისს სახელს ასე ბოროტად ჰხმარობენ. ბ-მა სახოკიამ ერთხელ სამარცხვინო და სასალახანო ნაკვესები დაჰბეჭდა ბ-ნ აკაკის სახელითა და როცა ზოგიერთმა გაზეთმა ეს სამარცხვინობა და სალახანობა შეჰნიშნეს, მარტო მაშინ გამოაცხადა ბ-ნმა აკაკიმ, ჩემი ნაკვესები არ არის და ბ-ნმა სახოკიამ ტყუილად ჩემი სახელით გამოსცაო. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ნაკვესების ყდაზე ბ-ნ აკაკის პორტრეტიც კი იყო... ეხლაც სწორედ ესეთივე ამბავი შეემთხვა: გაზეთებში გამოცხადდა, რომ „ხანის ვეზირი" მისი ახალი პიესაა, საცენზურო ხელნაწერზედაც აწერია, რომ მისი პიესაა, თურმე ნუ იტყვით, მისი კი არ ყოფილა. საკვირველია, ესეც მაშინ გამომჟღავნდა, როცა პიესამ თავი ვერ მოაწონა მაყურებელთა. აბა, როგორ ვიტყვით, რომ ბ-ნი აკაკი ყოველ ამაში რაიმე მონაწილეა, მაგრამ საკვირველი კია ესე ტყუპად, სხვადასხვა დროს შობილი ერთი შემთხვევაც და მეორეც, თუ თქვენც იტყვით. მართალია, რომ ამ წუთისოფლის უკულმართობა ძნელი რამ ყოფილა.

[1898]

10. <სოფლის ახალგაზრდობა და მამულის პატრონობა>

ტფილისი, 18 თებერვალი

ჩვენი ერთი დიდი უბედურება ის არის, რომ დიდძალი ყმაწვილკაცობა ჩვენი შინ, სოფლებშია დაბრუნებული და უქმადა ჰსხედს, რადგანაც არ იციან, როგორ მოიხმარონ ის ძალ-ღონე, რომელიც თანა ჰზდევს ჯანმრთელს და ხელღონიერ ახალგაზრდობას. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ უფრო იმ ჯურა ყმაწვილკაცობაზე, რომელთაც ან ბეჯითობა არ მიჰყოლიათ სწავლის დასასრულებლად, ან უქონლობის გამო იძულებულ გამხდარან შუაგზაზე შეეწყვიტათ სწავლა, ან უპატრონობით ადრე და მალე თავი დაუნებებიათ სკოლისათვის, მოტყუებულნი იმითი, რომ შინ ნაზუქი და ქადები დახვდებათ გაურჯელად და ხელგაუნძრევლად.

მთელი ეს თაობა მთლად უქმია ჩვენის ქვეყნისათვის, მეტი და მძიმე ბარგია თვითვეულ ოჯახისათვის და ოჯახი ამოდენა მუქთამჭამელს ძნელად იტანს და წელებზე ფეხდაუდგმელად ვერ უძღვება. ჩვენში თითქმის არც ერთი სოფლური ოჯახი არ არის, რომ უქმი მჭამელი წარბშეუხრელად, გაუჭირებლად ჰკვებოს და შეინახოს. არსად არ არის ისე აუცილებლად საჭირო, რომ ყველამ ოჯახში, თავისის უნარისამებრ, ცოტად თუ ბევრად შეაშველოს ხელი საერთო შრომას ოჯახისათვის. მამული გამოულეველი ბოღაზია,

დაუშრეტელი წყაროა, თუ არ ძალიან გამდიდრებისათვის, იმისათვის მაინც, რომ კაცმა იცხოვროს გაუჭირებლად, ეგრედწოდებულ „ფაქიზა კმაყოფილებით“.

ხოლო რომ მამულმა ესეთი სიკეთე გაუწიოს თავისს პატრონს, კაცმა მამულის პატივი და ყადრი უნდა იცოდეს. მამულიც იღლება, როგორც ყოველიფერი ამ ქვეყანაზე, და ამიტომაც ჩვენი ენა მამულის მახტას „ღალას“ ეძახის. უანგარიშოდ, განუწყვეტლად რთმევა მამულსაც ისე აღარიბებს, როგორც ყოველისფერს. დიდხანს წოვნა მამულისა მისი გაუქმებაა, თუ თავის დროზე ხელი არ შეუწყეთ და სასუქით ღონე არ აღუდგინეთ. ეს ყველასა აქვს გაგებული, ხოლო ყველამ არ იცის, რა მამულს რაგვარი სასუქი უნდა, რა ნათესის შემდეგ რარიგი პატივი და მებრვე სხვა.

გარდა ამისა, საჭიროა, კაცმა იცოდეს, რა მამული რის უფრო მომცემია და ამ თვისებას მამულისას შეურჩიოს მოსაყვანიც, რომელსაც ბაზარში ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს. ყოველს სათესსაც და მოსაყვანსაც თავისი საკუთარი თვისება და უნარი აქვს. აქ ცოდნა უნდა, აქ სათესის და მოსაყვანის ხელი უნდა იცოდეს კაცმა, როგორ მოუმზადოს მიწა, როგორ დასთესოს, როგორ მოუაროს და გაზარდოს ნათესი თუ დარგული, ვიდრე ნათესს თუ ნანერგს თავისის ბუნებურ დასასრულამდე მოჰყრიდეს.

რასაკვირველია, ყოველ ამისი ცოდნა მეცნიერულად ძნელია. ხოლო თუ კაცს უნდა, საქმითაც, ნახვითაც, დაკვირვებითაც ბევრს რასმეს იმისთანას შეიძენს, რომელიც დიდს შემწეობას მისცემს, თუ კაცს გარჯა უნდა მამულში და მარტო უცოდინარობა აყენებს. მაგალითებრ, ტფილისის სანაპიროებში ჩვენებურს მებაღეებს ისეთი ბოსტნები აქვთ, რომ კაცი ბევრს რასმე ისწავლის, თუ არ ითაკილა შრომა და გარჯა და ერთი წელიწადი მაინც თვალყური ადევნა, თუნდ თვითონაც, თუნდ მუქთად, ემუშავა ამ ბოსტნებში.

თუნდ ეგეც არ იყოს, თითო-ოროლა ჩვენშიაც მოიპოვება იმისთანა მამულის პატრონები, რომელნიც მამულებს სამაგალითოდ კარგად აკეთებენ. მაგალითებრ, საუფლისწულო ვენახები კახეთში, ღვინის დაყენება და მოვლა როგორც იმავ საუფლისწულო მამულში, აგრედვე თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში მუხრანში. უფრო ბევრგან რუსეთსა თუ სამზღვარგარედ იმისთანა სამაგალითო ფერმებია, იმისთანა სამაგალითო კეთება მამულებისა, იმდენი სხვადასხვა გვარის სასოფლო მეურნეობის წარმოება, რომ ყოველს კაცს შეუძლიან ამოირჩიოს რომელიმე ნაწილი მეურნეობისა, რომელიც უფრო ეხალისება, ესაჭიროება და მისის მამულის შესაფერია და იგი ნაწილი მისს ადგილსავე საქმით შეისწავლოს. სულ ერთი წელიწადი რომ დაჰყოს ცოტაოდნად მიხვედრილმა და გონებიანმა კაცმა და ამ წლის განმავლობაში თავიდამ ბოლომდე ბეჯითად ადევნოს თვალი მის მიერ არჩეულ წარმოებას დაწყებიდამვე მოსვლამდე, და ყოველივე ნახული და ნაცადი დაისწავლოს და დაიხსომოს, ბევრრიგად გამოიყენებს ამგვარად შეძენილს ცოდნას თავისის ოჯახის ქონებითად გაძლიერებისათვის. ხეხილის მოვლა, ვაზის კეთება, ბევრგვარ ბოსტნეულობისა და იმისთანა ნათესის მოყვანა, რომელსაც ჩვენში კაი მუშტარი, კაი მაზანდა აქვს, ყოველივე ეს შეიძლება კაცმა ისწავლოს, თუ ერთი წელიწადი მაინც თვალყური ადევნა, ნამეტნავად თუ თვითონაც იმუშავა, იმიტომ, რომ ერთის წლის განმავლობაში ყოველს საჭირო სამუშაოს, მიწის გაპატივებიდამ დაწყებული მოსავლამდე, თავისის თვალითა ჰნახავს, თავისის საკუთარის გამოცდილებით და გარჯით იცოდინებს.

თუ ვინმე მოისურვებს ამ სასარგებლო გზაზე დადგომას, ნუ იფიქრებს, რომ ამას დიდი ხარჯი მოუნდება. წასვლა-მოსვლა და ადგილას ცხოვრება ბევრი არა დაუჯდება რა, თუ თავმოწონებას არ აჰყვა, აქაო და, თავადი ვარ, ან აზნაური და შესაფერად უნდა ვიარო და ვიცხოვროო. მსურველმა

მარტო ის უნდა გამოინასკვოს გულში, რომ იგი საქმისათვის მიდის და არა ქეიფისათვის. საქმიანი კაცი სიღარიბით ცხოვრებას არ უნდა ჰთაკილობდეს, რაკი ღარიბია. სიღარიბე სამარცხვინო არასოდეს არ ყოფილა. სამარცხვინოა მეტ ბარგად და მუქთა მჭამელად გდება ოჯახში. ამიტომაც ხელმოჭერით წასვლა-მოსვლა, გამოზოგვით ცხოვრება სწავლისათვის არავისათვის სათაკილო არ არის. პირიქით, დიდად სასახელოა ყოველ გონიერ კაცის თვალში, როცა ჰხედავს, რომ ყმაწვილი კაცი იღვწის გაჭირებული და ღარიბი იმისათვის, რომ მერე მეტ ბარგად არავის აეკიდოს და პატიოსანის შრომით თვითონაც იცხოვროს და სხვაც აცხოვროს.

არც ის იქნება სათაკილო, თუ რომელსამე ფერმასა, ან სამაგალითო მამულში სადმე თუნდ უბრალო მუშად მიებაროს, გინდ მუქთადაც, მინამ რასმე ისწავლიდეს. ამ გზით ცოდნის შეძენა უფრო ადვილია, უფრო მკვიდრი, უფრო ძლიერი და ზედმიწევნილი. მარტო თვალით ნახვა იმოდენას არას მისცემს, რაც თავისის ხელით ნაკეთი და შემუშავებული. შრომა, რა სახისაც და გვარისაც გინდ იყოს, ყოველთვის სასახელოა და პატივით სახსენებელი. სამარცხვინოა მარტო უქმობა და მუქთამჭამელობა. „ბუნებამაო, — ამბობს ერთი ბრძენი, — შრომა საჭიროებად გაგვიხადაო“. მართალიც არის. თუ არ ვიშრომეთ, ან შიმშილით უნდა დავიხოცნეთ, ან სხვას მჭამელად ჩავებუდნეთ. ესეც ერთი სიკვდილია ცოცხალ და ჯანმრთელ ადამიანისათვის.

განა ურიგო იქნება, რომ ჩვენმა ყმაწვილკაცობამ, რომელიც დღეს სწავლადაუსრულებლად შინ სოფელში ჰზის, არც თავისს თავს ჰრგებს და არც სხვას და უქმობისაგან არ იცის რით დააღამოს დღე, თვითონაცა სწუხს უსაქმურობით და სხვასაც აწუხებს და თუ თავს იჩენს რაშიმე, მარტო ქეიფსა, ლხინსა და ღვინის სმაში. ვამბობთ, განა ურიგო იქნება, რომ, რაკი სხვა გზით ვერ მოუხერხდათ ცხოვრება, ზემოხსენებულ გზას დაადგნენ, ამ გზით ცოდნა რისამე შეიძინონ და თავისს თავსაც

გამოადგნენ და სხვასაც... კიდევ ვიტყვი: ამ გზით ცოდნის შეძენას არც დიდი წინასწარი სწავლა და მომზადება უნდა, არც დიდი ხარჯი. ამას მარტო სურვილი უნდა, სურვილი გამოსადეგ კაცად გახდომისა, სურვილი ოჯახისა და ქვეყნის სიკეთისა, წინ წაწევისა, გაძლიერებისა, სურვილი კაცურკაცობისა. არა გვგონია, ჩვენს ყმაწვილკაცობაში ესეთი სურვილი არ მოიპოებოდეს.

განა დიდი რამ არის, კაცმა გამოიმეტოს ერთის წლის მცირეოდენი ხარჯი შეძლებისადაგვარად და თუნდ ერთი წელიწადი შიმშილი და წყურვილი გამოიაროს იმისთვის, რომ ისწავლოს და იცოდინოს ერთი რომელიმე ხელობა მამულის მოვლისა და კეთებისა, მერე მოვიდეს შინ, თითონაც საქმეს დაადგეს და ოჯახსაც როგორმე უშველოს, გამოკეთდეს და ფეხზე დაჰდგეს!.. რამოდენა მარჯვენა, რამოდენა მხნეობა და გარჯა აკლია ჩვენს ქვეყანას, მერე ვისი? ყმაწვილკაცობისა, რომელსაც ამისათვის ახალგაზრდული ღონეცა აქვს და შემძლეობაც მხნეობისა და გარჯისა, თუკი მოისურვებს და სირცხვილად ჩასთვლის დღევანდელს უქმობას. ბევრგვარად შეიძლება ქვეყანას ეშსახუროს კაცმა და ერთი გვარი სამსახურიც ის იქნება, თუ ვინმე, რაკი სხვა გზა დახშული აქვს, ამ გზით მაინც შეეწევა თავისს მამულს, თავისს ოჯახს და ყოველ ამით თავისს ქვეყანასაც. სასახელო კაცი იგი კი არ არის, ვინც დიდს საქმეს ეკიდება და მისის ზიდვის უნარი კი არა აქვს, არამედ ის, ვინც იმას აკეთებს, რაც შეუძლიან, რაც ხელიდამ გამოუვა თავისის თავისა და სხვის სასარგებლოდ.

[1898]

11. < ღარიბ მოსწავლეთა მიღება სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით >

ტფილისი, 19 თებერვალი

ტფილისის სასულიერო სემინარიაში რამდენიმე მოწაფე იზრდება სახელმწიფო ხარჯით, რამდენიმე იმ ფულით, რომელიც შემოუწირავთ რამდენიმე პირს და დაწესებულებას და სტიპენდიად დაუნიშნავთ, ზოგსაც ერთხანად ეძლევათ 40-45 მანეთამდე შესაწევრად. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შემწეობა ღარიბებისა და შეუძლებელთა დედ-მამის შვილებისათვის არის დაწესებული.

ხოლო ხშირად გაგვიგონია და დღესაც ისმის სამდურავი, რომ ვითომ ზოგჯერ მართალნი ღარიბნი წრის გარედ ჰრჩებიან და უფრო მდიდარ დედ-მამის შვილებს ჰრგებიათ შემწეობა ამა და ამა სახითა. თუ ეს სამდურავი მართალია, ვის უნდა დაედოს ბრალი? ეს ბრალი მით უფრო მოსაკითხია და განსაკითხი, რომ აქ უნდა მართალი ვისგანმე განგებ იმალებოდეს და ამით მადლი შემწეობისა ცუდდება, უქმდება, რადგანაც იმაზე იხარჯება, ვინც თვითონაც შემძლებელია, ჭეშმარიტი ღარიბი კი უნუგეშოდ ჰრჩება. იგი, ვინც ამისი მიზეზია, არამც თუ ჰღალატობს მადლსა, რომელიც თავის თავადაც ცოდვაა, არამედ კარს უხშობს უნუგეშო ღარიბს, სწავლითა და ცოდნით კაცად გახდეს და ამით ადამიანის სულს ჰღუპავს სააქაოდაც და საიქიოდაც. ეს ადამიანის სულის კვლაა, რომელიც ხორცის კვლაზე უარესია.

სახელმწიფო ხარჯით მიღების საქმეს განაგებს გამგეობა სემინარიისა, რომელსაც არავითარი ანგარიში არა აქვს, მდიდარს მიუწყას ის, რასაც ღარიბს ართმევს. თუ ცოდვა-მადლი ჰტრიალებს ამ საქმეში, გამგეობა სემინარიისა აქ არაფერს შუაშია. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ იგი, ვიდრე მოწაფეს რომელსამეგვარს შემწეობას აუჩენდეს, ჯერ მოიკითხავს ხოლმე, მთხოვნელთა შორის ვინ არის ღარიბი, რომ შემწეობა მართალ გაჭირებულს აკუთვნოს. საიდამ უნდა შეიტყოს გამგეობამ ამისი თუ იმისი სიღარიბე? რასაკვირველია, იმათგან, ვინც უფრო ახლონი არიან ამის შესატყობლად, ვინც ზედმიწევნით შემძლებელნი არიან, იცოდნენ და იციან კიდეც, მისის ხელქვევით სამღვდელოთა შორის ვინ არის შემძლებელი და ვინ არა. ამისთანები არიან ადგილის ბლაღოჩინები.

სემინარიის გამგეობას სწორედ ეს გზა ამოურჩევია მართალის საცოდნელად. გამგეობას წესად მიღებული აქვს, რომ, მიიღებს თუ არა მოწაფისაგან თხოვნას შემწეობისას, მიჰმართავს ხოლმე ადგილის ბლაღოჩინს, რომლის სამწყოში მოწაფის დედ-მამაა, და სთხოვს, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ აუწყოს გამგეობას ყოველივე ვითარება მთხოვნელის დედ-მამისა, რის მქონებელნი არიან პატრონები, რა შემოსავალი აქვთ, რა შეძლება და ღონისძიება და მართლა ისე გაჭირებულნი არიან, რომ, თუ არ სახელმწიფო ხარჯით, ან სხვა რაიმე შემწეობით ვერ გაზდიან შვილებს სემინარიაში. რადგანაც სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით, თუ სხვა რამ შემწეობით გასაზდელთა რიცხვი განსაზღვრულია და ამ სახით, მეტის მიღება შეუძლებელია, გამგეობა სემინარიისა აფრთხილებს ხოლმე ბლაღოჩინს, რომ თქვენს მოწმობაზე იქნება დამოკიდებული სახელმწიფო ხარჯით მთხოვნელის მიღება და თუ მართალი არ გვაცნობეთ და აქედამ უსამართლობა რამ მოხდა, თქვენა და თქვენმა სინდისმა გასცეს პასუხიო.

ამაზე მეტის თქმა, ამაზე მეტი გაფრთხილება სასულიერო წოდების კაცისათვის სხვა რა უნდა იყოს? და თუ ეხლა მაინც სამდურავი ისმის, რომ ზოგჯერ მართალი ღარიბი მოკლებულია შემწეობას და უფრო მდიდარი კი იკვებება სემინარიაში სხვის ხარჯით, ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ბლაღოჩინი და მისი უმართლო მოწმობა. თუ სამდურავი მართალია, განა არ უნდა გვიკვირდეს, რომ სასულიერო წოდების კაცმა, როგორიც ბლაღოჩინია, ასე დაიმძიმოს სინდისი და პასუხისგება თუ არ კაცის წინაშე, ღვთისა წინაშე ხომ!..

რა ჰქმნას ამ სემინარიის გამგეობამ, თუ ბლაღოჩინსაც არ დაუჯერებს და რა ჰქმნას ღარიბმა, თუ იგივ ბლაღოჩინი აგრე ამრუდებს სასწორს მადლისა და მართლისას!.. ამისთანა საქმეში, საცა განკითხვაა ღარიბისა, საცა სვე-ბედია მოზარდისა, რომელსაც სწყურიან სწავლა-ცოდნით კაცად გახდომა და ამისი ილაჯი არა აქვს, ნუთუ მიუტევებელი ცოდვა არ არის აქ, ამისთანა საქმეში სასწორის გამრუდება, მერე ვისგან? სასულიერო წოდების კაცისაგან, ბლაღოჩინისაგან!..

ჩვენში ერთობ არაფრად მიაჩნიათ მდიდარს, ანუ საკმაოდ შემლებულზე სიღარიბისა და სიღატაკის მოწმობის მიცემა,— მე ხომ არას მართმევენ, რა მენაღვლება, სხვას გამოსცინცლოსო. ის კი არ იციან, რომ რამოდენად მდიდარს ანუ შემძლებელს ამ მოწმობით მიეცემა რამ, იმოდენად აკლდება ჭეშმარიტს ღარიბს, იმოდენად ჭეშმარიტი ღარიბი უნუგეშოდ და უმწეოდ ჰრჩება. აქაც მდიდარი თუ შემძლებელი ღარიბისაგან იღებს ღალას, ღარიბის ხვედრს თითონ იჩემებს. განა ამას ცოდვა, დანაშაულობა არა ჰქვიან? იმას აღარ ვამბობთ, რა დიდი და სამარცხვინო გაუპატიურებაა საკუთარის ღირსების გრძნობისა, როცა მდიდარი, ანუ შემძლებელი ტყუილის მოწმობით მიადგება ხოლმე სხვის კარს, — გამიკითხე ღარიბ-ღატაკიო. არც უმართლო მოწმობის მიცემა, არც ამნაირის მოწმობის

აღება არავის ჩვენში სირცხვილად და დანაშაულად არ მიაჩნია.

რა თქმა უნდა, რომ მოსახერხებელი იყოს და ზოგჯერ მოწმობის ავი და კარგი ადგილასვე გამოძიებული იქმნას სანდო და საკუთრად ამისათვის გაგზავნილ კაცისაგან, ბევრს წაართმევდა ხალისს ტყუილ მოწმობის წერისას, ბევრს შეუკრავდა მადას, ბევრს გააფრთხილებდა იგი შიში პასუხისგებისა, რომელიც თანა სდევს ყოველ ოფიციალურად მოხსენებულ ტყუილსა. არანაკლებ უშველის ამ შემთხვევაში საქმეს ისიც, რომ თვით საზოგადოებას, ადგილის კაცებს მიეცეთ ღონისძიება, თვალყური ადევნონ, ვინ არის მიღებული სემინარიაში სსახელმწიფო ხარჯით, ვითარცა შეუძლებელი და ღარიბი. არა გვგონია, საზოგადოებაში არ მოიპოვებოდეს იმისთანა კაცი, რომ საცა ჯერ არს, ხმა არ მიაწვდინოს, თუ რაიმე უსამართლობა დაინახა. ესეც ერთი სახსარია მართლის აღდგენისა, მტყუანის გამტყუნებისა და იმათ გაფრთხილებისა, ვინც დღეს სასწორს ამრუდებს თავისის მოწმობითა.

რომ ამ გზით საქმეს ეშველოს რამე, ჩვენა ვთხოვეთ მამა რექტორს სემინარიისას, გამოგვაცხადებინოს სია იმ მოწაფეთა, რომელნიც ბლაღოჩინების მოწმობით ღარიბად ცნობილნი არიან და სახელმწიფო თუ სხვა ხარჯით მიღებულნი. მამა რექტორმა, რომელიც ჩვენზე მეტად მოწადინებულია, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს და საზოგადოების განკითხვის ქვეშ დაყენებულ იქმნას, სიამოვნებით აგვისრულა თხოვნა და სია მოგვაწოდა. ამ სიას დღესა ვბეჭდავთ და ამ სახით საზოგადოებას ღონისძიება ეძლევა თავისის ზედამხედაობის ქვეშ იქონიოს ღარიბთ მოწაფეთა მიღების საქმე სახელმწიფო ხარჯით ტფილისის სემინარიაში. ასეა თუ ისე, მზეზე გამოფენა საქმისა ყოველთვის მარგებელია.

[1898]

12. ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან

ტფილისი, 21 თებერვალი

ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდება ასი წელიწადი მას აქედ, რაც მეფე ერეკლე მიებარა მიწას და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სამეუფეო ტაძარში. ამ დღეს მისს საფლავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი და ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვანს გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლითმოსილ მამულიშვილსა, მეფეა თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია". მაგრამ საკმაო კია მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყოველი ხომ წავა და გათავდება, სხვა რა დაგვრჩება, რომ მართლა საუკუნოდ სახსენებელი იყოს ჩვენთვის ამისთანა კაცი?

თვითვეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, — ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, — დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითვეულად, მაშ უფრო ბევრრიგად მართალია თ. გ. ორბელიანი რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო". უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი

ღვაწლმოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს".

ერმა ამასთანაებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია"-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნებოვანს კაცს, სხვა ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლის დიდბუნებოვანობისა. ეს რკინის კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპიტეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემული გულიდამვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტისმეტად სიტყვაძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამასთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდღვაწლოდ ძნელი საშოვარი განძია და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰბადლებოდეს.

ზემოდა ვთქვით, რომ ხსენება დიდბუნებოვანის მამულისშვილისა შთამომავლობის მოვალეობაა. ერთი დარგი ამ მოვალეობისა ის არის, რომ წირვა და ლოცვა გადავიხადოთ მისი სულის საოხად და განსასვენებლად მართალთა შორის. ამას ითხოვს ჩვენი რჯული, ქრისტიანობა. ეს წესი, რასაკვირველია, პირველყოვლისა უნდა ავასრულოთ.

ხოლო ეს არ უნდა ვიკმაროთ. საქმით რითიმე მართლა საუკუნოდ სახსენებელი უნდა გავიხადოთ სახელი მეფის ერეკლესი. სამადლო საქმე რამ უნდა შევქმნათ და სახელი ერეკლესი დავარქვათ.

რა საქმეა იმისთანა, რომ მით საუკუნოდ ხსენებულ იყოს სახელი განსვენებულის მეფისა? ბევრგვარი გაჭირვება გვიძევს წინ და ძნელია კაცმა ერთი ისე ამოირჩიოს, რომ მეორე არ გაჰნანდეს, მეორისთვის გული არ ეტკინოს. სახსარი კი ცოტაა. აი, მაგალითად, გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტაძარი მცხეთისა შესაკეთებელია, წვიმა ჩამოდის და ლამის ეს ძველი ნაშთი ჩვენის დიდებისა დაირღვას და ჩამოიქცესო, განა გულგასაგმირავი ამბავი არ არის ესა? მაგრამ რით ვუშველოთ? რა გზა და სახსარი გვაქვს ამისათვის? მეორეს მხრით, მოდით და ამისთანა ამბავს ყურს ნუ ათხოვებთ! რა ვქნათ? მეტი გზა არ არის, ბევრ გაჭირებიდამ ერთი იმისთანა უნდა ავირჩიოთ, რასაც ჩვენს ღონეს გავაწვდენთ და სხვა ყოველი გაჭირება გულისტკენით და ნანვით ჯერხანად თავის სვე-ბედს უნდა მივაჩემოთ.

თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ ერთი კარგი სარჩიელი დაუყენა თვალწინ ჩვენს თავადაზნაურობას: არწრუნისეულის ქარვასლის შემოსავლიდამ, რაც ხარჯს გადარჩება, ყოველწლივ გადაიდოს რამოდენიმე ნაწილი და ამ გზით შეგროვდეს იმოდენა ფული, რომ მისის სარგებლით შემწეობა ეძლეოდეს ღარიბ მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებელში. აზრი მშვენიერია, ადვილად ასასრულებელიც, მეტისმეტად სასარგებლო და განსახორციელებლად დაუყონებლივ საჭირო. ამ ფულს დაერქმევა სახელი მეფის ერეკლესი. რა თქმა უნდა, არც უმისობა იქნება, რომ გარეშე კაცთაც ამ მართლა სამადლო საქმეს თავისს შეძლებისადაგვარად თავისი წვლილიც არ მოაწოდონ, ოღონდ-კი თავადაზნაურობამ სარჩიელი თ. ივ. სულ. ჭავჭავაძისა მიიღოს და საზოგადოებას გაზეთების შემწეობით ხმა მისცეს, რომ შემოსწირონ რამ და,

იმედია, რომ ეს არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოში.

თუ ეს საქმე შეასრულა ჩვენმა თავადაზნაურობამ, ჟამთაგაუთავებელი საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნება მეფის ერეკლისა, რადგანაც თავნი ფულისა უსათუოდ ხელუხლებლად დადებული იქნება, მარტო სარგებელი წავა ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად და ამსახით წყარო განუწყვეტლად ედინება ჟამთა გათავებამდე. აი, ჭეშმარიტად მადლიანი საქმე და ღირსი მისის დიდის სახელისა, ვისიც საუკუნოდ ხსენება ასე სანატრელია ჩვენთვის და ვისთვისაც საქართველოს შვილთა განათლება და სწავლა-ცოდნით შემოსვა დაუძინებელი სურვილი იყო.

ამისთანა საქმეში სათნოება მადლისა და დიდება სახელისა ხელიხელ ჩართული იქნება დაძმურად: მადლი თავისს სათნოების შუქს მოჰფენს სახელსა და სახელი თავისს დიდებას განუზიარებს მადლსა. სათნოებას დიდებისთანას სხვას უკეთესს და უტურფესს ამხანაგსა და თანამგზავრს ვერ უშოვით, და დიდებას სათნოებისთანას. სათნოება და დიდება, როცა დაძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა დაძმობაზე უმაღლესნი, უტკბილესნი და უმშვენიერესნი და-ძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება — დიდებასა. ამ ნეტარებას ნუთუ დავიშურებთ იმ კაცის სახელისათვის ვინც ორმოცდათორმეტი წელიწადი „რკინის კარი“ იყო საქართველოსი!..

ამისთანა სახსენებელი ანდერძს ეგვანება იმ ანდერძს, რომელიც ისაქმებს ჟამთა გაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა. ისაქმებს იმ დიდ-სათნოებიან საქმითა, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვიან და რომლისათვისაც ისე გულდადებით და გულისტკივილით იღვწოდა აწ განსვენებული გვირგვინოსანი, რაც შეეძლო, როცა დრო და ჟამთა ვითარება ათასში ერთხელ ამისთვის მოაცლიდა. ეს ხელთუქმნელი, მაგრამ დიდად საგრძნობელი სახსოვარი, თავისთავად იღაღადებს დღემუდამ, რომ

სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

[1898]

13. პატარა საუბარი

გენერალ-ლეიტენანტმა აწ განსვენებულმა ს. ი. ქიშმიშოვმა ერთი პაწია წიგნაკი დასწერა, რომელსაც დაარქვა ზორბა სახელი: „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“. საქართველოსათვის სანუგეშო და თავმოსაწონებელი ამ წიგნაკში, რა თქმა უნდა, ავტორმა არა გააჭაჭანა რა. პირიქით, ფერადები დაუმუქა იმისთანა ამბებს, რომელიც საქართველოსათვის ასე თუ ისე საწყენია. ვინ იცის, იქნება მთელს მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოში მართლა ერთი იმისთანა არა არსებულა რა, კაცს ეთქმოდეს, — კიდევ, მადლობა ღმერთს, მთლად წყალწაღებული არა ყოფილან, ბნელში ცოტაოდენი შუქიცა ჰქონიათო, ბევრს ცუდში ცოტა რამ კარგიცა ჰრევიათო. ან იქნება განსვენებულს ავტორს შეჰშინებია, დამემდურება ვინმე, საქართველოზე რომ კარგი რამ ვთქვაო, ყველაფერი შესაძლებელია ეხლანდელ დროში, როცა პანტა ხილად გადის და თ. გ. თუმანოვი — ბრძნად.

ესეა თუ ისე, ღმერთმა იცის, ხოლო პროფესორს ორლოვს წაუკითხავს ეს მითამდა ისტორია ბ-ნ ქიშმიშოვისა და აი, რა ქებით იხსენიებს: „ამ პატარა წიგნაკში, როგორიც არის „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“, ავტორს მოუთავსებია მოკლე და ისიც ზეზეურად, შიგ ჩაუხედებლად ამბები კახეთისა და ქართლისა მეთვრამეტე საუკუნეში 1798 წლამდე. ავტორს ყური არ უთხოებია ახალ წყაროებისათვის, საკუთარი დასკვნა და მსჯელობა არ მოეპოვება, არც მისი საკუთარი ხელი ეტყობა,

რომ ეს ამბები თავთავისს ადგილას გაერიგებინა და მწყობრად ეამბნა, არც ცოტაოდნად მაინც ორიგინალური სიტყვა-პასუხი ამჩნევია, პირიქით საუბარი ზოგან დაბნეული და არეულ-დარეულია. ძნელი სათქმელია, — ეს თხზულება რისთვის არის დაწერილი და დაბეჭდილიო".

მართლა-და, ძნელი გამოსაცნობია, — რისთვის? ხოლო რაც ჩვენთვის და პროფესორ ორლოვისათვის ძნელი გამოსაცნობია, ის თ. გ. თუმანოვისათვის ადვილია. ამას და მარტო ამას თუ შეუძლიან ამ ამოცანის ახსნა, თორემ სხვას არავის, მით უფრო, რომ „გულს გული იცნობს და ღონეს — ღონე". განსვენებული გენერალ-ლეიტენანი ქიშმიშოვი და აწ ბედნიერი სუფევით მყოფი გენერალ-არითმეტიკოსი თ. გ. თუმანოვი ღირსებითაც ტოლნი არიან და სიბრძნითაც სწორნი, რაც არითმეტიკაა თავადისა არითმეტიკისათვის, ისიც ისტორიაა გენერალ-ლეიტენანტისა ისტორიისათვის. კალითა და ნიშადურით რომ ერთი მეორეს გადააბათ, ერთი ლაზათიანი ზღაპარი გამოვა. სახე და ფერი არც ერთს არ წაუხდება. ვერც კი გაიგებთ, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. ასე შესისხლხორცებულნი იქნებიან ერთის მხრით არითმეტიკული ზღაპარი თავადის თ გ. თუმანოვისა და მეორეს მხრით — ზღაპრული ისტორია ქიშმიშოვისა.

„ვაი, დრონო, დრონო, ნაქებნო მტკბარად!" ცოდვა არ არის, მეცნიერნი დაიხოცნენ, ამათ დარჩათ მოედანი... რას იზამთ? ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „დრო მოვა და გატკბილდების, ხილად გავა პანტის ჩირიო". აკი მოვიდა კიდეც!..

[1898]

14. <ოინბაზობა თუ სულელობა>

ყველამ იცის, რომ, რაც ჩვენში პოლიტეხნიკუმზე ლაპარაკი გაიმართა, ტფილისსა და ვლადიკავკასს შორის დიდი ომი ასტყდა. ერთიც და მეორეც იმას იძახდა, — პოლიტეხნიკუმი ჩემთვის უფრო უპრიანიაო და ამ პოლიტეხნიკუმს ერთმანეთს ეცილებოდნენ. ბოლოს გასაოხრებელ ჯიბეზე მიდგა საქმე, როგორც ყველაფერი ეხლანდელ დროში. ხმა გავარდა, რომ ვინც უფრო ბევრ ფულს გამობღერტავს თავისის ქისიდამ, შეიძლება ბურთი და მოედანიც იმას დარჩესო. ორმავე ქალაქმა ჯიბეს ხელი იკრეს, ბევრი აფათურეს, მაგრამ დახოცილი თაგვების კუდების მეტი ვერა ჰნახეს რა. რომ ჩვენს მოთხრობას ეგრედწოდებული „პერსპექტივა" არ წავუხდინოთ, ამას ჯერ ხანად თავი დავანებოთ. ეხლა კი ვიტყვით, რომ ვლადიკავკასი დაჰკითხებია, რამდენი ფული მოგვინდება, რომ იმედი ვიქონიოთ პოლიტეხნიკუმის დაარსებისა ჩვენშიო. ვისიც ჯერ არს, იმისგან პასუხი მიუღია, რომ ჯერ მარტო საჭირო შენობებისათვის მოუნდება არა ნაკლებ ხუთმეტი ათას თუმნისა გარდა იმ ხარჯისა, რასაც მოწყობა წაიღებსო. ეს ერთხანად და ყოველ წლივ კიდევ თერთმეტი ათასი თუმანი უნდაო. აქედამ რვა ათასი თუმანი თერგის მხედრობამ იკისროს და სამი ათასი თუმანი ქალაქმაო.

ეს რომ გაუგონია და მოუსმენია ვლადიკავკასს, ელდა სცემია. იქაური გაზეთი „Терския Ведомости" ამბობს, რომ სხვა გინდ არა ვთქვათ

რა, მარტო ეს სამი ათასი თუმანი ყოველ წლივ საკმაოა, გამოვეთხოვოთ პოლიტეხნიკუმსა და იმედს ჩვენსას კბილი მოსჭრასო. ჩვენი ქალაქი, რომელიც ყელთამდე ვალშია და რომელსაც სახსარი არა აქვს ერთი ბოჭკა მეტი იქონიოს ცეცხლის მქრობელ გუნდისათვის (пожарная команда), სად შეუძლიან სამი ათასი თუმანი წელიწადში პოლიტეხნიკუმს შეჰპირდესო. ეს აშკარა უღონობა ვლადიკავკასმა კისრად იდო და დადუმდა.

თ. გ. თუმანოვს ეს ამბავი, რასაკვირველია, არა სწყენია: ტფილისს მცილობელი მოაკლდა და ბრძოლიდამ უომრად გაექცა. არც ჩვენა გვწყინს, თუმცა ერთის უღონობა მეორისათვის სასიხარულო არ უნდა იყოს, მაგრამ რას იზამ? ადამიანი ხარბია, თავისი ურჩევნია სხვისას. ჩვენ ჩვენის „კულტუროსანთა" წყალობით ისეთმა „კულტურამ" შემოგვიტია, რომ რაც კარგი ვიცოდით, სულ დაგვავიწყა: ჰუმანობა და სხვა ამისთანა ლათაიები სულელობაა ეხლანდელ დროშიო.

ხოლო გვიკვირს, ასე ადრე და მალე რად გაუხეთქია გული ვლადიკავკასს. რა დიდი რამ არის სამი ათასის თუმნის შოვნა? თუ ნაღდი არა აქვს, ყინული ხომ ბევრია. რა ძნელია ყინულზე თამასუქების დაწერა. ტფილისიც ხომ სწორედ იმავ დღეშია და იქნება უარესშიაც, რაც ვლადიკავკასი. ტფილისს გასავალი თითქმის 100,000 მანეთი მეტი აქვს შემოსავალზე და ყელთამდეც ვალებშია. ეხლახან ტფილისის „კულტუროსანთა" საბჭომ აკონკა, აკონკა, იქ მოსჭრა გასავალს, აქ მოსჭრა და მაინც გასავალი შემოსავალს ვერ გაუსწორა. ამისათვის ხარჯიც კი მოუმატა ტფილისელებს. ხომ ესეა, მაგრამ მაინც წარბი არ შეუხრია და პოლიტეხნიკუმს დაჰპირდა წელიწადში სამი ათასი თუმანი. მართალია, დაპირებას ბაჟი არ ადევს და არც ერთი და იგივეა დაპირება და მიცემა, „შუა უზის დიდი ზღვარი". ეს კარგად იციან ჩვენებურმა „კულტუროსნებმა", კარგად აქვთ გამოცდილი და ბევრში და ბევრგან ამისი ალჩუ დასჯდომიათ.

რა ძნელი იყო, ვლადიკავკასიც დაჰპირებოდა. როცა მიცემის დრო მოვიდოდა, განა ცოტა გზებია კაცმა თავი დაიძვრინოს? აბა „კულტუროსანთა" ჰკითხეთ, ამისთანა მალაყები რა ადვილი საქმეა. თუნდ ეგრეც არ იყოს, განა არ შეიძლება იმისთანა თამასუქები მიეცა პოლიტეხნიკუმისათვის, როგორიც ტფილისმა მისცა, თ. გ. თუმანოვის სიტყვით, და მერე განგებ გაკუტრებულიყო და მიცემა სამი ათას თუმნისა საკონკურსო გაეხადნა. ამისი ჭკუა და გზაც დიდი ხანია ვიცით ჩვენებურ „კულტუროსნებისაგან". ეს რა ახალი ამბავი იქნებოდა. მაშინ ვნახავდით, რას გამოადნობდა პოლიტეხნიკუმი იმ დაპირებისაგან და რა ოქროს ზოდებს იპოვიდა დაპირების მადნებში. თუნდ ეგეც არ იყოს „სტრახი" ხომ აქ არის. მაგ თამასუქს „სტრახში" შეიტანდა და მერე ცეცხლს წაუკიდებდა. ამაების ფანდები, თუ ვლადიკავკასში ჯერ არ იციან, ტფილისმა დიდიხანია იცის. ამისი პოლიტეხნიკუმი დიდიხანია უკვე გამართული აქვს ტფილისსა. პროფესორებიც ძალიან გაწრთნულები ჰყავთ. რა იქნებოდა, რომ ერთი-ორი კაცი მიებარებინათ ვლადიკავკასელებს ამ პოლიტეხნიკუმში და ამისი ფანდები ესწავლათ...

ამასაც თავი დავანებოთ. თ. გ. თუმანოვი გვეფიცება, რომ ამისთანა დაპირება ყინულზე დაწერილი თამასუქი არ არისო. უსათუოდ ვლადიკავკასში არავის წაუკითხავს იმ ვაჟბატონის ფინანსიური გეგმა, საცა ნაჩვენებია იგი მადნები, საიდამაც ტფილისი და, მაშასადამე, სხვა ყოველი ქალაქი, ყოველ წლივ სამი ათასს თუმანს ამოხვეტს. ეს ყოვლად სასაცილო... სასაცილო-მეთქი!.. კინაღამ წაგვცდა. ეს ყოვლად სასახელო ფინანსიური გეგმა დაბეჭდილი იყო თ. გ. თუმანოვის გაზეთში № 4844. აკი ვამბობთ, უსათუოდ ვლადიკავკასში არავინ ჰკითხულობს „Новое Обозрение"-ს. საოცარია, ამისთანა ჭკუის კოლოფს გაზეთსა იქ მუშტარი არა ჰყოლია. ვწუხვართ, რომ ეს ჩვენი მოსამზღვრე ქალაქი ასე უკან ჩამორჩენია „კულტურას" ჩვენებურ „კულტუროსნებისას", რომელსაც ასე ჭექა-ქუხილით

წინ მიუძღვის ეს სახელოვანი გაზეთი და მისი არა ნაკლებ სახელოვანი ბაირაღტარი თ. გ. თუმანოვი.

ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით თ. გ. თუმანოვს, ამ ტფილისის „მელიქს – ვეღარ მელიქს“ უნდა უხაროდეს, რომ ამ ხანად ასე მომხდარა, თორემ ვლადიკავკასი უომრად არ გაექცეოდა ტფილისს და პოლიტეხნიკუმზე ხელს არ აიღებდა. რომ ვლადიკავკასს გული მოსცემოდა და ხელში იარაღი შერჩენოდა საომრად, საკმაო იყო მარტო იგი ფინანსიური გეგმა სცოდნოდა თ. გ. თუმანოვისა, რომელიც მან დიდის რიხით გამოაცხადა თავისის გაზეთის № 4844. ეს გეგმა აშკარად დაანახვებდა, რომ თვითონ პოლიტეხნიკუმია იგი მადანი, რომელიც სამი ათას თუმანს ყოველ წლივ ჩაუჩხრიალებს ტფილისს ჯიბეში და ტფილისს მარტო გარჯაღა მოუნდება, პოლიტეხნიკუმის მოტანილი პოლიტეხნიკუმსვე მიართოს. ამაზე მეტი ჭკუაღა გნებავთ!.. როგორ ვერ გაუგეს ეს ჯადო-თილისმა ვლადიკავკასელებმა თ. გ. თუმანოვს და სამი ათასის თუმნის უქონლობას რად შეუშინდნენ, უომრად იარაღი რად დაჰყარეს და ბრძოლიდამ რად გაიქცნენ. ახია!.. რატომ არა კითხულობენ „Новое Обозрение“-ს!..

დღეს ეს საოცარი გეგმა, რომელიც პოლიტეხნიკუმსაც ჰლამის, ფული გამოადნოს, ჩვენს მეტოქეს უნდა მივაწოდოთ. ეს, რასაკვირველია, გაცემა იქნება ტფილისისა, ჩვენის დედაქალაქისა და თ. გ. თუმანოვი დრეიფუსობაში ჩამოგვართმევს, – სამი ათასის თუმნის სამობილიზაციო გეგმა ჩვენს მტერს აუწყეს და გაგვცესო. ხოლო ჩვენ ესეც ვიცით, რომ ჩვენც ერთი ზოლა გამოგვიჩნდება და ერთს ჭექა-ქუხილს ასტეხს ჩვენდა სახსენებლად და გასამართლებლად.. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ძალგულოვანი Novus-იც არ დაიშურებს მაშინ ჩვენს სარჩლს-ქომაგობას. ვიცით იმისი კეთილი გული. განა გაუჭირდება, ბუკი და ნაღარა დაჰკრას მაშინ, რომ უმაღლესი, უზენაესი და უწმინდაესი დანიშნულება

მართლმსაჯულებისა გამართლებაა თუნდ აშკარა დამნაშავისა. ამისთანაებში ის ისეთი ავტორიტეტია, რომელსაც სიზმარიც კი დაეჯერება. ახლა იტყვიან, Novus-ი იმისთანა კაცია, რომ უანგარიშოდ არას იტყვისო. გულში რა ექმნება მაშინ Novus-ს, ეგ არ ვიცით. ეგ ჩვენი საქმე არ არის. საქმე მისი ნათქვამი იქნება და ჩვენი სასოებაც ეს არის.

ასეა თუ ისე, ვლადიკავკასის სიბრალულმა გვძლია და მეტი გზა არ არის ტფილისი უნდა გავცეთ, ვლადიკავკასს გვინდა იარაღი ხელში მივცეთ საომრად. ან რა არის რომ თვით თ. გ. თუმანოვმა ეს თავისი გეგმა ვლადიკავკასს შეაწიოს. ღვთისა და თქვენის წყალობით თ. გ. თუმანოვი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალია და ღმერთმა კიდევ დიდი დღეს მისცეს „კულტუროსანთა“ ნუგეშად. განა სხვა ახალს გეგმას ვერ შეადგენს? დღეში თუნდ ორმოცს მაგისთანა გეგმას გამოაცხობს ჯვარის-მამის შოთებსავით. ამას ბევრი არა უნდა რა, ოღონდ კაცმა ჭკუაზე ხელი აიღოს და საქმე გაიჩარხება. ამისი ჩახმახიც და კონდახიც თ. გ. თუმანოვის ხელშია. ჭკუის მოხუჭვის მეტი არა მოუნდება რა, რომ ნიშანში ამოიღოს და ეს რა დიდი საქმეა იმისთვის, ვისაც ხალისთან ერთად ამისი უნარიცა აქვს. ყველა ავი შეიძლება ვსთქვათ და ამ ხალისს და უნარს კი ვერ წაართმევთ თ. გ. თუმანოვს. იგი იმ ნაცარქექიას ჰგავს, რომელიც ყველს ხელს უჭერს და იძახის კი, აი ქვას წვენი როგორ უნდა ადინოთო. მაშ, შიში გაცემისა და ღალატისა იქით. თვით თ. გ. თუმანოვის ლოცვა-კურთხევით გეგმა მისი ვუწყალობოთ ვლადიკავკასს, მადლია, სხვა არა იყოს რა. მადლისათვის თ. გ. თუმანოვი თუნდ ფანრის ბოძზე ჩამოეკიდება და თავს დაირჩობს. ღმერთმა კი ნუ ქმნას. „ასტვაც“, ამ უბედურებას ნუ შეგვასწრებ!..

მაშ ეგრე! ვახსენოთ ღმერთი და ვლადიკავკასს ყველაფერი ვაუწყოთ.

ყოვლთ უწინარეს ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ ამ გონებადახშულ ქალაქს ტყუილად გაუხეთქია გული, ვითომც არსებულ შემოსავლიდამ უნდა იხადოს

ყოველ წლივ სამი ათასი თუმანი პოლიტეხნიკუმისათვის. ფინანსიური გეგმა თ. გ. თუმანოვისა სულ სხვას გვეუბნება. ეს თურმე სრულიად საჭირო არ არის: რაც შემოსავალი აქვს ქალაქსა, ხელუხლებელი იქნება, მაშ სხვა რა მადანი აქვს ქალაქსა, თუ არ შემოსავალიო? სიბრძნეც აქ არის და! აბა ყური დაუგდეთ თ. გ. თუმანოვსა, რა კაკანათი დაუგო ტფილისს და შიგ მოამწყვდია: „ Город обещает давать будущему политехникуму по 30 тыс. руб. в год не из наличных своих средств, не из тех средств, которыми поддерживаются начальныя школы, а из тех, которыя город получит в случае открытия политехникума: от возвышения ценности городских земель, увеличения оценочного сбора и других доходов.“

ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სიბრძნე-სიცრუე ჩვენი მოგონილი იყოს განგებ. ესეა სიტყვა-სიტყვით ნათქვამი „Новое Обозрение“-ს № 4838-ში. ამ დაბეჭდილს, რუსებისა არ იყოს, კაცი ცულითაც ვერ ამოფხიკავს, ხოლო თ. გ. თუმანოვმა ეს ამოფხეკაც კი იოსტატა თავისდა სასახელოდ. ნებას ვითხოვთ ცოტა ხანს ამ ოინბაზურ საქციელზე შევდგეთ.

მას შემდეგ, რაკი ჩვენ სასაცილოდ ავიგდეთ ეს მართლადა სამასხარო საზრისი, თ. გ. თუმანოვმა პასუხი გვაღირსა და აშკარად დაგვანახვა, რომ სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად თაღლითობის და ოინბაზობის უნარიც ჰქონია. გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ტფილისი, მისის სიტვით, ჰპირდება პოლიტეხნიკუმს სამი ათას თუმანს წელიწადში ჯერ ხომ „не из наличных своих средств“ და მერე, – „ не из тех средств, которыми поддерживаются начальныя школы“. ამ სახით ორგვარი „ средства“-ა დასახელებული, რომელსაც ქალაქი ხელს არ ახლებს პოლიტეხნიკუმისათვის.

ბოლოს თ. გ. თუმანოვმა უსათუოდ იგრძნო, – ეს რა სულელობა წამოვროშეო და თავისი ნათქვამი გადათქვა, ანუ, უკედ ვთქვათ, გადაასხვაფერა იმ რიგად, რომ სულელობა ნათქვამისა ისე თვალში საცემი და აშკარა აღარ იყოს. ამას დიდი ოსტატობა არ უნდოდა. საკმაო იყო, მიეფუჩეჩებინა როგორმე სიტყვები: „не из наличных своих средств“. და მიაფუჩეჩა კიდეც. როგორაო, იკითხავთ? ისე, რომ ამ ფრაზის შემდეგი სიტყვები „ не из тех средств“ გადაჰყლაპა და ძირს დარჩა მარტო „не из наличных своих средств , которыми поддерживаются начальныя школы“.

რომ ესე გადაასხვაფერა თ. გ. თუმანოვმა თავისი ნათქვამი და ამისთანა ოინბაზობა იკადრა, ამის დასამტკიცებლად იხილეთ მისი გაზეთი № 4844, საცა ვითომც იმეორებს თავისს წინანდელ ნათქვამს და სახის აუწითლებლად ასე სტყუის: „Город, говорили мы, - обещает давать политехникуму по 30 тыс. руб. в год не из наличных своих средств, которыми поддерживаются начальныя школы,“

აშკარად დასანახავია, რომ სულ სხვაა „Город обещает давать 30 тыс. руб. в год не из наличных своих средств, не из тех средств, которыми поддерживаются начальныя школы, და სულ სხვაა „ Город обещает давать 30 тыс. руб. не из наличных своих средств, которыми поддерживаются начальныя школы“. პირველი ნათქვამი გვეუბნება, რომ ტფილისი თავისი ჯიბიდამ არაფერსა ჰპირდებაო და მეორე კი ამას აფუჩეჩებს და ამბობს, მარტო სკოლისათვის გადადებული ფულიდამ არაფერს ჰპირდებაო. მართალი კი მტკნარის სულელობისა პირველ ნათქვამშია, ძაღლის კუდი თ. გ. თუმანოვის სიბრძნე-სიცრუისა იქა

მარხია. აბა ამისთანა საქციელს სხვა რა დავარქვათ თუ არ თაღლითობა და ოინბაზობა. ის არა სჯობია, გასტყდე, – ქვა ხომ არა ხარ, – ვიდრე ეს ოინბაზობა ჩაგედინა!..

გვჯერა, რომ ეს თაღლითობა, ეს ოინბაზობა სირცხვილის გამო მოუვიდა. თ. გ. თუმანოვიც ადამიანია, სირცხვილი მაგასაც, რასაკვირველია, ბლომად აქვს, მაგრამ განა უფრო დიდი სირცხვილი არ არის, რომ ასეთი თაღლითობა და ოინბაზობა იკადროს კაცმა. ისევ ის არა სჯობია კაცმა, რაკი მოემწყვდა, თავისი სულელობა აღიაროს, ვიდრე ამისთანა სამარცხვინო კუდიანობა იკადროს.

თუმცა ეს უკადრისობა იკადრა თ. გ. თუმანოვმა, მაგრამ მის ფინანსიურს გეგმას ამით არა დაჰკლებია რა: სიბრძნე მისი სიბრძნედ დარჩა. ეხლა ვიკითხოთ: სად იყო ვლადიკავკასი, რომ ჭკუამ იმოდენად ვერ გაუჭრა, რამოდენადაც ტფილისს თ. გ. თუმანოვის წყალობით? რატომ არ მიხვდა, რომ შესაძლოა პოლიტეხნიკუმს ყოველ წლივ დაჰპირდეს სამი ათას თუმანს „не из наличных своих средств, а из тех, которыя город получит в случае открытия политехникума: от возвышения ценности городских земель, увеличения оценочного сбора и других доходов". ნამეტნავად других доходов აი, რამდენ მადანს გააჩენს თურმე ის დალოცვილი პოლიტეხნიკუმი! ხუმრობაა! ამას ამბობს და ჰქადაგობს უბრალო კაცი კი არა – თვით თ. გ. თუმანოვი და თ. გ. თუმანოვი Novus-ისათვის ისეთი კაცია, რომ არამც თუ სიზმარი, სულელობაც კი დაეჯერება. უჯერებენ კიდეც, იმიტომ რომ კულტურონსნებში იმის ბამბაც კი ჩხრიალებს და სხვისა არც კაკალი.

ეტყოდით, თქვე დალოცვილებო ვლადიკავკასელებო, პოლიტეხნიკუმს: ოღონდ ჩვენს „ნალიჩნი სრედსტვებს" ხელს ნუ ახლებ და თუნდ მილლიონებს დაგპირდები-თქო. რა გეხარჯებათ. თუ

თ. გ. თუმანოვმა ამისთანა თამასუქი გაუნაღდა და გაუსაღა ტფილისს, ვითომ ვლადიკავკასი რა ქალაქების ნაბიჭვარია, განა ის კი ვერ გაანაღდებდა? იტყვით, ჯერ მაგისთანა თამასუქების წერას ოსტატობა უნდა და მერე მაგისთანების განაღდებასაო და ჩვენ ეგენი სად შეგვიძლიან, ჯერ მაგისთანაებში გაწურთნულები არა ვართო. ეს კი, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა, საბუთია. თქვენი უბედურება, თუნდ ბედნიერება სთქვით, ისა ყოფილა, რომ იმისთანა კაცი არა გყოლიათ, როგორიც თ. გ. თუმანოვია ტფილისში. არც საკვირველია. გენიოსი პანტა ხომ არ არის, რომ უპრაგონოთ ჰსცვივოდეს, ან პრასა, რომ საცა გინდა და არ გინდა, მოვიდეს. თ. გ. თუმანოვი ერთია, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, კარგია. ტყუილად კი არ დაუპირა „კულტუროსანთა" დაწინაურებულმა ამქარმა ტფილისის „მელიქად" დასკუპება. იცოდნენ, რა ბოღაზია სიბრძნისა და ჭკუისა. მაშ რაღას „კულტურონსნები" იქნებოდნენ, რომ ამისთანა მადანი გამოჰპარვოდათ. კაცმა იმისთანა თილისმა მოიგონა, რომ პოლიტეხნიკუმსვე ჯანს გააგდებინებს და სამი ათასს თუმანს ყოველ წლივ გამოაჩეკინებს ტფილისისათვის. განა ეს ცოტაა, რომ ტფილისმა სახსოვარი აუგოს!

ახ, ნეტავი მართლა სახსოვარი აუგოს, ოქროსი კი და ამისი ხარჯი თვით თ. გ. თუმანოვის კისრიდამ ამოიღოს, როგორც იგი პოლიტეხნიკუმს აშენებს და ხარჯს პოლიტეხნიკუმისვე კისრიდამ იღებს, მაშინ იწვნევდა თავისის ფინანსიურ გეგმის საწვნევსა და პირს ჩაიტკბარუნებდა!..

თქვენ იქნება ხუმრობა გეგონოთ, რომ ტფილისი დაჰპირებია პოლიტეხნიკუმს სამი ათასს თუმანს ყოველ წლივ „не из наличных своих средств". რომ თავისი „ნალიჩნი სრედსტვებიდამ" დაჰპირებოდა, ეს რაღა ვაჟკაცობა იქნებოდა, ეს რაღა ოსტატობა იქმნებოდა. ჭკუა და სიბრძნე ის არის, რომ თავისის ჯიბიდამ არ დაჰპირებია, თ. გ. თუმანოვის სიტყვით. აი, ჭკუა და ოსტატობაც, თუ გნებავთ, ეს არის. მაშ საიდამაო, იკითხავთ? თ. გ. თუმანოვი ამის პასუხად

თვალდაუხამხამებლად გვეუბნება: იქიდამაო, რასაც თვითონ პოლიტეხნიკუმი ჯანს გაიგდებინებს და ჯიბეში ჩაგვიჩხრიალებსო. გამოდის, რომ ყოვლად მოწყალეო პოლიტეხნიკუმო, იმედი გვაქვს ჯერ შენ მოგვცემ და ჩვენც ნამუსს შეგინახავთ, შენს მოცემულს შენვე დაგიბრუნებთო. ესეც დიდი რამ არის, რომ ნამუსს შეინახავენ და უკანვე დაუბრუნებენ. ანგარიში სწორედ „კულტუროსნულია". ნამუსიანი და ჭკუიანური აღებმიცემობაც ეს არის. საქმე მუქთად კეთდება. ამაზე მეტი ჭკუაღა იქნება? კაცი ჰპირდებოდეს მოგცემო და მისაცემი იმის კისრიდამვე ამოიღოს, ვისაც ჰპირდება. აღამ ჭკუა არ წააგო, ამას ჰქვიან. ასტვაც, ასტვაც!.. ჭკუა რა კაი საქონელი ყოფილა! ეხლაც იტყვით თ. გ. თუმანიშვილი სად იყოვო, როცა ჭკუას არიგებდნენო!..

ჩვენ ყოველივე ეს ხუმრობა გვეგონა. სიბრძნე იმიტომ არის სიბრძნე, რომ კაცი პირველშივე ადვილად ვერ მიხვდება. გვეგონა, რომ თ. გ. თუმანოვს საქმე გამოლევია და მასხარაობს. ამ მასხარაობას რომ თ. გ. თუმანოვის ეჟვნებიანი ჩაჩი ეხუროს და მისსავე სახელით გასულიყო ქვეყანაში სასეირნოდ, ვინ რას იტყოდა. ამისათვის თ. გ. თუმანოვს ქვაც ხელში აქვს და კაკალიცა. საქმე ის არის, რომ თ. გ. თუმანოვი გვარწმუნებს, ვითომც ტფილისის „კულტუროსანთა" საბჭომ სწორედ ამ მასხარაობაზე ააშენა თავისი დაპირებაო. ეს, რასაკვირველია, მტკნარი ტყუილია და თ. გ. თუმანოვს ანგარიშში უნდა ჩაეგდოს. აბა, რა საფიქრებელია, ვითომც საბჭოს დაეჯეროს, რომ შესაძლოა პოლიტეხნიკუმს ამისთანა პირობა დაუდოს: მე შენ გპირდები წელიწადში სამი ათასს თუმანს, მხოლოდ მაშინ კი, თუ შენ შემოუტან ჩემდა რწმუნებულ ქალაქს წელიწადშივე სამი ათასს თუმანს ახალს შემოსავალს, იცოდე, მე ნამუსის პატრონი ვარ და წინადვე გეუბნები: ქალაქის ჯიბეს ამისათვის მე პირს არ მოვუხსნი, ამ ჯიბის იმედი ნუ გაქვს.

მართალია, ტფილისის საბჭო „კულტუროსანთა" კრებულია, მაგრამ არც იმოდენად ჭკუადაბნეულია, რომ ხსენებული სიბრძნე-სიცრუე თ. გ. თუმანოვისა დაეჯერნა. მარტო ერთი რამ არის აქ საოცარი. თუ არ დაუჯერნია, მაშ ეს რა არის, რომ ამოდენა ხანია, რაც თ. გ. თუმანოვი თითქმის ყოველდღე საქვეყნოდ იძახის, რომ ტფილისი ამ სახით დაჰპირდა სამი ათასს თუმანს წელიწადში პოლიტეხნიკუმსა და 80 კაცში, რომელიც დღეს ქალაქის საბჭოს შეადგენს, ერთი კაციც არ გამოდის და არ ეუბნება: რაზედ გვარცხვენ, ჩვენო ბედნიერო „მელიქო და აღარ მელიქო", თავს რადა გვჭრი? ქვეყნის სასაცილოდ რაზედა ჰხდი ამოდენა ქალაქს? ვინ სულელი იტყვის, რომ სამი ათასს თუმანს ვპირდებით იმ პირობით, თუ თვითონ პოლიტეხნიკუმი სამი ათასს თუმანს ახალ წყაროს შემოსავლისას ამოგვიხეთქს და ჩვენ კი მარტო ტიკების ბერვაღა დაგვჭირდება.

ვინ სულელი იტყვისო? სულელი კი არა და თქვენი ბრძენი თ. გ. თუმანოვი კი ამბობს. ამას რომ ეს ვაჟბატონი თავისით გაიძახოდეს, ან ოთხ კედელშუა თავისად ჰროშავდეს, კიდევ ჰო. განა ცოტაა მოშლილი წისქვილი, დეე არახუნოს, მინამ მოსყინდება. საქმე ის არის, რომ თავისის გაზეთის შემწეობით საქვეყნოდ ჰყვირის, რომ ტფილისი სწორედ ამ სასაცილო სახით დაჰპირდა სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმსაო. ეს ქვეყნის სამასხაროდ გახდომა არ არის მთელის ტფილისისა! აბა თუ ერთმა ხმოსანმა საჭიროდ დაინახა და პასუხი გასცა, ქალაქის სახელსა და პატივს გამოესარჩლა!..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ თ. გ. თუმანოვი სტყუის: ტფილისი ამისთანა სამასხარო პირობას არ დაუდებდა პოლიტექნიკუმს. ხოლო ამისთანა ტყუილს ტყუილის კარამდე უნდა სდიოს კაცმა და „კულტუროსანთა" ამქარმა კი ძვალის გატეხა არ მოინდომა „კულტუროსანთა" ბაირაღტარისა.

სხვას რას მივაწეროთ ამ შემთხვევაში დუმილი საბჭოსი? ბ-ნ ბაბოვის ან სხვა ამისთანაების ერთი

სიტყვა რომ ასე არ იყოს გადაცემული გაზეთში, ერთს ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე მეორე დღესვე გაზეთებში, თითქო ქვეყანა დაიღუპაო და აქ კი ასე ამაოდ და სამასხაროდ ხსენება მთელის ქალაქისა არაფრად მიაჩნიათ და ხმას არ იღებენ. ერთი იწამეთ ღმერთი და გვითხარით: მართლა იმ სახით დაჰპირდით სამი ათასს თუმანს პოლიტექნიკუმს, რასაც თ. გ. თუმანოვი საქვეყნოდა ჰყვირის ეს ამოდენა ხანია? ვაი, ტფილისის ბრალი, თუ მართლა ასეა!

წარმოიდგინეთ: თ. გ. თუმანოვმა ერთი ასეთი კულტურულსნული არითმეტიკა გადმოგვიშალა თავისის გაზეთის № 4844-ში თავისის სიბრძნე-სიცრუის დასასაბუთებლად, რომ თქვენი მოსაწონებელი. ამ არითმეტიკით გვიმტკიცებს, როგორც ორჯელ ორი ოთხია, — რა შადრევანი კაკალ მანეთებისა დაიწყებს მაღლა ცემას, როცა პოლიტექნიკუმი საძირკველს ჩაჰყრის ტფილისში. ტფილისის საბჭო ეხლავ ტიკებსა ჰბერავს თურმე ამ დღისათვის, თუ თ. გ. თუმანოვს დავუჯერეთ. შესაძლოა, რომ ამ არითმეტიკის მნახველს საბჭოს პირი წყლით აევსო. არითმეტიკის მოწმობა დიდი რამ არის, ვერსად წაუხვალთ.

ბაქიაობაში კი ნუ ჩამომართმევთ და თ. გ. თუმანოვი, როცა თავისს არითმეტიკას ათავებს, თავმოწონებით იძახის: „ასეთია ჩემი ციფრებიო!.. აბა თუ კაცები არიან „ივერიის“ ფინანსისტები შემეცილნენ თუნდ ერთ ციფირსაო“. ამ სახით საომრად გამოგვიწვია. ჩვენ როგორ გავკადნიერდებით, თვალი გავუსწოროთ, ომი გავუბედოთ; ჩვენთვის ესეც დიდი მოწყალებაა, რომ ჩვენთან ომსა ჰკადრულობს. ესეც საკმარისია ჩვენდა სასახელოდ. განა არა, ერთხელ თ. გ. თუმანოვმა ბძანა თავისს გაზეთში: „ივერიას“ ძალიან უნდა, რომ ჩვენ გავუმკლავდეთ, მაგრამ ვერ მივართვით, თავს როგორ გავუყადრებთო. მართალია, ეს მაშინ იყო, როცა ტფილისის მელიქობას გამოელოდდა თ. გ. თუმანოვი და მაშინ საბუთი ჰქონდა გაბუებულიყო, ცხვირი ზევით აეწია

და ჩვენთვის დიდკაცურად ბღვერა დაეწყო. ეხლა კი, როცა ამ მაღლა დაკიდებულ ძეხვს პირი ან თათი ვერ მიაწვდინა, ცოტა არ იყოს თავი მოიმდაბლა და ჯოხის ცხენიდამ გადმოხტა. მაინც და მაინც კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენ დღეს ეს მოწყალებაც გვეყოფა, რომ ჩვენთან ომსა ჰკადრულობს. სიკეთის გადახდა ჩვენც ვიცით. ომს როგორ გავუბედავთ და შევკადრებთ.

პირიქით, სახელი გვინდა გავუთქვათ თ. გ. თუმანოვს. ამ ვაჟბატონმა ისეთი არითმეტიკა გამოაცხო თავისს სასახელოდ, რომ კაცს გაუკვირდება ერთის კაცის ჭკუამ როგორ დაიტია ესეთი ზორბა მეცნიერებაო. რა ვიცით, წუთის სოფელია, დრო წავა, ეს არითმეტიკა კი დარჩება და სახელი მისის მომგონელისა დავიწყებას მიეცემა. ამ ღვაწლს როგორ დავუკარგავთ თ. გ. თუმანოვსა, რომელიც დღემუდამ ჰღაღადებს, რომ რაც ძმობაში კარგია, ის ჩვენიაო და რაც მტრობაში ავია, ის თქვენიაო.

ამისთანა ძმური და სწორე სასწორი ჯერ არა სჭერია კაცს ხელში და უბედურება იქნება ჩვენ მიერ ამისთანა კაცის სახელი დაიკარგოს მით უფრო, რომ მისივე სახელი აბრწყინვალებს იმ ახალ მოგონილ არითმეტიკას, რომელიც იმ სიღრმე ჭას სიბრძნისას წარმოადგენს, რომ ტფილისის საბჭო უფრო მალე თვითონ ჩაიწურება შიგ, ვიდრე იქიდამ ამოსწურავს რასმეს. ეს არითმეტიკა შემდეგისათვის იყოს.

მართალია, თ. გ. თუმანოვს პასუხი დავუგვიანეთ და ეს პასუხი უზომოდაც გაიჭიმა. ხოლო თვითონ თ. გ. თუმანოვიც მიგვიხვდება, რომ მისის სიბრძნე - სიცრუის ნასკვის გამოხსნა ჩვენისთანა ქონდრისკაცებისათვის ადვილი საქმე არ არის. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ერთი სულელი კენჭს გადააგდებს ზღვაშია და ათასი ბრძენი ვერ ამოიღებსო.

ჩვენი წინანდელი ფელეტონი შევაყენეთ თ. გ. თუმანოვის მოგონილ არითმეტიკაზე. რაც არის, ეს არითმეტიკაა. ტყუილად კი არა ჰქადულობს იგი

თავმოწონებით: ასეთია ჩემი ციფრებიო! თუ კაცები ხართ და ამ ციფრებს სარმას გამოჰკრავთ და ფეხს მოაცვლევინებთო!.. გალილეისაც არ დაუქადნია ასეთის რიხით, როცა აღმოაჩინა, რომ დედამიწა ტრიალებს და არა დგას ერთს ადგილასაო. მაგრამ გალილეი გალილეია და თ. გ. თუმანოვი თ. გ. თუმანოვია.

განა ხუმრობითა ვთქვით, რომ ჩვენს დალოცვილს ტფილისში თ. გ. თუმანოვის ბამბაც ჩხრიალებს და მისი ბზუილი ჭექა-ქუხილად გადის. შიშს დიდი თვალები აქვს, რწყილი აქლემად ეჩვენება, და „კულტუროსანნი“, ხომ მოგეხსენებათ, ვაჟკაცობაზე უკაცრაოდ ბძანდებიან და, რაღა საკვირველია, კატის ჩხავილი ლომის ღრიალად ეჩვენოსთ, ტფილისმა, ახალის კულტურის მოწყალებით, ყალბის ფულის კეთებაც იცის და გასაღებაც და ყალბი არითმეტიკა რომ მართალ არითმეტიკად გაანაღდოს, რა ძნელი საქმეა. ეს ოსტატური უნარი ტფილისისა კარგად იცოდა თ. გ. თუმანოვმა და თავისი ყალბი არითმეტიკა კისრად მოახვია, ყვავისა და ბუისა არ იყოს, შენ დიდი თავი გაქვს და ეს ჩემი მკვდარი ბახალა შენ იტირეო. ამასთან რიხითაც შესძახა: ასეთია ჩემი ციფირებიო! მოდი და გულს ნუ გაიხეთქთ შიშისა და ძრწოლისაგან. რაკი ასეთია თქვენი ციფირებიო, ჩვენც „ყაბულ“, ვინ რაღას გაგიბედავსო, მოახსენა ტფილისის საბჭომ და დასდუმდა, ასე გვეფიცება თვით თ. გ. თუმანოვი: ქალაქი ამ ჩემს არითმეტიკაზე დადგაო.

რა არითმეტიკაა იგი არითმეტიკა, თ. გ. თუმანოვმა გავუწყა თავისის გაზეთის № 4844, პირველშივე ეს არითმეტიკა მოგვაგონებს იმ ნაცარქექიას, რომელსაც ერთი პაწია ქილა მაწონი ეშოვა და მიჰქონებია ბაზარში გასასყიდად: წავალ, ამ მაწონს გავყიდი, ვიყიდი ქათამს, ქათამი კვერცხს დასდებს, კვერცხი წიწილას გამომიჩეკს, წიწილებს გავყიდი, ვიყიდი ხარ-კამეჩს, ხარ-კამეჩს ურემში შევაბამ, დავუჯდები ზედ, ქალაქში შეშას ჩავიტან და

სხვანი. ამ ლამაზ ფიქრებში რომ არის, წარმოიდგინა, რომ მითამ ურემს ზედ უზის და ხარებს მოუქნია შოლტი. ამ მოქნევაში ქილა ხელიდამ გავარდა, მაწონი დაექცა და დარჩა უბედური სახტად.

არა გჯერათ, რომ თ. გ. თუმანოვის არითმეტიკაც სწორედ ამ ნაცარქექიულს აკიდოზეა ასხმული? აბა მაშ ყური დაგვიგდეთ. გთხოვთ პირველშივე კი ნუ დაიწყებთ სიცილს, ბოლომდე მოისმინეთ, იმიტომ რომ ის იცინის ასლად, ვინც ბოლოს გაიცინებს.

თ. გ. თუმანოვი ბძანებს, რაც გინდ ცოტა ვთქვათ, უმაღლესს სასწავლებელში 400 კაცზე ნაკლები მოსწავლე არ შეიძლება იყოსო. დავუჯეროთ, რომ ეს ასე იქნება.

ყოველწლივ კავკასიის გიმნაზიებში 350 (?) კაცი ათავებს კურსსაო. თუნდ ვიფიქროთ, რომ ამ 350 კაციდამ მარტო ერთი მესამედი შევა ჩვენს პოლიტეხნიკუმში, მაინც ჩვენს პოლიტეხნიკუმს 400 კაცი ეყოლებაო. თუ 350-ის მესამედი 400-ია, რასაკვირველია, ეს ასე იქნება. როგორ მოგწონთ ეს ახალი არითმეტიკა: 350:3=400!.. მოდით და ამ ანგარიშს წუნი დასდეთ, ან ერთი ციფრი შეარყიეთ. რა თილისმიანი არითმეტიკა მოუგონია თ. გ. თუმანოვს, რომ მისის ძალით მესამედი 350-ისა აქციოს 400-ად? ჭკუა არ უნდა ამას? და ჭკუაც ეს არის, თუ არ დაგიშლიათ, იქნება თ. გ. თუმანოვმა თავი იმართლოს იმით, რომ ეგ რომ ვთქვი, განა პირველ წელიწადისათვისა ვთქვიო; 350-დამ ყოველ წლივ მესამედი შევიდეს ჩვენს პოლიტეხნიკუმში, სამს-ოთხს წელიწადს ხომ 400 გახდებაო. ეს შესაძლოა, მაგრამ მერე აადევნეთ ყური და ნახავთ, რომ 350-ის მესამედისაგან პირველ წელიწადშივე 400-ს ანგარიშობს ეს მართლა და ჭკუის კოლოფი.

350-ის მესამედი 116-ზე ცოტა მეტია და იგი არითმეტიკა, რომელიც 116-ს აქცევს 400-ად, ძალიან უნდა გაუხარდეთ „კულტუროსნებს“. ამისთანა მანქანება ახალი არ არის ამათთვის. მათი დავთრები, ვექსილები და „ნეუსტოიკები“ ყველამ იცის რა ხილია და რა რიგად ჰბღარტობს ჩვენში. ხოლო აქ

ახალი ის არის, რომ თ. გ. თუმანოვმა ამისთანა სასახელო „პრაქტიკას“ თეორია უპოვა და მეცნიერება მოწმად დაუყენა. ამ ღვაწლს არ დაივიწყებს მისი ამქარი. გვიკვირს, ქალაქის საბჭოს შუა კედელზე არ გააკრეს ფიცარი და ზედ არ დააწერეს ოქროს ასოებით: „ჯარო და ჯამაათო, ამას იქით იცოდეთ: 350:3=400. თილისმა თ. გ. თუმანოვისა, ჩვენ მიერ ბეჭედდასმული და დამტკიცებული“.

ეს 350-ის მესამედი ხომ 400-ად გადააქცია, ახლა ჰნახეთ ამ 400-ს რა ოსტატობით გადააქცევს 1500-ად. ამ 400-ს კაცს მოსწავლეს 100 კაცი მაინც მოხელენი, პროფესორები და ერთობ მოსამსახურენი ეყოლებაო. გახდა 500 კაციო. ამ 500-ს კაცში ისე როგორ იქნება, რომ ბევრს (რასაკვირველია, მოსწავლესაც, თუ არ დაგიშლიათ) ცოლშვილი არა ჰყვანდესო და ხელზე მოსამსახურენიო და განა ჭარბად მოგვივა, რომ ამ ანგარიშით 500 კაცი 1000-ად ჩავთვალოთო.

მართალია, ჭარბად კი არ მოგივათ და თუნდ მოგვიდეთ, არ გაწყენთ, მაგრამ ეს კი უნდა ვიკითხოთ: რომელ „ნეუსტოიკით“?

ამ სახით ქალაქი ტფილისი 1000 ახალს მცხოვრებელს შეიძენსო. გამოდის, რომ ეს 500 კაცი სულ გარედამ შემოსულნი იქნებიან, ცოლ-შვილი ხომ ეყოლებათ და ეყოლებათ, ხელზე მოსამსახურეებსაც თან მოიყვანენ გარედამ და ამ გზით აქ ტფილისში ერთიორად იბღარტებენ და 1000 კაცი დადგებაო. ესეც 1000 კაცი, ღვთისა და თ. გ. თუმანოვის წყალობით. ამასაც არა ჰკმარობს ეს ჩვენი უსტაბაში „კულტუროსნებისა“. ეს ახალი მცხოვრებელნი თითქმის სულ ინტელიგენცია იქნებაო, ამბობს იგი შემდეგ. რადგანაც ინტელიგენცია იქნება, ხომ თვითვეული მათგანი ერთიორად მეტს დაჰხარჯავს, ვიდრე ორთა შუა შემლების მოქალაქეო, ხელოსანს და მუშას ნუღარ ვიტყვითო. ამ სახით ტფილისს მოემატება განათლებული ხალხიო, რომელიც უფრო ბევრს დახარჯავს, ვიდრე ორთა შუა შემძლებელი

მოქალაქეო. ამ ანგარიშით მომატება ამ 1000 კაცის ინტელიგენტისა 1500 კაცის მომატებას უდრისო ორთა შუა შემლების მოქალაქეთა მიხედვითაო. გულზე ხელი დაიდეთ და გვიბძანეთ, თ. გ. თუმანოვი და ზემოხსენებული ნაცარქექია ძალიან შორს არიან ერთიერთმანეთზე? ესე ტყუპად სიარულს ძნელად შეხვდება კაცი. ეხლა კი მჯერა, რომ ტფილისის საბჭომ მოიწონა თ. გ. თუმანოვის სიტყვა და არითმეტიკა. ხუმრობაა, 400 1500-ად აქციოს კაცმა და მერე ეგრე უცებ და ანაზდეულად? მერე როგორ? არც სარგებელზე სარგებელი, არც „ნეუსტოიკა“, არც ჩლავი, არც ფლავი. აი, „ასტვაც“, ეს რა მადანი იპოვა ბედისა, დახე, ამ ჩვენმა თ. გ. თუმანოვმა!..

რაკი ეს 1500 კაცი გამოჭიმა, მერე ასე არეშვინებს თავისს არითმეტიკას. ქალაქში მცხოვრებელია სულ 160,000 სულიო. თუ 160,000 სული ერთს მილიონს შემოსავალს იძლევა ქალაქისათვის, მაშ ხომ 1500 სული შემოუტანს შემოსავალს 9375 მანეთსაო. ეს ხომ თითქმის ათასი თუმანი გაანაღდა თ. გ. თუმანოვმა იმ სამი ათას თუმნისა, რომელიც ტფილისი, მისის სიტყვით შეჰპირებია პოლიტეხნიკუმს.

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: იმ ოთხას კაცში, რომელიც ეყოლება პოლიტეხნიკუმს, ტფილისელი არავინ იქნება? თუ იქნება, ტფილისელს ახალ მცხოვრებლად რადა სთვლის? ეს რომელი არითმეტიკაა!.. იტყვით, თ. გ. თუმანოვისაო. თუ თ. გ. თუმანოვისაა, რაღად უნდა გაიკვირვოთ.

მეორე ეს ვიკითხოთ: ეს ოთხას მოსწავლეს რომ 100 კაცი დაუმატა, ეს შემდგარი 500 კაცი 1000 კაცად აქცია და 1000 კაცი 1500-ად, ხომ ამ ანგარიშში ხელზე მოსამსახურენიც პოლიტეხნიკუმისა ჩასთვალა და ხელზე მოსამსახურეები და სტოროჟები რა ინტელიგენციაა. სჩანს, თ. გ. თუმანოვს მოჰზმანებია, რომ ხელზე მოსამსახურენიც, მზარეულები, სტოროჟები და სხვა ამისთანანი სულ პროფესორები იქნებიან. Губа не дура-ო, რუსები რომ იტყვიან, ეს არის.

მესამე ეს ვიკითხოთ: ვთქვათ 160,000 მცხოვრებელი ტფილისისა ერთს მილიონს შემოსავალს აძლევს ქალაქსა და აქედამ გამოატყვრინა თ. გ. თუმანოვმა, რომ 1500 ახალი მცხოვრებელი 9375 მ. შეჰმატებს. თუ ეგრეა და სულზე შემოსავალს ანგარიშობს, ჭკუა და ლოღიკა ითხოვს სულზედვე იანგარიშოს გასავალიცა. ამისთანა შემთხვევაში შემოსავალი და გასავალი განუყრელნი და-ძმანი არიან და ერთს ისე ვერ მოჰკიდებთ ხელს, რომ მეორეც სახეში არ იქონიოთ.

ჯერ ხანად ამაებს გზა ავუქციოთ და ამ ვაჟბატონს დავუჯეროთ, რომ იგი ცხვირიდამ წამოადენს პოლიტეხნიკუმს 9375 მანეთს ახალს შემოსავალს, რადგანაც სულზე ანგარიშით ასე მოდის. ამაზე ხომ უარს არ იტყვის, რომ ქალაქს შემოსავალთან გასავალიცა აქვს და ეს გასავალი შემოსავალზე ათი ათას თუმნამდე მეტია. აბა, ეს ათი ათასი თუმანი მეტი გასავალი ისე გააწილადოს სულზე, როგორც შემოსავალი გააწილადა და მაშინ ჰნახავს, რომ ის პოლიტეხნიკუმის 1500 ინტელიგენტი, თუნდ რომ შემოსავალიც მართლა მოუმატოს ქალაქსა, მაინც ხარჯს ვერ გაუძღვება და ქალაქს ამ შემოსავალზე ოთხმოც თუმნამდე თავის ჯიბიდამ დაყრა მოუნდება. ამ სახით გამოვა, რომ შემოსავალი შედგება 9375 მანეთი და გასავალი 10,000 მანეთზედ მეტი. მაშ, ეგ თქვენი 9375 მანეთი ახალი შემოსავალი „პრწანქ“, აფუ თ. გ. თუმანოვო, თუ არ გეწყინებათ.

ვთქვათ, თ. გ. თუმანოვის მატრაკვეცულ არითმეტიკისამებრ მარტო ეს 9375 მანეთი შემოსავალი ვიანგარიშეთ და გასავალს კი პანჩური ვკარით და „Новое Обозрение“-ში ვუკარით თავი დასამწყვდევად. ჭკუა ისწავლოს და არ იმეტიჩაროს. ახარ, ხელჯოხიანი საღი ჭკუა რომ მოგვადგეს და იკითხოს: „ ტო, ახმახ, აქ, ქალაქის შემოსავალში ცალკე სულს რა საქმე აქვს, რომ აგიღია და ანგარიშობო?“

მართალიც არის: ვინც ქალაქის საქმეთა ანბანი იცის, იმან ისიც იცის, რომ ქალაქი სულს, ესე იგი, ქუდზე კაცს კი არ ახდევინებს ხარჯს შემოსავლისათვის, არამედ უძრავ ქონებას, დუქან-ბაზრობას, აღებ-მიცემობას, ვაჭრობას და სხვა ამისთანას, რასაც რაიმე გამორჩენა აქვს. ამ მიზეზით იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ინტელიგენტი და არაინტელიგენტი ტფილისში იყოს და საქალაქოდ კი გროშსაც არ იხდიდეს. ეს ხომ ყველამ იცის და არ იცის მარტო თ. გ. თუმანოვმა. არცოდნა არცოდვაა. ვაპატიოთ ეს არცოდნაც.

ერიჰაა!.. დაგვიყვირებს აბეზარმოსული საღი ჭკუა. ამდენი პატიობა ვის გაუგონია. ვაპატიეთ, ვითომც 350-ს მესამედისაგან 400 კაცი გამოცხვება, ვაპატიეთ, ვითომც 400 კაცი 500-დ გადაიქცევა, ეს 500 – 1000-დ და 1000 – 1500-დ, განა არ ეყოფა? ესე რომ ვიაროთ სად წავალთ? ჩვენცა ვწუხვართ, რომ ასე შორს მივდივართ და გრძელდება საუბარი, მაგრამ არა უშავს რა, მადლია. მადლი ხომ იმისთანა რამ არის, საცა წავალთ, წინ დაგვხდება. თ. გ. თუმანოვზე არა დაგვეკარგება რა.

მარტო ერთი რამა ვთხოვოთ აგვიხსნას: ეს 1500 კაცი მოსწავლე, პროფესორები, მოხელენი, ხელზე მოსამსახურენი – რა სახის ხარჯში ჩაცვივიან, რომ ქალაქს შემოსავალი მოუტანონ ათას თუმნამდე? რა სახელი ერქმევა იმ ხარჯს, რასაც ქალაქი იმათი კისრიდამ ამოიღებს? ბაჟია? მაშ საბაჟო რამ ექმნებათ, Оценочный сбор-ია? მაშ ქარვასლებს აიშენებენ. გილდია? მაშ მედუქნეობას, ან მიკიტნობას დაიწყებენ. მახტაა? მაშ ქალაქს ეყმობიან და სხვანი. რა გზით, რა სახელით და უფლებით მიადგებით კარს და მათგან შემოსავლის მატებას გამოატყვრენთ? წვერ-ულვაშზე ხომ არ დაადებთ ბაჟს და სხვას რას ჩასჭიდებთ ხელსა? 1500 კაცი ახალი მცხოვრებელი მარტო ცალკე მედუქნეებს თუ უნდა უხაროდეთ, მუშტარი მოემატებათ, თორემ ქალაქის ჯიბეს აქედამ რა მიეცხობა.

აი, ეს გახლავთ ერთი რიგობა იმ ციფირებისა, რომელთ გამო თ. გ. თუმანოვი დოინჯშემოყრით და თავმოწონებით გვიყვირის: „ასეთია ჩემი ციფირებიო“. ჩვენცა ვხედავთ, რომ ასეთია და ამიტომაც ვკითხულობთ: ეს ოინბაზობაა, თუ სულელობა? თ. გ. თუმანოვს კი ეს ციფირები „მოდინახე ციხე“ ჰგონია, გაუტეხელი და შეუვალი. ბარაქა მის მგონიაობას. ვთქვათ, ამ ნაცარქექია არითმეტიკოსმა ეს ათასი თუმანი აქედამ გამოქექა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტებს, პროფესორებს, მოხელეებს და სტოროჟებს ცხვირიდამ წამოადინა. ეს დანარჩენი ორი ათასი თუმანი საიდამღა გამოუხანხლა ჩვენს ბედნიერს ტფილისს? თქვენ „იშტა“ ბრძანეთ, თორემ ფლავი მზადა აქვს თ. გ. თუმანოვს. თვითონაც, წარმოიდგინეთ, ჰკითხავს თავისს თავსა: ეს ორი ათასი თუმანი საიდამღა უნდა უშოვოს ქალაქმა პოლიტეხნიკუმსო?* ჰმ, საიდამ? თ. გ. თუმანოვი კი იქნება, ამას დიდხანს დაუფიქრდეს და ძვირფასი დრო დაჰკარგოს! ერთი შუბლზე თითი მიიდვა და გაატყვრინა ის ორი ათასი თუმანიც.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ქალაქი სხვათა შორის დაჰპირდა საჩუქრად პოლიტეხნიკუმს ოთხას დღიურ მიწას. თურმე ნუ იტყვით, ამის გარშემო ვიღაცას დაუთესნია მანეთები ოდესღაც — დიდის ხნის ამბავი იქნება, — და რაკი ჩვენში პოლიტეხნიკუმი გაიმართება, ეს მანეთები პრასასავით მოვა და მოვა ყოველ წლივ და თ. გ. თუმანოვი ყოველ წლივვე ორი ათასის თუმანის კაკალ მანეთებს მომკის და იმოდენად ყაირათიანია, რომ ამაზე მეტს ხელს არ ახლებს და სათესლედ შეინახავს. თქვენ იქნება ეს ხუმრობა გეგონოთ. აბა ყური დაუგდეთ თ. გ. თუმანოვს, თუ ხუმრობაა.

„საბჭოში საბუთიანად თქვესო, რომ რაკი პოლიტეხნიკუმი ქალაქისაგან ნაჩუქარს ოთხას

* იხილეთ „Новое Обозрение“ № 4844.

დღიურ მიწას კეთებას დაუწყებს, აშკარაა გარშემო დანარჩენი მიწები ქალაქისა ფასს მოიმატებსო“...*

თქვენც იტყვით, რომ ამ სიტყვებში ჯერ არც პრასაა და არც ნიახური. თანახმანი ვართ.

„თუ ვიფიქრებთო, — ბრძანებს შემდეგ თ. გ. თუმანოვი,— რომ ქალაქს შვიდი ათასს დღიურზე მეტი მიწა აქვს და ამ შემთხვევის გამო (მითამ პოლიტეხნიკუმის გამო), სულ ცოტა რომ ვთქვათ, — ოთხმოცსა ან ას დღიურზე მაინც ხალხი დასახლდება და ქალაქს იჯარის ფულს მისცემენ საჟენზე, — რა სათქმელია, — თუნდ ერთს აბაზსა, ქალაქის ჯიბეს ორი ათას თუმნამდე წელიწადში შემოსავალი მოემატებაო“.

აი, პრასა და ნიახურიც ეს არის, ბარაქალა, თ. გ. თუმანოვო, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა, ბარაქალა! ესეთი ანგარიში რომ სხვაგან სადმე ითქვას, მთქმელს საგიჟეთში ამოაყოფინებენ თავს და სწორედ მოგახსენოთ, გზაც ის არის. ბარაქალა რომ ამისი შიში და ფიქრი არა ჰქონია. ესეც ერთი ვაჟკაცობაა!

ოთხასი დღიური მიწა, რომელსაც თ. გ. თუმანოვის ანგარიშით პოლიტეხნიკუმი დაუწყებს კეთებას, ორი ოთხკუთხე ვერსტია. ეს ორი ვერსტი მიწა ხომ ქალაქგარედ იქნება, იმიტომ რომ ამოდენა ცარიელი მიწა ქალაქ შიგნით არ არის, თუნდ თ. გ. თუმანოვმა თავისის მატრაკვეცულ არითმეტიკითაც რომ სჭიმოს, როგორც 350-ს მესამედი 1500-მდე გასჭიმა და „ჩოტკმაც“ არ უღალატა. მაშასადამე, პოლიტეხნიკუმი ორს ვერსზე სხვა მოსახლეს არ მიაკარებს და არ გააჭაჭანებს. აბა, რომელ მხარესაც გნებავთ მოუარეთ ტფილისს და უკანასკნელ სახლიდამ ჯერ ეს ორი ოთხკუთხი ვერსტი ცარიელი მიწა გადაზომეთ და მერე ბრძანეთ, იმას იქით მიწები საჟენი ერთ აბაზ, ესე იგი, დღიური ოცდაოთხს თუმანს იჯარას შემოიტანს ყოველ წლივ? მაშ მანეთები მართლა პრასა და ნიახური ყოფილა თ. გ. თუმანოვისათვის, სხვა რა ჯანაბაა. ავლაბარსა და

* იხილე იგივე № 4844

ნავთლუღს შუა მთელი პოლკი ცხენოსანი ჯარი დადგა, უშველებელი შენობები წამოსჭიმა, ავლაბრის უკანასკნელ სახლიდამ ორი ვერსტი ძლივს იქნება და ერთი ჰკითხეთ თ. გ. თუმანოვს: იმის გარშემო ქალაქის მიწები რამდენ ჭრელს აბაზს იძლევა წელიწადში საჟენზე იჯარას? საღდება თუ არა იქ დღიური მიწა წელიწადში ოცდაოთხთუმნად და თუ საღდება, ვინ ეშმაკი სჭამს ამოდენა ფულს?

თუ ერთმა პოლკმა ცხენოსანმა ჯარმა ქალაქის შემოსავალს თითქმის არა მოუმატა რა ამ გზით, პოლიტეხნიკუმი როგორ მოუმატებს გარშემო მიწებს იმოდენა ფასს, რომ ოთხმოცმა ან ასმა დღიურმა ორი ათასი თუმანი ჩაუყაროს ჯიბეში ყოველწლივ? ჭკუავ, რა კაი საქონელი ხარ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ძალიან გაძვირებულხარ ჩვენს დალოცვილ ტფილისში, ან მომწყვდეულხარ ,,Новое Обозрение“-ში, მუსაიფობ შინაურულად თ. გ. თუმანოვთან და ქვეყანა ფეხებზედ გკიდია.

,,ასეთია ჩემი ციფირებიო“! დიაღ, სწორედ ასეთია, მაგრამ აქ თავმოსაწონებელი იმდენია, რაც მაგ ციფირებში ჭკუა და ლოღიკა. ამ ბაქიაობას თ. გ. თუმანოვისას თავი დავანებოთ, დეე გული იფხანოს, გუნებას ნუ წავუხდენთ, ტკბილი კაცია. რა ქნას? ძალიან უნდა, რომ მისმა ბამბამ იჩხრიალოს. იჩხრიალოს, ჩვენ რა გვეხარჯება, ან ვის რა აკლდება?

ხოლო ეს კი საკითხავია: ეს ახირებული არითმეტიკა რის მომასწავებელია? რა არის იგი? ოინბაზობაა, თუ სულელობა? ჩვენ ჩვენი ვთქვით და ეხლა თქვენ იცით.

ახლა იკითხავთ: ღირდა კი, რომ ამ აბდა-უბდას თ. გ. თუმანოვისას ასე გძლად კვალში ჩაუდეგით და ორი ფელეტონი გასჭიმეთო? თ. გ. თუმანოვის აბდა-უბდა კი არა ღირდა, მაგრამ ის კი ღირდა, რომ ქალაქის საბჭომ იცოდეს, რა რიგად არის სასაცილოდ აგდებული თ. გ. თუმანოვისაგან ეს ჩვენი დედა-ქალაქი: იგი თავისს ცუღლუტს არითმეტიკას ქალაქის სახელით ასაღებს და ქვეყანას არწმუნებს,

რომ ქალაქიც ჩემის ჭკუისა არისო და ისე ჰპირდება სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმს, როგორც მე დავროშეო.

თავის მოჭრა და სამარცხვინოდ გახდომა ჩვენის ტფილისისა არ არის განა ეს? არა ღირდა განა, ჩვენს ქალაქს გამოვქომაგებოდით და ამისათვის ბუკი და ნაღარა დაგვეკრა. ამით გაგვამართლეთ და ნუ გაგვიკითხავთ ჩვენ.

[1898 წ.]

15. პატარა საუბარი

თ. გ. თუმანოვი გუშინდელ „Новое Обозрение“-ში ძალიან გაწიწმატებულა ჩვენზე ჩვენის ფელეტონები გამო. ჯერ ერთი იმას მოუყვანია გულზე, რომ მთელი ოცდახუთმეტი სვეტი მოანდომა „ივერიამ“ ჩემს ფინანსიურს საზრისსა და გეგმასაო. მთელს ორ გაზეთში სულ ორმოცი სვეტია და, მაშასადამე, თ. გ. თუმანოვის არითმეტიკის ბრძანებით, გამოდის, რომ მთელი ორი ნომერი ჩვენის გაზეთისა ჩვენს ორ ფელეტონს დაუჭერია და მარტო ხუთი სვეტიღა დაუთმია სხვა ნაწილებისათვის. მოგვირთმევია ეს თქვენ მიერ გამომცხვარი ქადა ტყუილებისა, მიირთვით თქვენს სადღეგრძელოდ, ოღონდ ყელზე კი არ დაგადგეთ, ამას ვშიშობთ. აი, ამას ჰქვიან: გინდ მრუდედ დაჯეგ, ოღონდ სწორედ კი ილაპარაკეო!

ეს ერთი ტყუილი. მეორე ტყუილი: თ. ი. გ. ჭავჭავაძე დღესასწაულობს თავისს იუბილეისო, ამიტომ პატრიოტობსო უზომოდ და ქართველებს ეუბნებაო: „აი უყურეთ, „Нов. Обоз.“ რა რიგად აბიაბრუებს ჩვენს დიდებას, ჩვენს თავმოსაწონს, ჩვენს დიდს პოეტს სწორედ იმ დროს, როცა მთელი საზოგადოება, მთელი ერი იმის ცაში აყვანას ჰლამობსო. განა ეს არ ამტკიცებს, რომ „Нов. Обоз.“ ქართველებს მტრად ეკიდება და სომხების ორგანოაო. ამისთანა პატრიოტულ ღაღადითა თ. ი. გ. ჭავჭავაძეს, ამ ყოფილს პოეტს, უნდაო აღადგინოს თავისი აბრუ ქართველ საზოგადოებაშიო“.

Ври, да знай меру, ამას ჰქვიან. რას იზამთ? ღონე უღონოსი ცილისწამებაა.

აი ყოველ ამის გამო ჩვენ პირველ ფელეტონზე პასუხს არ მივცემთო, ამბობს მერე თ. გ. თუმანოვი, და რაც შეეხება მეორე ფელეტონს, საცა ციფრებზეა ლაპარაკი, აქ კი შემდეგში ბრეს გავადენთ „ივერიასაო“.

თუმცა ამ მუქარამ წინადვე გული გაგვიხეთქა, მაგრამ ღმერთი ძოწყალეა და თ. გ. თუმანოვს კი ვეტყვით: „თუ თავი თქვენი თქვენ გახლავთ“ ბევრს კიდევ სხვას იმისთანას წამორომავთ, რომ, ერთი რომ სხვას მოახვედროთ, ათასს თქვენვე იკრავთ ცხვირ-პირში.

პირველ ფელეტონზე პასუხს არ მივცემო. საქმე კი უფრო ის პირველი ფელეტონია. იქ დამარხა თ. გ. თუმანოვმა ძაღლის კუდი, როგორც წინადაც ვთქვით, და, რასაკვირველია, ამისი გამოძეღვნება მისგანვე არაფერი ხეირია მისთვის, მაგრამ ჩვენ მაინც არ მოვეშვებით და უმორჩილესად ვთხოვთ ამისი პასუხი გვიბოძოს: რაც თავისის გაზეთის № 4838-ში სთქვა, ის რაღად გადასთქვა № 4844-ში? რომ ბევრი არ შევაწუხოთ თ. გ. თუმანოვი, აქ ერთმანეთის სისწვრივ ამოუწერავთ ორსავე თქმულს.

თქმული № 4838

„Город обещает давать будущему политехникуму по 30 тыс. руб. в год не из наличных своих средств, не из тех средств, которыми поддерживаются начальныя школы, а из тех, которыя город получит в случае открытия политехникума: от возвышения ценности городских земель, увеличения оценочного сбора и других доходов.“

თქმული № 4844

„Город обещает давать будущему политехникуму по 30 тыс. руб. в год не из наличных своих средств, которыми поддерживаются начальныя школы, а из тех, которыя город получит в случае открытия политехникума.“

აი, თითზე კბენა ეს არის – ვაი, ეს რა მომსვლიაო? მაგრამ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერეღა თითზე კბენანი“.

საქმე ეს ლიტერატურული ოინბაზობაა, თ. გ. თუმანოვო! საქმე ის არის, რომ აქ ანაზდეულად აშა ჰკრა ამ ვაჟბატონმა, ფხიანი სიტყვები გადაჰყლაპა და, რა თქმა უნდა, ხახაში გაეჩარა და პასუხისათვის კრიჭა შეუკრა. მაგრამ „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცო, არ მობრუნდეს“.

გარდა ამისა, რაკი პასუხი დაუქადნია მეორე ფელეტონისა, ბარემ ტფილისის საბჭოს განაჩენიც წარმოგვიდგინოს, რომ იგი ქალაქის ჯიბიდამ არას დაჰპირებია რა პოლიტეხნიკუმს და თავისი აღთქმა სამიათას თუმნისა აუშენებია თ. გ. თუმანოვის მიერ ნაჩვენებ თანხებსა და მადნებზე. არა გვგონია, ამისთანა განაჩენი წარმოგვიდგინოს და თუ ესეა, რა ნება აქვს თ. გ. თუმანოვს, რომ ქალაქის სახელით ასე ჭლაპარაკობს და ასე ზორბად ატყუებს ქვეყანასა? ან ვინ უნდა მოატყუოს ამისთანა თანხების დაპირებითა, თუნდაც თვითონ ტფილისის საბჭომ თავისი ბეჭედიც დაჰკრას? პოლიტეხნიკუმი, თუ მისი მომავლინებელი?

ნუთუ ქალაქი ისე გაბრიყვდა, რომ ასეთი მოტყუება იკადრა ან ერთისა და ან მეორისა! ქალაქის საბჭოვ, თუ ქალაქი არაფრად მიგაჩნია, თქვენს თავს მაინც უპატრონეთ და გამოესარჩლეთ. ერთი ხმა ამოიღეთ და შეგვატყობინეთ: თ. გ. თუმანოვი მართალია, თუ უპრაგონოდა სტყუის და ტყუილუბრალოდ სასაცილოდა გხდით? ნუთუ

მართლა იწამეთ და დაიჯერეთ თ. გ. თუმანოვის მიერ ნაჩვენები თანხები და მადნები და ამათის იმედით შეჰპირდით პოლიტეხნიკუმს სამი ათასი თუმანი? ეგ დაპირება ხომ არაფრის ქადებაა!.. განა არ გაგიგიათ, რომ „სჯობს არ ქადება არასი, ქადებულს მოუცემელსა“!..

[1898]

16. ქრისტე აღსდგა!

ტფილისი, 4 აპრილი

აღსდგა იგი მაცხოვარი და მხსნელი ქვეყნისა, „რომელმან უძლურებანი ჩვენნი მიიხვნა და სნეულებანი ჩვენნი იტვირთნა“.

აღსდგა იგი, რომელიც ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია სისხლი თვისი მისატევებლად ცოდვათა კაცისათა.

აღსდგა იგი, რომელმაც ურწმუნო ქვეყანას უღაღადა: „მე ვარ ნათელი სოფლისა. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქვნდეს ნათელი ცხოვრებისა“...

„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება”... „მე ვარ პური ცხოვრებისა. რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰშიოდეს და რომელსა ჰრწმენის ჩემი, არა სადა სწყუროდეს... პური, რომელი მე მივცე, ხორცი ჩემი არს, რომელსა მე მივცემ ცხოვრებისათვის სოფლისა“.

მთელმა განათლებულმა ქვეყანამ იწამა და დღესაც სწამს, რომ იესო ქრისტე მართლა ნათელია სოფლისა, მართლა გზაა, ჭეშმარიტება და ცხოვრება, მართლა პურია ცხოვრებისა. იგია მოძღვარი ახალის აღთქმისა, ქვეყნის ხსნად მოვლინებულისა.

ძველი აღთქმა სჯერდებოდა არა ქმნას ბოროტისას. იგი ჰღაღადებდა: არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო, არა გული გითქმიდეს მოყვასისა შენისა კეთილისათვის და მებრვე სხვანი.

ერთის სიტყვით, მთელი ძველი აღთქმა იმაზე იყო აგებული, რომ „ნუ იქმ ბოროტსაო“.

სულ სხვაა ახალი აღთქმა, აღთქმა იესო ქრისტესი, რომლისათვისაც დასდო სული თვით ქრისტემ, ვითარცა ძემან კაცისამან და ჯვარს ეცვა კაცთაგან, კაცთა ხსნისათვის მოვლინებული. ახალი აღთქმა არა ჰკმარობს „არა ქმნას ბოროტისას“. იგი ჰღაღადებს, „ქმნას კეთილისას“ და ამაზე აშენებს ხსნას ქვეყნისას და ცხოვრებას ადამიანისას.

არა ქმნა ბოროტისა უქმად ყოფასაც შეუძლიან და უქმად ყოფა დიდი ღვაწლი არ არის არცა კაცისა და არცა ღმრთისა წინაშე. საქმე კეთილის ქმნაა. აქ მოქმედებაა საჭირო, გარჯაა, ოფლის ღვრაა, წვალებაა და წამება და სასყიდელიც მისი დიდია. „ყოველმან ხემან“, რომელმან არა ჰყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“, ბძანებს ქრისტე. ქრისტემ კეთილის ქმნა გვიანდერძა, წინ დაგვიდვა, თუ გინდათ კეთილი ცხოვრება სოფლისაო. იმოქმედეთ კეთილისათვის, გვიწვევს იგი: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოვოთ, ირეკდით და განგეღოთ თქვენ“. იარეთ ამ მოქმედების გზით, ეძიეთ კეთილი და ჰპოებთ, ირეკდით და განგეღოთ თქვენ კარი მადლისა და ჭეშმარიტებისაო. ნუ რას შეუშინდებით ნურც სიღარიბეს, ნურც შიმშილს, ნურც წყურვილს, ნურც დევნულებას და წვალებას, „ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი; ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად“, ბრძანებს იგი მოქმედთა გასამხნეველად.

ძველი აღთქმა რჯულია უფრო მოქალაქური, ახალი აღთქმა მადლი და ჭეშმარიტებაა. პირველი უფრო ხორცის უშიშარყოფისათვის არის, მეორე სულის სიტკბოებისა და სისრულისათვის. „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“, გვიღაღადა ქრისტე ღმერთმა. მარტო მადლი და ჭეშმარიტება ჰყოფს ადამიანს „სრულ“, ამიტომაც იოანნე მოციქული ამბობს: „რამეთუ რჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება

ქრისტესი იესოს მიერ იქმნა“. აქ არის განსხვავება ძველისა და ახალის აღთქმისა.

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, — აი, იგი მადლი და ჭეშმარიტება, რომელიც ქრისტეს იესოს მიერ იქმნა“. აი, იგი ნათელი სოფლისა, იგი გზა, იგი ჭეშმარიტება და ცხოვრება, იგი პური ცხოვრებისა, რომელიც ქრისტე-ღმერთმა მცნებლად დაგვიდვა და ხსნად კაცისა ცოდვისაგან.

აი, იგი ყოვლად მხსნელი უღელი ქრისტესი, რომელმანც უნდა მოჰმადლოს განსვენება სულთა კაცთასა. ამ უღელს ჰღაღადებს იესო ქრისტე, ოდეს გვასწავის: „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“.

ქრისტე აღსდგა!

ნეტარ არიან იგინი, რომელთაც აღიღეს უღელი იესო ქრისტესი და ისწავეს მისგან სიყვარული კაცისა. ქრისტე-ღმერთო, ღმერთო შენდობისაო და სიყვარულისაო, ღმერთო მადლისა და ჭეშმარიტებისაო, რომელმან სიკვდილითა დასთრგუნე სიკვდილი და საფლავებისა შინათა ცხოვრება მიანიჭე, ღირსჰყავ აღებად უღლისა შენისა ყოველი ქრისტიანე და ერთობ ყოველი ადამიანი ცხოვრებისათვის სოფლისა.

ქრისტე აღსდგა!

[1898]

17. ალექსანდრე როინაშვილი

(ნეკროლოგი)

ქართველები ვამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა — თავსა მოუკვდაო. მართალია, ბევრი იმისთანა კვდება ჩვენში თუ სხვაგან, რომელიც მართლა მარტო თავის თავს უკვდება. ნათქვამია, იგი არაფერში ვარგაო, ვინც მარტო თავისთავისათვის ვარგა, და ამისთანა სხვას ვის და რას მოუკვდება, თუ არა მარტო თავისთავსა.

ეს არ ითქმის იმაზე, ვის საფლავის წინ 15 მაისს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიდეგით, რომ უკანასკნელად და საუკუნოდ გამოვთხოვებოდით და საუკუნოდ განსვენება გვეთქვა. ალექსანდრე როინაშვილი თავისთავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავისს ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია, როგორც ეხლა სჩანს და როგორც განსვენებულმა დაამტკიცა მთელის თავისის ცხოვრებით და თავისის ანდერძით.

რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა მისს საფლავზე უკანასკნელის პატივისსაცემლად, მისის გვამის გასაპატიოსნებლად? იქ იყო ყველა წოდების კაცი თუ ქალი, ყველა ხარისხისა, ყველა ხელობისა, ერთნაირად მწუხარე და მგლოვიარე. მას არა ჰქონდა არც დიდი გვარი, არც ხარისხი რამ სახელმწიფო მოხელისა, არც

სწავლა, არც არა-რა იმისთანა თვალად გამოსაჩენი და გარედამ მიკერებული ღირსება. იგი იყო უბრალო გლეხკაცის შვილი, შვილი ღარიბის, ღატაკის ოჯახისა, უმწეო, უნუგეშო, უსწავლელი. ვამბობთ, უსწავლელი, თუმცა სკოლაშიაც ყოფილა, მაგრამ იმისთანა სკოლაში (ვოენი კანტანისტების სკოლა), საცა უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდეს. ეგრე გარედამ ხელშეუწყობელი როგორ გახდა იმისთანა კაცად, რომ ღღეს მისი დაკლება ქვეყნის დასაკლისად მიგვაჩნია?

სახელი და საქები მისი ის არის, რომ იგი თავისის შინაგანის ღირსებით გახდა ამისთანა კაცად, მაშინ როდესაც ყოველივე გარემოცული გარემოება ამ ულმობელი წუთისოფლისა მისი შემხუთავი და მომწყვლელი იყო. იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, გლეხია თუ თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკანდაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა. მან არარაისგან შეჰქმნა საქმე, არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელშეუწყობელს გარემოებას. მაგალითი ხომ ყველა ქადაგებაზე უფრო ძლიერია და მჭევრმეტყველი და აი მაგალითი ძლევამოსილობისა, როცა გარჯა და მხნეობა იბრძვის და გული ჰგულობს ადამიანისა.

თვითვეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხესიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთვნელია ყველასი, ვისაც კი კაცობისათვის გული ერჩის. საცა ამისთანანი გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც. არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის

აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი.

გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავისთავად კარგია და საქები, მაგრამ განსვენებული ალ. როინაშვილი მარტო ამით არ არის ჩვენ მიერ სახსენებელი და პატივსაცემი. მას გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მხნეობისა და რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გულია. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი და გაძლიერებული იგი იღვწოდა, ირჯებოდა, ჰშველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს, თვითონ იკლებდა, ზოგს სხვას ჰმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწებებდა და ბოლოს თავის ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსანის შრომით მოგებული, თავისს ქვეყანას მიართვა: აჰა, შენთვის ვიღვაწე, ვიამაგე, ჩემის შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვაწ-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო.

აქ გამოსაკითხი ის კი არ არის, ბევრი შესწირა თავისს ქვეყანას, თუ ცოტა. საქმე იმაშია, რომ რაც ჰქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად. შესაწირავი იქნება დიდი არ იყოს, მაგრამ დიდია გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა, და სადიდებელი მით უფროა, რომ იგი გული უმწეო და უნუგეშო გლეხკაცის გული იყო, რომლის უმადური ცხოვრება ისეა მოწყობილი ამ ულმობელ ქვეყანაში, რომ ძნელად თუ მოიცლის თავის საკუთარ ჭირბოროტს გარე გული და ხელი სხვას რასმე მიწვდინოს, სხვაზე რასმეზე იზრუნოს და იფიქროს. ამ ჭირ-ბოროტს ქვეყნისას წაუღია და წაუშლია ვინ იცის რაოდენი ხალხი და ალ. როინაშვილმა კი სძლია ამ ჭირ-ბოროტსა და თავისი უჩინარი სახელი და გვარი ღირსსახსენებელი გახადა თავისს ქვეყანაში.

ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული, რომ უფრო სასახელო კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო.

[1898]

18. <სიტყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის – უსამღვდელოესი ალექსანდრეს კურთხევის ცერემონიალზე>

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!

„მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისათვის, რომ თქვენ ჩვენს ქება-დიდებას ჰსაჭიროებდეთ. თქვენი საქმენი, თქვენი ღვაწლმოსილი სიცოცხლე ჩემზე უკეთესად ჰღაღადებს თქვენს ქებასა და დიდებასა და ჩემი თქმა არას მოუმატებს თქვენს სათნოებით მოპოებულს სახელსა.

„ნამეტანობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმინდით ვიტყვი, რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანასა და რაკი თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთისოფლისაგან ღონემიხდილი სასოება და წუთისოფლისაგანვე გამქრალი იმედი უკეთესის დღეებისა. უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, როცა სათნოებანი, კეთილმომქმედი, მაღალზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამადიდებელი, ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად,

სადაც ღმერთს ადიდებენ და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს.

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე — თქვენი სამშობლო ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდით, ქვეყანას ქვეყნისას და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთის დაუკლისად გულმხურვალებით და სიყვარულითა. ერთი წუთიც არ ვიცი თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველმყოფელი შუქი ამ ორკეც სიყვარულისა არ მიჰფენოდეს თვითვეულს თქვენს საქმეს, თვითვეულს თქვენს მოქმედებას, ქვეყანას ემსახურებოდით ღმრთისათვის და ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგანაც ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა.

„თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნოებაა, სათნოება, რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულ მღვდელ-მონაზნების შორის ვპოულობთ, რომელნიც ერთს დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, აღარ არიან. თქვენ ხორცი დაუმორჩილეთ სულსა და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არის. გშიოდათ და არა სჭამდით, გწყუროდათ და არა სვამდით, გციოდათ და არა თბებოდით იმისთვის კი არა, ვითარცა ანგაარმა და ძუნწმა ვერცხლი და ოქრო მოიხვეჭოთ, არამედ იმისთვის, რომ რაც საკუთრად თქვენის თავისათვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატოთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გასცეთ, თქვენს სამშობლოს მოახმაროთ. მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა, რომ ორნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია. სადიდებელი კაცისა, მეორე სათნოებაა და ამისთანა სათნოების პატრონი თქვენა ბრძანდებით.

„თქვენ აღგვიდგინეთ ჩვენნი დავიწყებულნი წმიდანნი შიო მღვიმელი და იოანე ზედაზნელი. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს, ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავდადებით. თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელთმძღვანელი და განმწმენდელი მისი რჯული და სარწმუნოებაა და ამ გზაზე ღვაწლმოსილობისათვის არა დაგიზოგიათ რა. ამისდა მოწმად თქვენ მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთნი ჩვენის სულიერის ზეაღსავლობისა. აქ მეტია თვითვეულის თქვენის ღვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილოდ საქმე რამ აჩენილა. არ არის არც ერთი საერთო საქველმოქმედო საქმე ქართველებისა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა-კურთხევა წინ არ უძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს.

„მარტო ისიც საკმარისია თქვენის სახელის მადლობით ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრიულ სიყვარულით გაუზარდეთ თქვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოზი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზდილი, თქვენის მაგალითით გაწურთვნილი, თქვენის სულისა და გულის თანამოზიარე განძია, საუნჯეა. ჩვენ შევხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოზს სასოებით და იმედითა, იმიტომ რომ თქვენი გაზდილია, თქვენი სულიერი შვილია და ყოველი მზგავსი მზგავსსა ჰშობსო, ნათქვამია.

„თქვენს გაზდილს დიდი და ეკლიანი გზა უდევს წინ, თუ სიყვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ წაიმძღვარებს და მსახურება მისი მსახურება იქნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარის თავის გაწირვისა, წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, საცა უბედურება და კილვა ისე ხშირია, როგორც არსად. ჩვენ იმედი გვაქვს, თქვენი გაზდილი, თქვენი გაწურთვნილი არა ეკალს არ შეუშინდება და თქვენს მაგიერობას გაგვიწევს. მაგიერობას მეთქი!.. მომიტევეთ, გული კაცისა ხარბია: ჩვენ მეტი გვენატრება. ნუთუ თქვენ

თვითონ არ ინებებთ, რომ თქვენი გაზდილისაგან მეტი მოვითხოვოთ, მეტი მოვილოდინოთ. თქვენ მამა ხართ და ეგ თქვენი შვილია და რადგანაც ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ჩვენზე უფრო მეტის ნატვრით ინატრებთ, რომ თქვენი გაზდილი თქვენ დაგემჯობინოთ ჯერ ღვთითა და მერე თქვენისავე კურთხევით. ამისი, ამ ჩვენის კადნიერის რწმენის თავმდები და საბუთი თქვენი მამულიშვილური სიყვარულია, რომლის წინაშე ქედს იხრის ყოველივე სხვა პირადი გრძნობა პატიოსანის კაცისა.

,,ჩვენო მართლადა საყვარელო და ღირსსახსოვარო მღვდელმთავარო! თქვენ აქედამ მიბრძანდებით, მაგრამ ღვთის მადლით, ჩვენის ქვეყნიდამ კი არა. იქაც ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან, ჩვენ აქ გეახელით, რომ გზა მშვიდობისა მოგახსენოთ და თქვენს წინაშე ღმერთს ვთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა და თქვენგან ლოცვა-კურთხევა მივიღოთ. მოგვირთმევია მცირეოდენი ძღვენი ესე ჩვენდა სახსოვრად კი არა. ჩვენ უამისოდაც გეხსომებით მთელს საქართველოსთან ერთად, რადგანაც შვილნი ვართ საქართველოსი, რომელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ ერთგულებითა და სიყვარულით. მიიღეთ ნიშნად ჩვენის გულითადის მადლობისა და უღრმესის პატივისცემისა და გიხაროდენ, რომ შენის ქვეყნის შვილნი მოიწიფენ იმოდენად, რომ შეძლებისამებრ მადლობას უხდიან მადლობის ღირს კაცსა. გიხაროდენ, იმიტომ, რომ ესეც ერთი ფეხის წინ წადგმაა, ერთის საფეხურით ზეაღსვლაა თქვენის ქვეყნის შვილებისა, რადგანაც მარტო ბრმამ და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვის ღვაწლის დაფასება.

,,თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვშორდებით, მაგრამ ჩვენთა იმიერ ძმათა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუხარებას და გვამხნევებს ჩვენ. ჩვენგან მეტისმეტი გულძვირობა იქნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენ ვწუხვართ

თქვენს წასვლას და გვიხარიან თქვენი იქ მისვლა. ჩვენ გვაკლდებით და ღვთის მადლით, იქ შეემატებით. ყველგან ჩვენს ქვეყანაში საჭიროა იმისთანა კაცი, რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთნება ხასიათი, იწმინდება გონება და გული ადამიანისა. უხაროდეთ მათ, საცა თქვენ მისდიხართ და ჩვენ ეს არა გვშურს, რადგანაც იქაც ჩვენები არიან, თუნდა ესეც არ იყოს, თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენებაც თქვენი სახელისა ჩვენი მწვრთნელია. ოჰ, რა ბედნიერიაო იგი კაცი, რომელიც გვწურთნის და გვასწავლის ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თვისის სახელის ხსენებითაცაო, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენი. ამისთანა ბედნიერი ხართ თქვენ. იყვენით კვლავაც ასე ბედნიერ ჩვენდა თავმოსაწონებლად და ნუ მოაკლებ თქვენს ლოცვა-კურთხევას, თქვენს ღვაწლს თქვენს საყვარელს ერსა, თქვენს საყვარელს ქვეყანასა. საცა გინდ ბრძანდებოდე, აღიღე კვერთხი ესე და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა და სათნოებისასა.

,,დაგვლოცე და შენი მადლიანი ხელით გვაკურთხე შენნი მადლობელნი და შენ მიერ ღვაწლდებულნი''.

[1898]

19. <ცვლილებები ბანკის წესდებაში>

ტფილისი, 19 ოქტომბერი

დაიბეჭდა და, ვითარც ჯერ არს, გამოცხადდა იგი ცვლილებანი, რომელნიც შეეხებიან ჩვენის ტფილისის ბანკის წესწყობილებას. არ იქმნება მეტი, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რა საგანს ეკუთვნიან ხსენებულნი ცვლილებანი და რაში მდგომარეობენ.

ყოვლთ უწინარეს უნდა მოვიხსენიოთ იგი გარემოება, რომ ეგრედწოდებული წევრნი-დამფუძნებელნი ამიერიდგან გადაყენებულნი არიან და ბანკის წევრად აღარ ითვლებიან. წევრთ-დამფუძნებელთ დაუბრუნდებათ მათ მიერ შეტანილი ბანკში სათავნო ფული. როგორ და რა გზით უნდა მოხდეს ამ სათავნო ფულის დაბრუნება — ამისი წესი და რიგი უნდა გამოარკვიოს შეერთებულმა კრებულმა ბანკის გამგეობისამ და ზედამხედველ კომიტეტისამ და ამ შეერთებულ კრებულს თავმჯდომარედ ეყოლება იგი, ვისაც დანიშნავს მისი ბრწყინვალება მთავარმართებელი თ. გოლიცინი. ამ სახით, შეერთებული კრებული დროებითია — ვიდრე ხსენებულ წესსა და რიგს გამოარკვევდეს და ექმნება საგნად მარტო სათავნო ფულის დაბრუნების საქმე. წევრნი დამფუძნებელნი ამ ცვლილებათა გამოცხადების დღიდგანვე, ესე იგი ამიერიდგანვე აღარ ითვლებიან ბანკის წევრებად, იმისდა მიუხედავად, სათავნო ფული დაბრუნებული ექნებათ თუ არა.

ეს ერთი არსებითი ცვლილება. მეორე არსებითი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ რაკი წევრნი-დამფუძნებელნი აღარ ეყოლება ჩვენს ბანკს, მისი მაგიერობა მიეკუთვნა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას და ამის მიხედვით შეიცვალა და სხვა საფუძველზე აშენდა იგი უმაღლესი დაწესებულება ბანკისა, რომელსაც საზოგადო კრება ბანკისა შეადგენდა. ამას იქით საზოგადო კრების მაგიერ იქნება ეგრედ წოდებული „რწმუნებულთა კრება“. რწმუნებულთა კრება შესდგება ორას ათის კაცისგან, აქედამ ას ხუთი ამორჩეულ უნდა იქმნას ტფილისის გუბრნიის თავადაზნაურობისაგან იმ წესით, რა წესითაც აირჩევიან ხოლმე მაზრის თანამდებობისათვის და თვითო მაზრისაგან იმდენი, რამდენიც დანიშნულ იქმნება წინადვე გუბერნიის კრებისაგან. ამ სახით გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ უნდა წინადვე გადასწყვიტოს, — რომელმა მაზრამ რამდენი რწმუნებული უნდა იყოლიოს ას ხუთის კაცისაგან.

მეორე — ას ხუთი რწმუნებული უნდა ამოირჩიოს ბანკიდამ სესხის გამტანთა კრებულმა. ამომრჩეველი კრებული სესხის გამტანთა სამის რიგობისა უნდა იყოს. ამისათვის თვითვეული ცალკე სესხის გამტანი ჩაიწერება ამომრჩეველთა სიაში იმის კვალობაზე, თუ რამდენი სესხი აქვს გატანილი, ასე რომ, ჯამი სესხისა სახელმძღვანელოდ იქნება სიაში რიგ-რიგად ჩაწერისათვის, ამნაირად შედგენილ სიის მიხედვით ამომრჩეველთა პირველ რიგობაში მოქცეულ იქნებიან ისინი, რომელთ მიერ გატანილი სესხის ჯამი უდრის ერთს მესამედს ბანკიდამ გატანილ სესხის ერთიან ჯამისა, მეორე რიგობაში — ისინი, რომელთ მიერ გატანილი სესხი უდრის მეორე მესამედს და მესამე რიგობაში — ყველა დანარჩენნი. თვითვეულის რიგობის ამომრჩეველთა კრებული შეადგენს ცალკეს და ერთმანეთზე დამოუკიდებელ კრებულს და თვითვეულს რიგობის კრებული ცალკე უნდა იყოს მიწვეულ რწმუნებულთა არჩევისათვის. ამომრჩეველთა კრებული კანონიერად საცნობელია,

იმისდა მიუხედავად, ბევრი ამომრჩეველი მოვა თუ ცოტა. თვითვეული რიგობის კრებული ირჩევს ოცდახუთმეტს რწმუნებულს და ხუთს კანდიდატსა. თვითვეული რიგობის კრებულს ნება აქვს ამოირჩიოს რწმუნებული როგორც თავისს წევრთა შორის, ისეც სხვა რიგობის წევრთაგან, ხოლო აკრძალულია ამორჩევა რწმუნებულად იმისთანა კაცისა, რომელიც მსახურობს ბანკში დანიშვნითა და არა ამორჩევითა.

რწმუნებულთა არჩევანები უნდა მოხდეს სამს წელიწადში ერთხელ, რადგანაც რწმუნებულნი აირჩევიან სამის წლის ვადით და სამ წელიწადში ერთხელ ან ხელახლად ირჩევიან, ან იცვლებიან. ამომრჩეველთა კრებაში რწმუნებულთა არჩევანების გარდა სხვა არა საგანზე, თუნდ ბანკისაზე, ნება არა აქვთ ლაპარაკი და საუბარი ჩამოაგდონ. ამომრჩეველთა კრებულზე თვითო წევრს მარტო ერთი ხმა აქვს და ამ სახით რწმუნების წერილის ძალით ხმის ქონა აკრძალულია. ქალებს ნება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამომრჩეველთა კრებულში. ქალებს ნება აქვთ გარდასცენ თავიანთი ხმა ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს რწმუნების წერილითა, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქმნას რა ნათესაობა აქვს რწმუნებულს მრწმუნებელთან.

მესამე არსებითი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ რწმუნებულთა კრებული არის უმაღლესი დაწესებულება ბანკისა. იგი საბოლოოდ სწყვეტს ყოველ საქმეს და სარჩიელს ბანკისას იმ წრეში, რომელიც დანიშნული აქვს წესდებითა. რწმუნებულთა კრებულს არავინ გარეშე კაცი არ უნდა დაესწროს. ორნაირი კრებულია რწმუნებულთა: ერთი მორიგი და მეორე საგანგებო. რწმუნებულთა კრებული კანონიერია, რამდენიც რწმუნებული გინდა იყოს მოსული. რწმუნებულთა კრებულს ექვემდებარება: 1) არჩევა და გადაყენება თანამდებობისაგან გამგეობის, დამფასებელთა კომისიის და ზედამხედველ კამიტეტის წევრთა და მისის კანდიდატებისა. 2) დამტკიცება ბანკის მოქმედების საზოგადო გეგმისა, აგრედვე განხილვა და დამტკიცება ზედამხედველ კომიტეტის

განაჩენისა შესახებ იმ საგნებისა, რომელნიც მოხსენებულნი არიან §79-ის 9-15 მუხლებში. 3) განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშისა, შესახებ ბანკის მოქმედებისა; 4) განხილვა ყოველ საგანგებო საგნებისა და აგრედვე მთავრობის მიერ წამოყენებულ სარჩიელისა. 5) განაჩენი შესახებ ბანკის გაუქმებისა და მისთა საქმეთა ლიკვიდაციისა.

ბევრი კიდევ სხვა ცვლილებანია წვრილმან ვითარებისა და თვისებებისანი და ჩვენ მეტი გვგონია აქ ამაების ჩამოთვლა. ყოველივე ცვლილება, რა თქმა უნდა, ჩამოითვლება ახალ წესდებაში, რომლის დაბეჭდვასაც უკვე შესდგომია გამგეობა ბანკისა და მსურველთ შესაძლოდ ექმნებათ ყოველივე დაწვრილებით ახალდაბეჭდილ წესდებისაგან იუწყონ. აქ მოსახერხებლად მარტო ერთი ფრიად შესანიშნავი ცვლილებაღა დაგვრჩა ამოსაწერად და ეს ცვლილება შეეხება გაფართოებას ზედამხედველ კამიტეტის უფლებისას. ზედამხედველ კამიტეტს ნება მიეცა, თუ გამგეობა წარუდგენს, გადააყენოს ვადამდე იგი წევრი დამფასებელთა კომისიისა, რომელიც არ შეეფერება თავისს დანიშნულებას. გადაყენება შეუძლიან მხოლოდ დროებით, სახელდობრ, პირველ რწმუნებულთა კრებულამდე. რწმუნებულთა კრებულს ნება აქვს სამუდამოდ დაითხოვოს სამსახურიდამ წევრი დამფასებელთა კამისიისა, თუნდ სამსახურის ვადა კვლავ ჰქონდეს, თუ კი პატივსადებად იცნობს იმ საბუთებს, რომელთა ძალით წევრი კომისიისა გადაყენებულ იქმნა დროებით. ორსავ შემთხვევაში გადაყენებულის მაგიერ თავმჯდომარე გამგეობისა, თუ საჭიროა, მოიწვევს დამფასებელთა კომისიის წევრთა კანდიდატთაგან იმას, ვისაც არჩევანში მომეტებული თეთრი კენჭი ამოსვლია.

ამ სახით, გამოდის, რომ წევრად ჩვენის ბანკისა ამიერიდგან ითვლება ერთის მხრით ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა და მეორე მხრით თვითვეული ცალკე სესხის გამტანი ჩვენის ბანკიდამ. ეს ორივე მხარე მონაწილე იქმნება და ხელმძღვანელი ბანკის მოქმედებისა მათ მიერ

ამორჩეულ რწმუნებულთა კრებულის საშუალებითა. რწმუნებულთა კრებული ამორჩეულ იქმნება სამი წლის ვადით და თავის დღეში არ აღემატება 210 კაცს, რომელთ შორის ნახევარი თავად-აზნაურთა წარმომადგენელი იქმნება და ნახევარი სესხის გამტანთა. დიდ ცვლილებად, და ბანკის სახეირო ცვლილებადაც, უნდა ჩაითვალოს, რომ რწმუნებულთა კრებულს ნება მისცა კანონმა არ შესაფერი წევრი დამფასებელთა კამისიისა, გამგეობისა და ზედამხედველ კამიტეტისა გადააყენოს და დაითხოვოს სამსახურიდამ, თუნდაც ამორჩევის დღიდამ სამსახურის ვადა არ გასვლოდეს. არა ნაკლებ სახეირო ცვლილებაა ისიც, რომ გამგეობას ნება აქვს წარადგინოს და ზედამხედველს კამიტეტს გადააყენოს, დროებით მაინც, იგი დამფასებელთა კამისიის წევრი, რომელიც რიგიანად ვერ უძღვება თავის თანამდებობას.

საზოგადოდ ყოველ ამ ცვლილებაში საშიშარი არა არის რა, თუ ჩვენ შიგ ჩახედვით და გონიერ წინასწარხედვით შევუდგებით რწმუნებულთა არჩევანებს. საქმე ის არის, ვეცადნეთ, კარგნი საქმის მცოდნენი, საქმის მოყვარენი და გონიერად გამსინჯველნი რწმუნებულნი ამოვარჩიოთ და სხვა ყოველფერში ღმერთია მოწყალე.

[1898]

20. <ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში>

ტფილისი, 13 ნოემბერი

ამ უკანასკნელ წლებში ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესები თითქმის მიყრუვდა შიგ ევროპაში. ის ტკივილები, რომელიც აუჩინა საფრანგეთს გერმანიამ 1870 წ., ცოტად თუ ბევრად დაყუჩდა. დრო და ხანი დიდი წამალია ამისთანაებისათვის. საფრანგეთმა ვერც იმისთანა მომხრეები იშოვა, რომ მათის იმედით გამკლავებოდა გერმანიას და ჯავრი ამოეყარა და ვერც მარტოკამ იგრძნო თავი ესოდენ ღონიერად, რომ სამაგიეროდ გადახდის სურვილი მოეკლა. მას აქეთ 28 წელიწადი გავიდა და ეს საკმაო ხანია — კაცს ყოველი ტკივილი თუ სრულიად არ დაავიწყოს, გაუნელოს მაინც. ამ მხრით ევროპის მშვიდობიანობას არავითარი შიში არა აქვს, ჯერხანად მაინც.

შიშს წარმოადგენდა მარტო ეგრედწოდებული ახლო აღმოსავლეთის საქმე, შიშს საყოველთაოს. საგანი ამ ახლო აღმოსავლეთის საქმისა იყო შიგნით დაუწყობელი და გარეთ უღონო ოსმალეთი, რომლის ნაჭერ-ნაჭერ დაფლეთას დღეყოველ ეტანებოდნენ ევროპის სახელმწიფონი, დღეყოველ იმის მოლოდინში იყვნენ, — დღესა თუ ხვალე სული უნდა ამოხდეს ამ სნეულ სახელმწიფოსაო და დიდი და პატარა ხელს იწვდიდა ამ დაბალ ღობისაკენ, იქნება მისის სამკვიდროსაგან მეც რამე ვირგუნო და გაყოფის დროს უწილოდ არ დავრჩეო. თვითეულის სიხარბემ,

ერთმანეთის შურმა და მტრობამ ეს ადრე და მალე ანდერძაგებული ოსმალეთი გადაარჩინა დაფლეთისა და დანაწილებისაგან. რაკი თვითვეულმა ცალკე სახელმწიფომ დაინახა, რომ მე იმ წილს არ დამანებებენ, რის სურვილიცა მაქვს, დეე ეს ცოცხალმკვდარი სამფლობელო ფადიშაჰისა ისევ პატრონს ეჭიროსო. მართალია, ამ ბოლოს ხანებში კრიტის კუნძული კი ჩამოათალეს საბერძნეთზე გამარჯვებულს ოსმალეთსა, მაგრამ არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ არგუნეს, თუმცა არც ერთს მათგანს ყელზე არ დაადგებოდა და დიდი სიხარულით დააღებდა პირს ამ ნოყიერ ლუკმისათვის. აიღეს და ის კუნძული თითქმის ცალკე სახელმწიფოდ შეჰქმნეს, ისე კი, რომ სახელი ფადიშაჰისა იყოს და სახრავი კი თითქმის საბერძნეთისა.

თქმა არ უნდა, რომ შესაძლოა ტყვია-წამლის სუნმა კიდევ იჩინოს თავი შიგ ევროპაში ამავე ოსმალეთის მიზეზით, რადგანაც რიგზე მოდგა მაკედონიის საქმეც, საცა მშვიდობიანობის დარღვევის შიში მეტად ცხადია და ძალიან ადვილად მოსალოდნელი. მაკედონიაც იძვრის და ტოკავს უწესრიგობის გამო. იქაური ქრისტიანები დღემუდამ ჰკანკალებენ თავისის სიცოცხლისა და ქონებისათვის მაჰმადიანთა შიშისა და მუქარისაგან. კრიტის ჩამორთმევის გამო გამწარებულნი და გაჯავრებულნი ოსმალნი, რომელნიც დღეს-აქამომდე უამისოდაც აწიოკებდნენ იქაურ ქრისტიანებს, დღეის ამას იქით უარესს იქმონენ: რბევას, დაწიოკებას, ხოცვა-ჟლეტას არ დაიშლიან, აირევა ქვეყანა და არევს მთელს ბალკანეთსა, რადგანაც თვითვეულს ბალკანეთის სახელმწიფოს მაკედონიაში თავისი ინტერესები და ტკივილები აქვს. ესეთი ვითარება მაკედონიისა დიდს რეფორმებსა ჰთხოულობს, რომ იქაური ერი დაწყნარდეს და ყოველსავე მოსალოდნელს განსაცდელს მიზეზი მოვლენისა გაუქროს. ევროპის დიპლომატიას იმედი აქვს, რომ უსისხლოდ მოაგვარებს მაკედონიის საქმეს და ოსმალეთს

იძულებულს ჰყოფს საჭირო და შესაფერი რეფორმები მოახდენინოს ხსენებულ ქვეყნის დასამშვიდებლად.

ამ სახით, შიგ ევროპაში საქმე ისე არ არის ჯერხანად გამწვავებული, რომ ხაზი და ლარი დღევანდელის პოლიტიკისა ამ საქმეების მიხედვით გაიბას. სულ სხვაა ევროპის გარედ. რაც უკანასკნელ ხანებამდე დიდთა სახელმწიფოთათვის ოსმალეთი იყო ევროპაში, ეხლა აფრიკაა და ჩინეთი. აფრიკა თითქმის სრულიად გაინაწილეს. ინგლისმა დაიჭირა აქ დიდი ადგილი და ჩრდილოეთიდამ სამხრეთამდე ჰლამის ხელთ იგდოს ეს ქვეყანა, საფრანგეთი იჭერს აღმოსავლეთიდამ თითქმის დასავლეთამდე, გერმანიამაც წილი დაიდო, იტალიამაც, თუმცა ამ უკანასკნელის სიხარბეს კბილი მოსჭრა აბაშეთის ქვეყანამ და ადუაზე ომში კუდით ქვა ასროლინა. ამაების გამო ქსელი ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებისა აქ, აფრიკაში, გაიბა დღეს და, არავინ იცის, დაპირისპირება და შეჯახება ამ ინტერესებისა რას მოავლენს მერმისს. ფაშოდას ამბავს აქ ჯერ ბოლო და დასასრული შორს უჩანს, თუმცა დღეს ფაშოდზე ხელი დააბანინა ინგლისმა საფრანგეთს და ცალიერ მუქარით დამარცხებული იქიდამ გამოაძევა.

მართალია, ფაშოდა თავისთავად დიდი არაფერია, ერთი რაღაც სოფლის მსგავსი უხეირო ქალაქია თეორ ნილოსის კუნძულზე, მაგრამ დიდმნიშვნელობიანია, ვითარცა სადგური ჩრდილოაფრიკიდამ მიმავალისა სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ. ნუ დავივიწყებთ, რომ საფრანგეთის ადგილები აფრიკაში აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ არის და ინგლისისა ჩრდილოეთიდამ სამხრეთისაკენ. აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ რომ ძაფი გააბათ ერთის მხრით და მეორეს მხრით ჩრდილოეთიდამ სამხრეთამდე, ძაფები ერთმანეთს გადაეჯვარება სწორედ ფაშოდაზე. აქედამ აშკარაა, რა ძვირად უნდა უღირდეს ცალკე საფრანგეთსა და ცალკე ინგლისს ეგ რაღაც ფაშოდაა. უმაგისოდ აღმოსავლეთიდამ ძნელი მისაწვდენია დასავლეთი, ჩრდილოეთიდამ

სამხრეთი, და აქ ჩადგომა ერთისა და მეორისათვის არსებითი საჭიროებაა, რადგანაც ერთის აქ ყოფნა მეორისათვის გზის გადაღობვას და კრიჭაში ჩადგომას მოასწავებს. აქ, აფრიკაში, გერმანიაც მონაწილეა და ამის გამო ერთის მხრით საფრანგეთთანა აქვს საქმე და მეორეს მხრით ინგლისთან. ვის არ ახსოვს, რა ყოფა დააწია გერმანიამ ინგლისს ტრანსვალიის რესპუბლიკის გამო, რომელსაც ინგლისმა ხელი წაატანა და ჰლამოდა თავისად გამოყენებას. ამასწინად კი ამბობდნენ, გერმანია აფრიკაში მიემხრო ინგლისსაო და მხარს უჭერსო. ვინ იცის, მართალია ეს ამბავი, თუ ტყუილი, ხოლო დაუჯერებელი კი აქ არა არის რა.

ჩვენ თუ ყოველ ამ გარემოებას აქ ვიხსენიებთ — მარტო იმისთვის, რომ აღვნიშნოთ, — აფრიკაც შესაძლოა გახდეს მიზეზად შუღლისა და ჩხუბისა, რადგანაც ნიადაგი ამისათვის უკვე აშლილია და მომზადებული. აღარას ვიტყვით ეგვიპტისას, რომლის საქმეც დღესა თუ ხვალ უსათუოდ ფეხზე წამოდგება მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა და ჩაითრევს არა მარტო ინგლისსა და საფრანგეთს. ამ სახით, აფრიკის საქმეც დღეს ისეთი განსაცდელიანი საქმეა, რომ შეუძლიან სულ ახალი მტერ-მოყვრობა ჩამოაგდოს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის.

მეორე განსაცდელიანი საქმე ჩინეთის საქმეა. ამაზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 16 ნოემბერი, 1898 წ.

ჩინეთის საქმე ხომ ყველაზე მეტად მიზეზიანი გახდა ქვეყნისათვის. რაკი შედარებით პატარა ქვეყანამ, იაპონიამ, დაამარცხა ეს უშველებელი ჩინეთი, ევროპის დიდთა სახელმწიფოებმა დაბალი ღობე იქ დაინახა და ხარბი თვალი აიხილა, თითქმის დაივიწყა თვით ევროპის საქმეები და მიესია დამარცხებულს ჩინეთს, რომ გამოჰგლიჯოს რამე. სურვილი ცოტად თუ ბევრად აისრულეს კიდეც, მაგრამ ფრანგები იტყვიან: მადა ჭამაში მოსდის კაცსაო და დიდნი სახელმწიფონი მას აღარ სჯერდებიან, რაც უკვე ხელთ იგდეს, კიდევ მეტი უნდათ. მხდალი და მართლა უღონო ჩინეთი დღეს სათამაშო ბურთად გაუხდათ.

ეს უბედური ჩინეთი, თუმცა ტანით და ხორცით უზარმაზარი ვეშაპია, მაგრამ ვისაც კი არ ეზარება, ყველა ზედ მიჰსევია, ყურში ხელს ჰკიდებს და ბაშვსავით ციბრუტივით ატრიალებს. აქაც რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის შური, მტრობა და სიხარბე არ იყოს, არც ერთს აწ ზედმისეულს სახელმწიფოს ცალკე არ გაუჭირდებოდა ეს უზარმაზარი, მაგრამ უღონო ქვეყანა ფეხქვეშ ამოედო და ამ ყოფით ზედ შესჯდომოდა სახედნად. დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის ჯაბრი და ცილობა ინახავს დღეს ჩინეთს და იხსნის ამ უბედურობისაგან, როგორც დღესაქამომდე ინახავდა და იხსნიდა ოსმალეთსა.

აქ, ჩინეთში, უფრო დიდგანსაცდელიანი სარბიელია ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესებისა, ვიდრე აფრიკაში თუ სხვაგან, ევროპის გარედ. ვაჭრობისათვის და საქონლის გასაღებისათვის ჩინეთი დიდს სახარბიელო ბაზარს წარმოადგენს ევროპისათვის, რომელმაც აღარ იცის — სად გაასაღოს თავისი აუარებელი საქონელი და ამის გამო იგი იძულებულია ან თავისი უთვალავი ფაბრიკები და ქარხნები გააუქმოს, ან გზა რაიმე აუჩინოს.

ამიტომაც ჩინეთი მეტისმეტად სანატრელია ხელში ჩასაგდებად, ამიტომაც აქ, ჩინეთში, უფრო მწვავედ მიდის საქმე ერთმანეთში მორიგებისა და მოთავსებისა, ვიდრე სხვაგან სადმე. ყველაზე მეტად აქ გულნატკენობს ინგლისი, რომელსაც დღესაქამომდე წინ აქ თითქმის არავინ ედგა და მარტო ბატონობდა. ეხლა აქ ფეხი აიდგა რუსეთმა და გერმანიამ, საფრანგეთმაც გაიწივ-გამოიწივა საგრძნობლად და ამ გარემოებამ შეჰხუთა ინგლისის ინტერესები. ამის გამო ინგლისი ძალიან ამრეზილია

საფრანგეთზე და ნამეტნავად რუსეთზე. არც გერმანიაა მისთვის უშიშარი, მაგრამ გერმანიას ისე არ უფრთხის ჩინეთში, როგორც რუსეთსა და მისს მომხრე საფრანგეთსა. ამბობენ, ეს გასწრაფებული და გამალებული საომრად მზადება ინგლისისა — ჩინეთის მიზეზით უფროა გამოწვეული, ვიდრე სხვით რითიმეო. ინგლისის ახალშენთა მინისტრი ჩამბერლენი და ბევრნი წარჩინებულნი სახელმწიფო კაცნი, ბევრი ჟურნალ-გაზეთი, პირდაპირ იძახიან, ყოველ განსაცდელისათვის მზად ყოფას ვრჩეობთო, ვშიშობთ — განსაცდელი უეცრად კარზედ არ მოგვადგეს და თავდარიგს ეხლავ ვიჭერთო. საქმე ის არის, რომ განსაცდელს ჩინეთის საქმეებისაგან მოელიან და ამას არა ჰმალავენ.

ასე თუ ისე, ევროპის გარედ გამონასკულმა საქმეებმა, ხმელეთზე ძლიერება, ცოტა არ იყოს, უკან დააყენა და რიხით ხმა ამოაღებინა ზღვაში ძლიერსა. ეს უეჭველი შედეგია დღევანდელთა საქმეთა ვითარებისა და გარემოებისა. ევროპის გარეთ მოქმედებისათვის — საომარი ხომალდები და გემებია საჭირო. ევროპის სახელმწიფონი ვერ მიაწვდიან ხელს ვერც აფრიკას, და ნამეტნავად ვერც ჩინეთს, თუ არ ზღვითა. მარტო რუსეთს შეუძლიან ხმელეთით მიიშველიოს ჯარი, თუ ჩინეთში ასტყდა რამე, ისიც მაშინ, როცა დიდი გზა ციმბირისა თავიდამ ბოლომდე გაყვანილ იქმნება. ამას ერთი წელიწადნახევარი ხანი უნდაო და ამ წელიწადნახევარში ბევრი წყალი ჩაივლის. რუსეთს ერთი უპირატესობა კიდევ აქვს ინგლისის წინაშე: შესაძლოა ინგლისი იძულებულ იქმნას ხმელეთზე საომრად, თუ სახეში მივიღებთ ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში და ამ მხრივ რუსეთის ზედმისევას. აქ, რასაკვირველია, ხმელეთის ჯარის ძლიერება ანგარიშშია მისაღები და ამ მხრით მარტო რუსეთია მისთვის ყველაზე მეტად საფიქრებელი.

ზღვაში კი ინგლისს ვერავინ გაუმაგრდება. არავინ არის ზღვაში ძლიერი ისე, როგორც ინგლისი, არავისა აქვს იმოდენა საომარი ხომალდები და

გემები, არც ისე კარგად მოწყობილი ზღვის ჯარი ჰყავს, როგორც ინგლისს. აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ინგლისი ასეთის რიხით და ქადილით გამოვიდა მოედანზე და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხურით ლამის ყურები გამოუჭედოს ქვეყანას. ამ ზღვაში ძლიერებას უნდა უმადლოდეს ინგლისი, რომ ფაშოდადამ გამოძევამ საფრანგეთისამ ასე მშვიდობით ჩაუარა იმისდა მიუხედავად, რომ საფრანგეთს გვერდთ უდგა ისეთი ძლიერი მომხრე, როგორიც რუსეთია. ტყუილად კი არ იქადის ინგლისის მინისტრი ჩამბერლენი, რომ არავითარი კოალიცია ჩვენთვის საშიშარი არ არის ზღვაშიო: ძალა შესწევს ქადილსა, ეს აშკარაა.

ამ გარემოებისაგან, რომელმაც დღეს ასეთი მნიშვნელობა მისცა ზღვაში ძლიერსა, ინგლისი ყველაზე წინ წამოდგა, ინგლისი გაკადნიერდა და გათამამდა იმოდენად, რომ მუქარად შეექმნა ყველას. მისმა საომრად გაფიცხებულმა მზადებამ მთელს დიპლომატიას ევროპისას ძილი დაუფრთხო, ააყაყანა და შიშით აქეთ-იქით მიახედა. თვით გერმანიის იმპერატორის ადრე და მალე დაბრუნებას შუა აზიიდამ ამ გარემოებას აბრალებენ. ამ უეცარმა ამბავმა გუშინდელს მტერს, ვინ იცის, იქნება მტრობა დაავიწყებინოს და ინგლისის მომხრეობა ანატრებინოს. ყველაფერი შესაძლებელია: ძალა აღმართის მხვნელიაო, ნათქვამია. თვითოეულ სახელმწიფოს საქმეები ისე ჩახლართულია ერთმანეთში, რომ საკვირველი არ იქნება, საცა წვრილია, იქ გასწყდეს, და საცა არა გვგონია — ნასკვის წვერმა იქ ამოჰყოს თავი გამოსახსნელად.

ტფილისი, 17 ნოემბერი

წინა წერილებიდამ სჩანს, რომ ინგლისი დღეს იმ ძლევამოსილს ფეხზედა სდგას, რომ შესაძლოა ან მტერი მოყვარედ გადაიქციოს შიშისაგან, ან მოყვარე მტრად — შურის და ჯაბრისაგან. პირველის შემთხვევის საბუთად საკმაოა გვახსოვდეს ერთი

ქართული ანდაზა, რომ ხშირად ადამიანი იმისი მაყარია, საცა ბოლი მაღალია და ამ ანდაზას ისეთი შესაფერი ადგილი არსადა აქვს, როგორც პოლიტიკაში. რაც გინდა სთქვან, ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაჭერას ცხვირს ზევით არავინ იცილებს, თუ შესაძლებელია. ასეთია ეს წუთისოფელი. მეორე შემთხვევისათვის კი ამას ვიტყვით, რომ დიდ სახელმწიფოებს ეჯავრებათ, რომ ერთი მათგანი მეტისმეტად თავში გაიწევს ხოლმე და მბრძანებლობას იჩემებს, თუმცა თვითოეული ცალკე სულ ამ მბრძანებლობის ხელში ჩაგდებას ეპოტინება და ამის ნატვრაშია. რუსეთის შიშმა შეჰქმნა სამთა კავშირი, გერმანიის ამით გაზვიადებამ რუსეთსა და საფრანგეთს ერთი პირი შეაკვრევინა. თუ მე არა, ნურც შენაო, აი თავი და ბოლო მბრძანებლობისათვის მომართულ პოლიტიკისა.

რა თქმა უნდა, არც ინგლისს ჩაუვლის მუქთად და ამაოდ ეს დღევანდელი თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური და რიხიანი ქადილი, — არავისი გვეშინიან და ყოველ განსაცდელისათვის სამზადისში ვართო. ამ გარემოებამ ან საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია უნდა ერთად შეჰკრას ინგლისის საწინააღმდეგოდ, ან თითონ ინგლისი უნდა შეეკრას ვისმე. მეტისმეტად ძნელად დასაჯერებელია, რომ ან საფრანგეთმა, ან რუსეთმა ინგლისთან ერთად საქმის დაჭერა რამ მოინდომონ. ამათი ინტერესები ერთმანეთში თითქმის მოურიგებელია და მოუთავსებელი. მაშასადამე, სახეში უნდა ვიქონიოთ ერთის მხრით ინგლისი და მეორეს მხრით რუსეთი და საფრანგეთი. ამათ შუა გარემოებამ ჩააყენა გერმანია და ორივე მხარე გერმანიაზე მოახედა. ჯერ გერმანიას თავისი არ უთქვამს, საით გაიწევს, ვის მიემხრობა. ხოლო ეს კია, რომ გერმანია ერთი იმისთანა სახელმწიფოა დღეს, რომელსაც ინგლისი როგორც აფრიკაში, ისეც ჩინეთში ადვილად მოურიგდება, ვიდრე სხვას.

ინგლისის მინისტრის ჩამბერლენის სიტყვა, ბირმინგამში თქმული, ამისი ცხადი მანიშნებელია. ჩვენა და გერმანიას არსად ისეთი მიზეზიანი და

ცხარე ინტერესები არა გვაქვსო, სთქვა ჩამბერლენმა, რომ დაგვიშალოს ერთმანეთთან მოთავსებაო. მეტისმეტად შესანიშნავი ეს არის, რომ ჩამბერლენი ჩრდილო -ამერიკის შტატებთან ერთად საქმის დაჭერას თითქმის გათავებულ საქმედა სთვლის და ამასთან გერმანიასაც ფიანდაზებს უშლის ფეხთა ქვეშ. არ ვიცით, გერმანია როგორ მოექცევა ამ ფიანდაზებს, რომელსაც ასეთის წინადასწრებით ინგლისი ფეხქვეშ უშლის, ეს კი გაკვრით გაისმა გაზეთებში, ვითომც ეს ორნი სახელმწიფონი, გუშინ მტერნი აფრიკაში, დღეს იქ ერთმანეთს მხარს აძლევენ თურმე. რასაკვირველია, ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ გერმანია და ინგლისი ჩინეთშიაც, ან სხვაგან სადმე მაგრად გულს ჩაეკრან ერთმანეთს, მაგრამ იმისი მაგალითი კია, რომ ამ წუთისსოფელში ყველაფერი ცვალებადია და, მაშასადამე, მოსალოდნელი.

იქნება იკითხონ, თუ დღევანდელი ცილობის ასე თუ ისე გადამწყვეტელი ზღვაში ძლიერებაა, რა საჭიროა ინგლისისათვის გერმანია, რომელიც თითქმის ეხლა იჩენს საომარ ხომალდებსა და გემებს და ამ მხრით არავითარს სახარბიელო ღონეს არ წამოადგენს. ჯერ ერთი ესა, რომ სულ არარაობას ცალუღელი ხარი სჯობიაო და გერმანია თუნდ ერთის ხომალდითაც მიეშველოს ინგლისს, ყელზე არ დაადგება. მერე ის იქონიეთ სახეში, რომ გერმანია ერთის მხრით რუსეთს გადაჰყურებს და მეორეს მხრით საფრანგეთსა და ამისი მარტო ამრეზა ან ერთზე ან მეორეზე, — სხვას ნურას ვიტყვით, — დიდად შეაფერხებს საფრანგეთსა და რუსეთს ხმელეთზე და ამათს ძალღონეს კბილს მოსჭრის საგარეოდ. შიგ ევროპაში ამრეზილი ასეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც გერმანიაა, ისე ხელგაშლით ვერ ამოქმედებს გარედ ვერც რუსეთს, ვერც საფრანგეთსა, და ესეთი გარემოება დიდი რამ არის ინგლისისათვის, თუ იგი მართლა ამ ორ სახელმწიფოსათვის ემზადება გარედ გასამკლავებლად.

საფრანგეთი ჰგრძნობს, რომ ესეთი ვითარება საქმეთა, იქნება, თავს მოეხვიოს და რომ ძალიან არ გაუთამამდეს სადმე ინგლისი, დღეს იგიც ცდილობს გერმანიასთან დაახლოებას. საფრანგეთი იძულებულია თვისი მტრობა, რომელიც აქამომდე გულში ჰქონდა გერმანიასთან, დავიწყებას მისცეს და შეურიგდეს გერმანიას. იმედი აქვთ, რომ გერმანიის იმპერატორი, რომელმაც არა ერთხელ ანიშნა ქვეყანას, რომ საფრანგეთთან შერიგებაზე შორს არ არის, გულმედიდობით არ მოექცევა საფრანგეთისაგან გამოწვდილს ხელს და უარის თქმით ხელახლად არ აუშლის აწ დაყუჩებულს იარას წარსულისას. რა თქმა უნდა, ელზას-ლორენის დაბრუნებას აქ ადგილი არ ექნება, ხოლო საფრანგეთი დღეს ინგლისისაგან ისე გამწარებულია, ისეთს გარემოებაშია ჩაყენებული, რომ მეტი გზა არა აქვს, ელზას-ლორენის საქმეს უნდა გაუჩუმდეს, ოღონდ ინგლისს კი მშვილდი ძირს დაადებინოს. თუ ესეა, ადვილი საფიქრებელია, რომ დღევანდელი მტერ-მოყვრობა, დღევანდელი კავშირ-ზავობა სულ ძირიანად დაირღვეს და ახალი ამბები დავინახოთ როგორც ევროპაში, ისეც გარეთ.

მართლადა, თუ გერმანიამ და საფრანგეთმა ერთმანეთში საქმე გაისწორეს და ერთმანეთს მხარი მისცეს, ინგლისს სხვა არა დარჩება-რა, რომ ან დღემუდამ ამათის შიშქვეშ და ფერებაში იყოს, ან ამათ მიემხრას. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი უიმისოდ ვერ მოხდება, თუ ინგლისმა საფრანგეთის წინაშე თითი არ მოიკაკვა და მისს გამწარებულს გულს კარგი წამალი არ დასდვა. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული — ვისი მტერ-მოყვრობა უფრო იაფად დაუჯდება, ვინ უფრო მისთვის სასიშარია საქვეყნო სარბიელზე, საფრანგეთი თუ სხვა ვინმე. ინგლისი არც გერმანიას გადაურჩება ისე, რომ თანხები რამ არ დაჰპირდეს და ხახა არ დაულბოს. ევროპაში — გერმანიას, თუნდ საფრანგეთიც დაუმეგობრდეს, ბევრი რამა აქვს არამცთუ სანატრელი, არამედ გასაფრთხილებელი. ეს საფრთხე რომ არ იყოს, გერმანია ასე წელებზე ფეხს არ დაიდგამდა ჯარების

დღემუდამ გაძლიერებისათვის და თვისს სახელმწიფოს ერთ უშველებელ ყაზარმად არ გადააქცევდა. მარტო საფრანგეთის შიში ასე არ დაამძიმებდა გერმანიას, როგორც სხვისა შიში.

ამ სახით, დღეს საქმე იმაზეა მიმდგარი, — საით და ვისკენ გაიწევს გერმანია, რომელიც ორთავ მხარეთათვის მეტად სახარბიელოა და სანატრელი და რომელიც ამის გამო დღეს თავმოწონებელი უნდა იყოს; ჩვენის ფიქრით, უნდა კი საითმე გაიწიოს. ორწყალშუა მისი დგომა ჭკუაში ძნელად მოსასვლელია, არა გვგონია, გერმანიამ ეს იშვიათი შემთხვევა თავისის საკუთარის ლარისა და ხაზის გასატანად ხელიდამ გაუშვას და თავისის საკუთარის გულნადებისათვის ასე თუ ისე არ გამოიყენოს. უეჭველია, გერმანიას თან ნალოსავით აეთრევა ოსმალეთიც, საცა დღეს იმპერატორის ვილჰელმის სახელმწიფოს ასეთი ხმა და პატივი აქვს, როგორიც არავის სხვას. ადვილად გამოსაცნობია, — რისთვის და ვისთვის ხელისგულზე გაუგორდა თავმომწონე იმპერატორი ვილჰელმი ფადიშაჰსა ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ესტუმრა და პალესტინა მოიარა. არც ის არის ძნელი გამოსარკვევი, ესე უეცრად რად გამოეჩქარა გერმანიის იმპერატორი თავისის ქვეყნისაკენ და თავისი განზრახული მიმოვლა პალესტინაში ასე უცებ რად მოსპო შეუსრულებლად. აშკარაა, მიზეზი ამისი იმ სახარბიელო და გამოსალოდნელ ყოფა-მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ, რომელშიაც ჩააყენა გერმანია დღევანდელთა საქმეთა გარემოებამ და მოედანზე დიდის ქადილით გამოსვლამ ინგლისისამ ხმლის ლესვითა და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხურითა.

[1898]

21. უკანონოდ შობილთა უფლება

ტფილისი, 18 ნოემბერი

შიდარუსეთის გაზეთები ერთს იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც არც ერთი კაცთმოყვარე და მართლა განათლებული ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს და შეუმჩნევლად არ დააგდებს. იგინი გვაუწყებენ, რომ ახალი კანონპროექტი მზადდება, რომელსაც საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად ადამიანური უფლება მიანიჭოს იმათ, ადამიანად იცნას იგინიც, ვისაც კანონი დღევანდლამდე უფრო სდევნიდა, ვიდრე სწყალობდა. ამისთანანი არიან ეგრედწოდებულნი უკანონოდ შობილნი, ესე იგი იგინი, ვინც თავისდა საუბედუროდ იბადებიან ქორწინებით შეუღლების გარედ. ყველას მოეხსენება, რომ ამგვარად შობილისათვის არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამეული, არც დედეული ქონება, არც მამაშვილური და დედაშვილური განწყობილება. ერთის სიტყვით, რაც ქვეყანაზე ერთსისხლხორცობა, მამადედაშვილობა, ნათესავობა წილს უდებს ადამიანს, ამას ყოველფერს მოკლებულია, ვინც იბადება დაუქორწინებელ დედ-მამისაგან.

ასე უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა, სწორედ, ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალმკვდრად დამარხვაა უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ეს ერთი იმისთანა უსამართლობაა, რომლის გამო კაცი ჰორთის, თუ კარგად ჩააკვირდება. თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კანონისა და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვის და დანაშაულის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედ-მამისა საზღაურად რათ უნდა გაუხდეს შვილსა? მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ღირსება, ყოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც კი ამ წუთისოფელში ჰთამამობს და თავს იწონებს სხვა ყოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისსავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს. იგი უდედმამოა, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესავოა, უსახელოა, უგვაროა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედისეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წაართვა? ვის რა შესცოდა? განა აქ ადამიანს გულისტკივილი დაუამდება, რომ პასუხად უთხრან: მისი დანაშაული ის არის, რომ მისი დედ-მამა შესცდა და უკანონოდ გააჩინეს შვილიო?

დევნა და შეჩვენება უკანონოდ შობილისა დიდი ხნის ამბავია ქვეყანაზე. ამ დევნამ და შეჩვენებამ იქამდე მიაღწია, რომ დედ-მამას მამაშვილური და დედაშვილური უწმინდაესი გრძნობაც კი აგმობინა და მაშინ, როდესაც კანონიერად შვილის ყოლა მთელის ოჯახისათვის დიდს სიხარულს და დღესასწაულს შეადგენს, უკანონოდ შვილის გაჩენა საწყევლად და საკრულველად მიაჩნია დედ-მამას და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს ახლადშობილს პაწაწას ხშირად ან ადრე და მალე გამოასალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთისოფელს დედ-მამანივე, ან სხვას გადაუგდებენ თავიანთს სისხლხორცს, თავიანთს ტირილითა და კვნესით ნაშობს.

რა თქმა უნდა, ამ ორისავ სახის საქციელს დედ-მამისას კანონი დიდ დანაშაულობად სთვლის და დიდს სასჯელსაცა სდებს, თუ შეუტყო და, მაშასადამე, კანონი აქ არაფერს შუაშია. კანონს აქ ვერავინ დასწამებს, ვითომც ამგვარს დანაშაულობას

დღესაქამომდე ხელს უწყობდეს, ან უჩუმდებოდეს. კანონი ყოველთვის სამართლის ხმლით ხელში წინ ედგა ამისთანა დანაშაულობას. ხოლო შიში კანონისა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილს უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრახვისას და ყბადაღებისას საზოგადოების მხრით, და აი, ყოველივე ეს არის მიზეზი იმ ყოველგვარ ბოროტისა, რაც დედ-მამის უკანონოდ დაახლოებას მოსდევს სისხლის სამართლის თვალით. მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზეგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაცა, ერსაცა.

დღეს აქამომდე უკანონო შვილს და დედ-მამის უკანონო დაახლოებას, რაც გინდ წმინდა გრძნობა და დიდი სიყვარული წინ უძღოდეს, თითონ კანონიც იმავე წყრომით და განკიცხვით უყურებდა, როგორც საზოგადოება. კანონის მიერ ასეთის თვალით ყურება, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად კვერსა სცემდა საზოგადოებაში ამ საგანზე ძველთაგანვე ფეხმოკიდებულ აზრსა და ძირს უმაგრებდა. ეხლა კი სულ სხვას უკეთესს და სამართლიანს გზას დასდგომია კანონმდებლობა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ და ამისი აუცილებელი სიკეთე ის იქნება, რომ თვით საზოგადოებასაც მოულბება გული და ისეთის შეჩვენებით აღარ მოექცევა ასე თუ ისე შეცდომილ მშობლებს უკანონო შვილისას, რომელნიც შესაბრალებელნი უფრო არიან, რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქოლავნი. ზოგიერთისათვის შერცხვენა, სირცხვილი ჯვარცმაზე უარესია და ეს არის მიზეზი, რომ ზოგი დედა თავს იწამლავს, ზოგი თავს იფუჭებს, ზოგი თავისს ნაშობს ასე თუ ისე იმეტებს, რომ სირცხვილს დაემალოს, მიეფაროს და ჩვენს განკიცხვას და ძრახვას გადაურჩეს.

განა ადამიანთა საზოგადოებისათვის, კრებულისათვის ამისთანა ყოფა-ცხოვრება, ამისთანა

ურთიერთობა შესაწყნარებელია და საკადრისი? ცოდვა დედ-მამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი, რასაკვირველია, არ არის, ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მადლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინცდამაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებულ ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს. ადამიანურმა გულმტკივნეულობამ რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მადლი იქნება. მადლია მამისთვის, მადლია დედისთვის, მადლია სრულიად უცოდველ ბავშვისთვის, რომელსაც ხშირად შობის უმალვე სიკვდილი, ან ქუჩაში გადაგდება მოელის მარტო იმისთვის, რომ დედ-მამანი შესცდნენ, უკანონოდ ჰშობეს და ჩვენს სირცხვილს შეუშინდნენ.

თუნდ ესეც არ იყოს, აბა იფიქრეთ: რა ტანჯვა-წამებაში უნდა იყვნენ, რა ცეცხლში უნდა იწვოდნენ ან დედა, ან მამა, თუ ადამიანობა არ დახშვიათ, როცა სირცხვილისა და შერცხვენის შიშის გამო ან თავისს თავს იმეტებენ სასიკვდილოდ, ან თავისს სისხლ-ხორცს შვილსა მაშინ, როდესაც ბუნება ეუბნება: აი, შვილი და გაიხარეთო! აქ სასჯელი განა ერთიათასად არ აღემატება ცოდვას!.. განა სამართალია ადამიანმა ადამიანი ამ გახურებულ თონეში ჩააყენოს! განა ცოტა მაგალითია, რომ ეს ასე მომხდარა! სისხლის სამართლის მატიანე სავსეა ამისთანა მაგალითებით და რამდენს სხვას კიდევ ამისთანა ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე არც კი მიუღწევია.

ესეთი კაცთაშორისი უსამართლო, უმადლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოიჭამს და მარტო ისტორიაშიღა თუ დარჩება კაცობრიობის არასასახელო სახსოვრად, ვითარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა.

ზემოხსენებული კანონპროექტი, როგორც შემდეგს წერილში დავინახავთ, ამ მხრით საქმის გასწორებას ჰლამის და საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად მოარბილოს ეხლანდელი გულქვაობა საზოგადოებისა და უფრო სამართლიანის თვალით მიახედოს უკანონო მამაშვილობასა და დედაშვილობაზე, ვიდრე ეს აქამომდე იყო. ასეთი წინ ფეხის გადადგმა კანონისა თუ კი ასრულდა და განხორციელდა, მოასწავებს განზე გადგმას ადამიანობის მიჯნებისას ამ წუთისსოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრეთწოდებულ პროგრესისა, სხვათა შორის.

ტფილისი, 19 ნოემბერი

ჩვენს გუშინდელს მეთაურში მოვიხსენიეთ, რომ მზადდება კანონპროექტი უკანონოდ შობილთა შესახებ შიდარუსეთის გაზეთების სიტყვით. ესევე გაზეთები გვაუწყებენ, რა გზით განუზრახავთ გასწორება ამ შემთხვევაში საქმისა და რა წესრიგობა დაუპირებიათ დაადგინონ ამ საქმის უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. იგი წესრიგი ჩამოთვლილია იმ გაზეთში, საიდამაც ეს ამბავი შევიტყეთ; და რომ ჩავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ უკანონო შვილი ისე უნუგეშოდ და უმწეოდ აღარ ახელს თვალს ამ წუთისსოფელში შემოსასვლელად, როგორც აქამომდე იყო. კანონპროექტი გარკვევით და ცხადად ამბობს, რა უფლება და მოვალეობა უნდა მიეკუთვნოს ცალკე დედას, ცალკე მამას და ცალკე უკანონო შვილს.

აქ ყველაზე უწინარეს სახსენებელი ის არის, რომ მშობელობის უფლება* ეძლევა დედას მთლად და განუყოფელად და არა მამას. ამასთან დედა მოვალეა უპატრონოს შვილს, გაზარდოს და მისის ინტერესების წარმომადგენელი იყოს ყველგან, საცა კი საჭიროება მოითხოვს. ხარჯს უკანონო შვილის გაზრდისას და სწავლებისას კანონპროექტი ვალადა

* Родительская власть.

სდებს, შეძლებისამებრ, დედას, ვიდრე შვილი სრულწლოვანი შეიქმნება. უკანონო შვილს გვარი დედისა უნდა მიეთვისოს და თუ დედა არ იციან ვინ არის, სახელი ნათლიასი, მამეულად გადაკეთებული უნდა მიეცეს გვარად. ოცდათერთმეტის წლის განმავლობაში დაბადებითგან უკანონო შვილს ნება აქვს სამართლით დაიმტკიცოს თავისი შთამომავლობა ამა თუ იმ დედაკაცისაგან. დედეულის მამულსა და ქონებაში უკანონო შვილს ისეთივე მონაწილეობა ეძლევა, როგორც კანონიერ შვილს.

მამის შესახებ კანონპროექტს სულ ახალი წესი შემოაქვს, აქამდე არსებულ კანონებში არხსენებული: მაგალითებრ, მამა უკანონო შვილისა მოვალეა, თავისის შეძლებისამებრ, იტვირთოს ხარჯი, რაც კი მოუნდება გაზრდას, მოვლას და სწავლებას უკანონო შვილისას, ვიდრე სრულწლოვანი შეიქმნება, თუ დედის შეძლება არ გასწვდა და ყოველ ამას არ ჰყოფნის. უკანონო მამა აგრეთვე მოვალეა აძლიოს ხარჯი თვით უკანონო შვილის დედასაც თავის შესანახად, თუ დედას ამისათვის შეძლება არ აქვს, ან უღონოა თავისის საკუთარის შრომით და გარჯით იშოვნოს საცხოვრებელი სარჩო. ორსავ შემთხვევაში სამართალმა იმოდენა ხარჯი უნდა დაავალოს უკანონო მამასა დედისა და შვილის სარჩენად, რაც დედის შეძლებას აკლია. ეს მოვალეობა უკანონო მამისა, რომ სახსარი ცხოვრებისა მისცეს დედასა და შვილს, თვით მამის სიკვდილშემდეგაც უნდა შესრულებულ იქმნას და მისმა ქონებამ უნდა იხადოს იმ მემკვიდრეობის წილის კვალობაზე, რომელიც შეხვდებოდა უკანონოდ შობილს, მამისაგან შვილად მიჩნეულს.

ეს შვილად მიჩნევა უკანონო შვილისა ახალი ამბავია აწ არსებულ კანონებისათვის. უკანონო მამას ნება ეძლევა თავისი უკანონოდ შობილი შვილი შვილად აღიაროს და თავისის კეთილის ნებით მიანიჭოს უფრო მეტი უფლებანი, ვიდრე კანონითა აქვთ უკანონოდ შობილთა. უკანონო მამას შეუძლიან ნოტარიალურ წესით, ანდერძით, ან ადგილობრივ

მოსამართლესთან განცხადებით, თავისი უკანონო შვილი იშვილოს და ამით უკანონო შვილს მიენიჭება მამეულობის სახელწოდება და მამეული გვარი. გარდა ამისა, მიენიჭება უფლებაც მემკვიდრეობისა მამის ქონებასა და დედულ-მამულში, ხოლო კანონიერ შვილებთან თანასწორად კი არა, თუ კანონზე მივარდება საქმე გაყოფისა და განაწილებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაშვილევს წილი უნდა მიეცეს მარტო იმის ნახევრიდამ, რაც კანონიერ შვილების საწილობელია. სხვა არარა საზოგადო უფლებანი კანონიერ შვილებისა ნაშვილევს არ მიეთვისება, მამის ტიტული, წოდებრივი უფლებანი არ გადადიან უკანონო შვილზე, ამიტომაც ეს უკანასკნელნი უნდა ჩარიცხულ იქმნან ხარჯთმძღეველთა მკვიდრთა შორის.

მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, ნება აქვს ზედამხედაობა იქონიოს შვილის მოვლასა, გაზდასა და სწავლებაზე, თუნდ შვილი დედის ხელთ იყოს. მამას უფლება აქვს იყოს მის აპეკუნადაც და თუ ვინიცობაა უკანონო შვილს დედა მოუკვდა, ან არ იციან დედა ვინ არის, მაშინ მშობლობის უფლება მამას უნდა ეკუთვნოდეს. მამას, როცა შვილად აღიარებს თავისს უკანონო შვილსა, ნება არა აქვს დაასახელოს დედა მისი, თუ მეტრიკის წიგნში დასახელებული არ არის. თუ უკანონო შვილის მამას კანონიერი ცოლი ჰყავს და მასთან კანონიერი შვილებიც, იგი ვერ იშვილებს უკანონოდ შობილ შვილს, ცოლის ნებადაურთველად და თვით ყმაწვილის დაუკითხავად, თუ 14 წლის ასაკშია ყმაწვილი.

თუ მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, კანონიერი შვილებიცა ჰყავს, მაშინ მამისაგან სამკვიდროდ დარჩენილ ქონებიდამ ნაშვილევს უნდა ერგოს წილად ნახევარი იმისი, რაც ერგებოდა, კანონიერი შვილი რომ ყოფილიყო. თუ კანონიერი შვილები არა ჰყავს და მემკვიდრეობა რჩებათ ძმებსა და დებს ნაშვილევის მამისას, მაშინ სამკვიდროს უნდა გამოაკლდეს საქვრივო კანონიერ ცოლისათვის

და დანარჩენიდამ მთელი ნახევარი უნდა ერგოს ნაშვილევსა, და თუ გარდაცვალებულ მამას ნაშვილევისას, ცოლის მეტი არავინ დარჩა, არც ძმები, არც დები, მაშინ, საქვრივოს გარდა, რაც სამკვიდროდ ქონებაა, სულ ნაშვილევს უნდა მიეკუთვოს. უკანონო შვილნიც, ისე როგორც კანონიერნი, მოვალენი არიან უპატრონონ და შეინახონ დედ-მამა, თუ გაჭირვებაში ჩასცვივიან.

ეს არის იგი, რაც კანონპროექტით შეეხება უკანონო შვილების სვე-ბედსა. ხოლო კანონპროექტი იხსენიებს იმისთანა შვილებსაც, რომელნიც დაქორწონებულ დედ-მამისაგან შობილან და მას მერმეთ ქორწინება კანონიერად არ უცვნიათ და გაუუქმებიათ. ამისთანა შვილებს კანონპროექტი აკუთვნებს უკლებლად ყოველს იმ უფლებას, რაც კანონიერ შვილებსა აქვთ. ხოლო განქორწინებას ცოლ-ქმრობის გაყრა მოსდევს და აქ საქმე ის არის, — ვინ უნდა გაიყოლოს შვილები, ვინ უნდა თავისთან იყოლიოს? მართალია, შვილის თავისთან ყოლა მოვალეობაა, მაგრამ დიდი ბედნიერება და სიხარულიც არის, როგორც დდედისათვის, ისეც მამისათვის და რაკი კანონი ცოლ-ქმარს ერთმანეთს აშორებს, ამ ორკეც ტკივილსაც წამალი უნდა დასდოს: ზოგს არ ენდომება შვილისათვის მზუნველობის ტვირთი ჰზიდოს, ზოგი ყოველგვარ წვალებას და წამებას იკისრებს, ოღონდ შვილთან იყოს და შვილი მასთან. ამ შემთხვევაში კანონპროექტი საქმეს ჯერ დედ-მამის ნებაყოფლობაზე აგდებს, და თუ ვერ მორიგდნენო, ვაჟიშვილები მამას შერჩნენ და ქალიშვილები დედასაო, და ამასთან მამას მოვალედა ხდის, დედასთან დარჩენილ შვილების საზრდოდაც ხარჯი გასწიოსო და საპატრონებელი და შესანახი ღონისძიება აძლიოსო.

აი, ჯერხანად ის ცნობები, რაც ერთმა სატახტო ქალაქის გაზეთმა მოგვიტანა, ვითარცა მის მიერ გაგონილი ამბავი. ჯერ არავინ იცის, როგორ გაივლის ეს კანონპროექტი თავისს ჯეროვანს გზას,

რა დაემატება, რა გამოაკლდება, რა სახეს მიიღებს, ვიდრე ცხოვრებაში სამოქმედო კანონად შემოვა. იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამბავი ჩვენ ამოვწერეთ, ქებით და დიდებით იხსენიებს-რა ამ კანონპროექტს, ერთს წუნს სამართლიანადა სდებს, როგორც ჩვენა გვგონია, და ძალიან ჭკუას ახლოც არის. კანონპროექტი, როგორც ზემოდა ვთქვით, სავალდებულოდ ჰხდის, რომ ცოლიანი კაცი, თუ ნებართვა არ აიღო ცოლისაგან, ვერ იშვილებს სხვასთან უკანონოდ ნაყოლს თავისს შვილსაო. თუო, ამბობს გაზეთი, ქმარმა გარედ აიჩინა საყვარელი, აშკარაა ეს ამბავი ცოლმა საწყენად უნდა მიიჩნიოს, ან არა და უკმაყოფილო ცოლქმრობა უნდა ჰქონდეთო, რომ ამისთანა წყენას არ მოერიდოს ქმარიო. და რა საფიქრებელია, რომ ან ერთს შემთხვევაში, ან მეორეში, წყენით გაწიწმატებულმა და გაბოროტებულმა ბევრმა წილმა ცოლმა ამისთანა ქმარს თავზე ხელი გადაუსვას, ბარაქალა უთხრას და გარეთ შობილი აშვილებინოს, რაკი მის ნებაზე იქნება ეს დამოკიდებული.

აშკარაა, აქ ცოლის ნებაყოფლობის აღება მეტისმეტი ბარგია და მერე იმისთანა ბარგი, რომლის სიმძიმის ქვეშ გაისრისება ყოველივე პატიოსანი გულთათქმა ადამიანისა, თუნდ პატიოსანი და გულწრფელი სურვილი დღედაღამ ძალას ატანდეს შემცოდველს მამას საიმისოდ, რომ თავისი შვილი იშვილოს და მით ბუნებური და ზნეობური კანონი, მის მიერვე პირქვე დაცემული და გმობილი, აღადგინოს, თითონაც მოისვენოს სულითა და გულით სინიდისის ქენჯნისაგან და უცოდველს ბავშვს თავისი ცოდვა საზღაურად არ გაუხადოს, ან დაბადებისვე უმალ, ან როცა ცხოვრების მოედანზე ფეხს გასდგამს.

[1898]

22. სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ

ტფილისი, 25 ნოემბერი

1870 წელსა, როცა გერმანიამ თავსზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამითი იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შეჰმუსრა საფრანგეთიო. მას აქედ გარმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავი თავისი ძლევამოსილობა და წინსვლა იმავე ღონისძიებიებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილობისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა.

ამ ოცს უკანასკნელ წელიწადში ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა-მრეწველობა ისე წინ წამოდგა გერმანიაში, რომ ყველასათვის საოცებელი გახდა. წინათ ამ მხრით სუსტი და უღონო გერმანია ბევრად ჩამოუვარდებოდა იმისთანა სამრეწველო ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია და შორიახლოსაც სასწორზე ვერ დაუდგებოდა ინგლისს, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობით ყველა ქვეყნებზე წინ იყო. ეხლა გერმანია ამ ოცს თუ მეტ-ნაკლებ წელიწადში მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის წინ უსწრობს და

ლამის ინგლისს გაესწორპიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიოს.

ასეთმა სისწრაფემ გერმანიის წარმატებისამ განცვიფრებული ყურადღება მიიქცია მისთანა მრეწველ-მოვაჭრე ქვეყნებისა, როგორიც ინგლისია, ბელგია, და ჩრდილო ამერიკის შტატებმაც კი ყურები აცქვიტეს გაოცებისაგან და იმის გამოსარკვევად, თუ რა ძალი და ღონე იხმარა გერმანიამ, რომ მისი ვაჭრობა-მრეწველობა ასე გაძლიერდა და გადიდდა, კომისიები დანიშნეს. აი, ეს კომისიები რას ამბობენ:

,,იგი უპირატესობა გერმანიისა, რომელიც წლიდამ წლამდე უფრო და უფრო თავს იჩენს საქონლის (товар) სიკეთითა და ბაზრების განდიდებითა, სამართლიანი ჯილდოა იმ ზედმიწევნით ასრულებულ პროგრამისა, რომელიც სამის სიტყვით გამოითქმის: საერთო განათლების წარმატება. ეს ქვეყანა მკის იმას, რასაც თესავს, თუ სხვა ქვეყნებს ჰსურთ რომ მის ვაჭრობას და მრეწველობას გაუმკლავდნენ, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იგი, და იმავე მხნეობითაო".

მარტო ერთი პრუსსია, და ამ მხრით იგი სხვა ყველა გერმანიის ქვეყნებზე დაბლა სდგას, სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის წელიწადში ჰხარჯავს მილიონნახევარ მანეთსა იმისდა გარეითად, რასაც ამ საგნისათვის სწირავენ ქალაქების გამგეობანი, სახელმწიფო დაწესებულებანი და ცალკე კაცნი.

,,თვით მეფაბრიკენი და მექარხნენი, ჰხედვენ რა, რა სარგებლობაა, როცა სწავლული და მცოდნე ხელოსნები და მუშები ჰყავთ, ინახავენ სკოლებს თავისის საკუთარის ხარჯით და ზოგჯერ მთავრობაც ჰშველის ფულით ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად. ამ სახით გამართული 248 სკოლაა და შიგ მოსწავლენი არიან 11.000 ყმაწვილი.

,,ყოველის ცალკე ხელობისათვის ცალკე სკოლებია. ხელოსნებისათვის, რომელნიც შენობებს გარედამ და შიგნით ჰხატვენ და ალამაზებენ, პრუსიაში 32 ცალკე სკოლაა, ხარაზებისათვის – 9, დერციკებისათვის – 16, ხაბაზებისათვის – 20, ყასბებისათვის – 6, მჭედლებისათვის 26 და სხვანი.

,,ბადენის დიდს საჰერცოგოს სულ ნახევარ მილიონზე ნაკლები მკვიდრი ჰყავს და სატეხნიკო სკოლებზე კი წელიწადში ჰხარჯავს 180.000 მანეთსა. ჰესენის დიდ საჰერცოგოში, რომელსაც სულ ერთი მილიონი მკვიდრი ჰყავს, ცხრა სახელოსნო სკოლაა, 43 სამრეწველო და 82 სამხატვრო. ყველაზე წინ არის საქსონია, რომელიც თუმცა დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ ას თერთმეტი სატეხნიკო სკოლა აქვს, საცა ასწავლიან ყოველგვარ ხელობას და ხელოვნებას. ამასთან საქსონიაში 10 სკოლაა საკუთრივ მიწათმოქმედებისა და 40 სავაჭრო სასწავლებელი".

ინგლისის კომისია ამბობს: ,,ყოველგვარ სამრეწველოში მუშის გასამრჯელო მატულობს გერმანიში, ხანი სამუშაო დღისა განუწყვეტლივ კლებულობს და პატარა ყმაწვილების მუშაობა თითქმის მოისპო. ინგლისის მეფაბრიკეთ ტყუილადა ჰგონიათ, ვითომც წარმატებას მრეწველობისას გერმანიაში სხვა მიზეზი ჰქონდეს და არა მარტო უპირატესობა და აღმატებულება საყოველთაო საერო განათლებისა და სასპეციალო-სატეხნიკო სწავლა-ცოდნისა".

ვისაც ჩვენში გული ერჩის ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის და ვინც იცის, რა ძალღონეს შეადგენს ერისას ვაჭრობა და მრეწველობა, იმისათვის გულში დასაჭდევია ყოველი ზემოხსენებული ამბავი. იგი დასკვნა, რომელიც გამოურკვევიათ ხსენებულ კომისიებს, ალალბედად ნათქვამი არ არის: იგი შედეგია მცოდნე კაცების გამონაძიებისა და გამონაკვლევისა და, მაშასადამე, სახელმძღვანელოდ მისაღებია ყველგან და ჩვენთვის უფრო. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა ძალა არა გვაქვს, რომ ამ სიდიდე საქმეს შევეჭიდნეთ და სწორედ ეს უღონობა ვალად გვდებს ის მცირეოდენი, რაცა გვაქვს და რაც ხელიდამ გამოგვივა, ტყუილუბრალოდ არ ვფლანგოთ, სიფრთხილით და დიდის წინდახედვით გამოვიყენოთ

იქ, საცა უფრო საჭიროა ფეხის მაგრად დადგომისათვის და წელში გამართვისათვის.

ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოცდახუთის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიამ, ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხდა. ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატეხნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს? ყოველ ორთა შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამაების სწავლა-ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ეგრეა და განსაკუთრებული ნიჭი არა სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭს? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრსა ვხედავთ, ნამეტნავად ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში, და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებდეს იმ მოდგმისა, რომელსაც ჩვენში უფროს ერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელნიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ამ ტყუილად გაბერილს თავმოწონებას.

ცხადია, ესეთი მაგალითები განსაკუთრებულ ნიჭს ვაჭრობისას და მრეწველობისას არ უნდა მიეწეროს. ეს იმ ერთგვარ უნარის საქმეა, რომელიც თვისის საკუთარის ღონით კი არა გულოვნობს, არამედ

სხვისა ულონობით, თავისის სიკეთით კი არა, სხვის ნაკლებულობით, თვისის გამჭრიახობით კი არა, სხვისი გაურჯელობით, თვისის საქმიანობით კი არა, სხვისა უსაქმურობით. საცა უვიცობაა, როგორც ჩვენში, იქ ამისთანა ვაჭრის ბაღდადია. ეგ იმიტომ კი არა, რომ თვითონ ვაჭარი არის სწავლული და მცოდინარი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენა ვართ უსწავლელნი და უცოდინარნი.

ამ სახით, ჩვენი ულონობა სხვისა ღონედ შექმნილა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობად გაუხდია. ჩვენი უცოდინარობა სხვისა ცოდნად ქცეულა და ამაების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდამ მოჰყავს. რასაკვირველია, ერთის უნარი, სულდგმული მეორის უხეირობისაგან, ბევრს თავმოსაწონებელს და სასიქადულოს არაფერს მოასწავებს, მაგრამ ეს ჩვენთვის რა ნუგეშია? მართალია, ამისთანა უნარს მალე ჩააყრევინებს კბილებს იგი სწავლა-ცოდნა, რომელსაც, როგორც ზევით ვნახეთ, ფეხზე წამოუყენებია გერმანია, საცა ვიდრე ამ სწავლა-ცოდნის გზას დადგებოდნენ, თითქმის ებრაელთა ხელში იყო სულშეხუთული და დღეს კი ამ მხრით ყოვლად შემძლებელს ინგლისსაც კი თითქმის ომს უსწორებს მსოფლიო ბაზარში და წარმატება გერმანიელისა აოცებს სხვებსა.

კიდევ ვიტყვით: ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის ულონობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი, რომელისამე ერის მერმისისა. ამით დაე, თავი მოიწონონ და ქადილით ყური გამოგვიყრუონ იმათ, ვისაც ამისი ხალისი აქვს და ვისაც ამისთანა ფუყი უნარი დიდი განძი ჰგონია. ხოლო ჩვენ კი ჩვენი ულონობა უნდა გავითვალისწინოთ და სახსარს ჩვენის გაღონიერებისას ხელი მოვკიდოთ.

ტკივილი ჩვენი აშკარაა და წამალიც ნაპოვნი, ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავის მოსარჩენად. რა თქმა უნდა, ჩვენ იმოდენა სახსარი სად გვაბადია, რომ ჩვენს ტკივილს

მთლად გავუძღვეთ, მაგრამ უარარაობას ცალუღელი ხარი სჯობია. თუ ბევრს ვერ გავწვდებით, ცოტას მაინც მივაშველოთ ჩვენი ორივე ხელი. საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალო-სატეხნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასულის საქმის ხელახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონემილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის. დროა ამაზე ვიფიქროთ, დროა ამ საქმეს ჩავკიდოთ ხელი და ვინ იცის, იქნება იგი თითო-ოროლა გროში რომელსაც ცალკე კაცნი, სოფლები და ქალაქები თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი იმეტებენ, ცოტად თუ ბევრად ამ საქმეს მივაწოდოთ და მოვახმაროთ. მაინც და მაინც ამ აზრის და მეცადინეობის ფეხის ადგმამ ჩვენში იქნება იმოდენად გაგვამხნეოს, რომ იგი შეგვაძლებინოს, რასაც დღეს ჩვენის უთაურობისაგან კარი დახშული აქვს. აზრი და სურვილი ჰშობს საქმესა, რადგანაც აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა.

ტფილისი, 28 ნოემბერი

ჩვენს უკანასკნელს მეთაურში* მოვიხსენიეთ — რაოდენად ყოვლად შემძლებელი ყოფილა საერო სკოლა და სახელოსნო-სახელობო სასწავლებელი ვაჭრობისა და მრეწველობის გაძლიერებისთვის და აქედამ ერის ქონებით გაღონიერებისათვის. ამ სკოლებისა და სასწავლებლების წყალობით დღეს გერმანია იმ ფეხზე დგას, რომ არამც თუ შინ იკეთებს საქმეს, არამედ ჰლამის გარედ, სამსოფლიო სარბიელზე დაიჭიროს ბაზარი და იქ სამაგიერო თავისის საქონლისა მოიხვეჭოს. ამაების წყალობით გერმანია სამსოფლიო ბაზარში დღე ყოველ წინ მიდის და სხვებისათვის ფრიად საგრძნობელს დიდს ადგილს იჭერს. სამსოფლიო ბაზარში გამარჯვება

* იხ. „ივერია“ № 253.

იმისია, ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი. დღეს საქონლის სიკეთით და იეფობით გერმანიას თითქმის ინგლისიც კი ვერა სჯობია და ინგლისი ხომ ამ მხრით დღეს აქამომდე ნაქები და გათქმული იყო ყველგან და ამიტომაც მთელი ბაზარი თითქმის ხელთ ეჭირა.

ჩვენ რომ ჩვენის მკითხველების თვალი მივახედეთ სახელოსნო-სახელობო სასწავლებლების საჭიროებაზე ჩვენში, რა თქმა უნდა, სახეში ის დიდი საგანი არა გვქონდა, როგორიც სამსოფლიო ბაზარში გასვლა და იქ ფეხის მოკიდებაა. სად ჩვენ და სად მსოფლიო ბაზარი! იმოდენად ვინ გასულელდება, რომ სამსოფლიო ბაზრისაკენ ხელი გაგვიწოდოს და იქ გასვლისთვის სახსარი გვაძიებინოს. ნეტავი ჩვენ იმოდენა შევძლოთ, რომ შინვე, ჩვენს სახლშივე პირიდამ ლუკმას სხვა არ გვაცლიდეს და ჩვენი ჩვენვე გვრჩებოდეს და გვხმარდებოდეს. ჩვენი დარდი ის არის, რომ თუ შეძენაა რისამე ჩვენს ქვეყანაში, ჩვენვე შევიძინოთ, კეთებაა რისამე, ჩვენვე ვაკეთოთ, გატანაა რისამე, ჩვენვე გავიტანოთ და შემოტანაა რისამე, ჩვენვე შემოვიტანოთ. ამ პატარა და ვიწრო ფარგლის სარბიელზე პატარა ქვეყანასაც ბევრი რამ შეუძლიან, თუ ჭკუითა და ხერხით მოიქცა. საქმე ჭკუა და ხერხია. ჭკუის სალესი ჩარხი ერთობ განათლებაა და ხერხს ხომ სწავლა-ცოდნა ხელობისა იძლევა.

ბევრი მაგალითია, რომ პატარა ქვეყანასაც ბევრი რამ შესძლებია, ბევრი მაგალითია, რომ ეს მწარე წუთისოფელი გაუტკბილებია და არამც თუ გაუჭირებლივ, არამედ რამოდენადმე სავსებით მოუწყვია თავისი ცხოვრება და კეთილდღეობა. ამისი აი, ერთი საოცარი მაგალითი სხვათა შორის.

ქვეყანაზე ერთი პატარა ქალაქია, სახელად გავასტგუსი. რუკაზე რომ ეძებოთ, ძლივს იპოვით, ასეთი მცირე რამ არის. იმ ქალაქში სულ დედაბუდიანად 5.000 სული ცხოვრობს. აბა, ახლა ჰნახეთ — რა ბედნიერად არის მოწყობილი, რა სიკეთით არის მოკმაზული! სხვას ნურას იტყვით და

მარტო ის გაითვალისწინეთ, რომ ამ პაწია ქალაქს თოთხმეტი სასწავლებელი აქვს. ამათში ერთი რვაკლასსიანი ვაჟების გიმნაზიაა, ორი გიმნაზია ქალებისა, ერთი მასწავლებელთა მოსამზადებელი სემინარია, ორი უმაღლესი საერო სკოლა, საკვირაო სკოლები და სხვანი და სხვანი. ამ თოთხმეტს სხვადასხვა სკოლაში სწავლობენ გლეხნი და ქალაქის მკვიდრნი. ქალაქში გამოდის ორი გაზეთი, რომელთაც კითხულობს დაბალი ხალხიც კი. უბრალო გოგო-მოსამსახურეც კი წლით იკვეთავს გაზეთს და ამის ხარჯს იმეტებს. ქალაქს თავისი თეატრი აქვს, ორი სამკურნალო, ოთხი აბანო და თავისი ტელეფონი. ტელეფონი წელიწადში ღირს ცხრა მანეთი, არც მეტი, არც ნაკლები. რამოდენად საოცარია ეს ამბავი, იქიდამ ცხადი იქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ტელეფონი ტფილისში შვიდ თუმან ნახევარია წელიწადში, სამწუხაროდ, სხვა სიკეთეს ამ ქალაქისას არ გვაუწყებს იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამბავი ამოვიღეთ, მაგრამ ესეც საკმაოა, რომ კაცი გაოცდეს და თავის თავსა ჰკითხოს: საიდამ და როგორ მოუხერხებია ამ პაწია ქალაქს ეს ამოდენი სამაგალითო საქმე.

მერე იცით, რა ქვეყანაა იგი ქვეყანა, საცა ამ პაწია ქალაქს ასეთი ბედნიერება მოუფენია და ასე უხვად? იგი ერთი რაღაც მწირი, ქვა-კლდიანი, ყინვა-სიცივიანი ქვეყანაა ერთობ და სახელად ფინლანდია ჰქვიან. ჩვენი ქვეყანა ჰავით და მიწით, მომცემლობით და ბუნებურ სიმდიდრით რომ შეადაროთ, ისე განირჩევა როგორც სამოთხე ჯოჯოხეთისაგან. იმ უნაყოფო ადგილს, იმ კლდე-ღრეში ყინვა-სიცივეში ადამიანს ასეთი ბედნიერი და მაძღარი ცხოვრება მოუხერხებია, ასეთი კეთილდღეობა მოუფენია და ჩვენ კი ამ ჩვენს მართლადა დალოცვილს ქვეყანაში, საცა, ჩვენის გლეხისა არ იყოს, იესო ქრისტეს თავისი კალთა უხვებისა დაუბღერტია, აქ, ამისთანა სამოთხეში კი შიმშილით სული უნდა ამოგვდიოდეს, სიშიშვლით ტანი ან სიცხისაგან უნდა გვეხრუკებოდეს, ან სიცივისაგან გვეშაშრებოდეს!..

რას უნდა მივაწეროთ, რომ ფინლანდიელი კლდე-ღრისაგან იმოდენას ჰშოულობს, რომ ასე სავსებით სცხოვრობს და ჩვენ კი ამ მშვენიერს და მდიდარს ქვეყანაში ლუკმაპურიც კი გვენატრება! ნუთუ ჩვენი ღონე ღონე არ არის, ჩვენი ხელი ხელი არ არის!.. რად გვემართება ასეთი საქმე?

ჩვენ დღეს ყველაფერზედ გულგატეხილები ვართ, ჩვენის საკუთარის თავისა აღარა გვწამს რა, არც ღონე, არც ხელი და ყოველ ამისგან არც ხვალინდელი დღე. ამიტომაც დღეს დიდსა და პატარას ხმის ამოუღებლივ ვექელვინებით და წინადვე გულხელი დაგვიკრეგია, თითქო რაკი დასამარხავი ვართ, ბარემ წინადღითვე მზად ვიყოთო და სამარეში ჩასვლა არ დაგვიგვიანდესო. არა, ჩვენის უნუგეშობის მიზეზი არც ის არის, რომ ჩვენი ღონე ღონე არ იყოს და არც ის, რომ ჩვენი ხელი ხელი არ იყოს. არც ერთი დაუკლია ჩვენთვის ღმერთს და არც მეორე, როგორც ყველა სხვისთვისაც. ხოლო ღონეცა და ხელიც „უხმარ არს“ უცოდინართათვის. აბა, აქ არის სწორედ ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს. უხერხო ღონე, უხერხო ხელი არაფრის მაქნისია და ამ უხერხობაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ჩვენის უძლურებისა და აქედამ, ჩვენის სასოწარკვეთილებისაც.

რა შესძლებია ერთობ საერო განათლებასაც და სასპეციალო სატეხნიკო სკოლების მოფენას, ეს ხომ ვნახეთ გერმანიაში. ამასვე ვხედავთ ფინლანდიაში და, სახელდობრ, იმ პაწია ქალაქში, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. სწავლა-ცოდნას ისე გაუღონიერებია იქ ადამიანი, რომ ქვა-კლდიდამაც სიმდიდრე გამოაქვს, ქვა-კლდესაც კი სარჩო-საბადებელს აჩენინებს იმოდენის ნამეტნობით, რომ უძღვება ხარჯს თოთხმეტის სასწავლებლისას, ორის გაზეთისას, თეატრისას, სამკურნალოებისას, ტელეფონებისას და სხვა ამისთანა მოწყობილობებისას, რომლის ერთიანი კრებული, ერთი რაღაც საოცებელ ამბად უნდა მივიჩნიოთ, თუ სახეში მივიღებთ, რომ იგი ქალაქი ჩვენს გორზე გაცილებით, თითქმის ერთი-ორად

პატარაა მკვიდრთა რიცხვით და გაცილებით უნუგეშოა ჰავითა და მიწის ნაყოფიერებით. დიდი მაძღრობა, ნამეტანობა ქონებისა უნდა იყოს იქ, საცა პაწია ქალაქს ამოდენა შესძლებია.

განა ეს მაგალითი საკმაო არ არის გული მოვიცეთ, გულმოდგინება ფეხზე წამოვაყენოთ და ჩვენს იმ სახსარს ხელი მოვკიდოთ, რომელსაც ასეთი ბედნიერება თან მოსდევს და რომელსაც ასეთი კეთილდღეობა, მაძღრობა და ნამეტანობა მოუფენია იმისთანა მწირ და ბუნებით ღარიბ ქვეყანაში, როგორიც ფინლანდიაა, გერმანიას თუნდ ნუღარ ვიტყვით.

სახსარი იგი საერო განათლება ყოფილა საზოგადოდ და, საკუთრივ, სახელოსნო-სახელობო სამიწადმოქმედო სკოლები. ჩვენში კარგა ფული იხარჯება სოფლებისა თუ სხვების წერა-კითხვის საცოდნელ სკოლებისათვის და თითქმის ერთი გროშიც არ მიმართულა სასპეციალო და სატეხნიკო სასწავლებლების გასამართავად და საქონებლად. აშკარაა, ამ უკანასკნელს ნაკლს წამალი რამ უნდა. რამოდენადაც კი შესაძლებელია, და აი, ჩვენის გულმოდგინების საგანი და საზრუნავი ამ ნაკლის შევსება უნდა იქმნას, როგორც წინადაცა ვთქვით.

[1898]

23. <ინგლისი ახალ პოლიტიკურ ვითარებაში>

ტფილისი, 5 დეკემბერი

მას აქედ, რაც სამთა კავშირი გერმანიისა, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიისა შეიკრიბა და რუსეთი და საფრანგეთი ერთიერთმანეთისაკენ მიახედა კავშირისავე შესაკვრელად, ინგლისმა ირჩია ღობეს გარედ დგომა და აქედამ ყურება, — ვნახოთ, რა გამოვა რისგანაო. პირველ ხანებში არც უამისობა იყო, რომ ინგლისის ჩარევა საქმეში სასურველი არა ყოფილიყო ან ერთისათვის, ან მეორისათვის. ნამეტნავად გერმანია ტრფიალის თვალით იცქირებოდა ინგლისისაკენ, — აგებ ხელი მოგვაწოდოსო, ან დაგვპირდეს ხელგამოუღებლობას, თუ ვინცობაა ბედმა ხმალზე მიაგდოს საქმეო. ინგლისმა კარგად იცოდა თავისის თავის ყადრი ამ შემთხვევაში, არც ერთისაკენ გადაიწია, არც მეორისაკენ, არავითარის კავშირით ხელფეხი არ შეიკრა და დაადგა ეგრედწოდებულ ხელებგახსნილ პოლიტიკასა (политика свободных рук). ეს ის პოლიტიკაა, რომელიც ამბობს: მე ჩემად ვიქნები და როცა საქმეთა გარემოება თავისას იტყვის, მე ჩემს თავისუფალს ხელს მაშინ გავშლიო ან საამისოდ, ან საიმისოდ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ უფრო სამჯობინარი იქნება ჩემთვისაო.

ჩვენა გვგონია ასეთმა მდგომარეობამ ინგლისისამ უფრო ბევრი უშველა ქვეყნის მშვიდობიანობას, ვიდრე

ორმხრულმა კავშირმა ევროპიის სახელმწიფოთა. საკმაო იყო ინგლისი ან ერთს მხარეს მისდგომოდა, ან მეორეს, რომ ომი შესაძლებელ გამხდარიყო ევროპაში. ინგლისი მეტად ძლიერი ქვეყანაა. იმისი მომხრეობა ისე გააძლიერებდა ერთს რომელსამე მხარეს ორმხრულ კავშირისას, რომ უეჭველ გამარჯვებას უქადდა. უეჭველი იმედი გამარჯვებისა მეტად სამაცდურო რამ არის და ამ მაცდურებას ძნელად თუ გაუძლებდა იგი, ვისაც საომრად ხელი უკიდია ხმალზე და დღემუდამ საამისო მზადებაშია და აბრკოლებს მხოლოდ მოპირისპირის თანასწორი ღონე და შემძლებელობა. ინგლისი კი სასწორს ღონისას გადახრიდა იქით, საიდანაც თვით დადგებოდა და ძალიანაც გადახრიდა, რადგანაც ძლიერი ქვეყანაა.

ეს ასე იყო, ვიდრე ევროპა თავისის შინაურ საქმეების გამო გულს იმღვრევდა და თავისს დაუნელებელ სატკივარს შიგ ევროპაში ჰხედავდა. ამ სარბიელზე ინგლისს ბევრი არა სცხელოდა რა, არცა სციოდა. ერთი ოსმალეთის საქმე იყო, საცა ინგლისს კუდი ეწოდა და აქ ხომ ჯერხანად ევროპის დიპლომატიამ ყველას გული დაუამა, რაკი უბედურს ოსმალეთს კრიტის კუნძული ჩამოაცალეს. მართალია, მაკედონიის საქმესაც კი შეუძლიან ხელახლად ცეცხლის მოდება, მაგრამ აქედამ ჯერ განსაცდელი და საფრთხე რამ მოსალოდნელი არ არის, რადგანაც მაკედონიის საქმე დიპლომატიამ ჩაიგდო საღეჭად და ყველამ იცის, რომ ცოხნა მისი და ხანგრძლივ დამში ჩადება საქმისა ერთია. სულ სხვაა დღევანდელი დღე. ევროპა ევროპის გარედ გავიდა. ევროპის გარედ გასვლა და ინგლისის მოსვენების დაკარგვა და შეფიცხება ერთია. ეხლა თვითონ ინგლისი იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მეტი გზა არ არის, მომხრე და მოკავშირე ვინმე უნდა იშოვოს, ან სულ მარტოდ დარჩეს პირისპირ ძლიერ სახელმწიფოებისა, რომელთაც ჭკუაში აღარ მოსდით ბატონობა ინგლისისა ევროპის გარედ, მაგალითებრ, აფრიკასა და ჩინეთში. აფრიკაში ინგლისი უფრთხის

საფრანგეთსა და ჩინეთში უფრო მეტად რუსეთს. რომ ან აფრიკაში, ან ჩინეთში თავი გამოიდოს ინგლისმა იმოდენად, რამოდენადაც მისი მართლადა სიკვდილ-სასიცოცხლო ინტერესები ითხოვენ, დიდი ძალა და ღონე უნდა და თუმცა ინგლისი ქადულობს საკმაოდ ძლიერი ვარო, მაგრამ ძნელად დასაჯერია, რომ ეს ასე იყოს, თუ სახეში მივიღებთ დანარჩენს სახელმწიფოებს, რომელთაც შეუძლიანთ ერთი პირი შეკრან ინგლისის წინააღმდეგ. მარტო ინგლისი ვერას გაჰბედავს, რაკი აფრიკაში და ნამეტნავად ჩინეთში საქმე თანდათან ისე იწეწება და იშლება, რომ ყველას მადა გაღვიძებული აქვს, — აცა, მე რა ვირგუნოო.

ეს აშკარაა, რომ ყველა იმას ჰფიქრობს, თუ ლუკმა გავარდეს, ჩემს ჯამში ჩავარდესო და რაკი ასეა, ეგრე ადვილი არ არის აქ ბურთის გატანა მოედნიდამ ერთს რომელისამე სახელმწიფოსაგან სხვების შეუწევნელად და დაუხმარებლად. სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა ინგლისი იმ დღემდე, რომ იგი ჰნატრობს მოიმხროს ვინმე. ტყუილად კი არ ირჯება ინგლისის მინისტრი ჩამბერლენი, რომ ზოგისათვის პირიდამ თაფლს აფრქვევს და ზოგისათვის ბალღამსა. საფრანგეთს იგი ცხვირაწევით ექცევა, იაპონიას, ამერიკას და გერმანიას ფეხთა წინ უგორდება.

ეხლახან ამ მინისტრს ვეკფილდში სიტყვა წარმოუთქვამს და მრავალ მხრით შესანიშნავია ეს სიტყვა. იგი ამბობს, რომ საფრანგეთსა და ჩვენს შუა საქმე ჯერ არ ვიცით რით გათავდებაო. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენად შესაძლებელია ერთმანეთს მოვურიგდეთ და რა გზით უნდა მოვიქცეთ ორსავ მხრივ, რომ ურთიერთ დამეგობრებას საფუძველი რამ დაედოსო. ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ დამეგობრება არ ეშესაბამება იმ წყრომისა და გამოკიდების პოლიტიკას, რომელსაც დასდგომია საფრანგეთი ეს რამდენიმე წელიწადიაო. ჩვენ სრულებით გუნებაშიაც არა გვაქვს ვიყიდოთ ეგ მეგობრობა მით, რომ ჩვენ დავუთმოთ რამე და

საფრანგეთმა კი არა დაგვითმო-რაო, რადგანაც ერთის რისამე დათმობას ახლა მეორე მოჰყვებაო.

ასე შეამკო საფრანგეთი მინისტრმა ჩამბერლენმა და ბოლოს სულ სხვა კილოთი მოიხსენია იაპონია, გერმანია და ამერიკა და ამასთან არ დაივიწყა ქადილიცა. იგი ამბობს, რომ ერთნაირი ინტერესები გვაქვს ჩინეთში იაპონიას, გერმანიას, ამერიკას და ინგლისსაო იმ მხრით, რომ იქ ვიქონიოთ თავისუფალი ვაჭრობაო. ამერიკის პრეზიდენტის მაკ-კინლეის ეპისტოლესაგან სჩანს, რომ სამერმისოდ მარტო ინგლისი არ იქნება იმის დარაჯად, რომ ვაჭრობისათვის ჩინეთში ყველასათვის ღია იყოს ჭისკარიო. ინგლისი მარტოკაც შემძლებელია დაიცვას თავისი ინტერესები. მხოლოდ გარდა საკუთარის ინტერესებისა, საზოგადო ინტერესებიც ხომ არისო და ამ ინტერესებს უკეთესად ვუპატრონებთ, თუ ერთად ვიმოქმედებთო.

გერმანიის მოსანადირებლად აი, რა სთქვა მინისტრმა ჩამბერლენმა. ჩვენს გერმანიის მეგობრებს უნდა ვანიშნოთ, რომ იქ მომხრეობაზე და კავშირზე სალაპარაკო არა არის რა, საცა ერთი მხარე სცდილობს მარტო თავისაკენ მოითალოსო. „ჩვენაო, — ამბობს ჩამბერლენი, — სრულებითაც არა გვსურს თქვენის ხელით ნარი ვგლიჯოთ, ან ჩვენის ხელით თქვენ ჰგლიჯოთ ნარი, ხოლო ხომ არის იმისთანა მძიმე საქმეები, რომელნიც იმოდენად ეხებიან გერმანიის ინტერესებს, რამოდენადაც ინგლისისაო. აი, ამ ინტერესების მიზეზით შესაძლოა მოვრიგდეთ ერთმანეთში, ერთმანეთს შევეწივნეთ, ან არა და ერთმანეთს არა დავუშალოთ რაო. ერთი იმისთანა ადგილი არ არის ქვეყნიერობაზე, საცა ინტერესები გერმანიისა და ინგლისისა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომ მგონია, რომ უდიდესი ხმელეთის სახელმწიფო ამ დღიდამ უფრო და უფრო დაუახლოვდება უდიდესს სახელმწიფოს ზღვისას და ერთად იქონიებენ ზედმოქმედებას მშვიდობიანობის და თავისუფალ ვაჭრობის დასაცველადო. ეხლანდელი სამსოფლიო ყოფა-მდგომარეობა ისეთია, რომ

ინგლისის მეგობრობას ცხვირზევით ვერ აიცილებენ და წინადვე ვარწმუნებ ჩვენს გერმანიის მეგობრებს, რომ თუ ოდესმე ჩვენი ინტერესები, ან საგანი, რომელსაც ჩვენ ვეტანებით, ერთი და იგივე არ იქნება და გერმანიის მიერ ხელშეუწყობელი დარჩება, ჩვენ შემწეობისათვის გერმანიას ხელს არ გავუწვდითო. მანამდე კი მე ვამტკიცებო, რომ ეგ მორიგება გერმანიასთან დიდი გამარჯვება იქნება ჩვენის მთავრობის მხრითაო. უფრო მეტად სასიხარულოა ჩემთვის, რომ ახალშენებსა და ჩრდილო-ამერიკის შტატებში ჩვენთან მეგობრობა ჰმატულობს და ძლიერდებაო. რაკი ჩვენ ანგლო-საქსონელნი ერთად მეგობრულად მოვეწყობით, არავითარი ზავი და კავშირი სხვებისა ჩვენთვის საშიში არ იქნებაო“.

თუმცა ასეთის იმედით უყურებს მინისტრი ჩამბერლენი ინგლისისა და ამერიკის დამეგობრებას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ცხვირზევით არ აიცილებს გერმანიის მეგობრობასაც. აშკარაა, ან ამერიკის დიდი იმედი არა აქვს, ან ამერიკის მომხრეობა საკმარისად არ მიაჩნია ინგლისის გულთათქმათა გამარჯვებისათვის. წინადაც ვთქვით და ეხლაც ვიტყვით, ზღვაში ინგლისს ვერავინ გაუძალიანდება, ინგლისის შიში ხმელეთიდამ არის და აქ გერმანია ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის მომხრეობა ინგლისს დიდად ხელს მისცემს, თუ სადმე ვისთანმე დაჯახება სწადიან.

საფრანგეთმაც კარგად გაითვალისწინა, თუ რა ძალ-ღონეა გერმანია, თუ ვინიცობაა ინგლისს მიუდგა. ამიტომაც ეხლა საფრანგეთი მზად არის დაივიწყოს ყოველივე ჯავრი, რაც გერმანიის მიერ დამარცხებამ გულში ჩაუთესლა და ხელი გაუწოდოს გერმანიას და თავისაკენ გადმოიყვანოს. ეხლა ხშირი ლაპარაკია საფრანგეთში და საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობაში, რომ საფრანგეთი შეურიგდეს გერმანიას და მით მისი მომხრეობა მოიპოვოს ინგლისის საწინააღმდეგოდ.

ამ გარემოებამ დღეს გერმანია იმ მდგომარეობაში ჩააყენა, რა მდგომარეობაშიც ინგლისი იყო, როცა

სამთა კავშირი შეიკრა და ამით გზა გაეხსნა ორთა კავშირის შექმნასაც. ჩვენის ფიქრით გერმანიის წასვლა ან აქედ ან იქით ბევრის რისამე მომასწავებელია იმ მხრით, რომ ინგლისმა ან ხმა უნდა გაიკმინდოს და სხვათა ბრძანებას დაემორჩილოს, ან ომი უნდა ასტეხოს. აშკარაა, რომ უომრად თავის დაღუნვა და კუდის ამოძუება დასაწყისი იქნება ინგლისის ძლიერების დასასრულისა ზღვებზე და ახალშენებში, მაგრამ არც ომის ატეხა დააყრის კეთილს, თუ ვინცობაა ინგლისი დამარცხებულ იქმნა. ინგლისის დაუძლურება ზღვებზე და ახალშენებში და მისის სახელის გაუქმება სამსოფლიო სარბიელზე ორივ ერთი იქნება და ამიტომაც, არა გვგონია, ინგლისმა ყოველივე ღონისძიება არ იხმაროს, რომ ეს ასე არ დაემართოს და თუ საქმე არჩევანზე მივა, რასაკვირველია, ომს უფრო ირჩევს, თავს საომრად უფრო გამოიმეტებს, ვიდრე უომრად ხმის ჩაკმენდასა და თითის მოკაკვას.

მართალია, ზოგჯერ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“, მაგრამ არც უამისობაა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი”: გერმანიას დღეს შეუძლიან ინგლისი იმ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომ სხვა გზა არა ჰქონდეს — ან ერთი ეს ანდაზა უნდა ამოირჩიოს სახელმძღვანელოდ, ან მეორე. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, ინგლისი ვის იშოვის მომხრედ და ვის არა. ამითი აიხსნება ის ამბავი, რომ დღეს ინგლისი ჩრდილო-ამერიკის შტატებსაც ფიანდაზებს უშლის, იაპონიასაც სამეგობროდ ეკურკურება და გერმანიასაც ეტრფიალება და გუნდრუკს უკმევს. რასაკვირველია, არც მეორე მხარე დარჩება ისე, რომ არ ეცადოს ინგლისს ყველა ამაებში ხელი შეუშალოს და წინ გადაეღობოს.

ეს ორმხრივი ცდაა ბურთი დღევანდელის მოედნისა და თვითვეულის სახელმწიფოს დიპლომატიამ აქ უნდა გამოიჩინოს თავისი სიმარჯვე და ხერხიანობა ამ ბურთის მოედნიდამ გატანისათვის. ამასობაში თვითონ სახელმწიფონი კი ყოველ

მოულოდნელ განსაცდელისათვის საომრად ემზადებიან, ჯარებს იმატებენ, თოფ-იარაღს იმზადებენ, ტყვია-წამალს იგროვებენ და ქვეყანას არწმუნებენ, რომ ვისაც მშვიდობიანობა უნდა, ხმალამოღებული უნდა იდგესო და ჩვენც მშვიდობიანობისათვის ვირჯებითო. ამასა ჰქვიან, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

[1898]

24. <ბანკის დაფუძნებისათვის შეტანილი თანხის განკარგვა>

ტფილისი 12 დეკენბერი

პატივცემულმა ან. ფურცელაძემ დაბეჭდა ჩვენს გაზეთში წერილი და ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიაქცია ერთს იმისთანა საგანს, რომელსაც დიდი საშვილიშვილო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და რომელიც სწორედ ამიტომ ჰთხოულობს ჩვენგან დიდს წინდახედულს განსჯასა და განკითხვას. საგანი იგი იმაში მდგომარეობს, რომ ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებს ებძანა უმაღლეს მთავრობისაგან, დაუბრუნოს წევრთ-დამფუძნებელთ, ანუ მათს მემკვიდრეებს იგი ფული, რომელიც ბანკების დაფუძნებისათვის შემოუტანიათ. ბანკები, რასაკვირველია, ამ ბძანებას აასრულებენ და დაბრკოლება დღეს მარტო იმაზეა, რომ წესრიგი ფულის დაბრუნებისა დადგენილ უნდა იქმნას იმ გზით, რაც უჩვენებია ფინანსთა სამინისტროს.

წესრიგის დადგენა სამინისტროს მიუნდვია ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის საერთო კრებულისათვის. ამ საერთო კრებულისათვის მთავრობის მიერ უნდა დაინიშნოს მთავრობის კაცი თავმჯდომარედ. ეხლა საქმე იმაზეა შემდგარი, მთავრობის მიერ დანიშნული თავმჯდომარე როდის მოიწვევს ხსენებულს კრებულს და იგი კრებული როდის დაადგენს წესრიგსა ფულის დაბრუნებისას. ასე თუ ისე, ფული, დღეს იქნება თუ ხვალე, დაუბრუნდებათ კუთვნილებისამებრ. ეხლა საკითხი

მხოლოდ ეს არის: ავიღოთ ეს ფული თვითვეულმა ცალკე, რაც გვეკუთვნის, და ხელში გავიწყალოთ ურგებად, როგორც გავიწყალეთ რამდენიმე მილლიონი, რომელიც გვერგო ყმების განთავისუფლებისათვის, თუ ეს ბანკის დაფუძნებისათვის შეტანილი ფული, რომელიც ერთხელ და ერთხელ გულიდამ ამოგვიღია და საქვეყნოდ გადაგვიდვია, ისევ, ჩვენდა სასახელოდ, ერთად შევკრათ და საქვეყნო რასმე საქმეს მოვახმაროთ.

აშკარაა, თვითვეულს ჩვენგანს მისი საწილო ფული არა გაუხდება რა, როგორც თოვლი, ისე დაუდნება ხელში, არც ვერას თვითონ მოიცხებს, არც ვერას სხვას რასმე არგებს, წავა და დაიღუპება ურგებად, უჩენად, დაუტყობლად. ერთად კი ეს ფული ნახევარ მილლიონზე გაცილებით მეტია და ნახევარი მილლიონი ფული, ერთს რომელსამე საქვეყნო საქმეზედ მიქცეული, განა ცოტა ფულია ჩვენისთანა ღარიბ საზოგადოებისა და ქვეყნისათვის? კაცმა რომ მარტო ეს ორი გარემოება თვალწინ დაიყენოს, როგორც უეჭველი და აუცილებელი შედეგი საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისა, დიდი ლარი და ხაზი არ მოუნდება, უპირატესობა და ძლევა რომელს გარემოებას აკუთვნოს. აქ პასუხი ზემოხსენებულ საკითხისა აშკარაა. მაშ რაღა უნდა გვიშლიდეს აშკარა პასუხის შესაფერ მოვიქცეთ? რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, რომ საქვეყნოს, საშვილიშვილო საქმეს ვუღალატოთ, გადვუდგეთ და ვირჩიოთ ეს ამოდენა ფული წვრილ-წვრილად გავიწყალოთ, წვრილ-წვრილად თვითვეულმა ცალკე წავიღოთ და შევჭამოთ?

ეს თვითვეულად ცალკე შეტანილი ფული ხომ გულიდამ ამოღებული გვქონდა, როგორც ზემოდაცა ვთქვით, ხომ იგი ჩვენად ცალკე საკუთრებად აღარ გვეგულებოდა, ხომ ისე ვუყურებდით, თითქო არა გვქონია თვითვეულს ცალკედ, რაკი საქვეყნოდ გადაგვიდვია ღმერთმა ქვეყანასვე მშვიდობაში მოახმაროსო. ესე იყო, ჩვენდა სასახელოდ, და ასეც

იქნებოდა, თუ რომ მოულოდნელი ნებართვა ფულის უკან გატანისა არა გვწვეოდა ჩვენდა სამაცდუროდ და სახარბიელოდ. აქაოდა შესაძლებელ გახდა ფულის უკანვე გატანა, ნუთუ ფულის მაცდურებას, ფულის სიხარბეს უნდა წავეღებინოთ და სამარცხვინო სულმოკლეობას მსუნაგობისას დავაძლევინოთ სულგრძელება ადამიანისა საერთოდ და მამულისშვილობისა საკუთრივ? რაღა პასუხი გავცეთ გრძნობას ჩვენის საკუთარის ღირსებისას, ჩვენს ნამუსს ადამიანისას, ანდერძს ჩვენთა მამა-პაპებისას, რომელნიც ჰნატრულობდნენ, რომ ჩვენ იმათზე უკეთესნი ვყოფილვიყავით, რადგანაც „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“. რითღა დავემჯობინებით ჩვენს მამებს, რომელთაც სიცოცხლეც არა ჰშურდათ ქვეყნისა და მამულისათვის, თუკი ჩვენ დღეს საარჩევნოდ და საყოყმანოდ გაგვიხდება, — ქვეყნის სიკეთე, თუ ხელში გასაწყალებელი ფულიო. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ასე სამარცხვინოდ სულით და გულით დაქვეითებულნი გვნახოს ვინმემ, ან ჩვენ თვითონ ვუჩვენოთ ვისმე. მიწა გატყვრეს და შიგ ჩაგვიტანოს, ისა სჯობია, თუ ესეა.

ბევრი რამ ცუდი გვჭირს ქართველებს, ბევრგზით დაშხამული და მოწამლული გული გვაქვს, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრ გზით გულგატეხილები ვართ, ბევრ გზით ზნეობამოდუნებულნი, მაგრამ იმას კი მის დღეში არ ვიფიქრებთ, რომ გროშმა სძლიოს ჩვენს ქვეყნის სიყვარულს, ჩვენს მამულისშვილობას, ჩვენს კაცურკაცობას. მის დღეში გულშიაც კი არ გავიკარებთ, რომ გროშისათვის მსუნაგობამ ქართველ კაცს ქვეყანა დაავიწყოს და საკუთარს სიხარბეს ქვეყნის სიკეთე ანაცვალოს. არა გვგონია, ამისთანა უბედური ბევრი იყოს ჩვენში და თუ არის, ვაი, ჩვენი ბრალი! მაგისთანაებშია დასაწყისი დასასრულისა.

დავივიწყოთ, გონებიდამ ამოვიღოთ ისინი, ვისაც საქვეყნოდ თავისი საწევრო ფული არ ემეტება. ვიწამოთ და ვიგულვოთ, რომ იგინი თუ, ჩვენდა საუბედუროდ, არიან სადმე, თითო-ოროლანი არიან

და არა მეტნი და ესეც ნუგეშია. ჩვენ დანარჩენნი მაინც ნუ გავიწყრომებთ ღერთს, ნუ დავიბრმავებთ თვალებს, ნუ წავიხდენთ საქმეს, თორემ სანანურად გაგვიხდება ბოლოს და „წამხდარს საქმესა რას არგებს მერეღა თითზე კბენანი“. ვახსენოთ ღმერთი და საქვეყნოდ დავდვათ ის, რაც დიდი ხანია საქვეყნოდ გადაგვიდვია, ნუ გავიუწმინდურებთ ხელებს იმის უკან წაღებითა, რაც ერთხელ შეგვიწირავს ქვეყნის სასიკეთოდ. ღმერთი-რჯული ცალცალკე ის ფული არა გაგვიხდება რა. არ გავა მიღების შემდეგ ორი კვირაც, რომ თვითვეული ჩვენთაგანი ისევ ისე ხელცარიელი და პირდაღებული იქნება, როგორც დღესა ვართ, ისევ ისე მშიერი, ისევ ისე მწყურვალი.

საკითხავი ეხლა ის კი არ უნდა იყოს, ცალცალკე შევჭამოთ გამოსატანი ფული, თუ საქვეყნოს საქმეს მოვახმაროთ, არამედ ის, რა საქმე უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის, რომ ჩვენი მადლიანი შეწირულება იმას მივაშველოთ და ამ მხრით შეკრული გზა გავიხსნათ, დახურული კარი გავიღოთ სამოქმედოდ.

ბევრი რამ გვიჭირს, ბევრი რამ სწივის და ჰკივის და ხელთ აღპყრობით იხვეწება შველას და წამლობას. რა თქმა უნდა, ყოველს ამ გასაჭირს ერთად ვერ გასწვდება ის ნახევარ მილიონზე მეტი ფული, რომელსაც, ჩვენდა სასახელოდ, საქვეყნოდ გამოვიმეტებთ, თუ გული ისევ გულობს ჩვენს საქართველოში და რომ არ გულობდეს, ამისი ფიქრში გატარებაც კი ცოდვად მიგვაჩნია. მაშასადამე, ამ მრავალ გასაჭირში ერთი იმისთანა რამ უნდა ამოვირჩიოთ განსაკურნებლად, რომელსაც მაგ ფულით, სავსებით თუ არა, საგრძნობელად მაინც მოვერევით, თორემ ის ამბავი მოგვივა, რაც თხას, რომელმაც, სანეკრე დაინახა და სახტომი არ გაუსინჯა. რას მოვახმაროთ ეგ ფული? აი, დღევანდელი საკითხი, რომელსაც ასჯერ ღრმად ჩაფიქრება უნდა, ვიდრე პასუხს ვიტყოდეთ. ნათქვამია, ერთი ჭკუა კარგია და ორი უკეთესიო.

ამიტომაც ვთხოვ, ვისაც ჩვენის ქვეყნისთვის გული სტკივა და მისი სიკეთე ჰსურს, თავისი სარჩიელი გვაუწყოს მასზე თუ, – რა გზით და რა სახით დავიყოლიოთ ყველანი, რომ ბანკებიდამ გამოსატანი საწევრო ფული არ გამოეცალოს ქვეყანას და ცალ-ცალკე დაქსაქსული არ დაგვიდნეს ხელში, როგორც შარშანდელი თოვლი, და რა საგნისათვის გადავდოთ, რომ საშვილიშვილოდ რამ დავიჩნიოთ და მით პირშაობა არ გავწიოთ, კრულვა-წყევლით სახსენებელი არ გავუხდეთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს შემდეგთა.

ჩვენი გაზეთი მზად არის ყოველივე ამისი შესახები წერილი მადლობით დაჰბეჭდოს და ამით სჯა და განკითხვა საქმისა გამოიწვიოს, ვიდრე ჯერ კიდევ ამისათვის დრო და ჟამი გვაქვს.

[1898]

25. საახალწლოდ

ტფილისი, 31 დეკემბერი

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღით დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრულიო", უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსლვად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლია ახვიდე და მიახწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მინამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველწლივ იესო ქრისტეს

შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამისთანავე, თუ არ მეტის სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი, ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავისთავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო, თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ წელთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამასსამოცდახუთი დღე და სამასსამოცდახუთის დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა-კი აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო!.. ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტსაათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტსაათიანი ღამე!.. წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს — ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარსა ბედისას?..

ბედის კარის გაღებას ვინ ჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და

თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურობის კარის დახურვას და შიგნიდამ ჩაკეტვას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისათვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსულნი დღენი-კი აღარა. ვაი, ფუჭად განვლილს სამასსამოცდახუთს დღეს და ღამეს! ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენაც-კი არა შეგვიმატნია-რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს-კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენნი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩაგვაგდო და ნამუსი და სინიდისი თავისის უტყუარი სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურობისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსვე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“ მაშინ, როდესაც დრო მხოლოდ იმის ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს, რასაც თითონ კაცი ჩასძახებს.

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული, ხავსს ეჭიდებოდაო, ჩვენც

ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქედ სრული ათასრვაასოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ ქართველებს, ცალკე და ათასრვაასოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგებებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათასრვაასოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღით გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ესეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალად არა სჩანს. აბა ერთი გვიბრძანეთ — რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახდნენ ყოველნი ჩვენთვის, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამისი მიზეზი? არავინ, ჩვენის მეტი, და იმის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეს ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ესა ვთქვით, ციდამ მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, — ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო.

გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება.. დაბერებიდამ ერთი ფეხის გადადგმა-ღაა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თითონ სიბერე თავისთავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა სთარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა, ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა, ნატვრის უნარიც-კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი“!.. აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

[1898]

26. <ქალაქის თვითმმართველობის დებულების შესახებ>

ტფილისი, 26 იანვარი

გაზეთს „Кавказ“-ში (№№ 18 და 19) ბ-ნმა ნიკოლაძემ ორი ფრიად საბუთიანი და შესანიშნავი წერილი დაჰბეჭდა. ამ წერილებში მან, როგორც თითქმის ყოველთვის, რაც კი დაუწერია, ქეჩოში სტაცა ხელი იმისთანა საგანს, რომელიც მორიგი ჭირ-ბოროტია და მწვავი ჭირ-ბოროტიც დღევანდელის დღისა და დიდი სატკივარია ჩვენებურ ქალაქების მკვიდრთათვის. იგი შეეხო საკუთრივ წესსრიგს, რომელიც აწ სუფევს ქალაქის თვითმმართველობის დებულებაში და ეკუთვნის ხმოსანთა არჩევნების საქმეს.

ბ-ნმა ნიკოლაძემ საფუძვლიანად და გარკვევით აღნიშნა, რომ ხსენებული დებულება ერთის წყობის ქალაქის მკვიდრთათვის დედაა და სხვა წყობისათვის დედინაცვალი. ამისი მიზეზი ის არისო, რომ ხმოსანთა არჩევანები, დებულების წყალობით, მარტო იმათ ხელშია, ვინც პირველის და მეორის გილდიის ვაჭარია და ვისაც ქალაქში სახლები აქვს, ისიც ყველა არა, მარტო პატრონები მომსხო ფასის სახლებისაო. სხვა, ხშირად კარგად მოზრდილი ნაწილი უქონებელთა და შეუძლებელთა მკვიდრთა, წრეს გარეთ დარჩენილნი არიან და იძულებულ ქმნილნი პირში შეჰყურონ შეძლებულთა ხმაამოუღებლად, იქნება თვითმართველობის ნადიმისაგან ნასუფრალი მაინც რამ გვარგუნონ, ან გვიწყალობონო. ამ სახით, შეუძლებელს და უქონელს მოქალაქეს არავითარი გზა და სახსარი არა აჰქვს თავისი ჭირი და ბოროტი სთქვას და ამით მოახედოს თავის სვე-ბედზე იგი კრებული ქალაქის წარმომადგენელთა, რომელიც უმაღლესი გამგებელია ქალაქის საქმეთა და კანონის მიერ მომჭირნეთ მოწვეულია მკვიდრთა საკეთილდღეოდ. ასეთი გარიყვა უქონებელისა და შეუძლებელისა მით უფრო დიდი უსამართლობაა, რომ იგიც ხარჯს იხდის ქალაქისათვის, იგიც ემსახურება ასე თუ ისე ქალაქს და ამ გზით ქალაქის საერთო ქონებაში წილმდებარეა და ღონისძიება კი ჩამორთმეული აქვს, თვალ-ყური ადევნოს, ანგარიში განიკითხოს სად და როგორ იხარჯება ქალაქის საერთო ქონება, ვისს სცხელა მისგან და ვისს სცივა. მდიდარი და შეძლებული ირჩევს ხმოსანსა, ამ გზით ამორჩეული ხმოსანი განაგებს ქალაქის საქმეებს, ვითარცა ვექილი მდიდრისა, და ვინ არ იცის რომ გამაძღარი ყოველთვის წვრილად უფხვნის ხოლმე მშიერსა და აქედამ ის გამოდის, რომ ერთის წყობის მკვიდრთა ბამბაც ჰჩხრიალებს და სხვა წყობისა კი არც კაკალი.

ასეთი წესრიგი საზოგადო სენია ერთობ ქალაქთა თვითმართველობის დებულებისაო მთელს რუსეთში, ამბობს სამართლიანად ბ-ნი ნიკოლაძე, ხოლო ჩვენში ამას ზედ ერთვის სხვა მეორე სენიცაო, რომელიც ჩვენს საკუთარს სატკივარს შეადგენს და ამიტომაც იგი საზოგადო სენი დებულებისა უფრო მწვავია და საგრძნობელიო. რუსეთში უფროს-ერთი ქალაქები დასახლებულნი არიან თითქმის ერთისა და იმავე თესლის მკვიდრთაგან. იქ თუ ამ დებულების წყალობით ერთი ნაწილი იჩაგრება მეორისაგან, ისევ რუსი რუსისაგანაო. თუმცა ჩაგვრა ერთისა მეორისაგან არსად სასურველი არ არის, მაგრამ იქ ეს ჩაგვრა სატკენია და არა საწყენი. სულ სხვა არის ჩვენშიო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე. ჩვენში ქალაქები სხვადასხვა თესლის მკვიდრთაგან არიან შემდგარიო.

ზოგნი იმათგანი მოსულნი და შემოხიზნულნი არიან და აღებ-მიცემობას, ვაჭრობას ეწევიან, და ზოგნი ადგილის ბინადარნიო. ამიტომაც ქალაქის თვითმართველობის საზოგადო ნაკლულოვანებას აქ, ჩვენში, ერთი სხვა განსაკუთრებული ჭირიც მოსდევსო. თუ სხვაგან კლასთა ბრძოლა ერთადერთი მიზეზია, რომლის გამოც ერთი კლასი ერთ კრებულად მოქმედებს და მეორე მეორე კრებულად, აქ, ჩვენში, ეროვნული სხვადასხვაობაც ზედ ემატებაო და აძლიერებს უამისოდაც გაძლიერებულს ცეცხლსაო. ამ სახით ბ-ნ ნიკოლაძეს ეროვნული სხვადასხვაობა თითქმის პირველ მიზეზის ზედნადებად მიუჩნევია ჩვენში. ჩვენ ამაში ბ-ნ ნიკოლაძეს ვერ დავეთანხმებით.

ჩვენის ფიქრით, ეროვნული სხვადასხვაობა ერთადერთი მიზეზია იმ განხეთქილებისა, რომლის გამოც დღეს მაგალითებრ, ტფილისში თვითმართველობა მარტო სომხებსა აქვთ დაჩემებული და სხვა თესლის კაცი კი გამოდევნილია. ის ორიოდე სხვა თესლის კაცი, რომელიც დღეს ხმოსნად არის საბჭოში, ანგარიშში მისაღები არ არიან, რადგანაც იგინი მარტო სომხების რჩეულნი არიან. თუ მართლა ეროვნული მიკერძება არ არის ერთადერთი მიზეზი, მაშ რამ მოუყარა თავი ერთად ტფილისის საბჭოში მარტო ერთის თესლის კაცებს და სხვანი კი გარიყა? თუ აქ გამარჯვებულია მესამე წოდება, ესე იგი, ბურჟუაზია მეოთხე წოდებაზე, ესე იგი, მუშებზე, ნუთუ გარიყულ თესლის მკვიდრთა შორის სულ ყველანი ხელაღებით მარტო მუშები არიან და სხვა არავინ იმისთანა, რომ სომხობის ბურჟუასთან ჰღირსებოდა ჯდომა და ბჭობა ქალაქის საბჭოში? თუ აქ უპირველესი მიზეზი კლასთა ბრძოლა იყო და არა მარტო ეროვნული განკერძოება, აბა ერთი იმისთანა მაგალითი გვიჩვენეთ — დაგვანახოს, რომ აი, ეს კლასი ამ კლასს ებრძოდა, აბა, ეს კლასები დაგვისახელეთ. თუ ამას იქმთ და დაამტკიცებთ, მაშინ ჩვენც თავს დავუკრავთ კლასთა ბრძოლის

ჩვენში მობრძანებას და ჩვენს დამარცხებას არჩევანებში სატკენად მივიღებთ და არა საწყენად.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამ მხრით სიტყვა შეგვებრუნებინა ბ-ნ ნიკოლაძისათვის და სრულებით აზრად არა გვქონია ამ საგნის გამოძიებას უფრო ვრცლად შევდგომოდით, მით უფრო, რომ ხსენებულ საგნის ასე თუ ისე გამორკვევა არ უშლის იმ სამართლიანს დასკვნას, რომელიც ბ-ნ ნიკოლაძეს სახეში აქვს და რომელსაც ჩვენ მთლად თანავუგრძნობთ. ხოლო ჭირს დამალვა არ უნდა და გვგონია, რაც ვთქვით, ამით საბუთს კი არ ვუსუსტებთ ბ-ნ ნიკოლაძეს, არამედ ვუძლიერებთ, რადგანაც სატკენი ისე არ აფიცხებს კაცს სამტროდ, როგორც საწყენი. საწყენი უფრო ძნელი ასატანია სატკენზედ და ამიტომაც უფრო აფთარია, რაკი გაცეცხლდება და გაფიცხდება.

ასეა თუ ისე, აწ არსებული დებულება ქალაქის თვითმართველობისა, ბ-ნ ნიკოლაძის საბუთიან აზრით, ხელს უწყობს ჩვენში ერთის თესლის მკვიდრთა წყობას, თავისად გამოიყენოს მთელი სიკეთე ქალაქის თვითმართველობისა, თუ რიცხვით და შეძლებით მეტია, და სხვა თესლის მკვიდრთა წყობანი კი ცარიელზე გაჰყავს, რაც გინდ საგრძნობელ რიცხვს მოქალაქეებისას წარმოადგენდნენ, თუმცა კი პირველზე უმცირესს. ეს მეტისმეტი უსამართლობააო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე, და მართალიც არის. ხოლო ბ-ნი ნიკოლაძე, როგორც კარგად მიხვედრილი და გონებაგახსნილი კაცი, უსამართლობას იმაში კი არა ჰხედავს, რომ ამ შემთხვევაში უმეტესობას ეძლევა თვითმართველობა ხელში, არამედ იმაში, რომ ჩვენებურ ქალაქებში სხვა თესლის მკვიდრნი, ვითარცა უმცირესი ნაწილი მოქალაქეთა, უნუგეშოდ და უპატრონოდ დატოვებულნი არიან და ქალაქის საქმეებში არც საკუთარი ხმის ამომღებელი ჰყავთ, არც გამკითხავი და არც თვალყურის მადევნებელი. დეე, ისევ უმეტესობამ განაგოს ქალაქის საქმეებიო, დეე, ისევ უმეტესობამ უმეტესობა იყოლიოს საბჭოსა და გამგეობაშიო, ხოლო თვითმართველობის

საფუძვლად ერთი სხვა დედააზრიც უნდა დაიდვას, რომელიც ამბობს, რომ ყველას თავისი მიეზომოსო. და ამ სახით დიდთან პატარაც, ბევრთან ცოტაც, ხმაამოღებული იყოსო, თავისის ჭირბოროტის გამომთქმელი და ქალაქის საერთო ქონების თვალყურის მჭერელიო.

მართალია, უმრავლესობით გამგეობა და განჩინება საქვეყნო საქმეთა ერთადერთი სახსარია, რომ წესი და რიგი დაიდვას კაცთა ურთიერთობისა, ხოლო იგი იმისთანა უცოდველი და უცდომელი კრებული არ არის, რომ ყველამ თავისი ავი და კარგი განუკითხავად ხმაამოუღებლად და თვალუდევნებლად მიანდოს. სწორედ ამ საზრისზედ არის დამყარებული ეხლანდელი მოძრაობა განათლებულ ქვეყნებში, რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, განუკითხავად, უნებურად არ ეძლევოდეს ხელში უმრავლესობას და იმასაც გზა ჰქონდეს თავისის ლარისა და ხაზის გატანისა, თავისი ინტერესების მოვლისა და პატრონობისა, რაოდენადაც შესაძლო და შესაწყნარისია. ტყუილად კი არ ამბობენ დაწინაურებულნი კაცნი, ამ საზრისით შეპყრობილნი, რომ ხმა კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს, და თუ შესაძლებელია ოდესმე აწონვამ ამ შემთხვევაში ფეხი მოიკიდოს და თვლაზე გაიმარჯვოს, მაშინ, ვინ იცის, სიკეთე და მართალი ზოგჯერ რომელ მხარეზე მოექცევა. მინამ კაცობრიობა მიაგნობს სახსარს ამ აწონვისას, ბევრი წყალი ჩაივლის კიდევ, და ეხლა კი სასურველია, რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, უმონაწილეოდ არ დარჩეს იქ, საცა უმრავლესობა განაგებს და სწყვეტს სხვათა შორის უმცირესობის სვე-ბედის საქმეებსაც.

თუ ეს უმცირესობის არგამოკლება საქვეყნო საქმეების გამგეობისაგან უსამართლობაა სხვაგან, საცა ერთისა და იმავე თესლისანი არიან, ჩვენში უფრო დიდი უსამართლობაა, რადგანაც აქ თესლთა სხვადასხვაობას ბრძოლის მოედანზედ უპირველესი ადგილი უჭირავს და ამიტომაც ჩვენში ბრძოლა უფრო გაკაპასებულია და გაბრაზებული. ამას ბოლო

უნდა მოეღოს, დასაწყნარებელი წამალია საჭირო. ამ წამალს გვაწვდის ბ-ნი ნიკოლაძე. მიეცით თვითეულ თესლის მკვიდრთა, იმდენი ხმოსანო იყოლიოს ქალაქის საბჭოში, რამდენიც შეხვდება მისის რიცხვის კვალობაზეო. თუ, მაგალითად, ათასს მკვიდრზე ერთი ხმოსანი მოდის დებულების ძალით, თვითვეულ თესლის მკვიდრთ იმდენის ხმოსანის არჩევის ნება მიეცით, რამდენი ათასიც თვითონ არისო. „საჭიროა, —ამბობს დასასრულ ბ-ნი ნიკოლაძე, — რომ სარბიელი საზოგადოების ცხოვრებისა, საზოგადოების კუთვნილება და საზოგადოების მოქმედება გამიჯნულ იქმნას კანონის მიერ, რომ არავინ იყოს მოკლებული კანონიერ უფლებას და მხვედრს წილს საზოგადო საქმეთა გამგეობაში, რომ ყველას ინტერესი ისე იყოს წმინდად და მტკიცედ შემოზღუდული და დაცული საზოგადოებურ ცხოვრებაში, როგორც ცალკე მოქალაქურ ურთიერთობაში იცავს და ჰთავდებობს თვითვეულს კუთვნილებას იგი დედააზრი, რომელიც ჰღაღადებს: „თვითვეულს თავისიო“...

ეს აზრი და სარჩიელი აქამდინაც თქმულა, მაგრამ ბ-ნ ნიკოლაძის სასახელოდ ის უნდა ვთქვათ, რომ მისებრ საბუთიანად, გარკვევით და სარწმუნოდ ჯერ არავის არ გამოუთქვამს. თვითონ ბ-ნი ნიკოლაძეც ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ ეხლაც იმას იმეორებს, რაც არა ერთხელ წინათ მითქვამსო, მაგრამ „ლურსმანს ვერ ჩასჭედავს კაცი კედელში, თუ არ ზედიზედ ჩაქუჩის ცემითაო“.

რა თქმა უნდა, რომ არავისს გარეშე კაცს, არც ცალკე კრებულს რომელისამე თესლის მკვიდრთა, არც ერთად თავმოყრილ კრებულებს არავითარი ღონისძიება არა აქვთ, ეს სარჩიელი ბ-ნის ნიკოლაძისა საქმედ აქციოს. ამის უფლება და ნება მარტო კანონმდებლობის ხელშია და ბ-ნი ნიკოლაძეც კანონს იწვევს, სასურველი ცვლილება შეიტანოს დებულებაში, რათა თვითვეულს თავისი არგუნოს და უმრავლესობამ ერთის თესლისამ ყურმოჭრილ და ხმაამოუღებელ ყმად არ გაიხადოს უმცირესობა

მეორისა. რასაკვირველია, აქაური წყალ-წყალა პუბლიცისტები, სხვის ნაღეჭის კევის მღეჭავნი, ბ-ნ ნიკოლაძეს უკიჟინებენ: აი, „გოროდოვოის ეძახისო“, ან სარჩიელს დაუწუნებენ იმ აზრით, რომ აი უფლებას უმრავლესობისას ჰხუთავსო, მაგრამ ყოველივე ეს ბუზების ბზუილია და, ხომ მოგეხსენებათ, ყოველი ბუზი ბზუის, ფუტკართან კი ყველა სტყუის.

ვისაც მკვიდრთა სამშვიდობოდ ჩვენებურ ქალაქების გამგეობა ანუ, უკეთ ვთქვათ, თვითმართველობა სწორესა და მართალს გზაზე ჰსურს დააყენოს და მით დააწყნაროს სხვადასხვა თესლთა შორის გაკაპასებული და გაბრაზებული ბრძოლა, რომელსაც საგნად აქვს ან მე, ან შენ, და ორივე ერთად კი ნუო, ერთადერთი სახსარი, სამართლიანი და საბუთიანი, იმა წესისა და რიგის გაკანონებაა, რომელსაც ბ-ნი ნიკოლაძე გვირჩვეს და რომელსაც საგნადა აქვს, რომ წარმომადგენლობას უმრავლესობისას გვერდთ ედგეს პროპორციონალური წარმომადგენლობა, უმცირესობა. ბ-ნ ივანოვიჩს და სხვათ მისთა მზგავსებს, რასაკვირველია, ეს არ მოეწონებათ. ბ-ნ ივანოვიჩი იმ ბანაკს მიეკედლა, რომელიც ისარს ისვრის და მშვილდს კი ჰმალავს. გარდა ამისა იგი ბედის მძებნელი კაცია და სრული სიმართლით შეუძლიან სთქვას:

რას ჰქვიან აწ ბედი
ყრმა ვიყავ, დავბერდი,
ჯერ ვერ მიცვნია.

[1899]

27. სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“.
რუსთაველი

I

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი — აი, ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლადიდების სურათი! აი, რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ

სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი.

ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ. ასეთივე სახელი გაუთქვეს ქართველებს თვით რუსებ შორისაც. მართალია, ვისაც — ევროპიელს თუ რუსს — საკუთარის თვალით მოუჩხრეკია ჩვენი ავი და კარგი, ზოგიერთა რასმე ჩვენის სანუგეშოსაც ამბობენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოტანი არიან ამათში იმისთანანი, რომელთაც „თვისის სიტყვის საფუძველი სხვის გულისთქმაზედ არ დაედვას", სხვის ფეხის ხმას არ აჰყოლოდეს, სხვის ჩაძახილი არ ამოეძახნოს და აქ მოსვლისავე უმალ სხვის გულისთქმათა მახეში არ გაბმულიყოს.

სახელის გატეხას თქვენი ჭირიმც წაუღია. სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა ეფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე; და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები" ყრილან — ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით. თითონ ეს „ვრაცები", ვითარცა ერი, არაფრად სახსენებელია იმიტომ, რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდ ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავბედისა გაიგონ რამ, აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობისა და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარ-პატარა საბოსლეებიც კი ვერ მოუხმარებიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან. ან როგორ მოიხმარებენ, რომ ამისათვის არც ჭკუა-გონება უჭრით, არც გამრჯელობა, არც სწავლა-ცოდნა, არც სურვილი აქვთ, არც ხალისი — იცოდინონ და ისწავლონ რამ თუნდ იმავ სომხებისაგან, რომელნიც ვითომც ღვთისაგან და ისტორიით მოვლენილნი არიან, რომ კულტურის

დროშით ხელში ააყვავონ და გააბედნიერონ არამც თუ მახლობელი აღმოსავლეთი, არამედ შორეულიცა, ერთობ მთელი ბრიყვი და უმეცარი აზია.

ამ სახით რომ გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა. მართალია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი.

რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერკავკასიაში ერთადერთი სომხის ერია, რომელიც ძველისძველადაც ყოფილა, დღესაც არის და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისათვის, რადგანაც ისტორიულად დაამტკიცეს თავისი სულიერ-ხორციელი სიდიდე და ძალ-ღონე, თვისი შეურყევლობა და სიმაღლე ჭკუა-გონებისაო.

ვისი უნარია ყოველივე ეს? ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთსგვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის. თუმცა ასეა, მაგრამ მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ.

ერი, როგორც კრებული ისტორიით შედულებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველ

პატიოსანისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე სწორედ აქ არის. აი, აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას.

ვინ იცის, რა ბუკსა და ნაღარას დაჰკრავს, რა საყვირს დააყვირებს ამ წერილების გამო იგი გუნდი, რომლის მხილება ჩვენ სახეში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია, მათ შესახებ ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს. აქ განზრახვა აშკარაა. ერის სახელით ბრძოლას სამართლიანადა აქვს დიდი პატივი და საბუთი. ეს ამ გუნდს კარგად შეუგნია და ამიტომ კარგად იციან, რომ ერის სახელით წინათვე მოიბირებენ მსმენელს, წინათვე მოისყიდიან და, მაშასადამე, ნახევარი გამარჯვება უკვე ხელთა აქვთ. ხერხი სჯობია ღონესაო. რაკი ამ თვალთმაქცურს ხერხს ხელს მოჰკიდებენ, მერე ადვილია მთქმელსა და მხილებელს შესწამონ ერთა შორის განხეთქილების შთამოთესვა, ორის ერის ერთმანეთზე გადაკიდების უკადრისი სურვილი. აშკარაა, აქ იმათი ქვედაგრძნობული ანგარიში. ყოველ ამით ჰსურთ შვილდისარი, მათზე მიზიდული, თავიანთ თავს ააცდინონ და გულში თითონ ერსა ჰკრან გასაწბილებლად, ესეთი ხერხიანი ფარი იფარონ და საკუთარის ცოდვების მხილებას ამითი პირში კაპი ამოსდონ, ენა მოსჭრან.

მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანი მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია — ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა — და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა. ერმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. კარგად იცის, რომ მატრაკვეცობა მისის ერთგვარ გუნდისა ვერაფერი თამასუქია არც იმისათვის, რომ ღირსება მის ქვეყანაში გაითქვას, არც იმისათვის, რომ სხვისა ავად ხსენებით, სხვა ერის ძაგებით იქ გამოინასკვოს, საცა არ არის. ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. ნუ გგონიათ, ამ ბუნებას ღირსებისას კაცმა ჭკუა ვერ მიაწვდინოს, თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის. ამისათვის საკმაოა საღი ჭკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხკაცისა. „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან: „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარი“[1], — განა გლეხკაცის ნათქვამი არ არის?

სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჭკვიანურ ანდაზის სიბრძნემდე ჯერ აქამომდე ვერ მიუღწევია იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომლის მეცნიერნი ქება-დიდებას სომხებისას საყვირით ჰყვირიან და ამასთან, საცა გინდათ და არ გინდათ, ქართველებს მიწასთან გვასწორებენ და დედა-ბუდიანად გვთხრიან. სომხების ქება-დიდებასთან ჩვენ რა ხელი გვაქვს. ამისთანაებში თუნდაც გადაჭარბება, სხვისათვის უწყინარი და უტკივარი გულუხვობაა და სხვა არაფერი. ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე

[1] ფშაური ლექსები.

არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა სასურველი. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, — სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას. ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის.

ამიტომაც ჩვენ ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოვუჩხრეკთ, თუნდაც ცალიერი ბაქიობა იყოს. თუ საქებ-სადიდებელი აქვთ რამე, ღმერთმა შეარჩინოთ. თუ არა აქვთ, ღმერთმა მისცეთ. ჩვენ მარტო იმასა ვჩივით, რომ სომხის მაქებ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისაკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი.

დროა, ნიღაბი ავხადოთ ამ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად. დროა გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღაბოდ, უფერმარილოდ. დროა ვიცოდეთ, საიდამ დაგვყეფს ჩვენ ჩვენი შავი ყორანი, საიდამ მოდის ეს ქვის სეტყვა ჩვენს თავზე. დროა, ჭკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუპენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალების ბერიკეებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ. ნუ გვამხილებთო ჩვენს ცულლუტობას, იონბაზობას, თორემ ეროვნულ შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთ, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეროვნულ შფოთის ატეხა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრიყვესა და გონების სიბნელეს

მოასწავებსო და ლიბერალობის შეგინებასაო. უფრთხიან ბალღები ამ ტყუილს ჭექა-ქუხილს ტყუილლიბერალობისას უფრთხიან ყოველნი, ვინც სიტყვას გაუსინჯავად იჯერებს.

ლიბერალობა განა ძალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუსახდილობისა და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა. მაშ ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტისა, — იმისდა მიუხედავად, შფოთს ასტეხს, თუ არ ასტეხს, — განა უწმინდაესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა, რომელიც-კი მას შეუძენია დიდის ღვაწლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევითაცა... ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალსა. საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო. ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მსჯავრდაუდებელი ბოროტი — მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულლბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი. „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვით გაურცხვდება“.

თუ აქაოდა შფოთი ასტყდება და ლიბერალობის ღაღადებით ჩვენ, ქართველებს, ხმას გვაკმენდინებენ და თუ მარტო ბალღების საცდენად და საფრთხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში კაპს არ ამოსდებენ, რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ თუ არ გინდათ, მთელს

ქართველს ერს — დიახ, მთელს ქართველს ერს! — თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან, როგორც წინათ ვთქვით. აბა თუ ერთმა ამ ცრუპენტელა ლიბერალთაგანმა ენა დასძრას და უთხრას: „კაცნო, რას მიჰქარავთ, რას მიედ-მოედებით! თუ ჩვენი საკუთარი ღირსება რამ გაგვაჩნია, ჩვენი საკუთარი მიწა-წყალი, — ეგა სთქვით, თუ არა-და, რას ჩასციებიხართ მთელს ქართველობას, რაზედ უტეხავთ სახელს, რაც მისია — ტყუილად რად იჩემებთ? განა ქართველის ერის ძაგებით, სულიერად და ხორციელად წაწყმედით ჩვენ ჩვენის სამოთხის კარი გაგვეღება! განა არ იცით, რომ თუ სადმე სანთელ-საკმეველია, თავისს გზას არ დაჰკარგავს. ბევრიც რომ შორიდამ უბეროთ!“ ერთს კაცსაც ამაზე ხმა არ ამოუღია და არც ამოიღებს, იმიტომ რომ ორპირნი და ცალგულნი არიან. ყოველ ამას გულწრფელობა, მართლმოყვარეობა, დიდსულოვნობა უნდა და დღევანდელ ბაზრისათვის არც ერთს აქვს მაზანდა, არც მეორეს და არც მესამეს.

გამოდის, რომ ჩვენ კი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ როცა ჩვენს მთელს ერს დედაბუდიანად სთხრიან და ისინი კი უნდა აგვიშფოთდნენ, როცა ჩვენს მთხრელსა და მაგინებელს — ისიც გუნდს და არა მთელს ერს — ვიგერიებთ და იმის თვალთმაქცობას ვამხელთ. გამოდის, რომ ჩვენზედ, თუნდ ერთს ცალკე გუნდზე, მართალი ძვირი არა სთქვათო ჩვენის შფოთისა და წყენის შიშითა და ჩვენ-კი თქვენი აშფოთება, თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის, თუნდ მთელი ერი გამოგილანძღოთ და მთელი გუდა ტყუილებისა ზედ თავზე დაგაბერტყოთ თქვენის სახელის გატეხისათვისაო. ეს სადაური სამართალია, სადაური ლიბერალობა? ეს ფარისევლობაა, ეს მელა-ტურაობაა, ქვემძრომობაა, ეს სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა კი გარეთ დარჩენა და არა ლიბერალობა. პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია.

დეე, ამ ცრუპენტელა მწყობრმა ჭიანის ლიბერალობისამ ბალღებს პირი თევზსავით ამოუვსოს, — ჰა, ხმა, კრინტი არ დასძრათ ჩვენის მხილებისათვის, თორემ რეტროგრადობის სახელით მოგნათლავთო, გონიერს კაცს კი ვერ წაართმევენ პატიოსანს უნარს, თავი გამოიდოს მართლის სარჩლისათვის და ტყუილის მხილებისათვის, როცა ამას ითხოვს განგებ შეგინებულ-გალანძღული გრძნობა ადამიანისა და ერის ღირსებისა. აქ პატიოსანი, პირდაპირი დგომაა საჭირო, პირდაპირი მხილება და არა გაქცევა და უკუდგომა მხდალსავით და ლაჩარსავით.

სწორედ რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების საწყაო ლიბერალობა ან რეტროგრადობა და სხვა ამისთანა კი არ არის, არამედ ეს: რომ უთხრათ, — შენი აზრი ლიბერალური არ არის, რეტროგრადულიაო, მაშინვე შიშით ფერი ეცვლება და, რაც გინდ მართალი იყოს, ენა მუცელში ჩაუვარდება, — ეს რა ღმერთი გამწყრომიაო. აღარავინ დაეძებს, — მართალს თავისი საკუთარი ფასი აქვს თუ არა, და ამ მხრით აზრის ჩხრეკაში აღარავინ შედის.

კიდევ ვიტყვით, საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, — და სამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია, თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ საქვეყნოდ ჰღაღადებს. რად უნდა გავუჩუმდეთ? აქაო-და თქვენს ხმის ამოღებას ჩვენი წყენა მოჰყვება, წყენას ჩვენი გაშფოთებაო და ეროვნულ შფოთის ატეხა ეხლანდელ დროში საკადრისი არ არისო; ნუთუ მართლა ამ ლათაიებს უნდა შევუშინდეთ და ენაც არ დავძრათ ჩვენის საკუთარის ვინაობის სარჩლისა და პატრონობისათვის.

თქვენი წკიპურტიც კი გვწყინსო და ჩვენს პანღურს კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ, რას გვიქვიან აქ ლიბერალობა ან რეტროგრადობა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავს-ბედს ასე აბიაბრუებენ და ძირიანად სთხრიან! მარტო მხდალი და ლაჩარი ამისთანა ლათაიებს მიზეზად დაიხვევს ხოლმე ხელზე, როცა სხვისა ნაფურთხს ხმაამოუღებლივ ჰლოკავს და სხვის ლანძღვა-თრევას ხმაამოუღებლივ იტანს, რომ მერე გაქცევა, უკუდგომა და ხმაამოუღებლობა ლაჩრობაში არ ჩამომართვანო. ჯერ სამაგისოდ, ღვთის მადლით, არა გაგვჭირებია-რა: გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის.

II

სომეხთა მეცნიერთა და მათთა ამქართა ოინები კარგა ხნის ამბავია. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მთელი სამოცი წელიწადი მაინც არის მას აქეთ. ვამბობთ მთელი სამოცი წელიწადია მას აქეთ და ეს ისეთი მოკლე მანძილი არ არის, რომ არაფრად ჩაიგდოს და ანგირიშში მისაღები არ იყოს. მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჭექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღემუდამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილაღით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადის. მთელ ამ საკმაოდ ხანგრძლივ დრო-ჟამის სივრცეზე ერთი და იგივე ანდერძი ჰსაქმობს სისტემატიურად, გასისწვრიებულად, მტკიცედ, მედგრად და საოცარის დაჟინებით, ერთი და იგივე ლარია და ხაზი გაჭიმული, ვერ ვიტყვით დიდის ოსტატობით, მაგრამ დიდის კუდიანობით-კი, დიდის თვალთმაქცობით. საოცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცის წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და რუსის

მწერლითვე თავდება. ამათ შუა მთელი მწკრივია სომეხთა მეცნიერთ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდამ ბოლომდე ერთი ლარი გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ლარი მხარზე გადუვლის, ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვიატებულ აზრისა, თითქო ერთხორც და ერთსულ იყვნენ და ერთნაირად წინათვე გაჩარხულნი ერთი და იმავე ანგარიშის ჩარხზე.

ჯერ კიდევ რუსის მწერალი სენკოვსკი, ბრამბეუსად ცნობილი, აი რასა სწერდა 1838 წელს[1] ქართველებს ვახტანგ მე-VI-მდე არა ჰქონიათ მატიანეო, თითონ ქართველები არც-კი არსებობდნენ მეთორმეტე საუკუნემდეო ქრისტეს შემდეგ; იბერთა სახელით ცნობილ იყვნენ სხვადასხვა თესლის მთიულნიო; მთელი ქვეყანა მტკვარს იქით, საცა ეხლა ტფილისია და სხვა უფრო დიდი ნაწილი საქართველოსი — მუდამ და ყოველთვის ეკუთვნოდა სომხებს და აქ მოსახლეობდნენ სომხები, მიდიელნი, მასაგეთნი, ანუ ოსმალნი და რამდენიმე შტო ალბანელებისაო.

ამისთანა ტყუილი და გაცუღლუტებული ისტორია-გეოგრაფია ვისი უნარი უნდა იყოს? მართალია, სენკოვსკის დაწერილია, მაგრამ ნუთუ ეჭვია, რომ სენკოვსკი ვიღასაც გაუბრიყვებია და იგი, როგორც ქვევრი სხვის ძახილს იმეორებს. ხომ აშკარაა, რომ ამისთანა ტყუილს სენკოვსკი არსაიდგან არ ამოიკითხავდა, რადგანაც ამისათვის საბუთი — მატიანე დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება და ეს ჭორი ამბადაც არავის გაუგონია. ვის რად უნდოდა იმის ქვეყანაზე მოფენა, რომ ქართველები მეთორმეტე საუკუნემდე არც-კი არსებობდნენ, რომ საქართველოში ქართველები არ იყვნენ და აქ მკვიდრობდნენ სომეხნი და სხვა მილეთის ხალხნი, ან დიდი ნაწილი საქართველოსი ტფილისითურთ მუდამ და ყოველთვის სომხებს ეკუთვნოდათო. ჭორი, მერე

[1] "Библиотека чтения". 1838 წ. გვერდი 151-178 წერილი "Некоторые сомнения касательно Грузии".

ამისთანა უეცარი, უმიზეზოდ და უანგარიშოდ არ გატყვრება ხოლმე.

მას აქეთ, რაც საქართველო შეუერთდა რუსებს, იმ დღემდე, რაც ეს უცნაური ჭორი გამოაცხო სენკოვსკიმ, სულ არ გასულა 37 წელიწადი და ნუთუ ამ შედარებით მოკლე ხანში ისტორია ისეთს ბნელში გაეხვია, აღარავის ახსოვდა, — რუსეთს რა ქვეყანა შეუერთდა — საქართველო თუ სომხეთი, ან ტფილისი ვისი სატახტო და დედაქალაქი იყო. თითონ სენკოვსკი პროფესორი იყო აღმოსავლეთის ენებისა, მწერალი და ჟურნალ-მეგაზეთე რუსეთისა, და ნუთუ დასაჯერია, რომ სენკოვსკიმ ამბად მაინც არ გაიგო ასეთი, რუსეთისათვის შესანიშნავი საისტორიო საქმე! ნუთუ მისს ყურამდე არ მიაღწია, — რუსეთმა ვისგან ვისი ქვეყანა მიიღო თავისდა მფარველობის ქვეშ! თუ ესეა, ვინ და რამ შეათითხნინა იგი უცნაური ისტორია და გეოგრაფია, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ?

აშკარაა, აქ მეცნიერულ სიყვარულსა და სულთასწრაფვას ადგილი არა აქვს, რადგანაც ჭორი აქ ცხადია და მეცნიერების მოყვარე ჭორებს არ დანებდება, არ წაეღებინება. აშკარაა, არც მეცნიერულ კვლევის წყურვილით აიხსნება ეს უცნაური ამოცანა, იმიტომ რომ ასეთი ისტორია, ასეთი გეოგრაფია — ნაკვლევი კი არ არის, მოგონილია ცხადად, რადგანაც მის საბუთს ვერ იპოვიდა მკვლევარი. აშკარაა — არც ქართველი აქმნევინებდა ამას, აშკარაა — არც რუსი. განა რა ანგარიშია რუსისათვის ხმა დაეგდო, რომ ქვეყანა, ქართველებისაგან მიღებული, ქართველებისა-კი არ არის, სომხებისაო... მაშ ვინ? ყველამ იცის ცხონებული სენკოვსკი რა კაცი იყო.

რომ ამ განგებ მოგონილს ისტორიასა და გეოგრაფიას დამალული სათავე ვუპოვოთ და გავიგოთ, ვისი ეშმაკობა უნდა იყოს ამისთანა ისრების სროლა, უნდა მშვილდი მოვნახოთ, ვის ხელში აღმოჩნდება. ის დღეა და ეს დღე, სომხის მწიგნობარნი იმის ცდასა და მეტყველებაში არიან, რომ საქართველო, რაც შეიძლება, ამიერკავკასიაში ავის თვალით დაანახვონ ქვეყანას, რაც შეიძლება მეტი წილი ჩამოათალონ დ თვით მიითვისონ, რაც შეიძლება გაუუქმონ წარსულიც, შეუბღალონ აწმყოცა.

მაგალითებრ, ყველასგან ცნობილია, რომ ჭოროხის ხეობა ძველად-ძველიდამვე შეადგენს ნაწილს ზემოქართლისას, საცა ბოლოს ხანებში სამცხე-საათაბაგო იყო. სომხის მწერლები-კი - ემინი[1], ხუდაბაშოვი[2], ერიცოვი[3] სწორედ ამ ადგილებს გვეცილებიან და ამტკიცებენ, რომ მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭოროხის ხეობა — დიდს სომხეთს ეკუთვნოდნენო. თითქმის ერთის სახტომის ადგილს-ღა გვარჩენენ. ამ მოწყალებისათვისაც მადლობელნი ვართ, მაგრამ იმას რაღას ეუბნებიან, რომ მთელ იმ ადგილებს, რომელსაც გვედავებიან, ქრისტეს წინა ხანებიდამ დღევანდლამდე ქართული სახელები შერჩენია. მაგალითებრ, ჭოროხის ხეობაში: კლარჯეთი, ლიგანის-ხევი, ტაოს-კარი, შავშეთი, აჭარა და მტკვრის სათავეში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. ამ ადგილებში მეშვიდე და მერვე საუკუნიდამ მეთოთხმეტე საუკუნემდე ქართველებს ტაძრები და მონასტრები უშენებიათ, რომელნიც დღესაც არიან, მაგალითებრ, კოლაში — დადეშისა, არტაანში — ნაქალაქევისა, სამცხეში — აწყურისა, ზარზმისა, საფარისა, ჯავახეთში — წყაროსთავისა, შავშეთში — ტბეთისა, კლარჯეთში — ხახულისა, აჭარაში — სხალტბისა და სხვანი და სხვანი.

ვთქვათ, ეს აშკარა და უტყუარი ღაღადი ადგილების სახელებისა, მონასტრების და ტაძრების ზედწარწერებისა — ეს მართლა-და ქვების პირდაპირი და უკუუთქმელი მოწმობა „ჩოტკში“ ჩასაგდები არ არის, ვთქვათ ყოველივე ეს საბუთად მოსატანი არ არის. ევროპიელ მეცნიერს სენ-მარტენს, რომელიც

[1] იხ. მისი "история Моисея Хоренского", 1858 წ., გვ. 340–344.
[2] იხ. მისი "Обозрение Армении", 1859 წ., გვ. 21–27.
[3] იხ. "Кавказская страница", 1872 წ., № 1, გვ. 20.

ცნობილია ვითარცა კაცი უფრო მწყალობელი სომხებისა, ვიდრე ქართველებისა, და რომელიც ხშირად მოჰყავთ სომეხთ მწიგნობართ, როცა ქართველების ავად ხსენება და სახელის გატეხა ჰსურთ მისის სახელითა — ეს ამისთანა სომხების მომხრე კაციც-კი ამტყუნებს ამ შემთხვევაში სომეხთა მწიგნობართა და ამტკიცებს, რომ იგი სერი მთებისა, რომელიც ჭოროხისა, მტკვრისა, ეფრატისა და არაქსის წყალთგამყრელია, მუდამი საზღვარი იყო ქართველთა და სომეხთ შორისაო. ამ სახით ჭოროხის ხეობასა და მტკვრის სათავეებში სულ მთლად ხელს აბანინებს სომხებსა.

ყოველ ამისდა მიუხედავად, სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ. განა აშკარა არ არის, რომ ამ ცუღლუტურ მეცნიერებით სწადიათ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა... ჩვენ არც იმისთვის გავაბით ეს ლაპარაკი, რომ ჩვენი აზრი ამ საგანზე გადაწყვეტილად მიგვეჩნია. იქნება სომეხთა მეცნიერთა სიზმარნი ცხადნი იყვნენ, იქნება იგი ქვეყნები მართლა იმათი კუთვნილია. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გვეთქვა — რა ხერხით და ოინბაზობით იქცევიან სომეხთა მეცნიერნი, რომ თავისი გაიყვანონ. ისინი ამ შემთხვევაში არაფერს ჰთაკილობენ, თავისას რომ ამბობენ — სხვისას ჰმალავენ. მთელი ეს ერიცოვები, ხუდაბაშოვები, ემინები და სხვანი ამისთანაები რომ გადასინჯოთ, დაინახავთ, რომ თავიანთი ნათქვამი და ნაკვლევი ბაჯაღლო ოქროდ მიაჩნიათ და სხვისა-კი, თუ ანგარიშში არ მოსდით, ერთ ყალბ ფლურადაც არა.

იგი გუნდი სომხებისა, რომლის მედაფე-მეზურნედ მათნი მწიგნობარნი არიან, ამ თვალთმაქცობას არა ჰკმარობს, არა სჯერდება: მისთვის ცოტაა სხვისა მართალი ჰმალოს, თვისი ტყუილი აყვიროს. ამ გუნდმა კარგად იცის, რომ საბუთი, რაც გინდ დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟავნდება და თავისას გაიტანს. საქმე საბუთის გაბათილებაა, ან წაშლა, ან ჩაფხეკ-ამოფხეკა, ან გადაკეთება სათავისოდ.

რომ არც ამისთანა ოინები დაეფიცება სომეხთა მწიგნობართ-მეცნიერებს, ესეც ცხადია. რადგანაც დრო იქნება, როცა ისტორიული ნაშთები და სახსოვრები თავისას იტყვიან, — ვისა სჯერია და ვის უჭირავს ეს ადგილები; და რადგანაც ქვანი, მრავალნი შენობანი, ტაძრები, მონასტრები ჰღაღადებდნენ, რომ ძველის-ძველად ამ ადგილებში ქართველები ყოფილან, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ უტყუარს მოწმეებს ქართველებისას ხმა ჩააწყვეტინონ, ხმა არ ამოაღებინონ. ამისათვის ერთი თქვენი მოსაწონებელი ხერხი უხმარიათ: აუღიათ და, საცა შესძლებიათ და მოუხელებიათ, წაუშლიათ ყოველივე კვალი.

ამისი მოხერხება ძნელი არ არის, ოღონდ ხალისი იყოს და ნამუსი ნებას იძლეოდეს. დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო და მოტყუებით იქნება, თაღლითობით თუ ოინბაზობით, ამას ვიღა იკითხავს. დღეს ჭკუის საწყაოდ ასეთის საქციელით გამარჯვებაა. არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ცდილან, ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდამ ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა. არა ერთი და ორი მაგალითია ამისთანა ოინისა და ოდესღაც გამოცხადებული იყო აქაურ ქართულ და რუსულ გაზეთებშიაც.

სხვათა შორის, განსვენებული დ. ბაქრაძე მოგვითხრობს ერთს ამისთანა მაგალითს, რომელიც გვანიშნებს ამ მშვენიერს უნარს სომხების ერთგვარ გუნდისას. ართვინში ერთი დიდი ეკკლესიაა თურმე ძველის-ძველი. იქაურს სომხობას მოუწადინებია მზამზარეულად ამ ეკკლესიის დაჩემება. მინამ დაიჩემებდნენ, ბერძნები შესცილებიან, — ეგ ეკკლესია ძველთაგანვე ქართველებისა ყოფილა, მაშასადამე, ჩვენთვის, ვითარცა მართლმადიდებლებისათვის, უფრო უპრიანიაო. ამ ეკკლესიას მართლმადიდებლობის

ნიშნად ზედა ჰქონია ქვა ქართულის წარწერითა. სომხებს აღარც უციებიათ, აღარც უცხელებიათ, აუღიათ და იგი ქვა სადღაც წაუბრძანებიათ და მიუმალავთ. ამ გზით იგი ეკკლესია მართლმადიდებელთათვის ხელიდამ გამოუტაცნიათ და დღეს სომხებს დაუჩემებიათ[1]. განა ამისთანა ოინი ფიქრად მოუვა უბრალო სომეხს კაცსა? თუნდ საქმე უბრალო კაცის იყოს, შთაგონება და წაქეზება ამისთანაებში, აშკარაა, გაბრძნობილის მეცნიერისაგან არის, ამიტომაც საბუთი გვაქვს, ეს უკადრისი საქციელი და ყოველი სხვა ამისთანა, სომეხთ-მწიგნობართა მანქანებას მივაწეროთ და არა მთელს ერს სომხისას.

ჩვენ თავისს ადგილას ამის შემდეგაც მოვიყვანთ მაგალითებს, რომ სომეხთა მწიგნობარნი ამისთანა საქციელს არა ჰთაკილობენ და წაშლა, გაბათილება, ან გადაკეთება საბუთებისა იმათი ხელობაა. ახლა-კი ვიტყვით, ამრიგად ქართველის სახელის აღმოფხვრას ამიერკავკასიაში და საისტორიო სახსოვრების გარდაქმნას სომხურად — საკმარისად არა ჰხადიან.. ტაძარ-მონასტრებისა და ქვების გარდა, სხვა მოწამენიც არიან ქართველობის მღაღადებელნი ამიერკავკასიაში. ამისთანა მოწამენი მატიანენი და ქრონიკებია, მეცნიერთაგან გამოძიებულნი, და ვითარცა ისტორიულნი საბუთნი პირში უდგანან სომეხთა მწიგნობართა, თუ ხელს გაიწვდიან, რომ არწივის ნაბუდარზე წიწილები ჰზარდონ. სომეხთა მწიგნობართა კარგად იციან, რომ თუ ეს ისტორიული საბუთები არ გააქარწყლეს, ბევრს არაფერს გახდებიან საქართველოში. რა თქმა უნდა, ახლა აქედამ მოგვიარეს.

მათი პროფესორი პატკანოვი[2] აწ გარდაცვალებული, მთელის თავისის მეცნიერების ზარბაზნებით მოგვესია და ჭლამის ზურგზე მტვერი აგვადინოს. ჯერ მოგვდგა და თავზე დაგვაფხრიწა

[1] იხ. დ ბაქრაძე: „Археологическое путешествие по Гурии и Аджарии“, გვ. 41.

[2] იხ. დ ბაქრაძე: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“.

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“. ეს ვახტანგ VI დროს არის შეთითხნილიო და არავითარი ცნობა არ არის, რომ ვახტანგის წინათ „ქართლის ცხოვრება“ ყოფილიყოსო. ერთადერთი წერილია „სომხური ქრონიკა“ ჰქვიანო და თუ რამ მასალაა ქართველების ისტორიისა, იქ თუ იპოვებაო. მართალია, ეს „ქრონიკა“ ქართულიდამ ნათარგმნიაო, მაგრამ დედანი უნდა იყოს შეთხზული, ანუ შედგენილი, უსწავლელისა და უმეცარის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიის საჭიროებაო. ჰხედავთ, სენკოვსკის თქმულმა სად გამოჟონა!..

გამოდის, რომ მეთორმეტე საუკუნემდე ქართველები ისეთი ბრიყვები ყოფილან, რომ არამცთუ ისტორია არა ჰქონიათ, ისტორიის საჭიროებაც ვერ უგრძვნიათ და აქაც სომეხს უშველია, ისიც უსწავლელსა და უმეცარსა. ამ სახით გამოდის, რომ თუ უმეცარსა და უსწავლელს სომეხს ისტორიის საჭიროების გრძნობა ჰქონია, რამოდენად უსწავლელნი და უმეცარნი უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომ ამისი შნოც არა ჰქონიათ. საწყალი ქართველები! უსწავლელი და უმეცარი სომეხიც-კი თქვენზე წინა ყოფილა ჯერ მაშინ და ეხლა ხომ რაღა თქმა უნდა. ისტორიის საჭიროების გრძნობაც-კი არა გქონიათ, ღმერთმა უშველოს იმ პატკანოვის უმეცარსა და უსწავლელს სომეხს, რომ წყალობა უქმნია და მოგშველებიათ..

ასე გვამკობს, მიწასთან გვასწორებს ქაეთველებს, მერე რა ხანის ქართველებს? მეთორმეტე საუკუნისებს. მერე ვინ? პროფესორი და მეცნიერ-მწიგნობარი. მართალია, სომეხთა პროფესორია, სომეხთა მეცნიერია, ნუთუ აქაო-და სომეხია, მართალი არ უნდა სთქვას, მართალი არ უნდა დაინახოს? განგებ თვალებზე ხელი რად აუფარებია მეთორმეტე, ან მეთერთმეტე საუკუნოების ქართველებზე, ესე იგი იმ ერზე, რომელსაც სტრაბონი ჯერ კიდევ პირველ საუკუნის დასაწყისში აღყვავებულს მდგომარეობაში გვიხატავს, რომელმაც

გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის-ძველათგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ხელოვნების სამკაულებით და მანუსკრიპტებით, რომელმაც ძველადვე ჰთარგმნა ფაჰლაურ ენაზე შედგენილი სანსკრიტული მოთხრობა „ქილილა და დამანა“, „ვისრამიანი“ და შეჰქმნა დიდებული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“[1], რომ სხვა აღარა იყოს-რა.

ვინც განგებ გონებადახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელაფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება წაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ შემქმნელი ერი იმოდენად ბრიყვი იყოო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არა ჰქონიაო. ვის მოუვა ამისი თქმა ფიქრად, თუ არ სომეხთა ფილოსოფოსებს და პროფესორებს. მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო, სწორედ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერებზე ითქმის. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. ჩვენ-კი ვიტყვით, რომ „ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“.

ვთქვათ პატკანოვმა, ვითარცა სომეხთა მეცნიერმა, არ იკადრა წაკითხვა „ვეფხის-ტყაოსნისა“, რადგანაც ქართულია და იმისთანა წიგნია, რომელიც გვასწავებს, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ეს ამისთანა ანდაზა ვერაფერი ჭაშნიკია ცრუმეტყველებისათვის და რად იკადრებდა პატკანოვი ამისთანა ლათაიების წაკითხვას. ვაპატიოთ ამ მეცნიერს სომეხს ასეთი უმეცრება და არცოდნა „ვეფხის-ტყაოსანისა“. მარტო ეს ვიკითხოთ: რაღა პირით გვეუბნება, რომ თქვენი „ქართლის ცხოვრება“ არაფრის მაქნისიაო, როცა ამისთანა საქმეებში სახელდადებულნი სწავლულნი ჟან სენ-მარტენი, ვივიან დე-სენ-მარტენი, დუბუა დე-მონპერე[2] ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ

[1] ფრჩხილებში ჩასმული დ. ბაქრაძის სიტყვებია.
[2] S.-Mart. Mem. sur l'Arm. II, p. 190. W. S.-Mart. Recherches sur les populat. du Caucase, p. 78 - 79; Dubois de Montp. Voyage autour du Caucase, I, p. 62 - 63

ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისაო. ამასთან დუბუა დე-მონპერე იხსენიებს ქართველებს, ვითარცა ძველისძველ ერს, რომელიც უხსოვარ დროთაგანვე ამიერკავკასიას დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონიაო.

მეცნიერი სომეხი ამათაც ეურჩება, ამათს სიტყვას აბათილებს და მაინც თავისას გაიძახის. აკი ვთქვით: ალიას დარდი ფლავიაო. საბუთად და მოწმად მოჰყავს სენკოვსკი, კოხი და ლანგლუა. რამოდენა ავტორიტეტები არიან ამისთანა საქმეში სენკოვსკი და კოხი, რომელთ შორის უკანასკნელი მარტო ბოტანიკოსად არის ცნობილი და არა ისტორიკოსად, — ეს თითონ პატკანოვის მართლმოყვარეობას მივაჩემოთ. ლანგლუა კი პატივსაცემი მეცნიერია. შესანიშნავია აქ ერთი რამ, თუმცა სომხის მწიგნობარისაგან-კი საკვირველი არ არის: თურმე ლანგლუაც ჩვენს „ქართლის ცხოვრებაზე“ იმასვე ამბობს, რასაც სენ-მარტენი და სხვები[1] და მართლმოყვარე პროფესორს-კი იმის თქმული თავისს გულნადებსა და სურვილზედ გამოუჭრია. ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპარიაო და სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანაები რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, და რომელი ერია ქვეყანაზე, რომ თავისი ისტორია ამისთანა ზღაპრით არ ჰქონდეს დაწყებული. აი, რას ამბობს ლანგლუა და არა იმას, რაც ასე მოსწყურებია პატკანოვსა.

ეს პირველი და უკანასკნელი მაგალითი არ არის ცხონებულ პროფესორის თაღლითობისა. ამას მერეც ვნახავთ და ეხლა-კი ვიტყვით, რომ ამასთანავე გაბედვითა და კადნიერებით ექცევა იგი სტეფანოზ ორბელიანის მოწმობასაც. ერთს თავის შენიშვნაში ეს

[1] Langlois: Essai de classification de suites monetaires de la Georgie, 1860 წ., გვ. 3 – 10.

გულმართალი სომხის მწიგნობარი პატკანოვი ამტკიცებს, რომ „ქართული ლიტერატურა ღარიბია ძველის წყაროებითაო და თვით სტეფანოზი მეცამეტე საუკუნეში უჩივისო ამ ნაკლულევანებას“... თურმე ნუ იტყვით, სტეფანოზი იმას-კი არ სჩივის, რომ „ორბელიანთ გვარის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ ბევრს არას გვეუბნებაო, ჩვენ განვიხილეთო აქა იქ გაფანტულად გადარჩენილი ნაშთები და მხოლოდ ეს მცირე რაიმე ვიპოვეთო“. აშკარაა, სტეფანოზი აქ მთელ ქართულ წყაროების სიღარიბეს-კი არა სჩივის, არამედ იმას, რომ ორბელიანთ გვარის შესახებ სრული ცნობები არ არის ქართულ მატიანეებშიო. სტეფანოზი ორბელიანთ გვარის ბიოგრაფი არის და საკვირველი არ არის, რომ უჩივის ამ მხრით ჩვენს წყაროებს. პირიქით, სტეფანოზი ხშირად იხსენიებს „ისტორიულ დავთრებს და სამეფო არქივებს“ საქართველოსას. ამ სახით სომეხთა მეცნიერმა კერძო საქმის შესახები სიტყვა სტეფანოზისა განაზოგადა, გადააკეთა თავისებურად და ნაკლი, ერთის ცალკე ამბის შესახები მთელს ჩვენს ისტორიულ წყაროებს ზედ დააკეცა. ვისაცა ჰსურს უფრო მეტად დააჯეროს გული, — რა ხერხები სცოდნია პატკანოვს, წაიკითხოს დ. ბაქრაძის წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. მაშინ უფრო აშკარად დაინახვენ — რა ოსტატობით მოჰქცევია ლანგლუას და სტეფანოზის სიტყვას საოცარი პროფესორი სომხებისა. დ. ბაქრაძე ამტყუნებს ამ გაოსტატებულ პროფესორს და ამისათვის მრავალი საბუთი მოჰყავს და. სხვათა შორის, იმასაც ამტკიცებს, რომ, პირიქით, თვით სომხურს ისტორიულ წყაროებზე ზეგავლენა ჰქონია ქართულს ქრონიკებსა. ვისაც ეს ამბავი არა სჯერა, ვთხოვთ, ზემოხსენებული წერილი დ. ბაქრაძისა წაიკითხოს და კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს.

ამ სახით, გულადმა პროფესორმა გამოილაშქრა „ქართლის ცხოვრებაზე“, რომ ეს საძირკველი ჩვენს ისტორიულს ვინაობასა და ავკარგიანობას ძირიდამ გამოაცალოს და თვით ვინაობა ჩვენი პირქვე

დაამხოს. ლახტი, მართალია, შემოგვიქნია, მაგრამ ერთი რომ ჩვენ მოგვახვედრა, ათი თითონ იკრა. მართალია ამაში პატკანოვი, თუ მტყუანი, ჩვენ ამჟამად ამას არ ვეძიებთ. ჩვენთვის საჭიროა გავითვალისწინოთ იგი საომარნი ზნენი, რომელსაც ხელსა სჭიდებენ სომეხთა მეცნიერ-მწიგნობარნი ჩვენდა გასათელავად.

III

რაცა ვთქვით, ეს არ გვაკმარა პატკანოვმა და, სწორედ მოგახსენოთ, არც სომეხთა მწიგნობართაგან ერთხელ და ერთხელ დადგენილი პროგრამა იქნებოდა აღსრულებული, რომ მარტო ამაზე გაჩერებულიყო მათი ბაირაღტარი. ქართველებს რომ ისტორიული ქრონიკები არა აქვთ, ეს კიდევ დიდი უკადრისობა არ არის და ავზნეობას ერისას არ მოასწავებს. საქმე ის არის, ზოგიერთს უცხოელს ქართველები გულკეთილ ერად მიაჩნიათ, კარგის გულისანი არიანო, შესახვედრად საყვარელნი, სასიამოვნონი, თავაზიანები. მართლა ესეთნი ვართ თუ არა — ამისი თქმა ჩვენი საქმე არ არის. თითქო სომეხთა მეცნიერთ ესეც-კი ჰშურთ ჩვენთვის, თითქო უფიქრიათ, რა საჭიროა ჩვენთვის, რომ უცხოელებმა ასეთის კარგი თვალით უყურონ ქართველებსა, მოდი, აქაც ხელი შევუშალოთო. ვინ მოგახსენათ, რომ ქართველები გულკეთილები არიანო, თითქო იძახის პროფესორი პატკანოვი, როცა გვწამებს ფანატიკოსობას. დიაღ, იგი ეფიცება ქვეყანას, რომ ქართველები ფანატიკოსები არიანო, ესე იგი სხვა უცხო კაცისა და რჯულის მიუკარებელნი, შეუწყნარებელნი და მდევნელნიო. ამის საბუთად ერთი რაღაც ზღაპარი მოჰყავს თამარ დედოფლის დროინდელი. ფანატიკოსობა, რასაკვირველია, სიბრიყვისა და გონებადახშულობის ავზნეობაა და ამ სიკეთეს როგორ დაიშურებდა ჩვენთვის სომეხთა მეცნიერი.

იქნება, მართლა ავზნენი, გულღვარძლიანები ვიყვნეთ, ფანატიკოსობა გვჭირდეს, — ჩვენ არც ამაში

გამოვეკიდებით. ხოლო რაკი სომეხს პროფესორს ჩვენთვის ფანატიკოსობა შეუწამებია, აშკარაა, იმ აზრით იქცევა ასე, რომ სომხებს ამისთანაებში ხელს აბანინებს, მითამდა ქართველები არიან ასეთნი ბრიყვნი და ავის ზნისანი და სომხები-კი არაო. ვნახოთ ასეა, თუ აქაც ოსტატობაა თუ თვალთმაქცობა სწავლულისა.

როცა ქალკიდონის მსოფლიო კრებულს (596 წ.) ემოწმა ქართველობა და ამით საწმუნოებით ერთმანეთს დაშორდნენ ქართველები და სომხები, სომხებმა ცალკე კრება მოახდინეს დვინს და დაადგინეს განაჩენი. ამ განაჩენის ძალით სომეხთა მაშინდელმა პატრიარქმა აბრაამმა ასე შეაჩვენა და კრულვა-წყევლას მისცა ქართველობა: „ჩვენ დავწყევლეთ და პირქვე დავამხეთ ქართველთა კათალიკოზი კირიონი და ქართველებზედ ვბრძანებთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ არავითარი მისვლა-მოსვლა ქართველებთან, არავითარი ურთიერთობა, არც ლოცვითა, არც ჭამა-სმითა, არც მეგობრობითა და არც შვილების აღზდითა; არ გაბედონ წასვლა სალოცავად არც სახელგანთქმულ მცხეთის ჯვარისა, არც მანგლისის ჯვარისა, არ მისცენ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში, ერიდნენ იმათთან დამოკიდებულებას ცოლ-ქმრობისას, ნება ეძლევათ მხოლოდ აღებმიცემობა იქონიონ, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბძანებას გადავა, წყეულიმცა არს იგი სულითა და ხორცითა და ყოვლის ცხოვრებითა“.

ამას მოგვითხრობს სომხის ისტორიკოსი კაღანკ ტვაცი. ისტორია მისი მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის და თვით პატკანოვს რუსულად გადაუთარგმნია. ეს მაღალ ზნეობის და კაცთმოყვარეობის მომასწავებელი განაჩენი შიგ ამ ისტორიაშია ჩართული. სართი დასწრებისააო, სწორედ ამას ჰქვიან. ამაზე უდიდესი ფანატიკოსობა არა გვგონია სხვა იყოს სადმე. ამ სახელოვანის განაჩენის პატრონს განა ხმაღა ამოეღებოდა ჩვენს ფანატიკოსობაზე, რომ ქვეყანაზე გამკითხავი ვინმე იყოს! რატომ აგრე საქებურად

გაუჩუმდა ამისთანა წრესგადასულს ფანატიკოსობას, რაკი აქამდე მიიყვანა საუბარი.

განა მართალი არ არის ყოველ ამის შემდეგ დ. ბაქრაძე, როცა პატკანოვზე ამბობს: „პატკანოვი უკვე დასკვნილს ქართულს აზრს ან უჩუმდება, ან თუ იგი მოჰყავს, მოჰყავს გადასხვაფერებით, იმგვარად, რომ ბინდი მოჰფინოს მის წინააღმდეგ აზრს, ქართულ ისტორიის წყაროს, თვით ჩვენთა წინაპართა ხასიათს“. თუ ამისთანა ოინებსა და თვალთმაქცობას კადრულობენ და არა ჰთაკილობენ სომეხთა ქებულნი და თავმოსაწონებელნი პროფესორნი, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვა სომხებს, რომელთაც ცარიელ დიპლომებით თავი მოაქვთ, ქადულობენ და ყურებს გვიჭედავენ.

ამ სახით, კადნიერმა პროფესორმა ხომ თავზე დაგვახია ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, ხომ სახელი ჩვენი ცოტად თუ ბევრად შეგვილახა მით, რომ ქვეყანას აუწყა, ვითომც უსწავლელი და უმეცარი, ესე იგი უკანასკნელი სომეხი მაშინაც-კი უპირველესი და წინწასული ყოფილა ქართველებზე, როცა ქართველების ოქროს დრო იყო, ხომ ფანატიკოსობაც შეგვწამა, — ახლა სხვა გზიდამ მოგვიარა. სული ხომ ვითომც ამოგვხადა, ახლა ხორცის გლეჯასაც მიჰყო ხელი. ამ მხრითაც რომ ლახტი არ შემოექნია, ერთსა და უკანასკნელს საგანს სომეხთა მწიგნობრების პროგრამისას უღალატებდა და ამის ჯავრსა და ცოდვას რად გაიყოლებდა.

ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა „მუშენი“, დაბადების „მოსოხნი“ ან „მოსხნი“, ეხლანდელნი „მესხნი“, ჰეროდოტის „ტიბარენნი“, სტრაბონის „ტიბერნი“ და „კოლხნი“ შეადგენდნენ ქართველ ნათესაობის ერსა. რადგანაც ისიც ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ძველისძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ღალისის მდინარითგან მცირე აზიაში — შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ, აშკარაა, რომ ვისაც ამ

ადგილებში დაჩემება რამ უნდა, ან ქართველის კუთვნილების გაუქმება, – მოუნდება დაამტკიცოს, რომ ზემო დასახელებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულადი პროფესორი და გვეფიცება, რომ „მოსხები და კოლხები“ ქართველის ნათესაობისანი არ არიანო და არავითარს საბუთს ამისას არ იძლევა-კი ეს საოცარი მოფიცარი. ბალღო, რადა სტირიო? გამიდის და ვტირიო, სწორედ ეს არის.

ამგვარათვე ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ უცხო ერის მემატიანენი, მაგალითებრ, კონსტანტინე პორფიროგენი (911 – 959 წ.) იმოწმება, რომ მეათე საუკუნეზე წინათ ქართველთ ბაგრატიდთა ეჭირათ ჭოროხის ხეობა და აქედამ დაიპყრეს თვით არზრუმი და სხვა ნაწილები სომხეთისაო. თუნდ ესეც არ იყოს, მთელი ჭოროხის ხეობა, როგორც უკვე ვთქვით, სავსეა ქართულის ეკლესიებითა და მონასტრებითა ქართულისავე ზედწარწერებითა და ზოგნი ამათგანი ეკუთვნიან მერვე-მეცხრე საუკუნეს. ყველა ეს უტყუარი მოწამენი თვით სომხის ვარდაპეტის სარგისიანისაგან არიან აწერილნი, ბროსსესაგან განხილულნი და აკადემიის მემუარებში დაბეჭდილნი. თვით ეს სარგისიანი, რომელსაც 1843 – 1853 წ. დაუვლია ჭოროხის ხეობა, მწუხარებით ამბობს, რომ ღონისძიება არა მქონდა გადმომეღო იგი მრავალი ქართული ზედწარწერანი, რომელნიც მე იქა ვნახეო. აბიხი, ხანიკოვი და თვით იგი კოხი, რომელიც ერთს შემთხვევაში პატკანოვმა იმოწმა, ამასვე მოგვითხრობენ[1].

ესეა თუ ისე, პატკანოვი უფრო შორს მიდის ამაზე, და რაკი სხვისის დაჩემების გზაზე დაექანა, თავს ვეღარ იმაგრებს და ჭანეთსაც, მოსე ხორენელის „ჭანივ“-ს, ესე იგი „ქალდეას“, ხელი

[1] იხ. დ. ბაქრაძე: „Археологическое путешествие по Гурии и Аджарии“, გვ. XIV.

წაატანა, – „ქალდეა“ შეადგენდა ნაწილს სომხეთის სამეფოსასაო. როდის და სად არის ამისი ისტორიული საბუთიო? – ეკითხება ამ გათამამებულსა და მადაგახსნილს სომხის პროფესორს დ. ბაქრაძე. მართალიც არის. თუ მოსე ხორენელი სწერს, რომ იმ ადგილებში, რომელსაც „ქალდეა“ ერქვა, ჯერ თითქმის ორი ათასის წლის წინათ სომხები იყვნენო, ეხლა ხომ ყველამ იცის, რომ ეს აშკარა ტყუილია, ისიც ეხლა ყველამ იცის, რომ სომეხთა მეისტორიეთა მამამთავარი მოსე ხორენელი ისე სარწმუნო და საქებ-სადიდებელი არ არის, როგორც სომხებსა ჰგონიათ.

ლენორმანი, ეს ყველასაგან დიდ სწავლულად მიჩნეული კაცი, აი რას ამბობს: „შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არარიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაცკი შეეხება წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა, მომდინარეობს მოსე ხორენელის წიგნისაგან, და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენელისაგანაც სჩანს, არის უბრალო ასლი (კოპიო) მარაბაზ კატინის ცრუსიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორობის ხელობას, ეკუთვნოდა ედესის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, საცა სიმართლეზე მეტი სიცრუე შეიტანა და სულ ეს ააშენა კტეზიის ქრონოლოგიურ სისტემის მზგავსად და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მიბაძვას უნდა გაეფუჭებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულუბრალო მკითხველის მოსატყუებლად კატინამ ეს ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინის დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ

გვარის ყალბი წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰფინეს მთელი ქვეყანა“[1].

ჩვენ ეს ლენორმანის საბუთიანი აზრი იმისათვის არ მოგვყავს აქ, რომ მოსე ხორენელი შევუბღალოთ მის პატრონებსა. აქედამ ერთი იმისთანა ოინი გამოიჩეკა მერე, რომ ერთი მაგალითი კიდევ მოგვეცა გავითვალისწინოთ უტყუარად, — რა საქებური და სამამაცონი ზნენი სჭირებიათ სომეხთა მწიგნობართა საერთოდ და მათ ბაირაღტარს პატაკანოვს საკუთრივ: ლენორმანმა ეს თავისი და ეხლა ყველასაგან მიღებული აზრი მოსე ხორენელზე 1871 წელს გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ვერაფრად იამებოდათ ეს ამბავი მოსე ხორენელის მაქებარ-მადიდებელთა. გარნა რა უნდა ექმნათ? ქონდრის კაცი ხომ ვერ შეეჭიდებოდა იმისთანა გოლიათს მეცნიერებისას, როგორიც ლენორმანია. ან რომ გაებედნა კიდეც, რას გაიტანდა. როგორ უშველა პატკანოვმა თავს? აი ძაღლის კუდი სადა მარხია. გამოვიდა, რომ ეს საბძელი რომ იწვის, ბარემ ხელები მაინც გავითბოთო და გაითბო კიდეც.

პატკანოვმა ყური მოიყრუა, თითქო არც სადმე ლენორმანია და არც მის მიერ ნათლად გამორკვეული აზრი: აიღო და კარგა ხანს შემდეგ, როცა უკვე ლენორმანის აზრი გამორკვეული იყო, შეუდგა ვითომდა თავისის საკუთარის თაოსნობით მოსე ხორენელის ავისა და კარგის ჩხრეკასა, ვითომ თვითონ გამოიძია, თავისს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, — ვითომ თვითონ მიაგნო, რაც უკვე მიგნებული იყო სხვისაგან და ლენორმანის გამონაკვლევი თავისის სახელით გაასაღა. ამრიგად, უკვე აღმოჩენილი ამერიკა აღმოაჩინა და დოინჯი შემოიყარა თავმოწონებისა. როგორ მოგწონთ ამისთანა საქციელი? თქვენ თუ არ მოგწონთ, აბა ყური დაუგდეთ პატკანოვის ამქრის მწიგნობართა, რას ამბობენ ამ სხვისის ღვაწლის დამჩემებელსა და სხვის ნაცვამით დოინჯშემოყრილ პროფესორზე:

[1] იხ. ლენორმანი: ასსირიოლოგიური წერილები, სერია პირველი, წერილი მეორე.

„ყველაზედ უდიდესი (капитальный) საისტორიო ღვაწლი პატკანოვისა“ სწორედ ეს ღვაწლი არისო[1] აკი, „კაცსა მართალს თუ მტყუანსა, კაცნივე შეატყობენო“. მიუქარავს ამ ანდაზის მთქმელსა.

თუ მართლა „ყველაზე უდიდესი საისტორიო ღვაწლი“ ესა ყოფილა პატკანოვისა, სხვა უმცირესი რაღა უნდა იყოს? ეს სხვა მეცნიერსა ვკითხოთ, სახელდობრ ბ-ნ მარს, ეხლანდელს სომხების პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტში. მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბ-ნი მარი. მწურთვნელის კარგად ხსენება მადლობელის გაწურთვნილისაგან მოსაწონია, მაგრამ ესეც-კი ურიგოდ არ არის ნათქვამი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ჰნახო ავად ზრდილი“.

ბ-ნი მარი, თუმცა პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ უჩენია და ღმერთმაც ნუ ჰქმნას, რომ იჩინოს, — სხვაფრივ-კი იმის გზაზე დამდგარა და დიდის რიხით იჭიმება, თითქო ძაღლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ჯინჭველას არ გაიტარებსო. ერთი, აკაკისთან მისი საუბარი გადაათვალიერეთ და დაინახავთ, რარიგად იბღინძება თავისის მეცნიერებით, რარიგად იბერება, რა მსხვილ-მსხვილად იხარჯება, რა დიდ-დიდ სწავლულებში თავსა სდებს. ამ ბოლოს დროს ხომ ბ-ნმა გოლმსტრემმა[2] ამომავალ მნათობად დაგვისახა მეცნიერების ცაზედ და ამას იქით, უყურეთ, ცას ქუდად აღარ მიიჩნევს და დედამიწას ქალამნადა. თუმცა ეს როგორღაცა ჰგავს, კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო, მაგრამ ჩვენ რა გვენაღვლება? ჩვენ რა საქმე გვაქვს? კუმ თავისი იცოდეს, ჩვენ — ჩვენი.

თუ რამე კულტურის ნასახი გააჩნიათ ქართველებისაო, თითქმის სულ სომხების მოწყალებითაო[3] სომხების კულტურა რომ უარჰყონ, ნახევარი კულტურა ქართველებისა თქვენს ჭირს

[1] იხ. „Брастская помощь Армянам“ გვ. 189-190.
[2] იხ. „Петербургские Ведомости“-ს 1899 წ. № 33
[3] იხ. „Брастская помощь Армянам“ გვ. 562.

წაიღებსო, ამბობს ეს ახლად ამომავალი მნათობი მეცნიერებისა. იქნება ესეც იყოს, არც აქ ავუხირდებით, იმიტომ რომ ჩვენს სახეში სულაც არა გვაქვს ვიძიოთ, ქართველი სჯობია სომეხს, თუ სომეხი — ქართველს. ამაებზე საუბარი ბრიყვის საქმეა და ჩვენ შორს ვუვლით ამისთანა აბდაუბდას. ჩვენ მარტო ამას ვჩივით, — როცა იმისთანა მეცნიერნი, როგორც ბ-ნი მარია, ამისთანაებს ჰლაღადებენ, საბუთი მაინც უნდა დაგვანახვონ.

ბ-ნი მარი ჩვენს ენასაც კი სწვდა თავისის ბასრის ხმალითა. ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალაზროვნობას მოასწავებს და როცა ისტორია ორს ენას ერთმანეთს მოახვედრებს, უფრო სუსტი და უძლური ენა ზედ იჩნევს გავლენას უფრო წინწასულ და უფრო კულტუროვან ენისას.

ნუთუ ამ აზრით, ამ განზრახვით ბ-ნი მარი გვიცხადებს, რომ ქართველებმა ბევრი სიტყვა სომხურისა მიითვისაო და ამით შორიდამ გვანიშნებს, — აი, ერთი საბუთიც სომხების კულტურისა და ამ კულტურის ზედგავლენისა ქართველებზეო.

„ბანაკი, მუშაკი, სპეტაკი, ჟამი, ქალაქი, სენაკი, კარგი, წესი, მატიანე, პატივი, ჭეშმარიტი“ და ბევრი სხვა სულ სომხური სიტყვებია, ქართულში გადატანილიო[1]. ესეც იქნება მართალი იყოს, ხოლო ჯერ კიდევ ღმერთმა იცის — ეს სიტყვები სომხებისაგან მიუღიათ ქართველებს, თუ ქართველებისაგან სომხებს. ჩვენ აქ არც ერთის დამტკიცება გვინდა, არც მეორისა, ხოლო გვიკვირს ასე გადაწყვეტილად ლაპარაკი იქ, საცა არავინ იცის, ჯერ რა გამოვა რისაგან, და ბ-ნმა მარმა რად ინება ასეთი ლაპარაკი?

პირიქით, თუ ლენორმანი სარწმუნო სწავლულია, თუ შეურყეველ ავტორიტეტად ცნობილია ამისთანაებში დიდებული, ლენორმანის სიტყვით, ლინგვისტი ეჟენ ბიურნუფი, რატომ ბ-ნმა მარმა ამათ მაინც ყური არ ათხოვა, თუ დასაჯერად არა, ეჭვის გასაჩენად მაინც.

ლენორმანი ამბობს, — „სრულიად შესაწყნარებელია, რომ დიდი ნაწილი ამ (ქართულის) სიტყვებისა ეკუთვნის სპარსულს ენას და ქართულში შემოსულია შედარებით ახალ დროს, არა საჭიროების ძალდატანებით, არამედ ისტორიის მოქმედებით. დანარჩენი ნაწილი-კი ქართულ სიტყვებისა უძველესის დროებისანი და ზედმიწევნით ქართულის თვისებისანი არიან, როგორც ეს დაამტკიცა ჩვენმა დიდებულმა ლინგვისტმა ეჟენ ბიურნუფმაო“.

უძველესნი დრონი ქართველობისა და მათის კულტურისა ასურულ ლურსმულ ნაწერებშია მოხსენებული ჯერ კიდევ 1 300 წელს ქრისტეს წინათ, როგორც ამას მერე უფრო ცხადად დავინახავთ, და სომხების ხსენება მეშვიდე საუკუნის დასასრულამდე ქრისტეს წინათ არც კი იყო. მაშ, უფრო საგულვებელი არ არის, რომ სომხებს ქართველებისაგან შეევსოთ თავისი სიტყვა-ნაკლულევანება, რაკი ამ საგანზე მივარდა საუბარი?

თუნდ ესეც არ იყოს, თუნდ ყოველივე ეს სამაცდურო საგულებელიც იყოს და სხვა რამ ნიშანწყალი საბუთისა არა გააჩნდეთ-რა, სწავლული გატერიასი, მცოდნე ქართულ-სომხურისა, ხომ ცრუმეტყველი მეცნიერი არ არის. ამანაც-კი გამოსთქვა, რომ სომხურ ენის შინაგან თვისებას ნათლად ვერ მივუხვდი, მინამ ქართული ენა არ ვისწავლეო, რადგანაც სომხურის ენის ბევრი ძირკვები წმინდა ქართულ ელემენტისაგან სწარმოებენო და უქართულოდ იმათი ახსნა შეუძლებელიაო. ლენორმანის და რაულსონის თქმული, რომ სომხების არმენიაში შემოსევამ (მეშვიდე საუკუნის დასასრულს) ბევრი ალაროდიული (ქართული) ჩანთქაო, საბუთს უმატებს გატერიასის ნათქვამს და ამაების გამო ბ-ნ მარს ეჭვი მაინც უნდა შეჰპარვოდა და არა ბრძანება გაეცა, ასე იყოს, როგორც მე მიამება და როგორც გაწურთვნილი ვარ ჩემის მწურთვნელისაგანაო.

[1] „Братская помощь Армянам“, გვ. 568.

მთელს ამ საუბარს ბ-ნ მარისას ერთ ქრთილადაც არ ვიყიდით. ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს. რუსული очаг და ჩვენებური „ოჯახი“ მონგოლური სიტყვაა, башка თათრულია, თუ სპარსული, სიტყვიდამ „ბაშ“, сакля – „სახლი“ ქართულია, религія, профессія, поезія, литература და ათასი სხვა მაგისთანა, სულ სხვა ენის სიტყვებია, – და ამით მითამ რაო? ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, მოდით და წინ გადაუდგეს ან ენაწმინდა ქართველი, ან ენაწმინდა სომეხი და დაუჟინოს, – ჩვენ გჯობივართო. მართალია, ბ-ნს მარს მიზეზი სხვამ მისცა ამაების ლაპარაკისა, მაგრამ უნდა სცოდნოდა, რომ ამაებზე საუბარი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. ბ-ნი მარი სხვაფრივაც ირჯება, თითქო ჩვენზე გულმოსულია და ჯავრს იყრის. კარგა ხანია, რაც დაიქადა, რომ დამაცადეთ, ეგ თქვენი რაღაც „ვეფხის-ტყაოსანია“, – სულ თავზე დაგაფხრეწთო, ინგლისში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვი და დაგიმტკიცებთ, რომ იქიდამ არის ეგ ნათარგმნი, ან გადმოღებულიო. ვაი, ჩვენო თავმოსაწონებელო რუსთაველო! თურმე ქურდი ყოფილხარ და სომეხთა მეცნიერთამებრ სხვისი შენად გაგისაღებია! ჩვენ-კი დიდებულ კაცად მიგიჩნიეთ და შენს სახელს შევხაროდით! ბ-ნი მარი, რომელიც ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც არ ისვამს, უბრალო სიკვდილისშვილი ხომ არ არის, ტყუილად დაიქადოს რამ და არ იცოდეს, რომ „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს“. დაიქადა და აკი... აი ის დღეა და ეს დღე, მას აქეთ შვიდი-რვა, თუ არ მეტი, წელიწადი გავიდა, – მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა. ბ-ნმა მარმა კარგად იცის, – რა განძია ჩვენთვის „ვეფხის-ტყაოსანი“, კარგად იცის, – რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს, აქედამ

შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა. თუ არ ამან, სხვა რა გულთაძვრამ უნდა აგვიხსნას ეს ამისთანა თავდაუჭერავი მუქარა და ქადება მეცნიერისა, ფსიხოლოგიურად რომ ჩავუკვირდეთ?

რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არ იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი, შეუბღალვოს იგი თითქმის წმიდათაწმიდა, რომელსაც შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია! კიდევ ვიტყვით: ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა. მართალს წინ რაღა დაუდგებოდა! მაშინ თუმცა შევწუხდებოდით, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით თავს მოვიხრიდით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჯერ საბუთი არ ენახა, ან რას ჰნახავდა, რაც არ არის და მაინც დაიქადა, – მე ესე მომელანდაო, სიზმარში ვნახეო, რომ ინგლისში ამისი საბუთი არისო. თუ ეს მართლა სიზმარში მოლანდებული არ არის, მაშ რა იქნა იგი ქადებული საბუთი? რამ ჩაყლაპა? თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ჭეშმარიტის მეცნიერისა სადღაა, რომ სთქვას: შევცდი და ვინანიო. განა რომ „სოფლის ნადიმთა მჯდომელი სოფელსავითვე ჭრელია“. განა რომ „ბუისგან ნუ გამოელი ბოლო-კარკაზის ბუდესა“.

მოდით და გულზე ნუ მოხვალთ ამისთანა თავგასულ და შეუნანებელ საქციელისაგან! ვშიშობთ, მაგრამ მაინც ვიტყვით: ნუთუ ამისთანა ქედმაღალმა მეცნიერმა, როგორიც მარია, თითონ რომ ჰკითხოთ, მართალი არა სთქვა? და თუ არა სთქვა, რას გვემართლებოდა? რათ დაიქადა ასეთის გაბედულის

რიხით, და თუ დაიქადა, რად არ აასრულა ქადებული? რა ანგარიშია, რომ ჰლამის ხელიდამ გამოგვაცალოს ჩვენ ჩვენი საუნჯე და ამისათვის ცარიელ მუქარის და ქადილის დალაბრებული, პირგადაღეჭილი ხმალი მოგვიღერა. ვისთვის და რისთვის ირჯება, რომ ასე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდამ გვაცლის ჩვენს „ვეფხის-ტყაოსანსა“? ვის შერჭმია თვალში ეკლად ეს ქართველების ეროვნულ ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომ ბ-ნ მარი აგრე თავზე ხელაღებულად იღვწის ამ ეკლის გამოღებისათვის? ყოველივე ეს თქვენ გამოიცანით და ჩვენ-კი დიდი ხანია ვიცით, რომ „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“.

IV

სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერთა ამბავი დიდს მდინარე წყალსა ჰგავს: რამოდენადაც ნაპირიდამ შიგ შესტოპავთ, იმოდენად უფრო ღრმაში შესდიხართ, უფრო მეტს სიგრძე-სიგანესა ჰხედავთ. თანდათან მათი სილაღე, კადნიერება და თავგასულობა ჰმატულობს და უფრო გაბედვით თავს იქებენ, უფრო გულახდილად გვექცევიან ჩვენც, მათ მიერ ერთხელ დადგინებული პროგრამა მოქმედებისა, ერთხელ და ერთხელ შეთვისებული თვალთმაქცური ხერხი და ოინები ისე აშკარად, ისე ცხადად, ისე ვრცლად არსად არ იხატება, როგორც ერთს ევროპიულს გაზეთში, საცა დაწყობილად მოთხრობილია ყოველივე ის, რაც საქებ-სადიდებელია სომხისა, გასაბათილებელია ქართველისა და რაც აშკარად ჩაგონებულია თვით ამ მწიგნობარ-მეცნიერთაგან. აქ ეს ვაჟბატონები აღარა ჰმალავენ, არა სახსარს აღარ ჰთაკილობენ, აღარას მორცხვობენ. პირდაპირ და გულახდილად იმისთანა ხერხითა და სახსრებით ჰსაქმობენ, რომელთ ხელის მოკიდება და სირცხვილის ალმურის მოდება სახეზე ერთი უნდა იყოს ყოველ სხვათა კაცისათვის — სომეხი იქნება თუ სხვა მილეთისა.

უკანასკნელ ოსმალთან ომების დროს, სახელდობრ, 1877 წელს, ერთმა საფრანგეთის გაზეთმა — „Temps“ აქ ჩვენკენ ერთი კორესპოდენტი გამოგზავნა, სახელად კუტული. ამ კუტულმა აქედამ კორესპოდენციები უგზავნა ხსენებულ გაზეთს და თითქმის მთელი ორი თვე აბეჭდვინა. ეს ბ-ნი კუტული აი რასა სწერს იმის თაობაზედ, თუ ვის ჩაუვარდა ხელში ჯერ მაშინ, როცა ვლადიკავკავიდამ ჩვენკენ წამოსულს, ერთი სადგური ფოსტისა ძლივს გამოევლო. ჯერ კიდევ ბალთაში[1] დაჰხვედრია, განგებ თუ შემთხვევით, ერთი აფიცერი არტილერიისა, შუშელი სომეხი. ამას ჩაუსვამს იგი თავისს „პოვოზკაში“ და მოუყვანია ტფილისს. რა უამბნია მისთვის ამ აფიცერს გზადაგზა, ამისი არა ვიცით-რა. იმედი-კია, ბევრს კარგს ეტყოდა ჩვენდა შესამკობლად. ამ იმედს იმაზე ვამყარებთ, რომ ამ ბ-ნს აფიცერს მისვლისავე უმალ ტფილისში წაუყვანია თავისი ახალი სტუმარი აწ განსვენებულ გრ, არწრუნთან, „მშაკის“ რედაქტორთან, რომელიც კუტულის სიტყვით, „ლიბერალთა დასის წინამძღომია და თუმცა სასულიერო წოდებისა არ არის, მაგრამ სომხებ შორის იმავე როლს ჰთამაშობს, როგორსაც დელინგერი და მამა გიაცინტე კათოლიკეთა შორის, და რომელსაც უკეთ ესმის სომეხთა საღვთო წერილი, ვიდრე თვით კათოლიკოზსაო“.

რა თქმა უნდა, კუტული ეგზამენს ვერ გაუკეთებდა კათალიკოზს სომხებისას, მაგრამ მაინც გადაჭრილად ამბობს, ეს ასეაო. საიდამ შეუტყვია ეს ასეთი უპირატესობა არწრუნისა და ასეთი ქვეითად ყოფნა პატივცემულ კათოლიკოზისა? აშკარაა, ან თვითონ არწრუნს გაუბერია თავისი თავი, ან სხვას ვისმე მაღლა თაროზე შეუსკუპებია განგებ, რომ უცხო კაცს თვალები აჰბმოდა და თავისის თვალით არა მოეჩხრიკა რა. აშკარაა, ან თვითონ არწრუნი, ან ვიღაცა ცდილა ეს ამისთანა უცნაური ამბავი

[1] პირველი სადგურია ფოსტისა ვლადიკავკავიდამ ჩვენკენ.

ჩაეწვეთებინა ყურში ამ ახალმოსულ ფრანგისათვის, რომ აბრუ არწრუნისა განედიდებინათ მის თვალში და ადვილად მინდობოდა ამისთანა ბრძენს კაცს და ის დაენახა, რასაც დაანახვებდა ეს დელინგერი და გიაცინტე სომხებისა. რომ კარგად დაანახვებდა, რა თქმა უნდა, ეჭვი არავის ექნებოდა.

ისიც უამბნიათ, რომ არწრუნი ჯერ მოსკოვში განათლებულა და გამეცნიერებულა, მერე პეტერბურგში, და ბოლოს ჰეიდელბერგში და ძალიან განვითარებულია ფილოსოფიაშიო. რომ უფრო მაღლა ასწიონ ეს ძალიან განვითარებული ფილოსოფოსი, ერთი დიდი ღირსებაც ზედ დაუმატებიათ. სახელდობრ ისა, რომ მისი ძმა გერმანიაში პროფესორიაო. თუმცა ძმის პროფესორობა არა-პროფესორისათვის დიდი თამასუქი არ არის, მაგრამ ესეც კი არ დაჰვიწყებიათ არწრუნის განდიდებისათვის. ესე გაუბერიათ არწრუნი, თუმცა ტიკს მაშინ ჰბერვენ, როცა შიგ არა დგა-რა. ასე მოუმზადებიათ უცხო სტუმარი, რომ მერე ყოველივე სიტყვა არწრუნისა ბაჯაღლო ოქროდ მიეღო. ფუქსავატი ფრანგი, რა თქმა უნდა, მახეში გაება და რაც ჩასძახეს, ის ამოიძახა გაუჩხრეკლად, გამოუძიებლად. აბა, დაუკვირდით ბალთაში დახვედრასა და მთელს ამ ამბავს, თუ არ დაინახოთ — რა ხერხები სცოდნიათ უცხო კაცის გაბრიყვებისა და ჩათრევისათვის. ეს ჯერ ყვავილებია, ხილი მერე იქნება.

რაკი ამისთანა შარავანდედით შემოსილა განსვენებული არწრუნი, აუღია და კუტული წაუყვანია ჯერ ტფილისის საქალაქო საბჭოში, რომელიც კუტულისათვის „პატარა პარლამენტად“ დაუნახვებია, საცა გამგეობის წევრნი მინისტრებად მოსჩვენებია ბ-ნს კორესპონდენტს და არწრუნი, თავისის ლიბერალურ დასით ოპოზიციად. მერე გასძღოლია არწრუნი და დაუტარებია სომხის ეკლესიები. აქ კუტულის გაჰკვირვებია ტერტერების მშვენიერი და ძვირფასი სამოსელი. აბა, რა დღისათვის-ღა შეინახავდნენ!.. შემდეგ წაუყვანია ეს

უცხო სტუმარი სომხის სკოლებში. კუტული ქებით იხსენიებს მშვენიერ თვალებს სომხის მოსწავლე ქალებისას, თუმცა სახის ერთობ სილამაზეზე-კი ბოდიშს იხდის, უკაცრაოდაო.

განსვენებულ არწრუნს შეჰყავს კუტული სომეხთა ინტელიგენციის წრეში. კუტული გვისახელებს, ვინ გაუცვნია არწრუნის წყალობითა, ხოლო საჭირო არ არის ჩვენ აქ ჩამოვთვალოთ. საკმაოა ვიცოდეთ, რომ სომეხთა ინტელიგენციის წრეში არწრუნს დაუტრიალებია თავისი ახალი მეგობარი, ანუ მწე-მქებარი, როგორც უწინ იტყოდნენ. გაუმართეს სადილ-ვახშმები, ალხინეს, შეაქციეს შინა თუ გარეთ ბაღებში, უმღერეს სიმღერები, რომანსები, და კუტული სჩივის, ერთ ამისთანა ლხინიდამ ისე შეზარხოშებული დავბრუნდი შინაო, რომ კალმისათვის ვერ მომიკიდნია ხელი, ისე ამერია თავში აზრებიო. ყველგან, საცა კი ლხინს დასწრებია, სულ სომხური საჭმელები მიურთმევიათ და ეს საჭმელები ძალიან მოსწონებია ხელიხელ სატარებელ სტუმარს არწრუნის ლიბერალურ დასისას. მერე გაუწვევიათ შინდისში, რაღაც დღეობა ყოფილა. აქ ხომ მთლად აღტაცებაში მოუყვანიათ. მხოლოდ ერთს რასმე გაუოცებია. თურმე ნუ იტყვით, ვინც-კი მეჯლისსა და დღეობაში ქალი უნახავს, ისეთი „დიდი ცხვირი ჰქონდათო, როგორც მთის ქედიო“. რა თქმა უნდა, არწრუნის ლიბერალური დასი ამისთანა წუნს არ აკადრებდა თავისიანებს და არც კუტულს მოაფენინებდა მთელს ქვეყანაში. და რომ ეს უწყინარი და უტკივარი წუნიც-კი არ შეამჩნევინონ უცხო კაცს, დაბალი ღობეც მალე უპოვნიათ. ჭკვიანურად, გულმართლად აუხსნიათ, რომ ეგ დიდცხვირიანები სულ ქართველები არიანო. ესეც კარგია!.. რაც მეტი აქვთ, ის მაინც ჩვენთვის არა ჰშურთ, გულუხვად გვთავაზობენ. მეტი ტრფიალებაღა გინდათ, ჩვენის სიყვარულით ცხვირებსაც კი იჭრიან.

რა უნდა ექმნა ამისთანა მახეში გაბმულს ქარაფშუტა ფრანგსა? პარლამენტია და სომხებისაა, სკოლებია და სომხებისაა, ეკლესიებია და სომხებისაა,

ინტელიგენციაა და სომხებისაა, შექცევაა, ლხინია-და სომხებისაა, დღეობაა და სომხებისაა, დელინგერებია და გიაცინტები და სომხებისაა, ფილოსოფოსებია და სომხებისაა, საჭმელებია და სომხებისაა და მერე სად? ტფილისში. აშკარაა, აქ სომხეთია და ტფილისი სომხეთის ქალაქი. სხვა რა უნდა გამოეყვანა ასეთის ოსტატობით თვალახვეულს გუშინდელ მოსულს კაცს! აკი სომეხთა სტუმარმოყვარეობით აღტაცებული კუტული საქვეყნოდ იძახის როცა ჯერ ტფილისში ზის და აქედამ ფეხი გარეთ არ გაუდგამს: „უთუოდ ედემი აქ, სომხეთში, ყოფილაო“. ამ სახით საქართველო, ტფილისითურთ, სომხეთად მოაჩვენეს ევროპიელ კორესპონდენტს და ეს ამბავი ქვეყანაში მოაფენინეს უცხო კაცს იმისთანა დარბაისელ და გავლენიან გაზეთის პირით, როგორიც „Temps“-ია. ოინი არ არის, მაშ რა არის?

ერთი ეს ვიკითხოთ: რა აზრია ამისთანა სასაცილო ცულლუტობასა და თაღლითობაში? ამისი პასუხი შეიძლება გამოიჩხრიკოს ერთის გარემოებისაგან, რომელსაც თითონ კუტული გვანიშნებს. იგი თურმე ეშურებოდა „დაესწროს ყარსის აღებას“, მაგრამ რადგანაც თითონ კუტულს და მისს ახალ მეგობრებს ჰსურვებიათ დიდ აღმოსავლეთის საქმესთან ფეხზე წამოაყენონ სომხების საქმეც, იგი ტფილისში ყოვნდება, რომ აქაურ ხალხების ვითარება შევიტყოო. შეატყობინეს კიდეც: ტფილისი და საქართველო ჩვენი ბინაა, ჩვენი ქვეყანაა, და რადგანაც მართლა ესეა, ვიღა გვეტყვის, რომ სომხები დაქსაქსულნი არიან და ბინის მოსაკიდებელი ადგილი არა აქვთო. აბა, ერთი გაუსისწვრიეთ აქედამ თვალი სენკოვსკის მიერ თქმულსა, თუ ის არ დაინახოთ, რასაც ვეძებდით, თუმცა აქედამ იქამდე დიდი მანძილია და თუმცა აქ ახალნი არიან და იქ ძველნი. ვინ იცის? ადვილად საფიქრებელია, რომ დელინგერები და ფილოსოფოსები სენკოვსკის დროსაც იყვნენ. ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო, ნათქვამია. მამა რომ შვილსა გვანდეს, ან შვილი მამას — აქ

დაუჯერებელი არა არის-რა. ახლა გამოვიკვლიოთ რა შთააგონეს კუტულს აქაურ ხალხების ვინაობისა და ავკარგიანობისა, ჩვენ ვამბობთ შთააგონეს, იმიტომ რომ კუტული ისე ცოტა ხანს იყო ტფილისში, რომ ერთი ქუჩის სახელსაც ვერ დაისწავლიდა და აქაურ ხალხების ვინაობასა და ვითარებას საიდამ გამოარკვევდა, თუნდ არწრუნსავით „ძალიან განვითარებული“ ფილოსოფოსიც ყოფილიყო, რომ ყოველივე მის მიერ გაზეთს „Temps“-ში მოთხრობილი ჩაძახილია მის ახალ მეგობართაგან, ამას თითონ ტენდენცია მოთხრობილისა გვიმტკიცებს, თუ კაცი ჩაუკვირდება.

კუტულის სიტყვით ამიერკავკასიაში ოთხის თესლის ერია: სომხები, ქართველები, თათრები და რუსები. გგონიათ, ვითომც ამ ოთხს სხვადასხვა გვარს ერზე გეტყვით რასმე კუტული? თქვენც არ მომიკვდეთ. ნიშანში ამოუღებინებიათ მარტო ქართველები, რადგანაც კვლავ ვიტყვით, „ალიას დარდი ფლავია“. მარტო ქართველებისა და სომხების დაპირისპირებაა იგი კოჭი, რომელიც განგებ მუდამ ალჩუდ მოჰყავთ. ხომ წამოაყრანტალებინეს, რომ ტფილისი სომხეთიაო, ხოლო მარტო ტფილისი რას ეყოფათ. საქმე იმაშია, რომ წამოაროშვინონ, ვითომც მთელი ამიერკავკასიაც იმათია და წადილიც, როგორც ჰნახავთ, აისრულეს კიდეც.

კუტული აუწყებს-რა ევროპას, რომ კავკასიაში ოთხის თესლის ერია, შემდეგ ამბობს, — თუმცა სომხების რიცხვი ეხლა ქართველებზე ნაკლებია, სულ 600 ათასიო (?), მაგრამ ამ საუკუნის დასასრულამდე სომხები მალე გამრავლდებიან და ქართველებზე მეტნი შეიქმნებიანო. სხვები? თათრებსა და რუსებზე არას ამბობს, თითქო ესენი სახსენებელნიც არ არიან, თითქო ესენი-კი სათვალავში მისაღებნი არ არიან. განა აშკარა არ არის, რომ მარტო ქართველების ნამეტანობა ამიერკავკასიაში თვალში ეკლად გასჩრიათ და მარტო ამ ეკლის გამოღებას ჰლამიან ეს „ძალიან განვითარებული ფილოსოფოსები“, ეს სომხების

არამკითხე დელინგერები და გიაცინტები!.. სხვას ვის მოუვა ფიქრად ეს საცუღლუტო ანგარიში სომხების მაღლა ასაწევად და ქართველების დაბლა დასაწევად იქ, საცა ამათ გარდა თათრები და რუსებიც არიან.

დავანებოთ ამასაც თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს რა უცნაური უნარია სომხების გაშენებისა და ქართველების გადაშენებისა, რომლის ძალითაც 23 წელიწადის განმავლობაში ცოტა სომეხი გაბევრდა და ბევრი ქართველი გაცოტავდა. ან ვისთვის რა საჭიროა ამისთანა სასაცილო თანხები გადმოუკეცოს ევროპას და გაიჭაჭოს, რომ დაიცადეთ, დღეს სომხები ცოტანი არიან და ოცდასამს წელიწადში იბღარტებენ და არწივის ნაბუდარზე თავისს ბღარტებს გაზრდიან და გამრავლდებიანო. ეს სომხების ბღარტობა და გაშენება და ქართველების დანელება და გადაშენება ვისთვის რა საჭიროა? განა აშკარა არ არის — ვისი ეშმაკობა უნდა იყოს, ვისი თვალთმაქცობა, რომ უცხო კაცი ასე გააბრიყვოს და ამისთანა რამ ქვეყნის სასაცილოდ წამოაროშვინოს: დაიცადეთ, სომხები გაშენდებიან და ქართველები გადაშენდებიანო. აი ამას ჰქვიან: „თვისისა ნების შედგომა, წადილი“.

რაკი ჯობინობის მოედანზე გაიყვანეს კუტული, რასაკვირველია მისმა ახალმა მეგობრებმა სხვა ლაზათებიც ჩასძახეს ევროპაში დასაძახებლად. კუტული ჩაძახილს ასე ამოიძახის, — სომხები შეადგენენ Tiers etats (მესამე წოდებას) კავკასიაშიო. ამათს ხელშიაო ვაჭრობა, ყველაფრის ხელობა, წარმოება. ესენი არიან ექიმები, ადვოკატები თავისუფალ ხელობისა და საქმის კაცებიო. იმათა აქვთ სკოლები, ჟურნალ-გაზეთები, პატარა ტფილისის პარლამენტი და სხვ. ამ უკანასკნელ დროს იმათგანი სამხედრო სამსახურშიაც ბევრნი შედიანო. მადათოვი, ბებუთოვი, არღუთინსკი, ლორის-მელიქოვი, ლაზარევი, ალხაზოვი, ტერ-ღუქასოვი, — ეს ღენერლები სულ სომეხთა ტომმა მისცა რუსის მხედრობასაო. წარჩინებული ღენერალი ლაზარევი ძლიერ შესანიშნავი სარდალიაო, მაგრამ ქართველ

თავადების შურით იგი გადაყენებულია და ეხლა ბაქოში სცხოვრობს უსამსახუროდაო[1]. მერე კუტული ჩამოთვლით ასახელებს ყველა სომხებს, ვინც-კი გამოჩენილად უჩვენებიათ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, თუ სხვა რაიმე ასპარეზზე, მისს ახალ მეგობრებს.

თუმცა ეს გამოჩენილნი სომეხნი მეცნიერებასა და ხელოვნებაში გოლიათებად არავის მიუჩნევია, მაგრამ ჩვენ რა დავა გვაქვს. წინათაცა ვთქვით: სომხის კარგი, თუნდაც გადაჭარბებული, ღმერთმა სომეხსავე მოახმაროს საქებ-სადიდებლად. ხოლო ყოველ ამითი აღფრთოვანებული კუტული ასე წინასწარმეტყველობს: „მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მისს მეზობლებს — ქართველებსა და თათრებს — სხვა არა დარჩენიათ-რა, რომ უნდა გასომხდნენო“. აი, სად არის დასასრული დასაწყისისა. კაი ნუგეშია, თუ თქვენც იტყვით. განა ჭკუა არ არის, იმისთანა გავლენიანი გაზეთი, როგორიც „Temps“-ია, კაცმა ასე აყვიროს! ერთი გვიბრძანეთ, — ვინ გაასულელებდა საცოდავს კუტულს ამის თქმად, თუ არ სომეხთა ძალიან განვითარებულნი ფილოსოფოსნი, დელინგერები და გიაცინტები. „ხე ხილისაგან, ხილი ხისგან, — ნათქვამია, — იცნობებაო“.

„ჩვენს ხალხს პოეზია არ უყვარს“, უქადაგია კუტულისათვის არწრუნს და მისს ამქარს, რომელსაც კუტული სკოლას ეძახის არწრუნისას: „ჩვენ უფრო მსჯელობა და კრიტიკა გვიყვარსო“. არ ვიცით, რამოდენად თავმოსაწონებელია ეს არასიყვარული პოეზიისა. დიდმა გიოტემ კი სთქვა: „ვისაც პოეტის ხმა არ აუძგერებს გულს, იგი ბარბაროსიაო“. თუმცა არწრუნს და მისს სკოლას პოეზია არ ჰყვარებია, მაგრამ ფანტაზია-კი დიდი ჰქონია. ამ ძალიან განვითარებულ ფილოსოფოსის აზრით, სომხები მომავალში შეადგენენ სახელმწიფოს, რომელსაც 30

[1] განსვენებული ლაზარევი ჯერ მაშინ არა ყოფილა მიწვეული ყარსში საომრად.

მილიონი ქვეშევრდომი ეყოლებაო. ამბობს კუტული[1]. არა გვგონია ყოველი გონიერი სომეხი არ მოერიდოს ამისთანა თავდაუჭირავს ბოდვას განვითარებულ ფილოსოფოსისას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი ჭკვათამყოფელი სომეხი ამას არც იტყვის და არც გულში გაიტარებს. ეს მოშლილ წისქვილის რახარუხია და სომხებ შორის ამისთანანი ან სულ არ არიან, ან თუ არიან, სახსენებლადაც არა ჰღირან. ასე ქვეყნის სასაცილოდ პირის დაღება ნაცარქექიის საქმეა: წყლიან ყველს უჭერს ხელს და ქვეყანას-კი ეფიცება, ქვას ვადენ წყალსაო. ყოველივე ეს ერთის კაცის დამთხვეული ბოდვაა და იმ ერთს კაცსვე შეენდოს.

ვთქვათ, კუტულის წინასწარმეტყველებისამებრ, ქართველები და თათრები გასომხდნენ და ეყმნენ სომხებსა, — ეს ხომ წვეთია 30 მილიონის შესადგენად და საიდამ დაუპირებია არწრუნს ამოდენა საყმოს მოგროვება? ამისი პასუხი უსათუოდ თან გაიყოლა განსვენებულმა ფილოსოფოსმა. აკი ვამბობთ, ჩვენ ეს სასაცილო ამბავი იმიტომ კი არ მოგვყავს, ვითომც გვჯეროდეს, რომ ჭკუადამჯდარს სომეხს ეს ფიქრად ოდესმე მოსვლოდეს, ან აწ მოუვიდეს, არამედ იმიტომ, რომ იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ჩვეულებადა აქვს ამისთანა საყვირი აყვიროს. თვითონ კუტული ამტკიცებს ამას. იგი გვეუბნება, რასაკვირველია სომეხთა ფილოსოფოსების ჩაძახებით, რომ არწრუნს და მის ლიბერალურ სკოლას დევიზად მიუღია ჟირარდენის დევიზიო: „უნდა იყვიროო“. სამართალი ითხოვს ვთქვათ, რომ მართლა „ჰყვირიან“ და კარგადაც ჰყვირიან. მეტი ყვირილიღა გნებავთ, როცა მათი ბამბაცა ჩხრიალებს და სხვისა არც კაკალი!

საყვირს ხომ აყვირებენ და აყვირებენ, ხოლო ზოგჯერ იმისთანა უშველებელს დააძახებინებენ ხოლმე, რომ, თუ სადმე სამართალია, თითონვე უნდა დაიცონ ყურებში თითი, — ეს რა გვესმისო. უსათუოდ

[1] იხ. „Temps“-ი, 1877 წ., ივლისის 20.

იმისათვის, რომ კუტული დააჯერონ — სომხობა რა ჭკვიანი ხალხია, რა ასლად და ზედგამოჭრილად ჩამოსხმულია დღევანდელის დღის ყალიბზე, რამდენიმე სომხური ანდაზა დაუსწავლებიათ და, სხვათა შორის, ეს ორი: „რად ჰკითხულობ, ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურიისა იყოს, თუ გემრიელია, სჭამეო“. ანუ: „სადაც ჰნახო პური, იქ დაბინავდიო“. მართალია, ამისთანა ანგარიშიანს სიბრძნეს დღეს დიდი ბაზარი აქვს, მართალია დღეს ბურთი იმას გააქვს მოედნიდამ, ვინც ამ მოძღვრებას მისდევს, მაგრამ თავმოსაწონებელი და საქებარი-კი აქ არა ჰყრია რა. პირიქით, რაცა ჰყრია, ძირიანად ამოსათხრელია და წყალში გადასაყრელი.

დიდი ხანია, სარწმუნოება ჩვენი გვასწავლის: „არა გული გითქმიდეს... მისთვის რაიცა იყოს მოყვასისა შენისაო“. დიდი ხანია ქვეყნიერებაზე ამ ანდაზების კვალდაკვალ ერთი სხვა მორცხვი, მაგრამ კაცთა საკადრისი და გამაპატიოსნებელი მოძღვრებაც დადის: „ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო“. სხვისა ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა.

მართალია, ამ ანდაზებს გვერდით რომ მოვუყენოთ ქართველთა ანდაზა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“ — პირველნი ეხლანდელს დროში ჭკვათამყოფელობას მოასწავებს და მეორენი ბედოვლათობას, მაგრამ, ღმერთმა იცის, — კაცურ კაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისის პურის ჭამა, თუ თავისისა გაცემა. ვინ იცის: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, გემრიელიაო.

ასე თუ ისე, ჩვენ რომ არწრუნის და მისის ლიბერალურ სკოლის ადგილას ვყოფილიყავით, ხსენებულ სომხურ ანდაზებს საქებ-სადიდებლად-კი არ გავიხდიდით, სხვასაც დავუშლიდით: დაივიწყეთ ესეთი ანდაზები, საკადრისი არ არის არამც თუ მაგეების ხმამაღლა ძახილი, არამედ გულში

გატარებაც-კი. განა რას იზამ? კაცია და გუნებაო. აი, რა ყრილა თურმე იმ ლიბერალობაში, რომლის დროშა ხელთა სჭერიათ სომეხთა ძალიან განვითარებულ ფილოსოფოსებს, დელინგერებს და გიაცინტებს: „სადაც პური ჰნახო, იქ დაბინავდიო“... მაშ, მამული, სამშობლო, მამა-პაპათა მიწა-წყალი, მამა-პაპათა ბინა უქმი სიტყვებიღა ყოფილა ადამიანისათვის! ჩვენ ამას მთელს სომხობას არ შევწამებთ, მხოლოდ მეტი არ იქნება მისთა მწიგნობართ-მეცნიერთ იცოდნენ, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

V

ეს ქება-დიდება სომხებისა ხომ ვნახეთ რა ოსტატობით ჩაუგონებიათ უცხო კაცისათვის სომხების მეცნიერთა, რომ ევროპას მოჰფინოს. ახლა ყური დავუგდოთ, რა წკეპლებში გავუტარებივართ ქართველები. უამისოდ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერნი რაღა სახსენებელნი იქნებოდნენ, ბარაქალას ვიღა იტყოდა? კუტული ამბობს, რომ წარსული ქართველებისა ყოვლად უნუგეშო სურათს წარმოადგენსო. ღონემიხდილს ცუდის მართველობით, ერთმანეთის შურითა და მტრობით, არა ჰქონია ერთი წუთიც მოსვენებული ცხოვრებაო.

მართალია, არა ჰქონია, მაგრამ არა მარტო იმ მიზეზებით, რომელიც არწრუნის და მისს ლიბერალურს დასს ყურში ჩაუწვეთებია. ვისაც საქართველო დაუვლია და უჩხრეკია არა სომეხთა მეცნიერთა წინამძღოლობით, არამედ თავისით, ვისაც თვითონ თავისის ღვაწლით უკვლევია საბუთები ქართველების წინანდელ ცხოვრებისა, ისინი არც ისე გვხვევენ მჩვარში, როგორც კუტული და მისნი შთამგონებელნი. პირიქით გაკვირვებულნიც არიან — ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭმა ერმა, როგორ გაუძლო იმდენს ბრძოლას ბარბაროსებთან. „თუ ერთობ მხნე, თავგანწირული და მამაცი ერი არა ყოფილიყო ქართველობა, ეს

შეუძლებელი იქნებოდაო“, ამბობს აღმოსავლეთის მცოდნე მეცნიერი დელორიე, თანამემამულე კუტულისა. განა მარტო ეს ამბობს!.. ხოლო არწრუნს, ამ ძალიან განვითარებულს ფილოსოფოსს, ისე შეუკრავს და შეუბოჭავს საცოდავი კუტული, რომ დავთრები სულ მთლად დაჰბნევია, აღარც იქით მიუხედნია, აღარც აქეთ, მართლის გამოსაძიებლად და მარტო არწრუნს და მისს დამქაშებს მისცემია თავით ფეხამდე.

კუტული თუმცა მთელი ორი თვე ბუკსა და ნაღარასა სცემს სომხების ქება-დიდებისათვის გაზეთს „Temps“-ში, მაგრამ ქართველებს არც წინანდელებს არც ეხლანდელებს, არა გვზოგავს, ძირიანად გვთხრის და ქართველების სახელგანთქმულ ვაჟკაცობასაც-კი თითქმის უარობს. სომეხთა მწიგნობარნი და ფილოსოფოსნი დღესაქამომდე ვაჟკაცობას არ შეგვცილებიან, რადგანაც, იმათის აზრით, თუ არ სულელი, ვინ გიჟი იქნება ტყვიას გული მიუშვიროსო და ამ სახით ვაჟკაცობას, ვითარცა ჩვენის სულელობის ნიშანსა და საბუთს, ჩვენ გვითმობდნენ და არ გვედავებოდნენ. მაგრამ სჩანს უანგარიშნიათ, რომ ასეთი ფილოსოფია მათი ვერ გასჭრის იმის თვალში, ვინც, როგორც კუტული, ეკუთვნის იმისთანა ერს, რომელსაც თავმოსაწონებლად, სხვათა შორის, თავისი ვაჟკაცობა მიაჩნია და სამართლიანადაც. აი მიზეზი, რად მოუწადინებიათ აქაც ჩვენის სახელის წახდენა კუტულის თვალში.

კუტული უმჟღავნებს ევროპას, რომ არაფერი არ მოიპოვება სასიქადულო საქართველოს ისტორიაშიო. ვთქვათ, იმ ორიოდე დღეში, რაც კუტულმა ტფილისში დაჰყო, ასე შიგჩახედვით გამოიძია და ისწავლა მთელი წარსული ისტორია საქართველოსი, რადგანაც კარგს მთქმელებს კარგი გამგონი შეჰხვედრიათ. ვაპატიოთ და შევუნდოთ მთქმელსაც და გამგონსაც მათი აშკარა ცუღლუტობა და ოინბაზობა. სჯობია ვიცოდინოთ — რა წამოაყრანტალებინეს ამ საცოდავს ფრანგს ჩვენს

დღევანდელს დღეზე მისმა ახლად მოპოებულმა მეგობრებმა. „ქართველობა შეადგენენო ღენერლების, მეურმეების და ჩალვადრების ნაციასაო“, ამბობს ბრძენთაგან გაბრძნობილი არამკითხე მოამბე. „თუმცა ღენერლები ბევრი ჰყავთო, მაგრამ იმათი ღენერლები გამოჩენილნი არ არიანო“.

როგორ მოგწონთ ეს ჩვენის ღენერლების ჩაყენება მეურნეებისა და ჩალვადრების მწკრივში! ზემოთ ხომ ვნახეთ, რა საყვირით, რა ბუკ-ნაღარითა და რა თავმოწონებით ჩამოათვლევინეს კუტულს სომხის ღენერლები და აბა თუ ერთი ქართველი დაესახელებინათ გამოჩენილად. ამას რად იზამდნენ? ეს ხომ ქართველების კაკლის ჩხრიალი იქნებოდა და მაშინ სომხების ბამბა ისე ვეღარ დაიჩხრიალებდა, როგორც სომეხთა ფილოსოფოსების სურვილია. რა თქმა უნდა, ჩვენს ღენერლებს არც არწრუნის ქება ეჭირვებათ, არც კუტულისა და არც ჩვენი სარჩლი. ბაშკადიკლარი, კურუკ-დარა, ყარსი, დევაბოინე, ავლიარი, ბეგლი-ახმედი, არტაანი, ახალციხე, ჩოლოქი, მთელი დაღისტანი და ერთობ მთელი კავკასია ჰღაღადებენ მათთა სახელოვანთა საქმეთა და ამ ხმამაღალს ღაღადს ვერ დააჩუმებს ხრინწიანი წრიპინი და ჩხავილი სომეხთა გულნამცეცა მეცნიერებისა. მარტო იგი ჰხადის ღირსეულს უღირსად, ვინც თითონ უღირსია.

„თავად-აზნაურობა ქართველებისა გაკოტრებულიაო“, ამბობს კუტული. ქართველებმა არშიყობის მეტი არა იციან-რაო და მარტო სამსახურში შესვლას სცდილობენ, რადგანაც ეს ადვილი ხელობააო. ვაჭრობისა და ხელოსნობის ნიჭი არა აქვთო და თუ თითო-ოროლა ვაჭარი ჰყავთ, ისინიც-კი ფულს სომხურადა სთვლიანო. საკვირველია არ იქნება დაეჯერებინათ, რომ ქართველებს საკუთარი თვლაც-კი არა ჰქონიათ. გლეხები საქართველოსნი „ზარმაცნი და ლოთები“ არიანო. „ამათ ერთი მტკაველი მიწაც მებატონეთაგან არ შეუსყიდნიათო“, და სხვანი და სხვანი.

რასაკვირველია, აქ დაუმალეს კუტულს ის უეჭველი გარემოება, რომ ჯერ მაშინ ქართველ გლეხობას გამოსყიდული ჰქონდა თავიანთ მებატონეთაგან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მილიონ-ნახევრის მამული, როგორც ამტკიცებს თვით მთავრობის ოფიციალური უწყებანი[1]. ეს ამბავი თუმცა დიდი რამ არ არის, მაგრამ მაინც სომხების დელინგერებმა და ფილოსოფოსებმა საჭიროდ დაინახეს დაუმალონ ევროპიელს და არ გამომაჟღავნებინონ საქვეყნოდ,— ვაი თუ ეს სიკეთე დავთარში ჩაუწერონ ქართველებს და ჩვენთვის რა სახეიროაო. ქართველების კაი სომხისათვის ავია, ამ ვაჟბატონების აზრით. ამ სახით ტყუილი მართლად გაასაღეს.

ბევრი რამ სხვა საგალობელი უგალობეს თავისის თავის შესაქცევრადა და სადიდებლად კუტულს სომეხთა ფილოსოფოსებმა. ყველას ამას აქ არ მოვიყვანთ, რადგანაც უამისოდაც გრძელი საუბარი მოგვივიდა. საოცარი ყოველ ამაში ის არის, რომ ამ ოინბაზობამ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერებისამ დიდ ხანს თავი ვერ დაიჭირა და იგივ კუტული მერე მიუხვდა, რა აღდგომის კვერცხები არიან ქებულ-დიდებულნი სომეხნი კავკასიაში. საქმე ის არის, რომ მინამ კუტული ტფილისში იყო და აქ სომეხთა ფილოსოფოსების მიერ აყენებულ ბუქში ჰტრიალებდა თავბრუდასხმული, სომხების ქება-დიდებაში მოიღალა, ხოლო როცა წავიდა ერევნის გუბერნიაში და თავისის თვალით დააკვირდა სომხებს, მაშინ — ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ — კაი საქმე იმათ დააწია. მიჰყო პირი და ბრე გაადინა. „სომხები ერთობ მხდალნი, ერთობ უვიცნი, უმეცარნი, ერთობ თავშეუდებელნი არიან თავისს სამშობლოშიო“. მაშ, როგორც ეტყობა, მარტო იქა ყოფილან მეცნიერნიც, თავშედებულნიც, ვაჟკაცნი, საცა, მათის ანდაზებისამებრ, პურის სუნი მისდევნიათ. „სიტყვამან

[1] იხ. კუჩაევის წერილი.

შენმან გამოგაჩინოს შენ“, ამაზეა ნათქვამი, თუ სხვა რაზედმე?

ამ სახით არწრუნმა და მისმა ლიბერალურ ამქარმა ხომ დააყვირა ევროპიელი გაზეთი, რომ ქართველებს, სულიერად და ხორციელად ღონემიხდილებს, და მასთან ერთად ჩვენებურ თათრებს სხვა არა დარჩენიათ-რა — ან უნდა გასომხდნენ, ან სომხებს ყმად ეყმონო.. ახლა ამ მეცნიერთა საბუთების გასაძლიერებლად მიეშველა ერთი სომხის ღენერალიც, აწ განსვენებული ქიშმიშოვი, რომ უფრო მაგარი რაზმი შეიკრას. ულენერალოდ ჯარი რა ჯარია. რომ ესეც არ ჩამორჩეს სხვა თავისის ჯურის მწიგნობარ-მეცნიერთა, ერთი ზალაყინი ამანაც დაგვაზილა. ღენერალმა ქიშმიშოვმა შესთხზა ერთი წიგნი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაჰბეჭდეს მისის სახელის მაოხებელთა ამ სათაურით: „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსნი“. რა ლამაზად გვამკობს ცხონებული ქიშმიშოვი, ყველას წაკითხული ექნება. „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. — ბრძანებს ღენერალი, — საქართველო ჰგავდა ზღვიდამ რიყეზე გამოგდებულს ხომალდსა, და ვისაც ღონე ჰქონდა და მკლავი უჭრიდა, რაც უნდოდა იმას ათლიდაო... მშიერ-მწყურვალ ბატონიშვილებსა და თავადებს ინახავდნენ, აჭმევ-ასმევდნენ, ტფილისის ბაყლები და მედუქნეებიო“.

დალოცვილს ეს მაინც მოჰგონებოდა, რომ მეთვრამეტე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი თითქმის მეფე ერეკლეს ხანა იყო და ამ ხანაში გაითქვა სახელი ამ სახელოვანმა მეფემ მტრებზე გამარჯვებით. თვით სომხების დედაბუდე ერევანი და განჯა, საცა სახანოები იყო, საქართველოს ხარჯს აძლევდა, თუნდა იმას ნუღარ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა ახლომახლო ხანები ფიანდაზად ფეხქვეშ ეგებოდნენ ძლევამოსილს მეფესა და რუსეთიც იწვევდა საშველად ოსმალებთან ომებში. ერეკლე მეფემ შეაერთა დიდის ხნის გაყრილი ქართლ-კახეთი, იმერეთიც ჰლამობდა შემოერთებას, მაგრამ შინაურმა

შფოთებმა და წაჯეგ-უკუჯეგობამ ხელი შეუშალა უკვე მცხოვანსა და ღვაწლმოსილს ვაჟკაცს მეფეს. განა ასე უპატრონო, გარიყული ხომალდი იქნებოდა მაშინ საქართველო, როცა მის მეფეს ამოდენა შესძლებია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მეფე გიორგის დროს, ესე იგი 1798 წლის მერმეთ, საქართველო დიდს ბედნიერებაში იყო, მაგრამ არც ისეთი იყო, რომ ვისაც გინდა და არ გინდა, ხორცი ეგლიჯნა. არც იმისთანა რამ ვიცით, რომ შესაძლო იყოს ვთქვათ, — აი საქართველოს ამან ეს ჩამოათალაო, იმან ესაო და საქართველო ასე წაიგ-წამოიგლიჯაო მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში, როგორც განსვენებულ ქიშმიშოვს მოუწადინებია.

მართალია, მეფე ერეკლე დაგვიბერდა, მართალია, იგი ბოლოს აღა-მაჰმადხანისაგან დაგვიმარცხდა კიდეც, მერე ხომ (1798 წ.) სამუდამოდაც გამოეთხოვა თავისს საყვარელს საქართველოს, მართალია, შეგვეხსნა იგი რკინის კარი, მაგრამ საიმისოდ-კი მაინც საქმე არ გაგვხდომია, რომ დიდსა და პატარას ხორცი ეგლიჯნა საქართველოსათვის. თვით გამარჯვებულმა აღა-მაჰმად-ხანმაც-კი ვერ გაბედა წაგლეჯა რისამე. მართალია, მეფე ერეკლეს შემდეგ დავუძლურდით, ღონე მიგვეხადა შინაური არეულობისაგან, მაგრამ საჭე ხომალდისა კვლავ ხელთ გვეჭირა და ზღვის ღელვას არ დავამსხვრევინეთ, არ გამოვარიყინეთ, და გიორგი მეფემ, როგორც მიიღო მამისაგან, ისე ჩააბარა რუსეთს საქართველო, მთლად და დაუგლეჯელად, — უპატრონე და შეინახე ერთმორწმუნე ერიო.

თუნდ დავიჯეროთ ქიშმიშოვის სიტყვა, რომ საქართველო გამორიყულს ხომალდსა ჰგავდა, და ნუ წავუხდენთ ამ პოეტურს სურათსა ჩვენის ღონემიხდილობისას. ეს ბატონიშვილებსა და თავადიშვილებს რომ ტფილისის ბაყლები ინახავდნენო, რაღაა? რომელი სიტყვის ნაწილია? ვინ ვისის მოწყალებით აქ, საქართველოში, ლუკმასა სჭამენ, ან სჭამდნენ წინათ, — ეს ღმერთმა იცოდეს, ადამიანის გულთამხილავმა ნამუსმა, ანდა

ადამიანისავე გაბოროტებულმა უმადურობამ. ვთქვათ, მართლა ასეთნი ღარიბნი ვიყავით და ვართ კიდეც, — ამით მითამ რაო? თუ თაფლი არ იყო, ეს ამოდენა ბუზი რად მოვიდა ბაღდადიდამ? თუ პური არ იყო, ბინა აქ რად დაიდეს წინააღმდეგ წინათხსენებულ ანდაზისა? საცა ასეთი სიღარიბე-სიღატაკეა, იქ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა რა წყალს დალევს, რით ამოივსებს კუჭსა? სჩანს, საქართველო არც თუ ისეთი ღარიბ-ღატაკი ყოფილა, როგორც არწმუნებენ დიდსა და პატარას, რადგანაც არამც თუ თავის თავს ინახავს, სხვასაც ისე ასუქებს, რომ თავისს ტყავში აღარ ეტევიან. ღარიბს-ღატაკს ხომ უნდა ჰქონდეს რამ, რომ ვაჭარმა გამოსცინცლოს ქონის მოსაცხებლად. უამისოდ ღარიბი რა მუშტარია?

ან რა ნიშნის მოგებაა, ღარიბი და ღატაკი ხარო? რა წასაყვედრებელია და საყვირი დღე-მუდამ ამისთანა ამბავი? რა საძრახისია სიღარიბე, თუმცა-კი არც ბედნიერებაა? რუსები იტყვიან: бедность не порок. განა კაცს კაცად ჰხდის სიმდიდრე და სხვა არაფერი? იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად-კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ. სჩანს ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არა ყოფილა. სხვაც რამ სდომებია თავმოწონებას, სახელოვანებას, სახელდობრ ის, რაც, კაცთა საუბედუროდ, ბევრს თავმოწონებულს მდიდარს აკლია, და რას ჩაგვციებიან და სულ იმას გვიკიჟინებენ, ღარიბნი ხართ და ჩვენ კი მდიდრებიო. სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვისა ოფლის სმაა და ვისაც ეს ანდერძად და მცნებად გულში ჩაუწერია, იმან შეინანოს ეს ცოდვა, იმან ჩამოირეცხოს ეს მწიკვლი. ხმელის პურის ჭამა სჯობია, სხვისის ოფლით დამბალსა და დასველებულს.

კიდევ კარგია და მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ცხონებულმა ქიშმიშოვმა საქართველო სამეფოდ მაინც ახსენა და ეს ცოტად თუ ბევრად საპატიო ხარისხი შეარჩინა ჩვენს დაბრიყვებულს ქვეყანას.

სხვა მეცნიერნი სომხებისა ამასაც კი არ იმეტებენ ჩვენთვის, თითქო იწყინეს, რომ ქიშმიშოვმა, ამ სომეხმა კაცმა, როგორ გაჰბედა საქართველო და ქართველები საპატიო სახელით მოიხსენიაო. თუმცა დღეს ბავშვმაც-კი იცის, რომ საქართველო ცნობილი იყო ვითარცა სამეფო და მისნი გამგენი — ვითარცა მეფენი, მაგრამ ბოლოს დროს გამოვიდა მოედანზედ ერთი ახალი მეცნიერი სომხებისა, ბ-ნი გ. ა. ეზოვი, და ჩვენს ქვეყანას ჩამოართვა ხარისხი სამეფოისა და ჩვენს მეფეებს სამეფო გვირგვინი მოხადა, თითქო ერთიცა და მეორეც ქიშმიშოვისგან იყო ბოძებული, ანუ თვით ბ-ნ ეზოვის მამა-პაპისაგან.

ამას უსაბუთოდ არ ვამბობთ. ბ-ნ ეზოვმა ამ უკანასკნელ ხანებში გამოსცა მის მიერ შეთხზული უშველებელი წიგნი და უწოდა მეტად მაღლამყვირალა სახელი: „Сношения Петра Великого с Армянским народом“. მაშ!.. თუ ყვირილია ყვირილიც ასე უნდა!.. შუშხუნა ხომ გაუშვა ამაებში გაოსტატებულმა მეცნიერმა, ახლა ჰნახეთ, როგორ იხსენიებს ჩვენს საქართველოს და მის მეფეებს. იგი ამ უშველებელს წიგნში საქართველოს სპარსეთის სახანოდ ჰნათლავს და მისს მეფეებს ხანებად და ამით, აშკარაა, იმის თქმა უნდა, რომ ვინ მოგახსენათ, ვითომც საქართველო სამეფო იყოო და მისი გამგენი მეფეებიო.

ვთქვათ, ბ-ნ ეზოვს ღმერთმა იმოდენა უნარი მეცნიერებისა და მართლმოყვარეობისა არ მისცა, რომ ეს საქმე გამოერკვია უცხო ენით დაწერილ წიგნებიდამ, თავისი სომხური წიგნები მაინც წაეკითხა. აქ რა იმისთანა ალალმა დაჰქროლა, რომ ჭკუა-გონება დაჰბნევია. სხვა არა იყოს-რა, სომხების მეისტორიეთაგან მაინც უნდა შერცხვენოდა!.. მოსე ხორენელს აღარ ვიტყვით და სტეფანოზ ასოღიკი და არისტაკეს ლასტივერი მეთერთმეტე საუკუნეში, მათეოს ედესელი მეთორმეტე საუკუნეში, ვარდან დიდი მეცამეტე საუკუნეში, და ბევრნი სხვანი საქართველოს სამეფოდ არ იხსენიებენ და მისთა მპყრობელთ — მეფეებად, როცა აღტაცებით

მოგვითხრობენ საქართველოს მეფეების მზრუნველობას სომხების კეთილდღეობასა და მათის მონასტრებისათვის? ახია ჩვენზე, ახი!

ესე გაბიაბრუება განა გაგონილა მეცნიერებისა, ესეთი გაყალბება მეცნიერისა!.. მართალია, საქართველო სამეფო იყო თუ არა — ეგ დღეს ჩვენთვის დიდი საძიებელი არ არის. ეგ წასული საქმეა. დღეს ის დღეა, რომ ,,ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას". და თუ ეს შხამჩართული, გესლმორეული მაგალითი მოვიყვანეთ, მარტო იმისთვის ვჩადით ამას, რომ მკითხველმა დაინახოს, რა გაუწყვეტელი ლარი გაჰყავთ ჩვენს საყვარელ მწიგნობარ-მეცნიერებს თავიდამ ბოლომდე, ოღონდ ქართველს, საცა-კი მოასწრობენ, სახელი გაუტეხონ, ოღონდ ქართველი დაამდაბლონ, დააქვევითონ, ყოველივე ღირსება, თუ-კი რამ გააჩნიათ, აჰყარონ და არარად გაჰხადონ ქვეყნის თვალში, და სხვა დარდი არაფრისა აქვთ. თითქო მართლა ქართველის წაწყმედაა სომეხთა ცხონება და თითქო თავიანთი საკუთარი საცხონებელი ღმერთს იმათთვის არ ულირსებია.

ბ-ნ ეზოვი კუდმოკლე თვალთმაქცობით, უბირად, გაუთლელად, უხერხულად ოსტატობს, რომ თეთრი შავად დაანახვოს ქვეყანას. თითონ განგებ თვალებზე ხელი აუფარებია, განგებ ყურებში ბამბა დაუცვია და ჰგონია, სხვა ყველანიც დაბრმავდებიან, დაყრუვდებიან და ეშმაკობას, კუდიანობას ვერ მიუხვდებიან. ბ-ნი ეზოვი ვითომც გამეცნიერებულია, ვითომც განათლებული კაცია. ხოლო არა გვგონია, მართალმა მეცნიერმა, მართალმა განათლებულმა იკადროს ის, რასაც იგი ჰკადრულობს. სჩანს მართალი ყოფილა ვისაც უთქვამს, რომ ,,არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა".

ეს ხომ ჩამოართვა ჩვენს ქვეყანას ათადამ-ბაბადამ კუთვნილი ხარისხი, ხომ აჰყარა ყოველივე პატივი ჩვენს მეფეებს და სპარსეთის მოხელეებად გაგვიხადა, ახლა თითონ საქართველოს ერს მისდგა და ტყავს აძრობს თავის სახელოვან წიგნში. მაშ? სომეხთა

მეცნიერი ისე ხელს როგორ გაიქნევს, ისე როგორ დაიბღერტება, რომ თავისი მტვერი არ მოგვაყაროს.

რაც-კი სადმე ქართველებზე ცუდი თქმულა, ბ-ნ ეზოვს ყველა თითქო რაღაც სიხარულით მოუკრებია და გულში გვახლის. რაც კეთილი თქმულა, ყველა ეს საქებურად მიუმალავს, როგორც ვიცით ამ ჯურის მწიგნობართ-მეცნიერთა კეთილის გულის ამბავი. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო და ბ-ნი ეზოვი არც ისე თავზეხელაღებულია, რომ ამ ანდაზას გაჰქცეოდეს. შარდენი აი რას ამბობს ქართველებზეო: ,,იგინი ბიწიერნი არიან, ლოთნი, გარყვნილნი, უნამუსონი, სიტყვისგამტეხელნი, უპირულნი, გამცემ-მოღალატენი, გაიძვერანი. ლოთობაში და გარყვნილებაში ერისკაცთ სასულიერონიც არ ჩამოუვარდებიანო, სრულიადაც არ მიაჩნიათ სირცხვილად სასულიერო პირთ, რომ ლამაზი მხევლები ჰყავთ ხასებადაო".

იქნება ესეც იყოს, ნუ გამოვეკიდებით მეცნიერს ეზოვს, ხოლო ვკითხავთ კი: იმავე შარდენს სხვა არა უთქვამს-რა ქართველებზე ამ საძაგლობის მეტი? აბა, გულზე თავისი პატიოსანი ხელი დაიდოს და პასუხი ისე გვითხრას. განა იგივე შარდენი არ ამბობს, რომ ქართველებს ნიჭი არ აკლიათ, ამათ რომ მწურთვნელი ჰყავდეთ — სახელს იშოვიდნენ მეცნიერებასა და ხელოვნებაშიო. განა იგივე შარდენი არ ამბობს, რომ ქართველები ზრდილნი არიან, მოსიყვარულენი, საკუთარის ღირსების გრძნობისანი, სომხებზე უფრო ძლიერნი, გულმაგარი ვაჟკაცნი და თავგანწირულნი მეომარნი თავისის თავისუფლებისათვისაო.

თუ მარტო ჩვენი ძაგება არა ჰქონია ფიქრად, თუ მარტო ჩვენის სახელის გატეხა არ მოსწყურებია, განა შარდენის მეტი სხვა არავინ რას ამბობს ქართველებზედ? სად და რად მიჰმალა ესენი, თუ ჩვენი ავკარგიანობა ჰსურდა ყოველის მხრით გამოერკვია და ეს მის მიერ საჭიროდ დანახული იყო იქ, საცა პეტრე დიდზეა ლაპარაკი და სომეხთა ერზე? აი, მაგალითებრ, სახელოვანი ბოდენშტეტი,

რომელიც დიდხანს იყო საქართველოში და არა გზადაგზად, როგორც შარდენი, რასა სწერს ჩვენს ავკარგიანობაზე: „ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა ჰფიქრობს, დიდს ფასს არა სდებს მიწიერს მოსახვეჭსა, არა აქვს დაუძინებელი წყურვილი მოხვეჭისა, ამიტომაც ვაჭრობა განსაკუთრებით სომეხის ხელშია. სამაგიეროდ, ქართველები ყველაზე უფრო ზნეობიანნი, ყველაზე უფრო პატიოსანნი კაცნი არიან ამ მხარეში. სტუმარმოყვარეობა დიდი იციან — როგორც სხვა კავკასიელთაც, ერთგულნი არიან — როგორც მათნი ხმალნი, სწრაფნი და მარდნი — როგორც მათნი ტაიჭნი, ვაჟკაცნი ომში, შინ თავაზიანნი და საამურნი“[1]. რასაკვირველია, ჩვენ არც არავისის ქებით არა მოგვემატება-რა და რაც არა გვაქვს არ მოგვეცემა, და არც ბ-ნ ეზოვის ძაგებით არა დაგვაკლდება-რა და რაცა გვაქვს, არ წაგვერთმევა. და თუ ამაებს გამოვეკიდენით, მარტო იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, სადა ჰფრენს გონება ბ-ნ ეზოვისა, როცა ჩვენს სანუგეშოზე პირს უჭერს და ძაგებაზე პირსა ჰხსნის.

ძნელია, როცა წინათვე აკვიატებული სურვილი დაჰბღუჯავს ხოლმე იმისთანა წყალ-წყალა მეცნიერს, როგორიც ბ-ნ ეზოვი ყოფილა, რომელსაც ქართველების ხსენებაზე პირზე მარტო შხამი მოსდის და სხვა გზა არ არის, უნდა გადმოანთხიოს. განათლებული კაცი-კიაო!..

თუ სწავლა-განათლებას იმოდენაც არ შესძლებია, — კაცს ჩააგონოს, რომ ოინების გასაღება მეცნიერებაში ისე ადვილი არ არის, როგორც ყალბის ფულისა ბაზარში, ღმერთმა პატრონს მშვიდობაში მოახმაროს ჩვენ-კი გვიხსნას ამისთანა სწავლა-განათლებისაგან და ამისთანა სწავლა-განათლებულებისაგანაც. „ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს“, ესე იგი,

[1] ბოდენშტეტი: „კავკასიის ერნი“, მიუნჰენი 1847 წ. ფრანგულად თარგმნილი, გვ. 202 და 311

მისი ზნე. გაუწურთვნელი ზნე, ყავარჯენი კი არა, ჭირია. ტყუილად კი არ ამბობს ბოსსუეტი „ერიდენით და უფრთხილდით საკუთარს ზნესა. ზნე იმისთანა მტერია, რომელიც, საცა წახვალთ, ყოველგან თან დაგდევთ სიკვდილის კარამდინაო“.

VI

ეს ხომ ვნახეთ, ბ-ნ ეზოვი რა ხალისიანად ალაპარაკებს შარდენს, როცა ჩვენ გვაძაგებს და აუგად გვიხსენიებს. ისიც ხომ ვნახეთ, როგორ მოსჭრა ენა ამავე შარდენს ამ განათლებულმა სომეხმა, როცა ჩვენზე ორიოდე სიტყვას კარგს იმეტებს. ისიც ვნახეთ, რომ არც ერთი ჩვენზე კარგის მთქმელი თვალწინ არ დაიყენა, რომ ქართველებზე კარგი არავინ გაიტაროს გულშიო. ეს საოცარი მანქანა ბ-ნ ეზოვს კიდევ საკმარისად არ მიაჩნია. ახლა სხვა მოწმე მოიწვია ქართველების უფრო მეტად სახელის წახდენისათვის. ეს მოწმე გახლავთ განჯა-ყარაბაღის სომეხთა პატრიარქი ცხონებული ისაია.

რომ ღირებული ფასი დავდოთ ამ პატიოსანის მოწმის ჩვენებას და ბ-ნ ეზოვის ოსტატობას, საჭიროა ცოტა შორიდამ დავიწყოთ საუბარი და ერთი პატარა ხანა ამიერკავკასიის ისტორიისა გავიხსენოთ.

რუსეთის იმპერატორს პეტრე დიდს კარგა ხანია თვალი ეჭირა სპარსეთზე და ჰფიქრობდა აქეთ რუსეთის ვაჭრობის განდიდებას და ამისათვის გზების შეძენასა და გახსნას. მინამ შვედელებთან ომები ჰქონდა, რასაკვირველია, შორმხედველი იმპერატორი ისე მხნედ ვერ მოეკიდებოდა ამ საქმეს, როგორც ჰსურდა, და როცა ნეიშტატის მორიგებამ 1721 წ. აგვისტოს 20-ს შვედელებთან საქმე გაათავა, მაშინ თითქმის მთლად მოიცალა თავისის დიდის ხნის სურვილისათვის, რომ სპარსეთზე გამოილაშქროს. განჯა-ყარაბაღი მაშინ მთლად სპარსეთის ხელში იყო და აქაური სომხობა, შეწუხებული სპარსთაგან,

ჰცდილობდა თავი როგორმე დაეღწია და ამის გამო პეტრე დიდთან საქმე დაიჭირეს. სხვათა შორის ვარდაპეტი მინასა გაგზავნილი ჰყავდათ პეტრე დიდთან და ეს ვარდაპეტი იყო პირდაპირი შუამავალი იმპერატორის მთავრობისა და სომხებ შორის — თვით რუსეთში, რომელსაც, თვით სომხების სურვილისამებს, ჰპირდებოდა განჯა-ყარაბაღის გარდაცემას.

პეტრე დიდმა ამ ვითარებას საქმისას ხელი მოჰკიდა და მიზეზად ეს გაიხადა. ისიც იცოდა ამ ბრძენმა იმპერატორმა, რომ ქართველებიც აქ ხელს შეუწყობენ, რადგანაც საქართველოსაც ემძიმებოდა სპარსთა ასე ახლო ყოფნა და კარგი იყო განჯა-ყარაბაღიდამ გაერეკნათ სპარსები. რა თქმა უნდა, რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე ერთან, მეზობლობა ერჩივნათ ქართველებს, ვიდრე სპარსებთან. ეს კარგად იცოდა პეტრე დიდმა და ამიტომაც სომხებს დაჰპირდა და ქართველებსაც აცნობა, — მე ჩემის მხედრობით მოვალ და თქვენ თქვენის მხედრობით მზად იყავითო. მიზეზიც კარგი გამოუჩნდა. შამახიას ამ დროს დაეცნენ ლეკები და ყაზიკუმუხელები, რომელნიც მოიწვიეს იქაურთა მუსლიმანთა. ლეკებმა მთლად აიკლეს შემახია, იქ მყოფნი რუსეთის ვაჭარნიც გასძარცვეს და ნახევარ-მილიონის ქონება წაართვესო, როგორც ეს აუწყა პეტრე დიდს ერთმა მისმა მოხელე რუსმა.

რაკი პეტრე დიდმა ეს ამბავი შეიტყო, ვახტანგ მეფეს მოსწერა, რომ მე ასტრახანიდამ წამოვალ და შენც, შენის აღთქმისამებრ, მომეშველე და შენის მხედრობით წამოდი განჯას საქრისტიანოს დასახსნელადაო და, სიტყვითაც შემოეთვალა, ლეკების ჯავრი ამოიყარეო. ვახტანგმა შეჰყარა მხედრობა რიცხვით 30.000 კაცი და წავიდა ლეკებზე. ლეკებმა ჰნახეს ეს თუ არა გაეცალნენ. მთელს ამ მოძრაობას ის ფერი დასდეს, ვითომც მარტო ლეკების დასასჯელად წავიდა ვახტანგი, რომ სპარსელებს ალღო არ აეღოთ და არ მომზადებულიყვნენ. თვით სპარსელებს, ვითარცა

შიიტებს, ეჯავრათ ლეკების, ვითარცა სუნიტების, შესევა შამახიაში და ვახტანგის მადლობელნიც დარჩნენ, რომ ასე მოიქცა. ლეკებთან რომ საქმე გაათავა, ვახტანგმა მერე დაიბანაკა განჯასთან და იქ ელოდა პეტრე დიდს ასტრახანიდამ. იმპერატორ პეტრეს რაღაც საქმე აღმოუჩნდა შიდა-რუსეთში, უეცრად ასტრახანიდამ შინ დაბრუნდა და ვახტანგს აუწყა, კვლავ მოვალო. იმედგადაწყვეტილი ვახტანგი უკან წამოვიდა ტფილისს.

პატრიარქი ისაია ამ ვახტანგის ამბავს სწერს რუსეთში ვარდაპეტს მინასას, რომელიც წინათ მოვიხსენიეთ, — რომ 30.000 კაცით მოვიდა და წავიდა ლეკებზედაო. მეც თან გავყევიო. მივედით თუ არა, ლეკები გაგვეცალნენო. მერე როცა იმედგადაწყვეტილი, რომ პეტრე დიდი აღარ მოვაო, დაბრუნდა ტფილისში, ისაია პატრიარქიც თან გამოჰყოლია და მთელი ოთხი თვე დარჩენილა ტფილისს. იმავ წერილში ისაია აუწყებს ვარდაპეტს მინასას, რომ ვახტანგი სექტემბრის ბოლოს ხელახლად აპირობს წასვლას განჯისაკენ და თან მიჰყავს ქართველებისა და სომხის მხედრობაო; ეხლა ქართველები და სომხები სულითა და გულით ერთნი არიანო, ერთმანეთის თანაგრძნობით სავსენი და მარტო პეტრე დიდის მოშველებას ელიანო. შენც მანდ ეცადეო.

მეორედ წავიდა ვახტანგი თუ არა, ამას თავი დავანებოთ. ბ-ნი ეზოვი ვახტანგის პირველი გამხედრების გამო ასე ამკობს ქართველებს თავისის მხრით. თათრების დასასჯელად, რომელთა ლეკები მოიწვიესო, ვახტანგმა ნება მისცა თავისს მხედრობას თათრების დარბევისაო. ქართველები დაერივნენ მთელს ადგილებს ტერტერის წყლამდეო, საშინლად ააოხრეს და ნარბევს ურმებით ეზიდებოდნენო, ქართველები იკლებდნენ და სძარცვავდნენ არამცთუ მარტო თათრებს, ქრისტიანებსაცაო. როცა ქართველების ჯარი სომხების სოფლებს ახლო გაუვლიდაო, ხალხი წინ მოეგებებოდა ხოლმე, წინ მოუძღოდა ხალხს შემოსილი სამღვდელოება

ჯვრებით, სანთლებით ხელში, ზარის რეკით და ერთის ყოფით და ამბითაო. ქართველები-კი მიესევოდნენ, სძარცვავდნენ, სტაცებდნენ სამოსელს, საეკკლესიო წიგნებს, ნივთებს და მთელს ქონებასაო. „ამ სახითაო, რაც გადარჩათ ლეკებს, — სწერს პატრიარქი ისაიაო, — ის ყოველივე გააჩანაგა ხარბმა, გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა ქართველმა ერმაო“.

ამას თურმე სწერს პატრიარქი ისაია ვარდაპეტს მინასას-კი არა, თავისს მოკლე ისტორიაში. ესეც დასახსომებელია. სომეხთა მეცნიერების ისტორია, როგორც ეტყობა, ერთია და მართალი და ჭეშმარიტება სხვა. ამას ქვევით დავინახავთ.

იქნება მართალია, რომ ქართველები ხარბნი, გაუმაძღარნი და შეუბრალებელნი იყვნენ და არიან. იქნება ისიც მართალია, რომ ქართველებმა აიკლეს სომხები, დაძარცვეს და გააუპატიურეს მათი სამღვდელოება, არ დაინდეს მათი საეკკლესიო წიგნები, საღმრთო ნივთები და ამგვარად შებღალეს მათი სარწმუნოება. ხოლო ეს გვიკვირს და საოცარიც არის: ამისთანა ავაზაკური საქციელი როგორ არ აუწყა ისაიამ ვარდაპეტს მინასას მაშინ, როცა ვახტანგის ამბებსა სწერდა და როცა, ვითა გუშინდელი ამბავი, უფრო მწვავად გულში მოდებული ექნებოდა, ვიდრე მაშინ, როცა ისტორია უწერია, ესე იგი როცა დროჟამი უკვე სიმწვავეს დაანელებდა და დააამებდა ცოტად თუ ბევრად. განა ნამეტანობისაგან გულისა ბაგეთ არ უნდა ემეტყველნათ მაშინ, როცა გული უფრო სავსე ჰქონდა ჯავრითა და წყრომითა? ესეც იქით იყოს. ხოლო ეს სულიერი ბატონი და პატრონი სომხებისა, ეს მათი თავიდათავი, ეს უპირველესის ხარისხის კაცი, ეს მათი მწყემსთმთავარი თან გაჰყოლია, ბ-ნ ეზოვისავე სიტყვით, ვახტანგის ხარბს, გაუმაძღარს და შეუბრალებელს ერსა, ქართველების კალთას შეჰკედლებია და ტფილისში შეუფარებია თავი მთელს ოთხს თვეს. ისტორია ისაია პატრიარქს როგორ დავუჯეროთ, როცა ასეთი გარემოება წინ გვიდგა.

სწორედ მოგახსენოთ, ცალის მხრით დიდი სიყვარული ჰქონია თავისის ერისა, დიდი პატივი თავისის სამწყსოს სარწმუნოებისა, სამღვდელოებისა, რომ სომხის ამკლებლებს, სომხის გამძარცველს, სომხის სამღვდელოების გამაუპატიურებელს, სომხის სარწმუნოების შემბღალველს ერს თან გამოჰყოლია, მისი კალთა დაუჭერია. მეორის მხრით დიდი ვაჟკაცი ყოფილა, რომ ხარბს, გაუმაძღარსა და შეუბრალებელს ჯარს თუ ერს მინდობია. თუ მართლა იმისთანა საშინელი და უკადრისი ამბავი დაჰმართეს, რაღა გული აძლევდა ნებას, რომ ამისთანა დაუნდობელსა და საძაგელს ერს მხარს უმშვენებდა და თან მისდევდა. რა პასუხიღა უნდა მიეცა დარბეულ, აკლებულ და გაუპატიურებულ სომხებისათვის, როცა ამისთანა ნდობით ექცეოდა. პატივს აძლევდა დამარბეველს, ამკლებელსა და სარწმუნოების გამაუპატიურებელ ერსა.

აბა, ერთის მხრით ეს გაძარცვ-გაგლეჯა სომხებისა, ეს გაუპატიურება მათის სარწმუნოებისა, ეს აკლება მათის სამღვდელოებისა, ეს საღმრთო და საეკკლესიო ნივთების შეგინება და, მეორეს მხრით, ასეთი ტკბილი განწყობილება სომეხთა მამამთავრისა ერთმანეთს პირში წაუყენეთ და სამართალი ისე ჰქენით, თუ ის არ გამოვიდეს: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. განა შესაძლებელია ერთი, თუ მეორე არის და — მეორე, თუ პირველია?! ბ-ნი ეზოვი რას დაგიდევთ? ხომ გამოლანძღა ისაია პატრიარქის მოწმობით ქართველები და სხვა რაღა მოეთხოვება სომეხთა მეცნიერსა.

თუ მართლა ქართველებმა ასე საძაგლად იჩინეს თავი და ეს ყოფა დააწიეს სომხებს და სომხის სამღვდელოებას, მაშ რადა სწერს ესევე მართლმოყვარე ისაია პატრიარქი ვარდაპეტს მინასას, ვით სასიხარულო ამბავს, რომ მეფე ვახტანგი ხელმეორედ აპირებს თავისის მხედრობით განჯაში წასვლას და შენც მანდ, რუსეთში შეეცადეო. განა ასეთი სასიხარულო იყო ხელმეორედ მისვლა იმისთანა ჯარისა, რომელმაც პირველში აიკლო,

გააჩანაგა სომხობა და მისი სამღვდელოება დაატყავა. თუნდ ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს. ის რაღაა, რომ იგივე ისაია ეფიცება მინასას, რომ ეხლა ქათველები და სომხები ერთმანეთის სიყვარულით ერთმანეთს გულში უსხედანო. რა სასწაულმა გარდაჰქმნა ასე ანაზდეულად, ასე უცბად ხარბი, გაუმაძღარი და შეუბრალებელი ქართველი ერი ასე ერთსულ და ერთხორც სომხებთან. ნუთუ ქართველებმა ეგრე ერთს წუთს, ეგრე მალე მოიშალეს თვისი საძაგელი ხასიათი და სომხებმა ეგრე მალე დაიჯერეს, რომ ეს ხარბობა, გაუმაძღრობა, შეუბრალებლობა თან აღარ გაჰყვებათ ქართველებს!

ვარდაპეტი მინასა არც ერთ თავისს მოხსენებაში, რომელიც-კი წარუდგენია პეტრე დიდის მთავრობისათვის, ერთის სიტყვითაც არ ამბობს სამდურავს ქართველებზე. პირიქით, ერთს თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, იწერება: „ტფილისიდამ გვწერენო, რომ ვახტანგის დიდად მადლობელნი არიან, ჩვენ, სომხებს დიდის სიყვარულითა და მოწყალებით გვეპყრობაო[1]“. ვთქვათ, ამ პოლიტიკურ საზრისის გამო დაუმალა მინასამ პეტრე პირველს ავაკცობა ქართველებისა, ქებას მაინც არ მოაჭორებდა.

მართალია, ვარდაპეტი მინასა შორს იყო და, შესაძლოა, არა იცოდა-რა ქართველების ავკაცობისა, ეს არქიეპისკოპოსი სომხებისა მინას პერვაზიანი ხომ დამსწრე და თვალით მნახველი იყო, როცა ვახტანგი მიესია ლეკებს და გარეკა. ეს არქიეპისკოპოსი არამც თუ ემდურება რასმე ქართველებსა, არამედ მადლობითაც-კი იხსენიებს: „ღმერთმა ეხლა მწყემსად და პატრონად მოგვცაო ვახტანგი. ეს გვიხსნის და გვმფარველობს მტრებისაგან, ამან გაგვიდევნა მტერნი, ერთად თავი მოუყარა სომხებს და თითონ გვპატრონობს და გვიფრთხილდებაო“[2].

[1] იხ. მინასას მოხსენება 1722 წ. დეკემბრის 9-სა.

[2] იხ. წერილი მინას პერვაზიანისა 1722 წ. დეკემბრის 12-ს დღესა.

ეს არქიეპისკოპოსი სომხებისა ვახტანგთან ერთად იყო განჯაში და იქიდამაც ისაია პატრიარქსავით თან გამოჰყვა ტფილისს. მაშასადამე, ეს ორნივ მამამთავარნი სომხებისა თვალითმნახველნი მოწამენი არიან ყოველ იმისა, რასაც ქართველები მაშინ ჩაიდენდნენ. ერთი ამბობს, — ხარბმა, გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა ქართველებმა მთლად აიკლეს სომხობა, სარწმუნოებას ჩვენსას უკადრისად მოექცნენო და მეორე-კი მადლობით იხსენიებს და ღვთის წყალობადა სთვლის, რომ ვახტანგ მეფე პატრონად და მწყემსად მოუვლინა სომხებს, დაახსნევინა იგი მტრებისაგან, გვივლის და გვიფრთხილდებაო. რა თქმა უნდა, ყოველ ამ სიკეთეს ვახტანგი მიანიჭებდა სომხებს თავისის ერის შემწეობით და შველითა, თორემ მარტო ერთი კაცი რას იზამდა.

ბ-ნი ეზოვი როგორ მოექცა ამ ორს ერთიმეორის უარმყოფელს, ერთიმეორის უმსგავსო მოწმობას? აქ მართალი მეცნიერი ორში ერთს იქმოდა: ან არც ერთს არ დაუჯერებდა, თუ მეტისმეტს სიფრთხილეს წაელებინებოდა, ან თუ ერთს იმოწმებდა, მეორესაც ხმას ამოაღებინებდა. ბ-ნი ეზოვი-კი სწორედ ისე მოიქცა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო. ქართველების მძაგებელი და ავად მხსენებელი ალაპარაკა და ქართველების მადლიერი განგებ გააჩუმა. რა ჰქვიან ამისთანა საქციელს, არ ვიცით, ეს კი აშკარაა, რომ „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდო“ და დიპლომი მეცნიერებისა შუბლზე მიაკრა.

ყველა, ყველა და უადგილო არ იქნება ერთი ეს ვიკითხოთ: ვთქვათ ქართველები ბ-ნი ეზოვის სასიხარულოდ, ყოვლად საძაგელნი არიან, ხოლო ქართველების საძაგლად ხსენება იქ რა შუაშია, საცა საუბარია О сношения Петра Великого с Армянским народом? ქართველების საძაგლობა აქ რა ხიდია ამ „ сношение“-სათვის? უამისოდ გზა თუ არ იყო? ჩვენი საძაგლობა აქ რად არის

ჩაჩხირული? აქ რისთვის დასჭირებია ეს ბ-ნს ეზოვს? აშკარაა იმისთვის, რომ ვაითუ მეორედ აღარ მეღირსოს წერა და შემთხვევა როგორ დავკარგო, ერთი პანღური მაინც არ შევაწიო ჩვენს საყვარელს ძმებს — ქართველებსაო.

თუ მართლა ეს ასე არ არის, მაშ რა მიზეზით და ლოგიკით აიხსნება ერთი სხვა უცნაური გარემოებაც, რომ წიგნში, რომელსაც თითონვე დაარქვა „Сношения Петра Великого с Армянским народом“, ბ-ნი ეზოვი მეფე ერეკლესაც გადასწვდა და გრაფ ტოტლებენის ამბავსაც მოგვითხრობს. საიდამ სადაო? სად პეტრე დიდი და სად ერეკლე მეფე და ტოტლებენი? საქმე ის არის, რომ ბ-მა ეზოვმა სანეკრე დაინახა და სახტომი აღარ იკითხა და ისკუპა თქვენი მოწონებული. ერთი ჰკითხეთ, საიდამ და რისთვის ჩააკერა ისტორიული ხანა ეკატერინე დიდისა წიგნში, რომელმაც უნდა მოგვითხროს პეტრე დიდისა და სომეხთა ერის საურთიერთობო საქმენი? ეს ადვილად გამოსაცნობია, თუ გავიხსენებთ ისევ იმ ალიას, რომლის დარდიც ფლავია და სხვა არაფერი. ბ-ნ ეზოვს ნიშანში ამოღებული ჰყავს ქართველი და როგორ გაუძლოს გულმა, რომ ლაფი არ დაასხას, თუ შესაძლებელია. ამ შემთხვევისათვის ტოტლებენი ძალიან საამური და სასურველი კაცია ბ-ნ ეზოვისათვის და თვით ერეკლეს ხსენებაც მიზეზს მისცემს, ეს სახელოვანი მეფეც უკადრისად შეგვიქციოს.

ყველას მოეხსენება, რომ ეკატერინე დიდმა ომი დაუწყო ოსმალეთსა და ამის გამო ომში ჩასარევად მეფე ერეკლეს და იმერეთის მეფე სოლომონს დაჰპირდა, ოღონდ თქვენც მანდედამ მიესიენით ოსმალებსა და მე ჯარსა და ფულს მოგაშველებთო. მეფეებმა სიხარულით გამოუცხადეს სურვილი და ეკატერინემ გამოჰგზავნა საქართველოში ოთხი ათასი კაცი და ფული და ყოველივე ეს ჩააბარა გრაფ ტოტლებენსა. ტოტლებენი მოვიდა ჯარით და ფულით და იმის მაგიერ, იმპერატრიცის

ბრძანებისამებრ ერთად ემოქმედნა ქართველებთან, ცალკე გაიწია იმ აზრით, რომ ოსმალებზე გამარჯვების სახელი მარტო თითონ დაინარჩუნოს. გააბა მრავალგვარი ქსელი ოინებისა, აურზაური დაუწყო ცალკე ერეკლეს, ცალკე სოლომონს, ერთსაცა და მეორესაც უკადრისად ექცეოდა. უღალატა ერეკლეს და ასპინძის ომის წინა დღეს გამოექცა და მერე, რომ თავი ემართლებინა, ბეზღებას მიჰყო ხელი, თვით ერეკლე და მისი ქართველობა ძირიანად მოსთხარა იმპერატრიცას წინაშე.

რა კაცი იყო ეს ტოტლებენი, რარიგად იქცეოდა, რარიგ აწიოკებდა დიდსა და პატარასა, რა უკადრისად ეპყრობოდა მეფეებს, რარიგად იტენიდა ჯიბესა და თვით მისდა მინდობილს რუსის ჯარს უცმელ-უჭმელს ინახავდა, — ეს ყოველი ცხადია, თუ კაცი გასინჯავს იაზიკოვისა და ლვოვის ოფიციალურს წერილებს[1], რუსეთში მიწერილებს საქართველოდამ. ყოველ ამის გამო, როგორც იქნა, ტოტლებენი აქედამ წაიყვანეს და მის მაგიერ დანიშნეს ღენერალი სუხოტინი. სუხოტინმა[2] იმავე სახით წარუდგინა იმპერატრიცას ტოტლებენის საქციელი და მოქმედება. რა კაცი იყო ეს ტოტლებენი, იქიდამაცა სჩანს, რომ იგი ავკაცობისა და ავზნეობისათვის გამოძევებული იყო გერმანიიდამ, — თავისს სამშობლოდამ. იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს როგორღაც შეავედრა თავი, რუსეთში განწესდა, ებოძა ღენერალ-მაიორობა და კორპუსის წინამძღოლობა. აქ მისის კორპუსის აფიცრებმა შეამჩნიეს რუსეთის გაცემა და ღალატი, დაიჭირეს და წარუდგინეს მთავრობას.

მთავრობამ რუსეთისამ სამართალში მისცა, იცნეს მოღალატედ და გამცემად და სიკვდილით დასჯა განუჩინეს. მერე სიკვდილით დასჯა აპატიეს და განაძევეს რუსეთიდამ იმ მუქარით, რომ თუ ოდესმე

[1] იხ. ცაგარელი: “Грамоты и другие исторические документы XVIII стол. относящиеся к Грузии”. т. I, გვერდი 180, 247, 249, და სხვანი.
[2] იქავ, გვერდი 484.

რუსეთის სამფლობელოში გაჩნდება, ყველას ნება აქვს მოაკვდინოს. ამ სახით იგი განდევნილ იქმნა რუსეთიდგან 1763 წელს. მთელი ექვსი წელიწადი ეთრია ეგრე ტოტლებენი რუსეთს გარეთ და ბოლოს ხელახლად შეავედრა თავი ეკატერინე დიდს. იმპერატრიცამ შეუნდო წინანდელი ცოდვა და ჩააბარა საქართველოში მიმავალი ჯარი. აი რა კაცთან შეემთხვა მაშინდელ საქართველოს საქმის დაჭერა.

ეს, რუსთა ოფიციალურ დოკუმენტებით, ყოვლად საძაგელი კაცი, ეს უსირცხვილო ადამიანი, მოქრთამე, მყვლეფავი, ორგული, ცრუ, მაბეზღარი, იმოწმა ბ-ნმა ეზოვმა, რომ ქართველების სახელი ხელახლად ლაფში ამოავლოს. აი, ტოტლებენი რასა სწერს ქართველებზედაო, მოგვითხრობს ბ-ნი ეზოვი: „ქართველები გაიძვერანი და ფლიდნი არიან, ანგაარნი, ბიწიერნი, გაგებაც არა აქვთ, რა არის კეთილი... ქართველთაგან, მგონია, მოსალოდნელი არ არის არც ვაჟკაცობა, არც მორჩილება, რადგანაც თავისი დღენი მონობაში გაუტარებიათ და სულმოკლენი შექმნილანო“. ბ-ნს ეზოვს მარტო ესა სდომებია, თორემ, აკი ვამბობთ, ჯერ ეს მოწმობა ტოტლებენისა რა ხელსაყრელია იქ, საცა საუბარია პეტრე დიდსა და სომხების ერის ურთიერთობაზე და მეორე, – რა სარწმუნო კაცი ეს ტოტლებენია, რომ გაუსინჯავად, მოუჩხრეკავად, მისი მოწმობა დაუჯერებია. სხვა ყველა რიგიანი კაცი არამცთუ მოწმად არ იკადრებდა ამისთანა კაცს, ახლოც არ გაუვლიდა, რომ არა მომეცხოს-რაო. აშკარაა, ბ-ნი ეზოვი ამ შემთხვევაში უშიშარი და უწუნარი რაინდი ყოფილა.

VII

ეს ხომ შეგვამკო ტოტლებენის მოწმობით ბ-ნმა ეზოვმა, ახლა უყურეთ, თავისით როგორ გვიხსენა ერეკლე მეფე და როგორ დაამდაბლა თვით საქართველოც, მეფე ერეკლეს დროინდელი. მოგეხსენებათ, რომ ერეკლე მეფეს პეტერბურგთან

მოლაპარაკება ჰქონდა, რათა რუსეთს მიეღო საქართველო თვისდა მფარველობის ქვეშ. აი, ამის გამო რეები გამოატყვრინა ბ-ნმა ეზოვმა და აუწყა თავის მკითხველებს: „ერეკლემ 1782 წელს ხელახლად გაჰგზავნა უმაღლესს სახელზე წერილი და ითხოვდა მიეღოთ საქართველო რუსეთის ტახტის უმაღლეს ხელმწიფებას ქვეშ. ერეკლე ითხოვდა, რომ მეფის ხარისხი დაემტკიცებინათ მისთვის და მისდა შთამომავლობისათვის, საქართველოში დაეტოვებინათ ხარისხი კათოლიკოზობისა, როგორც სამღვდელოების უფროსისა, გამოეგზავნათ ოთხი ათასი კაცი ჯარი, რომელიც საჭიროა მტერთა მოგერებისათვის და ზოგიერთ გადამდგარ ადგილების უკან დასაბრუნებლად და დასასრულ, ფულიც მოეშველებინათ მხედრობის შესანახად. ამ სახითაო, უმატებს თავისით ბ-ნი ეზოვი: „ერეკლე უთმობდა რუსეთის კარს მას, რაც უფლებით ეკუთვნოდა სპარსეთს და არა თითონ, უთმობდა უმაღლეს ხელმწიფებას საქართველოზე, რომელიც de facto უღონობით ხელში ვეღარ შეემაგრებინა და ამის სანაცვლოდ ითხოვდა მეფის ხარისხს, რომელიც მას არა ჰქონია სპარსეთში(?)“[1]

ყოველ ამას განმარტება არ უნდა. აქ მარტო შესანიშნავია წრესგადასული თვითნებობა კაცისა, რომელიც ხელში დაუჭერია ერთ რაღასაც უცნაურს გულთნადებსა და არაქათს არ აძლევს გაინძრას. გამოდის, რომ მაშინდელი საქართველო რაღაც საბოქაულო ყოფილა სპარსეთისა და ერეკლე მეფე მისი ბოქაული და სხვა არა-რა. ერთი ჭკუისა და ლოღიკის ლარი გაუსინჯეთ ზემოხსენებულ ნათქვამს ბ-ნ ეზოვისას – რა უცნაურობა გამოდის. ჯერ ხომ ამბობს, უთმობდა იმას, რაც უღონობით ხელში

[1] აი სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ბ-ნ ეზოვისა: „Таким образом, Ираклий предлагал Русскому двору то, что, по праву, принадлежало не ему, а Персии, предлагал верховную власть над Грузией, которую de facto не в силах был удержать и за это просил царское достойнство, которого не имел в Персии (?). იხ. „Сношения Петра Великого с Армянским народом“, გვერდი XCII“

ვეღარ შეემაგრებინაო. სჩანს, ხელთა ჰქონია, თორემ რა სათქმელია, ხელში ვერ შეიმაგრა ის, რაც კაცს ხელთ არა აქვს. რა შემაგრება უნდა იმას, რაც არ არის და კაცს ხელში არ უჭირავს. აბა, ყოველივე ეს ერთმანეთს პირში წაუყენეთ და აშკარად დაინახავთ, რომ ბ-ნი ეზოვი ერთით იმას ამტკიცებს, რასაც მეორით უარჰყოფს.

ან ამას დააკვირდით, რომ მეფე ერეკლე, რომელიც თვითმპყრობელ ხელმწიფედ შეიქმნა საქართველოსი, რომელიც თვით სპარსეთს ძილს უფრთხობდა ერთს დროს, სასაცილოდ აიგდო ბ-ნმა ეზოვმა, — რუსეთს იმას უთმობდა, რაც არ ეკუთვნოდაო და ვარდაპეტი მინასა-კი, რომელიც რუსეთს ჰპირდებოდა და უთმობდა განჯა-ყარაბაღს, თითქმის ქება-დიდებით შემოსილია. ერეკლე მეფეს-კი არ ეკუთვნოდა საქართველო და ვარდაპეტს მინასას-კი ჰკუთნებია განჯა-ყარაბაღი, საცა მაშინ სპარსეთის ხანები ჰბატონობდნენ და არა ვარდაპეტი მინასა. ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეჰხედავსო, ამაზეა ნათქვამი.

თუ მეფე ერეკლე იმას უთმობდა რუსეთს, რაც მას არ ეკუთვნოდა, მაშ მისს მემკვიდრეს და შვილს გიორგი მეფეს ხომ უფრო არ ეკუთვნოდა და როგორ მოხდა, რომ საქართველო რუსეთმა გიორგი მეფისაგან მიიბარა და ამ მეფეს ცალკე ტრაქტატით შეეკრა. ამ ამბავს მაინც უნდა შეეფერხებინა და საგონებელში ჩაეგდო ბ-ნი ეზოვი. თუ საქართველო სამეფო არ იყო, მისნი მპყრობელნი მეფეებად არ იწოდებოდნენ, მაშ რუსეთის სახელმწიფო ტიტულში რუსეთის იმპერატორები რად იხსენიებენ საქართველოს მეფეებად სხვათა შორის. სჩანს, სამეფოდ ხსენება საქართველოსი და მისთა მპყრობელთა მეფეებად წოდება მოგონილი ამბავი არ არის, სჩანს საბუთია, რომ ეს საქართველოს მპყრობელთა ხარისხი რუსეთის სახელმწიფო ტიტულშია შეტანილი. ბ-ნი ეზოვი რომ ასე თავშეუდებლად არ აჰყოლოდა თავისს გულისთქმას, არა გვგონია ეს უეჭველი საბუთი რუსეთის

სახელმწიფო ტიტულისა ასე შეერყია წინდაუხედავად. ცოტად რომ მაინც ჩაჰფიქრებოდა თავისს ნათქვამს, შიშით გული გაუსკდებოდა, ეს რა უბედურება გადამკიდა ჩემმა ენამაო. ნურც ჩვენის სიტყვით გაიხეთქს გულსა. რუსის კანონებში ბევრი შესაწყნარებელი მიზეზია, რომლის ძალითაც დიდი შეღავათი ეძლევა ჭკუაატაცებულს დამნაშავეს.

ვთქვათ, ასეც იყო, რომ საქართველო არც სამეფოდ ყოფილა ოდესმე, არც მისთა მპყრობელთ ხარისხი მეფობისა არა ჰქონიათ, ვთქვათ არც ერეკლე მეფეს, არც გიორგის არ ეკუთვნოდა საქართველო, მაშ ვინ ჩააბარა იგი რუსეთს? ბ-ნ ეზოვს რომ ჰკითხოთ, გამოდის, რომ იგი ჩაუბარებია თითქმის სომეხთა არქიეპისკოპოსს იოსებ არღუთინსკი-დოლგორუკოვს. რა თქმა უნდა, ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ აბა, გადაიკითხეთ ბ-ნ ეზოვის წიგნი, თუ ეს ასე არ გენიშნოთ. მთელი სამი-ოთხი გვერდი ამ წიგნისა[1] ისე ოსტატურად შორიდამ უვლის ამ ამბავს, ისე მოხერხებულად სტრიქონებს შუა მიძვრებ-მოძვრება ეს სასურველი აზრი ბ-ნ ეზოვისა, რომ ანაზდეულად შეგეფეთებათ და გამოგენასკვებათ თითქმის ის დასკვნა, რომ თუ ხსენებული არქიეპისკოპოსი არ ყოფილიყო, საქართველო არ მიეკედლებოდა რუსეთს.

ბ-ნი ეზოვი, სხვათა შორის, გვარწმუნებს[2], რომ არქიეპისკოპოსი იოსები დიდს მხნეობას იჩენდა: იგი აკავებდა ერეკლე მეფეს, რომელიც მზად იყო დამორჩილებოდა აღა-მაჰმად-ხანსაო და იმედს აძლევდა, რუსები მოგეშველებიანო, იბირებდა ხანებს, ხელი შეუწყონ რუსის მხედრობასა, ფიცით არწმუნებდა, რომ რუსთაგან არავითარი წყენა არ გექნებათო და სხვანი და სხვანი. ერთის სიტყვით, რაც ყოფილა, არქიეპისკოპოსი იოსებ არღუთინსკი ყოფილა!

---

[1] იხილ. „Сношения Петра Великого с Армянским народом“, გვ. XCIII, XCIV, XCV და სხვანი.“

[2] იხ. ეზოვის წიგნი: , „Сношения Петра Великого с Армянским народом“, გვ. CVI,“

როცა საქართველოში იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტი გამოცხადდა რუსეთთან შეერთებისა, მაშინ იმპერატორმა მოინდომა ჯვრები და ორდენები, გრაფობის და ბარონობის ხარისხი, მიენიჭებინა თავისს ახალ ქვეშევრდომთა წარჩინებულ კაცებისათვის და შეეკითხა კნორრინგს და კნორრინგი ლაზარევს. ღენერალმა ლაზარევმაო, — ამბობს ბ-ნი ეზოვი, — როცა დაეკითხნენ, ვინ არიან ღირსნი ჯილდოსიო, ასეთი პასუხი მისცაო: „რაც შეეხება ჯვრებს, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო ღირსნი არიან თავადნი ეგნატე თუმანოვი, დარჩო ბებუთოვი და სოლომონ არღუთინსკი-დოლგორუკოვიო. მთლად აქაური აზნაურობა ბევრით წინ არ არის ჩვენს однодворц-ებზეო და ვის უნდა ებოძოს გრაფობა და ბარონობაო? მას ისიც უნდა დავუმატოო, რომ ზოგიერთს ოჯახში თუ ერთი ძმა ჩვენი მომხრეა, მეორე — მეამბოხეაო... ძნელად გასარჩევია აქაური ბატონიშვილი უბრალო მუჟიკისაგანაო“.

კნორრინგმა და ლაზარევმა ჯილდოს ღირსად შვიდმეტი კაცი წარადგინა, მათ შორის ქართველები: თ. სოლომან ავალიშვილი, სურამის მოურავი თ. ევგენი აბაშიძე, თ. გიორგი ამილახვარი, სარდალი თ. ივანე ორბელიანი, სარდალი თ. გიორგი ციციშვილი, სახლთხუცესი და მარიამ დედოფლის ეშიკაბაში თ. ალექსანდრე მაყაშვილი, მდივანბეგი თ. ზაქარია ბარათაშვილი, მდივანი სულხან თუმანიშვილი, თ. შანშე ერითავი, ეშიკაბაში ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი მიხაილი, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე, არქიმანდრიტი ექვთიმე. კიდევ ბევრნი არიან ღირსნი დაჯილდოებისა, უმატებს კნორრინგი[1], მაგრამ ყველაზე მეტი სამსახური და ერთგულება რუსეთისა ამათ მიუძღვითო.

ხომ ჰხედავთ, რარიგად გვერდთ აუარა ბ-ნ ეზოვმა ამ ჯილდოს ღირსთ ქართველებს და შვიდმეტი კაცი მარტო სამს კაცზედ ჩამოახდინა, ისიც მარტო სომხებზე და ისიც არ გამოეპარა, რომ

[1] იხ. Акты I. გვ. 417 — 418, № 562.

ეთქვა: აქაური ბატონიშვილები მუჟიკები არიანო. აი, ეს გახლავთ სომეხთა მეცნიერობა. ხომ ასე საქებურად ექცევა ეს სომეხთა მეცნიერი ისტორიულ ამბებს, უფრო საქებურად ჰსაქმობს მაშინ, როცა თავისს ნათქვამს ამოწმებს ვითომდა ისტორიულ სიგელითა. ჩვენი ჟურნალი „მოამბე“ ამხელს ამ თვალთმაქცურს მოწმობას ამრიგად: „სითამამე და აღვირახსნილობა ბ-ნ ეზოვისა იმდენად დიდია, რომ გვეუბნება, ეს ცნობები ამოვკრიბე აქტებიდამ და იხილე ესა და ეს ნომრებიო, სახელდობრ, 529, 530, 531 და 532. გადავშალეთ პირველი ტომი, ათჯერ წავიკითხეთ ეს ნომრები და ვერაფერი მიმსგავსებული ეზოვისა ვერა ვპოვეთ“... „საიდამ მოსჩმახა ეზოვმა, — ამბობს მერე „მოამბე“, — რომ მხოლოდ მარტო სამი სომეხი იცნეს ღირსად ჯილდოსი და ბატონიშვილები მუჟიკებსა ჰგვანანო? ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ ეზოვის დაფარულს აზრსა: **საქართველო საქართველო-კი არის, ძველი სომხეთიაო.** ეს მაცდური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნ ეზოვს და სისულელეს აროშვინებს მეცნიერების სახელით“[1].

რომელი ერთი მოგახსენოთ ამ ბ-ნ ეზოვის მეცნიერულ ოინებისა, სად როგორ იკეთებს თავისს განგებ შეთხზულს საქმესა. რაცა ვთქვით, ისიც საკმაოა დავინახოთ — რა ერთის ზომის, ერთის თვისების ლარი გააქვთ, როგორ გვეპყრობიან, როგორის დაჟინებით, სისტემატიურად გვთხრიან ქართველებს ქვეყნის თვალში იგი ერთგვარი გუნდი სომხებისა და მათ მიერ მოვლინებულნი სომეხთა მეცნიერნი, ფილოსოფოსნი, დელინგერები, გიაცინტები და პროფესორები. რაებს არა სჩადიან, რა უკადრისს და სათაკილო ფარ-ხმალს ჰკიდებენ ხელს, რომ თავიანთის თავის საქებ-სადიდებლად საყვირი აყვირონ, ჩვენი ხსენება და სახელი ლაფში ამოსვარონ და თითონ სომხებს ჩვენი თავი შეაძულონ, შეაზიზღონ. თითონვე კი იძახიან:

[1] იხ. „მოამბე“, 1899 წ., № 1, გვ. 58 და 59. ხაზგასმული „მოამბისაა“.

სირცხვილია, მეცხრამეტე საუკუნეში, ამ განათლებულ დროს ერმა ერის მოსაძულებელი, გადასამტერებელი რამა სთქვასო და ამ მიზეზით ერთი ერი მეორეს მიუსიოსო და სხვა ამისთანა სიტყვები, რომელიც ვარაყიან ნაჭუჭსა ჰგავს, გული-კი ჭიანი აქვს.

გამოდის, რომ ჩვენი ავად მხსენებელნი, ზედმომსევნი ეგენი ყოფილან თითონ და ჩვენ კი ან ხმას არ ვიღებთ, ან მარტო ზედმოსევას ვიგერიებთ, ციხეში მათ მიერ შემწყვდეულნი. გამოდის, რომ ზედმისევა, თავდასხმა-კი არაფერიაო და მოგერება, ფარის მიგებება-კი ცოდვა არისო. ამისთანა ფილოსოფიით ატყუონ წინდაუხედავი ბალღები, ჭკვათამყოფელს კაცს-კი პირში კაპს ვერ ამოსდებენ, ვერ გააკმენდინებენ ხმას იმ უუწმინდაესს გრძნობას ადამიანისას, რომელსაც ეძახიან გრძნობას საკუთარის ღირსებისას. ადამიანის უუძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემბღალველს ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულისწყრომით ზედ აეგება. განათლება პატიოსანს კაცს „სილბოს აძლევს ნაქსოვისას“, როცა სხვას უნდა „გული მისცეს გულისათვის“ და საშველად ხელი მიაწოდოს და „სიმტკიცეს ნაჭედისას“, როცა თავისს საკუთარს ვინაობას ჰპატრონობს. იქ „სილბო“ ღირსებაა, აქ-კი ლაჩრობა, იქ „სიმტკიცეს ნაჭედისა“ გულქვაობაა, აქ-კი — ღირსება.

ესეც-კი სათქმელია: ქვეყანაზე რომ ბაჟი ედოს თავისის თავის ქებასა და სხვის ძაგებას, რამდენი სომეხთა მეცნიერი დამუნჯდებოდა სომეხთა სასახელოდ და ჩვენდა სამშვიდობოდ. ვაი, რომ ესე არ არის! ვაი, რომ ერთიცა და მეორეც უხარჯოა, მუქთია!

VIII

სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერნი რომ ასე იქცევიან და ოინბაზობენ, — ადვილად გამოსაცნობია რადა და რისთვის. ხოლო გვიკვირს, რომ ამრიგადვე ეპყრობიან ისტორიულს საბუთებს რუსის ზოგიერთი მწერლებიცა. იმის დასამტკიცებლად, რომ სომეხნი სულითაცა და ხორცითაც მედგარნი, გულგაუტეხელნი, ხელშესაწყობნი არიან და მერმისი მათი საკუთნოა, ისტორიული საბუთები მოჰყავთ და ამით არწმუნებენ ქვეყანას, რომ ეს ასე ყოფილა, არის და იქნება კიდეცაო. სომხებმა ყოველივე ეს სიკეთე თავისი ისტორიით დაამტკიცეს და ძალიან ვცდებით, რომ ამ ნიჭიერ, გამრჯელ, სულითა და ხორცით ღონიერს ერს ხელს არ ვაშველებთ, გზას არ ვუხსნით და ვაბრკოლებთო.

რა თქმა უნდა, ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, — რაც გინდ პატარა ერი იყოს — არავისათვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდნად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდნად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა. „რაც უკვე დარგულია და ჰხარობს, ფეხით ნუღარა დასთრგუნავ, ეცადე გაიზარდოსო“, ნათქვამია. ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა ისეთი რამ არის, რომ რაც გინდ ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისაც ზედ წაემატება. ამიტომაც დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. თუ თავმოსაწონებელია სადმე, ყველამ

თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ბ-ნი ვლად. გოლმსტრემი, რომელმაც ამ ახლო ხანში დაჰბეჭდა „Петербургские Ведомости“-ებში, თავისი წერილი ამ სათაურით: „И камни возопиют“[1]. მართალია, ეს გაზეთი ერთი იმისთანა გაზეთია რუსეთში, რომელიც ესარჩლება ყოველ დაჩაგრულ ერსა და ამისთანა მართლა პატიოსნურს მიმართულებას გაზეთისას არ შეიძლება სრულის სიამოვნებით არ მიეგებოს ყოველი ჭკვათამყოფელი და გულთამყოფელი კაცი, რა თესლისაც გინდ იყოს. იგი დაუცხრომელად ჰღაღადებს თავის სასახელოდ და ჩაგრულთა საოხად, რომ სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდ დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ემყარებოდეს ერთსულობაზე და არა ერთსახობაზე, ერთფერობაზე. ამიტომაც მარტო სიყვარული და ტკბილად მოქცევაა იგი ქვითკირი, იგი დუღაბი, რომლითაც ჰშენდება და მყარდება ციხე-სიმაგრე ერთობისა სახელმწიფოშიო. ყველას, მცირეა თუ დიდი, თავისუფალი გზა უნდა ჰქონდესო იმ ნიჭით, იმ უნარით, იმ მადლით ემსახუროს სახელმწიფოს, რაც ღმერთს უმოწყალებია როგორც დიდისა, ისეც პატარისათვისაო. არავინ არის ქვეყანაზე იმისთანა, რომ რაიმე კეთილი, სახელმწიფოსათვის გამოსაყენი ნიჭი და უნარი არა სჭირდესო, ოღონდ-კი ნუ შეჰხუთავთ, გზა მიეცით ყველას თავი იჩინოს თავისებურად, თავისის ღირსებისა და სიკეთისამებრ.

სწორედ ამასვე გვიქადაგებს თვით ბ-ნი გოლმსტრემიცა თავისის წერილის დასაწყისში და ვინ იქნება ისეთი უბირი, ბრიყვი და გულწამხდარი, რომ სიყვარულითა და სიხარულით ხელი არ მიაშველოს ამის მთქმელსა და თქმული მისი არ ჩაიჭდიოს გულში, ვითარცა აღსავსენი მართლითა და კაცთმოყვარეობითა.

[1] იხ. Петерб. Вед. 1899 წ. № 33.

დიდი ხანიაო, — ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი, — ჩვენნი წინმხედველნი და შორსგამჭვრეტნი კაცნი ჰკითხულობენ, — ეს ასე შორს რომ მივდივართ აღმოსავლეთ აზიაში, რა მიგვაქვს თანაო. პასუხი ამისი დიდად საიმედო და სანუგეშო არ არისო. ნივთიერ ცხოვრებისათვის, ესე იგი ის, რაც გარეთა კულტურის მანიშნებელია, ჩვენ თითონაც ბევრი არა გვაქვს-რაო და ამისთანაებში დღესაც ერთმანეთს ვერ მოვრიგებივართო, ერთმანეთში ვერ გავსულ-გამოვსულვართ და ვერა გაგვირჩევია-რაო. ხოლო ნამეტანობას სულიერის ღონისას უნდა ვმადლობდეთ, რომ რუსეთის ერი ბევრს განსაცდელს მთლად და უვნებლად გადარჩაო. ესე იყოო, სხვათა შორის, პეტრე დიდის დროსა, როცა ეს მედგარი გენიოსი არ შეუშინდა ძირითადის ცვლილებით დაუძლურებას ერისას, მისის ეროვნულ ძალ-ღონის დაშრეტასაო. მაშინ რუსეთის ქვეყანა ჯერ ხელუხლებელი ქვეყანა იყოო, ესე იგი მძინარე ლომიო.

ეხლა სულ სხვაა. დრონი იცვალნენ, სულიერ ძალ-ღონეს ერისას გაფრთხილება, დაზოგვა უნდაო. რაც უფრო ფეხმაგრობს რუსეთში გონებითად, სულიერად და ხორციელად, იმას უნდა ვმატოთ და ის ვამრავლოთ, იმიტომ რომ, — თუმცა ძნელია გამოვტყდეთ, — მაგრამ იგი ზნეობური ღონენი, რომლითაც ჩვენ გავდივართ შორეულ აღმოსავლეთში, ძალიან დიდი საგზალი არ არისო...

... ისე უმართლოდ და ცილისწამებით არა ერს არ მოჰქცევიან, როგორც სომხებსა. რომ ჭეშმარიტი ნათელი მოეფინოს სომხების საქმეს, უნდა ძველისძველს დროს გავუსწოროთ თვალი, იმ დროს რომელიც გამოძიებულია სწავლულთაგან, არქეოლოგთაგან, მოგზაურთაგან, რომელთაც ჯერ არ შეჰყრიათ „პოლიტიკური სიბრძნე“ და მით არ წაუხდენიათ თვალთახედვა მეცნიერებისაო. ქვანიც-კი ჰღაღადებენო, ჰბრძანებს გაფიცხებული ბ-ნი გოლმსტრემი, ქვანიც-კი, რომელნიც გაფანტულნი არიან არარატის მაღლობებში, ვანის ტბის გარეშემო,

ურმიის ახლოს, არზრუმთან და ერევნისა და ყარსის ადგილებშიო. ქვანი ხომ არა სტყუიან არასოდესაო!..

მართალია, ქვანი არა სტყუიან, მაგრამ კიდევ ვიტყვით, კარგს მთქმელს კაი გამგონიც უნდა. ქვევითა ვნახავთ, რომ ქვებს კარგი გამგონი არ შეხვდრიათ.

ცეცხლის ასოებით მოგვითხრობენო, — ამბობს იგივე ცეცხლმოკიდებული გოლმსტრემი, — ზედწარწერანი კლდეებისა ამბებს ძველისძველს, ასურ-ბაბილონის დროებისასაო. ჩვენმა ასირიოლოგ-არქეოლოგმა ბ-ნმა ნიკოლსკიმ, რომელსაც ეს ადგილები დაუვლია 1893 წ., დიდი ამბები აღმოაჩინაო. ლურსმული წარწერანი, იმ ადგილებში ნაპოვნი, რაღაც განსაკუთრებულ ენას ეკუთვნიან და გვაუწყებენო, რომ ტიგრისა და ეფრატის სათავეში, ვანისა, ურმიის და გოქჩის ტბების ახლომახლო ერთი რიცხვმრავალი ერი ყოფილა. ასირიის ნაშთთა სიტყვით, რომელნიც ეკუთვნიან მეათე და მეცხრე საუკუნეს ქრისტეს წინად, იმ ერს რქმევიაო „ნაირი“. მერე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მთელს ამ ერს ერთი სახელმწიფო შეუდგენია, ქვეყანა ეს ურარტად არის ხსენებული, აქედამ არის წარმომდგარი ებრაული სახელწოდება „არარატიო“. ეს ერთი და იგივე სახელიაო.

შუაგული ამ ურარტთა სახელმწიფოსი ჯერ ერევნის დაბლობებში ყოფილა და მერე მტრის უფრო უკეთ მოსაგერებლად სამხრეთისაკენ დაუწევიათ. ვანის ტბის აღმოსავლეთითაო. ურარტთა მეფეების ქვეყანა თუმცა კულტურის მხრით ასურელთა ზედგავლენის ქვეშ ყოფილაო, მაგრამ არაერთხელ ურარტელნი ძლევამოსილობით შესცილებიან ასურელთა სამსოფლიოდ ხელმწიფობასაო. ასურელთა მეფის თიგლათპილასარის III დროს, მერვე საუკუნის პირველ ნახევარშიო, გამარჯვება ურარტელების მხრივ იყოო. მთელი ჩრდილო და ნაწილი დასავლეთისა ურარტელებმა წაართვეს ასურელებსაო. სასწორმა ბრძოლისამ ტოკვა დაიწყო და მოსალოდნელი იყო, ურარტელებს დაეპყრათ მთელი

მაშინდელი ქვეყნიერება და სამსოფლიო ისტორიისათვის სხვა მიმართულება მიეცათო, ხოლო მერე, როცა ასურეთში სხვა მეფე დამჯდარა, ხელახლად გაძლიერებულან ასურელნი და მტრები დაუმარცხებიათ. ურარტის მეფეს ურსას მთელი ჩრდილო-დასავლეთი ფეხზე წამოუყენებია და მისევია ასურელთაო, მაგრამ დამარცხებულანო.

გარდა ყოველ ამისა, ბ-ნი ნიკოლსკი მოგვითხრობს, რომ ზედწარწერანი გვეუბნებიან, რა კულტურა ჰქონიათ ურარტელებს, რა ქალაქები, სრა-სასახლეები, არხები და სხვა ამისთანა. ეს ზედწარწერანი ზოგი ასურელთა მეფეების ბრძანებით არის ნაწერნი, ზოგი ურარტელთა, იმისდა მიხედვით ვინ იმარჯვებდა ომშიო. ეს წარწერანი ძველადძველის დროისანი გვაუწყებენო ორის მოძღვრების ბრძოლასაო, ერთი მოძღვრება მხეცურია და მეორე უფრო კაცებურიო. პირველი ეკუთვნით ასურელთ და მეორე ურარტელთაო. ურარტელებმაო, ამბობს მერე იგივე ავტორი, დიდი სამსახური გაუწიეს მაშინდელს მსოფლიო ცივილიზაციას და აქედამ მთელს ქვეყანასაო. ჯერ იმითი, რომ ჩრდილოეთიდამ მოწოლილი ურარტი ძალიან აბრკოლებდა ასურელთ, — მხეცურის მოძღვრების ერს, — და საკმაო მოცალეობას არ აძლევდა მისეოდნენ სირიას, პალესტინას და ეგვიპტეს და ერთობ მთელს სამხრეთ-დასავლეთსაო. მეორე დიდი ღვაწლი ქვეყნიერობის წინაშე ურარტისა ის არისო, რომ ერთის მხრით სკვითებს და სხვა ჩრდილოეთის ბარბაროსებს გულდაგულ წინ ედგნენ და კავკასიის მთებს აქეთ არ უშვებდნენ და ამით სამხრეთ-დასავლეთის ცივილიზაციას არ ათელვინებდნენო, და მეორეს მხრით — გზაში ედგნენ და ფეხს არ ადგმევინებდნენ ეულს ხალხს სამხრეთის მინდვრებისას, საიდამაც გამოვიდა სისხლისმღვრელი რჯული — ისლამიო.

გამოდის, რომ ბ-ნ გოლმსტრემის სიტყვით, ურარტელნი, ჯერ კიდევ ძველისძველად დაწინაურებული ერი ყოფილა მაშინდელ კვალობაზე,

ერი რიცხმრავალი, ძლიერი, კაცთმოყვარულ მოძღვრებისა, ერი მედგარი, გულმტკიცე, გულმაგარი, და თითქმის თავდადებული მოჭირნახულე და მეომარი მთელის მსოფლიოსათვის, მერე იმისთანა მებრძოლი, რომ კინაღამ მთელს სამსოფლიო ისტორიას სხვა მიმართულება მისცაო. მოდით, და თუ ეხლა ამისთანა ღვაწლმოსილ ერის ნატამალი სადმეა, გულში ნუ ჩაიკრავთ, ხელს ნუ მიაწვდით, ფეხზე ნუ დააყენებთ და გზას ნუ გაუხსნით ქვეყნისა და კაცობრიობის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. მართალია ბ-ნი გოლმსტრემი: დიდი უმადურობა და უსამართლობა იქნება ეხლანდელ კაცობრიობისაგან, ასე მოექცეს ურარტის ნატამალ ერსა, თუ დღეს იგი სადმეა. ბატონი გოლმსტრემი გვეფიცება, რომ ურარტის ნატამალი ერი დღესაც არისო, მაგრამ ქვეყანა უსამართლოდ და უმადურად ექცევაო. ცოდვააო ამისთანა ჭირში გაუტეხელი, გონებით, ზნეობით, სულიერად და ხორციელად ღონიერი, გულმტკიცე და გულმაგარი ერი ფეხზე არ წამოვაყენოთ და ჩვენის კულტურის დროშა ხელთ არ მივცეთ მთელის აზიის გასანათებლად და გასაბედნიერებლადაო.

ხომ ასეთი საქებური და სასურველი ერი ყოფილა მოსახლე-მკვიდრი უწინდელ ურარტისა. ეხლა ვიკითხოთ: ვისთვის და რისთვის იხარჯება ასე უხვად, ვის ამკობს, ვის აქებ-ადიდებს ურარტელების სიკეთისა და ღვაწლის ხსენებითა? სომხებს, რომელნიც ვითომ ურარტელები არიან მოდგმით და იმათი შთამომავლნიო, და რადგანაც, ქართულის ანდაზისამებრ, მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ბ-ნ გოლმსტრემსაც აუღია და ამბობს, — რადგანაც ურარტელნი ასეთი სახელოვანნი ყოფილან, ასეთი ღვაწლმოსილნი მთელის კაცობრიობის წინაშე, ასეთი მხნენი, ხასიათმაგარნი და მედგარნი, და რადგანაც ეხლანდელი სომხები მათი სისხლ-ხორცია, მათის მოდგმისაა, აშკარაა ყოველივე სიკეთე ურარტელებისა მოასწავებს სომხების ღირსებას, კუთვნილებას, ისტორიულად დასაბუთებულსაო. ამ სახით სომხებმა ისტორიულად დაამტკიცეს თავისი

სულიერი და ხორციელი გაუტეხლობა, მედგრობა, სიმაგრე ხასიათისა, და რადგანაც ესეა, ხელი უნდა შეეწყოს, გზა გაეხსნას ამისთანა სულითა და ხორცით ძალოვანს ერსა, რომელმაც ასე სახელოვანად თავი იჩინა ჯერ კიდევ უხსოვარ დროსაო და რომელიც კაცთმოყვარეობდა ჯერ მაშინ, როცა სხვანი მგელკაცობდნენო.

ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო ამბავი გამოდის იმ პიტალო უმეცრებისაგან, რომელსაც ასე სასაცილოდ გაუხურებია და გაუფიცხებია ამ საქმეში უმეცარი ბ-ნი გოლმსტრემი. ბ-ნთ ეზოვებს და მისი ამქრის მეცნიერებს რომ სცოდნოდათ, ურარტელების სახელქვეშ რომელი ერია ცნობილი ევროპიის სახელგანთქმულთა სწავლულთა და მეცნიერთაგან, ხელს მოსჭრიდნენ ბ-ნს გოლმსტრემს და ურარტელებს კი ასეთის ქებით არ შეამკობდნენ.

თურმე ნუ იტყვით, ურარტელნი ქართველები ყოფილან და ბ-ნი გოლმსტრემი აქ იმ გულუბრყვილო დათვის მაგიერობასა ჰთამაშობს, რომელმაც აქაო-და შუბლზე ბუზი აზის და აწუხებს ჩემს მეგობარსაო, აიღო და შუბლში უშველებელი ლოდი დააზილა ბუზის ასაფრენად. სწორედ ასეთი ამბავი დაჰმართა ბ-ნმა გოლმსტრემმა იმ ერთგვარ სომეხთა გუნდსა, რომელთა მრწამსიც სხვის მიერ გამომცხვარის პურის დაჩემებაა, რაკი გემრიელია, თითქო თავისი არა აბადიათ-რაო. ესეთი მეხი არავის დაუცია ამ გუნდისათვის თავში, თუმცა-კი მარტო სომხის გაბერა უნდოდა ქებით და დიდებითა. ტყუილად დაიხარჯა ძვირფასი ტყვია-წამალი. ბ-ნმა გოლმსტრემმა გულში ტყვია ჰკრა სომეხთა გუნდს, თუმცა მარტო ვარდის კონის სროლა კი უნდოდა. ძნელია უვიცობა, ანუ განგებ შეკეთებული, განგებ გაფიცხებული, განგებ ყალხზე შემდგარი ხელთქმნილი და არა გულთქმნილი თავგამოდება.

დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი ერი ყოფილა, სამწუხაროდ — თუ ბ-ნ გოლმსტრემისა არა, იმ სომეხთა გუნდისა, რომელიც საცა-კი სხვის კარგს

რასმე დაინახავს, მსუნაგსავით მაშინვე ხელს სტაცებს. ჩემიაო, თითქო თავისი საკუთარი სიკეთე და ღირსება არ გააჩნია, თითქო თუ სხვისა არ ჩაიცვა, არ დაიხურა, თითონ ტიტველ-შიშველიაო. მართლა-და, არც ესეთნი არიან სომხები, რომ თავისი არა ჰქონდეთ-რა თავმოსაწონებელი.

ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას. ამის დასამტკიცებლად სწორედ იმ ქვებს ავალაპარაკებთ, რომელთ ღაღადებამ ასეთი გოდება და ცრემლთა ღვრა მოართვევინა სომხებისათვის ბ-ნს გოლმსტრემსა და ვითომ საშინელის გულმტკივნეულობით დააძახა: „И камни вопиют! Камни не лгут“!

ჩვენ თავის ადგილას დავუმტკიცებთ ბ-ნ გოლმსტრემს, რომ არამცთუ მკვდრებს ქვებს, ცოცხალ კაცსაც-კი უბედავს და მისის პატიოსანის სახელით მართალს არ გველაპარაკება. ასე შეაქცია მან ბ-ნი ნიკოლსკი, რომელიც იქნება სხვას ყველაფერს ამბობდეს, ხოლო იმას-კი არა, რასაც იმის სახელით ბ-ნი გოლმსტრემი გვეუბნება, რასაც მის მაგიერად გვეფიცება და რაც სიზმარში მარტო სომეხთა მეცნიერთ დღემუდამ ელანდებათ.

გვიკვირს, რომ ამ პატივცემულ რუსთა ასორიოლოგ-არქეოლოგს ასე უკადრისად მოეპყრო რუსისავე მწერალი და მისი ფრთხილი, ჭკუადამჯდარი საზრისი ამ საგანზე განგებ, თუ უვიცობით გადაასხვაფერა, გადააკეთა, რომ მისის პატივცემულ სახელით ტყუილი მართალად გაუსაღოს ერთგვარ სომეხთა გუნდსა. აშკარაა, ბ-ნი გოლმსტრემი აქ რაღაც უცნაურ მახეში გაბმულა, ტყუილებით გატენილი გუდა ზურგთ აუკიდნიათ და თვით პატივცემული „Петербургские Ведомости“ შეუცდენიათ და თავიანთ სიყალბის მონაწილედ გაუხდიათ. წინათაცა ვთქვით, — ეს გაზეთი თავისდა სასახელოდ ჩაგრულთა მოსარჩლეა, მისი გონება ერთმანეთის შეუწყნარებლობის ვიწრო ფარგალში არ ჰტრიალებს, იგი ყველას, დიდია თუ პატარა, თავისას

აკუთვნებს და ამისთანა მართლა კაცთმოყვარული, მართლა ჰუმანური ღვაწლი მისი ვალად სდებს ყოველს რიგიანს კაცს იმისთანა რამ არ მიაწოდოს დასაბეჭდად, რაც ტყუილია, რაც მოტყუებაა... იმას აღარ ვიტყვით, რომ ერთობ მწერლობა იმისთანა საქმეა, საცა ტყუილსა და ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კიდევ მეტს ვიტყვით: იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია. „ვისაც ყურნი ესხნენ სმენად, ისმინონ!“

ჩვენ ძალიანა ვწუხვართ, რომ ეს პატიოსანი გაზეთიც არ დაუნდვიათ, მოუტყუებიათ იმ ჭკვიანურ ანგარიშით, რომ თუ ეშმაკობა გაგვივიდა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, თავშიმც ქვა უხლია გაზეთს, თუ ტყუილში დაიჭერენო. არც ბ-ნ გოლმსტრემისათვის აიტკიებენ ძალიან თავსა. იმათ რა ენაღვლებათ, ოღონდ სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ, თუ შესაძლოა. მაშ რის სომეხთა მეცნიერნიღა იქნებიან, რომ სხვა დაჰზოგონ, სხვის სახელს გაუფრთხილდნენ? ეს დავთარში იმათ არ უწერიათ.

IX

„И камни вопиют!.. Камни не лгут!..“ — იძახის გულგაფიცხებით ბ-ნი გოლმსტრემი. რა საბუკნაღარო სიტყვებია, რა მაღალ ფარდებშია ადამიანის გრძნობის სიმთა ჟღერა, რომ ცეცხლმოსაკიდებელ აზრს ამ სიტყვებისას გულიც სავსე ჰქონდეს მართალითა და გამოფიტულს, ჭიანს ნაჭუჭს არ მოასწავებდეს. ასეა თუ ისე, ბ-ნი გოლმსტრემი, ვითომ-და მართლა გამწვავებული და გულაღტყინებული სიმართლისათვის, გულში ხელს იცემს და გვეფიცება, რომ ღვაწლმოსილნი ქვეყნების წინაშე ურარტელნი, ძველისძველადვე ღირსებით და სიკეთით სავსენი, სომხები არიან და, მაშასადამე, ძველისძველი ისტორიული საბუთი გვეუბნება, რა დიდის ძალ-ღონის სულიერად, თუ ხორციელად წარმომადგენელია დღევანდელი სომეხი, ვითარცა

სისხლ-ხორცი სახელოვან ურარტელისა. ამ ურარტელების სომხობას ჰღაღადებენ ქვები და ქვები ხომ ტყუილს არ იტყვიანო. ვნახოთ, მართლა ასეა, როგორც ამ შემთხვევაში მოზმანებია ბ-ნ გოლმსტრემს, თუ არა.

ფრანსუა ლენორმანი, რომელიც წინათაც ვახსენეთ და რომელიც დიდად გამოჩენილი და ყველასაგან ცნობილი სწავლულია და მცოდნე ძველადძველის ისტორიისა, დიდად სახელმოპოებული მკვლევარია იმგვარ საბუთებისა, რომელსაც წარმოადგენენ ლურსმულნი წარწერანი, ნამეტნავად ასურულ-ბაბილონურნი, საცა-კი აღმოჩენილან. სწორედ იგი ლურსმულნი წარწერანი ქვებზედ, რომელთაც ბ-ნი გოლმსტრემი აღაღადებს სომხებისათვის, განსაკუთრებით გამოძიებულია ამ სახელოვან ლენორმანისაგან.

სწორედ ეს ლენორმანი ამტკიცებს, რომ არმენია გეოგრაფიული სახელწოდებაა (ტერმინია) და არა ეთნოგრაფიული და ეს სახელი პირველად იხსენება აქემენიდების დროს, სახელდობრ, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ქრისტეს წინათ. ჯერ სომხების, ესე იგი ჰაიკების ჭაჭანებაც არ იყოო იმ ადგილებში, რომელთა კრებულს ასურული და ადგილისავე ლურსმული წარწერანი სახელს სდებენ – „ნაირი“ და, ბოლოს, „ურარტს“ და ერს, იქ მკვიდრებულს, „ურარტელებს“ ეძახიანო. ჰაიკები, ჰაოსიანები (სომხები) მეექვსე საუკუნის ქრისტეს წინათ შემოვიდნენ „ურარტს“ და ლურსმულნი წარწერანი-კი, რომელნიც ურარტელების ამბავს მოგვითხრობენ, ეკუთვნიან უფრო წინანდელს საუკუნეებს. სულ თავი წარწერა ეკუთვნის მეცხრე საუკუნეს ქრისტეს წინადო[1]. აშკარაა, ქრისტეს წინათ მეცხრე საუკუნეზე ადრე ამოჭრილი ლურსმული წარწერა ვერ მოგვითხრობდა იმ ერის ამბავს, რომელიც გამოჩნდა მერე, თითქმის სამს საუკუნეს შემდეგ. ქვანი ჰღაღადებენ განა, სომეხთა მეცნიერნო! ღაღადით კი

[1] იხ ლენორმანი: ასსირიოლოგიური წერილები, სერია პირველი, წერილი მეორე, გვ. 124–129.

ჰღაღადებენ, მაგრამ „სასმენთა კარნი მათთვის გხშობიათ“.

თუნდ ეს მეცხრე საუკუნეც არ იყოს, როცა ქვებმა თავის გულზე დაიწერეს თვისნი მიუდგომელნი და უტყუარნი ღაღადნი და როცა სომხები არც-კი გამოჩენილან. „ნაირთა“ ქვეყანა რომელიც მერე ურარტად ცნობილია, ჯერ კიდევ ასურთა მეფის სალმანასარ პირველის და მერე თიგლათ-პალასარის პირველის დროს არის ხსენებული ლურსმულ წარწერებში და სალმანასარი I მეფობდა მეთოთხმეტე საუკუნეს და თიგლათ-პალასარი I – მეთორმეტე საუკუნეს ქრისტეს წინათ[1].

ყოველ ამის შემდეგ საბუთი გვაქვს თუ არა ვკითხოთ ბ-ნ გოლმსტრემს: იგი ლურსმულნი წარწერანი, იგი ქვები, რომელნიც მოწმად მოჰყავს, რა სასწაულით მოგვითხრობდნენ სომხების ამბავს, როცა მხოლოდ ექვსას-შვიდას და სულ ნაკლებ სამასის წლის მერმედ გამოჩნდნენ სომხები ურარტის ქვეყანაში, საცა ურარტელები უკვე მკვიდრობდნენ და ებრძოდნენ ასურელთ მთელი ექვსი თუ შვიდი საუკუნე სომხების მოსვლამდე, და რომელთაც თუ ღვაწლი რამ მიუძღვით მსოფლიო ისტორიის წინაშე და თუ მაგარი ხასიათი, კულტურა, სულიერი და ხორციელი ძალღონე გამოუჩენიათ, თავისს სასახელოდ გამოუჩენიათ და არა სომხების საქებ-სადიდებლად.

აშკარაა, იგი ლურსმული წარწერანი, რომელთ ღაღადს ვითომც ცეცხლი მოუკიდებია ბ-ნ გოლმსტრემისათვის და რომელნიც, მისისავე სიტყვით, მეცხრე საუკუნეზე უგვიანესნი არ არიან, ურარტელების სომხობას საბუთად ვერ გამოადგება და აქაც იმავე ქარაფშუტა მეცნიერებას ვხედავთ, რასაც ყოველთვის, როცა კი სომხებზეა საუბარი სომეხთა ფილოსოფოსების და დელინგერებისა.

[1] იხ. Древности Восточные, т. I, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა, გვ. 389.

„ფილოლოგიაო, – ამბობს ლენორმანი, – ეს ალგებრა ენათა ცოდნის მეცნიერებისა (ლინგვისტიკისა), როგორც მას უწოდებენ, ეს მეტად ძლიერი და მაღალი საშუალება, აღმადგინებელი ძველის ეთნოგრაფიისა, გვიმტკიცებს, რომ პირველნი მემკვიდრენი იმ მიწისა, რომელსაც არმენია ჰქვიან, ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე იყვნენ იმავე ნათესავისა, რომელსაც ეკუთვნიან ქართველები და ზოგიერთი ეხლანდელი ხალხი კავკასიისა[1]. ეს სწორედ ის ძველნი მემკვიდრენი არიან, რომელთაც დაბადება (ბიბლია X, 3) უწოდებს „თოგორმ“ და რომელთაც არარიგი ერთობა არა აქვთ სომხებთან, ჰაოსიანთან. ამავე სახელს „თოგორმ“ სდებს არმენიის მკვიდრთა ეზეკიელ (XXVII, 14, XXXVIII, 6) იმ დროს, როცა დიდი ნაწილი ლურსმულ წარწერებისა უკვე ამოჭრილი იყო ქვებზე, იმ წარწერებისა, რომელთაც აქამდის ვანის წარწერებს უწოდებენ“.

ლენორმანი მეტად აშკარად ამტკიცებს, რომ ურარტელნი და ალაროდიელნი ერთი და იგივე სახელწოდებააო. ერთი და იგივეობა ამ ორის სახელწოდებისა არამცთუ მარტო ლენორმანმა დაამტკიცა, არამედ სახელოვანმა ინგლისის მეცნიერმაც რაულინსონმა, რომელიც თვით ლენორმანმა ამ შემთხვევაში იმოწმა. ამ იგივეობაზე დააფუძნა ლენორმანმა თავისი დასკვნა, რომ ურარტელების ენა და ლურსმული წარწერანი ალაროდიანულ ენად და წარწერებად უნდა იყვნენ წოდებულნი და არა არმენიულადო. ამ ენას და ერს არარიგი ნათესავობა არა აქვს სომხურ ენასთან და ერთანაო. რაულინსონი ამბობსო, – უმატებს ლენორმანი, რომ „ალარუდი“ წარმოადგენს უბრალო

[1] აშკარაა, აქ ლენორმანს სახეში ჰყავს თუშ-ფშავ-ხევსურნი, სვანნი, მეგრელნი, ლაზნი, რადგანაც ყველა ესენი ქართვლის ნათესაობისანი არიან. ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ ამავ წერილში იგი ამტკიცებს, რომ ურარტის ერნი სულ ერთისა და იმავე ნათესაობისანი, ერთისა და იმავე მოდგმისანი იყვნენო, და რადგანაც მათ შორის ქართველებს პირდაპირ იხსენიებს, სჩანს, აქ ჰგულისხმობს იმ ეხლანდელ ხალხს კავკასიისას, რომელნიც ქართველ ნათესაობას ეკუთვნიან და არა სხვა მილეთისას, ნამეტნავად სომხებისას, რომელთანაც ურარტელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთო.

ვარიანტს „არარუდი“-სას, რადგანაც ძველი სპარსნი ერთნაირად გამოსთქვამდნენ „ლ“ და „რ“. „არარუდი“-დამ დიდი მანძილი არ არის „არარატამდე“ და აქედგან ასსურელების წარწერებში მოხსენებულს „ურარტამდე“.

ამას ზედ უმატებს ლენორმანი: „ალაროდიელნი (იბერიელნი) წარმოადგენენ სწორედ იმ ძველს რასას, რომელნიც ზევით მოვიხსენიეთ და რომელსაც დაუტოვებია არმენიის ლურსმული წარწერანი“. ეს იგივეობა ხსენებულ სახელებისა დასახსომია, რადგანაც შემდეგში გამოგვადგება.

„ჩვენის აზრით, – ამბობს ლენორმანი, – არმენიაში (ბ-ნ გოლმსტრემის მიერ ხსენებულნი ლურსმულნი წარწერანი აქვს სახეში) ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტისმეტად ემსგავსება ქართულ ენას“... „იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ეხლანდელი ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველნი საბუთნი ამ მსგავსებისა. ეხლა-კი წარმოგიდგენთ ერთს შეურყეველს საბუთს, დაფუძნებულს არსებითის სახელის ბრუნვაზედა“.

აქ ლენორმანს ასეთი საოცარი მაგალითები მოჰყავს, რომ ეჭვის მოყვარესაც ეჭვის ხალისს მოუკლავს და ბოლოს უმატებს, – დიდებულის ეჟენ ბურნუფის გამოკვლევა მომეტებულს საბუთს იძლევა, რომ არმენიის ლურსმულს წარწერათა ენა და ქართველებისა ერთი და იგივეაო. არმენიის ლურსმულს წარწერათა ენა არარიგად, არაფრით, დაშორებითაც არა ჰგავს ჰაოსიანთა ენასაო, – ამბობს ლენორმანი: – იმ ხალხს, რომელსაც გამოუჭრია ეს წარწერანი[1] და ქრისტეს წინ მეექვსე საუკუნემდე უფლობნია არმენიაში, არა ჰქონია არარიგი ნათესაობა სომხებთან, ჰაოსიანთან, როგორც თავისი შთამომავლობით, ისეც ენით“.

[1] გავიხსენოთ, რომ აქ ურარტელების მიერ გამოჭრილ ლურსმულ წარწერებზედ ჰლაპარაკობს ლენორმანი.

„ჰაოსიანნი შემოვიდნენ არმენიაში ვანის სულ ბოლონდელ წარწერის გამოჭრის შემდეგ, სახელდობრ იმ დროს, როცა თვით წარწერის გამომჭრელმა ერმა (ურარტელებმა), შესუსტებულმა რამდენისამე საუკუნის განუწყვეტელ ბრძოლით საზარელ ნინევიის (ასურელთ) და ბაბილონის მფლობელებთან, დაიწია ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იმ ადგილებისაკენ, რომელსაც ძველეთი უწოდდა „ივერიას“ და ეხლა უწოდებენ საქართველოს (Georgie)“.

ამ სახით, ლენორმანის სიტყვით გამოდის, რომ ურარტელების სახელს ტყუილად იჩემებენ სომხები, უწინდელს დიდს არმენიას ტყუილად ჰხადიან თავის პირველყოფილ სამკვიდროდ და თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლიათ ვისმე მოდგმით და თუ მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმე თავი მოიწონოს, ესე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა და არა სომხობისა. რაკი ეს ლენორმანის მიერ გამონარკვევი გამომზევდა, სომეხთა მეცნიერთა გაწიწმატებაც ზედ მოჰყვა.

განსვენებული ილია სერებრიაკოვი, პროფესორი ლაზარევის ინსტიტუტისა, ერთს წერილში[1] ამბობს: „ლენორმანმა არამც თუ გააუქმა ქართველებისა და სომხების ერთშთამომავლობა, თვით სომხეთიც აქემენიდების ხანამდე ჩამოართვა სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებსა. ამ ამბავმა ისე გააბრაზა პროფესორი პატკანოვი, რომ მთელი ცამეტი წელიწადი მოსვენებას ვეღარ მიეღწია და ბოლოს, რაკი უკეთესი ვერა გააწყო-რა, დაჰბეჭდა თავისი ცნობილი ფელეტონი, საცა დიდის ხრიკებით, თვალთმაქცობით სხვისი ნამოქმედარი თავისს თავს მიაწერა, შეუცვალა ცნობილ ფაქტებს ფერი და ამითი „ქართლის ცხოვრების“ გაუქმებას ჰლამობდა“.

ამისთანა საქციელი სომეხთა მეცნიერისა რაზე გაჰკვირვებია ცხონებულს სერებრიაკოვს. ეს ჭირი არ ახალია, — ძველია სომეხთა სწავლულთათვის. ჩვენ

[1] იხ. „ივერია“, 1890 წ., № 36.

ამისი მაგალითი ბევრი სხვა მოვიყვანეთ ამ წერილში. ჩვენ, ქართველებს, იქნება, მიდგომით ლაპარაკი შეგვწამონ. აბა, ეხლა მოვუსმინოთ იმისთანა მოწამეებს, როგორიც ლენორმანი და ჰანრი რაულინსონია და დავინახავთ, რომ გადასხვაფერება, სხვისა თავისად დაჩემება, აფხეკა და ჩაფხეკა საბუთებისა, გაბათილება სხვისა და სხვის ადგილას თავიანთ თავის გამოჭიმვა და სხვა ამისთანა სიკეთენი მათი ძველისძველი უნარია და ძველადვე ამისი ოსტატობა სცოდნიათ.

„ყველა ზემორე საბუთების ძალითო, — ამბობს ლენორმანი, — იძულებული ვარ გამოვთქვა იგივე, რაც გამოსთქვა ბ-ნმა ჰანრი რაულსონმა: «ურარტის ენას არა აქვს არარიგი ნათესაობა ეხლანდელ ჰაოსიანთ ენასთან». ჰაოსიანნი გამოვიდნენ ფრიგიიდგან და ნელ-ნელა დაიპყრეს ფრიგიის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობნი, საიდგანაც ძველი ურარტელნი მემკვიდრენი გააძევეს და ზოგი ჩანთქეს და შესცვალეს მათი სახელი, ენა, სარწმუნოება, გარდამოცემანი თავიანთითაო“. შეცვლა სახელისა თავიანთით, ენისა, გარდამოცემისა და სხვა ამისთანისა ძველადძველი თვისება და ჩვეულება ყოფილა და ჩვეულება ხომ რჯულთ უმტკიცესია. ლენორმანი იმავ წერილში ამბობს, თარგამოსისაგან შთამომავლობა სომხებმა ტყუილად დაიჩემესო. მითამ რა ეხარჯებათ!..

მარტო ლენორმანი არ ამბობს, რომ მთიანი ქვეყანა, რომელსაც ლურსმული წარწერანი ურარტად ასახელებენ, ჯერ კიდევ 721 წელს ქრისტეს წინათ სამკვიდრო იყო ქართველებისა და თვით ურარტელნი ქართველის ნათესაობის ერი იყო. მეორე დიდი მცოდნე და მკვლევარი ძველისძველის ისტორიისა, მასპერო ამბობს: „მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, რომელიც მთლად განსხვავებულია ეხლანდელ სომეხთაგან და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა. ეს დასკვნა

ლენორმანისა სახელგანთქმულად დამტკიცებულ იქმნა სეისის და გუიარის მეცნიერულ ღვაწლითაო“[1] „საიდამ არის ეს ერი (ურარტელნი) — დღეს ეს საგანი ბნელით არის მოცულიო, — ამბობს იგივ მასპერო: — ზოგი მეცნიერნი ამბობენ, რომ ჩრდილოეთიდამ და აღმოსავლეთიდამ მოსულან და პირველნი დამკვიდრებულან არმენიაში არარატის ძირობაზე, ტიგრისა, ევფრატის და მტკვრის (Кир, Кура) სათავეების ჩაყოლებაზე და ზოგნი-კი პირველს მათს სამკვიდროს გვაჩვენებენ სამხრეთისაკენ არაბეთის ნახევარკუნძულზეო“[2].

ამ სახით, ბ-ნ გოლმსტრემის ხმამაღალი და რიხიანი ძახილი: „И Камни возапиют!.. Камни не лгут“!.. მარტო ცალიერი გაბერილი სიტყვებია და გოდება მისი სომხებისათვის; ცარიელი შუშხუნაა, რომლის აპრიალების შემდეგ მარტო ფერფლი და ნატისუსალიღა ჰრჩება. გამოდის, რომ თუ კაცს სდომებია, იმისთანა მაგარს და უტყუარს მოწამესაც გადაათქმევინებს სიტყვას, როგორიც ქვაა და ქვათა ღაღადი. სომეხთა მეცნიერს რომ მოსვლოდა ამისთანა ამბავი, კიდევ ჰო. სომეხთა მეცნიერთათვის ესეთი ოინები შეჩვეული ჭირია და ზოგს შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინსა. ხოლო საოცარი ეს არის, რომ ასე ექცევა მეცნიერებას, ჭეშმარიტებას, იგი კაცი, რომელიც ასე ფიცხად, ასე გულმხურვალედ დიდის საყვირით ჰყვირის: „И Камни возапиют!.. Камни не лгут!..“ გაგონილა ასე სასაცილოდ აგდება ქვათა ღაღადისა, ქვათა უტყუარობისა! მოდით და ნუ იტყვით:

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!..“

[1] იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა, გვ. 431, გამოცემა მე-4.
[2] იქავ. გვ. 136.

X

ბ-ნი გოლმსტრემი მარტო ქვათა ღაღადის, ქვათა მოწმობის გადასხვაფერებას, გადაკეთებას არა ჰკმარობს: ქვა მკვდარი საგანია, თავის თავს ვერ გამოესარჩლება, ვერავის ეტყვის, — ჩემი სიტყვა, ჩემი ნათქვამი რად გადამიკეთე, მართლის მაგიერ ტყუილი რად მათქმევინეო. საქმე ის არის, ბ-ნი გოლმსტრემი ცოცხალ კაცის სიტყვასაც, მოწმობასაც ასე ექცევა. არც იმას ერიდება, რომ მოწამე არ შემარჩენს ამისთანა საქციელს, არც იმას, რომ გამამხელენ სხვანიო. ეს მაღალ ფრაზებით მაღლა მყვირალა ვაჟბატონი ბ-ნის ნიკოლსკის სახელით იმისთანა ამბებს ასაღებს, რომელიც ბ-ნ ნიკოლსკის ფიქრადაც არ მოსვლია, პირიქით, სულ სხვას ამბობს, სულ სხვას ამტკიცებს.

ბ-ნი ნიკოლსკიო, ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი, გვემოწმებაო, რომ ურარტელნი სომხები ყოფილანო. ბ-ნი ნიკოლსკი სომეხთა მეცნიერი არ არის და, მაშასადამე, ამის მოწმობას და სიტყვას თავისი სამართლიანად დამსახურებული ფასი აქვს. აბა ერთი თითონ ბ-ნ ნიკოლსკისა ვკითხოთ: მართლა ისეა თუ არა, რასაც ბ-ნი გოლმსტრემი მისის მოწმობით გვეფიცება. აი ბ-ნი ნიკოლსკი რასა სწერს სწორედ იმ ქვების შესახებ, რომელთ ღაღადსაც ასე ამაოდ აუშუშხუნებია ბ-ნი გოლმსტრემი: „ვანის ლურსმულნი წარწერანი უეჭველის საბუთის ძალით ეკუთვნიან მეცხრე საუკუნის დასასრულს და პირველ ნახევარს მერვე საუკუნისას ქრისტეს წინ“[1].

აშკარაა, იგიც იმ აზრისაა, რომ ამ ქვების წარწერებში მოხსენებულნი ერნი სომხები არ არიან, რადგანაც მეშვიდე საუკუნის დასასრულამდე, ან უკეთ ვთქვათ, მეექვსე საუკუნის დასაწყისამდე ქრისტეს წინათ ვანის ადგილებში სომხების ჭაჭანებაც არ ყოფილა, როგორც ზევით ვნახეთ და როგორც დღეს უეჭველად ცნობილია მეცნიერებაში და პატკანოვის

[1] იხ. Древности Восточные, т. I, გვერდი 377, წერილი ნიკოლსკისა.

მიერაც, რადგან სხვა გზა არ იყო, დამტკიცებულ-დაბეჭდილია.

ეს ერთი უვიცობა ბ-ნი გოლმსტრემისა და ერთი მაგალითი, რომ ბ-ნი ნიკოლსკი, როგორც მცოდნე კაცი და დიდად საზრიანი, იმას არ იტყოდა, რაც ათქმევინა ბ-ნმა გოლმსტრემმა. ეს რომ ეთქვა ბ-ნ ნიკოლსკის, ისიც უნდა ეთქვა, რომ ქვები ჰღაღადებენ და ჰმოწმობენ იმას, რაც მას უკან, სამას წელიწადს შემდეგ მოხდა. ამისთანა წინასწარმეტყველობა ქვებისა ჯერ არავის გაუგონია და როგორ ვაკადროთ ამისთანა განუკითხაობა ბ-ნ ნიკოლსკის, რომელიც ცნობილია, ვითარცა ფრთხილი და ჭკუათამყოფელი მეცნიერი. ეს კიდევ არაფერი.

ბ-ნი ნიკოლსკი ამბობს: „დღევანდლამდე არ არის ნაპოვნი ის ნათესაური ოჯახი ენებისა, რომელსაც შესაძლოა მიეწეროს იგი ენა (ენა ვანის წარწერებისა). იგი რაღაც ცალკე ენაა, მთლად განკერძოებული. თითო-ოროლა მაგალითი მსგავსებისა ქართულ ენასთან ჯერ კიდევ საბუთს არ გვაძლევს დავადგინოთ ნათესაური კავშირი, თუმცა ეს ნათესაობა ქართულ ენასთან შესაძლოა დანახულია თითქმის ყველა იმათგან, ვისაც კი გამოურკვევია იგი წარწერანი. სამწუხაროდ, შედარებითი ცოდნა კავკასიური ენებისა და განსაკუთრებით ქართულისა, მათის ისტორიისა, დიალექტებისა ჯერ ნაკლებია. მაინცდამაინც მარტო ქართულის მცოდნე ლინგვისტებისაგან უნდა მოველოდეთ უფრო გადაწყვეტილს პასუხს ამ საგნის შესახებ“[1].

[1] აი სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ბ-ნი ნიკოლსკისა: „„До сего времени не удалось найти той родственной семьи, какой можно было-бы отнести этот язык (язык Ванских надписей); он представляет нечто совершенно изолированное. Некоторые одиночные явления, сходные с грузинским языком, еще не дают права к установлению родственной связи, хотя возможность этого родства признается почти всемя исследователями этих надписей. К сожалению, сравнительное изучение кавказских языков и особенно грузинского не совершенно, во всяком случае только от грузинологов-лингвистов мы можем ожидать более решительного ответа на этот вопрос“. т. I. გვ. 377, წერილი ბ-ნი ნიკოლსკისა.

ხომ ხედავთ ბ-ნი ნიკოლსკი ამ საგანს რარიგად ფრთხილად, თავდაჭერილად ეპყრობა, ისე ფრთხილად და წინდახედულობით, როგორც შეჰშვენის მართლმოყვარე მეცნიერსა, ღირსეულს სწავლულს, რომელიც ვიდრე გამოსჭრიდეს, ათჯერ გაზომავს ხოლმე. იმასაც ჰხედავთ, რომ, თუ ბ-ნი ნიკოლსკი ურარტელების ქართველობას დაბეჯითებით არ აღიარებს, იმას ხომ სრულებითაც არ იხსენიებს, ვითომც სომხები და ურარტელნი ერთისა და იმავე მოდგმისანი არიანო. ამისათვის ბ-ნი ნიკოლსკი ერთს სიტყვასაც შორეულადაც არ იმეტებს. მაშ საიდამ გამოატყვრინა ბ-ნმა გოლსტრემმა, რომ ბ-ნი ნიკოლსკი ურარტელების სომხობას იმოწმებაო? ეს თითონ ბ-ნ გოლმსტრემსა ჰკითხეთ, ან სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერთა. არც ეს არის ჯერ კიდევ დიდი რამ.

აი ერთი, უფრო ძლიერი მაგალითი იმისი, რომ ბ-ნი ნიკოლსკი ამაოდ ხსენებულია, ამაოდ მოწვეულია მოწმად ბ-ნ გოლმსტრემისაგან და ამის შემდეგ გვიკვირს ბ-ნ ნიკოლსკისაგან, რომ თავი არ გამოუდვია თავისის პატივცემულ სახელის ამაოდ ხსენებისათვის. სახელის ამაოდ ხსენება კიდევ დიდი უკან სადევნელი საქმე არ არის საქმიან კაცისაგან. ყურს ვინ ათხოვებს, — ვინ უხსენებს სახელს ცალკე კაცს ამაოდ და ვინ — არა. სამწუხარო აქ ის არის, რომ ისეთს ხსენებას, როგორიც მოუწადინებია ბ-ნ გოლმსტრემს, მოსდევს შეწამება სრულის უვიცობისა იმისთანა პატივცემულ მეცნიერისას როგორიც ბ-ნი ნიკოლსკია, რომელიც მართლა საქმის მცოდნეა და არა ქარაფშუტა სომეხთა მეცნიერთამებრ. აქ შებღალულია თითონ მეცნიერება და მისი გამონარკვევნი, მისნი დასკვნანი, მისნი ნაძიებნი, მერე ვისის სახელით? ბ-ნ ნიკოლსკის სახელით და მოწმობით. აი, შეუწყნარებელი, შეუსაბამო აქ რა არის და არა მარტო ის, რომ ცალკე კაცის სახელი

ამაოდ ხსენებულია, თუმცა ესეც საკადრისი საქციელი არ არის თავისთავად. დავუგდოთ ყური თითონ ბ-ნ ნიკოლსკის ნათქვამს და სამართალი ისე ვქმნათ.

იგი ამბობს: „ურარტის ქვეყანა, ასურულ და ბაბილონის საბუთების ძალით, არის ის ნაწილი უფრო დიდის და ვრცელის ქვეყნისა, რომელსაც იგი საბუთები უწოდებენ „ნაირი“... „მეცნიერებაში ჯერ დადგენილი არ არის მტკიცედ ცნობა და ნამდვილი სახელწოდება იქ დამკვიდრებულ ერებისა, ხოლო ლენორმანის და ჰომმელის მიხედვით შესაძლოა იმ ერებს ვუწოდოთ „ალაროდიელნი“... „თუ ამ ალაროდიელებს არ ეკუთვნიან ეხლანდელი ქართველები, უნდა მიღებულ იქმნას, რომ იგი ერი მოისპო და მცირე აზიის და ამიერკავკასიის მკვიდრთა შორის იმ ერის მოდგმისა აღარავინ არის“[1]. აშკარაა, ურარტელნი, იგივ ალაროდიელნი, ბ-ნ ნიკოლსკის აზრით, ან ეხლანდელი ქართველები არიან, ანდა იმათის მოდგმისა აღარავინ არის. სად არის აქ მოწმობა ურარტელების სომხობისა? პირიქით, განა აქ სრული და გადაწყვეტილი უარყოფა არ არის იმისი, რასაც ასე კადნიერად სწამებს ბ-ნ ნიკოლსკის ბ-ნი გოლმსტრემი და მისის სახელით ასე უდარდელად, უპრაგონოდ ასაღებს,

[1] აი სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ბ-ნ ნიკოლსკისა: „Страна Урарту, по ассирийским и вавилонским источникам, была частью более обширного целого, которое называется в них странами Н а и р и...” “В науке пока не установлено твердого понятия и точного наименования этих народностей, но по примеру Ленормана и Гоммеля , можно было бы их назвать Алародийцами”... “Эсли к ней (рассе алародийцев) не принадлежат нынешные грузины, то ее следует считать совершенно исчезнувшей из среды из нынешних обитателей Малой Азии и Закавказия“. იხ. Древности Восточные, т. I, გვერდი 389, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა.

თითქო აქ არაფერი ცუდი და ან გასაკიცხი არა არის-რაო. კიდევ ვიტყვით: ცოდვაა, ცოდვა, რომ ამისთანა პატივსაცემი, თავდაჭერილი, ჭკუადამჯდარი მეცნიერი კაცმა თავის გულისთქმაზე შესვას, ტყულების გუდა აჰკიდოს და ისე ატაროს ქვეყნიერობაზე. რა გაჭირება ადგა ბ-ნ გოლმსტრემს, რომ ასე უპატიურად მოექცა ჯერ მეცნიერებას და მერე ბ-ნ ნიკოლსკის? ქვანი ჰღაღადებენო!.. ქვანი არა სტყუიანო!.. ქვანი კი არ ჰღაღადებენ, აქ ბ-ნის გოლმსტრემის თავშეუდებელი საქციელი ჰღაღადებს. ქვანი-კი არა სტყუიან, ბ-ნი გოლმსტრემი არა მართალობს და ფარისეველსავით გულზე ხელს იცემს, მაღალ ფარდებში სიმს აჟღარუნებს ვითომ და ჩაგრულ ჭეშმარიტებისათვის, ვითომდა პირქვე დამხობილ მართლისათვის სისხლის ცრემლსა ჰღვრის. კომედიავ, კარგი რამა ხარ თავისს ადგილას, აქ კი მარტო გულს უზრზენ ადამიანს, რადგანაც გულის მაგიერ ჩვენ თვალწინ მჩვარსა სწვამ და გგონია მჩვარი გულად გავაო.

ბ-ნი ნიკოლსკი უფრო შორს მიდის და ამასაც ამბობს, რომ „უდიდესი და უაღრესი ერი სირიის და მცირე აზიისა, შემქმნელი განსაკუთრებულ კულტურისა და გულადი მეტოქე ეგვიპტისა და ზოგჯერ ასურეთისა — „ხეტტი“ ეკუთვნოდა ალაროდიელ ნათესაობასაო[1]. ალაროდიელნი აშკარაა იგივეა, რაც ურარტელნი, სახელიდამ „ურარტი“, არარატი, მხოლოდ **რ** გადაქცეულია **ლ**-დაო[2]. „თაბალი“, ერი, რომელიც მკვიდრობდა კაპადოკიაში, აშკარაა აგრედვე ალაროდიელთა ნათესაობისა იყო“[3].

[1] იხ. Древности Восточные, т. I, გვ. 389, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა.
[2] იქავ, გვ. 387.
[3] იქავ, გვ 389.
რომ კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმა

„ხეტტების“ და ქართველების ნათესაობას, ერთთესლობას ამტკიცებს მასპეროც, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად, მოსოხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსოხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის

ადგილებს, მდინარეებსა და მთებს, საცა კაპადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ. ამისი უტყუარი მაგალითები მოჰყავს განსვენებულს ჩუბინოვს, კიპერტის, ვივიენ სენ-მარტენის, ტესიეს, ხოლმას, მუსლიმანთა მწერალ-გეოგრაფის მოწმობით. მაგალითებრ, თ ი ა ნ ე თ ი, ჩ ხ ო რ უ მ ი, დაბა მდებარე მახლობელ ამასიის ქალაქისა, სტრაბონის სამშობლოში, როგორც ქვევით ვნახავთ; თ ა ვ ი ა, დაბა კიშერის ქალაქის მახლობელი ჩრდილოეთით; მ უ ჟ უ რ ი ამ ქალაქის სამხრეთით; თ ა მ ა რ მ ე კესარიის ქალაქის ახლოს; ო რ გ უ ბ ე იქავ, კესარიის ახლო; ს ა რ მ უ რ ს ა ხ ლ ი , იქვე; ჭ ი ჭ ა კ ი ს-მ თ ა, კიშერის ქალაქის ახლო; ე რ ჯ ი შ ი-მ თ ა კილიკიაში; თ ე ჯ ი რ ი-მ თ ა, სივას ქალაქის ახლო; ა ც მ უ რ ი ს-მ თ ა, მილიტენის ქალაქის ახლო; გ ა ც უ რ ი ს-მ თ ა, მურაშინის ქალაქის ახლო; ჭ ი ლ ო ბ ი ს-მ თ ა, ჩ ხ ა ტ ა ლ ი, ო რ თ ა ყ ვ ი ს-მ თ ა, ნიღდის ქალაქის ახლო; ფ ა რ ხ ა ლ ა და დ ე დ ა- მ თა, საროს მდინარეს ახლო; ქ უ თ ა ი ა, გ ო მ ი შ ი, ჭ ა ლ ა, ტ ა ზ ი ს-კ ა რ ი (ტაშის კარი), თ ა ვ შ ა ნ ი, ე ნ გ უ რ ი, კ ა რ ი- ბ ა ზ ა რ ი, ქ ი ზ ი ყ ი, ქალაქია მარმარილოს ზღვის პირზე, ო ნ ი შავის ზღვის პირზე, ნ ა ჭ ი ლ ო ბ ე ვ ი ს-მ თ ა, ჟ ო მ უ რ ა (ჟამურა), ქ ა ჯ თ-კ ა რ ი, ნ ე ბ ი ა ნ ი, ქ უ რ დ ბ ე ლ ი, თ ა ვ შ ა ვ ი ს-მ თ ა, ა ტ ე ნ ი, გ ე მ რ ე ლ ი-წ ყ ა ლ ი, რუკაზე გარყვნილად სწერია, — გერმიელ-ჩაი, თ ე ძ ა მ ი. ბალხარიის მთები, რომლებიც მდებარეობენ პონტოსა და საქართველოს საზღვრებზე, დღესაც „გურჯი ბოღაზად“ (საქართველოს ყელად) იწოდებიან თურმე.

თვით ქსენოფონტე, ჩუბინოვის სიტყვით, მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონი ბერძნების აშენებული ქალაქია კოლხიდელების ქვეყანაშიო. სახელგანთქმული სტრაბონიც მოწმად მოჰყავს, რომ კაპადოკია ერთის ნათესავის ერის სამკვიდრო ადგილი ყოფილა, თითონ სტრაბონიც ამასიის ქალაქიდამ იყო და დედა ჭანი ჰყავდა და ამიტომაც მისი მოწმობა დასაჯერიაო, ვითარცა კაცისა, იმ ადგილებში დაბადებულისაო. განსვენებული ჩუბინოვი ამ სტრაბონის ამბავს სტრაბონისავე წიგნით ამტკიცებს.

ამავე ავტორს ის ჭკუას ახლო და ადვილად სარწმუნო საზრისიც მოჰყავს, რომელიც გვანიშნებს, რომ კაპადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრმოსახლენი, წმინდა მამანი — იოანნე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და განმტკიცებისათვის, კაპადოკიელნი ქართველები იყვნენო. თუ ქართული არა სცოდნოდათ, ძნელი საფიქრებელია იმედი ჰქონოდათ უენოდ გაერიგებინათ რამ და მოემოწაფებინათ ერიო. მართალია, ეს წმინდა მამანი სირიელებად ხსენებულნი არიან, მაგრამ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა ჰრაცხდნენ სირიელებად, ან მესოპოტამიელებადო [ტესიე: მცირე აზია, გვ. 500]. თვით წმინდა გიორგი კაპადოკიელი იყოო და ამის გამო მთელს საქართველოში თაყვანცემულიო. წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთ-სწორი წმინდა ნინო, აგრედვე კაპადოკიელი, მაშასადამე, მცოდნე ქართულის ენისა, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთაო. (ვისაც ჰსურს უფრო მეტი საბუთები ყოველ ზემოხსენებულისა, იხილეთ წერილი დ. ჩუბინოვისა: „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიისა, ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“. ივერია, 1877 წ. №№ 14, 15 16 და 17. ეს წერილი რუსულადაც იყო დაბეჭდილი და ერთს პეტერბურგის სწავლულთა კრებულში წაკითხული თვით ავტორისაგან).

ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან. ხეტტელთა ქვეყანა, მასპეროს სიტყვით შუა იდვა ორს დიდს უმთავრეს ქვეყნებ შორის, ქალდეისა და ეგვიპტისა და ამის გამო იგი შეიქმნა ერთს დიდ ბაზრად აღმოსავლეთისაო. ამ ხალხს დიდი და განვითარებული ცივილიზაცია ჰქონიაო, საკუთარი ლიტერატურა და აღყვავებული მრეწველობაო. რაც ვიცით ამ ერისა, სულ ეგვიპტელთა და ასურელთა საბუთებით ვიცითო, რადგანაც თვით ამ ერის ნაშთი ძალიან ცოტაა და ცოტაობით ცნობილიო. წარწერანი მათნი იეროგლიფურია, სრულიად განსხვავებული ეგვიპტიურისაგან და დღევანდლამდე წაკითხვა მათი ხელთ არ ეძლევა სწავლულთა მეცადინეობასო[1]. თუ მართალნი არიან ბ-ნი ნიკოლსკი და მასპერო იმაში, რომ ხეტტელნი ქართველის ნათესაობის ერი ყოფილა, ჩვენ აქ ცოტა ხანს შევდგებით, რადგანაც იქნება, სხვა მეორე შემთხვევა აღარ მოგვეცეს ამაზე საუბრისა და სანანურად დაგვრჩება, რომ ამისთანა დიდად შესანიშნავს, ლამის ჩვენს ნათესავს ერზე, როგორც ხეტტელნი ყოფილან, არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ აქამომდე.

ხეტტელნი, ანუ როგორც ზოგნი ეძახიან გიტნი, დიდი ღვაწლმოსილი ერი ყოფილა, დიდის კულტურის მექონე და რიცხვმრავალი. ვშიშობთ ამის თქმასა, ვშიშობთ იმიტომ, რომ სომეხთ მეცნიერებსა და მათს ამქარს ერთი მიზეზი კიდევ არ მივცეთ სხვისას ხელი ჩაავლონ, ხეტტელებად თავიანთი თავი გამოატყვრინონ და ამ გზით, როგორც ყოველთვის, სხვისა დაიჩემონ და თავი მოიწონონ ქვეყნის წინაშე, — აი რანი ვყოფილვართო.

რადგან მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, არც ჩვენ ჩავიწყვეტთ ენას.

ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა, და ევროპა მადლობელი

[1] იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა, რუს. თარგმნილი გვ. 178–179.

უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებულიო. ბევრს ადგილას მცირე აზიაში კაცი შეჰხვდება კვალს აწ გარდასრულის, მაგრამ ოდესღაც გაბრწყინვალებულ კულტურისას. ეიუკს, მდებარეს მცირე აზიაში მახლობლად ღალისის მდინარისა, რომელიც მიდის შავი ზღვისაკენ, სამხრეთიდამ ჩრდილოეთზედ მიმართული, დღესაც მოჩანან დანგრეული კედლები ხეტტელების უზარმაზარ სრა-სასახლისა, უშველებელ რვაკუთხიან თლილის ქვებისაგან ნაშენისაო. გზასა, სრა-სასახლეში მიმავალსა, ქვისაგან გამოჭრილი ლომები ინახავდნენო, ჭისკარი გამაგრებული აქვს უზარმაზარ ჯავარიან ქვებით, რომელთზედაც ამოჭრილია სფინქსებიო. მრავალი ხუროთმოძღვრული წვრილმანი ამხილებს, რომ ეგვიპტელთა ხელოვნების ბაძიაო. თვით შენობა, ბაბილონის სრა-სასახლეებისამებრ, განგებ გაკეთებულ ხელთქმნილ მიწურ ბექზეა აგებულიო. ამბობენ, რომ ეს საზაფხულო სადგომი იყოო ქადეშის მეფეებისა (ხეტტების სატახტო ქალაქია), როცა „მწვავი მზე სირიისა ძალიან აცხუნებდა ორონტის ველსაო“. სპეციალისტები-ჰერალდიკოსები გაიკვირვებენ, რომ ორთავიანი არწივი გერმანიის, რუსეთის და ავსტრიის ღერბისა წარმომდგარია ხეტტელების აწ გამქრალ ხელოვნებისა და სიმბოლოობისაგანაო. ეჭვს გარეშეა, რომ გამოხატულობა ორთავიან არწივისა ყველა გამოხატულობაზედ უფრო ხშირია, რაც-კი ხეტტელების სახსოვართა ზედ აჩნევიათო. ეს ორთავიანი არწივი ჯერ თურკომანების მეფეებს შეუთვისებიათ და მერე ჯვაროსანთ შემოუტანიათ ევროპაში და აქედამ გამხდარა გერმანიის ემბლემად და გერმანიის იმპერატორებისაგან გადასულა რუსეთსა და ავსტრიაშიო[1]. „ზოგნი დიდბუნებოვანნი კაცნი ძველის საბერძნეთისაო, — ამბობს მერე ანდერსონი, — მცირე აზიის შვილნი არიანო,

[1] იხ. რ. ანდერსონი: ისტორია აღმოსავლეთის გარდასულის ცივილიზაციებისა, რუს. ინგლისურიდამ თარგმნილი, გვ. 66.

მაგალითებრ, ჰომიროსი, თალესი, პითაგორი, ჰეროდოტეო, და ვისაც ამათს ხსენებაზე აგონდება ეგეიის ქალაქები, იმას შეუძლიან უფრო ღრმად შეხედოს საქმეს — სახელდობრ, კულტურას გიტტებისას, ანუ ხეტტებისასაო“[1]. ანდერსონი იხსენიებს-რა ერთს საბუთს, განაგრძობს, რომ ეს საბუთი ცხადად გვანიშნებს, რომ ხიტა, ხეტტა ანუ გიტტთა ქვეყანა, — თავისის მდებარეობით, მდგომარეობითა და ძლიერებით თვით ეგვიპტის თანასწორი და ტოლი იყოო. როგორც ანდერსონი, ისეც მასპერო დიდ ქებაში არიან ხეტტების კულტურისა, სიმდიდრისა, აღებ-მიცემობისა, ვაჟკაცობისა და ძლიერებისა.

გვიკვირს, ეს ხეტტების საქებ-სადიდებელი ამბები როგორ გამოჰპარვიათ სომეხთა მეცნიერებს. უსათუოდ არა სცოდნიათ, თორემ აბა რას შეარჩენდნენ ქართველთა ნათესაობის ერს ამისთანა საქებურს ამბებსა. მერე იციან, რომ ქართველნი დაუდევარნი არიან და იმ ჭიან ლიბერალობით თვალებაბმულნი, რომ არც-კი იტყვიან: „ძნამო და მეგობარნო! მართალია, თქვენის კეთილის გულის ამბავი ვიცით, რომ საცა პურია, ბინას იქ იკეთებთ, არა ჰკითხულობთ, პური ვისი გამომცხვარია და მიირთმევთ, ოღონდ-კი გემრიელი იყოს, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია: რას გვემართლებით? ჩვენ ჩევნი ვიცოდეთ და ვიქონიოთ, თქვენ — თქვენი“. ხოლო რას იზამთ? „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“.

XI

ჩვენ ხომ ვნახეთ, — რა ტყუილად მოუწვევია ბ-ნ გოლმსტრემს ბ-ნი ნიკოლსკი იმის მოწმად, ვითომც იგი ამტკიცებდეს ურარტელების სომხობას. ეხლა

[1] იხ. რ. ანდერსონი: ისტორია აღმოსავლეთის გარდასულის ცივილიზაციებისა, რუს. ინგლისურიდამ თარგმნილი, გვ. 62, 63

ჩვენ ვიმოწმებთ იმავ ბ-ნ ნიკოლსკის იმაში, თუ რა ჭირვეულობას, რა თაღლითობასა და ოინბაზობას ეწევიან სომეხთა მეცნიერნი, რომ ქვათა ღაღადს იგი ათქმევინონ, რაც თითონ ჰსურთ, და ამ სახით ქვებსაც-კი, ქვებსაც თაღლითობა გააწევინონ, ტყუილი ალაპარაკონ და ყურები გამოგვიჭედონ „ქვები ღაღადებენო“ მას, რასაც ჰღაღადებენ მარტო მატყუარნი „ბაგენი მათნი ნამეტანობისაგან გულისა“.

ბ-ნ ნიკოლსკის სიტყვით, რამდენიმე ლურსმული წარწერანი უპოვნია სომეხთა ეპისკოპოსს მესროფ სუმბათიანცს. ამის თაობაზე ბ-ნი ნიკოლსკი ამბობს: სამოციან წლების დასაწყისში ბ-ნმა მესროფმა, მაშინ ჯერ კიდევ ვარდაპეტმა, ამოიკითხა მხითარისტების წერილში, რომ იქ, საცა ეხლა სომხები მკვიდრობენ, არის ლურსმული წარწერანი და მოიწადინა ამათი შეკრება, რადგანაც ჰგონებია, რომ სომხების ძველისძველ ისტორიას ძლიან ახლო შეეხებიანო. ბ-ნ მესროფს, იმავე ბ-ნი ნიკოლსკის სიტყვით, ალჩუ დასჯდომია, მაგრამ იმის გამო-კი არა, რის იმედიცა ჰქონია. აღმოუჩენია ექვსი თუ რვა წარწერა, გადაუღიათ ეს წარწერანი და გაუგზავნიათ იმ მეცნიერთათვის, რომელნიც ცნობილ არიან მკვლევარად ამგვარ წარწერებისა, სახელდობრ, — მორდტმანისათვის, სეისისა და მიულერისათვის. ამათ გარდამცემად და შუამავლად ჰყოლიათ პროფესორი პატკანოვი, რომელსაც სწამებია, რომ იგი წარწერანი სომხეთის ისტორიული ნაშთნია და აბა — რა თქმა უნდა — სიხარულით ფეხზედ ველარ დადგებოდა. ბოლოს გამოჩნდაო, ამბობს ბ-ნი ნიკოლსკი, რომ იგი ლურსმული წარწერანი იმ ენაზეა ნაწერნი, რომელსაც არავითარი მზგავსება არა ჰქონია სომხურისაო[1]. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ცუდად უცვალა ფერი ბ-ნ მესროფსაც და პატკანოვსაც. საჭიროა ვიცოდეთ, რომ უფროს-ერთი წარწერა, ნაპოვნი ბ-ნ მესროფისაგან, აღმოჩენილია ეჩმიაძინის

[1] ბ-ნი ნიკოლსკი . Древности Восточные, т. I, გვერდი 378, 381.

სამხრეთ-დასავლეთით, 25 ვერსტის მანძილზე ეჩმიაძინიდამ. იქ ერთი ქედია სახელად „ბლური“, ამ ქედთან ძველი რაღაც ნანგრევებია და სომხები დიდი ხანია მუშტრის თვალით შესცქერიან და იძახიან, რომ სწორედ აქ იყოო ჩვენი დედა და სატახტო ქალაქი, რაღაც მითოლოღიური „არმავირი“. ცნობისმოყვარე მეცნიერებამ აქაც მოაწვდინა თავისი დალოცვილი თვალი და ხელი. აქ დაუწყეს თხრა გრაფ უვაროვის ზედამზედაობით, სინჯეს ნანგრევები, აქეთ ეცადნენ, იქით ეცადნენ, მთელი შვიდი დღე სთხარეს და ის იპოვეს, რაც სომეხთა მეცნიერთ ჩვენის სახელის მოთხრისაგან — ესე იგი არაფერი სომხების სანუკბარო და სანუგეშო არა აღმოაჩინეს-რა. რასაკვირველია, დაიწყეს ჭინჭყლი და ჭირვეულობა და ბ-ნმა მესროფმა და პატკანოვმა სამდურავი გამოაცხადეს, კარგად ვერ უთხრიათ და უძიებიათო და ხელახლად მოითხოვეს იმავ ადგილების თხრა და სინჯვა.

ამისთანა დაჟინება მარტო იმით აიხსნებაო, — დასძენს ბ-ნი ნიკოლსკი, — რომ ჯერ შემცდარს აზრს აჰყოლიან შესახებ ამ წარწერების თვისება-ხასიათისა და გაჩენისა და მერე, — ადვილად მისახვედრია სომეხთა მეცნიერთა ატაცებული სურვილი, რომ აღმოჩენილ იყოს ძველი სატახტო ქალაქი არმენიისაო[1]. სჩანს, ჯიუტობით, ჭირვეულობით ლარის გატანა სომეხთა მეცნიერთა განუყრელი თვისება ყოფილა. სჩანს, რაც „ჩოტკში“ არ ძოდის, რაც გინდ მართალი იყოს, მაინც თავისის გაყვანა უნდათ, თორემ რა გასამართლებელი საბუთია, შემცდარის აზრით გატაცებულნი არიან და ადვილად მისახვედრია რის გამო ურჩობენ და ჭირვეულობენო სომეხთა მეცნიერნიო. აშკარაა, თუ ბ-ნ ნიკოლსკიმ აქ მეტი არა სთქვა-რა ამისთანა საქციელზე, ეს მისს თავდაჭერილსა და მართებულს მეტყველებას

[1] აი სიტყვითი-სიტყვა ბ-ნ ნიკოლსკისა: „Такую настойчивость можно объяснить только ошибочным мнением о характере и происхождении надписей и понятным со стороны армянских ученых увлечением мыслью - найти древнюю столицу Армении~ (იხილე Древности Восточные, т. I, გვ. 380).

მოასწავებს და არა საქციელის სრულს დახასიათებასა და დასახელებას. ეს კიდევ არაფერი.

ბ-ნ მესროფისაგან ნაპოვნ წარწერათა შორის, ბ-ნ ნიკოლსკის სიტყვით, ერთი წარწერაა, რომელიც აღნიშნულია XV ნომრით და ,,ზახალუსად" წოდებულ ადგილის ახლოა აღმოჩენილი. ამისი ასლი დაბეჭდილი იყო სომხურს ჟურნალს ,,არარატში", რომელიც ეჩმიაძინში გამოდიოდა. ამ წარწერის გამო ბ-ნი ნიკოლსკი სწერს, რომ ,,აქედამ გადმოღებული ნაწერი, ,,არარატში" დაბეჭდილი, ისეთი დამახინჯებულია, რომ ნიშნებიც-კი თითქმის არა ჰგვანან ვანის წარწერებს. შესაძლოა ვიგულოთ, რომ გადმომღებს განგებ სდომებია ეს ნიშნები მიამსგავსოს სახით სპარსულ აქემენიდების წარწერასაო იმ მიზეზით, რომ წარმოუდგენია ვითომც იგინი ერთნი და იგივენი არიან, ან რაიმე ნათესავური კავშირი აქვთო".[1] ესეთი ოსტატობა და ოინბაზობა არ დაეფიცებათ იმათ, ვინც ძველს ქვას აცლის ძველს მონასტერს, ან ქართულს წარწერას ჰფხეკს და ზედ სომხური ასოები გამოჰყავს, ან თითონ ქვას იპარავს და ეშმაკმა იცის, სადა ჰკარგავს. ახლა იკითხავთ: რა ანგარიშია, რომ ხსენებული წარწერა დაუმახინჯებიათ, გადაუსხვაფერებიათ? ონბაზობა, თაღლითობა რუსები რომ იტყვიან подлог, მართალია დიდს ოსტატობას, დიდს გაგებას და თითქმის ერთსგვარს გულადობასაც ჰთხოულობს, მაგრამ არც იმისთანა საქებური და სასახელო ხელობაა, რომ კაცმა თავი შეიდოს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იკადროს მარტო სახელისათვის, თუ სახელს სახრავიც ზედ არ მოჰყვება. მაშ, საბუთი გვაქვს ვიკითხოთ: რად სდომებიათ, რომ ძველი წარწერა ასურეთის ხანისა აქემენიდების წარწერისათვის განგებ მიემსგავსებინათ, როგორც ბ-ნ ნიკოლსკის სიტყვებიდამა სჩანს.

[1] აი სიტყვითი-სიტყვა ბ-ნ ნიკოლსკისა: ,,Снимок с неё (ზახალუსის წარწერა), помещенный в ,,Арарате", представляет текст в таком изуродованном виде, что знаки даже почти не напоминают знаки Ванского письма. можно догадываться, что снимавший надпись намеренно хотел придать знакам сходство по форме с знаками персидских надписей Ахеменидов, воображая, что она одинакова или родственнаго происхождения" (იქავე, გვ. 380).

აი, რა ანგარიში უნდა ვიგულისხმოთ: წინანდელ წერილებიდამ უკვე ვიცით, — რა დიდი საბუთია მართალ მეცნიერთათვის ის გარემოება, რომ ვანის ლურსმული წარწერანი, რადგანაც ეკუთვნიან აქემენიდების წინა დროს და სომხები მარტო აქემენიდების დროს მოსულან არმენიაში და მინამდე ჭაჭანებაც იქ არ ყოფილა, აშკარაა, ანგარიშია სომეხთა მეცნიერთათვის დაამტკიცონ, რომ წარწერები ასურელთა დროისანი-კი არ არიან, არამედ აქემენიდების დროინდელნი. იგი წარწერანი რომ ასურეთის ხანასი იყვნენ ესე იგი იმ დროინდელი, როცა იმ ადგილებში, საცა იგი წარწერანი უპოვიათ, სომხების ხსენებაც არ ყოფილა, სომხები ისე ადვილად ვერ დაიჩემებდნენ — იქ ჩვენი ისტორიაა მოთხრობილიო. და თუ აქემენიდების დროისანი აღმოჩნდებოდნენ, მაშინ ოინბაზობის და თაღლითობის ქსელი ადვილად გაიბლანდებოდა, ადვილად გაიბმოდა სხვისის სახელის და ისტორიის დასაჩემებლად და იმას ვეღარ უსაბუთებდნენ გასამტყუვნებლად, რომ თქვენ ჯერ სად იყავით, როცა ეს წარწერანი ქვებზე ამოუჭრიათო.

ნუთუ ეს ოინბაზობა, ეს თაღლითობა იგივ არ არის, რაც სთქვეს სომეხთა მეცნიერებზე დ. ბაქრაძემ, ილ. სერებრიაკოვმა, ლენორმანმა, რაულინსონმა, ბ-ნმა ნიკოლსკიმ და რასაც ჩვენ ამ წერილებით ვამტკიცებთ.

ყოველ ამის შემდეგ, განა აშკარა არ არის, რომ იმისთანა მეცნიერნი, როგორიც პატკანოვია, ფილოსოფოსი არწრუნია და ვიღაც ეზოვები, ხუდაბაშოვები და მთელი მათი ამქარი, არაფერს ჰთაკილობენ ოღონდ-კი თავისი შავი გაათეთრონ და ჩვენი თეთრი გააშავონ იმისდა მიხედვით, რა დროს რა სწყურიანთ, რა დროს რა უხდებათ ტანად და პირად. ამას რომ მარტო ჩვენ, ქართველები ვამბობდეთ, კიდევ არ დაიჯერებოდა. მტრობაში ჩამოგვართმევდნენ, შურით მოსდითო, იტყვიან. ლენორმანი, რაულინსონი, ბ-ნი ნიკოლსკი ჩვენი

მამიდაშვილები, ან ნათელ-მირონები ხომ არა არიან, რომ ამათაც მიდგომით ლაპარაკი შესწამონ.

ბ-ნი გოლმსტრემიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სომეხთა მეცნიერთა ფეხის ხმას აჰყოლია და ჩვენთვის, ქართველებისათვის, მღაღადებელს ქვებს სომხებისათვის აღაღადებს და დიდის ბუკითა და ნაღარით იძახის: „И Камни возапиют!.. Камни не лгут!“... აქ ქვანი კი არ ჰღაღადებენ, ქვანი მართალს ამბობენ, ხოლო ჰღაღადებენ და სტყუიან სომეხთა გაცუღლუტებულნი მეცნიერნი, ან გამეცნიერებული ცუღლუტები ეზოვები და სხვა ამისთანები. ეს რაღაც მთელი გუნდია, რომელსაც თითქო პირი შეუკრავთ, გაფიცულან, რომ ქვეყანა ატყუონ, მელა-ტურა ლომად აქციონ, ლიმი კატად, და ფრთაგაცვივნულ, გაქუცულ უხეირო კრუხ-ქათამსავით წიწილები სჩეკონ არწივის ნაბუდარზედა.

XII

სახელი და პატივი ბ-ნს გოლმსტრემს, რომ სომხებისათვის, ვითარცა ჩაგრულ და დევნულ ერისათვის, გულმტკივნეულობს, და ამისათვის ხმას იღებს საქვეყნოდ და უშიშარად. არც ჩვენა ვართ ისეთნი უგულონი, რომ არ ვიგრძნოთ სხვისა ტკივილნი, სხვისა ხოცვა-ჟლეტა, დარბევა და დაწიოკება და არ ვიცოდეთ ფასი და ღირსება ადამიანისა, როცა უბედურთათვის იღვწის და, თუ ხელს არა, ხმას მაინც აწვდის ნუგეშისცემისას, სიყვარულისას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მარტო გულწმინდად მიცემული ნუგეში, მარტო გულწმინდად გზად და ხიდად გადებული სიყვარულია იგი უზენაესი მადლი, რომელიც კაცს აღიყვანს „მაღალსა მთასა წმიდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას“.

ვწუხვართ, რომ საქმემ და სიმართლემ მოითხოვა ბ-ნი გოლმსტრემი სომეხთა მეცნიერთა მწკრივში ჩაგვეყენებინა, მისი ნებითი თუ უნებლიეთი შეცდომა

გულახდილად გვემხილებინა და ჩვენი გაოცება გვეთქვა: ნეტა რამ და რისთვის დააწერინა იგი ისტორია, რომელიც მარტო სომეხთა ფილოსოფოსებისა და დელინგერების საკადრისია და მარტო იმათს თონეში ცხვება.

გვიკვირს: თუ ბ-ნ გოლმსტრემს არ წაუკითხავს იგი წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა, რომელიც ჩვენ წინა წერილების სხოლიოში დავასახელეთ, ბ-ნ ანუჩინის წერილი ხომ უსათუოდ წაუკითხნია, რადგანაც ამბობს, რომ ბ-ნი ანუჩინი წინააღმდეგია იმ თეორემისა, რომელიც ურარტელებს ჰხადის სომხების წინაპრებადაო და ეს მარტო იმას მოასწავებს, რომ ბ-ნი ანუჩინი მიუდგომელი მეცნიერიაო და ამისთვის აქებს კიდეც. აქ ორი გარემოებაა საოცარი. ჯერ ერთი ისა, ვითომც ქვეყანაზე იყოს იმისთანა თეორია, რომ ურარტელთა სომხობას ამტკიცებდეს. თუ არ არის ამისთანა თეორია, მაშ ბ-ნ გოლმსტრემის სიტყვა საქარეზე გატანილი სიტყვაა, როცა გვარწმუნებს, რომ ბ-ნი ანუჩინი ამ თეორიის წინააღმდეგიაო. ამაოდ ჰფიქრობს ბ-ნი გოლმსტრემი არსებობას ამისთანა თეორიისას: იგი არსად არის და ბ-ნი ანუჩინი არარსებულის თეორიის წინააღმდეგი როგორ იქნება? ბ-ნი ანუჩინი მოცლილი კაცი ხომ არ არის სომეხთა მეცნიერებსავით, რომ ქარის წისქვილებს ომი დაუწყოს.

კიდევ ვიტყვით, დღეს მთელს ქვეყანაზე ერთი მართლა სწავლული და მეცნიერი არ მოიპოვება, — სანთლითაც რომ ეძებოთ, — ურარტელთა სომხობის თეორიას მისდევდეს, გარდა იმისთანა ჩურუქა მეცნიერებისა, როგორც ვიღაცა ეზოვები და მისნი დამქაშები არიან. ამათაც-კი არა გვგონია გაბედონ არ-არსებულის თეორიის ღაღადება თავისის სახელით და, იქნება, სხვა-კი გააბრიყვონ, თითონ სოროში შეძვრნენ და ამ სახით სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ. ეს იმათი ხელობაა.

ბ-ნი ანუჩინი თუ ურარტელთა არასომხობას ამბობს, ამას ვისიმე წინააღმდეგ-კი არ ამბობს, არამედ ამით ემოწმება ყველას, ვისაც ეს საქმე

გამოუძიებია. ვიწვევთ ბ-ნს გოლმსტრემს, თუნდ ერთი სწაავლული და მეცნიერი, ან ევროპიელი, ან რუსი დაგვისახელოს იმ თეორიის მომხრედ, რომელსაც ვითომც ბ-ნი ანუჩინი ეწინააღმდეგება და რომელსაც დღეს ასე თავშეუდებლად მარტო ბ-ნი გოლმსტრემი ჰღაღადებს, დიაღ, მარტო ბ-ნი გოლმსტრემი და სხვა არავინ.

თუნდ ეს ორი ერთმანეთის წინააღმდეგი თეორია არსებობდეს, ნეტა რა ნიშანია მიუდგომელობისა, მიუკერძებლობისა ურარტელთა არასომხობის თეორია, რომლის გამო ქებასაც-კი უძღვნის ბ-ნს ანუჩინს ბ-ნი გოლმსტრემი. ნუ თუ აქაც ახია ითქვას: „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

მეორე გარემოება ის არის, რომ ასე ვრცლად არის ბ-ნ ნიკოლსკის მოწმობა ბ-ნ გოლმსტრემის მიერ მოთხრობილი საბუთად ურარტელთა და სომეხთა ვითომდა ერთნათესაობისა და ბ-ნი ანუჩინი-კი მარტო სამის სიტყვით უხსენებია, ისიც ბუნდად, — ამ თეორიის წინააღმდეგიაო. ყური არ უთხოვებია, რომ ბ-ნი ანუჩინი ანტროპოლოგიურადაც ამტკიცებს, რომ სომეხნი არმენიაში, წინანდელ ურარტის ქვეყანაში მერე მოსულნი არიან[1]. გარდა ამისა ბ-ნი ანუჩინი იმოწმება, რომ იგი ქვეყანა დაიჭირეს სომხებმა დიდის ბრძოლის და ომის შემდეგ ურარტელებთანაო. არის რამოდენიმე საბუთი, რომლის ძალითაც შესაძლოა ვიგულვოთ, რომ ურარტელნი, ანუ პონტიის ქალდები[2] ქართველთა მამა-პაპანი ყოფილანო[3].

დალოცვილს, რაკი ესე ვრცლად მოგვითხრობდა ურარტელთა სომხობას და ისიც უსაბუთოდ, ერთი

[1] იხ. „Братская помощь Армянам“, გვ. 358.

[2] რარიგადა ჰგავს ერომანეთს სახელი ქალდები და ქართლები!

3 იხ. „Братская помощь Армянам “, გვ. 361. აი სიტყვითი-სიტყვა ბ-ნ ანუჩინისა: „Таким образом армянам удалось лишь после долгой и упорной борьбы с племенем Урарту или Понтийскими халдами, - племенем, язык котораго еще не выяснен, но есть некоторые основания предполагать в них прародичей Картвельскаго или грузинскаго племени“.

სიტყვა, თუნდ ესე მოკლედ, როგორც აქ არის ბ-ნ ანუჩინის ნათქვამი მოყვანილი, ჩვენთვისაც გამოემეტნა ურარტელთა ქართველობა გაკვრით მაინც მოეხსენებინა. განა ვინ დაემდურებოდა? თუ ბ-ნ ნიკოლსკის მოწმობა, მერე სულ მთლად თავით ბოლომდე გადასხვაფერებული, საჭირო იყო ურარტელთა გასომხებისათვის, ქართველთა ასე თუ ისე დასაბუთებული ურარტელობა ბ-ნ ანუჩინისა რატომ დაჰვიწყებია და ჩაუფარცხებია. რასაკვირველია, თვით ბ-ნ გოლმსტრემის საქმეა, — სად რა სთქვას და როგორ, ხოლო ჩვენ კი ვიტყვით: „საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!“

ვთქვათ, ისეც იყოს, რომ ურარტელნი სომხები არ ყოფილანო, ჰბძანებს ბ-ნი გოლმსტრემი: ამ საგანს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. აი სწორედ ამაზე ითქმის, ე რ ი ჰ ა ა! მაშ რაზედ შეაწუხეთ ბ-ნი ნიკოლსკი, ანუჩინი, რომ თითქმის მთელი ფელეტონი ურარტელთა სომხობის დასაბუთებას მოანდომეთ და, სულ ცოტა ვთქვათ, ორიათას შვიდას-რვაასის წლის ამბავი გაგვიბით და ამ ამბავით ამტკიცებდით სულიერ და ხორციელ სიმტკიცესა და მედგრობას ეხლანდელის სომხებისას, ვითარცა მემკვიდრეებისას სახელოვან ურარტელებისას. მაშ რად ჰღაღადებდა ბ-ნი გოლმსტრემი: „თუ პოვნა გნებავთ ამ საქმის (სომეხთა საქმისა) ჭეშმარიტებისა, პოლიტიკოსებისაგან „ფერუმარილ წაუსმელისა“, გადაუკეთებელისა, უნდა ყურადღება მიაქციოთ “ძველს, ჭაღარამოდებულს დროს, არქეოლოგებს და სწავლულ მოგზაურებსაო“[1]. მაშ, ეს სიტყვები ისე საქარეზეა გასტუმრებული! აფსუს, სიტყვებო!..

საოცარია, — რომ ამას ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი, ესე იგი ის კაცი, რომელმაც თვალი და ყური აუქცია

[1] აი სიტყვითი-სიტყვა ბ-ნ გოლმსტრემისა: „Чтобы найти истину в этом (армянском) вопросе не „заправленную“, неподкрашенную политиками... нужно обратить свои взоры к седой древности, и археологам, к ученым путешественникам“... [1] იხ. „Петербургские Ведомости“-ს 1899 წ. № 33, ფელეტონი: „И Камни возапиют!“.

ჭაღარამოდებულს ძველს დროსაც, არქეოლოგებსაც, სწავლულთა მოგზაურთაც და იმ ქვათა ღაღადსაც, რომელნიც, მისის სიტყვებით, возапиют!

„კიდევ ბევრს, ბევრს სხვას ჰღაღადებენ არმენიაში ნაპოვნი ქვებიო“, იძახის დიდის პათოსით ბ-ნი გოლმსტრემი. მართალია, ბევრს რასმე ჰღაღადებენ და ვაი, რომ იმათს ღაღადს ყურებში ბამბადაცმული მსმენელი შეჰხვედრია. ბევრს რასმე ჰღაღადებენ, მხოლოდ მთლად და ხელაღებით იმის წინააღმდეგს, რაც ბ-ნს გოლმსტრემს ურარტელთა გასომხებისათვის წამოულაგებია „Петербургские Ведомости“-ში. კიდევ ვიწვევთ ბ-ნს გოლმსტრემს: თუ ჩვენ მართალს არ ვამბობთ, აბა ერთი საბუთი, აბა ერთი მართალი სწავლული, მართალი მეცნიერი, აბა ერთი ქვა და მისი ღაღადი წამოგვიყენოს პირში, მაშინ ჩვენ ჩვენს მშვილდს ძირს დავდებთ და ბ-ნ გოლმსტრემის წინაშე ქედს მოვიხრით, ჩვენს შეცდომას შევინანებთ საქვეყნოდ.

სომეხთა ქების განდიდებას ისე გაუტაცნია ბ-ნი გოლმსტრემი, რომ ამის თქმასაც-კი შესაძლებელად ჰხადის: „ამ ერმა (სომხობამ) საუკუნეთა განმავლობაში დაამტკიცა თვისი შეურყეველი ერთგულება ქრისტიანულ მართლმადიდებელ აღთქმებისაო“. რა თქმა უნდა, ყოველს ერს თავისი სარწმუნოება მართლმადიდებელი ჰგონია და ამაში ვერც ვერავინ შეუვა. სარწმუნოება სინიდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი. ხოლო ბავშვმაც-კი იცის, რომ სომხები გრიგორიანები არიან სარწმუნოებით და სულაც არ ეკუთვნიან იმ რჯულს, რომელიც მართლმადიდებელად წოდებულია საზოგადოდ რუსეთში და რუსის მწერლობაში საკუთრად. მაშასადამე, ბ-ნის გოლმსტრემის ღაღადი, რომ სომხებმა შეურყეველი ერთგულება აღმოუჩინეს

ქრისტიანულ **მართლმადიდებელს** აღთქმებსაო[1], არ არის მართალი იმიტომ, რომ ამ სახელით წოდებულს სარწმუნოებას და, მაშასადამე, აღთქმებსა სომეხნი გაეცალნენ ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში და მას აქეთ სარწმუნოებით ცალკე გავიდნენ. სად იგი სარწმუნოება, რომელსაც სომხები აღიარებენ და სად იგი, რომელიც მართლმადიდებელად წოდებულია რუსეთში და რუსის მწერლობაში.

რასაკვირველია, სომეხთა სარწმუნოებაც ქრისტიანულია და სომეხთ ვერ დავუკარგავთ დიდს ღვაწლს, ქრისტიანობისათვის მათ მიერ დადებულსა. ქრისტიანობისათვის ბევრი რამ გაუწირავთ, ბევრი სისხლი უღვრიათ და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობას ანაცვალეს მათ თითქმის მთელი თვისი ისტორია, თვისი სამეფო, თვისი მამული, თვისი სამშობლო და ამით, თვისდა მართლადა სასახელოდ, შეინახეს თვისი რჯული, ენა და ყოველმა ამან შეანახვინა თვით მათი ვინაობაცა, მათი ეროვნული არსებობა. ვერც ისტორია და ვერც კაცობრიობა ვერ დაივიწყებს სომეხთა ღვაწლს, სომეხთა თავგანწირვას ქრისტიანობისათვის. ამიტომაც ბ-ნს გოლმსტრემს რომ გაეხსენებინა ეს დიდებული ღვაწლი საერთოდ ქრისტიანობის წინაშე, მართალი იქნებოდა და რაკი შიგ ჩაურთა „მართლმადიდებლობა“, ბალღსაც სიცილს მოჰგვრის, რომ სომხები შეურყეველად ერთგულნი ყოფილან თვისს სარწმუნოებაში. სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს, როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისე ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს იგი ერთთვალა და ერთგულაა, — თუ

[1] აი სიტყვასიტყვით ბ-ნის გოლმსტრემის ნათქვამი: „Этот народ (Армянский) в течении многих веков доказал непоколебимую преданность христианским православным **заветам**“. იხ. მისი ფელეტონი: „И Камни возапиют!“, „Петерб. Вед.“, 1899 წ. № 33,

ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებელად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება-კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს. ამიტომ არა გვგონია კეთილმორწმუნე სომხებს ეს ქება ბ-ნ გოლმსტრემისა სასიქადულოდ გაუხდეთ. სომხებს რაც გინდ დააბრალეთ და ორგულობას სარწმუნოებისას-კი ვერავინ შესწამებს. პირიქით, მათ, თვისდა სასახელოდ, კარგად იციან ფასი თავისის სარწმუნოებისა და ამისათვის უღელი ყოველგვარის უბედურებისა გულგაუტეხელად უტარებიათ და ჯვარცმულან.

დასასრულ, ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა გაჭირება დასდგომია ბ-ნ გოლმსტრემს, რომ საცოდავი ქვებიც-კი უწამებია, შეუწუხებია, პატივცემულნი მეცნიერნი და ჯანაბაში გადუკარგავს თვით მეცნიერებაცა. ეს ჩვენ არ ვიცით და არც დიდი სურვილი გვაქვს ვიცოდეთ. ჩვენ მარტო იმას ვკვირობთ, ჩვენ მარტო ის გვეცება, რომ აქაც იგივე პრობლემაა გამოჭიმული და დოინჯშემოყრილი, რომელიც სომეხთა მეცნიერთ მემკვიდრეობით დასჩემებიათ: სომეხთა ბამბაც უნდა ჩხრიალებდეს და ქართველების არც კაკალი. ვიყვიროთო და ყვირილიც ეს არის.

აბა, სენკოვსკიდამ დაწყებული ბ-ნ გოლმსტრემამდე, ამ სამოცის წლის მანძილზე, ლარი გააბით და გახედეთ, თუ ყველა სომეხთა მეცნიერს ამ ლარზე ხელი არ ეკიდოს, ერთსა და იმავე

პროგრამას არ ემსახურებოდეს საოცარის ერთგულობით და ერთსულობით. ებღაუჭებიან ამ პროგრამას კბილით, ხელით, ფეხით და მთელითა ცხოვრებითა მათითა. განა აშკარა არ არის, უნდათ ქვეყანას დაანახვონ, რომ სომეხთა უკეთესი, გამძლე ერი, ყოვლის ნიჭითა და უნარით შემკობილი სხვა არავინ არის მცირე აზიაში და ნამეტნავად ამიერკავკასიაში. მართალია, ამიერკავკასიაში ეს რაღაც „ვრაცები“ ჰყრიან და ცოტად თუ ბევრად ამათაც ახსენებენ, მაგრამ ასეთს საქმეს დავმართებთ, ასე გავუბიაბრუებთ სახელს, რომ სახსენებელიც-კი აღარ დარჩეთ. თუ ისტორია აქვთ, გავუყალბებთ, ან ჩვენ დავიჩემებთ, მიწა-წყალი აქვთ და ჩვენ ჩამოვართმევთ და ქვეყანას, ტყუილი იქმნება თუ მართალი, დავაჯერებთ, რომ ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და დღესა თუ ხვალე ან ამოსწყდებიან დედაბუდიანად, ან გასომეხდებიან.

ამ ჩვენს ლანძღვა-გინებაში, რასაკვირველია, ბ-ნს გოლმსტრემს არავითარი წილი არ უდევს და მადლობელნი ვართ, რომ შეგვიბრალა და ავად მაინც არ გვახსენა, სომხებს ზედ არ წაგვაკლა ქათამსავით, სომეხთა მეცნიერებისამებრ. ხოლო ძნელი მოსათმენნი არიან ეს ხუდაბაშოვები, პატკანოვები, ქიშმიშოვები, ეზოვები, არწრუნები და ერთობ იგი ერთი გუნდი სომხებისა, რომელთაც ღმერთმა მოახმაროთ თავიანთ-თავის ქება-დიდება და ჩვენს მოთხრას-კი — ნურას უკაცრავად! — ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჭკვათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება. აი, სწორედ აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. ამით, სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე და სომხებს ქართველებზე, თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცი წლის წინათ ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და

სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ, და თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია, სომეხთა მეცნიერთა გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობასა და ოინბაზობას უნდა მიეწეროს. მარტო ერთი ბ-ნი ეზოვი საკმაოა, ადამიანი შეუშინდეს თავის-თავსა და სასოწარკვეთილებით ჰკითხოს: ნუთუ ადამიანი მართლა ღვთის სახისა და მსგავსებისაა? ღმერთმა მოჰკითხოს ყველას მისნი შეცოდებანი და შეუნდოს, თუ ამისთანა საქციელი შესანდობარია.

თორემ ჩვენ სომხებისა არა გვშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხებს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. მას აქეთ, რაც ვახტანგმა გორგასლანმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო. მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი. მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოსევოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ჰზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩევნს მეფეებს არ ესმოდათ — რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის სომხეთის არსებობას. დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად. თუმცა სომხეთის დაცემის შემდეგ მთელი თითქმის შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერს მტრებსა, მაგრამ მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვღალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა

დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა.

განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი, ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებასა და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“, — ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი.

1899

28. <სწავლების სისტემა კლასიკურ გიმნაზიებში>

ტფილისი, 9 ოქტომბერი

არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს „ივერიაში“, რომ დიდხანს თავს ვერ დაიჭერს იგი სისტემა სწავლებისა, რომელიც დღეს აქამომდე ჰსუფევს რუსეთის საშუალო სასწავლებლებში და რომელიც ტოლსტოის მინისტრობის დროს შემოღებულ იქმნა და დამკვიდრდა მთელს რუსეთში. ყველასათვის, ვისაც კი ყური უდევნებია საპედაგოგიო საქმისათვის ევროპაში და პედაგოგიის წინსვლა შეუნიშნავს, ცხადი იყო, რომ დღესა თუ ხვალე ბოლო უნდა მოეღოს გაძლიერებულ სწავლებას ორის ძველის ენისას, ბერძნულისას და ლათინურისას, ეგრედწოდებულ კლასიკურ გიმნაზიებში; სწავლებას, რომელსაც ჰხმარდებოდა თითქმის მთელი ნახევარი სამოსწავლო ხანგრძლიობისა და რომელიც მარტო ამძიმებდა გონებას მოზარდის ყმაწვილისას და წვალებას შეგირდისას უფრო ჰგავდა, ვიდრე სწავლასა და წურთვნასა.

უკეთესი ნაწილი რუსეთის დაწინაურებულ კაცებისა დიდი ხანია უჩივოდა ამ სისტემას, რომელმაც გამოიწვია ორად გაყოფა სწავლებისა და ამას მოჰყვა ორნაირი გიმნაზიები — კლასიკური და რეალური. კლასიკურ გიმნაზიებს მინიჭებული ჰქონდათ ერთი მეტად საგრძნობელი უპირატესობა. იგი უპირატესობა ის იყო, რომ ამგვარ გიმნაზიებიდამ შესაძლო იყო უნივერსიტეტებში შესვლა. ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო დედ-მამანი, შვილები ეძლიათ კლასიკურ გიმნაზიებში. თუმცა უფრო ბევრი მათგანი აშკარად ჰხედავდა, რომ შვილს თავსა და გულს გამოუყრუებენ მკვდარის ენების გრამმატიკის სწავლითა. მაგრამ რა უნდა ექმნათ? უამისოდ უნივესიტეტის კარები დახშული იყო.

ჩვენ აქ იმას არ გამოვუდგებით, რომ ათასჯერ დაღეჭილი და გადაღეჭილი საბუთები ჩამოვთვალოთ მისი, თუ რად არის აწ არსებული პროგრამები კლასიკურ გიმნაზიებისა სამართლიანად ათვალწუნებული და დევნული. ჩვენ აქ გვინდა მარტო აღვნიშნოთ, რომ აღსასრული ზემოხსენებულ სისტემისა, როგორც სჩანს, უკვე კარზეა მოსული და დღესა თუ ხვალე სწავლების სისტემას რუსეთში ახალი საფუძველი დაედება დედ-მამათა სანუგეშოდ და მოზარდ ყმაწვილების საოხად.

დღეს თვით მთავრობამ იგრძნო ნაკლულოვანება აწ არსებულ სისტემისა და შეუდგა მისს განკარგებასა და უფრო რიგიანს და სახეირო გზაზე დაყენებასა.

ჩვენ გვინდა მოკლედ ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რა საფეხურზე სდგას დღეს რუსეთში მთავრობის მიერ საჭიროდ დანახული ცვლილება გიმნაზიებში სწავლების სისტემისა.

ყველამ უკვე იცის, რომ ეხლანდელმა მინისტრმა საერო განათლებისამ ცირკულიარი გამოსცა, საცა აღიარებულია ნაკლულოვანება ეხლანდელის სწავლების საქმისა გიმნაზიებში და საჭიროდ დანახულია ხელახლად გადასინჯვა აწ არსებული სისტემისა და აგება მისი სხვა ახალ საფუძველზედ, რომელიც უფრო შესაფერია ცხოვრებისა და პედაგოგიის მოთხოვნილებისათვის. ამისათვის უკვე მოწვეულია კამისია პედაგოგებისა ხსენებულ ცირკულიარის ძალით.

რა თქმა უნდა, ამისთანა ცირკულიარმა მიიზიდა ყურადღება რუსეთის მწერლობისა და დღეს გაცხარებული ლაპარაკია ჟურნალ-გაზეთობაში ამ

საგანზედ, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. საუბარი იმაზე ტრიალებს, თუ რა გვარად უნდა მოხდეს ცვლილება და რაში უნდა მდგომარეობდეს. თითქმის ყველანი სწუნობენ და დიდს ნაკლულოვანებას ეხლანდელის სისტემისას იმაში ჰხედვენ, რომ ლათინურსა და ბერძნულს დიდი ადგილი უჭირავს ეხლანდელს კლასიკურ გიმნაზიებში და თითქმის ყველანი თანახმანი არიან, რომ ერთ-ერთი, უფრო ბერძნული, გაუქმებული იყოს და გაუქმებულის მაგიერ გაძლიერდეს ახალის ენების სწავლება. ზოგნი იძახიან, გაუქმდეს ორგვარი გიმნაზიები, ნულარ იქმნება კლასიკური ცალკე და რეალური ცალკე. გიმნაზია ერთგვარი იყოს, ხოლო იმ პირობით, რომ მეხუთე კლასსამდე ერთისა და იგივე პროგრამით იყოს სწავლება, მეხუთიდამ კი განიყოს სწავლება იმ სახით, რომ, ვისაც უნდა, ისწავლოს ლათინური და ბერძნული, ვისაც არა — სწავლება ლათინურისა და ბერძნულისა მისთვის სავალდებულო არ იყოს.

უფრო მეტი წილი მწერლობისა რუსეთში დღეს ამ აზრისაა. ამ აზრის კაცნი ამასაც უმატებენ, რომ რადგანაც ლათინური და ბერძნული ენა საჭიროა მარტო ფილოლოგიის, იურიდიულის და აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტებისათვის და სხვა ფაკულტეტებისათვის —მაგალითად, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებისათვის — თითქმის სრულიად მოუხმარებელია, ამიტომ გიმნაზიებში კურსშესრულებულებს არ უნდა აეკრძალოთ შესვლა უნივერსიტეტში ამ უკანასკნელ ფაკულტეტებზე. რომ არცოდნა ლათინურისა და ბერძნულისა სრულებითაც არ აბრკოლებს მოსწავლე ყმაწვილებს უმაღლესის სწავლების შესაძენად, ამას ამტკიცებს ეხლახან გამოთქმული აზრი პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემიისა. იგი აკადემია იმოწმება, რომ რეალურ გიმნაზიებიდამ შემოსული სტუდენტები დიდის წარმატებით სწავლობენ აკადემიაშიო. თუ სამკურნალო მეცნიერებანი წარმატებით შეიძლება კაცმა ისწავლოს ულათინუროდ, მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას წინ რაღად უნდა აეტუზოს იგივ ლათინური ან ბერძნული?

მართალია, ზოგიერთნი ფრთხილობენ, რომ აწ არსებული სისტემა ხელაღებით და ერთბაშად არ იქმნას დანგრეული, ხოლო ამ სისტემის უვარგისობაზე კი უკვე ყველანი დარწმუნებულნი არიან. ძირიანად აღმოიფხვრება ეს სისტემა და სხვა ახალი აიგება, თუ აქა-იქ შეკეთდება, ამას დრო გამოაჩენს. ასეთს თუ ისეთს ცვლილებას ყველანი საჭიროდ ჰხედვენ და მოუთმენლად მოელიან.

[1899]

29. <შესაწირავი დრამატულ საზოგადოებას>

ტფილისი, 18 ოქტომბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მისმა ბრწყინვალებამ კავკასიის მთავარმართებელმა თავადმა გალიცინმა კეთილ ინება და შესწირა ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას ორასი თუმანი მისდა ქონებითის ღონის გასაძლიერებლად და ჩვენის თეატრის საქმის წარსამატებლად. გუშინწინ მოწვეული იყო მორიგი წლიური კრება დრამატიულ საზოგადოების წევრთა და ამ კრებამ ერთხმად დაადგინა უღრმესი მადლობა საზოგადოების მოახსენოს მისს ბრწყინვალებას განგებ არჩეულ დეპუტაციის პირითა, თუ მისი ბრწყინვალება ამის ნებას უბოძებს, უმორჩილესად სთხოვონ ღირსჰყოს და კეთილინებოსვე საპატიო წევრობა ამ საზოგადოებისა და კეთილინებოს მისის ბრწყინვალების სახელით დაინიშნოს პრემია უკეთეს დრამატიულ თხზულებისათვის ქართულს ენაზე.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არამც თუ მარტო ჩვენი დრამატიული საზოგადოება, არამედ თვითვეული ქართველი ცალკე თუ ყოველივე ერთად მზად არიან თვისი გულწრფელი მადლობა მოახსენონ დრამატიულ საზოგადოებასთან ერთად უხვს შემწირველსა. ეს ამისთანა უხვი შესაწირავი, ჩვენის ქართულის თეატრის გაღონიერებისათვის, დიდმნიშვნელობიანი ამბავია არა მარტო დრამატიულ საზოგადოებისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის

მით, რომ იგი წარმოსდგა ჩვენის ქვეყნის უმაღლეს მართველისაგან. სწორედ ესეთი განსაკუთრებული გარემოება ამ შესაწირავისა ვალად გვდებს გამოვარკვიოთ და თვალწინ დავიყენოთ ამ დიდმნიშვნელობიან საქმის შინაგანი აზრი ჩვენთვის, ქართველებისათვის საერთოდ და ჩვენის თეატრისთვის საკუთრივ.

ეს შესაწირავი, წარმოვლენილი უმაღლეს მართველისაგან, გვანიშნებს არა მარტო იმას, რომ მისმა ბრწყინვალებამ ინება ღარიბს კასსას ჩვენის დრამატიულ საზოგადოებისას ქონება გაუდიდოს და სახსარი მისცეს უფრო მეტის ღონით გაუძღვეს ჩვენის თეატრის საქმეს. რა თქმა უნდა ეს ქონებითი მნიშვნელობა ამ შესაწირავს აქვს თვისდათავად და ვერვინ გაუბათილებს. ხოლო ეს შესაწირავი გვანიშნებს სხვა მეორე მხარესაც და სწორედ ამ მეორე მხრით არის იგი ჩვენთვის უფრო ძვირფასი და უფრო სანუგეშო.

კიდევ ვიტყვით: ჩვენთვის დიდი საქმეა, რომ ჩვენმა უმაღლესმა მართველმა, რომელზედაც ბევრგვარად დამოკიდებულია ჩვენი ქონებითი, გონებითი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი წინსვლა და წარმატება, ინება და უხვი შესაწირავი შეაწია ერთს იმისთანა საქმეს ჩვენსას, რომელსაც საგნადა აქვს გონებითად და ზნეობითად ჩვენი აღმატება, ჩვენი გაწურთვნა და გაფაქიზება. თეატრს სხვა დანიშნულება არა აქვს. ეგ სხვაა, რამოდენად შესაძლებელია უღონო, უსახო თეატრისათვის ამ დიდ დანიშნულების მიღწევა, ხოლო დანიშნულება მისი კი ეს არის და არარა სხვა. ყველა თეატრი ამისათვის იღვწის და ამისათვის არსებობს შეძლებისამებრ. ბატონი მთავარ-მართებელი არა ერთხელ ბრძანებულა ჩვენს ქონებითად უღონო და უსახსრო თეატრში, და ყოველ ამის შემდეგ საჭიროდ დაინახა ხელი გაუმართოს თეატრსა ფულით. რას ჰნიშნავს ეს ჩვენთვის საზოგადოდ?

დაუკვირდით ამ საკითხს და ჩვენთან ერთად უეჭველად იტყვით, რომ ჩვენი გონებითად და

ზნეობითად აღმატება, განკარგება და წინსვლა მის ბრწყინვალებისათვის ისეთივე სანატრელი და საზრუნველი, როგორც ჩვენთვის და ჩვენზე მეტადაც. ჩვენზე მეტად რომ ვამბობთ, ეს გადაჭარბება არ არის. ჩვენის დიდკაცობის გულგრილობა ჩვენის თეატრის მიმართ რომ თვალწინ გამოვისახოთ, მარტო ეს საკმაოა იმის საბუთად, რომ ჩვენი ნათქვამი გადამეტებულად არავის ეჩვენოს.

ასეა თუ ისე, მისის ბრწყინვალების უხვმა შესაწირავმა ცხადად დაგვანახვა, რომ ჩვენი გაჭირება მშვიდობიან წარმატების გზაზე, ჩვენი უღონობა გონებითად და ზნეობითად აღმატებისათვის მისს განათლებულს და თანაგრძნობით სავსეს გულს არამც თუ ეუცხოება, არამედ საზრუნველ საგნად გახდომია და უღონობისაგან ჩვენი დახსნა – სანატრელ საქმედ. ამ შესაწირავის ამბავი და გარემოება უცილობელ საბუთს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ჩვენი მთავარმართებელი მზად არის ხელი შეგვიწყოს და მფარველობა გაგვიწიოს ყოველს იმისთანა მოცადინეობაში, რომელსაც აზრად და საგნადა აქვს ჩვენი მშვიდობიანი, კეთილგონიერი წინსვლა და წარმატება და მით წაგვახალისოს, რომ უფრო მომეტებულის და გაძლიერებულის მხნეობით შევეჭიდნეთ ყოველს საქმეს, მომართულს და აგებულს ჩვენის გონების, ზნეობის და ქონების გაძლიერებისათვის.

ეს არის, ჩვენის ფიქრით, შინაგანი აზრი მისს ბრწყინვალების შესაწირავისა, ამიტომაც თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეგ შესაწირავი უეჭველი თავმდებია იმისი, რომ ყოველივე ჩვენი კეთილი საქმე, ყოველივე ჩვენი კეთილგონიერი და საფუძვლიანი დაწყობილება ჩვენის საზოგადოების მშიდობიანად წინსვლისა და წარმატებისა დიდს მფარველობას და შემწეობას მოიპოვის მისს ბრწყინვალების თავად გოლიცინისას, ვითარცა ჩვენის ქვეყნის უმაღლეს მართველისას. განა ეს ცოტა ნუგეშია ჩვენთვის. ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია გულწრფელის მადლობით მივიღით იგი საყოველთავო ნუგეში და ჩვენის

მოქმედებით დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ მაგ ნუგეშისა, მფარველობისა და ხელის შეწყობისა.

აშკარაა, რაკი მისის ბრწყინვალების გული ასე კეთილსაიმედოდ აღძრულია ჩვენის შემწეობის და მფარველობისათვის, ჩვენ სასოებით შეგვიძლიან მოვილოდინოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი მერმისი იმ პირობით კი, რომ ჩვენც ჩვენის მხრით შევკეცოთ ერთად მთელი ჩვენი ზრუნვა, მეცადინეობა და მხნეობა, რომ ღირს ვიყვნეთ ამისთანა ძლიერის და განათლებულ მფარველობისა. უმაღლესმა მართველმა ჩვენის ქვეყნისამ, მოგვცა რა შემწეობა ფულითა, ამით თითქო გვანიშნა: აი, მე მზადა ვარ, ხელი შეგიწყოთ, თქვენც თქვენის მოქმედებით დაიმსახურეთ ჩემი ხელშეწყობა და შველაო.

აი, სწორედ ნაყოფიერის გზით, ამ სასურველ დამსახურებით უფრო სანატრელია გამოვთქვათ მთელი იგი სიღრმე ჩვენის მადლობისა, რომლითაც აღსავსეა დღეს ჩვენი გული, ამ გზით, ამგვარად გამოთქმული მადლობა უფრო დიდ მნიშვნელობიანია და უფრო საამურიც იქნება თვით მისს ბრწყინვალებისათვის, რადგანაც ყოველი ჭეშმარიტი და გულმტკივნეული მართველი ქვეყნისა მარტო თვისის ღვაწლის და ზრუნვის ნაყოფით ჰხარობს და სიამოვნებს.

[1899]

30. <სიტყვა, წარმოთქმული ევ. ლ. მარკოვისა და ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე>

ნება მიბოძეთ, მეც სხვათა შორის სალამი მოგართვათ ჩემის მრავალტანჯულის სამშობლოს მხარეში, რომელმაც დასასრულ, თავისი მშვიდობიანობა მოიპოვა მფარველობის ქვეშე რუსეთის სულგრძელი ერისა, რომლის წინამძღოლთა შორის გონებითის და ზნეობითის განვითარების და წარმატების გზაზე ერთი უცილობელად თქვენცა ბრძანდებით. გთხოვთ გვწყალობდეთ და გიყვარდეთ ჩვენ, დავიწყებულნი მოქალაქენი რუსეთის ქვეყნისა, ჩვენის საერთო მამულისა. ვამბობთ დავიწყებულნი იმიტომ კი არა, რომ არავის ვახსოვართ, არამედ იმიტომ, რომ არავინა გვცნობს. იშვიათია, რომ რომელიმე რუსს ასჩენოდეს სურვილი და ხალისი იცოდინოს რამ ჩვენი, ჩაიხედოს ჩვენს გულში, გაიგოს ჩვენი გულთნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვიწყას, რაც გვეკუთვნის ყოველს საქმესა და დაწყობილებაში, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში. მე ამას ვამბობ არა ვისიმე საწყენად და საყვედურად, არამედ სურვილით, რომ დაიდგინოს ჩვენს შორის სულიერი კავშირი, რომელიც აღმოიშობება ხოლმე მარტო ურთიერთის გაცნობისაგან.

რა საჭირო დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა

სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისე ცხადია, ისე ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი. თვით სისხლმსმელი მხეცი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის გაჰგლიჯოს ასო-ასოდ ადამიანი, ისიც კი ლბილდება და სიყვარულით და მადლობით შეჰყურებს კაცს, რომელიც უწმენდს და უხვევს წყლულსა, და რა საფიქრებელია, რომ გონიერი სულიერი, რომელსაც მომადლებული აქვს ღვთიური ნიჭი განიმსჭვალოს ზნეობურ აზრითა, გულში მალულად ინახავდეს თესლს მტრობისას, ანუ თუნდ უგულოდ, გულგრილად ექცეოდეს მხსნელს და მფარველს მისდა წმიდათა-წმიდისას, რომელსაც სამშობლო ჰქვიან. ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარს ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ ესმის ყველას კეთილმომქმედი მნიშვნელობა სამშობლოს სიყვარულისა. ამიტომაც მცირედი გამოცხადება ამ სიყვარულისა იმისთანა წყნარ და მშვიდობიან საქმეში, როგორიც ეტნოგრაფიული თვითმყოფელობაა, ჰგონიათ, რაღაც შეუნდობელ

ცოდვად. და ესე ყოველი წარმოსდგება იქიდამ, რომ ჩვენ არ გვიცნობენ. ჩვენ გვიყურებენ და არა გვხედავენ, გვისმენენ და არა ესმით ჩვენი. ამაშია მთელი ჩვენი უბედობა, ამაშია დასაბამი ყოველის ჰო-არაობისა ჩვენს ქვეყანაში.

საბედნიეროდ რუსეთისა და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ერთა, მარტო ამისთანა კაცებზე არ არის შემდგარი საქმე. არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც, რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ჭეშმარიტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაპირა ქვეყნებში. ნება მომეცით, ევგენი ლეონის ძევ, განსაკუთრებულ სიამოვნებით ამისთანა კაცთა შორის დაგასახელოთ თქვენც. თქვენს წერილში კავკასიის გამო თქვენს განათლებულს გულთახედვას არ გამოჰპარვია საჭიროება, ამ დიად დანიშნულებას რუსეთისას განაპირა ქვეყნებში თქვენი მსჯავრი დასდოთ. თქვენ, თქვენდა კუთვნილ დამოუკიდებელ რწმენისამებრ, წარმოსთქვით დიდებული აზრი მოკლედ, მაგრამ ზედმიწევნით, რომ უნდა ვეცადნეთო სიმტკიცე და ძალ-ღონე სახელმწიფოსი დამყარებულ იქმნას ერთსახეობაზე კი არა, ერთსულობაზეო. ეს აზრი მიდგა მე გონების თვალწინ მთელის თავისის შეურყეველის ჭეშმარიტების დიდებითა და ამიტომაც ძლევამოსილობა მისი უეჭველია დღესა თუ ხვალე. მე ვსვამ, ბატონებო, სადღეგრძელოს ამ ნაყოფიერ აზრის მალე განხორციელებისას და მის მახარობელის და მოციქულის ევგენი ლეონის ძის მარკოვისას.

[1899]

31. <პასუხი თ. გ. თუმანოვს>

ტფილისი, 3 ნოემბერი

ჩვენს მკითხველებს მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლოს ხანებში ჩვენს ქვეყანას ეწვია ორი სტუმარი, ერთი მეცნიერი-არქეოლოგი ბარონი დე-ბაი და მეორე რუსთა მწერალი ევ. ლ—ძე მარკოვი. ჩვენს მკითხველებს ისიც მოეხსენებათ, რომ ამ უცხო სტუმართ წვეულება გაუმართეს ჩვენის საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა, კარგა ბლომად ერთად თავმოყრილმა.

არაფერი საკვირველი არა არის რა, რომ ამ შორიდამ მოსულ სტუმრებს მათთა მახლობელ ნაცნობთა და აგრეთვე მათდა მოღვაწეობის ზოგიერთ პატივისმცემელთა წვეულება გუმართეს, რათა თავისი პატივისცემა გამოუცხადონ, თავიანთ ქვეყანაში მასპინძლობა გაუწიონ და შეძლებისამებრ შეაქციონ და მოულხინონ. განა საფიქრებელია, რომ ამ სტუმარმოყვარეობის უწყინარს სურვილს ჭკუათამყოფელი კაცი ვინმე გამოეკიდებოდა და გულიდამ ღვარძლს დაანთხევდა?

საცა ზრდილობა და მართებულობაა, განა საფიქრებელია, კაცმა კაცს უკიჟინოს — სტუმარი რად ისტუმრეო? საცა კაცთა უწყინარის სურვილის და აზრის შეწყნარებაა, განა საფიქრებელია, კაცმა კაცს ნიშნი მოუგოს და წააყვედროს — ამ კაცს რად გაუმასპინძლდი მაშინ, როდესაც ბოგუჩარსკის და მიხაილოვსკის ეგ კაცი სულაც არ მოსწონთო? სადაც სტუმართპატივისცემას და

სტუმართმოყვარეობას ჯერ კიდევ სრულად არ დაჰკარგვია თავისი პატიოსნური აბრუ და სიყვარულიანი, გულკეთილი პურმარილობა, კაცთა შორის ჯერ კიდევ, ღვთის მადლით, პატივსადებია. განა საფიქრებელია, კაცმა სასაცილოდ აიგდოს სტუმარიც და მასპინძელიცა, მერე ოთხკედელშუა კი არა, საჯაროდ, საქვეყნოდ? საამისო რა არის იმ გარემოებაში, რომ სტუმარი მიიღეს, შეძლებისამებრ, ზრდილობით და სიყვარულით დაუხვდნენ და თუნდაც მეტის-მეტი ქებით ცამდეც აიყვანეს?

თურმე ნუ იტყვით, ყოველივე ესე საფიქრებელი ყოფილა, მერე სადა? ჩვენში, ამ ჩვენს დედაქალაქს ტფილისში, სადაც ეგრედწოდებულნი კულტურისანნი ქედმაღლობენ. მერე ვისგან? აქაურ კულტურისან თ. გ. თუმანიშვილისაგან და კულტურისანვე ხეჩატუროვისაგან. პირველმა ბ-ნის ივანოვიჩის პირით დაგვიწუნა სტუმარი ევ. ლ—ძე მარკოვი და კვირის ნომერში გამოაცხადა, — აბა რა კაცია ევ. მარკოვი, რომ მიიწვიეთ და პატივი ეცითო. აი ბოგუჩარსკი, მიხაილოვსკი და სხვანი რა ავად იხსენიებენ მაგ თქვენს მარკოვსაო და თქვენ კი აგიღიათ თავი, მოგიწვევიათ, ერთი დიდი ზეიმი გაგიმართავთ და დიდის ყოფით და ამბით დახვედრიხართო. ამ სახით სტუმარსაც და მასპინძელსაც მტვერ-ბუქი მიაყარეს და ანდერძი აუგეს.

შესაძლოა, ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი სწუნობდნენ ევ. მარკოვსა, ხოლო სასურველია ვიცოდეთ თვით თ. გ. თუმანოვის აზრი ამ საგანზე. დიდი ხანია ვიცით, რომ თ. გ. თუმანოვი ჭკუიანობს და ესე რად განაბულა თვითონ და ბოგუჩარსკისა და მიხაილოვსკის კალთაქვეშ შემძვრალა ბუმბულდაყრილ წიწილასავით, აქ უფრო თბილად ვიქნებიო.

ჭკუით კი ჭკუიანობს თ. გ. თუმანოვი, მაგრამ, საუბედუროდ, საფანელი აკლია. ეს ყველამ იცის და ისიც იცის ყველამ, რომ იგი მარტო სხვისაგან ნასესხის ჭკუითა სცხოვრობს, ჰსულდგმულობს და იცოხნება. ჭკუა იმისთანა რამ არის, რომ, თუ საკუთარი არ გაქვთ, მეტი გზა არ არის, უნდა

სხვისაგან ისესხოთ, რაკი არ დაგიშლიათ და ჭკუიანობაზედ თავსა სდებთ. კარგი ის არის, რომ ჭკუა ძალიან ადვილად სასესხებელია: არც ხვეწნა უნდა, არც ვექსილის მიცემა, არც სარგებლის გაღება და, წარმოიდგინეთ, თავნსაც კი არავინ მოგთხოვთ უკან. ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, ფულის ბანკიც ასე ადვილად და მუქთად იძლეოდეს სესხს, როგორც დალოცვილი ჭკუის ბანკი. ვაი, რომ ესე არ არის. რა იქნებოდა იმ დალოცვილს ყოვლად შემძლებელ ღმერთს ჭკუის ბანკი ფულის ბანკის წესზე აეგო და ფულის ბანკისათვის ჭკუის ბანკის თვისება მიენიჭებინა. მართალია, მაშინ თ. გ. თუმანოვი გაკოტრდებოდა მთელის თავისის „Новое Обозрение“-თურთ, რადგანაც აქაოდა მუქთია და სხვამ არ დამასწროსო, ბევრი ვალი აუღია სხვისა ჭკუისა და საიდამ გარდაიხდიდა ამოდენა ვალის თავნსა და სარგებელსა. ქვეყანა კი ბევრს მოიგებდა. მაშინ არც თვით თ. გ. თუმანოვი შეწუხდებოდა ძალიან. პირიქით ჭერში ქუდსა სტყორცნიდა სიხარულით, რადგანაც ლიბერალია და ლიბერალი ხომ მარტო ქვეყნის საკეთილოდ იღწვის დ საკუთარი თავი დავიწყებული აქვს. ჯანაბას ჩემი თავიო, იტყოდა, ოღონდ მშიერ-მწყურვალთ მუცელი გაიძღონო. განა კოჭებში ვერ შეგიმჩნევიათ, რომ თ. გ. თუმანოვი სხვისათვის ასე თავდადებულია, თუ ამით თითონ არა აკლდება რა, არა ეხარჯება რა.

საკვირველია!.. ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი ისე სწუნობენ ევ. მარკოვსაო. ძალიან კარგი, მერე რომ სწუნობენ? ბ-ნი მარკოვი მწერალი კაცია და საკუთარი ლარი და ხაზი აქვს ასე თუ ისე გავლებული მწერლობაში და, რა საკვირველია, ზოგიერთი სწუნობდეს კიდეც, თუნდაც უფროს-ერთიცა. ხომ შესაძლოა ქვეყანაზე იმისთანანიც იყვნენ, რომ მოსწონდეთ ხსენებული რუსის მწერალი? რადა ჰგონიათ ან ბ-ნ ივანოვიჩს ან თ. გ. თუმანოვს, რომ მთელი ქვეყანა ისე უნდა აზრიანობდეს და ჰფიქრობდეს, როგორც ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი, თუნდაც ესენი ციდამ ვარსკვლავებს

ეზიდებოდნენ? ნუთუ ქვეყანა მარტო ამ ორს კაცზე შესდგა და სხვას თავისი საკუთარი აზრი აღარ უნდა ჰქონდეს და თუ აქვს, განა უნდა ეკიჟინოს? ერთს რათ უნდა გაეხსნას კარი წუნისა თუ მოწონებისათვის და მეორეს კი შეეკრას? ყველას ბოგუჩარსკის და მიხაილოვსკის თავი ხომ არ აბია? შესაძლოა, სხვანი ყველანი სცდებოდნენ ამ ორ კაცს გარდა, ხოლო თვითეულს კაცს ცალკე რად უნდა ჩამოერთვას ნება თავისი საკუთარი აზრი იქონიოს და იგი აზრი ასე თუ ისე გამოაცხადოს, როცა ამის შემთხვევა მიეცემა. და რად სდევნის და მტვერ-ბუქს აყრის ამისთანა საკუთარის აზრის მქონებლთ „Новое Обозрение“ ბ-ნ ივანოვიჩის პირითა: ჰა, ბოგუჩარსკიმ და მიხაილოვსკიმ ასე სთქვაო და თქვენ როგორ გაჰბედეთ და სხვა სთქვითო. ამას ჰქვიან იგი შეუწყნარებლობა სხვისის აზრისა, რომელსაც ეხლანდელ დროში მარტო ბარბაროსი თუ კადრულობს და არა ჭეშმარიტი ლიბერალი, მაგრამ სად ჭეშმარიტი ლიბერალობა და სად თ. გ. თუმანოვი! შუა უზით დიდი ზღვარი,. თ. გ. თუმანოვი ხომ ლიბერალობს, მაგრამ რა ხილია ეს ლიბერალობა ჯერ აქამომდე გემოთ არ გაუღია. იგი ლიბერალურს აზრს ვერ გაუგებს ხოლმე საკუთარის ჭკუით თავსა და ბოლოს იმ დრომდე, ვიდრე ან სხვა არ ჩააგონებს, ან ქვეშ არ მიუწერს, — ეს ლიბერალური აზრია და ღმერთი არ გაგიწყრეს, არ აგერიოსო, ამისი არა ერთი და ორი მაგალითია.

აი, თუნდა ერთი ამისთანა მაგალითი: ამ ტყუილმა ლიბერალმა ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი იმისთანა ავტორიტეტებად წამოგვიტუზა წინ, რომ ფიანდაზად ფეხქვეშ უნდა დაეგოთო ყველანი. ესეც, რასაკვირველია, ერთი დარგია თუმანისებურ ლიბერალობისა. ეჰ, მახლას!.. დრონი მეფობენო, ნათქვამია. რამდენჯერ უკნავლია თ. გ. თუმანოვს, რამდენჯერ უჩხავლია, რომ ეხლანდელ დროში ძირი შეერყა ავტორიტეტობებს, რომ ავტორიტეტების ხელშეუხებლობა, ბრმად რწმენა მათი რეტროგრადობააო და ეხლა მისმა გაზეთმა კი

ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი ავტორიტეტებად დაგვიბრძანა. და გვეუბნება. ისინი ასე ჰფიქრობენ და თქვენ როგორ ჰბედავთ და სხვასა ჰფიქრობთო. ასე, ჩემო მანასეო, ხან ესე და ხან ისეო, ასეთი ორპირობა დღეს სუფთა ვერცხლია. ეხლა, ბატონებო, სხვა ქარი ჰქრის და რად უნდა გვიკვირდეს ასეთი წაჯეგ-უკუჯეგობა?

დავანებოთ თავი ამ სუტ-ლიბერალობას თ. გ. თუმანოვისა და ერთი ვკითხოთ: რა ზრდილობამ, რა მართებულობამ მისცა ნება ამ საუცხოვო ლიბერალს ავად უხსენოს მასპინძელი სტუმარსა, ან სტუმარი დაუწუნოს მასპინძელსა, ვინც გინდ იყოს სტუმარ-მასპინძელი, ცალკე კაცი, თუ მთელი კრებული. ხეჩატუროვმა რომ ჩაიდინოს ამისთანა სიბრიყვე, ვინ რას იტყოდა? ყველამ იცის, რომ არა შესჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. თ. გ. თუმანოვს კი ქვეყანა უნახავს, რიგიან საზოგადოებაში ყოფილა, ზრდილსა და მართებულს ოჯახში გაზრდილა და ეს ხეჩატუროვისებური სიბრიყვე სად და ვისგან მოუპოვებია, სად და ვისგან დაუსაკუთრებია?

დიდი საძრახისი არ არის, რომ კაცი სხვისის ჭკუით იოლად მიდიოდეს, მაგრამ ზრდილობა კი, მართებულობა კი იმოდენად შეთვისებული მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იგრძნოს, რა გაუთლელი და სამარცხვინო სიბრიყვეა, კაცმა შეუგინოს მასპინძელს სტუმარი, ავად უხსენოს, დაუწუნოს და უკიჟინოს, — რად ისტუმრე და პატივი ეცი კაცს, ბოგუჩარსკისა და მიხაილოვსკისაგან დაწუნებულსაო. ნუთუ ესეც ლიბერალობაა! დიაღ, ლიბერალობაა, ხოლო „Новое Обозрение“-სებური, რომელიც მარტო იმაზეა აგებული, რომ გლეხს უნდა უთხრას მობრძანდიო და სხვას კი ყველას — მოეთრიეო, ვერც თ. გ. თუმანოვი, ვერც მისი წამქეზებელი ბ-ნი ივანოვიჩი ამ სამასხარო ლიბერალობაზე წინ ვერ წასულა და მაღლა ვერ აწეულა.

თუ „Новое Обозрение“-მ ამისთანა უზრდელობა იკადრა, რაღა გვეთქმის იმ წერილის

გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო „Тиф. Листок“-ში ვიღაცა „ისტორიკოსის“ სახელით. ჩვენ არ ვიცით, — ვინ არის ეს ხეჩატუროვის თორნეში ახლად გამომცხვარი „ისტორიკოსი“? ჩვენ შორს არ წავალთ. ფრანგები იტყვიან: მითხარ, ვის იცნობ, გეტყვი ვინა ხარო. „ისტორიკოსის“ ნაცნობი ხეჩატუროვი ყოფილა. ჩვენთვის ეს ამბავიც საკმაოა გამოსაცნობლად რა წითელი კოჭიც ბრძანებულა ეს ახირებული „ისტორიკოსი“.

იგი მოგვითხრობს, რომ ბარონ დე-ბაის მიართვეს ყვავილების ჩანგიო, რომელსაც ზედ ეწერა: „მადლობელ კავკასიისაგანაო“. ზრდილობიანი უცხოელი მოერიდა და არ მოჰკითხა რწმუნების წერილი მთელის ამ ქვეყნისა და მეტი რა ექმნა, — მადლობით ჩამოართვა ჩანგი სხვისის სახელის დამჩემებელს მიმრთმეველსაო. აი, ისტორია „ისტორიკოსისა“.

როგორც ჰხედავთ, ეს ახალი ავან-ჩავანი ხეჩატუროვისა დაიცინება და ესე უგემურად რომ არ დაეღრიჭა გაცვეთილი კბილები, არც ასე საზიზღარი და სამარცხვინო იქნებოდა. ერთი ჰკითხეთ ამ ცრუპენტელა „ისტორიკოსსა“: თითონ კი აქვს ბარონ დე-ბაისაგან რწმუნების წერილი, რომ მის მაგივრად გამოსულა და საჯაროდ გვეუბნება: ბარონი დე-ბაი მოერიდა მასპინძლებს, თორემ გუნებაში ედვა, მოეკითხნა მათთვის რწმუნების წერილი მთელის კავკასიისაგან და, რადგანაც სხვა გზა არ იყო, ძალაუნებურად მადლობით ჩამოართვა ჩანგიო. რომელის რწმუნების წერილით მიანდო ბარონმა დე-ბაიმ ამისთანა ვექილობა ამ ვიღაცა მეტიჩარა და არამკითხე „ისტორიკოსსა“, რომელიც ასე გულახდილად ტყუილად იჩემებს სხვისა ვექილობას და სხვისის სახელით საკუთარს სიბრიყვეს ასაღებს.

რა თქმა უნდა, რაკი ხეჩატუროვი, ესე უბრყვილო და ობოლი მარგალიტი კავკასიისა, იქ, წვეულებაში, არ ბრძანებულა, სხვას ვის შეეძლო კავკასიის სახელით ელაპარაკნა ან ჩაედინა რამ. ამისი თქმა ხომ არა ჰნებავს ამ უცნაურს „ისტორიკოსსა“? არც

საკვირველია, რომ ამისი თქმა სდომებოდეს. მაშ რისღა „ისტორიკოსი“ იქნებოდა ხეჩატუროვისა, თუ ამისთანა გუნდრუკს არ უკმევს თავისს მწყალობელსა. განა საისტორიო სახსენებელი არ არის, რომ კავკასიაში უხეჩატუროვოდ მოხდა რაღაც ამბავი და უხეჩატუროვოდვე ვიღაცამ გაჰბედა კავკასიის ხსენება და კავკასიის სახელით რისამე თქმა. უეჭველია, ასე უნდა ვიფიქროთ, იმიტომ, რომ როცა ხეჩატუროვი, ეს პირველი ხარისხის ვარსკვლავი კავკასიისა, ჰლაპარაკობს თავის გაზეთში მთელის სომხობის სახელითა, ეს ჩვენი ძალად „ისტორიკოსი“ არ მოსთხოვს ხოლმე რწმუნების წერილს მთელის სომხობისას. უსათუოდ ამ ჩვენს გზადაბნეულს „ისტორიკოსს“ ისტორიული საბუთები აქვს ხელში იმისი, რომ ხეჩატუროვს ან დაბადებით, ან ჩამომავლობით, ან გვარიშვილობით, ან რაიმე ისტორიულ ღვაწლით ჰრგებია საშურველი და საპატიო უფლება სომხობის სახელით სჭრას და ჰკეროს ყოველივე საჭრელ-საკერავი დღევანდელის დღისა და საჭიროდ აღარა ჰხედავს ამისთანა დიდებულს გვამს ჰკადროს და რწმუნების წერილი სომხობისა მოჰკითხოს. რა თქმა უნდა, არც ჩვენ მოვთხოვთ ამ „ისტორიკოსის“ მიხედვითა და გულწრფელად კი ვიტყვით: ღმერთმა მოახმაროს ხეჩატუროვი თავისს „ისტორიკოსს“. და „ისტორიკოსი“ თავისს ხეჩატუროვსა.

ეს კიდევ დიდი არაფერია, რომ „ისტორიკოსმა“ მიქარა და ბარონ დე-ბაის სახელით ასე საგრძნობელი სიტყვა გულში გვახალა. იგი „ისტორიკოსი“ ამ მართლადა მიქარვას არა ჰკმარობს. იგი თითქო ანიშნებს უცხოელს სტუმარს, როგორ უნდა მოქცეულიყო, როცა ჩანგი მიართვეს, და ამისთანა დარიგებას აძლევს: მე რომ შენს ადგილას ყვოფილიყავ, როცა ჩანგი მოგართვეს, ჩანგს თავში ვახლიდი და ვეტყოდი: თქვენ ვინა ყრიხართ, რომ კავკასიის სახელით მადლობას და პატივისცემას მიცხადებთ-თქო. წაიკითხეთ უკანასკნელნი სტრიქონნი ამ „ისტორიკოსის“ ისტორიისა და დაგვეთანხმებით,

რომ აქ გადაჭარბებული არა გვითქვამს რა, სწორედ ეს აზრი აქვს გამოთქმული, თუმცა ღობე-ყორეს მოდებით კი და არა ესე პირდაპირ.

რა თქმა უნდა, მართლადაც, რომ ჩვენის სტუმრის ადგილას ეს „ისტორიკოსი“ ბრძანებულიყო? სწორედ ასე მოიქცეოდა. მითამდა, — რა ზრდილობა და მართებულობა დაუშლიდა ამ უზრდელობის კვებულსა. სულ სხვაა ზრდილი მართებული ფრანგი ჩვენდა სასიამოვნოდ და ბრიყვთა „ისტორიკოსთა“ სამწუხაროდ. ზრდილობით და მართებულობით გათქმულნი შვილნი მშვენიერის საფრანგეთისანი არაფერში არა ჰგვანან „Тиф. Листок“-ის ცრუპენტელა „ისტორიკოსებს“. თითქმის დაბადებითვე ზრდილმა და მართებულმა ფრანგმა ძალიან კარგად იცის პატივი სტუმრისაც, მასპინძელისაც და პურ-მარილისაც, და უნდა ეოცებოდეს, რომ ზოგიერთნი ბეჭვდურ სიტყვის წარმომადგენელნი ისეთი გაუთლელნი, ისეთი უზრდელნი არიან, როგორადაც ეს ვიღაცა ხეპრე „ისტორიკოსია“.

ვთქვათ, თუნდაც ერთმა ცალკე კაცმა მთელის კავკასიის სახელით ვისმე ყვავილების ჩანგი მიართვა და თან რწმუნების წერილი არ წარუდგინა მთელის კავკასიისა, — ეს რა იმისთანა ცოდვაა, რა იმისთანა დანაშაულია, რომ სტუმარმა მასპინძელს თავში ჩანგი ახალოს და პანღური ჰკრას, შენ ვინა გდიხარო. როგორ მოგწონთ ამისთანა გულახდილობა წინდაუხედავის სიბრიყვისა. ერთი ჰკითხეთ ამ ძალად-„ისტორიკოსსა“: რა გულმა უმოძღვრა, რა კაცობა წაუძღვა წინ, რა ენამ ათქმევინა და რა ხელმა დააწერინა ამისთანა ძირგახეული მიქარვა? რად არ იცის ამ ენაჩლუნგმა „ისტორიკოსმა“, რომ ყველას არ გამოუვლია ზრდილობის სკოლა ხეჩატუროვისა და ეს ზრდილი კულტურისანი მწურთვნელად ყველას არა ჰყოლია. გოტენტოტი, კაცის მჭამელი ბარბაროსიც კი პატივსა სდებს სტუმარ-მასპინძლობას, პურ-მარილობას და სასაცილოდ არც სტუმარს აიგდებს, არც მასპინძელსა, არც პურ-მარილს შეუგინებს ადამიანსა

და აქური კულტურისანთა „ისტორიკოსი“ კი ყოველს ამას საბიაბრუოდ ჰხდის. მეტი უზრდელობა და სიბრიყვეღა გაგიგონიათ?..

დასასრულ, ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: ერთნაირად კუდი რად დასწვიათ „Новое Обозрение“-ს და „Тиф. Листок“-ს, რომ ჩვენ უამათოდ შევიყარენით, ჩვენს ქვეყანაში მოსულნი სტუმარნი მივიწვიეთ და შეძლებისამებრ პატივი ვეცით? ამ ყოვლად უწყინარმა ჩვენმა საქციელმა რაზედ წაუკიდა ცეცხლი ან ერთს დ ან მეორესა? რა მოხდა იმისთანა? ჩვენი პურმარილობა, ჩვენი სტუმართმოყვარეობა ჰშურთ, თუ იმას გვიკიჟინებენ, — საცა ჩვენა ვართ, იქ თქვენ ვინა ყრიხართო, უჩვენოდ როგორ რამე გაბედეთო. ნუთუ მართლა ასე გაგვიხდა საქმე, რომ თ. გ. თუმანოვს და ხეჩატუროვს ამისთანა შემთხვევაში უნდა დაეკითხნეთ ხოლმე და უიმათოდ არც სტუმარი ვიცოდეთ, არც პურ-მარილი, არც ვინ ვაქოთ და არც ვინ ვაძაგოთ?

დასასრულ კიდევ ვიტყვით. გაგონილა ამისთანა უზრდელობა, რომელიც ზემოხსენებულ ვაჟბატონებმა ჩაიდინეს. მაგრამ რა? მათი რა ბრალია? ამათი რა გადასახადია? ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„ცემა გმართებთ გამზდელისა
თუ ყრმა ჰნახოთ ავად-
ზრდილი“

[1899]

32. ასის ფლის ფინათ

(პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში)

11-ს იანვარს 1798 წელს თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე. საქართველოს სამეფო ტახტზედ ავიდა მისი უფროსი შვილი გიორგი. საქართველო, დამარცხებული აღა-მაჰმად-ხანისაგან მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ ვერ იყო გამობრუნებული. ტფილისი, ეს ჩვენი სატახტო დედაქალაქი, აკლებული და აოხრებული, ჯერ კიდევ რაღაც დარღვეულსა და დანგრეულს ქვეყანას წარმოადგენდა. ჯერ გამრთელებული არ იყო იგი საშინელი წყლული და ჭრილობა, რომელიც ეწვია ჩვენს ქვეყანას აღა-მაჰმად-ხანის უწყალო და შეუბრალებელ ხელითა. ჯერ კიდევ გამოგლოვებულნი არ იყვნენ დახოცილნი და გაჟლეტილნი დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, სისხლისმსმელ სპარსთა ყეენისაგან.

დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ. სპარსეთი უწყრებოდა საქართველოს, რატომ ჩემთან არ იჭერ საქმეს და ჩემს მფარველობის ქვეშ არ ეძიებ შენს დღეგრძელობას და კეთილდღეობასაო. ამასვე უწყრებოდა ოსმალეთი და ახალციხიდამ მოსვენებას არ აძლევდა ქართლსა.

ერთი სახელმწიფოც და მეორეც თავისთვის გამოელოდა საქართველოს. ერთსაც და მეორესაც ჰსურდათ საქართველო, თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ, თავისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და მით მაგრად მოეკიდნათ აქ ფეხი. გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი აბრუს გატეხა და თითქმის დაქვეითება დასავლეთ და მცირე აზიაში — ერთი იყო.

როგორც სპარსეთმა, ისეც ოსმალეთმა კარგად იცოდა რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივე სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდამ აზიაში შემოსევისათვის დასაკეტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამობდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თვითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა. აზიაში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ეცილებოდა პირველობასა და ბატონობას და ამიტომ ერთმანეთზე ალურსებული იყვნენ და ერთმანეთს შორს უდგნენ.

ეს ორმხრივული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო, თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ

ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ საქართველო, ასე თუ ისე, როგორც იყო, იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა. წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილოკავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. აღა-მაჰმად-ხანის მოსევა და თავდასხმა 1795 წელს — რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალოც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია.

გულკეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგი როგორ გაუძლებდა ამისთანა გარემოებას და როგორ გაუძღვებოდა გაჭირვებულს სამეფოს, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის აოხრებისაგან ჯერ კიდევ არ გამობრუნებულიყო, არ გამორკვეულიყო და წყლული არ გამრთელებოდა. ამას დაურთეთ ის ამბავიც, რომ ლეკნიც კი გაუთამამდნენ უღონოდქმნილს მეფეს და, ახალციხის ფაშის წაქეზებით, ხან აქ იკლებდნენ ქვეყანას, ხან იქ. გარდა ამისა, შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო. ცალკე ქვრივი დედოფალი დარეჯანი, ცალკე ძმები აეშალნენ, ყველანი თავის-თავისაკენ იწევდნენ და მეფეს ეურჩებოდნენ. სამეფო სვე-ბედი ხელში სათამაშოდ გაიხადეს და საწყალ მეფე გიორგის რა უნდა ექმნა ასეთს მდგომარეობაში: გარეთ მტრისათვის გაეცა პასუხი, თუ შინ გასძღოლოდა შუღლსა და ცილებას დედინაცვლისას და ძმებისას. ყოველ ამას შავი ჭირიც დაერთო და მთელი ქვეყანა შეაძრწუნა და სასოწარკვეთილებას მისცა.

თვითოეული ზემოხსენებული უბედურება ცალკე საკმაო იყო, რომ მეფე და სამეფო განწირულებაში ჩავარდნილიყო და სულ ერთად ხომ ზედმოსეული — ერთ დიდ და უძლეველ უბედურებად შეიქმნა.

იქნება მეფე გიორგი შინაურს არეულობასა და უბედურობას კიდევ როგორმე გასძღოლოდა, თუ გარედამ მტრის შიში მაინც არა ჰქონოდა. მაშინ აღა-მაჰმად-ხანი ცოცხალი აღარ იყო და მის მაგიერ სპარსეთის ტახტი დაიჭირა ბაბა-ხანმა. ბაბა-ხანი შუშისა და განჯის ხანებს ზედ მისეოდა, მათის სახანოების დაპყრობა უნდოდა და მერე აპირობდა საქართველოს თავს დასხმოდა, ოსმალეთიც ახალციხიდამ იმუქრებოდა.

სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად.

მეფე გიორგიმ აღარ დააგვიანა საქმე, მას უკვე გაგზავნილი ჰყვანდა პეტერბურგში რწმუნებული მოციქული თ. გარსევან ჭავჭავაძე, რათა აუწყოს იმპერატორს პავლე პირველს თავისი სამეფო ტახტზე ასვლა და საქართველოში გამეფება. მეფე გიორგიმ 11-ს ოქტომბერს 1798 წელს ზედ მიადევნა თხოვნა იმპერატორ პავლესათვის მისართმევად. თითონ გარსევან ჭავჭავაძე წარსდგა იმპერატორის წინაშე და მოახსენა: „დიდო იმპერატორო, მფარველო და შემწეო ქართლ-კახეთის სამეფოთაო! მოგართმევ რა თხოვნას, მე, უერთგულესი ქვეშევრდომი თქვენის

იმპერატორების დიდებულებისა, ღირს ვიქმენ ჩემთა მეფისა გიორგი ერეკლეს ძისაგან და ყოველთა მისსა სამფლობელო ერთაგან — დავემხო ფეხთა ქვეშე თქვენის იმპერატორების დიდებულებისა და ჩემდა მოვალეობისამებრ გავბედო გთხოვოთ — ბედნიერი ჰყოთ ხელმწიფე ჩემი და დაუმტკიცოთ მეფობა საქართველოსი, როგორც კანონიერ მემკვიდრესა, შეჰმოსოთ სამეფო ნიშნებითა და განაგრძოთ მისდა და მისთა ერთადმი თქვენი მოწყალება. მიიღეთ ეს ჩემმიერ მორთმეულნი თხოვნანი და ღირს ჰყავით თქვენის დიდებულის ყურადღებისა".

შემდეგ თ. გარსევან ჭავჭავაძეს მეფე გიორგიმ დაავალა წარუდგინოს იმპერატორს მეორე თხოვნაც შესახებ იმისა, რომ მემკვიდრედ დაუმტკიცოს დავით ბატონიშვილი და შემდეგისათვისაც აღთქმულ იქმნას, რომ შთამომავალნი ჩემნი საუკუნოდ და შეურყევლად მეფობდნენ საქართველოში და არავინ სხვა არ ერეოდეს ჩემს შინაურ საქმეთა განკარგულებაში, და როგორც ჩემთ თავადაზნაურებთან, ისეც სხვა ქვეშევრდომებთან საქმე არავის არა ჰქონდეს რაო. ამასთან მეფე გიორგი აუწყებდა იმპერატორს პავლეს, რომ წინაპარნი ჩემნი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და მეც ჩემის მხრით აღთქმასა ვსდებ, რომ ქვეშევრდომობის ერთგულებაში მე ჩემს წინაპრებს აღვემატოო და ითხოვდა — ნება მიბოძეო, მიწერ-მოწერა პირდაპირ პეტერბურგთან ვიქონიო ჩემის მინისტრის თ. ჭავჭავაძის საშუალებითაო, რადგანაც სხვა გზით საქმეთა სვლა ყოვნდება და გვიანდებაო. მეფე გიორგი სთხოვდა იმპერატორს პავლეს სამი ათას რუსის ჯარისკაცს, შეჭურვილს სათანადო იარაღით და ყოველ სამხედრო კუთვნილებითა. ამის თაობაზე გიორგი მეფე სწერდა იმპერატორს პავლეს: „როცა თქვენი ძლევამოსილი ჯარი საქართველოში ყოფილა, ყოველთვის ბოროტნი კაცნი რაღაცეებს იგონებდნენ და სამდურავს და შუღლს აჩენდნენ თქვენისა და ჩვენის ჯარის უფროსთა შორის, ამიტომ გთხოვთ, უბრძანოთ აქ გამოსაგზავნ ჯარის უფროსს, მარტო ჩემთან იქონიოს საქმე, ანუ ჩემმიერ

რწმუნებულთანო". დასასრულ, მეფე მოახსენებდა იმპერატორს პავლეს, რომ ჯერ ჩემ ყმაწვილობაშივე მსურდა პირად ხილვა რუსეთის თვითმპყრობელისა, მაგრამ მრავალი გარემოება მიშლიდაო. „დღეს-კი, — ამბობს მეფე გიორგი, — თქვენა გხადით ჩემდა ხელმწიფედ და ვსასოებ, რომ თქვენდა მიმართ გამოწვდილნი ხელნი ჩემნი უკუქცეულ არ იქნებიანო".

მინამ თ. გარსევან ჭავჭავაძე თავისს მოციქულობას აასრულებდა და დრო ამ მიწერ-მოწერაში გადიოდა, მეფე გიორგის დღედადღე უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე. ლეკები სადავლოდ დაუსჯელად ჰთარეშობდნენ. ახალციხის ფაშა ქართლს წამდაუწუმ შეესეოდა ხოლმე და იკლებდა, საცა კი ხელი მიუწვდებოდა. მართალია, იმპერატორმა პავლემ უბრძანა თავისს ელჩს სტამბოლში, რომ სთხოვოს სულთანს, არ აწიოკოს საქართველო, მაგრამ ახალციხის ფაშა მაინც თავისას არ იშლიდა და ლეკებსაც გზას აძლევდა და ხელს უმართავდა, სადავლოდ საქართველოში ეთარეშნათ. არც სპარსეთის მუქარა და მტრობა ასვენებდა საქართველოს. ასეთმა გარემოებამ დიდს საფიქრებელში ჩააგდო მეფე გიორგი, მით უფრო, რომ რუსეთიდამ ჯერ გარდაწყვეტილი არა იცოდა რა. სხვა გზა არ იყო, უნდა აეჩქარებინა თ. გარსევან ჭავჭავაძე, რომ საქმე მალე გაათავოს და ჯარი რუსეთისა მოაშველოს და ამასთან სთხოვოს, რომ მეფეს ნება მიეცეს, თითონ ამოქმედოს ჯარი იქ, საცა საჭიროება მოითხოვს.

იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს, მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეშვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა თავისის

არტილერიით და ასი ცხენოსანი ყაზახი ზედ დაუმატოს. ეს ეგერის პოლკი იდგა მაშინ მოზდოკში.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ 1783 წელს მეფე ერეკლესთან შეკრულ პირობის ძალით, საქართველოს მეფის კარზე რუსეთს უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებული რწმუნებული მინისტრი. 1799 წლამდე, სხვადასხვა გარემოების გამო, ეს პირობა შეუსრულებელი დარჩა და იმპერატორმა პავლემ, თ. გარსევან ჭავჭავაძის თხოვნით, გააღვიძა ეს პირობა და რწმუნებულ მინისტრად დანიშნა სტატსკი სოვეტნიკი კავალენსკი, რომელსაც, სხვათა შორის, ებრძანა, რომ საქართველოს ერის სიყვარული და ნდობა მოიპოვეო.

1799 წ. მაისში კავალენსკი წამოვიდა პეტერბურგიდამ და მკათათვის ბოლოს მოვიდა ყაზახის სოფელს ნაურში, საცა იმყოფებოდა კნორრინგი, მაშინდელი მთავარმმართველი ჩრდილოკავკასიის ჯარებისა; აქედამ კავალენსკიმ აუწყა მეფე გიორგის, რომ მოდის საქართველოში და თან მოჰყავს დაპირებული ჯარი. კნორრინგმა თავისის მხრივ ბრძანება მისცა ლაზარევს, მზად იყავ შენის პოლკით და არტილერიით საქართველოში წასასვლელად, მოიმზადე ათის დღის სურსათი, რომ, როცა საჭირო იქნეს, ერთის საათითაც არ დაყოვნდეო.

კავალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ დამამტკიცებელი გრამოტა მეფე გიორგის სახელზე. გრამოტა იგი არის დაწერილი 18 აპრილს 1799 წელს. იმპერატორი პავლე იწერებოდა: „მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის მესამე მუხლის ძალითა გამტკიცებთ დღეს თქვენ საქართველოს მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენდა მემკვიდრედ თქვენს შემდეგ“. ამასთან იმპერატორმა პავლემ გამოატანა კავალენსკის სამეფო სამკაულები და სამეფო ნიშნები: 1. ოქროს სამეფო გვირგვინი, შიგადაშიგ ძვირფასის თვლებით შემკული; 2. სკიპტრა, ძვირფასის ქვებითვე მოჭედილი; 3. ხმალი, ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემოსილი;

4. სამეფო პორფირი ყარყუმის ბეწვისა, შვინდისფერ ხავერდის საპირეთი, მასზედ ქარგით ნაკერი გერბი რუსეთისა და საქართველოსი; 5. თეთრი დროშა ორთავიან არწივითა, შუაგულში რუსეთის გერბი ჰქონდა; 6. სამეფო ტახტი შვინდისფერის ხავერდით გადაკრული, პრტყელის ოქრომკედის არშიებითა და ოქრომკერდისვე დიდრონ ფოჩებით მორთული და ამისთანავე სამი ბალიში; შუაგული ტახტისა ეჭირა საქართველოს გერბსა და აქედ-იქიდამ რუსეთის გერბს; 7. ტახტთან ერთად ორი პატარა სტოლი, ხავერდითვე გადაკრული და ოქრომკედით მორთული; თვითოეულ სტოლისათვის თითო ბალიში, რომელზედაც დადებულ უნდა ყოფილიყო სამეფო ნიშნები: ერთზე გვირგვინი და სკიპტრა, მეორეზე ხმალი და უმაღლესი გრამოტა; 8. სამი ორდენი, ალმასებით შემკული, ერთი წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა — მეფე გიორგისათვის, მეორე დიდ წამებულის ეკატერინესი — დედოფალ მარიამისათვის, და წმინდა ანნას პირველ ხარისხისა — მემკვიდრე დავით ბატონიშვილისათვის.

ყოველ ამას გარდა, იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა კავალენსკის ხელითვე ძვირფასი ნევთები მარიამ დედოფალსა, ბატონიშვილებსა, კარის ეკლესიის მღვდელს, სიძეს მეფისას მუხრან-ბატონს და სიმამრს მეფისას თ. ციციშვილს.

მეშვიდმეტე ეგერის პოლკი ლაზარევისა ბრძანებისამებრ მზად იყო საქართველოში წამოსასვლელად. თან უნდა გამოჰყოლოდა თვით კავალენსკიცა, რომელსაც უნდა წამოეღო პავლე იმპერატორის მიერ გამოტანებული ნივთები. დასასრულ, 19 ოქტომბერს 1799 წელს, კნორრინგმა კვლავ ინახულა ხსენებული პოლკი, კმაყოფილი დარჩა და მეორეს დღისათვის ბრძანება მისცა გასულიყო თერგსა და გზას შესდგომოდა. მეორე დღეს, ბრძანებისამებრ, პოლკი თავისის ადგილიდამ დაიძრა, გამოვიდა თერგს და წამოვიდა ტფილისისაკენ. კნორრინგმა მისცა დარიგება ლაზარევს, როგორ უნდა მოიქცეს და, სხვათა

შორის, აუწყა უმაღლესი ბრძანება: „ლაზარევის პოლკი მივა თუ არა ტფილისში, მეფე გიორგის იმისთანა პატივით უნდა შეეგებოს როგორც წესდებით მე, იმპერატორს, მეკუთვნის, იმავე წესით სასახლის მცველნი დაუყენოს. მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს პოლკი საპარადოდ განწყობილ იქნას და ბატალიონებად დამწკრივებულ. როცა მეფე გიორგი შევა ეკლესიაში და გამოვა, ჯარმა შესაფერი პატივი მისცეს“.

დიდი წვალება გამოიარა რუსის ჯარმა, რაკი კავკასიის მთებში შემოსდგა ფეხი. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებობა, — ყოველივე ეს ერთად აბრკოლებდა ჯარს. ზარბაზნები და სხვა არტილერიის კუთვნილებანი ზოგან ხელდახელ და ზურგით გადმოჰქონდათ ჯარისკაცებს, რადგანაც სხვანაირად ვერა ხერხდებოდა. როგორც იყო, ჯარმა ყოველს დაბრკოლებას სძლია, გადმოიარა მთები და გადმოხედა არაგვის ხეობის დაბლობებს. აქ ჯარს მიეგება ბატონიშვილი ვახტანგ, მიაგება ოთხმოცი ულელი ხარ-კამეჩი, გამომცხვარი პური და სხვა სურსათი, ტფილისამდე გზადაგზა სხვადასხვა ადგილას ორმაცაათათი საპალნის საზიდი ცხენი მოუმზადა. ამ სახით იარა ჯარმა მთელი თვე და ექვსი დღე და როგორც იყო მოუახლოვდა ტფილისსა. ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთი ჯარის დასახვედრად და მისაღებად. ჯარს მოელოდნენ ტფილისში 26 ნოემბერს. მთელი ქალაქი აიშალა და გარეთუბანს და ვერაზედ გავიდა და აქ ელოდებოდა ჯარის მოსვლას.

მეფე გიორგიც გაეგება თავისის ამალით. თან ახლდნენ მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, სხვა ბატონიშვილები, გამოჩენილნი მოხელენი საერონი და სამღვდელოებისანი და მთელი დიდკაცობა ტფილისისა. ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა.

ბოლოს, მოვიდა ჯარიცა. მეფე გიორგი თითონ წამოუძღვა წინ და შემოიყვანა ტფილისში. სიხარულის კიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა. კავალენსკიმ ამრიგად აუწყა კნორრინგს რუსის ჯარის შემოსვლა ტფილისში: „ჯარი, დასასრულ, მოვიდა ტფილისს; მოსვლისას იგი წარმოადგენდა სასიამოვნო სანახავსა თავისის წყობითა და წესრიგიანობითა. სამის ვერსტის მანძილზე დიდის ყოფით მოეგებნენ ჯარს, იმ წესით, როგორაც წინათვე დავაწყეთ მისმა უმაღლესობამ მეფე გიორგი და მე. მეფე მთელის თავისის წარჩინებულ საერო და სამღვდელო დიდკაცობით მიეგება ჯარს. სახლის ბანები სულ მთლად სავსე იყო თეთრჩადრიან ქალებითა, კაცს ეგონებოდა მთელ ქალაქში მოფენილია კარვები ბანაკისაო. ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ამ დღესასწაულს აძლიერებდა, და სიხარულის კიჟინა ერისა, მოძრაობა და თვით ცრემლი, ნამეტნავად დედაკაცობისა, აგვირგვინებდა იმ ტკბილად საგრძნობელ სურათსა და უტყუარს ერთგულებას ჩვენდამი ერისას“.

მეფე გიორგიმ, გახარებულმა — რომ სასურველი აუსრულდა, ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ ჯარი კარგად დაებინავებინა და სურსათი საკმაო და რიგიანი ჰქონოდა. შემოსვლის მეორეს დღესვე ჯარს გაუგზავნა ხუთ საპალნემდე ღვინო და რვაასი ცალი ხმელი თევზი, გარდა ამისა, რაც ულუფად განწესებული იყო. აფიცრებს სადგომად თავისი სასახლე უთავაზა, ხოლო აფიცრებმა არ ინდომეს მეფის შეწუხება და დიდი მადლობა გადაუხადეს ამისთანა გულმტკივნეულ თავაზიანობისათვის.

ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს

ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ.

[1899]

33. <ინგლისისა და ტრანსვაალის ომი. პოლიტიკური ვითარება ევროპაში>

ტფილისი, 1 დეკემბერი

საოცარს სანახაობას წარმოადგენს დღევანდელი ომი ინგლისისა და ტრანსვაალისა...

გოლიათი ინგლისი, ეს დიდი და უშველებელი ზღვათა მფლობელი იმპერია ერთი მუჭა ერს მიესია და არამც თუ ვერა გაუწყია რა, ჯერ მარცხის მეტი არა უნახავს რა. მთელს ქვეყანას უკვირს და ეოცება ამ ერთი მუჭა ერის ვაჟკაცობა, მხნეობა და საომარი მომზადებულობა. დიდი თუ პატარა სულგანაბვით ელოდინება ყოველ დღეს ამბავს ტრანსვაალში სისხლის ღვრისას. სხვა ყოველივე ამბავი სამსოფლიო მოქმედებისა თითქო შესდგაო და ელის, აცა, რით გათავდება ეს საოცარი ომი, საცა ერთის მხრით გამარჯვებული ქონდრისკაცია და მეორეს მხრით დამარცხებული გოლიათი, ძლიერი ცოდნით, ხელოვნობით, ხელოსნობით. სიმდიდრით და ყოველ იმითი, რითაც ძლიერნი არიან ეს უკანასკნელნი დღენი მეცხრამეტე საუკუნისანი.

მაშინ, როდესაც მთელის ქვეყნის თვალი იმ ომზეა მიპყრობილი და სხვა ამბებისათვის კაცს თითქმის გული აღარ უცემს, სამსოფლიო ისტორიის მოედანზე ერთმა იმისთანა საქმემ გამოსდგა ფეხი, რომელსაც მომავლისათვის დიდი შედეგი აქვს: გერმანიამ ლამის ხელთ იგდოს მთელი მცირე აზია და გზა ხმელთაშუა ზღვიდამ სპარსეთის ზღვამდე, ლამის, მარტომ დაინარჩუნოს. ეს ამბავი სხვა დროს რომ მომხდარიყო, სახელდობრ მაშინ, როცა ევროპის

დიდ სახელმწიფოთა გული გულის ადგილას ჰქონებიათ და დღევანდელსავით ერთმანეთში ესე ახლართულ-ჩახლართულნი არ ყოფილან, მაშინ არა გვგონია, გერმანია ომსა და სისხლის ღვრას გადარჩენოდა. მაშინ ასეთი გაძლიერება გერმანიას მცირე აზიაში ძნელად თუ უომრად და სისხლდაუღვრელად ჩაუვლიდა. რაც აქამომდე ოსმალეთთან ვისმე ომები ჰქონია, ან ამ ომებში ოსმალეთს ვინმე მიმხრობია, ამისი მიზეზი, სხვათა შორის, მცირე აზიაცა ყოფილა.

არც საკვირველია. ვინც გეოგრაფიული მდებარეობა იცის მცირე აზიისა, ის მიხვდება, — ეს ქვეყანა რა განძიც არის მისთვის, ვისაც სამსოფლიო ბაზრისაკენ გზის გახსნა ჰსურს და ვის არა ჰსურს ეხლანდელ დროში, როცა ინგლისი, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და თითქმის ავსტრო-ვენგრიაც კი, სხვას აღარ ვიტყვით, თვალგაფაციცებით ეძებენ ბაზრებს, რადგანაც აუარებელ სავაჭრო საქონელს ამზადებენ და ვეღარ გაუსაღებიათ ევროპაში. მცირე აზია, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთით შავი ზღვა უდევს, სამხრეთ-დასავლეთით ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით სპარსეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით უბე სპარსეთის ზღვისა, რომელიც ინდოეთის ოკეანეში გადის, ყველაზე მოკლე გზაა ევროპიდამ ინდოეთის ოკეანეში გასასვლელი და აქედამ მთელს შორეულს აღმოსავლეთსა და ამერიკაში. ამ სახით ხმელთაშუა ზღვისათვის და, ბოლოს, სპარსეთის ზღვის უბესათვის და აქედამ სპარსეთის ზღვით ინდოეთის ოკეანეს სწვდება, დიდი სახარბიელო ლუკმაა თვითოეულ ევროპის სახელმწიფოსათვის. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ვინც ასე თუ ისე ამ ქვეყანაში ფეხმოკიდებული იქნება, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებს მთელს სპარსეთსა და სხვა ახლო-მახლო მდებარე მოსაზღვრე ქვეყნებზე.

გერმანია კარგა ხანია იმ ყოფაშია, რომ მიწა-წყლის სივიწროების გამო მკვიდრნი მისნი იძულებულნი იყვნენ გახიზნულიყვნენ უფრო ამერიკაში. გერმანელი დროთა განმავლობაში

ჰკარგავდა თავისს ეროვნულს ვინაობას, ივიწყებდა სამშობლოს და არავითარი ურთიერთობა გერმანიასთან აღარა ჰქონდა რა. რა თქმა უნდა, გერმანიის სვე-ბედის გამგებელნი სწუხდნენ ამისთანა ამბის გამო და ჰფიქრობდნენ ამ აუცილებელს გახიზვნას სამშობლოდამ იმისთანა გზა მისცენ, რომ გერმანელი მაინც გერმანელად დარჩეს და არა მოიშალოს თავისს ქვეყანასთან და ერთან ურთიერთობა. ამისათვის საჭირო იყო აეჩინათ საახალშენოდ იმისთანა ადგილები, რომ, რაც შეიძლება, ახლო იყოს გერმანიასთან და გარშემო არც იმისთანა ერი ეხვიოს, რომ თავისის კულტურის და ცივილიზაციის ძლიერებით გადააგვაროს. ამისთანა ქვეყანა მცირე აზია არის, საცა არც ერია საშიში თავისს კულტურის აღმატებულობით და თავისუფალი ადგილებიც საკმაოა.

არ ვიცით დიპლომატიის მოხერხებით, თუ სხვა რამ შინაურ თუ გარეულ მიზეზით, 1856 წ. სულთანის მიერ კანონი დაიდვა, რომელმაც ოსმალეთში შესახიზნებლად კარი კარგა ფართოდ გააღო. ამ კანონით იმას, ვისაც გადმოსახლება ჰსურს ოსმალეთში, ეძლევოდა იჯარით ადგილ-მამული თვრამეტის წლით და მას შემდეგ საკუთრებად რჩებოდა. გერმანელებსაც ეს უნდოდათ. მთავრობამ აღარც აცია, აღარც აცხელა და შეუდგა ცდას, რომ, რაც შეიძლება, ბევრს მისცეს ღონისძიება ოსმალეთში გადასახლებისა. მთავრობა ამისათვის არაფერსა ჰზოგავდა, ფულსაც კი აძლევდა, ოღონდ გადადით და საახალშენოდ ადგილები დაიჭირეთ ოსმალეთშიო. რა თქმა უნდა. ცალკე უადგილ-მამულობამ, ცალკე ასე მთავრობისაგან ხელშეწყობამ ბევრს აუშალა საღერღელი. გადამსახლებელთა მცირე აზია აირჩიეს საახალშენოდ და იქ დასახლდნენ. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ ახალ ბინაზე ცხოვრება. მერე და მერე გამოკეთდნენ. მას მერმედ ხომ, როცა ანატოლიის რკინიგზა გაიყვანეს გერმანელებმავე, ეს ახალშენები სწორედ აღყვავებას მიეცნენ.

1898 წ. გერმანიის ეხლანდელმა იმპერატორმა მოიწადინა მცირე აზიაში წაბრძანება ვითომდა იერუსალიმის და მისს მოდამოების სანახავად. იქნება ამისი სურვილიცა ჰქონდა, ხოლო თვისთა ქვეშევრდომთა ახალშენებიც დიდი დაკვირვებით ინახულა. მეტად კმაყოფილი დარჩა, რომ ახალმოშენეთა მხნეობას, გარჯას, ცოდნით საქმის დაჭერას ბევრი რამ კარგი შეუქმნია და ამასთან არ დავიწყებიათ თვისი ენა, არც ეროვნული ვინაობა, არც თავისი ერი და ქვეყანა და გერმანიის მიმართ მამულისშვილობით გამსჭვალულნი არიან. ბევრმა დაუწუნა მაშინ იმპერატორს ეს მოგზაურობა, ბევრიც იცინოდა — ეს რა ყმაწვილობა მოსდისო, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ იმპერატორმა თავისი განზრახული ლარი და ხაზი გაიტანა, რაკი საქმეს თავისის თვალით შიგ ჩახედა და იცნა, რა ბოღაზია გერმანიისათვის სამერმისოდ და საბოლოოდ მცირე აზია.

იმპერატორმა ბევრგვარად მოუქონა თავი არამც თუ ფადიშაჰს, არამედ მთელს მუსლიმანობას, მოინადირა სულთანი და მისნი ქვეშევრდომნი და ბოლოს ხომ საბერძნეთთან ომის დროს დიდი მომხრეობა გაუწია და მთელი ქრისტიანობა ააყაყანა. გარნა იგი არავის შეუშინდა, მან ყური არავის ათხოვა და დღეს ხელთ იგდო ბრძანება სულთანისა, რომლის ძალითაც გერმანელთ მიეცა ნება კონი-ბაღდადის რკინის გზა გაიყვანონ და მერე განაგრძონ თვით სპარსეთის ზღვის უბემდე, საცა ბასსარა არის. ამ სახით გერმანია არამც თუ ხელთ ჩაიგდებს მცირე აზიას საახალშენოდ, არამედ ყველაზე მოკლე გზასაც ინდოეთის ზღვაში გასასვლელს ხმელთაშუა ზღვიდამ, ესე იგი, ევროპიდამ.

ეხლა ევროპაში თვითეულს დიდს სახელმწიფოს თავისი ცალკე ჭირი და ვარამი აქვს შინ თუ გარედ და ერთმანეთში ისე ჩაწნულ-გადაწნულნი არიან, რომ ამ საქმისათვის ვერ მოუცლიათ როგორც რიგია. ზოგიერთი დღესაც ბევრს იცემს თავში, გერმანიის გაძლიერებას მცირე აზიაში რომ ჰხედავს, მაგრამ

„წამხდარს საქმესა რას არგებს მერეღა თითზე კბენანი“.

საქმე კი თავისდათავად დიდი საქმეა. ბოლო გამოაჩენს ამას. უეჭველია, მთელი მცირე აზია ამის შემდეგ მთლად მოიფინება გერმანელთა ახალშენებით და გერმანია, რომელიც იქამდე სულ ამას იძახდა, — მე მახლობელ აღმოსავლეთის საქმეში ჩასარევად არაფერი ინტერესი არა მაქვსო, ეხლა ამას ვეღარ იტყვის, ეხლა მიზეზიც და ინტერესიც დიდი ექნება. ჯერ ერთი, რომ ხელში ეჭირება ყველაზე მოკლე გზა სავაჭრო საქონელის გასაზიდი ევროპიდამ მთელს აზიასა და ამერიკაში და ამით დიდს მეტოქობას გაუწევს დიდს გზას ციმბირისას, რომელიც ეხლა შენდება და რომელსაც კარგა ბარაქიანად მოაკლდება საქონელი აზიის და ამერიკის ბაზრებისათვის მისაწვდენი. მერე კი, რაკი გერმანია თავისის ახალშენებით და ამ კონი-ბაღდად-ბასსარის რკინისგზის მეოხებით შიგ ჩადგება მცირე აზიაში და ფეხს მოიმაგრებს, დიდს პოლიტიკურს ზედმოქმედებას იქონიებს სპარსეთზე, მცირე აზიის ახლო-მახლო მოსაზღვრეებზედ და მათს ისტორიულ სვებედზე. დღეს აქამომდე გერმანიას, მართლა, არა ეწადა რა და ამას იქით კი იქნება ქვაც არ გადაბრუნდეს მცირე აზიაში გერმანიის დაუკითხავად და უნებურად. ჩვენ ესეც გვგონია, რომ დღეის ამას იქით ეგრედწოდებული მახლობელ აღმოსავლეთის საქმე თავისს ადგილს იცვლის, რადგანაც, ჩვენის ფიქრით ნასკვი ამ მახლობელ აღმოსავლეთის საქმისა, როგორც აშკარადა სჩანს, დღეს მცირე აზიაში ინასკვება.

[1899]

34. ომი ბურებთან

ტფილისი, 15 დეკემბერი

თავმოწონებას ინგლისისას დიდი თავზარი დაეცა. ეს მართლადა ძლიერი სახელმწიფო, ეს მდიდარი, ჭკუიანი, განათლებული და თამამი ერი ლამის დამარცხდეს ტრანსვაალის „ტეტიებისაგან“, როგორც დაცინვით ინგლისელნი უწოდებდნენ სამხრეთ-აფრიკაში დაბინავებულ ჰოლანდიის გლეხობას, რომელიც დღეს გულდაგულ წინ აღუდგა და ინგლისს გამარჯვებით ეომება. მარცხი მარცხზე მოსდის ინგლისსა და, არ იქმნა, ომის ბედმა მისკენ დღეს აქამომდე ვერ მოიხედა. ამ ბოლოს ხანებში თვით მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა ბულლერი საშინლად დამარცხდა ბურებისაგან, იგი ბულლერი, რომელმაც, ლონდონიდამ რომ შედიოდა აფრიკაში, თითქმის იმედი მისცა, რომ ქრისტეს შობის დღესასწაულებს ბურების სატახტო ქალაქში, პრეტორიაში გადავიხდიო, ეხლა ამ თავმოწონებულმა და მოქადილე ვაჟბატონმა ეს დღესასწაულები უნდა გაატაროს თავში ცემით, ვაი, ეს რა უბედურება დამემართაო.

თუმცა ბულლერის დამარცხებას იმოდენა მნიშვნელობას არ აძლევენ, როგორც მეორე გენერალის, მეტუენის განადგურებას, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ბულლერის დამარცხებას დიდი შედეგი უნდა მოჰყვეს. ჩვენა გვგონია, რომ, რაკი მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა ბურებმა გალახეს და ზურგზე მტვერი აადინეს, ამით ძლიერ

შეარყიეს ერთობ ინგლისის მფლობელობა აფრიკაში და თვითონ ინგლისის ძლიერებას სახელი გაუტეხეს, ვისაც დღესაქამომდე იმედი ჰქონდა, რომ, დღეს იქნება თუ ხვალე, მაინც ინგლისი აჯობებს ტრანსვაალსაო, დღეს ეს იმედი საეჭვოდ გაუხდა. არა გვგონია, დღეის ამას იქით ინგლისმა გააწყოს რამ აფრიკაში და ბედი ომისა გამოიბრუნოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მფლობელობას აფრიკაში ანდერძი აეგო. ერთი ამისთანა გამარჯვება ბურებისა კიდევ და ინგლისმა გზა უნდა მონახოს შერიგებისა, თვისი მძიმე შვილდი ძირს დასდოს და ტრანსვაალის „ტეტიების“ წინაშე, თუ თავი არ მოიხაროს, თითი მაინც უნდა მოიკაკვოს.

ინგლისმა ბულლერს ჩამოართვა მთავარწინამძღვრობა და ეხლა მის მაგიერ სხვა დანიშნა. დღეს თუ ხვალ ეს სარდალი მივა აფრიკაში, მაგრამ არავინ იცის, რამოდენად შემძლებელ იქმნება, გამოაბრუნოს ასე სამარცხვინოდ წამხდარი საქმე. ჯერ თუმცა ბულლერის დამარცხების შემდეგ არა ვიცით რა ,
რა მოხდა სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ ადვილად საფიქრებელია, რომ თვით ინგლისის სამფლობელო კოლონიებში ამ ამბავმა თავისი ზედმოქმედება იქონია და იქაურნი მკვიდრნი გადაუყენა ჯერხანად დამარცხებულ ინგლისსა და მიუმხრო გამარჯვებულს ბურებსა. თუ ეს მოხდა და უეჭველია, რომ უნდა მოხდეს, მაშინ ინგლისმა თუნდა ორი იმდენი ჯარი მიაშველოს, რაც აქამომდე ჰყავს სამხრეთს აფრიკაში, ჩვენის ფიქრით, ველარას იზამს და ბედს უნდა დაუმორჩილდეს. მაშინ სულ სხვა სახეს მიიღებს სამხრეთი აფრიკისა. იქ მისთანავე შტატები გაიმართება, როგორც ჩრდილო-ამერიკისა, და ინგლისი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება.

ინგლისი რომ მარტო სამხრეთ აფრიკისათვის იყოს მოცლილი, კიდევ იმედი იქნებოდა, როგორმე გამოიკეთებდა აქ საქმეს. ინგლისს ბევრგან გაბმული აქვს საქმეები და ყოველგან თოფი და იარაღია საჭირო. ირლანდია, ინდოეთი, ავღანისტანი, მცირე

აზია, ეგვიპტე, ჩინეთი და სხვა ამისთანა აუარებელ ძალღონეს ითხოვს ინგლისისაგან, რომ ყველგან მტერსაც დახვდეს და მოყვარესაც გაუძღვეს. ამიტომაც ინგლისს ძალიან უძნელდება საკმაო ჯარი გაისტუმროს აფრიკაში და ჯარმა სიმრავლით ტრანსვაალი დაამარცხოს. აკი ვამბობთ, საკმაოა ბურებმა ახალ წინამძღვარს ინგლისის ჯარისას ის დღე დააყენონ, რაც ძველსა და თავმოწონებული ალბიონი იძულებულ შეიქმნება ტრანსვაალს მშვიდობიანობა სთხოვოს და რასაც ტრანსვაალი შეუკვეთს, მასზე თითქმის „ბალიაღა“ მოახსენოს.

[1899]

35. მეცხრამეტე საუკუნე

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღესაქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებშორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამ და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ

ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღესაქამომდე მუსრს ავლებდა კაცობრიობას, წამალი უპოვეს და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლადმძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალე მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული

საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი სუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება

ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

[31 დეკემბერი, 1899]

36. საადგილმამულო გადასახადის საქმე

ტფილისი, 8 მარტი.

დღესა თუ ხვალ ჩვენში შემოღებულ იქნება ეგრედწოდებული სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულისა (Государственный подземельный налог). ეს ის გადასახადია, რომელიც ყოველს წელიწადს უნდა იხადონ მამულის პატრონებმა და სამუდამოდ მფლობელებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ მამულების კვალობაზე, რაც ხელთ უჭირავთ და სახმარისია. არის მეორეგვარიც ადგილ-მამულის გადასახადი, რომელსაც საერობო ჰქვიან (подземельный налог земскаго сбора). სახელმწიფო გადასახადი შეადგენს ხაზინის კუთვნილებას საერთო სახელმწიფო ხარჯების გასაძღოლად. საერობო გადასახადი კი იკრიბება საერობო საჭიროებისათვის სახარჯოდ.

ერთიცა და მეორეც გადასახადი საყოველთაოა ყველა წოდებისათვის გამოუკლებლად, რაკი მამულის პატრონი და მფლობელია: გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი, ერი, — ყველა ვალდებულია იხადოს ეს ორგვარი გადასახადი, და ამით არის შესანიშნავი და სამართლიანი, რომ ტვირთს ხარჯის ხდისას და გაძღოლისას შეტოლებით ყველას კისრად სდებს და ერთს წოდებას არა ჰხდის მეორე წოდების შესანახად და ბარგად. გარდა ამისა, ეს ორგვარი გადასახადი მით უფრო შესაფერია და სამართლიანი, რომ მდიდარს მდიდრულად ართმევს გადასახადს და

ღარიბს ღარიბულად, რადგანაც საადგილმამულო გადასახადს, როგორც ყოველს სხვას, მოსავალზე გაანგარიშებულს, საფუძვლად დადებული აქვს მარტო შემოსავალი ქონებისა თუ მამულისა და სხვა არაფერი.

საერობო გადასახადი ადგილ-მამულისა ჩვენს თავად-აზნაურთათვის ახალი ამბავი არ არის. იგი იხდის ამ გადასახადს 1887 წლიდამ. ხოლო სახელმწიფო გადასახადი იქნება მათთვის ახალი. გლეხნი კი ორსავ გვარს გადასახადს დღეს აქამომდე კომლეულობაზე იხდიან. ეხლა ამათთვისაც ორივე გადასახადი მამულის კვალობაზე იქნება დადებული და, ჩვენის ფიქრით, ამ გზით გლეხს ეხლა მაინც ცოტა თუ ბევრი შეღავათი მიეცემა, რადგანაც გვგონია, რომ კომლეულობით გადასახადი დღეს მეტი მოსდის, ვიდრე ადგილ-მამულის გადასახადი მოუვა. გვგონია, რომ ორთა-შუად გლეხს იმდენი მამული არ უჭირავს, რომ ადგილ-მამულის გადასახადი დღევანდელ კომლეულობითს გადასახადზე ნაკლები არ შეხვდეს, რაკი გადასახადი მამულზე გავა.

იქნება ამაში ვცდებოდეთ, და ჩვენ არავის არ ავუხირდებით, თუ ამაზე სიტყვას ვინმე შემოგვიბრუნებს. ჩვენი დღევანდელი საგანი ის კი არ არის, თუ ვისთვის იქნება სამჯობინარი ეს გადასახადი და ვისთვის არა; ჩვენ დღევანდელ წერილის საგნად აგვიღია მარტო ის, რომ გამოვარკვიოთ, — საადგილმამულო გადასახადი რა ბუნებისაა და რაზე უნდა იქმნას აგებული, რომ თავისი დანიშნულება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა არ დაეკარგოს.

საადგილმამულო გადასახადი იმავე არსებისაა, რაც სხვა ყოველი გადასახადი, რომელსაც ერთობ ეძახიან გადასახადს შემოსავლისას (подоходный налог) და რომელიც პირდაპირთა გადასახადთა შორის უფრო სამართლიანია და უფრო სასურველად ცნობილი მეცნიერებისაგან. კომლზე გადასახადი, როგორადაც დღევანდლამდე ჩვენში, ანუ ქუდზე-კაცად, როგორადაც აქამდე იყო რუსეთში,

მეტნაკლებობას ქონებისას არ დაგიდევდათ იმიტომ, რომ ხარჯის მხდელი იყო კომლი, ანუ ქუდზე-კაცი, იმისდა მიუხედავად, რა ქონებისაა ან ერთი, ან მეორე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხარჯის ფული ერთნაირად გაიწერებოდა ხოლმე ან კომლეულად ან ქუდზე-კაცად და მერე თვით ხარჯის მხდელებზე იყო მინდობილი გაწერილი ფული გაინაწილონ ერთმანეთში, როგორც უნდათ, და ამ განაწილებაში ღარიბი უფრო იჩაგრებოდა, ვიდრე მდიდარი. ეხლა-კი განზრახულია ეს პირდაპირი ხარჯი ახდევინონ მარტო ქონების კვალობაზე. თვით სახელწოდება საადგილმამულო გადასახადისა გვაჩვენებს, რომ აქ ქონებად იგულისხმება ადგილ-მამული და არა სხვა რაიმე მოძრავი კუთვნილება და მარტო ამით განირჩევა სხვა იმგვარ პირდაპირ გადასახადისაგან, რომელსაც ჩვენ ერთობ გადასახადი შემოსავლისა ვუწოდეთ ზემოდ.

რადგანაც საადგილმამულო გადასახადი ერთი დარგია ერთობ შემოსავლის გადასახადისა და განირჩევა სხვისაგან მარტო მით, რომ აქ გადასახადს საქმე მარტო ადგილ-მამულთანა აქვს და არავითარ სხვა ქონებასთან, ამიტომაც ძირეული საგანი საადგილმამულო გადასახადის სისტემისა, მისი ქვაკუთხედი, უნდა იყოს მხოლოდ წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა. სახელმწიფომაც და ერობამაც აქედამ უნდა ართვან მამულის პატრონს და მფლობელს თავიანთი ნაწილი და მამულის პატრონსაც ამაში უნდა ჰქონდეს ღონე ხარჯის ხდისა და გაძღოლისა. სხვაფრივ საადგილმამულო გადასახადი არამც თუ არ აიგება, არც კი იგულისხმება.

მაშასადამე, საადგილმამულო გადასახადის პირველ და უკანასკნელ ხარისხის საგანი წმინდა შემოსავლის აღნუსხვა და გამორკვევაა. უამისოდ იგი ერთ ბიჯსაც ვერ წარსდგამს თავისის დანიშნულების განსახორციელებლად. რასაკვირველია, შესაძლოა აიღოს კაცმა და სთქვას: აი, დღიურზედ ამდენი იხადეო, მაგრამ თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ

არის, მართლია, მრთმეველს ყოველთვის ის სურვილი ამოქმედებს, რომ მეტი ართოს, მაგრამ არც მძლეველი უნდა იყოს ამ შემთხვევაში დავიწყებული, რადგან ამასაც ის სურვილი აქვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები აძლიოს. რადგანაც ბუნება საქმისა ერთს იქითა სძლევს და მეორეს აქედ, ერთადერთი ღონე მორიგებისა და ერთმანეთში განწყობისა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ორივენი იმაზე შესდგნენ, რაც შესაძლებელია ერთისაც და მეორისთვისაც. ამ შესაძლებელს მარტო ნამდვილად გამორკვეული და გამოძიებული წმინდა შემოსავალი ადგილ-მამულისა გვაჩვენებს მხოლოდ. იმიტომ, რომ წმინდა შემოსავალი ერთი მხრით თუ წყაროა იმ ნაწილისა, რომელიც გადასახადად გამოსართმევია, იმავე დროს ძალ-ღონეა ხარჯის მხდელისა, რომლითაც იგი გაუჭირვებლივ უნდა უძღვებოდეს გადასახადს. ეს ორი თვისება საადგილმამულო გადასახადისა ერთმანეთთან განუყოფელად შეთვისებულია. ერთს ვერ განაშორებთ მეორისგან ისე, რომ მთელი აგებულება და შენობა საადგილმამულო გადასახადის სისტემისა არ დაიფუშოს და წყალს წასაღებად არ მიეცეს. ამასთან ისიც სათქმელია, რომ სისტემა საადგილმამულო გადასახადისა, როგორც ყოველისავე სხვისა, ნაკლებად გაწერას კი აიტანს და გადაჭარბებით კი ვერა. ამიტომაც წმინდა შემოსავალს ადგილ-მამულისას წინდახედული და გონივრული საფინანსო სისტემა დიდის სიფრთხილით და შიგჩახედვით იკვლევს და თუ გაჭირდა და საქმის ვითარების გამო ნამდვილი ვერ გამოარკვია ზედმიწევნით, უფრო ადვილად ჰრჩეობს ნაკლებ შემოსავალზე დასდგეს, ვიდრე საეჭვოს განდიდებულზე.

რადგანაც ნაკლებ შემოსავალზე დამყარება ამ შემთხვევაში მოასწავებს დაკლებას სახელმწიფო თუ საერობო შემოსავლისას, გვეტყვიან, რომელი ფინანსთა სამინისტრო გასწევს ამისთანა უანგარიშობასაო? ჩვენ ვუპასუხებთ: ყოველი იგი სამინისტრო, რომელსაც იმოდენა გონება აქვს

იცოდეს, რომ სახელმწიფოს თუ ერობის გამდიდრება არ შეიძლება აშენდეს ხარჯის მხდელთა გაღარიბებასა და გათახსირებაზე. ეს იმას ემგვანება, რომ კაცმა კვერცხის გამოღების სიხარბით ქათამი დაჰკლას.

ტფილისი, 11 მარტი.

ჩვენ ამას წინად, როცა ვარჩევდით რა ბუნებისაა საადგილმამულო გადასახადი, იმაზე შევდექით, რომ პირველი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სისტემა ამ გადასახადისა, წმინდა შემოსავალია ადგილ-მამულისა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, რომ წმინდა შემოსავალი ამ შემთხვევაში თვითეულ ცალკე კუთვნილებისა ცალკე იყოს გამორკვეული და ანუსხული. მაშინ გაწერა გადასახადისა უფრო შეუცდომელი და უმეტნაკლებო იქნებოდა თვითეულ ცალკე ხარჯის მხდელისათვის. ხოლო ეს მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ნამეტნავად ჩვენში, საცა თვით რაოდენობა კუთვნილებისაც-კი ცხადად არ არის გამოანგარიშებული და ბევრმა არც-კი იცის, რამდენი მამული აქვს.

თუ ეს ასე ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, მაშინ როგორ და რა გზით უნდა გამოირკვეს, — სად რა წმინდა შემოსავალია, რომ ამაზე დაფუძნდეს საადგილმამულო გადასახადის შესაფერი მეტნაკლებობა?

საადგილმამულო გადასახადის გაწერისათვის ყველგან საკმაოდ მიღებულია იცოდნენ, მარტო ორთა-შუა რიცხვი წმინდა შემოსავლისა, რომელისამე ადგილისა, მაზრა იქნება, გუბერნია, თუ სხვა რამ სივრცე ამისათვის აღებული. რაც უფრო დიდი სივრცეა ამ შემთხვევისათვის აღებული, მით უფრო, რასაკვირველია, ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ძნელი გამოსაყვანია შეუცდომელად და ზედმიწევნით, იმიტომ რომ დიდს სივრცეზე დიდი სხვადასხვაობაა მიწის ნაყოფიერებისა, ჰავისა და სხვა იმისი, რაც შემოსავლის მეტნაკლებობაზედ მოქმედებს, და ეს

სხვადასხვაობა ჩვენში უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე შიდა-რუსეთში. რომ ამისთანა შემთხვევაში მართალს შორს არ ჩამორჩნენ და რაც შეიძლება ახლო მიუვიდნენ, ორთა-შუა წმინდა შემოსავალის გამოსაანგარიშებლად და გამოსარკვევად მარტო ორთა-შუა სახის (ტიპის) მამული უნდა აღმოაჩინონ და ამისათვის ორი გზაა: ერთი იმ შემთხვევისათვის, თუ ვინცობაა, დანიშნული სივრცე, — მაზრა იქნება, გუბერნია ან სხვა რამ რაიონი, — მიწის ნაყოფიერებით, ჰავითა და სხვა გარემოებით, მაგალითებრ, ბაზრით, გზებით და სხვა ამისთანაებით იმოდენად ერთნაირია, რომ შიგა და შიგ სხვადასხვაობა არ მოქმედებს შემოსავლის მეტნაკლებობაზე. ამისთანა შემთხვევაში აღმოჩენა ორთა-შუა სახის მამულისა და მისის შემოსავლის ზედმიწევნით აღნუსხვა ძნელი არ არის. ამ გზით აღმოჩენილ ორთა-შუა სახის მამულის შემოსავალს გამოარკვევენ ხოლმე და ესეთი გამონარკვევით დაიდება ხოლმე მთელის დანიშნულ რაიონისათვის იმ ორთა-შუა სახის წმინდა შემოსავლად, საიდამაც საადგილმამულო გადასახადმა თავისი წილი უნდა აიღოს და ხარჯის მხდელმაც თავისი ღონე ხდისა მოიპოვოს.

ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, დანიშნული რაიონი იმოდენა სხვადასხვაობას წარმოადგენს, რომ ერთი რომელიმე მამული ცალკე ვერ გვანიშნებს, ვერ გამოხატავს ორთა-შუა სახეს მთელის დანიშნულ სივრცისას, მაშინ საჭიროა მთელი სივრცე დაიყოს იმდენ დარგად, რამდენიც სხვადასხვაობის მიხედვით ორთა-შუა სახე მამულისა გამოკვლევით აღმოჩნდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმაოა სამი დარგი ორთა-შუა სახის მამულებისა გამორკვეულ იქმნას — მცირე შემოსავლიანისა, შუათანისა და დიდ შემოსავლიანისა, თუ ერთი იშვიათი რამ გარემოება მეტ დარგებად დაყოფას არ მოინდომებს. თვითეულის დარგის შემოსავალი ცალკე გამოირკვევა ხოლმე და ამ სამის დარგის შემოსავლიდამ ერთი ორთა-შუა წმინდა

შემოსავალი გამოიყვანება და ეს ორთაშუა წმინდა შემოსავალი დაიდება ხოლმე საფუძვლად საადგილ-მამულო გადასახადისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორსავ შემთხვევაში ანგარიშში ჩასაგდებია მხოლოდ ორთა-შუა სახის ადგილ-მამული, და ყოველი იგი, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია შემოსავლით და განსაკუთრებით კარგს და ხელშესაწყობ გარემოებაშია, ანგარიშში მისაღები არასოდეს არ უნდა იქმნას ორთა-შუა წმინდა შემოსავლის დადგენაში, თუმცა საადგილმამულო გადასახადი კი თავისის დიდ შემოსავლის კვალობაზე უნდა იხადოს. ამაზე საუბარი მერე გვექნება.

ეხლა კი უნდა ვთქვათ, რომ რა გზობითაც უნდა იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, სახელმწიფო და ერობა ამ შემოსავლიდამ თავისს წილსა აღნიშნავს ხოლმე ასის თავობით, ესე იგი, პროცენტობით. ვთქვათ, გამოირკვა, რომ დღიურზე ორთა-შუა შემოსავალი ერთი მანეთია, ვთქვათ რომ ასის თავი საადგილმამულო გადასახადისა ორია, მაშინ შემოსავლიდამ ორი კაპეიკი ერგება საადგილმამულო გადასახადს. რადგანაც შემოსავალი გამორკვეულია დღიურზე, მაშასადამე, ხარჯის მხდელს გადასახადი დღიურზედ ორი კაპეიკი მოუვა. ამ სახით გადასახადი, გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავლისაგან, მერე დღიურობაზე გადადის და დღიურობით გაიწერება ხოლმე. ჩვენში საანგარიშოდ მიღებულია დესეტინა და, მაშასადამე, რაც აქ დღიურობით არის ნათქვამი, იგი დესეტინობით საგულისხმებელია, მხოლოდ ერთი-ორად-კი, რადგანაც ორი დღიური ერთის დესეტინის ტოლია.

ტფილისი, 15 მარტი.

ჩვენ წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ საჭიროა გამოირკვეს ორთა-შუა სახის მამულის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე. რა თქმა უნდა, ეს ორთა-შუა

შემოსავალი ვენახისა სხვაა, სახნავის, ტყისა, საძოვრისა სხვა. ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სიმართლით გაწერისათვის უფრო სასურველია, რომ ამ თვითეულ ცალკე დარგის მამულისათვის ცალკე იყოს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოყვანილი და თვითეულის კვალობაზე ცალკე დანიშნული იყოს წილი ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა, რომელიც საადგილმამულო გადასახადმა უნდა ირგუნოს თვითეულ ცალკე დარგის მამულის დღიურისაგან, ესე იგი, ვენახის დღიურზე, სახნავისა, ტყისა და საძოვრისაზე ცალკე. მაშინ, ვისაც რამდენი დღიური აღმოუჩნდება თვითეულ დარგის მამულისა, იმის კვალობაზე გამოერთმევა საადგილმამულო გადასახადი იმ დარგის მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავლიდამ, დღიურობაზე გამორკვეულიდამ.

ეჭვი არ არის, რომ ეგრეთი განთვითეულება ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა და აქედამ ეგრე დარგ-დარგად გაწერა საადგილმამულო გადასახადისა, უფრო შეუცდომელი, უფრო ზედმიწევნილი და მართალი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ამა სხვადასხვა დარგის მამულის შემოსავალს ერთმანეთში აურევენ და აქედამ ერთს ორთა-შუა წმინდა შემოსავალს დაადგენენ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდ მეტნაკლებობით გაწერა აუცილებელია და ეს მეტნაკლებობა უსამართლობა იქნება, მით უფრო არა სასურველი, რომ ამ გზით მცირე შემოსავალიანი მამულის პატრონი დაიჩაგრება და დიდ შემოსავალიანი კი იშეღავათებს.

უამისოდაც ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, რაც გინდ ზედმიწევნით გამორკვეული იყოს, მაინც მცირე შემოსავლიან მამულისათვის მეტი იქნება და დიდ შემოსავლიანისათვის ნაკლები. ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც საადგილმამულო გადასახადის სისტემის დადგენის დროს უნდა მორიგებულ იყვნენ, რომ მამულების დარგ-დარგ დაუყოფლობით უფრო არ გაძნელდეს სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა, ხოლო დარგ-დარგ

დაუყოფლობით სამართლიანი და შეტოლებული გაწერა რომ გაძნელდება – ეს აშკარაა.

გვეტყვიან, თუნდ დარგ-დარგად იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, მაინც ხომ ორთა-შუა შემოსავალთან ექმნება საქმე საადგილმამულო გადასახადის სისტემას და აქაც ხომ ორთა-შუობის თვისება ის არის, რომ ყოველთვის უმცირესზე მეტია და უდიდესზე ნაკლები. მაშასადამე, სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა აქაც იმავ ჭირშია, რაც პირველ შემთხვევაში. მართალია, მაგრამ აქ ეს აუცილებელი ჭირი ადვილად ხელში დასაჭერია და, მაშასადამე, ადვილად ასაცილებელიც.

ვთქვათ, გამოირკვა, რომ მთელ ამიერკავკასიაში ორთა-შუა სახის მამული დღიურზე იძლევა ორთა-შუა წმინდა შემოსავალს: ვენახი 10 მანეთს, სახნავი ორ მანეთს, ტყე და საძოვარი თვითო მანეთს. ვთქვათ საადგილმამულო გადასახადი ორია შემოსავლის ასის თავზე. მაშინ გადასახადი დღიურ ვენახზე მოვა ერთი აბაზი, სახნავზე ოთხი კაპეიკი, ტყესა და საძოვარზე ორ-ორი კაპეიკი. ვთქვათ ვენახები 50.000 დღიურია, სახნავები სამი მილიონი დღიური, ტყე და საძოვარი ოთხი მილიონი. ამის კვალობაზე ამიერკავკასიის საადგილმამულო გადასახადი სულ ერთად შეადგენს 210.000 მანეთს წელიწადში. რომ არ აგვიჭრელდეს მაგალითი, ვთქვათ, რომ ამიერკავკასიაში სულ ხუთი გუბერნიაა. ეს 210.000 მანეთი ხუთს გუბერნიაზე უნდა გაიწეროს. როგორ? განა პირდაპირ ხუთად უნდა გაიყოს, მაშინ ცოდვაა იგი გუბერნია, რომლის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე ნაკლებია და იგი გუბერნია, საცა ეგ შემოსავალი მეტია, იშეღავათებს. ამ უსამართლობას ყოველთვის ერიდება წინდახედული საფინანსო სისტემა და თავისს დღეში არ შეიწყნარებს, თუ უნდა, რომ ერთობ საადგილმამულო გადასახადს თავისი გზა და სამართალი არ დაუკარგოს.

ამიტომაც უმაღლესი დაწესებულება, რომელსაც მიენდობა ხოლმე ამისთანა საქმეების გამგეობა,

ადრიანვე შეკრებილ ცნობებისადაგვარად დღიურზე შეახვედრებს გადასახადს ზოგს გუბერნიას მეტს, ზოგს ნაკლებს, და ამ გზით ზოგს გუბერნიას იმ 210.000 მანეთიდამ ბევრი შეხვდება გადასახადი, ზოგს ნაკლები ყოველ თვითეულს დღიურზე, რაც-კი გუბერნიაშია, იმისდა მიხედვით. ამ გზით მეტნაკლებობა გადასახადისა დღიურის კვალობაზე გუბერნიათა შორის სწორდება და გადასახადი შეტოლებით ჰხვდება თვითეულს ცალკე გუბერნიას. ამიტომაც ვხედავთ შიდა-რუსეთში, რომ ზოგი გუბერნია დესეტინაზე იხდის 5 კაპ. სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადს, ზოგი 3-ს, ამაზე ნაკლებსაც. ასე რომ ზოგს $^1/_2$, $^1/_4$, $^1/_8$ კაპეიკამდე მოსდის დესეტინაზე.

საადგილმამულო გადასახადის სიმართლე ამასაც არა სჯერდება, ამასაც არა ჰკმარობს. იგი უფრო შორს მიდის და მეტს თანასწორობასა და შეტოლებას თხოულობს. ვთქვათ, გუბერნიაში ხუთი მაზრაა და აქაც ხომ შესაძლოა ერთის მაზრის ორთა-შუა სახის მამულმა მეტი ორთა-შუა წმინდა შემოსავალი იძლიოს დღიურზე და მეორისამ – ნაკლები და აქაც ერთნაირად გაწერა გადასახადისა დღიურზე ერთისათვის ცოდვა იქნება და მეორისათვის უსამართლო მადლი. ვთქვათ, ხუთმაზრიანს გუბერნიას ერთობილ გადასახადისაგან შეხვდა 40.000 მანეთი ზემოხსენებულ ანგარიშით, თვითო მაზრას აქედამ 8.000 მანეთი. ხოლო ესეთი გაყოფა უსამართლობა იქნება, რადგანაც, როგორც ზემოთა ვთქვით, ზოგი მაზრა ორთა-შუა შემოსავლით მდიდარია, ზოგი ღარიბია. რომ ეს უსამართლობა არ მოხდეს, წესდება ხოლმე საგუბერნიო კრებული გადასახადისა (Губернское податное присутствие), რომელმაც გუბერნიაზე გაწერილი გადასახადი თვითეულ მაზრას იმოდენად უნდა შეახვედროს, რამოდენადაც თვითეულ მაზრის ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ორთა-შუა სახის მამულისა გამოირკვევა. ამნაირად მეტ-ნაკლებობა გადასახადისა, დღიურზე სწორდება მაზრათა შორისაც და

უტოლდება ერთმანეთს. ამის გამო ერთს მაზრას გუბერნიის ერთობილ გადასახადისაგან მეტი შეხვდება ხოლმე და მეორეს – ნაკლები.

ესეც კიდევ არა კმარა, თუ სასურველია, რომ საადგილმამულო გადასახადმა თავისი გზა და სამართალი ბოლომდე შეირჩინოს და ერთს ხარჯის მხდელს მეტი არ შეხვდეს და მეორეს ნაკლები, რადგანაც, როგორც გუბერნიაში, ისეც მაზრაში ორთა-შუა წმინდა შემოსავალთან გვაქვს საქმე და თვითეულ ცალკე მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ზოგან ერთსა და იმავე მაზრაში მეტია, ზოგან ნაკლები. ამიტომაც სასურველია, რომ თვითეულ ხარჯის მხდელს მეტნაკლებობა გადასახადისა წმინდა შემოსავლის მეტნაკლებობის კვალობაზე გაეწეროს ღღიურზე, ამის გამო სისტემა საადგილმამულო გადასახადისა საჭიროდ ჰხედავს დააწესოს სამაზრო კრებული გადასახადისა (Уездное податное присутствие). ევროპაში ეს სამაზრო კრებული თვითვეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას გაუნაწილებს ხოლმე მაზრაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე საზოგადოების ორთა-შუა წმინდა შემოსავლის მიხედვით და იმ საბუთით, როგორც გუბერნია მაზრას უნაწილებს მეტნაკლებობის შესწორებისა და შეტოლებისათვის. სოფლის საზოგადოების კრებული გადასახადისა თავისის მხრით საზოგადოებაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე მემამულეს უნაწილებს თავის მიდამოში მის და წმინდა შემოსავლის კვალობაზე. ამ სახით და ამგზით თვითეული ცალკე მამული თითქმის ზედმიწევნით აინუსხება ხოლმე საადგილმამულო გადასახადის მაგარ ნიადაგზე დაყენებისათვის და ხარჯის მხდელს მიზეზი არა რჩება ან უკმაყოფილებისა, ან საჩივრისა, იშვიათს შემთხვევის გარდა, რადგანაც ყველანი შესწორებულნი და შეტოლებულნი არიან, რამოდენადაც-კი ეს კაცთა ხელთაგან შესაძლებელია ამ წუთისოფელში.

ამ გზით სოფლის საზოგადოება თვითვეულ მემამულეზე ცალკე გაწერილმა გადასახადმა, ერთად თავმოყრილმა, უნდა შეავსოს ის ჯამი გადასახადისა, რაც სოფლის საზოგადოებას მაზრისაგან შეხვდა, მაზრამ – რაც გუბერნიისაგან, გუბერნიამ – რაც უმაღლეს დაწესებულებისაგან და მთლად კი უნდა შესდგეს მთელი რიგი 210.000 მანეთი, რაც ჩვენ მაგალითად ავიღეთ ვითომდა მთელი ამიერკავკასიისათვის.

გადასახადის განაწილებაზე რომ ვლაპარაკობდით, ცალ-ცალკე აღარ ვახსენეთ ვენახი, სახნავი, ტყე და საძოვარი. არ გვინდოდა ტყუილუბრალოდ აგვეჭრელებინა ჩვენი წერილი, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილი იყო დაგვენახვებინა მკითხველისათვის მარტო იგი გზა, რომელზე სვლით საადგილმამულო გადასახადი თავისს სიმართლეს და სისწორეს მიაღწევს ხოლმე. ჩვენა გვგონია, რომ რაცა ვთქვით, ის ამისათვის საკმაოა და ერთნაირად მიეჩემება ყოველ დარგს მამულისას, გუბერნიაში იქნება, მაზრაში თუ სოფლის საზოგადოებაში თავ-თავის კვალობაზე.

[1900]

37. უმეცრობის ფართი-ფურთი

I

უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო უარესია. ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისს ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონ-დასწონის და ამნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხნის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას ჩვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩრობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნესა და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.

სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე. და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგაროდ, განუკითხავად მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თვითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს — აი, რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი და უკვირთ, როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერებისა, ჭკუადამჯდარს კაცს-კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის.

II

ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულა თავისის თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებისა და ნებისამებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა.

ბევრი ყოფილა და არის დღესაც ჩვენში უნიჭო და უმეცარი მწერალი და, სწორედ მოგახსენოთ, ესე

სრულად ნიჭმოკლებული, ესე უმეცრობის გაბედულებით გათამამებული და გაკადნიერებული, როგორც ბ-ნი ჟორდანიაა, ჯერ არ გვინახავს, არახუნებს, რაც ენაზე მოადგება და მამალსავით ჯერ თვალებს ჰხუჭავს და მერე ჰყივის, თითქო ენა ადამიანს მარტო იმიტომ აქვს, რომ მოშლილ წისქვილსავით ჰფქვას და ჰროშოს. უნიჭობასა და უვიცობასთან ბ-ნ ჟორდანიას ის უნარიც ზედ შეჰკვეცებია, რომ ხორციელ თვალით დასანახავს საგანსაც კი ხელში ამრუდებს, ასხვაფერებს და მსმენელს თვალებს უბამს წინად აკვატებული აზრის გასატანად. ამის გარდა, სიტყვა-პასუხისათვის იმისთანა განგებ გაბერილ ფრაზებსა ჰხმარობს, რომელიც ისე შორს უდგა საგანს, ისე არ შეეფერება, რომ კაცს უკვირს, — თქმული ბ-ნ ჟორდანიასი ბოდვაა გონებადაბნეულობისა, თუ ამაზე უარესი სხვა რამ ღვთის რისხვაა.

ამისი მაგალითი ბევრია. ამ მაგალითების ჩამოთვლას ერთი უშველებელი წიგნი მოუნდება და ვინ იცის, იქნება ოდესმე გამოჩნდეს ვინმე და ბ-ნს ჟორდანიას ყველაფერი წინ გადმოულაგოს მისდა სასახელოდ და ჩვენის მწერლობის შესარცხვენად. თუმცა ესეა, მაგრამ ბ-ნი ნოე ჟორდანია თავზე ბუზსაც არ ისვამს და დადის ბუკით და ნაღარით იქადის: რაც ვარ, მე ვარო. დეე, იძახოს, ამით არავის არც რამ დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებით თავმოწონებულს პუბლიცისტს, მით უფრო, რომ რუსულ ანდაზისა არ იყოს — დეე, ბალღებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ კი ნუ იტირებენ.

III

აქ გამოსაკიდებელი მარტო მისი ქადილი და თანხებია. ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისნი ნაირები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თვითონ მამალსავით ხეზე შემჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ და თქვენ მანდ, ძირს იყეფეთ და სოფელი ააშენეთო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისი კამპანია და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუღარ დამიდებენ, არ დავემდურები. ბაქიაობა, კვეხნა, თავისის თავის ქება-განდიდება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ზემოსართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავისის თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამისი დრო, როცა იქნება, მოვა და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა.

მოგახსენებთ, ამისი მაგალითები ბევრია. მე კი საბუთათ მოვიყვან მარტო ბ-ნ ჟორდანიას უკანასკნელს მეთაურს, რომელსაც „პრესა“ ჰქვიან და რომელიც დაბეჭდილია წლევანდელ „კვალის“ მე-11 №-ში. აქ იმდენი უმეცრობის მაგალითებია, რომ კმარა ბ-ნ ნოე ჟორდანიას სასახელოდ. მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს „ევერიის“ კონსერვატორობა და უვარგისობა, მისი უთავბოლობა, ერთს აზრზედ დაუდგრომლობა, ილია ჭავჭავაძის უხეირობა, თავად-აზნაურობისათვის მის მიერ გუნდრუკის კმევა და სხვა ამისთანები. მე არც „ევერიის“ დარდი მაქვს და არც ილია ჭავჭავაძისა. „ევერიასაც“ და ჭავჭავაძესაც თავისი პატრონი ჰყავთ და, თუ უნდათ, თითონ უპატრონონ თავის თავს. მე-კი სულ სხვა საქმე მაქვს. მე გულს მისივებს ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობის სითამამე და კადნიერება. დროა, რომ ამისთანა ოინები გამომჟავნდეს და დაუსჯელად არავისს შერჩეს, თორემ აირია, ბატონებო, მონასტერი, აბეზარს მოვედით, მოთმინება აღარ არის: თვალებში ნაცარს გვაყრიან, ლამის დაგვაბრმავონ, გამოგვიჭედეს ყურები ტყუილ მეცნიერობით და სიბრძნით.

დროა შიგნითი ტიკები დავუსინჯოთ ბ-ნს ნოე ჟორდანიას და ვიცოდინოთ, რა თანხების პატრონია და რაოდენად თამამი და კადნიერია, ვითარცა ყოვლად უვიცი და უმეცარი მისი, რასაც კი ხელსა ჰკიდებს განსაკითხად და საბაასოდ. აკი მოგახსენეთ, ამისათვის შორს წასვლა არ მოგვინდება, საკმაოა მისი უკანასკნელი მეთაური.

IV

ბ-ნ ნოე ჟორდანია ამ თავის მეთაურში* ბრძანებს: „ჩვენებური სათავადაზნაურო ბანკი ორ დედააზრზეა აშენებული: ერთის მხრით ის არის დაწესებულება ბურჟუაზიულ-ფინანსიური“...

ერთი ჰკითხეთ ბ-ნს ნოე ჟორდანიას: რას ნიშნავს აქ სიტყვა „ფინანსიური“? აშკარაა, აქ ამ სიტყვით გაუბერავს ფრაზა და მნიშვნელობა მისი-კი არ ესმის, არა სცოდნია. „ფინანსიური დაწესებულება“ იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“, ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს. რა აქვს საერთო სათავადაზნაურო ბანკს „ფინანსიურ დაწესებულებასთან“? სრულიად არაფერი. ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და „ფინანსიურ დაწესებულებასთან“ ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლსა. განა აქედამ აშკარად არა სჩანს, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია — თვალაბმული თუთიყუში — იმდენად უმეცარია, რომ ამ ორი სიტყვის — კრედიტის და ფინანსის მნიშვნელობაც კი ვერ გაურჩევია, არა სცოდნია. აფსუს გერმანიავ! ბ-ნი ჟორდანია მითამ და სწავლისა და ცოდნისათვის იქ იყო წასული, მაგრამ, როგორც ეტყობა, ცარიელი წასულა და ცარიელივე დაბრუნებულა. სირცხვილი გერმანიას! ასე ცარიელი როგორ გამოუსტუმრებია, რომ არც-კი უცოდინებია, — რა არის საკრედიტო დაწესებულება და რა — ფინანსიური. ეს ანბანი პოლიტიკურ ეკონომიის

* „კვალი“ №11, გვ. 1 სვეტი 2.

მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგებული და შიგჩახედული მარქსისტია. მაგრამ გერმანიისაა აქ რა ბრალია. გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად, რაც გინდა მაღლა თაროზე დასდვათო, ნათქვამია. აქ მიზეზი კაცია და გუნება, და არა გერმანია.

V

„მეორე მხრითაო, — ამბობს ჩვენი ბრძენი მარქსისტი, — ჩვენებური სათავადაზნაურო ბანკი თავადაზნაურულ-წოდებრივიაო“. რა საბუთით, ჩვენო ბრძენო პუბლიცისტო, ბრძანებთ ამას? ბალღმაც კი იცის, რომ ყოველ „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ დაწესებულება მარტო თავად-აზნაურთაგან შესდგება და მარტო თავად-აზნაურთა ხელთ არის. იქ სხვა წოდების კაცს არც ხმა აქვს და არც ადგილი. თუ არა გჯერათ, ჩაიხედეთ კანონების IX ტომში და დაინახავთ თქვენს მტკნარს უვიცობას და უმეცრობას. ბანკის დაწესებულებას კი შეადგენს და განაგებს თავადაზნაურობასთან ერთად სხვა ყოველის წოდების კაციც განურჩევლად, თუ ბანკისგან ვალი აუღია და ამით მისი წევრი გამხდარა. თუ არა გჯერათ, ჩაიხედეთ ბანკის წესდების მე-81 და 82 და მათ შემდეგ მუხლებში და დაინახავთ იმავ თქვენს მტკნარს უვიცობას, უმეცრობას და საქმეში შიგჩაუხედლობას. იქ დაინახავთ, რომ ბანკის წევრად ითვლებიან ერთის მხრით თავადაზნაურობა და მეორეს მხრით ვალის ამღებნი, — გლეხი იქნება, ვაჭარი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი. აბა, ერთი მიჩვენეთ, — სად არის თუნდ ერთი მაგალითი, რომ „თავადაზნაურულ-წოდებრივი დაწესებულება“ ასე წოდებათა განურჩევლად ერთმანეთში არეული იყოს. მაშ, საიდამ მიაკონკეთ ჩვენებურს ბანკს თავადაზნაურული წოდებრივობა? აშკარაა, აქ არავის ბრალი არ არის, გარდა თქვენის უმეცრობისა და გაუგებრობისა.

განა ცხადი არ არის, რომ ამ ჩვენს ქვეყნის ამშენებელს პუბლიცისტს ეს უბრალო ცოდნაც არა ჰქონია, ბანკის უწოდებრივო დაწესებულება თავადაზნაურულ-წოდებრივ დაწესებულებისაგან ვერ გაურჩევია და თამამად-კი არახუნებს თავისას. აქ გასაკიცხი და სამხილებელი ეს უცოდინარობა და უვიცობა იმოდენად არ არის, რამოდენადაც შეუწყნარებელია მწერლისათვის, რომ რაკი არ დაუშლია და საგანზედ ჰლაპარაკობს, იმ საგნის ავლა-დიდება, ვითარება მოიკითხოს, გაიგოს და ისე დაიწყოს ლაპარაკი. ამ შემთხვევაში მით უფრო შეუწყნარებელია ამისთანა საქციელი, რომ საგნის გამოძიებისათვის შორს სირბილი არ დასჭირდებოდა, კანონების IX ტომი და ბანკის წესდება, როცა კი მოისურვებდა, ხელთ ექნებოდა. მაგრამ რა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. სურვილიც საგნის ცოდნისა ერთი იმისთანა უნარია, რომელიც კაცს თუ ბუნებით არ გამოჰყოლია, ან სწავლა-განათლებით არ ჩანერგვია, სხვა ვერაფრით გაუჩნდება ადამიანს. ბ-ნი ნოე ჟორდანია ამ სურვილს, ამ უნარს მოკლებულია, როგორც ეტყობა, და ესეც ერთი იმისთანა უტყუარი ნიშანია, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია რაც გინდ გაიბეროს და გაიჭიმოს, მწერლად ვერ გამოდგება.

VI

მეორე საბუთი, რომ ჩვენებური ბანკი „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ არ არის, იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის წევრად ყოფნა ყველა წოდების კაცს შეუძლიან, ოღონ-კი ამორჩეული იქმნას. ესეც ხომ პირდაპირი და თვალად დასანახი ნიშანია, რომ ჩვენებური ბანკი „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ არ არის, იმიტომ რომ არც ერთი „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ დაწესებულება არ არის ქვეყანაზე, რომ იწყნარებდეს, თავად-აზნაურულ დაწესებულებაში სხვა წოდების კაცი იყოს ამორჩეული, თუ არ თავადი, ან აზნაური. ამ ანბანის მცოდნე განა იტყოდა, რომ ჩვენებური ბანკი „თავადაზნაურულ-წოდებრივიაო“ და ამისთანა უებრო ტყუილს გაჰბედავდა ვინმე, თუ არ ყოვლად უმეცარი და უვიცი?

ამ უმეცრობის მალაყს ჩვენი პუბლიცისტი არა ჰკმარობს და ჰკადრულობს სხვას, უფრო მსხვილს ტყუილს, რომ თავის მკითხველებს ისეთივე უმეცრობის ლიბრი გადააკრას თვალებზე, როგორიც თვითონა აქვს. იგი ამბობს: თავადაზნაურობა „იკრიბება ყოველ წელს, ჰბჭობს ბანკის საქმეებზე, მოგებას სხვადასხვა მიზანს ახმარებს, ირჩევს ბანკირებს და ასე პატრონობას უწევს. და აი, ამ ბანკის წოდებრივი ხასიათი უმთავრესად ამაში იხატებაო“.

აქ არც ერთი სტრიქონი არ არის ისეთი, რომ მტკნარი ტყუილი არ იყოს ჩვენის სახელოვანის და მართლმოყვარე, გერმანიაში გაბრძნობილ ბ-ნ ნოე ჟორდანიასაგან ხელდახელ შეთითხნილი.

ჯერ ერთი ესა, რომ როგორც წინათ ვთქვით, ბანკის საქმეების საბჭოდ იკრიბება თავადაზნაურობასთან ერთად იგინიც, ვინც თავადაზნაურნი არ არიან და სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან. მეორე ისა, რომ თავად-აზნაურთა კრება, როგორც წოდებრივი დაწესებულება, ყოველ წელიწადს არ იკრიბება, არამედ სამს წელიწადში ერთხელ; თუ ამაზედ ადრე მოინდომებენ კრებას, იგი საგანგებო კრება იქნება და ამისათვის ცალკე ნებართვა უნდა აიღონ მთავრობისაგან და ამისთანა კრებაზე არას შემთხვევაში ვერავის ვერ ამოირჩევენ. ბანკის კრება კი სავალდებულოა ყოველწლივ, სხვის ნებადაურთველად მოხდება ხოლმე და თავისს მოხელეებს ირჩევს მორიგად ყოველწლივ. მესამე ისა, რომ თავად-აზნაურთა კრება, ვითარცა „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ დაწესებულება, შესდგება მარტო იმისთანა თავად-აზნაურთაგან, რომელთაც კანონში ჩამოთვლილი ცენზი აქვთ, სახელდობრ, ჩინი ან ნასწავლობის დიპლომი და

განსაზღვრულის სივრცის მამული. თავად-აზნაურთა კრებას, ვითარცა თავადაზნაურულ დაწესებულებას, თავმჯდომარედ ჰყავს თავად-აზნაურთა მარშალი. ჩვენის ბანკის კრებაში კი არავითარი ცენზია დადებული, ბანკის კრებაში, როგორც უწოდებრივში, თავმჯდომარედ იგია, ვისაც თვითონ კრება ამოირჩევს, წოდების მიუხედავად, და მარტო ერთის კრებისათვის და არა სამის წლობით, როგორც თავად-აზნაურთა წოდებრივ კრებაშია. მართალია, ჩვენებურ ბანკის წესდება ბევრჯელ შეიცვალა, მაგრამ არასდროს ბანკის კრება არაფერში არ ჰმსგავსებია „თავადაზნაურულ-წოდებრივ დაწესებულებას“, და ამისი ყველაზე მეტი თვალსაჩინო საბუთი ის არის, რომ თავად-აზნაურთა კრებას, როგორც წოდებრივს, უფლება არა აქვს თავისი განაჩენი აღსასრულებლად მიაქციოს, ვიდრე იგი მთავრობის წინაშე წარდგენილი არ იქნება და მთავრობის მიერ დამტკიცებული. ბანკის კრების განაჩენი-კი, რაკი დადგინებულ იქმნა, მითვე დამტკიცებულია და აღსასრულებლად მიიქცევა ხოლმე, ასე რომ ამაში არავის სხვის ნებართვას არ ჰსაჭიროებს.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ის ამბავი, რომ თავად-აზნაურთა მორიგი კრება სამს წელიწადში უნდა გაიმართოს და ბანკის მორიგი კრება კი ყოველწლიურია, მარტო ეს ამბავი საკმაოა, რომ კაცმა ეს ორი სხვადასხვაგვარი დაწესებულება ერთმანეთში არ არიოს, ერთმანეთისაგან გაარჩიოს. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ თავად-აზნაურთა კრება, როგორც წოდებრივი დაწესებულება, თავისს საქმეებს განაგებს კანონების IX ტომის ძალითა და ბანკის დაწესებულება კი ექვემდებარება მარტო თავისს საკუთარს და ცალკე წესდებას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება და კავშირი არა აქვს IX ტომთან.

მაშ, საიდამ მოაჭორა ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ ამისთანა მსხვილი ტყუილი? აბა, თვითონა ჰკითხეთ და თუ თვითონ არა სთქვა, მე მოგახსენებთ შემდეგში.

VII

წინა წერილში იმაზე შევწყვიტე სიტყვა, რომ ვიკითხე: საიდამ მოაჭორა ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ ამისთანა მსხვილი ტყუილი, — ვითომც ჩვენებური ბანკი „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ იყოს. მე საკმაო საბუთები მოვიყვანე, რომ ჩვენებური ბანკის დაწესებულება არც შედგენილობით, არც გამგებლობით, არც რაიმე იურიდიულ ან სხვაგვარ გარემოცულობით წოდებრივი დაწესებულება არ არის. მაშასადამე, ამ მხრით ბ-ნ ჟორდანიას თქმული მტკნარი უმეცრობაა, მტკნარი ტყუილია. ეხლა სხვა მხრივ შევხედოთ, ჩვენებურს ბანკს მოქმედება გავუსინჯოთ. იქნება იგი მარტო თავად-აზნაურთათვის ჰმუშაობს, მარტო იმათის ხელის გასამართავად არის. იქნება საგნადა აქვს, მთელი თავისი მოგება მარტო ამ წოდებას ჩაუყაროს ჯიბეში და იქნება ამ საბუთების ძალით ბ-ნს ჟორდანიას გამოუნასკვავს, ვითომც ჩვენებური ბანკი „მეორე მხრით თავადაზნაურულ-წოდებრივია“.

რომ ჩვენი ბანკი ყველას ერთნაირად კრედიტით ხელს უმართავს — ეს ხომ ეჭვგარეთ არის, გლეხია, თავადია, აზნაურია თუ სხვა ვინმე, ყველას, წოდების და ხარისხის მიუხედავად, ნება აქვს რომ ჩვენს ბანკს ფული ესესხოს, ოღონდ დასაგირავებლად უძრავი ქონება ჰქონდეს. ამ მხრით ჩვენებური ბანკი, როგორც ცხადად ჰხედავთ, წოდებრივს ნიშანწყალზედ შორს არის. არა ნაკლებ შორს არის მოგების განაწილების თვალითაც. მე-101 მუხლი წესდებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მოგება თავად-აზნაურთა ჯიბეში არ მიდის. ყველაზე უდიდესი ერთიანი წილი, ესე იგი 45% მოგებისა, წესდების ძალით, უნდა მოჰხმარდეს ტფილისის გუბერნიის მიწისმფლობელთა და მიწისმომქმედთა საზოგადო საჭიროების გაძღოლას, სასოფლო-კრედიტის, სამეურნეო სკოლების სოფლებში მოფენას, სამეურნეო მანქანების და იარაღისათვის საწყობებისა და სახელოსნოების დამართვას და სხვანი. დანარჩენი, თვითვეულად

ბევრით ამაზე ნაკლები წილი, სხვადასხვა თავნის სამატად და ბანკის მოხელეთა გასამრჯელოდ არის დადებული.

იქნება ბ-ნ ნოე ჟორდანიამ არც ის იცის, — რას ჰნიშნავს „მიწათმფლობელი“ და „მიწათმომქმედი“. პირველ სიტყვის ქვეშ იგულისხმება თავადაზნაურობა და მეორის ქვეშ გლეხკაცობა. ასეა ყოველგან მიღებული და თუ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგვიჭირვეულდება, ახალს საბუთს მოგვცემს თავისის უმეცრობისას.

ხომ ვხედავთ, რომ ეს ჩვენი გერმანიაში გაწურთნული პუბლიცისტი ვერც ამ მხრით უკიჟინებს ჩვენს ბანკს წოდებრივობას და მაშ, საიდამ გამოხანხლა თავისი ჭორი? მარტო სახელს თუ შეუცდენია, რომ ჩვენს ბანკს თავად-აზნაურთა ბანკი ჰქვიან. ქუთაისის საადგილმამულო ბანკს, სხვათა შორის, „მიხაილოვის“ სახელიცა ჰქვიან, დიდის მთავრის მიხეილის პატივისაცემლად, და განა იგი ბანკი დიდის მთავრისაა? აქაურ კომერციის ბანკს ტფილისის საკომერციო ბანკი ჰქვიან და განა აქედამ ის გამოდის, რომ იგი ბანკი ტფილისისაა და ტფილისის გამგებლობაშია? ამისთანა შემთხვევაში სახელი ყოველთვის თვით საგანს არა ჰნიშნავს და არც საგნის ვითარებას. აქ სახელის გარდა საჭიროა კაცმა თვით არსებითი საგანი დაწესებულებისა იცოდინოს და მარტო ტიტულს არ დასჯერდეს.

VIII

ხოლო ბ-ნ ნოე ჟორდანიასათვის ღმერთს არც ცოდნა ურგუნებია და არც ცოდნის სურვილი, თორემ ასე გამოუკითხავად არ გაირჯებოდა, არ მოიქცეოდა. რა ეს და რა სხვა! აი, თუნდ ერთი მაგალითიც, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია არ დაგიდევთ, რას ამბობს და რას არა და მის მიერ ხმარებული სიტყვა ან მას თვითონაც არ ესმის, ან უნდა გამოგვიტყდეს, რომ განგებ და განზრახ აბრიყვებს

მკითხველს. აი, იგი იმავ მეთაურში რას არახუნებს*: „ბანკი მას (მითამდა თავადაზნაურობას) უფრო და უფრო ასუსტებს და არღვევს; ბანკის დამფუძნებელთ(?!) ეყიდებათ მამული და ღატაკდებიანო“. არ შეიძლება ბ-ნმა ჟორდანიამ გვიბრძანოს: სად, როდის და რა შემთხვევაში „დამფუძნებელთ“ ეყიდებათ მამული ბანკის საშუალებით? ბევრიც რომ თავი იფხანოს, ბევრიც რომ გაიჭაჭოს, ამას ვერ გვეტყვის, იმიტომ რომ „დამფუძნებელი“ ბანკისა ამ მხრით ყოვლად ხელშეუხებელია და მამულის გაყიდვის თუ არ-გაყიდვის გამო ბანკს საქმე აქვს მარტო იმასთან, ვისაც ბანკში მამული გირაოდ შეუტანია და ვალად ფული გაუტანია. ამისთანა კაცს ვალის ამღები ჰქვიან და არა „დამფუძნებელი“.

„დამფუძნებელი“ კი მარტო ფულის ჩამომსვლელია და საქმის დამაარსებელი. ჩვენის ბანკის დამფუძნებელმა იმისთანა სიკეთეც გამოიჩინა, თვისდა სასახელოდ, რომ მისის ფულით და მისის ღავწლით დაარსებულ საქმის გასაძღოლად და წარსამართავად ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველის წოდების კაცი მიიწვია, იმმო, მოდით, ერთად ვიშრომოთო, წოდების და ხარისხების მიუხედავადო, თუკი ჩვენის ბანკიდამ სესხით ხელის გამართვას მოიწადინებთო. ამ სახით „დამფუძნებელი“ მარტო ბანკის დამაარსებელია და ფულის ჩამომსვლელი და სხვა არავითარი ცალკე ქონებრივი დამოკიდებულება არა აქვს ბანკთან, და ვისი რა პასუხისმგებელია, ვისი რა მზღვეველია თავისის მამულითა?

აშკარაა, ამ შემთხვევაში ამ ჩვენს ბრძენს პუბლიცისტს, თავისის ახირებულ ჩვეულებისამებრ, არა სცოდნია — რაზედ რას ლაპარაკობს, ვალის ამღები და ბანკის დამფუძნებელი ერთმანეთში აურევია, ერთი მეორისაგან ვერ გაურჩევია. აშკარაა, ამ ჩვენს ვაჟბატონს მის მიერ ხმარებულ სიტყვის

* „კვალი“, №11, გვ. 1 სვეტი 2.

მნიშვნელობაც-კი არა სცოდნია და ერთობ საგნის ცოდნას ვიღა იკითხავს. ბანკი დამფუძნებელს, როგორცა ვთქვით, ახლოც ვერ მიეკარება მამულის თაობაზე. იგი მამულს უყიდის მხოლოდ ვალის გამტანს, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ვალის დაბრუნების პირობა თავის დროზე არ შეუსრულა. აქ რა შუაშია დამფუძნებელი, როგორც დამფუძნებელი. მართალია, შეიძლება დამფუძნებელი ვალის ამღებიც იყოს, ხოლო ამ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელია, ვითარცა ვალის ამღები და არა „დამფუძნებელი". მაშ, რა საბუთი ჰქონდა ბ-ნ ნოე ჟორდანიას, რომ ის ეთქვა, რაცა სთქვა დამფუძნებელზე. განა ყველა დამფუძნებელი ვალის ამღებიც არის, რომ ერთობ ერთს მაფრაშაში მოაქცია ვალის ამღები და დამფუძნებელი? მართალია, უმეცრობის მაფრაში პირგანიერია და ყველას გადაჰყლაპავს, მაგრამ განა აქედამ ის გამოდის, რომ პუბლიცისტმა ორი სხვადასხვა საგანი ერთმანეთში დომხალივით აურიოს!

განა აშკარა არ არის, რომ აქ ჩვენ ყოვლად მტკნარ უმეცრობასთან გვაქვს საქმე, ამისთანა უანბანო უვიცობასთან, რომელიც სათაკილოა გიმნაზიის პირველ კლასის მოწაფისათვისაც, და ბ-ნ ჟორდანიას კი, როგორც მისის ამქრის ამბავი ვიცი, სასახელოდ გაუხდება. კაცს რომ არ გაეგებოდეს, რას ჰქვიან ბანკის „დამფუძნებელი" და რას — ვალის ამღები და ბანკის თაობაზედ კი მაინცდამაინც სჯიდეს და ჰბჭობდეს, მეტი სითამამე და კადნიერებაღა გნებავთ! აი, რის შემძლებელია უმეცრობა, რის გამბედავია! აქ რა ტვინის ძარღვების დაჭიმვა მოუნდება ბ-ნ ჟორდანიას, რომ ჯერ შეესწავლა — რას ჰნიშნავს „დამფუძნებელი" და რას — ვალის ამღები და მერე ელაპარაკნა, რაკი ენის ქავილი არ ასვენებდა. გარნა რას იზამთ, რომ უზურში ამისი უნარი და საფანელი არ არის.

გავუსწოროთ უმეცარს უმეცრობის ცოდვა და ჩავაგონოთ, რომ თუ ბანკი მამულს უყიდის ვისმე, სხვას არავის, თუ არ ვალის ამღებსა, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, როცა ვალის ამღები ვალის

დაბრუნების პირობას არ ასრულებს. მაშ, როგორ ჰნებავს ამ გერმანიაში გამეცნიერებულს ვაჟბატონს, რომ ბანკმა თავისის ხელითვე საფლავი არ გაითხაროს? მაშ რა ჰქმნას ბანკმა, რომ მის მიერ ნასესხი ფული ძალით არ დაიბრუნოს, თუ სესხის ამღები ნებით არ უბრუნებს ნასესხსა? ნუთუ მარქსი ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის მიერ გასესხებულს ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ. რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა ან მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხს არ უბრუნებს პირობისამებრ? აბა, ერთი ბ-ნ ჟორდანიამ გამობღერტოს თავისის უმეცრობის მაფრაშა, იქნება სადმე კუნჭულშია მივარდნილი ამისი პასუხი.

ან ერთობ შესაძლოა განა ქვეყანაზე კრედიტის არსებობა, რა სახის კრედიტიც გინდ იყოს, თუ თავდებული არ იქნება, რომ თუ ნასესხს ნებით არ დაუბრუნებენ, ძალით გაინაღდებს და დაიბრუნებს. ამ შემთხვევაში საადგილმამულო კრედიტის მწარმოებელი ბანკი, როგორც ჩვენებური ბანკია, მით უფრო ხელშემწყობია სესხის ამღებისათვის, რომ მარტო დაგირავებული მამული უნდა იკმაროს, თუ გაყიდვაზე მისდგა საქმე, და სხვა ყოველი ქონება ვალის ამღებისა თავისუფალია, თუნდ დაგირავებულმა მამულმა ნახევარი ვალიც ვერ ააყენოს და ვალის ამღებს თუნდ მილიონები სხვა ეწყოს. სხვაგვარ კრედიტის მწარმოებელ ბანკებს ნება აქვთ, თუ ერთი რომელიმე ქონება ვალის ამღებისა ვერ გაუწვდა, ყოველს სხვას მის ქონებას აზღვეინონ ნაშთი ვალისა, და თუნდ ცარიელ პერანგის ანაბარას დასვან ვალის ამღები, წარბსაც ვერავინ შეუხრის. მაშ რაზედ აუთვალწუნებია ბ-ნს ნოე ჟორდანიას ჩვენი ბანკი, როცა იგი ვითარცა საადგილმამულო კრედიტის დაწესებულება, სხვა ბანკებზე უფრო ხელგაუშლელად, შეღავათიანად ჰხმარობს იმ უფლებას, ურომლისოდაც ვერაგვარი კრედიტი ერთს დღესაც ვერ გასძლებს, ერთს დღესაც ვერ იცოცხლებს.

დავანებოთ ამაებს თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: თუ ქონების გაყიდვის შიში, თუ ძალით გამორთმევის ფიქრი და დარდი არ ექმნება ვალის ამღებს, ვიღა აიტკივებდა თავს ვალის მოსაშორებლად. ეს ერთის მხრით, და მეორეს მხრით ვინ ოხერი იქნებოდა, ფული ანდოს ვისმეს სესხად და ნება არა ჰქონდეს ძალით აზღვევინოს, თუ ნებით არ დაუბრუნეს? ამიტომაც ქონების გაყიდვა კრედიტის არსებობისათვის ისეთივე აუცილებელი ძირეული კუთვნილებაა, როგორც ადამიანისათვის სული და ხორცი.

IX

მართალია, კრედიტი ორპირი მახვილია. ვინც კრედიტით მოპოებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა, და ვინც გაჰფლანგავს და ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მთხრელი. აქ თითონ კრედიტი რა შუაშია, როცა კაცი თავისის თავის მტერია? დანისა რა ბრალია, როცა კაცი მით ყელს იჭრის მაშინ, როდესაც იგი გაჩენილია, რომ კაცს ყელები კი არა სჭრას, არამდე საქმე უკეთოს. რკინისგზა რა შუაშია, თუ კაცი განგებ, ან გაუფრთხილებლობით ქვეშ მოჰყვება და გაიჭყლიტება? განა ამ შემთხვევაში საბუთი აქვს ჭკუათამყოფელს კაცს სთქვას, რომ ბუნება და დანიშნულება რკინისგზისა ის არის, რომ კაცები ჟლიტოსო? არა აქვს საბუთი, მაგრამ ახლა ზოგიც ბ-ნ ნოე ჟორდანიას ჰკითხეთ. განა აშკარა არ არის, რომ როცა ეს ბრძენი კაცი ჩვენს ბანკზე ჰლაპარაკობს, დამფუძნებელთ, ჩვენებურად, ვალის ამღებს, ჰღუპავსო, სწორედ ამ სასაცილო ლოღიკით ჰლამის ფონს გავიდეს. უბადრუკობა და ცარიელობა ამაზე მეტიღა იქნება!

ყველაზე სასაცილო სიბრძნე ბ-ნ ნოე ჟორდანიასი არის შემდეგი: ხომ სთქვა, რომ „ერთის მხრით ჩვენებური ბანკი ბურჟუაზიულ-ფინანსიური დაწესებულება არის და მეორეს მხრით თავადაზნაურულ-წოდებრივიო“, მერე ასე სამასხაროთ ჰბჭობს: „პირველ შემთხვევაში ის (ესე იგი ჩვენებური ბანკი) ჰხატავს პრინციპს ფულის ბატონობისას, ხოლო მეორე შემთხვევაში პრინციპს წოდების განმტკიცებისასო. მაგრამ რადგანაც ეს ორი მოვლენა — ფული და წოდება — ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება, ამიტომაც ბანკიც იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავისთავს ებრძოლოს“-ო.

ერთი ქუდი დასდეთ და სამართალი ასე ჰქენით: ეს გადაჩერჩეტებული და დამთხვეული ტირადა ბოდვაა გონებადაბნეულისა, თუ სჯა ჭკუათამყოფელის კაცისა? პასუხი ამისი ცხადია. ნეტა რას ჰნიშნავს ეს „ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება“?

განა ფული როდის მივარდნია ბ-ნ ჟორდანიას წოდებისაგან ცხვირპირდასისხლიანებული საჩივრად, ან წოდება როდის უნახავს ფულისაგან გატყეპილი. ამათ შორის დავიდარაბას, ერთმანეთზე მისევას, ერთმანეთში წინააღმდეგობას, ჩხუბს და ომს ვინ მოსწრებია... ან ერთი მითხარით: რა აზრი არის შიგ, როცა ამბობენ, — ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგებაო. როგორ? ფული და წოდება ერთმანეთთან ვერა თავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი, თუ ერთი ხათაბალა ასტეხია ფულსაცა და წოდებასაც. ფული ხომ წოდების ჯიბეშიაც მშვიდობიანად ჩადის, ბინას იკეთებს და მშვიდობიანად სძლებს, როგორც ცალკე კაცისაში, და ორსავ შემთხვევაში ერთსა და იმავე უნარს იჩენს, ორსავ შემთხვევაში არც ზნეს ივცლის, არც ფერსა და სულ ერთსა და იმავე მხიარულ გუნებაზეა, ვის ხელთაც გინდ იყოს. მაშ, საიდამ გამოატყვრინა ჩვენმა მეცნიერმა პუბლიცისტმა ეს „ძირიანი წინააღმდეგობა“? ან ფულის ბუნება, ან წოდებისა, განა იმისთანა რამ არის, რომ ერთი მეორეს ვერ მიეკარება, ერთი მეორეს ვერ მიუვა? ან იქნება ფული

წოდებას ჰთაკილობს, არა ჰკადრულობს, ან ფულს წოდება, თუ რამ სხვა ეშმაკია აქ დამალული?

აქ არავითარი ეშმაკი არ არის. აქ მარტო იგი უმეცარი ბ-ნი ჟორდანიაა, რომელსაც დავთრები არევია, რომელსაც არა სცოდნია არც ის, თუ რა არის ფული, არც ის, თუ რა არის წოდება, თორემ იმას არ იტყოდა, რაცა სთქვა.

,,ძირიანი წინააღმდეგობა" ფულსა და წოდების შუა! გაგიგონიათ სადმე, ან ვისგანმე ასეთი თავზე ხელაღებული ბოდვა! ჭკუის კოლოფს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, თუ არ დაგიშლიათ! ბ-ნი ნოე ჟორდანია ახალი კაცია და სულ იმას ჰქადულობს, რომ ახალი აზრები შემოაქვს ჩვენში. თუმცა ამ სიტყვებში არავითარი აზრი არ არის, არც ძველი და არც ახალი, მაგრამ მთლად ახალი ბოდვა კია, და ყოველივე ახალი, გინდ ბოდვაც და სულელობაც იყოს, მაინც კარგია, თორემ ბ-ნი ნოე ჟორდანია ხელს არ მოჰკიდებდა.

X

ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, რა ძალა ადგა ბ-ნ ჟორდანიას, რომ ესეთს ბოდვას მოჰყვა და უმეცრობის მტვერ-ბუქი ააყენა ჩვენებურ ბანკის გამო. რაკი ანბანიც იმ საქმისა არ გაეგებოდა, რაზედაც ლაპარაკობს, ბარემც თავისს ქერქში ყოფილიყო და კუსავით ფეხი არ გამოეყო, ვითომდა მეც ნახირ-ნახირო. მაგრამ რას იზამთ? ხელთ ჩაუგდია ,,კვალი" და ხომ მოგეხსენებათ: ,,ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია".

ეს ხომ ფული და წოდება ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ, ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით. ეხლა ყური ათხოვეთ, აქედამ რა გამოჰყავს: ,,ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინაღმდეგებაო და ამიტომაც ბანკი იძულებულია იმ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავის-თავს ებრძოლოს". ღმერთი არ არის თქვნში, — ერთი ღვთის გულისათვის მაინც უპატრონეთ ამის მთქმელსა, თორემ სადავე თუ მიუშვით ვინ იცის, რა კლდე-ღრეზე გადაიჩეხოს. მადლია, მიჰხედეთ!

საკომერციო ბანკები ვაჭართა წოდებისათვის უფროა დაარსებული, სასოფლო ბანკები გლეხთა წოდებისათვის, სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი მარტო და განსაკუთრებით თავად-აზნაურთა წოდებისათვის, სახელმწიფო საგლეხო საადგილმამულო ბანკი — მარტო და განსაკუთრებით გლეხთა წოდებისათვის. მაშ ამაებშიაც, რადგანაც ერთის მხრით ფულია და მეორე მხრით წოდება, ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინაღმდეგება და ამიტომაც ეს ბანკები იძულებულ არიან წინააღმდეგობაში იტრიალონ და მით თავისს თავს ებრძოლონ? ასე გამოდის ბ-ნ ჟორდანიას ლოღიკით. ლოღიკა კარგი საქონელია და ვწუხვართ, რომ ამ ჩვენს უებრო მარქსისტს და ლოღიკას სწორედ ის საქმე დაჰმართვიათ, რაც ფულსა და წოდებას, ბ-ნ ჟორდანიას თუ დავუჯერებთ*.

აი, რა მადანი სიბრძნისა მოგვიტანა ბ-ნმა ჟორდანიამ გერმანიიდამ. ბევრს სხვასაც შეუნიშნავს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და ჟურნალ-გაზეთობის გარეთაც, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია უცოდინარი, უვიცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნარი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მიუმადლებია. მე ერთი, ერთადერთი სიტყვაც არ მახსოვს მისი იმისთანა, რომ ცოცხალი სიტყვა იყოს, გულსა და გონებას გასაღვიძებლად მოხვედროდეს. აბა რამდენი უწერია და ერთი ამისთანა სიტყვა მაგალითად მიჩვენეთ. მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად კევის ღეჭვა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია; რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუზეპირებია. ისიც ღმერთმა იცის როგორ, და რაც

* მე წინადვე ვიცი, ამ ფულისა და წოდების სასაცილო ამბავს საით უბრუნებს თავს კაცი, თუ ხერხიანია და ცოტაოდნად საქმის გაგება აქვს. წინადვე ვიცი, აქ როგორ და საიდამ მომივლის კაცი სიტყვის შემოსაბრუნებლად. თუ ბ-ნ ჟორდანიას ამ ხერხისა და გაგების ცოტაოდენი რამ აცხია, უსათუოდ ესე მომექცევა, თუ, თავისი დიდკაცობის გამო, არ იუკადრისა ჩემთან ლაპარაკი. ვნახოთ, მიხვდება თუ არა და მეც წინადვე პასუხი მზადა მაქვს.

მისს საკუთარს ჭკუაზე მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არარაობა გამოუჩენია. ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდა დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა. მე-კი რის ღონე და შეძლება მქონდა, მარტო იმას მოვკიდე ხელი და მეტს აღარას შევეჭიდე.

ამით ვათავებ ამ წერილს უმეცრობის ფართი-ფურთობის თაობაზე. ვიცი, ჩემი მკითხველი დამემდურება და მისაყვედურებს: განა ღირს ბ-ნი ჟორდანია, რომ იმის გამო ამდენი დრო, ქაღალდი და მელანი დაიხარჯოსო? მართალი ბრძანებაა, მეც ვიცი, რომ ჩიტი ბდღვნად არა ღირს და უკან დევნა მეტია. სწორედ ჩემსავით მოცლილი უნდა იყოს, რომ ასე გააჭიანუროს საუბარი ამისთან კაცზე. ხომ მოგესენებათ, — რა ძნელია მოკლედ თქმა იმისთანა ადამიანზე, რომელსაც საკუთარი ნიშანწყალი არც ბუნებით დაჰყოლია, არც სწავლით და არც ცოდნით მოუპოვებია და შეუძენია. სადღაც გამიგონია, მგონია ილია ჭავჭავაძის ლექსშია, თუ ხსოვნა არ მღალატობს, რომ „ფუყე, უსახო კაცისა მოკლედ აღწერა ძნელიაო“.

მეტყვიან: ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო, და რად შესტოპე, თუ ეს იცოდიო? რა მექნა, რომ არ შემეტოპნა? დიდი ხანია გულს მისიებს, გულს მიმღვრევს ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობის ფართი-ფურთი და ქადილების მტვერ-ბუქი. ვითმინე, ვითმინე და, ბოლოს, აივსო ფიალა მოთმინებისა. ვიდრე ბ-ნი ჟორდანია გვიგალობდა ეგრეთწოდებული

ერფურტის პროგრამიდამ* გაზეპირებულს ხუთ-ექვს სტრიქონს, ისიც რუსულ მარქსიზმის ცომში ამოზელილს, მე არა მენაღვლებოდა-რა, რადგანაც ვიცოდი, ქარის მობერილს ქარივე წაიღებდა. რაც გინდ ბევრი ეჭიკჭიკნა, რომ არიქა, ბიჭებო, ღვთის მადლით ჩვენში კაპიტალისტობა მობრძანდა, არიქა მისდა სადღეგრძელოდ და სასუფევოდ სოფელი გავაქალაქოთ, გლეხკაცობას მამულები ჩამოვართვათ, თორემ თუ პროლეტარიატებად არ იქცნენ, კაპიტალისტობა შემოგვწყრება, ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს და ეს პროგრესის ღალატი იქნებაო და სხვა ამისთანა აბდაუბდა, — მაინც ეს ამისთანა ჭიკჭიკი იმისთანა მერცხლისაგან, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, ჩვენში გაზაფხულს ვერ მოიყვანდა. მე ეს კარგად ვიცოდი და აინუნშიაც არ მომდიოდა. ვამბობდი, — ამისთანა ბოდვას ვინ ათხოვებს ყურსა-მეთქი.

XI

სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირადაც გვყოფნის და ლხინადაც, რომელიც დიდის ღვაწლით და შესაწირავით აგვიჩენია, გაგვიმართავს და ეს ოცდაექვსი წელია ვამოქმედებთ. სულ სხვაა, როცა ამისთანა თვალწინ დაყენებულ საკუთარს საქმეზე განგებ თუ უნებლიეთ თვალებს გვიბმენ, გონებას გვიხშობენ, გულს გვიტეხენ, რაც გინდ დამწამონ, რაც გინდ გუნდრუკის კმევა მიკიჟინონ, მე ამაებს არ შევუშინდები და იმ უეჭველს მართალს გულის სიწმინდით ვიტყვი, რომ ჩვენებური ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათასს თუმანზე მეტ მოგებას იძლევა და ამ ოცი ათასს თუმნიდამ თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს

* ეს ის პროგრამაა, რომელიც მითომდა სახელოვანის მარქსის მოძღვრებაზეა აგებული და რომელსაც ერთს დროს გერმანიაში ცოტად თუ ბევრად ავალა ჰქონდა და ეხლა კი თავის დრო მოიჭამა და თავისს პატრონს ჩაჰბარდა.

ანდომებს, იმისთანა დაწესებულებაა, რომ ყველა რიგიან და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად მიაჩნდეს, რომ შევძელით, ამისთანა რამ შევქმენით, ჩვენის საკუთარის ღონის და შეძლებისამებრ ვპატრონობთ და ვუძღვებით. როცა ბ-ნი ჟორდანია და მისი ამქარი ამისთანა საქმეზე ტყუილებით თვალს გვიბრმავებენ, განგებ, თუ უნებლიეთ სახელს უტეხენ, რომ მით გულიც გაგვიტეხონ, მხნეობა დაგვინელონ და ეს ერთადერთი საკუთარი საქმე გულიდამ ამოგვაღებინონ, ნუთუ არა ჰგრძნობენ, რას სჩადიან? ვინ რას იტყვის, რომ, თუ ნაკლულოვანება აქვს ჩვენებურს ბანკს, ამხილოს ვინმემ და გულისტკივილით თავიდამ მოაცილოს, გულმტკივნეული დარიგება და სარჩიელი მისცეს, მადლობის მეტი რა ეთქმის ამისთანა კაცს. ხოლო ბ-ნი ჟორდანია ამისთანა კაცი არა ყოფილა, მაშასადამე, ბევრ სიკეთესთან ერთად არც გული ჰქონია გულის ადგილას. ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ ნამდვილი და მართალი ნაკლი ჩვენებურ ბანკისა ვერ დაუნახავს, ვერ გაუთვალისწინებია და ტყუილებით მისდგომია და ჰლამობს ძირი და სახელი მოუთხაროს, მიწასთან გაასწოროს.

რა ჰქვიან ამისთანა საქციელს მე არ ვიცი, და რიგიანი კაცი-კი ამას ინატრებდა, რომ დედამიწა გაირღვას და თან ჩაიტანოს, ვიდრე თავისის ქვეყნის ერთადერთს საკუთარს საქმეს, საკუთარის თაოსნობით წარმოებულს და მომქმედს, ასეთი დღე დააყენოს, იმის მაინც როგორ არა სცხვენიათ, რომ ჩვენებურს ბანკს არავითარი წოდებრივი საგანი არა აქვს, არავითარი კერძო ინტერესი. აბა, ერთი სხვა ბანკი გვიჩვენეთ იმისთანა, რომ მისი მოგება არავისს ცალკე ჯიბეში არ მიდიოდეს და მარტო საზოგადო საქვეყნო საჭიროებას ჰხმარდებოდეს. აბა, ერთი იმისთანა ბანკი მიჩვენეთ, რომ ფულს მე ჩამოვსულიყავ და მოგება-კი საზოგადო საჭიროებისათვის შემეწიროს. ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედააზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია და ხელი არ უნდა

გაუხმეს იმ ბოროტს, ვინც ამისთანა საქმეს ჰლამობს ცილისწამებით, ტყუილებით ციხე-სიმაგრე შეუნგრიოს, სახელი გაუტეხოს. მაშ რაღაა იგი თქვენი თავში ცემა და ყვირილი, რომ ყველა ცალკე ადამიანი საზოგადოებისათვის უნდა იღვწოდეს, საზოგადო გამოკეთებას და გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს და არა მარტო თავის თავსაო. მაშ ის თავში ცემაც და ყვირილიც ტყუილი ფართი-ფურთი ყოფილა! თავად-აზნაურობამ დააარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში, თვისდა სასახელოდ, თითონ საკუთრად წილი არ ჩაიდო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ-კი გამოსულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ პირდაპირ იმასა ჰნიშნავს, რომ კაცი საზოგადო საქმიდამ გინდათ კერძო ინტერესზედ ჩამოახდინოთ, საზოგადო საჭიროებისათვის ფეხადგმული კაცი მის საკუთარს კერძო ინტერესზედ მიახედოთ და, რომ უფრო ადვილად მისწვდეთ თქვენს საწადელს, შიშით გულს უხეთქავთ, იღუპებიო, რომ სხვას საშველად ხელს უწვდიო და თქვენსას ყველას უწილადებთ წოდებისა და ხარისხის განურჩევლადო! ამისი თქმა გინდა განა! მაშ, ამაში სხვა რა აზრია, როცა ამბობთ, მერე ტყუილადაც, რომ ბანკი, რომელსაც საგნად აქვს თავისის მოგებით საზოგადო საჭიროებას გაუძღვეს, შენ გასუსტებს და გარღვევსო, მამულებს გიყიდის და გაღატაკებსო. ეს ყოველივე ხომ ცოცხალი ტყუილია და რად გინებებიათ ასეთი ტყუილი მუქარა და შიში? ძლივძლივობით ჩვენში საზოგადო საქმის სურვილმა ფეხი აიდგა, საზოგადო საჭიროებისათვის ფულის გადადებამ და გამოღებამ ძლივძლივობით ერთი საზოგადო საქმე შექმნა საზოგადო სამსახურისათვის, კერძო ინტერესები არ იკადრა, არ გააჭაჭანა და ამაზე ადამიანს აფრთხობთ და გულს უტეხთ. ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა, ეს არის თქვენი ახალი აღთქმა? ეგ ხომ ათადამ-ბაბადამვე ვიცოდით, რომ თუ მე არ

ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო, ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდამ კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალ კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა! ამას რუსები „აბრუნდის“ ეძახიან, სომხები იტყვიან ხოლმე: „ეი, ახმახ“, ქართველები-კი: ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო!

მე არ ვიცი, ამ ჩემი წერილისაგან ბ-ნი ნოე ჟორდანია ჭკუას მოვა თუ არა. ვაი, თუ მგლის თავზე სახარების კითხვა დამემართოს და გადარეული უფრო გადაირიოს. ესეც კი შესაძლოა: იქნება, იმის ქედმაღლობის ამბავი რომ ვიცი, მე და ჩემი წერილი ცხვირზევით აიცდინოს, ვითომდა არა გვკადრულობს, თავს არ გვიყადრებს. ეს-კი უეჭველია, რომ უსაბუთობას ვერ მიკიჟინებს, და თუ მიკიჟინა, მკითხველმა გაგვასამართლოს.

[1900]

38. პატარა საუბარი

„კვალის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს ხალხს თავისი წარმომადგენელი ჰყოლია და იგი წარმომადგენელი ვიღაც კირვალიძეა თურმე, ვის უკურთხებია ეს ვიღაც კირვალიძე ხალხის წარმომადგენელად, — ეს ჯერ საიდუმლოა თურმე „კვალის“ რედაქციისა და, რასაკვირველია, ოდესმე ამასაც შეგვატყობინებს. მოგვილოცნია საქართველოს ხალხისათვის საერთოდ, რომ ამისთანა მადანი ბედისა გასჩენია. ეხლა, ღვთის მადლით, საქართველოს ხალხს აღარა უშავს-რა, მისს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს. მოგვილოცნია „კვალის“ რედაქციისათვისაც საკუთრივ, რომ აქამომდე ეს უცნაური ამბავი საცნაური ჰქმნა და „კვალის“ № 12-ში საბუთიც წარმოგვიდგინა, რომ ეს ვიღაც კირვალიძე, „კვალის“ სიტყვით, მართლა — და ხალხის წარმომადგენელი ყოფილა, ქუდები მოვიხადოთ და ამ საქართველოს ხალხის წარმომადგენელს თავი მუხლმოდრეკით დავუკრათ, თორემ „კვალის“ რედაქცია გვემუქრის, თუ ესე არ მოექეცით, თქვენ ხალხის უარმყოფელნი და მტერნი ყოფილხართო.

ასე უპასუხა „კვალმა“ ბ-ნ ლალს, როცა ამან „კვალელებს“ ერთი უმართებულობა შეჰნიშნა, აწ განსვენებულ გ. წერეთლის დასაფლავებაზე ჩადენილი. როგორ გაგვიბედე და უმართებულება შეგვწამე, როცა თვით ბ-ნი ხალხის წარმომადგენელი, „გლეხი კირვალიძე“ ამ შემთხვევაში ჩვენსკენ არისო

და დასამტკიცებლად ამისა ხომ კირვალიძის წერილიც „კვალში“ გამოსჭიმეს.

აქაო და კირვალიძემ ჩვენ კვერი დაგვიკრაო, აქედამ ბ-ნ ჟორდანიას ლოღიკისამებრ აი, რა დასკვნა გამოიყვანეს: რადგანაც „გლეხი კირვალიძე“ ხალხის წარმომადგენელია და მაშასადამე, შეუცდომელია, ვითარცა პაპი რომისა, ამიტომაც ვინც „გლეხის კირვალიძეს“ მიერ მოწონებულს საქციელს დაჰგმობს, ის ჰგმობს თვით ხალხსაცაო. ბ-ნმა ლალმა ეს საქციელი დაჰგმო, მაშასადამე, ბ-ნი ლალი მგმობელია ხალხისა და ვითარცა მგმობელი — მტერიც არისო. აფერუმ, „კვალო“!

ეგრე იარეთ მცხეთამდე, ჩვენნო ბრძენ-ფილოსოფოსნო, და მცხეთას კი გაგივაკდებათ და მერე დაექანებით. სად გაგითენდებათ, ეს კი არ ვიცით. ან გაგითენდებათ კი, თუნდა პეტერბურგამდინაც იაროთ! არა გვგონია! ბრმათათვის გათენება ტიბიკონში არა სწერია. ბ-ნ ლალისაგან შენიშნული საგანი ზნისა და მართებულობის თვალით განსასჯელი, განსაკითხავი საგანია. საბუთი და საუბარი ამ წიაღსა შინა უნდა საქმობდეს, იგი ეტიკის საქმეა. აქ „გლეხი კირვალიძე“ რა მოწამეა, რა კანონმდებელია, რომ იმის მაგიერ, რომ საბუთი წარმოადგინონ, საბუთი ამოციქულონ, სჯა ასაქმონ, ამდგარან და „გლეხის კირვალიძის“ კალთას ქვეშ შესჯდომიან და იძახიან: სუ, „გლეხის კირვალიძის“ წინაშეო. ზნისა და მართებულობის საქმეში, „გლეხი კირვალიძე“ რა ავტორიტეტია, რომ რაკი იგი იმოწმეთ, გგონიათ, რომ ბ-ნს ლალს სიტყვა მოუჭერით, ხიდები ჩაუქციეთ, და გამარჯვების ნიშნათ ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდეთ და ქუდიც ვაჟკაცურად ჩაიტეხეთ. უკეთესი ეტიკოსი, უკეთესი ავტორიტეტი ვეღარსად იპოვნეთ. მეტი სასაცილოდ აგდებაღა იქნება ქვეყნისა ცალკე, მკითხველისა ცალკე, რომ კირვალიძე ზნისა და მართებულობის კანონმდებლად და ავტორიტეტად გაგვიხადეს! მეტი უარარაობაღა შესაძლებელია, რომ კაცი კირვალიძის ავტორიტეტობას არამც თუ მარტო თვითონ

დასჯერდეს, სხვასაც აჯერებდეს და ვინც არ იჯერებს, ქვეყნის მტრად ისახებოდეს! გაგონილა სადმე ამისთანა სასაცილო ამბავი!

ბ-ნ ჟორდანიამ მთელი გერმანია მოიარა და ისევ აქ მოვიდა, რომ კურსი კირვალიძეს უნივერსიტეტში შეესრულებინა და აქ ესწავლა ზნე და მართებულობა! ნუ თუ გერმანიაში, იმ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ქვეყანაში უკეთესი პროფესორი ვერ იშოვა, რომ მოვიდა და აქ, ჩვენში, კირვალიძეს მიებარა ზნისა და მართებულობის სასწავლებლად. მაშ რის მაქნისია, რომ ბ-ნ ლალის წინააღმდეგ მოწმად მოჰყავთ ვიღაც კირვალიძე, თუ იგი რაღაც უძლეველ ავტორიტეტად არ მიუჩნევიათ.

რომ უფრო დიდ ავტორიტეტად დაანახვონ ქვეყანას ეს ვიღაც „ხალხის წარმომადგენელი „გლეხი კირვალიძე“, ჩვენი ჭკუიანი „კვალი“ მე-12 №-ში გვეფიცება, რომ კირვალიძეს ას ერთი კაცი ამაზე ხელს უწერსო. ამისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ, საქართველოში თუნდა ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუთუ ამ ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა! თუ კაცი თვითონ ნულია, გლეხია, თუ თავადი, ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელჩართულად გაგვიმწკრიოთ, მაინც ნულია და ნული. ეს ხომ პირველ კლასსის გიმნაზიელმაც-კი იცის და რატომ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია. ლიტერატორობს და ამასთან მარქსისტობს ვიდეც და ჰლამის ვიღაც კირვალიძის ჭკუასა და ცოდნას ყურმოჭრილ ყმად გაუხდეს. კარგი კოლოფი ჭკუისა და ბოღაზი ცოდნისა უპოვნია. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

ამას იქით ნუ გაგიკვირდებათ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ხელწერილი ჩამოატაროს კირვალიძეებსა და მერკვილაძეებში — ბრძნობაზე ხელი მომიწერეთ, თორემ ლამის „ივერიამ“ უვიცობის სახელი

დამიგდოსო. ამას იქით ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა ხელწერილი „კვალში“ დაჰბეჭდოს და, როგორც კირვალიძეს დაუჩემებია ამისთანა საბუთით ხალხის წარმომადგენლობა, ისეც ბ-ნმა ჟორდანიამ ბრძნობა დაიჩემოს.

მოდით და ნუ იტყვით: ვაი, ჩვენის მწერლობის ბრალი-თქო.

[1900]

39. ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი

ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ მე პასუხი მაღირსა. ეს დიდი მოწყალება და ბედნიერებაა, თუ თქვენც იტყვით. ხოლო ამ ბედნიერებისაგან რომ მე მეტისმეტად თავს არ გავიდე, იგი მარტო „გზადაგზა“* ჰკადრულობს ჩემთან საუბარსა. ესეც ერთი თანხაა. მე ამისიც მადლობელი ვარ. არის ჩვენში ერთი სახის ჯგუფი, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია დიდ მეცნიერად მიაჩნია, და ხომ მოგეხსენებათ, — დიდმა კაცმა რომ ნეკიც გაღირსოთ, მთელის ხელის მოცემად უნდა მიიღოთ. დიდის კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალებაა. ბ-ნმა ჟორდანიამ პასუხი მაღირსა, თუნდაც „გზადაგზა“ და ეს სახელადაც მეყოფა და სახრავადაც.

ხუმრობაგაშვებით და ბ-ნმა ჟორდანიამ ერთი დიდი სიკეთე მიყო. მე მინდოდა ხელი მიმეყო და კვალდაკვალ მემხილებინა ის აუარებელი უმეცრობანი, რომელნიც ამ ახლად მოვლენილმა მეცნიერმა უშიშრად გამოჰფინა ჩვენში მას მერმედ, რაც სათავეში დაუდგა „კვალსა“. მხილებისათვის საჭირო იყო გადამეჩხრიკა მთელი მისი წინანდელი ნაწერები და იქიდამ ამომეკრიბა მარგალიტები მისის უმეცრობისა. ამისათვის შორს ძებნა მომინდებოდა და ბ-ნმა ჟორდანიამ თითქო შემიბრალა და თავისის აწინდელის პასუხით გამიადვილა საქმე. შორს რათ მიდიხარ, აი „გზადაგზა“ პასუხი მოგეცი და აქ

* იხ. „კვალი“, № 12, გვ. 206.

იმდენი განძია უმეცრობის, რომ ჭირადაც გეყოფა და ლხინადაცაო, — თითქო მეუბნება ეს ჩვენი, გერმანიაში გაბრძნობილი სუტ-მეცნიერი. არ ვიცი, მართლა ჩემი სიკეთე სდომებია ბ-ნ ჟორდანიას, როცა ეს პასუხი დამიწერა, თუ სხვა რამ ოინია? ეს კი უეჭველია, რომ მის პასუხში მართლა კარგა ბლომა განძია ახალ-ახალ უმეცრობისა.

მე არც იმოდენა სურვილი მაქვს, არც ხალისი, რომ გამოვეკიდო ბ-ნს ჟორდანიას იმის თაობაზე, რაც ჩემ გამო და ჩემის მიზეზით შეუკურთხა თავისებურად „ივერიას“ და მისს რედაქტორს. ყოველივე ეს საკირვალიძო და სამერკვილაძო შუშხუნებია, რომლის შემდეგაც მარტო ნატისუსალი რჩება და დამწვარი ჩვრები. ესეთი ტლინკები საქმე არ არის. ეს ნიშადურმოცხებულის ხტუნვა და მალაყებია. საქმე იმაშია, — რას ამბობს ბ-ნი ჟორდანია პასუხად ჩვენის საბუთებისა.

მე ვამხილე ბ-ნი ჟორდანია და ვუკიჟინე, რომ თქვენ არ გესმით რა არის „ფინანსიური დაწესებულება“, როცა ჩვენებურ ბანკს — მაგ საკრედიტო დაწესებულებას — ფინანსიურ დაწესებულებად ასახელებთ-თქო. შეფუცხუნებულა ამაზე ჩვენი გერმანელი ბრძენი და იმის მაგიერ, რომ მეცნიერებისათვის ეკითხნა, — რას ჰნიშნავს „ფინანსიური დაწესებულება“, ამდგარა და ლექსიკონს მივარდნია და იქიდამ უსწავლია, — რას მოასწავებს სიტყვა „ფინანსები“? როგორ მოგწონთ მეცნიერი მარქსისტი, რომელიც მარტო ლექსიკონით მიდის იოლად, როცა მეცნიერულ ახსნაზე მივარდება საქმე და რომელსაც სხვა უნარი და ილაჯი არა ჰქონია ამისთანა შემთხვევაში გზა გაიგნოს. მეტი ცარიელობა და არარაობაღა გნებავთ მეცნიერისა, რომელსაც თავი გაუხდია მარტო ლექსიკონის ანაბარად.

ან რა უპოვნია ლექსიკონში? ბ-ნი ნოე ჟორდანია ამის პასუხად გვეუბნება, აი, რა ვიპოვეო: „ფინანსები“, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ეწოდება ფულით გამოხატულს ნივთიერ

მდგომარეობას რომელიმე დაწყობილობისას საზოგადოდ*.

კარგი და პატიოსანი, მერე აქედამ რა გამოდის, განა აქედამ ის გამოდის, რომ ვინც, ან რაც ფულით გამოხატულ ნივთიერ მდგომარეობაშია, იგი „ფინანსიური“ დაწესებულებაა? განა ნივთიერი მდგომარეობა, თუნდაც ფულით გამოხატული, რომელისამე დაწყობილობისა და თითონ დაწყობილობა თავით თვისით ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე საგანსა ნიშნავს? განა ფულად გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა თუნდ ბ-ნ ჟორდანიასი და თითონ ბ-ნი ჟორდანია ერთი და იგივეა? ამ ლექსიკონურს ფართო მნიშვნელობას „ფინანსებისას“ რომ ავყვეთ და მასთან ერთად ბ-ნ ჟორდანიას სასაცილო ლოღიკას, გამოვა რომ სამიკიტნოც „ფინანსიური დაწესებულებაა“, რადგან არ არის ქვეყანაზე იმისთანა სამიკიტნო, რაც გინდ უხეირო იყოს, რომ ფულად გამოსახატავი, ან გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა, ასეთი თუ ისეთი, არა ჰქონდეს. „კვალსაც“, რა თქმა უნდა, ფულად გამოსახატავი, ან გამოხატული რაიმე მდგომარეობა აქვს უსათუოდ და აქედამ განა ის გამოდის, რომ „კვალი“ ფინანსიური დაწესებულებაა? აი, ჭირვეულობა და ჯიუტობა უმეცრობისა სად შეატოპინებს ხოლმე იმისთანა წყალ-წყალა კაცს, როგორიც ბ-ნი ჟორდანია ყოფილა. აქაოდა ჩვენებურს ბანკს „ფინანსები“ აქვს, ანუ, როგორც ლექსიკონი ამბობს, ფულად გამოხატული ნივთიერი მდგომარეობა, და ნუთუ ამით ჰხდით მას „ფინანსიურ“ დაწესებულებად?

მოგვილოცნია, „კვალის“ სახელოვანო მარქსისტო, ამისთანა ამერიკის აღმოჩენა! მე უფრო უკეთესს, თუმცა არა ახალს-კი, ამერიკას აღმოგიჩენთ, სახელდობრ იმას, რომ ბ-ნ ჟორდანიას კითხვა სცოდნია და წაკითხულის გაგება-კი სრულებით არა ჰქონია. ლექსიკონი ეუბნება, — „ფინანსები“

* იხ. „კვალი“, № 12, გვ. 208.

ქონებრივი მდგომარეობაა რომელისამე დაწყობილობისა, ფულად გამოხატულიო. იგი სხვას არასფერს ეუბნება ჩვენს მეცნიერს, არ ეუბნება, რომ დაწყობილობა, რომელსაც „ფინანსები“ აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონებრივი მდგომარეობა, „ფინანსიური დაწესებულებაა“. ამ სულელობას ვერც ეტყოდა. მაშ, საიდამ გამოჰყავს ამ ჩვენს ახლად მოვლენილს ბრძენს, რომ ჩვენებური ბანკი ფინანსიური დაწესებულებაა, როცა მოწმად მოჰყავს ლექსიკონი? იქიდამ, რომ „მდგომარეობა“ და მდგომარეობაში მყოფი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია. მდგომარეობა და მდგომარეობაში მყოფი ორი სრულიად სხვადასხვა სამცნეა, ერთმანეთზე შორი-შორი, ამიტომაც ფულად გამოხატული მდგომარეობა არაფერს შუაშია მდგომარეობაში მყოფის სახელწოდების გამონასკვისათვის. ამის შემდეგ საბუთი მაქვს თუ არა ვთქვა, რომ ამ ჩვენ უმეცარს მარქსისტს კითხვა, ღვთის მადლით, სცოდნია და წაკითხულის გაგება-კი, ღვთის წყრომით, არა ჰქონია.

ამ სახით, აშკარაა, რომ ვერაფერი სამსახური გაუწია ბ-ნს ჟორდანიას იმ ლექსიკონურმა ფართო მნიშვნელობამ სიტყვის „ფინანსებისამ“, რომელსაც დაჰბღაუჭებია ჩვენი უმეცარი მეცნიერი, როგორც წყალწაღებული ხავსსა, რაკი სხვა ილაჯი და ღონე არა ჰქონია.

თუნდ ესეც არ იყოს, ან ლექსიკონი რა ისეთი დასაბეჯითებელი წყაროა სიტყვის მეცნიერულ აღსახსნელად, რომ ზედდაკვდომით დასწაფებია ეს ჩვენი ტყუილი მარქსისტი. ლექსიკონი ვულგარულს, თუ უკაცრაოდ არ ვიქნებით, ქუჩურს მნიშვნელობასაც სიტყვისას ანგარიშს უწევს. მოვალეა ამ მხრითაც სიტყვა ახსნას, და განა ეს საბუთია, რომ კაცმა გააუქმოს, დაივიწყოს მეცნიერული, განსაკუთრებითი მნიშვნელობა სიტყვისა იქ, საცა სიტყვა მარტო ამ მნიშვნელობით საგულისხმოა? მაგალითებრ, სიტყვა „კაპიტალი“ საყოველდღეო, საყველპურო საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ

სიტყვისა ეს არის? განა იგი „კაპიტალი“, რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა და ეს საყველპუროდ ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა?*

არ არის ქვეყნიერობაზე არც ერთი ლექსიკონი, რომ ეს საყველპურო მნიშვნელობა „კაპიტალისა“ არ აენიშნოს და მასთან ერთად მეცნიერულიცა, რამოდენადაც კი ლექსიკონისათვის მოსახერხებელია და მოსათავსებელი.

აკი იგი ლექსიკონიც, რომელიც ბ-ნ ჟორდანიას თავისს მოწმად მოჰყავს, იუწყება, როგორც თვითვე ბ-ნი ჟორდანია გვარწმუნებს**, რომ სიტყვა „ფინანსები“ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ (კურსივი ჩემია) სახელმწიფოს და სხვა მართველობათა შესავალ-გასავალს ნიშნავსო. მეც ესა ვთქვი და ახლა უყურეთ, ბ-ნი ჟორდანია რა მალაყს გადავიდა. მე, რომელმაც სიტყვას „ფინანსები“ ვაკუთვნე მისი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი მნიშვნელობა, ესე იგი მნიშვნელობა მეცნიერული, ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ უვიცობა შემწამა და თითონ კი მეცნიერობის გვირგვინი დაიდგა, რომ ამ სიტყვას მისის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ს მნიშვნელობით არა ჰხმარობს. გულზე ხელი დაიდეთ და სამართალი ისე ჰქენით, — ვინ არის აქ მტყუანი და უვიცი: მე, თუ ბ-ნი ჟორდანია?

ნუთუ, ბ-ნო ჟორდანიავ, აქაც წაკითხულის გაგებაზე მწყრალად ბრძანებულხართ. ნუთუ აქაც ნახტომი შეგშლიათ და ვერ გაგიგიათ, — რას ნიშნავს სიტყვა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი? თუ გაგეგებათ, — რატომ ყურს არ უგდებთ თქვენსავე მოწმეს, რომელიც ასე აშკარად თქვენვე გამტყუნებთ. განა თქვენს წერილში, საცა ჩვენებური ბანკი „ფინანსიურ“ დაწესებულებად მონათლეთ, სიტყვა

* აი, თუ არ დაგიშლიათ, რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალი“ მეცნიერულად: „კაპიტალი მდგომარეობს წარმოებაში და წარმოება კაპიტალში და აი ამიტომაც დღევანდელი წარმოება კაპიტალისტური წარმოებაა და ზედნაშენი წყობილება კაპიტალისტური წყობილებაა“.

** იხ. „კვალი“, № 12, გვ. 208.

„ფინანსები“ და აქედამ „ფინანსიური“ ქუჩურ მნიშვნელობით იხმარეთ? ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ვერც ამ ქუჩურმა მნიშვნელობამ გაგიყვანათ ფონსა და ვერაფერ ნავ-ტიკად გამოგადგათ. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ სულელობაა კაცმა ბანკს „ფინანსიური დაწესებულება“ უწოდოს მარტო იმის გამო, რომ ბანკს თავისი „ფინანსები“ აქვს, ესე იგი ფულად გამოხატული ქონება.

ახლა ვნახოთ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი მნიშვნელობა „ფინანსებისა“ რა ხეირს დაგაყრით, თუ გონების თვალზე განგებ ხელს არ აიფარებთ, ჩვენო გერმანიაში ნასწავლო მეცნიერო და დოქტორ-ფილოსოფოსო კირვალიძის უნივერსიტეტისავ. „ფინანსები“ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ნიშნავს სახელმწიფოს და სხვა მართველობათა შესავალ-გასავალსაო, ამბობს თქვენი ლექსიკონი. ჩვენებურ ბანკსა სახელმწიფოს და სხვა მართველობათა შესავალ-გასავალთან საერთო რა აქვს? ჩვენებური ბანკი და იგი დაწესებულება, რომელიც განაგებს სახელმწიფო შესავალ-გასავალს, ისე შორს არიან ერთმანეთზე, როგორც უმეცარი ჟორდანია და მეცნიერი მარქსი. განა აშკარად ცხადი არ არის, რომ იქ, სადაც „ფინანსიურ“ დაწესებულებაზე ლაპარაკობენ, მეცნიერული ანუ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი მნიშვნელობა უნდა იგულისხმებოდეს უეჭველად. თუ ესეა, და ვინ იტყვის რომ ასე არ არისო, კაცს ხომ დიდი ლარი და ხაზი არ მოუნდება, გამოიცნოს, რომ ბ-ნი ჟორდანია ხელახლად იძლევა საბუთს ვიგულოთ იგი, ვითარცა მცურავი უმეცრების ტბაში უმეცრებით გაბერილ ნავ-ტიკითა.

აშკარაა, ამ ჩვენს კირვალიძის უნივერსიტეტში კურსშესრულებულს მეცნიერს არა სცოდნია, რომ არის ერთგვარი მეცნიერება, რომლის საგანი განსაკუთრებით ფინანსებია და რომელსაც ჰქვიან საფინანსო მეცნიერება. თუ სცოდნოდა ამ შემთხვევაში ამ მეცნიერებას დაეკითხებოდა, — რას ნიშნავს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ფინანსები და ფინანსიური დაწესებულება? კაცი, თუნდაც

შორიახლო მცოდნე, და არა უმეცრობით გაბრუებული და გაბერილი, განა ამ შემთხვევაში იკმარებდა ლექსიკონის მოწმობას და ლექსიკონურს ახსნას? სჩანს, ბ-ნი ჟორდანია მეცნიერების ძებნაში ლექსიკონის იქით ვეღარ წასულა.

დალოცვილი, ამისათვის რაღა გერმანიაში მირბოდა? განა აქ-კი ვერ იშოვიდა ლექსიკონს, თუ მაინცდამაინც ლექსიკონის წაკითხვის მეტი სხვა შნო და ლაზათი არა ჰქონია. გაუმარჯოს გერმანიაში გაბრძნობილს მარქსისტს! ტაში მაგას, ტაში, კირვალიძეებო და მერკვილაძეებო! თქვენ რომ არა ჰყავდეთ ბ-ნ ჟორდანიას, სადღა გაასაღებდა თავისს სიბრძნეს.

მე მაინც ერთს სამსახურს გავუწევ ჩვენს მარქსისტს და ვაუწყებ, რომ არის ერთი თხზულება, რომლის განსაკუთრებითი საგანი ფინანსებია და ფინანსიური დაწესებულებანი და ვურჩევ იქ ჩაიხედოს, თუ მართლა გაგება რისამე უნდა და არა წარამარა მალაყების გადასვლა კირვალიძეების და მერკვილაძეების გასაოცებლად და თავბრუდასასხმელად. ერთს გერმანელს სახელგანთქმულს მეცნიერს, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორს კ. გ. რაუს დაწერილი აქვს წიგნი, რომელსაც ჰქვიან „ძირითადნი დასაბამნი საფინანსო მეცნიერებისა“* და რომლის გამო ამბობენ, ეს ერთადერთი თხზულებაა მთელ ევროპის ლიტერატურაში, საცა სავსებით და სრულად გამორკვეულია ეს საგანი მთელის თავისის ნაწილებითაო**.

აი, იგი რაუ რას ამბობს: არის განსაკუთრებული შტო მთავრობის მოქმედებისა, რომელსაც საგნადა აქვს მოხვეჭოს, უპატრონოს და შესაფერად მოიხმაროს სახელმწიფო საჭიროებისათვის ნივთიერი ღირებულებანი, იქონიოს საკუთარი მეურნეობა

* ბ-ნი ჟორდანია, მისი ჩვეულების ამბავი რომ ვიცი, მეტყვის: შენ რომ არ მითხრა, განა ეგ მე-კი არ ვიცოდიო. მეც ვუპასუხებ: თუ იცოდით, სარაოდღა ინახავდით? ლექსიკონს რაღად მივარდნიხართ თავგადავლეულნი.

** ასე ამბობს მისი მთარგმნელი ა. კორსაკი.

(хозяйство), ანუ მზრუნველობა სახელმწიფო შესავალ-გასავლისა. ეს მზრუნველობა მთავრობისა სახელმწიფო საჭიროების გასაძღოლად შეადგენს საგანს ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი ს ა ს და ფ ი ნ ა ს ი ე ბ ი ს ა ს (კურსივი წიგნის ავტორისაა და არა ჩემი). მეორე ადგილას, როცა რაუ ჰხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას ისტორიულად, ამბობს, ფრანგული სიტყვა les finances ჯერ ძველადვე ნიშნავდა მთელს ქონებას სახელმწიფოსას და სახელმწიფო მეურნეობის (хозяйство) მდგომარეობასაო. ფრანგულის ენის ზედგავლენამ სრულად განდევნა გერმანული ცუდი მნიშვნელობა ამ სიტყვისაო.

ყველგან, საცა კი რაუ ჰხმარობს ამ სიტყვას, იმ მნიშვნელობით ჰხმარობს, რომ ფინანსების საგანი სახელმწიფო შესავალ-გასავალიაო და ფინანსიურ დაწესებულებად ჰხადის მარტო გამგებლობას ფინანსებისას მთავრობის მიერ. არც ერთგან რაუ საკრედიტო დაწესებულებას არამცთუ ფინანსიურ დაწესებულებად არა სთვლის, არამედ ხსენებითაც არ იხსენიებს. საკრედიტო დაწესებულება რომ ბ-ნ ჟორდანიას სიტყვისამებრ ფინანსიური დაწესებულება იყოს, ნუთუ რაუ ამას გაუჩუმდებოდა და ისე, გაკვრით მაინც, არ მოიხსენებდა?

დიმიტრი ტოლსტოი, — გვეუბნება ბ-ნი ჟორდანია, — საკრედიტო დაწესებულებას ფინანსიურ დაწესებულებად სთვლისო. არა გვგონია. ვთხოვთ ბ-ნ ჟორდანიას, მოწყალება მოიღოს, ამოგვიწეროს დიმიტრი ტოლსტოის თქმული. თუ დიმიტრი ტოლსტოი ბ-ნ ჟორდანიასავით უმეცრობით გატენილი არ არის, ჩვენ წინათვე დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს უმეცარს მარქსისტს აქაც წაკითხული ვერ გაუგია და ვერ მოუნელებია.

ეხლა ვიკითხოთ: რა აქვს საერთო ჩვენებურს ბანკსა, ან ერთობ საკრედიტო დაწესებულებას ფინანსიურ დაწესებულებასთან? განა აშკარა არ არის, რომ ვერც გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ა

მნიშვნელობამ „ფინანსებისამ“ უშველა ბ-ნ ჟორდანიას, თავი გადაერჩინა იმ უმეცრობისაგან, რომელიც მან აღმოაჩინა, როცა ჩვენებური ბანკი და ერთობ საკრედიტო დაწესებულება „ფინანსიურ დაწესებულებად“ მოგვინათლა. ხომ ვერც ლექსიკონურმა ფართო მნიშვნელობამ და ვერც გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ა და მეცნიერულმა ვერ გაიყვანა ბ-ნი ჟორდანია ტყუილების უმეცრობის ტბიდამ. თუ მაინცდამაინც ამ ორში ან ერთს დაიხვევს ხელზე, ან მეორეს, — აბა, ერთი ეს ლოღიკური გზა გვაჩვენოს, რომელიც ან ერთის, ან მეორის შემწეობით ჭკუათამყოფელს კაცს მიიყვანს იქამდე, რომ საკრედიტო დაწესებულებას ფინანსიური დაწესებულება უწოდოს დაუცინებლად და გაუცინებლად.

ყველა-ყველა და განა საკვირველი და ამასთან სასაცილო ამბავი არ არის: ბ-ნი ჟორდანია გერმანიაში იყო და იქ ვერ დაუნახავს იმისთანა ბუმბერაზი მეცნიერებისა, როგორიც რაუა და აქ, ჩვენში კი იმისთანა კაცს ჩაჰბღუჯებია, როგორც არავისაგან ცნობილი დიმიტრი ტოლსტოია, იქ სპილო ვერ დაუნახავს და აქ ჩვენში მუმლიც ბუმბერაზად მოსჩვენებია. ესეც ერთი უტყუარი ნიშანია მისი, თუ რა უკეთებია ბ-ნ ჟორდანიას გერმანიაში, რა ბრმად უვლია იქ და რა თვალახილებულად აქ, ჩვენში. დალოცვილს იქ აეხილნა, თუ თვალი მართლა უჭრის ხედვისათვის. მაშინ ხომ აღარ მოუნდებოდა ლექსიკონის იღლიაში ამოჩრა და დიმიტრი ტოლსტოის წინამძღოლობა.

ჯერხანად ეს ვიკმაროთ. ბ-ნს ჟორდანიას, როგორც მისის პასუხისაგან სჩანს, სწყინს ერთხანად გრძლად გაბმული საუბარი და აბა, მე როგორ მოვისურვებ მისს ხელახლად წყენას. თუნდ ესეც არ იყოს, საუზმედ დილის სიფთაზე ეს მისის უმეცრების მცვრიანი მწვადიც საკმარისია, სადილები ღვთით, მერე იქნება თავისის წვნიანებითა. ღმერთმა ბ-ნ ჟორდანიას დიდი დღე მისცეს და მინამ თავი მისი მას ახლავს, მე მასალა არ დამაკლდება. უმეცრება ბ-

ნ ჟორდანიასი ზღვაა და მე ჯერ კიდევ ამ ზღვის პირასა ვარ. ჯერ სად არის! ეს ახალი უმეცრება რა სათქმელია, ზოგი ძველები მოიკითხეთ. მოგახსენებთ ზღვაა-თქო, და მართლა ზღვაა. ასეთი მარგალიტები ამოვიკრიბოთ ამ ზღვის ძირიდამ, რომ თქვენი მოწონებული.

მარტო ამას ვჩივი, რომ ბ-ნი ჟორდანია არ მაცლის ძველებისათვის, კვირა არ გადის, რომ სულ ახალ-ახალი უმეცრობა პანტასავით არ მომაყაროს და არ ვიცი, რომელს ერთს გავუძღვე, ძველს თუ ახალს. ჯერხანად ახალმა წამიცდინა და ვიდრე ამას მოვრჩები, ძველმა უნდა მომიცადოს. აბა, ზოგი სეირი მაშინ ჰნახეთ, როცა ბ-ნ ჟორდანიას ძველს უმეცრობას ქეჩოში ხელს წავავლებ. მე მარტო ამას ვწუხვარ, რომ ეს მისი ზღვა უმეცრობისა კოვზით უნდა ამოვწურო. სხვა გზა არა მაქვს, რომ საქმემ ქადილი არ გამიცრუოს. ამ კოვზით ამოწურვას არა გვგონია ერთის კაცის სიცოცხლე ეყოს, ასეთი უშველებელი ზღვაა. თუ დამცალდა-კი, ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, მე ბ-ნი ჟორდანია გამოგიჭიმოთ მთელის თავისის სიგრძე-სიგანით და ხელის გულზე გაგიგოროთ და მაშინ თქვენც დაინახავთ, თუ ჯერ არ დაგინახავთ, რა მადანი მიპოვნია და რა წითელი კოჭი ბრძანებულა ეს ჩვენი თავმოწონებული, მაგრამ ყოვლად უმეცარი მარქსისტი.

ოღონდ თქვენ მოთმინება იქონიეთ და ნუ შემრისხავთ, რომ მე მოვცდები და თქვენც მოგაცდენთ იმისთანა საგანზე, რომელიც საქმისათვის გროშადაც არა ჰღირს, ოღონდ ნუ დამემდურებით და თუ ქადილი არ აგისრულოთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

[1900]

40. ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში

ტფილისი, 3 აპრილი

დღეს-აქამომდე სულ ამას ჩივიან, რომ კახურს და ერთობ ჩვენებურს ღვინოს გასავალი არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა აქვს საამისოდ დიდი ბაზარი და ამიტომ ღვინო ფასად ვერ გადის და ჰზარალობს ამის გამო ვენახის პატრონი და ღვინის დამყენებელი. ეს ჩივილი მართალია. შინაური ბაზარი იმოდენა არ არის, რომ დაიტიოს იმოდენა ღვინო, რამოდენაც ჩვენში მოდის. ვენახებმა და ღვინის დაყენებამ ძლიერ იმატა ამ ოცს-ოცდაათს წელიწადში და ბაზარი კი თითქმის იგივეა, რაც იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია ის ამბავი, რომ გასასყიდი ღვინო ბევრია და მუშტარი-კი ცოტა. ამ მიზეზით ეკონომიური კანონი აღებისა და მიცემისა*, რომელიც ფასსა საქონლისას ასწევს და დასწევს ხოლმე, თუ სხვა ყოველივე გარემოება ერთნაირია, იმ დონეზე დადგა, როცა მიცემა მეტია აღებაზე. ამას უეჭველად ფასის ძირს დაწევა მოსდევს. აი, სად არის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენში ღვინოს ისეთი ფასი არა აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს და როგორიც ხელსაყრელი უნდა იყოს ამ სახის მრეწველობისათვის.

აშკარაა, ჩვენებურმა ღვინომ მუშტარი უნდა იმატოს, ბაზარი გაიდიდოს და მარტო შინაურს

* спрос и предложение.

ბაზარს არ დასჯერდეს. გარეთი ბაზარი შორი ბაზარია. იქ რომ ღვინო გავიდეს და ფეხი მოიკიდოს, საჭიროა ჩვენებურს ღვინოს გამძლეობა ჰქონდეს, საჭიროა ღვინომ სასმელად თავი დაიჭიროს და არ წახდეს. ჩვენებურს ღვინოს სწორედ ეს თვისება აკლია, გამძლეობა არა აქვს. ეს იმოტომ კი არა, რომ ბუნებითად ჩვენი ღვინო ერთობ გამძლე არ იყოს. ჩვენებურ ღვინოსაც აქვს თვისება გამძლეობისა, ხოლო ბუნებასაც ხელის შეწყობა უნდა, რომ თავისი გაიტანოს. აი, სწორედ ჩვენ ეს ხელი გვაკლია და ამიტომაც არც ერთი ღვინის დამყენებელი ჩვენში დარწმუნებული არ არის, რომ მისი ღვინო იმავე თვისებით მიაღწევს ბაზრამდე, რა ღირსებითაც მარნიდამ ისტუმრებს, დიდხანს გაძლებას ღვინისას ნუღარ იტყვით. ერთის სიტყვით, ჩვენებური ხელშეუწყობელი ღვინო სავაჭრო საქონელი არ არის, ნამეტნავად დიდ გარეთა ბაზრისათვის: იგი ფუჭდება და ამიტომ მუშტარი უფრთხის.

რა არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენებური ღვინო თავს არ იჭერს და ფუჭდება? ყველამ იცის, რომ ღვინოც, თუ ხელს არ შევუწყობთ, სნეულდება, ავადმყოფობს, და გარდა იმისა, რომ სხვა, არა ჩვეულებრივი გემო ემატება, მალე მჟავდება და იმღვრება, თავისს პირვანდელ ფერსა და გემოს ჰკარგავს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ამ სნეულების მიზეზი სხვადასხვა მიკრობებია, რომელნიც ღვინოს ეწვევიან ხოლმე აქეთ-იქიდამ და ღვინოში ჰპოულობენ თავისს ხელშემწყობს საზრდოს სიცოცხლისა და გამრავლებისათვის, და თვით ღვინოს კი ახდენენ და პირვანდელ ფერსა და გემოს უფუჭებენ.

მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ღვინოს ეს უბედურება არ დაემართოს, პირველ ყოვლისა საჭიროა იმისთანა ხელის შეწყობა, რომ ეს მიკრობები გაწყდნენ და ამოიხოცნენ. დაუძინებელმა ბეჯითობამ მეცნიერებისამ გვიპოვა, ღვთის მადლით, ამისი წამალიც.

ყველამ იცის, რომ წყალი მიკრობების ბუდედ შეიქმნება ხოლმე, წყალიც ფუჭდება და სასმელად არამცთუ არ ვარგულობს, არამედ მავნებელიც არის, როცა ეს ჭირი გაუჩნდება. ამას წინად ჟურნალ-გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ გაწმენდა და მიკრობებისაგან დახსნა სასმელის წყლისა შესაძლებელი და ადვილი საქმეა ელექტრონის შემწეობით. ეს უცდიათ საფრანგეთში, სახელდობრ ქალაქს ლილში და დაუნახავთ, რომ უკეთესი წამალი მიკრობების გამწყვეტი და სასმელის წყლის გამოსაკეთებელი ელექტრონია; სრულად თურმე სწმენდს წყალს ასე, რომ მიკრობების ნატამალსაც არ აჩენს. ესევე ღონე უხმარიათ ღვინის გასაწმენდადაც მიკრობებისაგან. ჟ. რიხტერს* ამ ბოლოს ხანებში უცდია აქაც ელექტრონი და გასაშტერებლად გამოჰყენებია. ჯერ ყოვლის უწინარეს უნდა თურმე პასტერის მეთოდით მოექცნენ ღვინოს, ადუღებულს 56–64 რეომიურის თერმომეტრის გრადუსამდე, და მერე მიუშვან ელექტრონი.

საქმე ის არის, რომ პასტერის მეთოდით ღვინოს სუნი, ბუკეტი ეკარგება, და ელექტრონი ამ დაკარგულს სუნს ისევ აღუდგენს ხოლმე ღვინოსა. გარდა ამისა, ღვინოს ეძლევა ყოველივე სიკეთე ძველის ღვინისა და დიდი გამძლეობა. სუსტი ღვინოც, რომელიც სასიამოვნო სასმელია, რადგანაც ცხარე არ არის, და რომელიც ძალიან მალე ფუჭდება, იგიც-კი ელექტრონის შემდეგ გასაძლისად კეთდება და დიდ ხანს იჭერს თავს. ამასთან ღვინო ისეთია თურმე, როგორც ანკარა წყარო.

სასურველია, რომ ჩვენებურებმა ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და შეეცადონ ამ გზით ჩვენებურს ღვინოს ის ადგილი დააკავებინონ საქვეყნო ბაზარში, რის ღირსიც არის თვისის ბუნებურ სიკეთითა და მით მუშტარი მოიმატონ. შემდეგ ვიტყვით: ეხლანდელი ჩვენებური ღვინო საბაზრო

* იხ. ელჰეს წერილი „Новое время“-ში № 8651, 1900 წ.

საქონელი არ არის, რადგანაც ხელშეუწყობლობის გამო თავს არ იჭერს, და მისი ფერისა და გემოს ადვილად ცვლა და ადვილად გაფუჭება, წახდენა, მუშტარს აფრთხობს.

[1900]

41. პატარა საუბარი

თაგვმა სთხარა სთხარაო და კატა გამოსთხარაო, სწორედ ეს ამბავი დაემართა ჩვენს სახელოვანს ნოე ჟორდანიას. ეს უწყინარი და უშიშარი რაინდი ყოვლად უმეცრობისა „კვალის“ № 13, გვ. 207 მეუბნება თავისს ჩვეულებრივ თავმოწონების უგემურობითა:

„ეს „ახალ-მოსული“ სამაგალითოდ იმეორებს „ივერიას“ და მის პატრონს და ამავე დროს გვარწმუნებს: „მე არც „ივერიის“ დარდი მაქვს და არც ილია ჭავჭავაძისაო“. ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო, ამაზეა ნათქვამიო“.

მე სრულებითაც არ მეთაკილება, ან ერთი განვიმეორო, ან მეორე და თუმცა ზოგიერთში არც ერთს ვეთანხმები, არც მეორეს, მაგრამ ერთობილად ამათი აყოლა ჩემთვის სათაკილო არ არის და გაცილებით სასახელოა, ვიდრე თქვენი აყოლა, ბ-ნო ჟორდანიავ.

ამას თავი დავანებოთ. მაგისთანა ლაპარაკი გროშადაც არა ჰღირს და ვერას უშველის ბ-ნ ჟორდანიას, ამ უმეცრობის ვეშაპს, ანუ დევგმირსა, რომელსაც შაქრის ქაღალდის ლახტი დაუჭერია და ჰგონია, ამით ქვეყანას შევძრავო და მოპირისპირეებს მოვიგერიებო. წამიკითხავს ბ-ნ ჟორდანიას ნაწერები, რომლის ერთობილი სახელი „ჟორდანიას ტყაოსანია“. წამიკითხავს და ვიცი, რა წითელი კოჭიც ბრძანდება. იგი ეხლა ფართხალობს, როგორც ჭიჭყინა, წყლიდამ ქვიშაზედ გადმოგდებული მებადურისაგან.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! მე ახლა ამისთანა უეცარს მაგალითს წარმოგიდგენთ, რომ მართლა ფიცი იწამოთ და ბოლომ კი გაგაოცოთ. ჯერ მინამ ამ მაგალითს ვიტყოდი, ერთი ეს მინდა ვკითხო ბ-ნ ჟორდანიას: ნეტა რას უწოდებთ იმ კაცს, რომელიც რაკი თავისი არა აბადია რა, არა გააჩნია რა, ზედმიწევნით იმეორებს „ივერიის“ პატრონს, მისის აზრებით იკვებება და რაც „ივერიის“ პატრონს ამ ოცდათექვსმეტ წლის წინად უთქვამს, იგი დაუჩემებია უპრაგონოდ და ახალ მოძღვრებად ასაღებს 1898 წელს დიდის ფახი-ფუხით და თავმოწონებით. ეს კიდევ არაფერი, რომ „ივერიის“ პატრონის აზრები დაუჩემებია და თავისად გაუსაღებია, ვითომც აქ არაფერიაო, ეხლა მისდგომია და იმ აზრების პატრონს უაზრობას, უვიცობას, უხეირობას სწამებს. ბ-ნო ჟორდანიავ, რას ჰქვიან თქვენებურად ამისთანა ვაჟბატონს? რა თქმა უნდა, ნათლობის სახელი არაფერს შუაშია, ზნეობის გამომეტყველი სახელი გვიბრძანეთ.

მანამ თქვენს ლექსიკონში ზნეობის გამომეტყველის სახელს ამისთანა კაცისას მოიპოვიდეთ, მე გეტყვით მისს ნათლობის სახელს: იმისთანა კაცს დღეს ჩვენში ჰქვიან, — ნოე ჟორდანია და ეს მისი ნათლობის სახელია მხოლოდ.

დიახ, ბატონებო, ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ გერმანია და იქნება მთელი ევროპაც მოიარა და რა მოგვიტანა? მოვიდა აქ, ჩვენში, და როცა სათავეში ჩუადგა „კვალს“. და საჭიროდ გაუხდა თვისი პროგრამმა გამოეცხადებინა თვისთა მკითხველთათვის, თვისნი საკუთარნი დედააზრნი მათთვის გაეთვალიწინებინა, თავისნი გულის ნადებნი გამოექვეყნა, რა ჩაიდინა მაშინ ბ-ნმა ჟორდანიამ? იქექა, იფხანა თავი და საკუთარს კიდობანში რომ კუტი პურიც არ მოეძევებოდა, კუჭს რით გაიძღობდა, თუ არ სხვისით? ასე უნდა ვიფიქროთ, იმიტომ, რომ ბოლოს სხვის პურს დაუწყო მშიერმა ღეჭვა და ცოხნა და იოლად წავიდა.

დიახ, ბატონებო, იმაზე მეტი ვერა მოახერხა რა, რომ 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ გამოთქმული აზრები 1898 წელს დაიჩემა, მიიკუთნა, „საქართველოს მოამბის“ პროგრამა თავისს საკუთარ პროგრამად აქცია და გაასაღა. არც რამ ლარი, არც რამ ხაზი! ეხლა აინუნშიც არ მოსდის და საოცარი და დაუჯერებელი ამბავი და საქციელი. მართლა რომ კაცია და გუნებაო!..

იქნება არა გჯერათ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ეს ამბავი ჩაიდინა. მართლა დაუჯერებელია, რომ ამისი უტყუარი საბუთები ხელთ არა მქონდეს. აბა ცალ მხარეზე ბ-ნ ჟორდანიას ნათქვამს მოვიყვან და მეორე მხარეს „საქართველოს მოამბისას“, რომლის პატრონიც იყო მაშინ დღევანდელი პატრონი „ივერიისა“, და დააკვირდით მუშტრის თვალით, ხოლო მუხლი-მუხლს დაუპირდაპირეთ.

„საქართველოს მოამბე“*	ბ-ნ ჟორდანიას ნათქვამი**
1) ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიც ჰფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად... თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავისს რჯულსა და კანონსა. მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა,	1) ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა და ან დაიწერება, და არა ის, რაც მხოლოდ წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა... პირველ ყოვლისა საჭიროა თვით მოვლენა, თვით ფაქტი და არა განყენებული მსჯელობა. ცხოვრებაში უფრო მეტი აზრია, ვინემ ერთ დიდ მოაზრე თავში. საჭიროა

* იხ. „საქართველოს მოამბე 1863 წ. № 1. გვ. 121.
** იხ. „კვალი“ 1898 წ. № 1, გვ. 1 და 2.

გამოფენა საქვეყნოდ. (გვ. 121)	მხოლოდ იმის ამოკითხვა, სიღრმიდგან ზევით ამოტანა, სიბნელიდამ სინათლეში გადატანა.
2) ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავისის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავალისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერია აწმყოსათვის... თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელი ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ვერ ამოჰკრიბოს ხვალისათვის... ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გამოსაკეთებლად. (გვ. 122).	2) ჩვენ აქ ვიკითხავთ: რომელია ძველი, გაქრობისაკენ მიდრეკილი, რომელი ახალი მერმისის მქონებელი... ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ამ უკანასკნელს მივაქცევთ... ჩვენი მიზანია მომავლის დაბადებას დავეხმაროთ, „კვალის“ რედაქციის უმაღლესი და უწმინდესი მიზანია ქართველს ხალხს დღევანდელი რთული პირობების შეგნება და თანახმად ამისა მოქმედება გაუადვილოს
3) ამ სახით, ჟურნალი, უნდა თვალ-გაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებას. რათა ყოველ	3) ერთის სიტყვით, მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალდაკვალ მიყოლა,

აღმოშობილს ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს, ყოველ საკეთილო აზრის მოძრაობას გზა გაუხსნას, ყოველისფერი შეჰნიშნოს და ყოველს ფერს პასუხი მისცეს. (გვ. 122).	ახალ-ახალი მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება, — აი რედაქციის მიზანი, სატრფიალო საგანი.
4) დეე ზოგიერ-თებმა... წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშონ გონება... ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითს პურსა. ცხოვრებაში გამომცხვარს და მშიერთათვის მოსახმარს და გამოსადეგსა. (გვ. 122)	4) ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა ან დაიწერება და არა ის რაც მხოლოდ წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა... ჩვენ ამოვიტანთ იქიდამ, რაც იქ არის.
5) სხვა რაღაც წარლტოლვილ ცნობებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეს იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ჰხედავს უქმის ჭკუის ვარჯიშობაში და ფრენაში. (გვ. 123)	5) ჩვენის აზრით ყოველივე თეორია (?)* გინდ იდეალი იქმნას მოძებნილი თვითონ ცხოვრების გულში და არა ადამიანთა აღფრთოვანებულ ფანტაზიაში და არა ავტორთა გონების აღფრთოვანებაში... პირველ ყოვლისა საჭიროა ფაქტი და არა განყენებული მსჯელობა.
6) იქ, ცხოვრების ძირში ის (ჟურნალი ხელოვნების შემწეობით) იპოვის ბევრს	6) აი, რა არის ორგანოს დანიშნულება: საზოგადო სიტყვების არ მიმალმომალვა, არა

* იდეალი კიდევ ჰო, თეორიის ცხოვრებაში ძებნისა-კი რა მოგახსენოთ. ცხოვრება რა თეორიის საბუდარია, რომ კაცმა ქათმის კვერცხებსავით იქ დაუწყოს ძებნა. თეორია კაცის გონების ნამოქმედარი საქმეა და მისი საგანძური მეცნიერებაა და არა ცხოვრება. ესეც ერთი მაგალითია, რომ ჩვენს მეცნიერს მარქსისტს ჯერ არც-კი უგემნია რა ხილია „თეორია“.

მე მთელ ამ ბინდ-გადაკრულს ბ-ნ ჟორდანიის ტირადაში იგი ვიგულისხმე, რასაც მცოდნე კაცი იტყოდა ამ შემთხვევაში.

მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა... არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ და საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც საქართველოში ცუდია და საზიზღარი. (გვ. 124)	გადაფუჩეჩ- გადმოფუჩეჩება, არამედ სინათლეში გამოტანა, ერთიანად გამოაშკარავება, ჩვენი შეცდომ- ნაკლულოვანების არა ხელის დაფარვა, არა მაზედ დაჩუმება, არამედ საჯაროდ აღნიშვნა და მაზე ხმამაღლა მსჯელობა... ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, რაც გინდ მწარეც იყოს იგი, ნუ მოვიტყუილებთ თავს უბრალო ოცნებებით, რაზომც ტკბილიც იყოს იგი.

აბა, ერთისა და იმავე ნომრებით აღნიშნული მუხლები ბ-ნ ჟორადანიის თქმულისა და „საქართველოს მოამბისა“ ერთმანეთს პირში წაუყენეთ, ერთმანეთს დაუპირისპირეთ და ისე გაუსინჯეთ კბილი და მერე გვიბრძანეთ: „საქართველოს მოამბე“ ზედმიწევნით განმეორებულია, თუ არა ბ-ნ ჟორდანიასაგან, სომხები რომ იტყვიან, — განა მთლად „დარდაკი“ არ უნდა იყოს ის კაცი, რომელმაც მთელი ევროპა მოიარა თითქმის და იმოდენა ვერა შეიძინა რა, რომ თავისი საკუთარი ეთქვა რამ, მერე როდის? როცა თავისი ბაირაღი გამოჰქონდა და ქვეყნისათვის უნდოდა ეჩვენებინა, აი ზედ რა მიწერიაო, აი რა გზას მინდა დავადგეო! ერთი არ იკითხავთ: რა მოგვიტანა ახალი ამ

გერმანიაში მთლად გაბღერტილმა მეცნიერმა? მაშინ, როცა საჭიროდ დაინახა თვისთა დედააზრთა და გულის ნადებთა გამოთქმა საქვეყნოდ, რა მოგვითხრო ახალი? განიმეორა ის, რაც ამ ოცდათექვსმეტ წლის წინად ჩვენში უკვე გამოთქმული იყო და თავისს ბაირაღზე დაიწერა, ჩაიგდო ხელში „ივერიის“ პატრონისაგან ოცდათექვსმეტი წლის წინად გამოთქმული აზრები და პროგრამმა და იმითი ჰფარფაშობს დღეს ჩვენში, იმითი ახალის აღთქმის კაცობას სჩემულობს, ხოლო იმას კი, ვისაც ფეხქვეშიდამ ხალიჩა გამოაცალა და თვითონ არხეინად ზედ მოიკეცა, ცხრა მთის იქით გზას უჩვენებს, წადი, გაგვეცალე, კონსერვატორი ხარო.

თხის პატრონს არც თხის კუდიო, ამას ჰქვიან. ეს ისწავლეთ გერმანიაში? ერთი მითხარით: რა მომკეთ იმ დიდს სამკალში, რომელსაც გერმანია ჰქვიან? რა ფრთამოქცეულები წამოგვიდგით იმ ნამკალითა? ეს არის თქვენი გუდა-ნაბადი? ეს არის თქვენი ბარგი-ბარხანა? იქ, მეცნიერების პური ვერ იხელეთ და აქ მოხვედით და ჩვენს, შინაურს მჭადს შეგვეცილენით! ბარაქალას მეტი რა გეთქმით, ჩვენო უბარაქო, უარარაო მეცნიერო?

აბა, ეხლა მე მეთქმის — ფიცი მწამს, რომ თქვენის ფიქრით „ივერიის“ პატრონი კონსერვატორია და ის ბოლო კი მაკვირვებს, რომ თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, მისის აზრებით და პროგრამმით იკვებებით და მაინც ჰლიბერალობთ. ჯერ სადა ხართ? ბევრს ამისთანა მაგალითებს ამოგილაგებთ აბგიდამ, რაც გინდ მაგრა მოაკრათ პირი და რაც გინდ შორს ჰმალოთ. კიდევ ვიტყვი: მარტო იმის მეშინიან, თავი არ მოვაწყინო მკითხველს, რადგანაც თქვენისთანა

ჩიტი მართლა ბდღვნად არა ღირს და ბურტყლები ხომ ჩალის ფასადაც არ გავა.

[1900]

42. პატარა საუბარი

ახირებული კაცი ყოფილა ბ-ნი ჟორდანია.

ხომ მოგეხსენებათ და, თუ არ მოგეხსენებათ, აწ მოიხსენეთ, რომ ამ სუტმეცნიერმა მარქსისტმა ამ უკანასკნელს ჟამს დასწერა წერილი, რომელსაც „პრესსა“ ჰქვიან აქაოდა ამ „პრესსაზე“ მე არა ვთქვი რა, იგი ამისთანა წყრომას მითვლის: „პრესის საგანი განზე მოუდვია და მის ალაგას სულ სხვა რაღაცა მოსიზმრებიაო“. მეორე ადგილას გვიბძანებს: „ჩვენ დავასკვენით რომ „ივერიამ“ უარჰყო „საქართველოს მოამბეო“ დამიმტკიცეთ წინააღმდეგიო“*.

მე ავირჩიე საგნად დავამტკიცო, რომ ეს ჩვენი უებრო ბრძენი ბ-ნი ნოე ჟორდანია ყოვლად უმეცარია და ამის საბუთად მომყავს იგი საანბანოდ საცოდნელი სიტყვები, რომელთ მნიშვნელობაც სრულებით არ გაეგება და დიდი ფახი-ფუხობით კი ჰხმარობს, და ის კი მიბრძანებს: ჩემს „პრესსაზე სწერეო, ან ჩვენ დავასკვნით და შენ დაამტკიცე წინააღმდეგიო.

ნუ სჩქარობთ, ბ-ნო ჟორდანიავ! იქნება დრო მოვიდეს და მაგაებსაც მოვესწროთ, ჯერ დამაცადეთ დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ კენჭების ზიდვის ღონე არა გაქვთ და ლოდებს კი ეპოტინებით თავმოწონებული. ჯერ ორიოდე ფელეტონი კიდევ მომინდება თქვენის უანბანობის საბუთები გადმოვალაგო: ვაუწყო ქვეყანას, რომ საანბანო ტერმინები პოლიტიკური ეკონომიისა, თუ სხვა

* „კვალი“, № 15, გვ. 240.

მეცნიერებისა თქვენთვის მიუწვდომელი სიბრძნეა, ამაებით მზეზე გამოვფინო თქვენი არარაობა და მერე ვეცდები, თქვენი სხვა და სხვა ნაწერები გამოვშიგნო და გამოვწლა. იმ დრომდე გთხოვთ მოთმინება იქონიოთ.

ეხლა კი საკვირველი ის არის, რომ თქვენ მართლა გადიდკაცებულხართ, ბატონობა და მბრძანებლობა დაგიჩემებიათ. მართლა-და, განა ასეთი ბატონობა და მბრძანებლობაღა იქნება, რომ მწერალს, გინდ ჩემისთანა უხეიროს, კაცმა უბძანოს: შენ შენით კი ნუ აირჩევ საგანს, მერ რაც გიბძანო, ისა სწერეო; ანუ: მე ესა და ეს დავასკვენი, დაამტკიცე წინააღმდეგიო.

არ ვიცი, სად და ვისგან მიულია ესეთი ბატონობა და ბრძანებლობა ბ-ნს ჟორდანიას? ან იქნება ამისთანა საქციელი, ამისთანა შეხუთვა და შებოჭვა სხვისის თავისუფლებისა პროგრესიული მოძღვრება იყოს, გერმანიიდამ ახლად გადმოტანილი? ჩვენ კი, კონსერვატორებს, ძალიან გვეუცხოება და უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ნს ჟორდანიას, ნება და თავისუფლება მოგვცეს ჩვენ ავირჩიოთ ჩვენი საგანი და რა საგანზედაც გვინდა წერა, იმისი ნება გვიწყალობოს. კიდევ ვიტყვი: ჩემი ერთადერთი საგანია ბ-ნ ჟორდანიას ყოვლად უმეცრობის ფართი-ფურთობა და ქარაფშუტობა გამოვაქვეყნო. მე ამ საგანს არ გადავუდგები და თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, თქვენი ბძანება „განზე მოიდევით“, თუ არ დაგიშლით.

სულ სხვაა, რომ მე შემოგიკვეთეთ ერთ რასმეზე საბუთი წარმოგედგინათ. მაგალითებრ: თქვენ, იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომც ბანკები „ფინანსიურ დაწესებულებად“ ცნობილ არიან, იმოწმეთ ვიღაც უცნობი დიმიტრი ტოლსტოი მარტო ცარიელის სიტყვით და თვით მოწმობა კი, ესე იგი, დიმიტრი ტოლსტოის თქმული კი არ მოიყვანეთ, რომ ჩვენც დაგვენახა, მართლა იმას ამბობს იგი, რასაც მის მაგიერ თქვენ გვეუბნებით, თუ არა. მე დიდი ეჭვი ავიღე, რადგანაც ამისთანა უმეცრობას ძნელად თუ

ვინმე იტყოდა, რასაკვირველია, თქვენ გარდა. ამიტომაც გთხოვეთ, — აბა ამოგვიწერეთ-თქო დიმიტრი ტოლსტოის თქმული ამ საგანზე. თქვენ ბევრი ლათაიები დასწერეთ მას მერმედ და დიმიტრი ტოლსტოის თქმული კი დღეს აქამომდე არსად არის. ყური მოიყრუეთ განა? რა ჰქვიან ამას? რით აიხსნება აქ თქვენი დუმილი და სულის განაბვა? რატომ არ ამოგვიწერეთ, არ დაგვანახვეთ თქვენისავე მოწამის ჩვენება? იტყუეთ, რომ დიმიტრი ტოლსტოი იმოწმეთ, თუ შეუშინდით, რომ ახალი საბუთი არ მომცეთ კვლავ მოგახსენოთ: წაკითხვა გცოდნიათ და წაკითხულის გაგება კი არა.

რაკი დიმიტრი ტოლსტოი იმოწმეთ თავის გასამართლებლად, მე სრული ნება და საბუთი მქონდა თქვენი ცარიელი სიტყვა არ მეკმარა და მეთხოვა თქვენთვის თქვენის მოწმის ჩვენება გამოგექვეყნებინათ. შეუძლებელიღაა ეხლა თავი დამახწოთ, ვერსად წამიხვალთ: ან დიმიტრი ტოლსტოის ჩვენება წარმოგვიდგინეთ, ან გამოტყდით, რომ ტყუილად იშვერთ იმაზე თქვენს ბედნიერ ხელსა. თუ ამას იქით არც ერთს ინებებთ, არც მეორეს, მაშინ ნება მექნება ვთქვა, რომ... აბა რა ვთქვა? ისა სჯობია თვითონ მკითხველმა გამოიცნოს — კაცმა ამისთანა შემთხვევაში რა უნდა სთქვას.

43. ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა

ბ-ნი ჟორდანია მიწყრება, რომ მის „ფინანსების“ არცოდნას გამოვეკიდე და ვეებერთელა ფელეტონები მოვანდომე. პირველ შეხედვით ეს ჩემი საქციელი მართლა წყრომის ღირსია. აბა, ეს ჭოჭინაზე შემდგარი უმეცარი ბრძენი ჯერ რა ისეთი წითელი კვერცხია, რომ გრძელის საუბარის ღირსი იყოს და მერე ვის და რად უნდა, ვის რაში ეპრიანება, — „ფინანსები“ და „ფინანსიური“ გაეგება თუ არა გაუგებარს მეცნიერს ბ-ნ ჟორდანიას. მაგ სიტყვების მნიშვნელობა და თავისს ადგილას ხმარება დღეს ბალღმაც კი იცის და თუ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია, ეს მისი საკუთარი უბედურება და უილაჯობაა და ქვეყანას ამითი არცა სცხელა, რასაკვირველია, და არცა სცივა. ამ სახით, ჩემი საუბარი ამ სიტყვების გამო ისე გამოდის, რომ ვითომც ბუჩოს ვანიავებდე და ტყუილად ვცდებოდე.

ხოლო ამ შემთხვევაში, რომ შიგჩახედვით განმიკითხოთ, სულ სხვას ბრძანებდით. კაცი რომ თავმოწონებით მარქსისტობდეს და არა გაეგებოდეს კი „ფინანსები“ რა ხილია, იგი სასაცილო მასხარაა და არა მარქსისტი. მას რა დაეჯერება? მას ვინ უნდა აჰყვეს, სულელის მეტი, როცა მაღალ ფარდების საგნებზე ჰლაპარაკობს? აი მიზეზი მისი, რომ ბ-ნ ჟორდანიას საანბანოდ საცოდნელ სიტყვების გამო გამოვეკიდე, თორემ მეც ვიცი, რომ „ფინანსების“ ასე

თუ ისე ახსნა არავისათვის საჭირო არ არის და დიდი არაფერია.

ამიტომაც ნურას უკაცრაოდ, რომ ცოტაოდენს ხანს კიდევ საუბარი გაგიწიოთ ეხლა სხვა სიტყვის გამო, რომელიც დღეს თითქმის ყველას ენაზე აკერია და არც ერთს ისე უცოდინარად, როგორც ბ-ნ ჟორდანიას. ეს სიტყვა გახლავთ „ბურჟუა“, „ბურჟუაზია“ და აქედამ წარმომდგარი „ბურჟუაზიული“ თუ გამოვარკვიეთ და დავამტკიცეთ, რომ ბ-ნ ჟორდანიას ამ სიტყვების მნიშვნელობა არ გაეგება, ან იგი მნიშვნელობა თუთიყუშსავით დაუსწავლია და მათ მიერ სახელწოდებული საგანი კი არ იცის რომელია, მაშინ ხომ დაიჯერებთ, რომ ბ-ნი ჟორდანია მარქსისტი კი არა, პამუპლაა მარქსისა, ჟღარუნებით მორთულ კაბაში.

ბ-ნი ჟორდანია ჰბრძანებს, რომ ჩვენებური ბანკები „ერთის მხრით ბურჟუაზიულ- ფინანსიური დაწესებულებააო“. ვინც იცის ჩვენებური ბანკები ვისგან არის დაფუძნებული და რა საგნისათვის, და ამასთან იცის, რას ჰნიშნავს „ბურჟუაზია“ და „ბურჟუაზიული“, მას ჯერ ჭკუაზე და ლოღიკაზე ხელი უნდა აეღო და მერე ეს ეთქვა. აშკარაა, ამის მთქმელს, ესე იგი ამ ჩვენს ძალად მარქსისტს ან სიტყვა „ბ უ რ ჟ უ ა“ — „ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა“ და აქედამ წარმომდგარი „ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი“ არ ესმის, ან მარტო ყური მოუკრავს, დაუსწავლია და მათ მიერ სახელწოდებული საგანი კი ვერ გაუგია რა არის. ასე იცის მარტო თუთიყუშმა. რომ ან ერთი, ან მეორე აშკარად და უცილობლად გამომზევდეს, თვით ბ-ნ ჟორდანიას ვათქმევინოთ: რას ნიშნავს „ბურჟუაზია“ და „ბურჟუაზიული“.

იგი არა ერთხელ ახსენიებს „ბურჟუაზიას“ და „ბურჟუაზიულს“ თავისს ნაწერებში და აქედამ გამოვარკვიოთ, როგორ ესმის ეს სიტყვები ამ ჩვენს მარქსისტს და ვეღარ მარქსისტს.

„ბურჟუაზია“. ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით, ფულის პატრონი ხალხია*, „ბურჟუაზია“ ვაჭრებია, რომელნიც დღეს ქალაქების მეთაურად და წინამძღოლად არიან. „ბურჟუაზიის“ ინტერესია რაც შეიძლება მეტი საქონელი გაასაღოს და მეტი მოიგოს, ბურჟუაზიის მიდრეკილება არის მთელი ცხოვრების (!!!) და, მაშასადამე, მთელის ხალხის (ვა!ვა!ვა!) მიდრეკილება**, „ბურჟუაზიული“ შეხედულობა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ა ო***, „ბურჟუაზია“ ვ ა ჭ ა რ ს და მ რ ე წ ვ ე ლ ს ხალხსა ჰქვიანო,**** და სხვანი და სხვანი.

რა თქმა უნდა, ამ მარქსისტების თუთიყუშს მოჭრით არსადა აქვს განსაზღვრული სიტყვა „ბ უ რ ჟ უ ა“ და „ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი“, მაგრამ ამ ხანად ესეც კმარა, რაც ამოვწერეთ, რომ ბ-ნს ჟორდანიას აადინოთ თავმოწონებულ უმეცრობის და ქარაფშუტობის ბურტყლები.

თუ მართლა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი იმასა ჰნიშნავს, რასაც გვიღაღადებს ჩვენი ბრძენი ბ-ნი ჟორდანია, სჩანს, რომ ჩვენებური ბანკები იმისთანა ხალხისაგან არის დაფუძნებული, ან იმისთანა ხალხის კუთვნილია, რომელიც ვაჭარი და მრეწველია, რომელიც მეთაურობს და წინ უძღვის ქალაქებსა, რომლის მიდრეკილება მთელის ხალხის მიდრეკილებაა, რომლის ინტერესია მეტი საქონელი გაასაღოს და მეტი მოიგოს, ესე იგი დუქან-ბაზარი იქონიოს საკუთრად თავისათვის გამოსარჩენად, რომლის შეხედულობა ინდივიდუალურია, მაშასადამე, არამც თუ არასაზოგადოებრივი, პირიქით, საზოგადოებრივის პირისპირ წინააღმდეგი. ახლა არ იკითხავთ, ყოველივე ეს რა ჭკუით, რა ლოღიკით მიაკერა მან ჩვენებურ ბანკებს, როცა იგი იძახის,

* „კვალი“, 1898 წ., № 4, გვ. 53.
** „კვალი“, 1898 წ., № 3, გვ. 38.
*** „კვალი“, 1898 წ., № 48, გვ. 787.
**** „კვალი“, 1898 წ., № 29, გვ. 483.

რომ ჩვენებური ბანკები ერთის მხრით ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ა ო?

ყველამ იცის და, წარმოიდგინეთ, ბ-ნს ჟორდანიასაც კი სცოდნია, რომ ჩვენებური ბანკები დაფუძნებულია თავად-აზნაურთაგან და განსაკუთრებულ საგნად აქვს ბანკის მოგებიდამ გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს, ყოველივე ინდივიდუალური შეხედულობა ბანკიდამ გამოდევნილია. თითონ დამფუძნებელთ არავითარი წილი საკუთრად თავიანთ სასარგებლოდ არ ჩაუდვიათ ბანკის მოგებაში, ყოველი კერძო გამორჩენა, კერძო სარგებლობა უარუყვიათ და გაუბათილებიათ თვისდა სასახელოდ და თითო გროშები ერთმანეთს მიუწებებიათ და შეუწირავთ საზოგადო საჭიროებისათვის, და ამისთანა დაწესებულებას ბ-ნი ჟორდანია „ბურჟუაზიულ დაწესებულებას“ ეძახის. ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე!.. ვის აბრიყვებთ, ბ-ნო ჟორდანიავ, ვის? აბა, თუნდ ერთი სიტყვა, თქმული „ბურჟუაზიის“ თუ „ბურჟუაზიულის“ გამო, მიუყენეთ ჩვენებურს ბანკებს და მერე გულზე ხელი დაიდეთ და გვიპასუხეთ: ჰგავს რაშიმე ერთმანეთს ჩვენებური ბანკი და „ბურჟუაზიული დაწესებულება“. მაშ, არაბურჟუაზიული დაწესებულება სხვა რა ყოფილა, სხვა რა არის, თუ არ ჩვენებური ბანკი? ერთი გვიბრძანეთ, — სადა სტყუით, იქ, სადაც ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულს ასე თუ ისე იხსენიებთ, თუ აქ, როცა ჩვენებურ ბანკს ბურჟუაზიულ დაწესებულებად ჰხადით.

ტფილისის საკრედიტო ბანკმაო, — ამბობს ბ-ნი ჟორდანია, — შარშან აქაურ მუსიკალურ სასწავლებელს რამდენიმე ათასი მანეთი შესწირაო და განა ამით დაჰკარგა თავისი ხასიათი (ვითომდა ბურჟუაზიული?).

აბა, თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, რა უნდა გელაპარაკოთ, რომ ორი უბრალო, სადა და მარტივი საგანი ერთმანეთში ვერ გაგირჩევიათ ამ შემთხვევაში. ჩვენებური ბანკი კანონით ვალდებულია თვისი მოგება

სულ მთლად, გარდა იმისა, რაც სხვადასხვა კაპიტალებს უნდა მიეწილადოს, საზოგადო საჭიროებას მოახმაროს, და საკრედიტო ბანკი კი მისს საკუთარ ნებაზეა დაშთენილი, ასე რომ, უნდა — სამადლო საქმესა იქმს, არ უნდა — არა იქმს. განა ეს სულ ერთი და იგივეა? განა ამათ შორის დიდი ზღვარი არ არის? ვალდებულება და ნებაზე მიგდება საქმისა ერთი და იგივეა?

ნუთუ ეხლაც არ დაიჯერებთ, რომ ბ-ნი ჟორდანია არმც თუ ყოვლად უმეცარია, ქარაფშუტაც ყოფილა, წყალწაღებულსავით ყოველს ხავსს ეჭიდება, მაგრამ, ვაი, შენს მტერს, ხავსმა ვერა უშველოს რა.

მე მგონია, ცხადად დავამტკიცე, რომ ან ტყუილია, ან უმეცრობით სავსეა ბ-ნ ჟორდანიას ტირადა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენებური ბანკები ერთის მხრით ბურჟუაზიულ-ფინანსიური დაწესებულებაა, მეორეს მხრით თავადაზნაურულ-წოდებრივიო. „ფინანსიურობაზე“ თავისს უკანასკნელ „გზადაგზაში“ ენა მუცელში ჩაუვარდა და პირი მაგრად მოკუმა. არ ვიცი რას იტყვის „ბურჟუაზიულობაზე“, ხოლო თავადაზნაურულ-წოდებრივობაზე კი კვლავ ფართხალი დაიწყო და ურჩობს. ერთხელ და უკანასკნელად ამ მხრითაც რომ საქმე გადასწყდეს ჩემდა გასამართლებლად და ბ-ნ ჟორდანიას გასამტყუნებლად, ერთის ასეთის ბრძენის მოწმობას მოვიყვან, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ვერსად გაექცევა, თუმცა კი კალთებს კი აიკრებს — როგორმე მოვძურწოო და თავი დავაძვრინოო. აი ეს მოწმობა:

„ბანკი, (ჩვენებური, რასაკვირველია) თავადაზნაურობის მიერ დაფუძნებული და მისს სამსახურად მოწოდებული, იმათვე თავადაზნაურობის უთავბოლო საქმიანობით ხელიდამ გამოეცალათ დამფუძნებელთ, გამო(?)ცილდა წევრთა პირდაპირ უფროსობას და გადაეცა ვექილთ. ამასთანავე შესუსტდა ბანკის წ ო დ ე ბ რ ი ვ ი (კურსივი ჩემია) პრინციპი, გაძლიერდა საფინანსო(?) პრინციპი. ამით ის დადგა იმ გზაზე, რომელზედაც დგას ყველა საფინანსო(?) დაწესებულება, და მისი ქვეითი (რა მოგახსენოს ქართულმა) განვითარება ნიშნავს ამ დაწესებულებასთან თანდათან მიახლოებას“.

თუმცა აქ, ამ რამდენსამე სტრიქონში, აუარებელი ტყუილებია, მაგრამ ამაებს არ გამოვუდგებით მით უფრო, რომ ეს იმისთანა ბრძნის სიტყვებია, რომ თითონ ბ-ნ ჟორდანიას შიშით ელდა ეცემა და თავბრუ დაესხმის, როცა სახელს შეიტყობს. ჩემთვის და თქვენთვის კი, მკითხველო, საკმაოა, რომ იგი ბრძენი იმოწმება, რომ ჩვენებურ ბანკის წოდებრივი პრინციპი შესუსტებულია, რომ იგი ბანკი იმ გზაზე დამდგარა, რომელზედაც სდგას ყველა, ჩემებურად, საკრედიტო და ბ-ნ ჟორდანიასებურად, საფინანსო დაწესებულება. ყველაზედ უფრო ხელჩასაჭიდებელი მოწმობა იმის გამოა, რომ ხსენებულ ბრძენის სიტყვით, ბანკი ხელიდამ გამოეცალათ თავადაზნაურთ და, მაშასადამე, თავად-აზნაურობისა აღარ არის და ამით მაშასადამე, პირველი და უკანასკნელი ნიშანი თავადაზნაურულ-წოდებრიობისა დაეკარგა ბანკსა, იცით, ამისი მთქმელი ბრძენი ვინ არის? თითონ ბ-ნი ჟორდანია*, ესე იგი ის კაცი, რომელიც 1900 წელს გადაჭრით გვეფიცება, თავში ცემით იჭაჭება, რომ ჩვენებურს ბანკს წოდებრივი ხასიათი შერჩა მისის წესდების ახალის ცვლილებითაცაო**.

რას ეტყვით, როგორ და რა პირითღა დაუდგებით წინ, როგორ გაუსწორებთ თვალს, 1900 წლის ბ-ნო ჟორდანიავ, ამ 1898 წლის ბ-ნ ჟორდანიას? ეს ორივ ერთი და იგივე კაცია ორთავა და ორპირა, თუ სხვადასხვა, ერთისა და იმავე სახელის მატარებელი?...

განა ერთი და ორი მაგალითია ამისთანა ორთავიანობისა და ორპირობის? ერთს დროს ბ-ნი ნოე ჟორდანია უქადაგებდა მეურნეთა და განსაკუთრებით, როგორც თვით ამბობს, მათს მებაირახტრეებს — სხვილ მემამულეებს, ესე იგი

* „კვალი“, 1898 წ., № 18, გვ. 307.
** „კვალი“, 1900 წ., № 13, გვ. 209.

თავად-აზნაურთ, რომ საკუთარის ძალ-ღონით უნდა განაკარგოთ თქვენი მდგომარეობა, იკვლიოთ, შეერთდეთ, თქვენს საკუთარს თავზე დაამყაროთ თქვენი იმედი, თქვენს თავს თითონ მოუაროთ და საკუთარს ფეხზე დადგეთო*.

სწორედ ეს პროგრამა განახორციელა თავადაზნაურობამ ბანკის დაარსებით. იგი დააფუძნა მან თავისის საკუთარის ძალღონით, რათა საერთო მდგომარეობა მიწათმფლობელისა და მიწათმოქმედისა ცოტად თუ ბევრად გამოიკვეთოს, შეუერთდნენ ერთმანეთს ცოტად თუ ბევრად, საკუთარის გარჯით და მხნეობით უვლიან ამ საქმეს და ამ საქმეში საკუთარს ფეხზე დგანან, არავის რას შველას სთხოვენ, არავის რას ძიძაობას, არავის რას შემწეობას. მართალია, ბანკი მარტო ერთი დარგია იმ დიდისა და რთულის საქმისა, რომელიც ყველა ტკივილს ასე თუ ისე მალამოდ ედება. მაგრამ მაინც მაგალითია იმ პროგრამის განხორციელებისა, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ერთს დროს ჰქადაგებდა 1898 წ.

ხომ ესეა, მაგრამ იგივ ბ-ნი ჟორდანია 1900 წ. იმავ ბანკის დამფუძნებელთ ასე ეუბნება და მათ მიერ ქმნილს, მოვლილსა და წარმართულს საქმეზე, რომელშიაც განხორციელებულია ქადაგება თვით ბ-ნ ჟორდანიასი, გულს უფუჭებს: ეგ რა ჰქენით, ბანკი მამულს გიყიდით, გაღარიბებთ, გაღატაკებთო! საკადრისია ეს ამისთანა საქციელი? მოდი ნუ იტყვით, რომ ბ-ნი ჟორდანია მართლა ორთავა და ორპირა კაცი ყოფილა.

ეს ქადაგება ბ-ნს ჟორდანიას რომ ბანკის დაარსების წინათ ეთქვა და მერე ესეთი საფრთხობელა წამოეროტვა, კაცი იფიქრებდა, რომ ამ ვაჟბატონმა ამ ქადაგებით განგებ, განზრახ წაიტყუა, აცდინა თავადაზნაურობა, რომ მერე ეთქვა: ჰი, დაგლუპეთ, გაგაღატაკეთ, თუ არაო! ბ-ნო ჟორდანიავ, აი, თქვენისავე ხელით თქვენისავე თავის გატყეპა ამასა ჰქვიან.

* „კვალი“, 1898 წ., № 6, გვ. 94.

დასასრულ, ერთს იმისთანა საქციელს ბ-ნ ჟორდანიასას გაუწყებთ, რომლის დაფასებაც თქვენთვის მომინდვია. აი, რა იკადრა ამ ტყუილმა და, უკაცრავოდ არ ვიყო, უმართებულმა, უნიჭო და უმეცარმა ლიტერატორმა, რომელსაც სხვისის ნაღეჭის ცოხნაც არ შესძლებია. მოგეხსენებათ, რომ მე ერთს წინანდელ ფელეტონში ვთქვი, რომ კირვალიძე ვერაფერი ავტორიტეტია ეთიკისა და მართებულობის საქმეში და ვერაფერი წარმომადგენელია საქართველოს ერისა. კირვალიძის ავტორიტეტობისა და საქართველოს ერის წარმომადგენლობის საბუთად „კვალმა“ ას ერთის კაცის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოგვიდგინა ქვეყნის სასაცილოდ და თვისდა სასახელოდ. მე ამის პასუხად დავუწერე, რომ ამისთანა შემთხვევაში, საცა ეთიკაზე და მართებულობაზეა ლაპარაკი, ხმა უნდა აწონილ იქმნას და არა დათვლილ, რაც გინდ ბლომად ნულები გაამწკრივოთ, მაინც ნული გამოვა-თქო.

ამაზე აი, რა პასუხს მაძლევს ბ-ნი ჟორდანია სახეზე ალიმულაუდენლად:

„ამიერიდგან სახელოვანმა „ახალ-მოსულმა“ თავისი ერთი ყუმბარა ამ ას ერთს კაცსაც ესროლა და თან გამოუცხადა: თქვენ ვინა ყრიხართო, თქვენ ნულები (ესე იგი არაფრები) ხართო! მარა, რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი (კაი მოგეცათ, კაი „რადგანაც“ ეგ იყოს) ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მაშ ყველა წყალწაღებული ყოფილა. საქართველოს „ჩიორა“ და „ახალმოსული“ შეადგენს თურმე და ნამდვილი ხალხიც ისინია! (კაი მოგეცათ, კაი ლოღიკა ეს იყოს). აი სადამდის მივიდა „ივერია“! ი მ ე დ ი ა ა მ ა ს ა რ დ ა ი ვ ი წ ყ ე ბ ს ა ს ე ყ ბ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი “... („კვალი“, 1900 წ., № 14, გვ.220).

რის თქმა გნებავთ ამითი, რასაც უკანასკნელი სიტყვები ამბობენ, ბ-ნო ჟორდანიავ? რომ ველარას

გახდით რა, საქართველოს ერთან მაბეზღებთ, განა? ეს კიდევ არაფერი: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ვიცი, რომ ამ ანდაზას თქვენ ვერ წაუხვიდოდით, ისიც ვიცი, მაგ ბეზღობის უნარი საიდამ მოგცხებიათ. ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ „იმედია არ დაივიწყებს ასე ყბადაღებული საქართველოს ხალხიო“ და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვას. რა გნებავდათ ამით გეთქვათ და რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი, რომ სამი წერტილი ჩაურთეთ ამ სიტყვებს ბოლოში? ღმერთმა შეგინდოთ ეს უკადრისი, თუ უარესი არა, საქციელი, დეე, ტაში გიკრან თქვენმა უკანმდევნელებმა, კირვალიძეებმა და მერკვილაძეებმა, ყველა რიგიანი და პატიოსანი კაცი-კი მარტო ამ საქციელისათვის ზურგს შემოგაქცევთ და ყველა ამისთანას შეეზარებით, სულ ცოტა რომ ვთქვა.

თუნდ ეგეც არ იყოს, თუნდ მართლა კირვალიძეები, მერკვილაძეები და მათი ამყოლი ას ერთი კაცი ნულებად ჩამეთვალოს, რათ გიკვირთ ეს? თქვენ განა ის კაცი არა ბრძანდებით, რომელმაც სთქვით, რომ, არამცთუ ას ერთი კაცი, მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურიაო. ას ერთი კაცი ხომ მთელ ხალხთან, მთელს ერთან მხოლოდ წვეთია ზღვაში! აი, თქვენი სიტყვები:

„გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურობა ყოველგან და ყოველთვის ადვილად მისაგნებია. ცხადია პირველის ჭურჭელი — ინტელიგენცია — ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის კი (ესე იგი, უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია“*.

ამაზე უარესად გაბიაბრუება, ამაზე მეტად გაუპატიურება და შეგინება, მერე ვისი? — მთელის ხალხისა, მთელის ერისა, განაღა იქნება! მე მაინცდამაინც, თუ არ დაგიშლიათ, ას ერთს კაცზე ვთქვი ნულები არიან თქო და ბ-ნი ჟორდანია-კი ამისთანაებად ჰხადის მთელს ხალხს, მთელს ერს და

* „კვალი“, 1898 წ., № 12, გვ. 201.

შუბლზე ბუზსაც არ ისვამს. აქაო და „ახალ მოსულმა“ კირვალიძეები, მერკვილაძეები და მასთან ერთად მათი მსგავსი ას ერთი კაცი ნულებად ჩასთვალაო, ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რიღაცისათვის საქართველოს ხალხს და თვითონ კი, რომელმაც მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურებად ჩასთვალა, დოინჯი შემოუყრია და მის მიერ გაუპატიურებულს საქართველოს ერსვე უბრძანებს ბატონსავით: იმედია, ამას არ შეარჩენთ „ახალ-მოსულსაო“. განა სასაცილო არ არის ეს ახალი მაგალითი ბ-ნ ჟორდანიას ორთავიანობისა, ორპირიანობისა, რომ ესე სამწუხარო და საზარო არ იყოს ზნეობის მხრითა!

ჯარო და ჯამაათო, ღვთის გულისათვის მაინც იკითხეთ: ეს რა კაცს შევესწარით, ეს რა კაცი მოგვევლინა, ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა! ქვეყანას ღერძი გასტეხია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისედაც უბედურს საქართველოს, რომ ეს ამისთანა ქადებული პროგრესისტი გამოსულა და ჭკუას გვასწავლის და გზას ცხოვრებისას გვინიშნავს. წარმოიდგინეთ, თურმე ყურისმგდებელიცა ჰყავს, ამყოლიც და მგალობელნიც! მართალი ნათქვამია, — როგორიც ალხანა, ისეთიც ჩალხანაო, მაგრამ განა ეს ნუგეშია! მარტო ის ამბავი, რომ არის ქვეყანა, საცა ამისთანა კაცი ჰლიტერატორობს, მარტო ის ამბავი საკმარისია, კაცმა ამ ქვეყანაზე ხელი აიღოს და ცხრა მთას იქით გადაიხვეწოს. განა ყოვლად შესაბრალისი და ამასთანავე ყოვლად აუტანელი არ არის ის ქვეყანა, ის ერი, საცა ჰფარფაშობს და ჰფახიფუხობს ამისთანა კაცი, რომელსაც ჭკუა არ უშლის სთქვას: „ხალხი და ინტელიგენცია, ინტელიგენცია და ხალხი, — აი ორი მეტოქე და მებრძოლი ელემენტი. ამნაირად (?) ინტელიგენტი გონებას აგდებს ხალხიდამ და ხალხს გონებიდამაო“.* თუ მართლა ასეა, მე რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია ვიყო, ვიტყოდი: იმედია,

* „კვალი“, 1898 წ., № 12, გვ. 201.

საქართველოს ხალხი არ შეარჩენს ინტელიგენციას ამ ამბავს! ხუმრობა დანაშაულია, კაცმა ხალხიდამ გონება გამოაგდოს და გონებიდამ ხალხი!

რას იტყვით ამაზე, ჩვენო ინტელიგენციავ? ვერც ეხლა მიხვდებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოვლად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითომდა ახალ მოძღვრების მღაღადებელი! განა მართალი არა ვთქვი წინანდელ ფელეტონში, რომ ამისთანა უმეცარი, უნიჭო, უგემური მწერალი, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, და ამასთან ასე თავმოწონებული, სხვა არავინ გამოჩენილა-თქო ჩვენში.

[1900]

44. პატარა საუბარი

ბ-ნი ჟორდანია, რამდენიც დღე გადის, იმდენს ახალ-ახალ უნარს იჩენს; უმეცრობა და ქარაფშუტობა მისი ხომ გამომზეურდა, მერე ბეზღობასაც ხელი მიჰყო, როგორც ვნახეთ წინა ფელეტონში; ეხლა ნათქვამის უკუთქმას, ნათქვამის გადათქმას მოჰყოლია.

მოგეხსენებათ, მე ბ-ნი ჟორდანია ვამხილე, რომ მან „საქართველოს მოამბის“ პროგრამმა დაიჩემა და თავისად დაიკუთნა; როცა ამისი ცხადი საბუთი წინ გადავუშალე, ბ-ნმა ჟორდანიამ კუდი ამოიძევა და გადათქვა, „კვალის“ 1998 წლის №1 პროგრამმა ჩემმიერ ხელმოწერილი არ არისო, იგი სარედაქციო წერილიაო. მჯერა, რომ სარედაქციოა, ხოლო „კვალის“ რედაქციაში ხომ ბ-ნი ჟორდანიაც ურევია და მერე პირველი ადგილიც უჭირავს. მაშ, იგი წერილი მასაც იმოდენად ეკუთვნის, რამოდენადაც სხვას, მისს თანარედაქტორებს თუ თანამშრომლებს. რაკი ესეა, ბ-ნ ჟორდანიის პასუხი ამ შემთხვევაში განა გადათქმა არ არის უკვე თქმულისა! აბა, ბ-ნმა ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიაროს, რომ მე წილი არ მიდევს ამ სარედაქციო წერილშიო და მე ჩემს სიტყვას ბოდიშით უკან წავიღებ, მისი თანამშრომელნი კი დაინახავენ, რა სანდო კაცი ყოფილა გაჭირვებაში ბ-ნი ჟორდანია და რა კაცთან ჰქონიათ ხელჩართული საქმე. ეს ერთი მაგალითი გადათქმისა.

მე ბ-ნი ჟორდანია ვამხილე, რომ ბანკის ავკარგიანობაზე ჰლაპარაკობს და ბანკის წევრთა

კრება და თავად-აზნაურთა კრება კი ერთმანეთში აურევია, ერთი მეორისაგან ვერ გაურჩევია. მაგეების გარჩევა განა მე კი არ ვიციო, მიპასუხა, რუსები რომ იტყვიან, задним числом, როცა ჩემ მიერ წარდგენილ საბუთებს ვეღარსად წაუვიდა და თავ-თავქვე დაქანებულს საძუე შემოაწყდა. მეც შევუთვალე, — დალოცვილო, თუ იცოდით, სარაოდღა ინახავდით? სად ბრძანდებოდით, მინამ გამხელდნენ? ეს მეორე გადათქმა უკვე თქმულისა.

მე ბ-ნი ჟორდანია ვამხილე, რომ ჩვენებურ ბანკების ავისა და კარგის გამოძიებას შესდგომია და ვერ გაურჩევია კი ბანკის დამფუძნებელი ბანკიდამ ვალის ამღებისაგან, რადგანაც სთქვა, დამფუძნებელს ბანკი მამულებს უყიდის და ამით აღატაკებსო. როცა საბუთი წარვუდგინე, რომ დამფუძნებელი არაფერს შუაშია მამულის ბანკისაგან გაყიდვის საქმეში, ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ მიპასუხა, — მე, მართალია, დამფუძნებელი ვთქვიო, მაგრამ ბანკიდამ სესხის ამღები მეგულებოდაო. ბ-ნი ჟორდანია რომ ამირანი იყოს, ვიტყოდი: ამირან გულში მღეროდაო, ყმებო, ბანი მითხარითო. მაგრამ არც ბ-ნი ჟორდანიაა, როგორც მოგეხსენებათ, ამირანი და არც მე, ღვთის მადლით, მისი ყმა და ნურას უკაცრაოდ, რომ ბანი ვერ ვუთხარი.

ბავშმაც კი იცისო, დასძენს ბ-ნი ჟორდანია, რომ ბანკი მამულებს მარტო ბანკისაგან სესხის გამტანს უყიდის, თუ უყიდისო. დიახ, მეც სწორედ მაგას გიჩივით, ბავშმაც კი იცის და მარტო თქვენ არ გცოდნიათ, ბ-ნო ჟორდანიავ, როცა სთქვით რომ ბანკი დამფუძნებელთ უყიდის მამულსა და აღატაკებსო, თუ არა და განა დიდი ჭკუა უნდა, დამფუძნებელის სანაცვლოდ ეთქვა ვალის ამღებსო. ეს მესამე უკუთქმა უკვე თქმულისა.

აი, ეხლაც დღეს „ივერიაში“ დაბეჭდილია ბ-ნ ჟორდანიას წერილი[1], საცა იგივე გადათქმაა უკვე თქმულისა, მოჰყავს რა ერთი ადგილი ნაწერიდამ, სადაც ვითომც ხალხი ცამდე აჰყავს ქებითა და დიდებითა.

ბ-ნი ჟორდანია ამბობს, — აი, მე რა მაქებარ-მადიდებელი ვარ ხალხისაო და ახალ-მოსული კი ხალხის უპატიურად ხსენებას ცილად მწამებსო. მაშ, ბ-ნი ჟორდანია რაღა ბ-ნი ჟორდანია იქნება, რომ როცა დაიჭერენ, აშა არა ჰკრას და თავისი თქმული არ გადასთქვას. დავუჯეროთ ბ-ნ ჟორდანიას, რომ ერთს ადგილას ხალხს აქებს და ადიდებს; მაშ, ის რაღაა, რომ მეორე ადგილას იგი იმავე ხალხს ჰხადის „უგუნურობის ჭურჭლად“; რაო, ეს ქება-დიდებაა ხალხისა, თუ ავადხსენება, გაუპატიურება!

თუ იტყვით, რომ ეს ერთგან წასცდენია და რა ვუყოთო? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო, ორგან სხვაგან ხომ იმასვე იმეორებს და ამდენჯერ ალილოს არევა გაგონილა! თუ ბ-ნი ჟორდანია იმას იტყვის, რომ მე რომ ვთქვი მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურობის ჭურჭელიაო, ამ სიტყვებით სხვა ვალაპარაკე და არა ჩემი თავიო, მაშ, ორგან სხვაგან კვერს რადა სცემს და იმ გზასაც კი გვანიშნებს, რა გზითაც მომხდარა ეს საოცარი ამბავი, რომ მთელი ხალხი უგუნურობის ჭურჭლად გადაქცეულა. აი, მისი სიტყვები: „ინტელიგენტი დღეს ერთს მოისურვებს, ხვალ მეორეს, დღეს ერთს გააკეთებს და ხვალ მეორეს, მას გზა და კვალი, ისტორიული ლოღიკა

[1] შენი მტერი, თუ ბ-ნმა ჟორდანიამ თავისი პარესები „ივერიაში“ ჰბეჭდა; ეს მით უფრო საოცარი იქნება, რომ მისს ხელთ არის თითქმის საკუთარი გაზეთი „კვალი“. „ივერიის“ მკითხველთა მოსაწყენად განა ჩემი წერილები ბ-ნ ჟორდანიას მიმართ არ კმარა, რომ ახლა თვითონ ჟორდანიაც არ წამოეჩხიროს. ან იქნებ ბ-ნს ჟორდანიას აქეთ სამამაცო ზნე ეგულება. ჩემი პასუხები რომ აბეზარს მოიყვანს „ივერიის“ მკითხველებს, ახალ-მოსულსაც პანჩურსა ჰკრავენ „ივერიიდამ“, რადგანაც მიზეზი ჩემის პასუხებისა იგი, ახალ-მოსულიაო, — და მაშინ მოისვენებს ჩემგან ბ-ნი ჟორდანია. ნუ დაიშლით განზრახულსა, იქნება ამ გზით მაინც გავხდეთ რასმეს. (ავტორი)

არ უწერია[1]... აშკარაა, უკანასკნელი (ვითომდა ინტელიგენცია) ნაცარქექია უფროა[2], ვინემ ბუმბერაზი. ბუმბერაზობა მხოლოდ ლაპარაკში, ტრაბახში ეტყობა[3]. მან ჯერ გონება, იდეა განდევნა ხალხიდამ და თითონ დაისაკუთრა[4].

ინტელიგენციამ, როგორც ვთქვით, გონება, იდეა ხალხისაგან განდევნა[5]...“ („ კვალი“, 1898, № 12 გვ. 202, 203).

აი „უგუნურობის ჭურჭლად“ როგორ გამხდარა მთელი ხალხი, მთელი ერი ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით. ამაების მთქმელს განაღა შეუძლიან გადაჰფიცოს, რომ მე არ მითქვამს, ვითომც მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურობის ჭურჭელიაო. ან ტყუილი თავის დაძვრენა და სოროში შეძვრენა არ იქნება, გვეფიცოს,

---

1) არ ვიცი, ბ-ნი ჟორდანია ინტელიგენტია, ესე იგი ჭურჭელი გონებისა, როგორც თვითონ ამბობს, თუ ჭურჭელია უგუნურობისა, ვითომც მთელი ხალხი, მთელი ერი მისის სიტყვისამებრ. თუ პირველია თვისი ხატი მოკლედ მაგრამ ზედმიწევნით გამოუხატავს; თუ მეორეა — უგუნურობის ჭურჭლად ქცეულა. გამოდის, რომ ბ-ნი ჟორდანია იმისთანა კაცია, რომელიც დღეს ერთს იტყვის, ხვალე სხვას და ლოღიკა არ უწერია, ან უგუნურობის ჭურჭელია; მეც ამას ვამტკიცებ და სხვას არასფერს. (ავტორი)

2) ნეტავი შენ, ინტელიგენციავ საერთოდ და ჩვენო საკუთრივ, რომ ასე ლამაზად ხარ შემკული! (ავტორი)

3) ვიშ, რა კარგი რამ ყოფილხარ, ინტელიგენციავ, თუ მართლა თქვენი ხელობა მარტო ლაქლაქი, ყბედობა და ტრაბახობა ყოფილა და სხვა ყველაფერი — ნაცარქექაობაა. (ავტორი)

4) გონება, იდეა განუდევნია ხალხიდან ინტელიგენციას და დაუსაკუთრებია! ეს რა ამბავი ჩაგიდენია ინტელიგენციავ! არა გრცხვენიან! შორს, შორს, ჩვენგან, თქვენი ხსენება აღარ იყოს! ხუმრობაა, ხალხს, მთელს ერს უგონებოდ, უიდეებოდ თურმე სტოვებთ! თქვენ, მეცნიერნო, სწავლულნო, მწერალნო, სკოლის მასწავლებელნო და ერთობ ჭკუითა და გონებით მომქმედნო, თქვენ, რომელნიც გონიერების ჭურჭელნი ხართ ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით აალაგეთ თქვენი დუქან-ბაზარი და თვალით ნუღარ დაგვენახვებით. თქვენ ხალხისაგან თურმე გონებას იპარავთ, გონებისაგან, იდეებისაგან აცარიელებთ! ბ-ნ ჟორდანიას თუ დავუჯერებთ, ამ შემთხვევაში უბეში მჯდომი გველი უფრო სკოლა და სკოლის მასწავლებელნი უნდა იყვნენ, რადგანაც სკოლა ინტელიგენტთა ხელშია, თვით მასწავლებელნი, ინტელიგენტად ცნობილნი არიან და ერთიც და მეორეც ხალხის გონებას სათავეში უდგანან, სჩანს უპირველესნი მპარავნი ხალხის გონებისა, ხალხისაგან იდეების განდევნისა სწორედ ესენი ბრძანებულან. გიხაროდენ, მასწავლებელნო, ამისთანა საქებური მოღვაწეობა გიწყალობათ თქვენ იმ სახელოვანმა ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ, რომელნიც კირვალიძეებს და მერკვილაძეებს ხელის გულზე დაუსკუპებიათ და ორშაბათის ყვენსავით დაფა-ზურნით, ბუკ-ნაღარით დააბრძანებენ! (ავტორი)

5) ნუთუ აქაც იტყვის, — ამ სიტყვებით სხვას ვალაპარაკებო, ან მე ეგ არ მითქვამსო? (ავტორი)

— მთელი ხალხი, მთელი ერი ასე უპატიურად არ მიხსენებიაო და საბუთად მოიყვანოს სხვა ადგილას თქმული სიტყვები, — ვითომდა აი, მე როგორ ვადიდებ და ვამკობ ხალხსაო, საქმე ის არის, ბ-ნო ჟორდანიავ, ერთსაც თქვენ ამბობთ და მეორესაც.

მაშ, რა არის, თუ არა ხალხის, მთელი ერის ავად ხსენება, როცა ამბობთ, — მთელი ერი, მთელი ხალხი უგუნურიაო და ამ ერთხელ თქმულსაც არა სჯერდებით და ორგან კიდევ ამას კვერსა სცემთ, რომ სიმაგრე მისცეთ ნაბეჭდსა. მაშ, რა არის თუ არა კვერის ცემა, რომ ორჯელ სხვა ადგილას იძახით, ინტელიგენციამ გონება, იდეა განდევნა ხალხიდამო? თუ განდევნა, მაშ, დაცარიელდა კიდეც, დასცალა კიდეც გონებისა და იდეებისაგან და მით უგუნურობის ჭურჭლად იქცა. მაშ, ეს გაუპატიურება, ავადხსენება არ არის მთელი ხალხისა, მთელი ერისა ერთის მხრით და მეორეს მხრით ინტელიგენციისა, რომელმაც, თქვენის სიტყვით, მთელი ხალხი, მთელი ერი გააუგნურა, გააუაზროვა, გონებისა და იდეებისაგან დააცარიელა. თუ ესეა, ინტელიგენცია პირველ ხეზე ჩამოსახრჩობი ყოფილა.

ეხლა კი იძახით, მე ხალხს ვაქებ და ვადიდებო. კიდეც ეგ არის, ჩვენო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო. კიდეც ეგ არის, რომ თქვენ წინად თქმულს გადასთქვამს ხოლმე თქვენივე მერმედ თქმული. მაშ, რაღას ორთავა და ორპირა იქნებით, რომ ეგ ჭირი არა გჭირდეთ თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, ეს გადათქმის უნარი დაიჩემეთ, ჯერ ბევრჯერა გნახავთ კიდევ შენ, ლიახვო, კოღოები გეხვეოდნენ. ერთი დრო არავის შერჩენია, გეყოთ, რაც ეს ორი წელიწადია საბძელს გონებისას და ლოღიკისას სწვავთ დაუსჯელად, განუკითხავად და არხეინად ხელებს ითბობთ. სინათლე, მეტი სინათლეო, არაერთხელ დაგიძახნიათ თქვენს ნაწერებში და სინათლეც ეს არის, როცა ელექტრონის სრულს შუქ ქვეშ დააყენებენ თქვენისთანა ღობემძვრალას.

თქვენ ჯოხი უნდა აიღოთ და ჩიტებს ერეკებოდეთ, სად თქვენა და სად ინტელიგენციასა და

ერზედ ლაპარაკი, რა სწავლა-ცოდნა, რა ძალ-ღონე ლიტერატორობისა მოგდევთ, რომ ამისთანა საგნებს ხელს ჰკიდებთ! მახსოვს, სადღაც მომიკრავს ყური რუსულ ლიტერატურაში, ინტელიგენციის ასე გაბიაბრუებისათვის, მგონია, რუსის ახირებული მარქსისტი ბელტოვია ესე ავად მხსენებელი ინტელიგენციისა; იქიდამ ხომ არა ჰღეჭავს ბ-ნი ჟორდანია ამ უგემურს საღეჭავსა? მისის კეთილის გულის ამბავი რომ ვიცი, არც ეს გამიკვირდება. ღონისძიებაა მიღებული, რომ სადმე ბელტოვის ნაწერი ამ საგანზე როგორმე ვიშოვო, მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება.

[1900]

45. ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი

რასაც კაცი თავისს თავს უზამს, იმას მტერიც არ უზამსო, ნათქვამია. მე არა მჯეროდა ეს ანდაზა, იმიტომ რომ ძველია და ძველი, ხომ მოგეხსენებათ ბ-ნ ჟორდანიას სამეცნიერო თხზულებისაგან, რეტროგრადების საქმეა და მე კი, თქვენი უმორჩილესი მონა ახალ-მოსული, მარტო იმის ნატვრაში ვარ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ლიბერალობის ტიტული მიწყალობოს, ვითარცა კირვალიძეს უწყალობა საქართველოს ერის წარმომადგენელობა. ეხლა ეს ანდაზა სწორედ ჩემს თავზე ახდა. ახია, ახი! დიახ სწორედ ის დამემართა მე, რასაც ეგ ანდაზა გვეუბნება, და ეხლა მე ჩემის თვალითა ვხედავ, რომ ზოგჯერ ძველადაც მართლის თქმა შეძლებულა. არ ვიცი, ამაზე რას იტყვის ბ-ნი ჟორდანია! არა მგონია დამეთანხმოს, იმიტომ რომ იმას ახალი ტყუილი ურჩევნია ძველს მართალს, და თუ ასე არ მოიქცა, სახელს ლიბერალობისას წაიხდენს და მაშინ — ვაი სირცხვილო!

ესეა თუ ისე, მე-კი ჩემი დამემართა ჩემითვე, აქ სხვისა არავის ბრალია. მე ჩემი თავი თითონ ჩავაგდე ჭირში, რაკი ბ-ნ ჟორდანიას მხილებას ხელი მივყავი. რამდენიც უფრო ახლო მიუველ, იმდენი უფრო დიდი და ღრმა საფლობი დამხვდა მისის უმეცრობის, ქარაფშუტობის, ორთავიანობის, ორპირობის და სხვა ამისთანა ლამაზ-ლამაზ უნარებისა, ერთიმეორეზე

უფრო საოცარისა, ერთი-მეორეზე უფრო სასაცილოსი. რაკი, ჩემდა საუბედუროდ, კისრად ვიდე ამაებში მხილება ამ ჩურუქა მეცნიერისა, მე მომინდა გადაკითხვა მთელის მისის ნაწერებისა ხელახლად და, სწორედ მოგახსენოთ, შევშინდი. შევშინდი იმიტომ, რომ რა ტვინი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაულაყდეს ამოდენა ლაყე მეცნიერებისაგან, ხუმრობაა ამოდენა აბდაუბდის, ამოდენა იწილო-ბიწილოს, ამოდენა დომხალის ორი-სამი კვირა განუწყვეტლივ კითხვა, დახსომება და მერე ისევ ხსოვნიდამ საქვეყნოდ გადმოლაგება და განიავება! სწორედ შევშინდი, — ერთი არა ამიტყდეს რა და საგიჟეთში თავი არ ამომაყოფინონ-თქო. ბევრსა ვნანობ ეხლა. მაგრამ რაღას ვუშველი? „წამხდარს საქმესა რას არგებს მერეღა თითზე კბენანი“. რაც მომივა, მომივიდეს: რაკი დავიწყე — ბოლოც უნდა გავიტანო, თორემ თვით ბ-ნი ჟორდანია გულნაკლულად დამრჩება და კიჟინას დამცემს.

„ერთის სიტყვით, — ამბობს ერთგან ბ-ნი ჟორდანია, ანუ რედაქცია „კვალისა“: — მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალდაკვალ მიყოლა, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება, — აი რედაქციის მიზანი, აი მისი სატრფიალო საგანი“*.

მეორე ადგილას, აქ-კი თვითონ ბ-ნი ჟორდანია, ახვევს რა მჩვარში ძველ მოღვაწეებს, ასე გვიხატავს ახალს მოღვაწეს, ესე იგი თავის თავს და თავის მსგავსს, ახალთ მოღვაწეთ:

„პირველ ყოვლისა არავითარს რეცეპტს არა (ს)წერს, არავითარ მარშრუტს არ ადგენს. ის იცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორიც არის, (ჰ)სურს მხოლოდ ეს გამოარკვიოს და ახსნას“**.

ამ ორის ტირადის სიბრძნე ის არის, რომ ახალი მოღვაწე (რომელთ შორის, რაღა თქმა უნდა, ბ-ნი ჟორდანიაც უნდა ვიგულვოთ) იგია, ვინც ცხოვრების

* „კვალი“, 1898 წ., № 1, გვ. 1.
** „კვალი“, 1898 წ., № 40, გვ. 657.

მსვლელობას იცნობს ისე, როგორიც არის, კვალდაკვალ მისდევს ცხოვრებას, ახალ-ახალ მოვლენათა არკვევს, ჰხსნის და იგნებს, ვისაც ჰსურს, გამოარკვიოს და ახსნას ყოველივე იგინი. როგორ მოგწონთ ეს ვითომდა ნიშნობლივი კუთვნილებანი ახალის მოღვაწისა. სანაძლეოს დავდებ, ვინც შეძლებს ამისთანა ნიშნებით გაარჩიოს ახალი მოღვაწე ძველისაგან. ვისაც კი ოდესმე ცხოვრება და მისი მოვლენანი თავისის განკითხვის და განსჯის საგნად გაუხდია, განა ცხოვრება არ უცვნია ისე, როგორიც არის, მისნი მოვლენანი არ ურკვევია, არ აუხსნია, არ ჰსურვებია მათი ახსნა, შეგნება და გამორკვევა, ხოლო თავისებურად კი? საქმე აქ თავისებურობაშია, ამით და მხოლოდ ამით განირჩევა ერთი მოღვაწე მეორისაგან, ძველი ახალისაგან. ათადამ-ბაბადამ ათასი მოღვაწენი ყოფილან, რომელთაც საგნად ყოველივე ეგა ჰქონიათ და დღესაც ათასსა აქვს, ხოლო ყველა ერთნაირად არ იმცნევს ცხოვრების მსვლელობას, ერთნაირად არა ჰხსნის და არკვევს მისს ავსა და კარგსა და მარტო ამ სხვადასხვაობაშია იგი ნიშნები, რომლითაც უნდა განირჩეოდეს ახალი ძველისაგან, თუ არ დაგიშლიათ. განა აშკარა არ არის, რომ ბ-ნ ჟორდანიას სადღაც ყური მოუკრავს, რომ არიან ახალნი და ძველნი მოღვაწენიო, თუთიყუშსავით დაუსწავლია და უნარი კი არა ჰქონია, საფანელი შემოჰკლებია ნიშნობლივ მიეგნო ან ერთისა, ან მეორისათვის და იმისთანა ამბებს მოჰყოლია, რომელიც ისე მიეწერება ახალს, როგორც ძველსა.

მართალია, არ ცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ ერთი ჰკითხეთ ბ-ნ ჟორდანიას, ვინ ატანს ძალას, რომ რაც არ იცის, იმას ეჭიდება და, გინდა თუ არა, სწერს. დავანებოთ ამას თავი და შევუდგეთ ეხლა იმას, თუ როგორა სცნობს ბ-ნი ჟორდანია ცხოვრების მსვლელობას, როგორა ჰხსნის, არკვევს როგორ შეუგნია მისნი მოვლენანი და მით „კვალის“ „სატრფიალო საგანი“ გაუპატიოსნებია.

„ივერიაში“ ერთს მეთაურს წერილში ავტორს მოჰყავს რა თავისი საზრისი, ამბობს:

„ცხადია, რომ ჩვენში ფართო გზა უნდა მიეცეს სამეურნეო სწავლა-ცოდნას, რათა ამ საშუალებით ხალხს ხელში მიეცეს ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“.

ამაზე ბ-ნი ჟორდანია სასაცილოდ იგდებს „ივერიას“ და იძახის:

„აი, ასეთი სასწაულმომქმედი ყოფილა სამეურნეო სწავლა-ცოდნა! ის თურმე კაპიტალიზმსაც შეებრძოლება და მის მავნე გავლენისაგან გვიხსნის, ამ სახით, მეურნეობა გამოცხადებულია ბურჯად ერის ცხოვრებისა*, ხოლო მეურნეობის ბურჯად — სამეურნეო სწავლა-ცოდნა**. მაშასადამე, სამეურნეო სწავლა-ცოდნა არის ბურჯი ერისა“***.

აი. რა დასაღუპავი ყოფილა „ივერია“, რომ ეს უთქვამს იქ, საცა ბ-ნი ჟორდანია ჰღაღადებს სოფლის გაქალაქებას და გადაშენებას! აი, როგორ დაიცინება ეს ჩვენი ხათაბალა მეცნიერი! ფრანგები იტყვიან: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო. ვნახოთ, იქნება ეს კაი სიცილი ჩვენ გვერგოს. აბა, ყური დაუგდეთ ამ ჩვენს ბრძენსა. იგი ერთს ადგილას ამბობს, რომ ხალხმაო უნდა:

„ისწავლოს, განათლება შეიძინოს, მარა განათლება არა განყენებული (განათლება განათლებისათვის), არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი და თავის რჩენის გამაადვილებელი“****.

მეორე ადგილას, ამაზე ცოტა წინ, იგივ ბ-ნი ჟორდანია ჰბრძანებს დღევანდელი სწავლა-განათლება, ყოველნაირი დაწესებულება იმას ჰსცდილობენ, რომ:

* ამაზე დიდი უბედურება და დანაშაულობაღა იქნება, ბ-ნო ჟორდანიავ,, ჩვენო ტყუილო მარქსისტო! ავტორი.

** ვაი, დაღუპულო ქვეყანავ, დაღუპულო საქართველოვ, , ბურჯად სწავლა-ცოდნა გაგიხდია! ეს რა ღვთის წყრომა გწვევია! ავტორი.

*** „კვალი“, 1900 წ., № 16, გვ. 250.

**** „კვალი“, 1898 წ., № 41, გვ. 674.

„კაცს მისცენ შესაფერი იარაღი ბრძოლისა და მით თავის რჩენა გაუადვილონ“.

ზემოთ ხომ დასცინა „ივერიას“ ჩვენმა სასაცილო მარქსისტმა, ქვემოთ კი სწორედ იმასვე ჰღაღადებს, რასაც ზემოთ სასაცილოდ იგდებს, რა ჰქვიან ამ წაჯეგ-უკუჯეგობას? მე სახელი ვეღარ მომიგონია, მთელი ლექსიკონი გამითავდა ბ-ნ ჟორდანიას საქციელის დასასახელებლად. ეხლა თქვენ იცით.

ხომ ნახეთ, რა მალაყს გადავიდა ეს ჩვენი ახალი მოღვაწე. ქვეყნის სასაცილოდ ეს არ იკმარა და აი, კიდევ რაგვარად შეაქო ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ სწორედ იგი სიტყვა „ივერიისა“, რომელსაც ზემოთ დასცინა ისე მარილიანად და თავმოწონებულად. ერთს ადგილას გვეუბნება, რომ ორნაირი დარგია სახალხო სწავლა-ცოდნისაო და ერთი იმათგანი:

„ტექნიკური განათლებაა, რომლის მიზანია კაცი ხელობის მცოდნედ გახადოს, რომელსამე ს პ ე ც ი ა ლ უ რ ს (კურსივი ჩემია) საგანში დაახელოვნოს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოიყვანოს. აი როგორი მიმართულება მიიღო დღეს ევროპის სახალხო განათლებამ“*.

ხომ ვერ იტყვის ბ-ნი ჟორდანია, რომ სამეურნეო ხელობა სპეციალური საგანი არ იყოს, ვერც იმას იტყვის, რომ ამ ხელობის გლეხკაცი მუშა არ იყოს და ვერც იმას, რომ საჭირო არ იყოს ეს მუშა გლეხკაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. სახალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას ხომ საგნად მხოლოდ ესა აქვს. რაკი ყოველივე ესეა, მაშ რაღად აიგდო სასაცილოდ „ივერია“, როცა მან მარტო ესა სთქვა და სხვა არა-რა. თუ ასეთი მიმართულება მიიღო დღეს ევროპის სახალხო განათლებამ, მაშ, ბარაქალა „ივერიას“, რომ ეს ადრევე ურჩევია ჩვენთვის და ოლოლო ბ-ნ ჟორდანიას, რომ დასცინის „ივერიას“ იმის გამო, რაც დღეს ევროპაში მიღებულია, თვით ბ-

* „კვალი“, 1898 წ., № 41, გვ. 675.

ნ ჟორდანიის სიტყვით. აბა თუ არ დაგიშლიათ, ეხლა გაიცინეთ, ბ-ნო ჟორდანიავ!

გაგონილა, კაცმა ასე უარჰყოს თავისი-თავი, თავისი თქმული, — აქაო-და საღერღელი ამეშალა და მინდა ასე თუ ისე ავად ვახსენო ვინმეო! ასე წარამარად ლაპარაკობდეს კაცი და ამასთან კადნიერად და თავმოწონებით იძახოდეს: ჩვენ მოწოდებულნი ვართ ახალ-ახალნი მოვლენანი გავარკვიოთ, ავხსნათ, შევიგნოთ, — აი „კვალის“ რედაქციის სატრფიალო საგანიო. კაი მოგეცათ, კარგი ახსნა და გარკვევა იყოს ეგ თქვენი ხან ასე და ხან ისე ციბრუტივით ტრიალი, დღეს ერთის თქმა და ხვალ თქმულის გადათქმა, კაი სატრფიალო საგანი აურჩევია ბ-ნს ჟორდანიას, ნუ დაიშლის, აბა მაგრა ჩაეხვიოს უსურვაზის წნელივითა.

„ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა და ან იწერება და არა ის, რაც წამკითხველის გონებაში აღბეჭდილაო“(?), ამბობს ერთგან „კვალის“ რედაქცია.

ვნახოთ ეხლა — ბ-ნ ჟორდანიას რა წაუკითხავს ცხოვრების ფურცლებზე. მოგეხსენებათ, იგი ერთს დროს წაბრძანებულა და კახეთი დაუვლია. ჯერ, რასაკვირველია, როგორც მოგეხსენებათ ბ-ნ ჟორდანიის მხატვრობის ნიჭი და ცოცხალი მეტყველება, იგი ჰაისა და ჰოის იძახის კახეთის მშვენიერებით ვითომდა აღტაცებული და ერთი მართლა ცოცხალი სიტყვა, ერთი სასურათო ხაზი ვერ მოუხერხებია, რომ სხვამაც იგრძნოს ცოტათი მაინც, რას აღუტაცნია ეს ტყუილად აღტაცებული მეცნიერი. ხოლო მეცნიერი რა მეცნიერია, მერე მარქსისტი, რომ სიტყვაკაზმულის მეტყველებით თავი შეირცხვინოს. იგი, როგორც ვნახავთ, წაბრძანებულა კახეთში, რომ „ცხოვრების ფურცლებზე ის წაიკითხოს, რაც დაწერილა და ან იწერება და რადგანაც იგი, ვითარცა ახალი მოღვაწე, იცნობს ცხოვრების მსვლელობას, ისე, როგორიც არის, (ჰ)სურს მხოლოდ ეს გამოარკვიოს და ახსნას“.

ამ მხრით-კი კაცმა მართალი უნდა სთქვას, დიდი სიბრძნე, დიდი უნარი ღრმად დაკვირვებისა, დიდი უნარი გამორკვევისა და ახსნისა გამოიჩინა ჩემდა საოცრად, თუმცა კი არა მოულოდნელად. წარმოიდგინეთ, კახეთში ცხოვრების ფურცლებზე დიდის გამოძიების და ჯაფის შემდეგ ბ-ნ ჟორდანიას წაუკითხავს, რომ გლეხს თურმე გლეხურად აცვია, თავადს თავადურად, მედუქნეს მედუქნურად და თითქმის მღვდელსაც მღვდლურად. საოცარი ამბავი არ არის, თუ თქვენც იტყვით! განა საქებ-სადიდებელი არ არის ბ-ნი ჟორდანია, რომ აქამდე ყველასაგან უცნაური ამბავი აღმოაჩინა! მერე იცით, აქედამ რა გამოჰყავს? გაოცდებით, როცა შეიტყობთ. აი, რა არის ახალი მოღვაწე და მისი ცნობა ცხოვრების მსვლელობისა ისე, როგორიც არის!.. არა ჰგავს ძველების ფანტაზიას! არა გჯერათ? იქნება გგონიათ, რომ მე ცილსა ვწამებდე? აი, თვითონ მისი ბედნიერი და ხელისხელ საგოგმანებელი სიტყვები! კახეთშიო —

„გლეხკაცს, რაც უნდა შეძლებისა იყოს, უთუოდ გლეხკაცურად აცვია (ვა! ვა! ვა!), მისი ტანისამოსი ერთიანად განირჩევა სხვის ტანისამოსისაგან. ვერც ერთს იმ საცმელს, რაც მას ტანზე აქვს, ვერ ნახავთ თავადიშვილის ტანზე (ვა, ამაზე მეტი უბედურობაღა იქნება!) და აგრეთვე რასაც უკანასკნელი ატარებს, იმას არ ატარებს პირველი (ვაი, ეს რა ქვეყანა ყოფილა ჩვენი ტურფა კახეთი!).

„ფეხზე ქალამანი, ტანზე ლურჯი შალვარი, ამფერივე ჩოხა, ან და, რაც უფრო ხშირია, სალდათის ნაქონი შინელი, თავზე ან ნაბადის, ან ტყავის ქუდი, — აი გლეხის ჩაცმულობა. მას საქმის დღესაც ეს აცვია და უქმე დღესაც. თავადებს-კი ან აცვიათ ევროპიულად, ან და ჩერქეზულად. ასე გასინჯეთ, მედუქნესაც კი თავისი საკუთარი კოსტიუმი აქვს. ერთის სიტყვით, ჩაცმულობა აღბეჭდავს მის შთამომავლობას და წოდებრივ ურთიერთობას“*.

* „კვალი“, 1898 წ., № 36, გვ. 594.

აბა, გამოიცანით ამ ახალ მოღვაწეს აქედამ რა გამოჰყავს? მე რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ, ისევ თვით ბ-ნ ჟორდანიას ვათქმევინოთ:

„ეს წმინდა კ ა ს ტ ი უ რ ი (კურსივი ჩემია) წყობილება გახლავსო“, — ჰროტავს უთავბოლოდ ეს ჩვენი ახალი მოღვაწე, რომლის „სატრფიალო საგანია“ გამოარკვიოს, ახსნას და შეიგნოს ახალ-ახალი მოვლენანი ცხოვრებისანი: „ამისი მსგავსიო არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არის, არ არის აგრეთვე ამ ჩვენს დასავლეთს საქართველოშიო“*.

აქაო-და გლეხკაცს გლეხკაცურად აცვია, თავადს — თავადურად, მედუქნეს — მედუქნურად, — კასტიური წყობილებაა კახეთშიო, მერე როგორი? „ამისი მსგავსი არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არისო!“ აი, ამასა ჰქვიან თურმე ცხოვრების ფურცლებზე წაკითხვა მისი, „რაც დაწერილა და ან იწერება!“ აი, ამას ჰქვიან, რომ ბ-ნი ჟორდანია, ვითარცა ახალი მოღვაწე, „სცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორიც არის!“ ამასა ჰქვიან, — გამორკვევა და ახსნა ცხოვრების მოვლენათა!.

სიტყვა „კასტა“, „კასტიური“ გაუგია კი სადღაც და რა წითელი კოჭია, ამაზე კი ნურას უკაცრაოდ, არა სცოდნია, არც რამ შეუტყვია. „ამისი მსგავსი არსად არისო“, გვეფიცება ჩვენი დიდი ახალი მოღვაწე, არსად არისო, რომ გლეხს გლეხურად ეცვას, თავადს თავადურათ და სხვანი და სხვანი. მაშ, ინგლისის ლორდი და პროლეტარი, მუშაკაცი, ერთნაირად იცვამს. მაშ, რა არის მუშის ჭუჭყიანი ბლუზა და ლორდის ფრაკი, ეს ერთი და იგივეა! გერმანიის ფეოდალი და გლეხკაცი არ განირჩევა ტანისამოსით ერთიმეორისაგან! განა საფრანგეთში პარიზელი და სოფლელი გლეხი ერთნაირად იცმენ-იხურვენ! პირველ შეხედვითვე განა ერთმანეთისაგან არ განირჩევიან! განა ჩვენს ტფილისში კარტუზიანი ვაჭარი, მაძღარი ბურჟუა და კურტნიანი რაჭველი ერთნაირად ჩაცმულ-დახურულნი არიან! თითონ ბ-ნი ჟორდანია პიჯაკშია და შლიაპაში გამოჭიმული და გურული გლეხიც განა პიჯაკსა და შლიაპას ატარებს! მაშ ყოველგან ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ტფილისს და გურია-რაჭაშიაც კასტიური წყობილება ყოფილა. ამისი მსგავსი არსად არ უნახავს ბ-ნ ჟორდანიას, თუმცა ევროპა და საქართველო მოუვლია. გვჯერა, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ ყურება სცოდნია და დანახვა-კი — არა. მას რომ თვალი არ უჭრიდეს, ჩვენი რა ბრალია!

ეს კასტიური წყობილება კახეთისა მარტო ამ სასაცილო ნიშნით არ არის თურმე გამოსახული. ბ-ნი ჟორდანია, ვითარცა ახალი მოღვაწე და წინწასული მეცნიერი, არა სჯერდება ერთს საბუთს, სხვა საბუთებიც მოჰყავს, ხოლო პირველზე უფრო სასაცილო, პირველზე უფრო სამასხარო. მაგალითებრ:

„თავადი გლეხს ხელსაც არ მისცემს, მისს სახლში გლეხს ვერ ნახავთ, თუ რამე საქმე აქვს — ქუდმოხდილი დ ა ბ ლ ი დ ა ნ ე ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ბ ა ლ კ ო ნ ზ ე მ დ გ ო მ „კ ნ ი ა ზ ს“. ეს იმას არ ეტყვის მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი ო და ის კიდევ ა მ ო ს ვ ლ ა ს ვ ე რ გ ა ბ ე დ ა ვ ს (კურსივი ჩემია)... ლაპარაკითაც სხვები არიან: გლეხი, რანაირადაც უნდა გამოაწყო, როგორც-კი დაილაპარაკებს, მაშინვე შეეტყობა გლეხიაო. აგრეთვე თავადი და მღვდელი! ქცევა, მიმოხვრა, ხასიათი, ზრდილობა სხვადასხვანაირი აქვსთ. ერთი სიტყვით, ყველა ნიშნები (ჰ)მოწმობენ, რომ აქ კ ა ს ტ ი უ რ ი (კურსივი ჩემია) განწყობილებაა და არა მარტო წოდებრივი... ჰო, საკვირველია, საკვირველი, კახეთი!“*

საკვირველი კახეთი კი არ არის, საკვირველი ის ახალი მოღვაწეა, რომელიც ამაებს ჰბოდავს და ჰროშავს. განა ის არის ნიშნები კ ა ს ტ ი უ რ

* „კვალი“, 1898 წ., № 36, გვ. 593.

* „კვალი“, 1898 წ., № 36, გვ. 593.

წყობილებისა, რაც თქვენ გვანიშნეთ და ჩამოგვითვალეთ, ბ-ნო ჟორდანიავ! იმ თქვენს ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდით, რომელიც ამას წინათ გადმომიშალეთ, და მერე, თუ ჭკუა ნებას მოგცემდათ, იტყოდით ამ უმეცრობის აბდაუბდობას და იწილო-ბიწილოს.

განა ინგლისის ლორდი, ინგლისის გლეხი, ან პროლეტარი, ან თუ გინდ წვრილი ფერმერი ერთისა და იმავე სიტყვა-პასუხის კაცნი არიან. განა ლორდისა და ან სხვა მაღალის წოდების კაცის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, ხასიათი, ზრდილობა იგივეა, რაც გლეხისა, პროლეტარისა, თუნდ ფერმერისა! განა პარიზელის ლაპარაკი, ქცევა-მიმოხვრა, ზრდილობა არაფრით განირჩევა საფრანგეთის გლეხისა და ერთობ მუშა-პროლეტარისაგან! თუნდ გერმანელი ფეოდალი აიღეთ და სოფლელი გლეხი! განა ყველგან, საითაც-კი მიიხედავთ, ინტელიგენციის სიტყვა-პასუხი, ქცევა, ზრდილობა და გონებაგაუხსნელის გელხკაცისა ერთი და იგივეა! მაშ ყველგან კ ა ს ტ ი უ რ ი წყობილება ყოფილა, თუ თქვენს ზღაპრებს დავუჯერებთ.

გესმით, ბატონებო, რა ახალი ამერიკა აღმოუჩენია ბ-ნს ჟორდანიას! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მე-კი ამას ვიტყვი, რომ არა მგონია ქვეყანაზე, ბ-ნ ჟორდანიას გარდა, სხვა კაცი ჰჭაჭანებდეს ისეთი, რომ ასეთი უთავბოლოდ, ასე წარამარად, ასე გაუგებრად, ასე უცოდინარად სიტყვა კ ა ს ტ ა, კ ა ს ტ ი უ რ ი ესმოდეს და ამ ნიშნებით ასურათებდეს. აი, ესეც თქვენი ახალი მოღვაწე, რომლის „სატრფიალო საგანი“ ამისთანა უმეცრობა ყოფილა. აი, თუ არ დაგიშლიათ, ასეთი ლაზღანდარობა უმეცრობისა თურმე „ცხოვრების ფურცლებზე წაკითხვა ყოფილა მისი, რაც დაწერილა და ან იწერება“. აი, ამას თურმე ჰქვიან „ცნობა ცხოვრების მსვლელობისა ისე, როგორიც არის“. კაი ცნობაა, სწორედ მოგახსენოთ! სიტყვა კ ა ს ტ ა, კ ა ს ტ ი უ რ ი ც ვერ წაუკითხავს შეგნებულად, ვერ დაუსწავლია რიგიანად და მოდით,

ამისთანა კაცს „ეშხზე ელაპარაკეთ“. თავისთვის რომ ვერ აუხსნია, ვერ გამოურკვევია ეს სიტყვა, ვის რას აუხსნის, ვის რას გამოურკვევს ამისთანა ყოვლად უმეცარი და ქარაფშუტა მოუბარი. ან იქნება ამ შემთხვევაში იმ იმედზე იყოს, რომ კუდახარი თავისთვის არ იყო, სხვას-კი ბუზს უგერებდაო.

დასასრულ, ერთი სასაცილო ამბავიც მინდა მოგახსენოთ, ამბავი, რომელიც სწორედ ხელისხელ საგოგმანებელია.

ეს ჩვენი ტყუილად თავმოწონებული უმეცარი ახალი მოღვაწე ერთს ადგილს ასე ჰღაღადებს:

„როცა რომელიმე მოღვაწე ევროპაში იტყვის — ხალხიო, მაშინ ის და სხვებიც ერთს ყველაზე უფრო მოძრავ და მოწინავე ელემენტს გულისხმობს, ჩვენში თუ ხალხი ახსენე, უთუოდ ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილს, ან და სოფლის უძრავ ელემენტს გულისხმობენ“. („კვალი“, 1898 წ., № 41, გვ. 674).

აქედამ აშკარაა, რომ ბ-ნი ჟორდანია წკეპლებში ატარებს ჩვენებურს თვალთახედვის ისარს ხალხის შესახებ და ჩვენის უვიცობის ნიშნად ევროპაზე ხელს გვიშვერს. ძალიან კარგი და პატიოსანი, ხოლო ეს-კი უნდა ვიკითხოთ: თვითონ ბ-ნი ჟორდანია ამ შემთხვევაში განათლებული ევროპიელია, თუ ჩვენებური უვიცი, რომელსაც წკეპლებში ატარებს, რომ ასე ჩამორჩენილა ევროპის თვალთახედვის ისარს. ამის ასახსნელად ერთს მაგალითს მოვიყვან და თქვენვე დაინახავთ, რომ ეს მაგალითი საკმაოა, — ზემომოყვანილს საკითხს შესაფერი პასუხი გასცეთ.

აქ მე ვერ ავცილდები იმას, რომ კვლავ კირვალიძე და მისი ას ერთი კაცი არ ვახსენო. მე ხომ მისაყვედურა, რომ კირვალიძე და მისი ას ერთი კაცი მე საქართველოს ერად არ ვიცანი, რადგანაც ვითომც „ნულები“ დავარქვი. ბ-ნი ჟორდანია ამ ჩემს ვითომდა თქმულს ასე ჰხსნის და არკვევს:

„მარა რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შე(ს)დგება, მაშ ყველა ეს წყალწასაღები ყოფილა. საქართველოს „ჩიორა“ და

„ახალმოსული“ შედგენს თურმე და ნამდვილი ხალხიც ისინია! აი, სადამდის მივიდა „ივერია“![*]

ახლა ბ-ნმა ჟორდანიამ გვიბრძანოს: კირვალიძე და ის ას ერთი კაცი „ერის ყველაზე უფრო მოძრავი და მოწინავე ელემენტია“, თუ „ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი, ანდა სოფლის უძრავი ელემენტი?“ ორში ერთია: ან ყველაზე უფრო მოძრავ და მოწინავე ელემენტად უნდა ცნობილ იყოს კირვალიძე და მისი ამქარი და მაშინ, ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით, მე შორსა ვყოფილვარ ევროპიელისაგან, ან, ვიტყვი ბ-ნ ჟორდანიას სიტყვით და უკაცრაოდ კი არ ვიყო ბ-ნ კირვალიძესთან და მის ამქართან, ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტი ყოფილა, და მაშინ მე ევროპიელებისამებრ მცოდნია, რა უნდა იგულისხმებოდეს, ოდეს კაცი ახსენებს ხალხსა, და ბ-ნი ჟორდანია კი ჩვენებური, მის მიერ წკეპლაში გასატარებელი უვიცი ყოფილა. არ ვიცი, კირვალიძე და მისი მსგავსი ას ერთი კაცი ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტია თუ არა, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჯერ არავის არსად გაუგონია, რომ კირვალიძე და მისი მსგავსი ას ერთი კაცი საქართველოს ერის ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტი იყოს. ამას ხომ ვერც თვითონ ბ-ნი ჟორდანია იტყვის პირდაპირ, თუ თავზე ხელს არ აიღებს, მაშ ორიდამ რა დაგვრჩა, თუ ბ-ნ ჟორდანიას ავყევით? ის, რომ კირვალიძე და ას ერთი მისი მსგავსი კაცი ან ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტია, ან არც ფლავია და არც ჩლავი. ცხადი არ არის, რომ კირვალიძეს და მისს ამქარს არც ერთი იგი ნიშანი არა სცხია, რომ ევროპიელებისამებრ ხალხად საცნაური იყოს, და თუ მაინცდამაინც ხალხად ჩასთვლის ვინმე. ან ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილ ელემენტად უნდა იცნოს, ან არც ჩლავად არც ფლავად. გამოდის, რომ იმისთანა კაცს ჩვენებურად, უვიცად, უმეცარად უნდა გაეგო — რას ნიშნავს სიტყვა ხ ა ლ ხ ი და არა ევროპიულად, რაკი კირვალიძეს და მის ამქარს ხალხადა ჰხდის.

[*] „კვალი“, 1900 წ., № 14, გვ. 220.

სწორედ ამისთანა კაცად გამოდის ბ-ნი ჟორდანია, ან არადა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ კირვალიძე და მისი მსგავსი ას ერთი კაცი ჩვენის ქვეყნის ყველაზე უფრო მ ო წ ი ნ ა ვ ე ელემენტია. კაცმა, რომელმაც ასე გაგვიპენტა ინტელიგენცია, ასე მიწასთანაც გაგვისწორა, არა გვგონია გაბედოს და კირვალიძისთანა კაცების მ ო წ ი ნ ა ვ ე ო ბ ა მერე ყველაზე უფრო, გვიქადაგოს და გვიღაღადოს; მაგრამ ბ-ნ ჟორდანიასაგან არც ეს გამიკვირდება: იგი ახალი მოღვაწეა, ესე იგი, იმისთანა კაცი, რომელიც ცხოვრების ფურცლებზე ჰკითხულობს იმას, რაც ზედ დაწერილა, ან და იწერება და რომელსაც ცხოვრების მსვლელობა ისე სცოდნია, როგორიც არის, და ცხოვრების ახალ-ახალ მოვლენათა ახსნა, შეგნება და გამორკვევა — „სატრფიალო საგნად“ გახდომია. კაი „სატრფიალო საგანი“ ჰქონია, თუ ამისთანა უმეცრობის მურით შეუთითხნის სახეს და ქვეყნის სასაცილოდ გამოიყვანს მზეზე.

ჩემ გამო მისწვდა „ივერიას“, რომ მე ბ-ნ ჟორდანიას რეცეპტითვე ევროპიულად მოვიქეც და კირვალიძე და მისი ამქარი ხალხად არ ვიცანი, და თვითონ კი თავისს რეცეპტს გადაუდგა, ევროპიელობაზე ხელი აიღო და „ივერიასვე“ ნიშნს უგებს: „აი, სადამდე მივიდა „ივერიაო“. სადამდე მივიდა! სწორედ იქამდე, სადამდინაც ევროპიელნი მისულან, თქვენისავე სიტყვით, და თქვენ-კი იმ უმეცრობაში გაბაწრულხართ, რომლის გამოც ჩვენებურებს ამ შემთხვევაში ასე შეუბრალებლად წკეპლასა სცემთ.

ეხლა სწორედ მე მეთქმის: აი, სადამდე უკან ჩამორჩენია ევროპას ეს ჩვენი გუდაფშუტა ვითომდა ახალი მოღვაწე. სასაცილო არ არის ეს ამბავი: კაცი სიტყვით წინ იწევდეს თავგადაგლეჯილი და საქმით კი ფეხები დამბლასავით უკან რჩებოდეს!

განა მართალი არ ვიყავ, როცა ვთქვი, რომ ეს ამბავი ხელისხელ საგოგმანებელია? განა სასაცილო

არ არის რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ასე გაიბა თავი საკუთარს მახეში?!

[1900]

46. გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია

ჩემო მაინც კარგო თეკლევ!

შენი წიგნი მივიღე. მწერ და მემდურები, რომ ამოდენა ხანია მე ჩემი ამბავი არ მომიწვდია და მემუნათები, რომ თუ მე, შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდები, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხეო.

მე რომ უწინდელებრ ძველი ამბების კაცი ვიყო, შენს საყვედურებს ჩემს თვალში დღესაც ისეთი ფასი ექნებოდა, რაც ჰქონდა და ეხლა კი, როცა მე ვეღირსე და დავეწაფე ახალ აზრების უკვდავების წყაროსა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ ლოცვითა და კურთხევითა, შენი საყვედურები უმიზეზო წუწუნიღა მგონია გუნებანაქცევ დედაკაცისა.

ოჯახი მაინც რატომ არ იკითხეო!.. ვაი შენ, ჩემო თეკლევ, რამოდენა მანძილზე უკან ჩამორჩენილხარ ქვეყნიერობას, ანუ, უკეთ ვთქვათ, ახალთ-ახალს ხანას ადამიანის ცხოვრებისას. შენ, ჩემო კარგო, ცოცხლებში გასარევი აღარა ყოფილხარ... რა ოჯახი! რის ოჯახი! ეგ როდინდელ ანაბანას მიკითხავ! ეგ ძველისძველი ტიბიკონი, ეგ ძველთაძველი ძილისპირები შენთვის შეინახე, მე კი ახალ მიმართულების კაცი ვარ და თავზე ლაფს ვერ დავისხამ მაგაების ხსენებით და მოკითხვითა.

ოჯახიო! ეს ძველებსავით ბრიყვმა და გაუნათლებელმა სთქვას, კიდევ ჰო, შენ ხომ განათლებული ხარ, შენ ხომ მუდამ „კვალსა“ კითხულობ, რომ სხვა არა იყოს რა და როგორ არა გრცხვენიან, — მაგისთანა ძველ-ძულებს მისდევ და თავს არ ანებებ. რა ოჯახი! რის ოჯახი! შენ იქნება ეხლანდელი დრო ისევ ის ძველი დრო გგონია, როცა ოჯახების შენება, მოვლა და პატრონობა დიდი სახელი იყო ადამიანისათვის! ვაი სირცხვილო!..

მას აქეთ, რაც ჩვენმა სასიქადულო გომართელმა — ამ დიდის ჭკუის პატარა კოლოფმა, — თავისი წერილი დაბეჭდა „კვალში“*, ოჯახის მოკითხვა და გახსენება რა პატიოსანის კაცის საკადრისია. რა სახსენებელია ეგ შენი ობმოკიდებული „მცნება“, ეგ შენი ოჯახი ეხლანდელ დროში, როცა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ წყალობით ახალი მეცნიერება, ახალი მიმართულება, ახალ-ახალი აზრები დუღან და გადმოდიან.

რას ამბობ, ადამიანო! ოჯახი მოსაკითხი კი არა ყოფილა, როგორც ხავსმოკიდებულ ძველებს ჰგონიათ, დასანგრევი და დასაქცევი თურმეა, როგორც ამას ჰღაღადებს ჩვენის მწერლობის ახალ-ახალი ყარამან ყათილ სააპყირანი ბ-ნი გომართელი. გესმის, — გომართელი-მეთქი!.. მერე იცი რა კაცია ეს გომართელი? ეს ის კაცია, რომელმაც ერთის ლახტის მოქნევით მთლად შეჰმუსრა ფეოდალობა და ერთის კალმის მოსმით გააქრო ქვეყნიერობაზე ხსენება თავადაზნაურობისა ასე რომ, ამის მერმეთ თვით არჩილ ჯორჯაძესაც კი შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა და ხელის გულზე გაუგორდა გამარჯვებულს გომართელსა, — ოღონდ ძველებში ნუ ჩამწერთ და თქვენებრ დავიწყებ გალობასაო. აკი დაიწყო კიდეც, ჯერ, რასაკვირველია, წვრილის ხმით და იმედია, რომ ღვთით თანდათან მოუსხვილებს.

გეუბნები, — ოჯახი იმისთანა რამ ყოფილა, რომ დღეის ამას იქით ყოველი კაცი, ვისაც კი

* იხ. „კვალი“ №2, გვ. 34, სვეტი 2, ბ-ნ გომართელის წერილი.

გომართელის სიბრძნის სუნი მისცემია, ვინც კი მისი ფილოსოფიით „აღფრთოვანებულა“, ყოველი იგი უნდა ჰცდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის ზურგიდამ. მეც დღევანდელ დღეს იმის ცდაში ვარ, რომ მაგ წყეულს ოჯახს, მაგ დღევანდელ ბოროტს ბოლო როგორმე მოვუღო, იმიტომ რომ ახალ მიმართულების კაცი ვარ-მეთქი და არ მინდა სხვას უკან ჩამოვრჩე, რაკი გომართელს წერაქვი აუღია ხელში და ოჯახს მისდგომია დასანგრევად. მეც დღეს იმის ცდაში ვარ-მეთქი, რომ დღეის ამას იქით ოჯახის ხსენებაც კი აღარ იყოს ქვეყნიერობაზედ და შენ კი საყვედურსა მწერ, — რატომ ოჯახს მაინც არა კითხულობო, მოდი და სიცილით ნუ დაოსდები!

აბა მოთმინებით და დინჯად დამიგდე ყური და იმედი მაქვს, რომ შენც, როგორც „კვალის“ ფილოსოფიით ჩემებრ თვალახილებული და ჭკუაგაჩაღებული, არამც-თუ ჩემს სიტყვაზე მოხვალ, ინანებ კიდეც, — რატომ მე არ დავასწარ ჩემს ქმარსა და მინამ ის მომწერდა, რატომ ჩემი თავი არ გავიწირე და გომართელის ფილოსოფიას მტლად არ დავუდეო.

აქ თავის გაწირვა და მტლად დადება რა შუაშია, იკითხავ. აი, ძაღლის კუდი სწორედ აქა მარხია, ჩემო კარგო! შენ ხომ ჩემი ჯვარწერილი ცოლი ხარ და მე შენი ჯვარწერილივე ქმარი, მაგრამ დღეის იქით მშვიდობით: უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ, ერთმანეთს დავეთხოვოთ. ნუ გეშინიან, ეს შენი უსიყვარულობით არ მომდის, და თუნდაც უსიყვარულობით მომდიოდეს, დიდი ცოდვა არც ესა ყოფილა, რადგანაც სხვისა არ ვიცი და, ბ-ნ გომართელს კი „მწარედ ეცინება ხოლმე, როდესაც ჰკითხულობს აღფრთოვანებულს პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე, სიყვარულზე /გესმის: სიყვარულზეც კი/ და სხვა ამგვარს უშინაარსო მცნებებზე“*.

* იხ. „კვალი“ №2, გვ. 34, სვეტი 2, ბ-ნ გომართელის წერილი.

ხომ ჰხედავ, — სიყვარული თურმე უშინაარსო მცნება ყოფილა და ხსენება მისი პოეზიაში მწარედ აცინებს ხოლმე ბ-ნ გომართელსა. არ გებრალება, რომ სიცილიც კი მწარე ჰქონია! სიბრალული იქით იყოს, მე ეს მიკვირს და მაოცებს, ამ სიმწარესთან ასეთი ტკბილი ქართული საუბარი როგორ მოუხერხებია, როგორ სცოდნია. აბა, ვის არ მოჰგვრის სიამოვნების და სიტკბოების ჟრუანტელს „სიყვარულზე აღფრთოვანებული პოეზია“, თუნდაც ძმობაზე და ერთობაზე! ძველი ქართველი იტყოდა: აღფრთოვანებული პოეზია ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა, მაგრამ სად ეს გაცვეთილი ლუღლუღი ძველისა და სად ის მშვენიერი ახალი ჭიკჭიკი გომართელისა! წაწყმდეს ძველი და გაუმარჯოს ახალსა!..

თუმცა სიყვარულსა ისე წახდენია ლილახანა, რომ მწარედ აცინებს ჩვენს უცინარს და უწუნარს გომართელსა, მაგრამ მაინც გარწმუნებ, რომ მე შენის უსიყვარულობით არ მომდის, როცა გწერ — უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ-მეთქი. არა, აქ სხვა უდიდესი და უმძიმესი მიზეზი ჰღაღადებს. ყური დამიგდე. დავიწყოთ იქიდამ, რომ ჯერ ყოველთ უწინარეს გამოვარკვიოთ, — რა არის ოჯახი და რის მომავლინებელია? იგია თურმე მიზეზი ქვეყნის უბედურებისა, იგი რაღაც ეშმაკისა და ქაჯის თესლი თურმეა. მე რომ ყოველივე მისი ბოროტი გითხრა, არ დამიჯერებ. ისევ სჯობია ჩვენს ბრძენთა-ბრძენს გომართელს ვათქმევინოთ. სხვა არა იყოს რა, ჭკვასაც გვასწავლის და ყურსაც დაგვიტკბობს მშვენიერის ქართულითა. ეს ახალთახალი ფილოსოფოსი ბრძანებს, რომ თანამედროვე ოჯახი ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილიაო. ეს აზრი სრულ /გესმის: სრულ!/ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოსო“... ყოველივე დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალ-ღონეს და არ უშვებს მას საზოგადოებრივი /ვიშ, ვიშ, ამ ქართულს/ იდეალებისაკენ, დღეს დროგადასულ /გესმის: დროგადასულსო!../ და მავნე დაწესებულებად უნდა

ჩაითვალოსო. ასეთს დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიცაო“*.

ხომ ჰხედავ: ოჯახი თურმე ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილი ყოფილა, ესე იგი პროგრესის შემხუთავი, პროგრესის დამაბრკოლებელი, გესმის: პროგრესისა!.. იცი კი — რა არის პროგრესი? არც მე ვიცი, მაგრამ რადგანაც ჩვენს სასიქადულო „კვალს“ და მის არანაკლებ სასიქადულო გომართელს სულ ეს პროგრესი აკერიათ ენაზე და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ებღაუჭებიან, ეს პროგრესი სწორედ კარგი რამ უნდა იყოს, უსათუოდ ქვეყნის საბედნიეროდ გაჩენილი.

მაშ, გახსოვდეს, რომ ოჯახი ადამიანის პროგრესის ბორკილია. ეს ბორკილი ხომ ბორკილია, გარდა ამისა, ოჯახს სხვა ჭირიც სჭირებია: ადამიანის ძალღონეს თურმე წინ გადაღობებია და არ უშვებს საზოგადოებრივ იდეალებისაკენ, ერთის სიტყვით, კაცობრიობის საზოგადოებრივი წინსვლა შეუყენებია და, მაშასადამე, ისევ ის საზოგადოებრივი პროგრესი შეუკრავს და შეუბოჭავს. ჰხედავ: ამ წყეულ ოჯახის ცოდვები სადა სცემს! ხოლო მაგაებს ვიღა სჩივის? ოჯახს რომ მარტო ეგ ავები და ბოროტებანი სჭირებოდა და სხვა არა-რა, წავიდოდით, დავუჩოქებდით და ყოვლადმოწყალე გომართელი როგორმე აპატიებდა. საქმე ის არის, რომ ყოველ ამასთან ერთი იმისთანა ჭირიც სხვა სჭირებია, რომ მარტო ესეც საკმარისია, კაცმა სამუდამოდ გააქროს ოჯახის სახსენებელი ქვეყანაზე. თურმე ნუ იტყვი, — დრო გადასული და, მაშასადამე, ძველი რაღაც რამ ყოფილა. გესმის: დროგადასული და ძველი-მეთქი!.. და ეხლანდელს დროში დროგადასულის და ძველის ქომაგობა და კეთილად ხსენება ხომ საციმბირო საქმეა, „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტ-ფილოსოფოსებს რომ ჰკითხო.

* იხ. „კვალი“ №2, გვ. 341.

აი, რა გველი და მორიელი ყოფილა ეგ შენი ოჯახი, აი, რა ბალღამი და შხამი სდგმია ტანში მაგ შენ მოწონებულ ოჯახსა! ეხლა შენც, მგონი, ჩემს ჭკუაზე მოხვალ და ჩემთან ერთად იტყვი, რომ ოჯახი მოსაკითხი კი არა მართლა დასაქცევ-დასანგრევი ყოფილა დედა-ბუდიანად, რათა ამას იქით „ადამიანს იდეალურ მისწრაფებათა“ ბორკილი გამოეყაროს ფეხებიდამ და „ადამიანის ძალ-ღონე საზოგადოებრივი იდეალებისაკენ“ სასრბოლად გაშვებულ იქნას. რა თქმა უნდა, ბ-ნ გომართელის ბრძანების შემდეგ მთელი კაცობრიობა წერაქვებს ხელში აიღებს და მოჰყვება ოჯახების ქცევა-ნგრევას და ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადნეთ, რომ ამ საქებ-სადიდებელ საქმეში სხვას უკან არ ჩამოვრჩეთ, თორემ ძველებში გაგვრევენ და სირცხვილით კარში ვეღარ გამოვალთ. ჩვენში კი დარჩეს და რა ვქნა, ეს ოჯახის ნგრევა-ქცევა ახალი ამბავი, მგონი, არ უნდა იყოს აქ, ჩვენს საქართველოში მაინც. ჩვენ, ქართველები, ათადამ-ბაბადამ სულ ამ ოჯახების ქცევა-ნგრევაში არა ვართ განა! მაშ, რომ ოჯახი მავნე და პროგრესის ბორკილი ყოფილა, ჩვენ ძველის-ძველადვე გვცოდნია, თუ არა და საიდამ გაჩნდა ჩვენში ოჯახების ხელაღებით ქცევა-ნგრევა? გომართელი რომ ამ ათასის წლის წინათ გაჩენილიყო თავისი ფილოსოფიით, ვიტყოდი, — ეს ამბავი იმისი ბრალია, იმისი ღვაწლის შედეგია-მეთქი. ჩვენდა საბედნიეროდ და ჩვენის საუკუნის სასახელოდ გომართელი ჩვენს დროშია გაჩენილი და მაშ, საიდამ მიხვედრილა ძველის-ძველი ქართველი, რომ ოჯახი შესარჩენი არ არის, რომ ოჯახს ქცევა-ნგრევა უნდა და არა შენება და მაგრება. ნუთუ ძველებსაც სცოდნიათ რომ ოჯახი ჩაჰბღუჯებია კალთაში ადამიანის ძალღონეს და არ უშვებს „საზოგადოებრივი იდეალებისაკენ!“

აი, საკითხი, რომელიც მე ჩემის ჭკუით ვერ გამოვარკვიე და ღმერთმა უშველოს არჩილ ჯორჯაძეს, იმან მიხსნა ბოროტისაგან. ხომ იცი, ვინა ბრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი

კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანაებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულ-ღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო. კარგად მიხვედრა ძველებისაა, გამოჩხრეკა კი ახლებისაო. აი, გომართელის ღვაწლი თურმე სად არის! ოჯახის ქცევა-ნგრევა, მართალია, ძველი ამბავი ყოფილა ჩვენში, ხოლო ფილოსოფიური საბუთი კი გომართელს ღღეს აღმოუჩენია. მე კი, — ღმერთო შეგცოდე — პირველ ხანში გომართელს შევწამე, — ეს ოჯახის ავად ხსენება და გაპენტვა ძველებს ხომ არ მოჰპარა-მეთქი, და დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, ამ ცოდვისაგან მიხსნა „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტმა.

ახლა იქნება იკითხო: თუ ათადამ-ბაბადამ ჩვენ, ქართველები, ჩვენის ოჯახების ქცევა-ნგრევაში ვართ, ნუთუ აქამომდე ვერ დავაქცივ-დავანგრიეთ? საკვირველიც ეს არის, რომ ვერ დავაქცივ-დავანგრიეთ: აი, კიდევ სადა მარხია ძაღლის კუდი! აქ უნდა კვლავ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფია მივაშველოთ გომართელის ფილოსოფიას, თორემ გზა-კვალს ვეღარ გავიგნებთ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიით — ძველებმა ხომ მარტო ალღოს აღება იცოდნენ და საქმის კეთება კი ახლების უნარია. საქმე ის არის, რომ ძველებს არა სცოდნიათ, საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ, თუმც ალღო კი აღებული ჰქონიათ. შენც ხომ იცი და თუ არ იცი, ეხლა მაინც შეიტყე, რომ თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, საძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო. ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ, საცა ცოლ-ქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. აქედამ განა აშკარა არ არის, რომ ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძლება,

თუ აწ არსებული ცოლ-მქრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა.

ვინ უნდა მისცეს ამ სახელოვანი საქმის მაგალითი ადამიანსა? რასაკვირველია, იმან, ვისაც არ უნდა ძველის აზრების სამარცხვინო ჩაჩი დაიხუროს თავზე და ახალ მიმართულების კაცთაგან გამოირიცხოს თავი, აი კიდევ ძაღლის კუდი სადა მარხია, ჩვენდა საუბედუროდ. ჩვენდა საუბედუროდ-მეთქი! მაგრამ ჩვენი საკუთარი უბედურება იქ რა სახსენებელია, საცა ახალი ჰღაღადებს და გვიწვევს, თავი გავიწიროთ და გომართელის ფილოსოფიას გზა გავუხსნათ „ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილის“ დასამსხვრევად.

ხომ ჰხედავთ, — რა ჭირსა და ვაგლახში ჩავვარდი მე, შენი ჯვარდაწერილი ქმარი. რომელი უნდა ვირჩიო: გომართელის ფილოსოფია, რომელიც „ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა“ ბორკილს სჭედავს თურმე? ამ სახით, ან ახალ მიმართულების კაცის სახელი უნდა ვგმო და დავკარგო და ოჯახი ვაშენო და ვინახო, ან სახელის ღირსი უნდა გავხდე და მაგ წყეულ ოჯახის დასაქცევად ცოლიც გავწირო, შვილიც და ის ჩემი საკუთარი ბედნიერებაც, რომელიც მე ჩემსა და შენს ცოლქმრობაში მოვიპოვე.

აქ დიდი ლარი და ხაზი არ უნდა იმის გამოსაცნობლად, თუ რომელი ამოვირჩიე. ვინც იცის, რომ ჩემი განმანათლებელი მარტო „კვალი“ ყოფილა, არის და იქნება, მინამ პირში სული მიდგა, ის ვერ იფიქრებს, რომ მე მრუდე გზას დავადგებოდი, ახალს მიმართულებას ვგმობდი და ვუღალატებდი. იმიტომ, რომ დღეს ისეთი დღეა, ოღონდ ახალი კი იყოს და, რაც გინდ იყოს. კაცი ხარ და ქუდი გხურავს და ამაზე მეტი ახალიღა იქნება, რომ ოჯახის დასაქცევად ცოლს გაეყარო მარტო იმისათვის, რომ ამას ითხოვს ფილოსოფია ახალმოვლენილ გომართელისა.

მაშ, მშვიდობით, ჩემო კარგო! დღეის ამას იქით შენ შენთვის, მე ჩემთვის. ხომ ხედავ: ჩვენის

უვიცობით რა ცოდვაში ვმდგარვართ, რა მძიმე დანაშაული ჩაგვიდენია ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე. ვაი ჩვენ!.. ჩვენით თურმე არსებულა იგი რკინის ბორკილი ადამიანის პროგრესისა, რომელსაც ოჯახი ჰქვიან და რომელიც ასეთს დიდს პატივში თურმე ჰყავთ დღესაც ზოგიერთ ძველებს თავისდა სამარცხვინოდ და ქვეყნის საუბედუროდ. ჩვენ დღეის ამას იქით ერთად ვეღარ გვეცხოვრება. მშვიდობით, ჩემო კარგო, მშვიდობით, სამუდამოდ. მე კი გული მტკივა, გული მეთანაღრება, „ვსტირ და ვღრიალებ“, რომ გემშვიდობები გომართელის ფილოსოფიის მიზეზით. ჩვენში კი დარჩეს და, სწორედ გითხრა, ერთის გულით თითქო ვწყევლი კიდეც, ღმერთო შემინდე, გომართელსა, რომ თვალი ამიხილა და მით შენი თავი დამაკარგვინა. მაგრამ ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რამდენი სხვა უჩემო ცოლი და ქმარი ლოცვა-კურთხევას შეუთვლის გომართელსა.

ბევრი ცოლი და ქმარია, რომ ერთმანეთი, ჭირივით ეჯავრებათ, უნდათ და ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედია, სირცხვილის შიშისა გამო, კაცი როგორღაც უფრთხის და ცოლქმრობას შეჩვეულ ჭირსავით ითმენს. ეხლა-კი ბ-ნ გომართელის წყალობით ცოლქმრობის დარღვევა არამცთუ სათაკილო საქმეა, არამედ ქვეყნისათვის დადებული ღვაწლია, სასახელო და საქებ-სადიდებელი, და ჰნახე ამას იქით, რამდენი ცოლქმრობა შეიმუსრება, რამდენი ოჯახი დაიქცევა სამუდამოდ. მაშ წაწყდეს ძველი და იხაროს ახალმა! გაუმარჯოს გომართელსა! გაუმარჯოს „კვალსა“, — ამ ჩვენის დროის „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნსა!

რა წამსაც წავიკითხე და შევითვისე, როგორც რიგია, ოჯახის ფილოსოფია გომართელისა, მაშინვე შუბლზე თითი მივიკარ და ვთქვი დიდის გულისხმითა ჩემითა: ჰა!.. აი, ქვეყანას როდის გაეხსნება-მეთქი გზა „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ“, აი, როდის წაავლო კუდში ხელი ქვეყნის ბოროტს ჩვენმა

გომართელმა-მეთქი. მაშინვე დავჯეგ და მინდოდა მომეწერა შენთვის, რომ უნდა ერთმანეთს გავეყარნეთ ქვეყნის სიკეთის გულისათვის, მაგრამ ერთმა გარემოებამ დამაბრკოლა: მომაგონდა, რომ შენი მზითვის ფული ჩემს სახელობაზეა ბანკში მიბარებული და ვაი, თუ მომთხოვოს და მივცე თუ არა-მეთქი. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ამ გარემოებას ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. აღარც ვაციე, აღარც ვაცხელე და ავდექ და გომართელთან გავიქეც დარიგებისათვის. გომართელი ტფილისიდამ სადღაც წასულა და დავრჩი სახტად. ბოლოს ვიფიქრე: არჩილ ჯორჯაძეც ხომ ქადულობს ახალს მიმართულებას, მოდი და იმას დავეკითხები-მეთქი. ვთქვი და წაველ კიდეც. რაკი ვუამბე ჩემი ჭირი და ვარამი, იმან აიღო და 10-ს იანვრის „ცნობის ფურცელი“ მომაჩეჩა ხელში და მითხრა: შენის დარდის პასუხი აქა სწერია და წაიკითხეო. მე პასუხად მოვახსენე, რომ ჩვენ გაფიცულნი ვართ, „კვალის“ მეტს სხვას არას ვკითხულობთ-მეთქი. შენი ნებააო, მითხრა, ეს-კი იცოდეო, — შენი ჭირისა და ვარამის პასუხი აქ არის და სხვაგან ვერსად იპოვნი, სანთლითაც რომ ეძებოო. ვთქვი, უსათუოდ გასაღება უნდა „ცნობის ფურცლისა“ და ამიტომ მაჩეჩებს ხელში-მეთქი. მეტი გზა არ იყო, ვიყიდე ის ნომერი და სახლში წამოვიღე.

წავიკითხე და სიხარულით ფეხზე ვეღარ დავდეგ. აი, ღმერთმა აცოცხლოს არჩილ ჯორჯაძე, მისი ახალი მიმართულება, მისი ახალი მეცნიერება და მისი ახალი ფსიხოლოგია. ვერ წარმოიდგინ, ქვეყანას რა დოვრანი დასცემია და რა იღბალი ჰქონია და დღესაქამომდეკი არა სცოდნია. აქამდე მუშაობით წელს ვიწყვეტავდი, დღესა თუ ღამეს ვასწორებდი, მეგონა, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა გარჯაა და მუშაობა, მეგონა, რომ კაცი სულ იმის ფიქრსა და ცდაში უნდა იყოს, — პატიოსანის შრომით ლუკმა-პური სჭამოს და თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ეს სულ ძველების ფლასტი-ფლუსტია, ძველების ლათაიებია

თურმე. საქმე კი იმაშია, ვინც თავისას არა სჯერდება, ვისაც თავისი საკმარისი არა აქვს, ის სხვას შეჰყურებს თურმე, ის თურმე სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი. აი, თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰღაღადებს!.. ეს მე რომ მეთქვა, არ დამიჯერებდი. ამას არჩილ ჯორჯაძე ამბობს, ის არჩილ ჯორჯაძე, რომელიც თავის ქადილისამებრ ადამიანის გულში კარგად ჩახედულია. ეს ახალგამომცხვარი ფსიხოლოგი, გვიქადაგებს, რომ „კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვას შეჰყურებსო და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ /ფრჩხილები ავტორისაა/ შეივსოს ახალი დანაკლისი“/იხილე „ცნობის ფურცელი“ 10-ს იანვრისა, წერილი არჩილ ჯორჯაძისა/. იქნება იკითხო, — „თავისით სჯერდება“ სადაური ქართულიაო? გარუსებული ქართული გახლავს. მართალია ძველი ქართველი ამ შემთხვევაში იტყოდა, — „სჯერდება რას? — თავისას“ და არა თავისით, მაგრამ „კვალსა“ და თვით ბ-ნ გომართელს არაერთხელ კვერი დაუკრავს და ბეჭედი დაუსვამს, რომ ჩვენ, ქართველები „ვგაევროპიელდით“ და რათ გიკვირს, რომ არჩილ ჯორჯაძემ ქართული გაარუსულა და ამით გააევროპიელა, სურვილისა და ნატვრისამებრ „კვალისა“ და გომართელისა. თუნდ ეგეც არ იყოს, სიტყვას რას დასდევ!.. შენ აზრი გაუსინჯე, აზრი, და სიტყვას თუნდ ჯანაბამდე გზა ჰქონია.

ხომ ჰხედავ: ვინც იმას არა სჯერდება, იმას არა ჰკმარობს, რაცა აქვს, სულ იმის ფიქრსა და ცდაშია თურმე „სხვისით“ შეივსოს ახალი დანაკლისი“. არა მგონია ქვეყანაზე ბევრი იყოს იმისთანა კაცი, რომ იმას სჯერდებოდეს, იმას ჰკმარობდეს, რაცა აქვს. შორს წასვლა რად გვინდა, თითონ როტშილდი, თვით ამერიკის მილიონერები, ყელთამდე ოქრო-ვერცხლით ავსილები, არა სჯერდებიან იმას, რაცა აქვთ და დღედაღამ იბრძვიან და იღწვიან მეტი

შეიძინონ. აქედგან განა აშკარა არ არის, რომ თუ ათასში ერთი არა, დიდად დიდი ნაწილი კაცობრიობისა მაინც არა ჰკმარობს იმას, რაცა აქვს, სჩანს, — დიდი ნაწილი კაცობრიობრიობისა სულ იმის ფიქრსა და ცდაში ყოფილა, რომ „სხვისით“ შეივსოს დანაკლისი.. რაკი ასეა, მე, შენი უმორჩილესი მონა, რაღა წითელი კოჭი ვბრძანებულვარ და მეღა რატომ არ უნდა ვიყო სულ იმის ფიქრსა და ცდაში, რომ „სხვისით“ იოლად წავიდე. განა ცოტა რამ მაკლია!..

მართალია, პირველ ხანში დიდ საგონებელში ჩავვარდი: ყველა კარგი და ეს „სხვისით“ დანაკლისის შევსება როგორ უნდა მოხდეს უიმისოდ, რომ ციმბირს იქით არ უკრან კაცს თავი-მეთქი, რადგანაც „სხვისით“ შევსება დანაკლისისა შესაძლებელია მარტო მაშინ, როცა კაცი ან მოიპარავს, ან გასძარცვავს, ან მოიტაცებს. სხვაფრივ „სხვისით“ შევსება დანაკლისისა წარმოუდგენელია, იმიტომ რომ „სხვისი“ სხვისაა და პატრონი თავის ნებით არ დაგანებებს. ამას სხვისთვის ვამბობ, თორემ მე, რაკი შენი მზითევი ჩემს ხელთ არის, არც მოპარვა მომინდება, არც გაძარცვა, არც მოტაცება და აი, არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია რით არის უფრო საამური ჩემთვის.

აბა, ეს ახლად-ახალი ფსიხოლოგია არჩილ ჯორჯაძის წინ წაიმძღვარე და სწორედ მითხარი: განა ადამიანის სულის მოძრაობას, ადამიანის სულიერ ბუნებას ვღალატობ, რომ, როცა ჩემსას არა ვჯერდები და ჩემსას არა ვკმარობ, სულ იმის ფიქრსა და ცდაში ვარ, — შენის მზითევით შევივსო ჩემი დანაკლისი? ყოველი ადამიანი თურმე ასე იქცევა, რაკი თავისას არა სჯერდება და თავისას არა ჰკმარობს. სჩანს, ბუნება ადამიანისა ასეთია, თორემ არჩილ ჯორჯაძე იმას არ იტყოდა, რაცა სთქვა... და მეც ხომ ადამიანი ვარ და არა-რა ადამიანური არ უნდა მეუცხოებოდეს: ღმერთი, რჯული, მეც, ბერვს სხვასავით, არა ვჯერდები და არა ვკმარობ იმას, რაცა მაქვს. მაშ, ღვთით და არჩილ ჯორჯაძია

წყალობით ნურას უკაცრაოდ, რომ არც ვაცხელო, არც ვაცივო და ჩემის დანაკლისის შესავსებლად ვსთქვა, აფუ მე-მეთქი და შენი მზითევი შევიტყაპუნო. თუ მე ამაში გამამტყუნოს ვინმემ არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიის შემდეგ, ჩემი კისერი და შენი ხმალი.

ეხლა სწორედ გითხრა, არ ვიცი, — რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მირბის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ“ — ბ-ნი გომართელი, თუ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს კი ვიცი, რომ ეს მეოცე სუკუნე ჩვენ, ქართველებს, კარგს ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებადა: ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვევლინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგი — ჯორჯაძე.

[1902]

47. არაპატარა საუბარი

ღმერთმა ყოველი რჯულიანი და ურჯულო იხსნას იმ საცოდავობისაგან, რაშიაც ამ ახლო ხანში თავი ამოაყოფინეს ჩვენს პატივცემულს არჩილ ჯორჯაძეს. მე ესე გაბმული და გაბაწრული კაცი ჯერ არ მინახავს. იქნება იმიტომაც, რომ ასე აშკარად გაბმა და გაბაწრვა თავისის თავისა ჯერ არ ნახულა და გაგონილა. ვისაც გრძნობა სიმართლისა მთლად აღმოფხვრილი არა აქვს, იგი დამეთანხმება, რომ ეს უშიშარი და უწუნარი მეომარი ვითომდა „ახალის“ მიმართულებისა, დაიჭირეს აშკარა გეშით ხელში იმისთანა საქმეში, რომლის გამართლება და გათეთრება არამც თუ შესაძლებელია, არამედ სირცხვილია და სათაკილო და ვერა კაცი ვერ იკადრებს უიმისოდ, რომ სირცხვილის ალმური არ აუვიდეს სახეზე.

ამაზე უარესი საცოდავობაღა გნებავთ, კაცს პირში წაუყენონ შეურყეველი საბუთი, რომ სხვისა დაგიჩემებია, სხვისა დაგისაკუთრებია, გამოგიტანია და შენად ასაღებო. ხომ ესეა, გარნა ბ-ნს ჯორჯაძეს ყოველივე ეს აინუნშიაც არ მოსდის. ამისთანა საქციელში დაიჭირეს და იგი წარბსაც არ იხრის, ვითომდა აქ არაფერია, ვითომდა საყვედურს ეუბნებიან, რატომ გუშინ სადილად არ მობძანდი, რო დაგვპირდიო.

ამას კიდევ ვინა სჩივის? თავსაც ჰმართლულობს და თითქმის თავიც მოსწონს, რომ ეს ამისთანა საქციელი ჩაუდენია.

„მეო, ამბობს იგი, — სასირცხვილოდ არ მიმაჩნია წიგნების (თუნდაც ლექსიკონების) წაკითხვა, ამ წიგნებიდამ საჭირო ცნობების ამოკრეფა და წიგნებით ხელთმძღვანელობა*... ‚ბროკჰაუზის ლექსიკონისთანა წიგნებიც იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილი ცნობებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლებოდეს“. (იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1731).

ერთი დაუკვირდით ამ ამოწერილს სიტყვებს ბ-ნ ჯორჯაძისას და მიბძანეთ, — ეს თავისის თავის გამართლებაა, თუ უილაჯობის, უღონობის, უძლურობის კნავილია. კაცს ეუბნებიან, ეს სხვისი აზრი, სხვისი ნათქვამი რომ დაგიჩემებია და შენად ასაღებ, ამისას რას გვეუბნებიო. ის კი მოჰყოლია და იძახის: მე სირცხვილად არ მიმაჩნია წიგნების წაკითხვაო. გაგონილა ასეთი ბანზე სიტყვის აგდება! გაგონილა, ასეთი მოულოდნელი და უცები მალაყი.

აქაო და ბროკჰაუზის ლექსიკონი იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილ ცნობებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლებაო, განა აქედგან ის გამოდის, რომ იქ შეგროვილი და მოთხრობილი თეორია, მაგალითებრ, დარვინისა, ან აღმონაჩენნი ედისონისანი თქვენ დაიჩემოთ სიტყვა-სიტყვით, დაისაკუთროთ და თქვენად გამოაქვეყნოთ? გაგონილა ასე სასაცილოდ აგდება ქვეყნისა! კაცს ქვეყანა ხომ უჭკუოდ და უტვინოდ უნდა ეგულებოდეს, რომ იფიქროს — ამისთანა მალაყებით მოვატყუებ და თავს დავიძვრენო.

კიდევ ვიტყვი: შეურყეველი საბუთი წაუყენეს პირში იმისა, რომ სხვისი ნააზრი, სხვისი ნაფიქრი, სხვისის ჭკუა-გონების გამონაძიები და ნაამაგარი სიტყვა-სიტყვით გადმოსწერა და როგორც თვისი კუთვნილი საკუთრება საჯაროდ გამოაქვეყნა, უკდემოდ, მოურიდებლად თავისად გაასაღა და მით ქვეყანა მოატყუა, — აი, მოდი ნახეთ, რა ბრძენი და ნასწავლი ვარო. კაცს ეუბნებიან, რად იკადრეთ ამისთანა უკადრისი საქციელიო და ის კი მოჰყოლია,

* განა სხვას ვის მიაჩნია. განა მაგაში გამტყუნებენ თქვენ?

— ლექსიკონი იმისთანა წიგნია, საიდამაც იქ შეგროვილი ცნობებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლებაო. ცნობით სარგებლობა, ანუ უკედ ვთქვათ, ცნობის გამოყენება და სხვისის აზრის მალვით დაჩემება სულ სხვადასხვა საგანია და შუა უზისთ დიდი ზღვარი. ამას იქით, ქრესტომატიიდამ ამოიღეთ ერთი რომელიმე პუშკინისა ან ლერმონტოვის ლექსი და თქვენის სახელით გამოაქვეყნეთ და როცა დაგიჭერენ, სთქვით: ქრისტომატია იმისთანა წიგნია, რომ იქ მოქცეულ ლექსებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლება-თქო. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ამისთანა ლათაიებით პირუთვნელ სამართალს ხელიდამ გამოუსხლტეთ, როცა სხვისას იჩემებთ!

გაზეთმა სხვა გაზეთიდამ რომ რაიმე ცნობა ამოიღოს და არ მოიხსენიოს, საიდამ არის ამოღებული, — ესეც კი საკიცხავ საქციელად არის მიჩნეული ლიტერატურაში და შინაურობაშიაც კი სირცხვილად არის მიღებული, სხვისი ნათქვამი კაცმა თავისად გაიხადოს და თავისად გამოიყენოს და აქ კი ბ-ნმა ჯორჯაძემ მთელ-მთელი სხვისი ნააზრი, ნაფიქრი, სხვისი ნაძიები მალვით ჩაიჯიბა, სხვისაობა დაუმალა ქვეყანას და თავისად გაასაღა და მაინც სცდილობს თავის გამართლებასა და გვარწმუნებს კიდეც, — ასე ჯერ არსო. ესეც თქვენი „ახალი“ მიმართულება! ესეც თქვენი „ახალი“ წესი.

თუმცა ამისთანა ჯორჯაძისებური „ახალი“ მიმართულება გულს გვიხეთქს ჩვენ, „რეაქციონერებს“, მაგრამ მაინც ღმერთმა უშველოს ისევ ჩვენს არჩილ ჯორჯაძეს: ნუგეშსაც იგივე იძლევა: ამ ვაჟბატონს „ახალთ-ახალს“ სიბრძნეს რომ დავუჯეროთ, მისებურის „ახალ“ მიმართულების ბატონობას მალე უნდა მოეღოს ბოლო. ბ-ნი ჯორჯაძე ხომ ძალიანა სცდილობს თავის გამართლებას, როგორც ვნახეთ, ხოლო ეს თავის გამართლების ცდა ძალიან ცუდი ნიშანია თურმე რისიმე ან ვისიმე დღეგრძელობისათვის. აი, თუ ეს ტყუილია, სიბრძნითა აღემართენით და ისმინეთ შემდეგი მეცნიერება არჩილ ჯორჯაძისა:

„ ძველი (?) წესის ბატონობას (აზრთა სამეფოში მაინც) მაშინ ეღება ბოლო, როცა იგი თავის გამართლებას სცდილობს(!!!), როდესაც იგი აღარა ჰმალავს თავის(ს) შიშს, რომ ყოველი ახლადწარმოშობილი სამშობლოს დასაღუპავად არის მოვლენილი“. (იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1720).

რადგანაც ეს მეორე „როდესაც“ ისე უხდება პირველს და ერთობ მთელს ამ ტირადას, როგორც კამეჩს რახტი, ჩვენ ამას არ გამოვეკიდებით, ჩვენ მარტო ის შევნიშნოთ, რომ ძველის წესის ბატონობას მაშინ ეღება ბოლო, როცა სცდილობს თავისის თავის გამართლებას. აი, სიბრძნის ბოღაზი, მეცნიერების მადანი სად არის! აბა, თუ ერთი ძველი კაცი იტყოდა ამისთანას... ამისთანას... ამისთანას... ეჰ, სიბრძნეს, სხვა უკეთესი რომ არა ვთქვათ-რა!.. ვინ მიაშავა იმათ ამოდენა შნო და უნარი!

გამოდის, რომ ძველი წესი თავის თავს უნდა ამტყუნებდეს, თუ უნდა მის ბატონობას ბოლო არ მოეღოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ესა ვკითხოთ ბ-ნ ჯორჯაძეს: თუ ძველის წესის ბატონობას მაშინ ეღება ბოლო, როცა თავისის თავის გამართელებას სცდილობს, თქვენ მოწონებულს და ქადებულს „ახალს“ წესს რაღა ემართება მაგისთანავე შემთხვევაში? ვამბობთ მაგისთანავე შემთხვევაში. იმიტომ, რომ არარაა ქვეყნიერობაზე გაბატონებული უიმისოდ, რომ არ ცდილიყო თავისი თავი გაემართლებინა. ნუთუ არჩილ ჯორჯაძეს ჯერ იმ უბრალო ცოდნამდე არ მიუღწევია, რომ კაცთა შორის არც ერთი აზრი, არც ერთი მოძღვრება, არც ერთი წესი, არც ერთი ჭეშმარიტება, არც ერთი დარგი მეცნიერებისა ისე არ გაბატონებულა, რომ დიდ ხანს არ ცდილიყო თავისი თავი ემართლებინა. მაშ, ყველას ამას ბოლო მოჰღებია და ეშმაკებში გადაკარგულა ბ-ნ ჯორჯაძის მანქანებით, მაშ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარქსსა და ენგელსს დიდი ხანია ბოლო მოღებული ჰქონიათ, რომ მთელი ორმოცი და მეტი წელიწადი ოფლს იწურავდნენ იმის

ცდაში, რომ თავისი აზრები და მოძღვრებანი გაამართლონ.

ჰაა!.. არამც და არამც არსად წამოგცდეთ, თორემ „კვალი“ რეტროგრადებში ამოგაყოფინებთ თავს და ამაზე უარესი უბედურობა ხომ თქვენთვის ღმერთს არ გაუჩენია.

ნუთუ მართლა ეს ცდა თავისის თავის გამართლებისა ბოლომოღების ნიშანია? თუ ესეა, მაშ თვით ბ-ნ ჯორჯაძესაც და მისებრ „ახალს“ მიმართულებასაც ბოლო მოჰღებია, რადგანაც რაც წერა დაიწყო, მას აქეთ სულ იმის ცდაშია, თავი იმართლოს და გაამართლოს მისებური „ახალი“ მიმართულება. აი, დღესაც ბ-ნი ჯორჯაძე გაბოროტებული სცდილობს თავისის თავის გამართლებას იმაში, რომ სხვისი აზრები, სხვისი სიტყვებიც კი ჩუმად და მალვით ჩაიჯიბა და თავისად გამოგვიფინა და ნუთუ მართლა ეს ცდა იმისი ნიშანია, რომ მისს თავმოწონებულს ფარფაშობას ბოლო ეღება. ეს ჩვენ კი არა გვჯერა და თვითონ კი არ ძალუძს თავისსავე განაჩენს არ დაემორჩილოს.

ამ საოცარს „ახალს“ სიბრძნეს არა ჰკმარობს თავისს სასახელოდ ჩვენი პატივცემული და გულადი პროგრესისტი და ნაციონალ-დემოკრატი. არ გვეშვება და ჰსურს უფრო უცნაურის „ახლით“ გააკვირვოს ქვეყანა, თითქო დანაძლევებულიაო, — აბა ვინ იტყვის ჩემზე უფრო მეტს უცნაურსა. აბა ყური ათხოვეთ!

„რეაქციის“ მომხრენი რაც უფრო გულმოდგინეთ, მხნედ და აჩქარებით (?) სცდილობენ თავიანთ თავის, თავიანთ რწმენის და აზრების გამართლებას[1], იმდენად მეტი შიში და საფრთხე მოელით მათ[2], რადგანაც „ძველის წესის“ გულმოდგინება და მხნეობა ძალდატანებითი ხასიათისაა[3], ხოლო აჩქარება ამ წესის სულთაბრძოლაა[4].

---

[1] რა ლოღიკით ბრძანებთ ამას?

[2] რადა, ბატონო? საიდამ გამოგყავთ ეს უცნაური დასკვნა?

[3] ახ, ღმერთო ჩემო, ამას რომ ბძანებთ, გულთმისნობით ბძანებთ, თუ ისე ჰფქვავთ, იმიტომ რომ წისქვილია მოშლილი.

[4] იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1720.

თუ ამისთანა ღავღავს და ყელში ხრიალს ქარაფშუტა სიტყვებისას რაიმე ფასი აქვს, თანასწორის სიმართლით და საბუთით ჩვენც შეგვიძლიან ვთქვათ:

„არჩილ ჯორჯაძე რაც უფრო გულმოდგინედ, მხნედ და აჩქარებით სცდილობს თავისის თავის, თავისის რწმენის და აზრების გამართლებას, იმდენად მეტი შიში და საფრთხე მოელის, რადგანაც მისი გულმოდგინება და მხნეობა ძალდატანებითი ხასიათისაა, ხოლო აჩქარება მისი სულთაბრძოლაა“.

აბა ერთი მიბრძანეთ, — ეს არჩილ ჯორჯაძეზე ნათქვამი რით ჩამოუვარდება საბუთიანობაში „რეაქციის“ მომხრეებზე თქმულს? თუნდ ესეც იქით იყოს. აბა ერთი შრომა მოიღეთ და არჩილ ჯორჯაძის თქმულში „რეაქციის“ და „ძველი წესის“ ნაცვლად სხვა რამ ჩააკერეთ და თუ მთელი იგი თქმული ყველას ერთნაირად და თანასწორად არ გამოადგეს, ხელი მომჭერით.

აი, ამაზე ითქმის: ქარო, არც შენი მოტანილი მინდა, არც შენი გატანილიო. აბა, რა სათქმელია, ერთისა რისამე აღსანიშნავად ის, რაც ერთნაირად და თანასწორად ითქმის ყველაზე და ყველაფერზე!.. განა აშკარა არ არის, რომ მთელი ეს ცუღლუტობა და უარარაობა არჩილ ჯორჯაძის სიტყვებისა ცარიელი ტრიალია პირში ენისა და სხვა არაფერი.

თუმცა ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ ბოლო მოუღო „ძველ წესს“, მაგრამ მეტი არ იქნებოდა, რომ ამ სახელოვანს მედროშეს „ახალის“ მიმართულებისას „ძველი წესისა“ ერთი მუხლი დაესწავლა, სახელდობრ, იგი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ჭკვიანი კაცი, საქმიანი კაცი ჯერ კარგად იფიქრებს და მერე იტყვისო. მართალია, ძნელი საფიქრებელია, რომ არჩილ ჯორჯაძემ არ ითაკილოს და „ძველის წესისაგან“ რაიმე ისწავლოს. ხუმრობაა! ეს ხომ „ახალის“ მიმართულების გმობა და ღალატი იქნება. ესეც კია, რომ თუ ბროკჰაუზის ლექსიკონიდამ მალვით იმოდენა ამოკრიფა და თავი ისე სასახელოდ

იმართლა, ამ ერთი ბეწო მუხლის აწაპვნას მალვითვე
როგორ ვერ მოახერხებს ისე, რომ არავინ შეუტყოს.
[1902]

48. ავტობიოგრაფია

დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს სოფელ ყვარელში. ყვარელი თელავის მაზრის სოფელია, ტფილისის გუბერნიისა და მთლად ადგილს, სიღნაღის მაზრასთან ერთად, კახეთი ეწოდება სახელად. მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით.

სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან — ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული სამღვთო წიგნების კარგად მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო სამღვთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და

სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული“ — თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა.

მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს.

მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმცა რაევსკისა და ჰაკკეს პანსიონში. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო.

15 წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი; მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავი. პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიტგარტმა თავის შვილების აღსაზრდელად. ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ,

იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკით და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა.

გავათავე მერვე კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი აღარ დავიჭირე და 1857 წელს პატერბურგის უნივერსიტეტში შევედი იურიდიულ ფაკულტეტის მაშინდელ კამერალურს განყოფილებაზედ.

1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით.

1863 წელს დავაფუძნე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სულ ერთს წელიწადს იცოცხლა. ამავე 1863 წელს შევირთე ცოლად ოლგა თავად თადეოზ გურამიშვილის ასული.

1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

იმავე წლის ნოემბერში ბატონყმობა გადავარდა ამერეთში და მე დანიშნული ვიქმენ მომრიგებელ შუაკაცად დუშეთს. მომრიგებელ შუაკაცად დავყავ იქ 1868 წლამდე; ხოლო ამ წელს შემოიღეს სასამართლოს რეფორმა კავკასიაში და მე მომანდეს ასრულება მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისა დუშეთსავე. მომრიგებელ მოსამართლედ ვიყავ 1874 წლამდე.

აქ მეტი არ იქნება ვსთქვა, რომ ამერეთის თავადაზნაურობამ ნაწილი გლეხთა განთავისუფლებისათვის ნაბოძები ფულისა გადასდო ისეთი ბანკის დასაარსებლად, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად; უფრო კი ისეთის ბანკისა, რომლის მოგება მოჰხმარდებოდა განსაკუთვრებით თავად-აზნაურების შვილთა აღზრდა-განათლებას.

ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთო, თავადაზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად. წესდება, შედგენილი მთავრობის მიერ სახელმძღვანელოდ ნაჩვენებ წესდებათა ნიმუშების მიხედვით, თავადაზნაურობამ მოიწონა იმავე 1874 წელს. მისი ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წასდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.

ამავე 1874 წელს თავადაზნაურობამ დამავალა წავსულიყავი პეტერბურგს და გამომეთხოვნა დამტკიცება მის მიერ მოწყობილის წესდებისა. მეც ამ საქმის გულისათვის სახელმწიფო სამსახურს თავი დავანებე და პეტერბურგს წავედი.

წესდება ზემოხსენებულის განსაკუთრებულის თვისებით დაამტკიცა მთავრობამ 1875 წელს. ამ წლიდან დაიწყო ბანკმა მოქმედება და, თუმცა ძირის თანხად ჰქონდა 240.000 მან., დღეს იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ყოველწლივ 360.000 მანეთზედ მეტს მოგებას იძლევა. თან ძირის თანხაც, თავადაზნაურთაგან შემოტანილი ბანკის დასაფუძნებლად, უკვე უკან დაუბრუნდა თითოეულს დამფუძნებელს წევრს.

ამჟამად ბანკის მოგებით ინახება ერთი კერძო გიმნაზია და, თუმცა გიმნაზიაში პანსიონიც არის

უღარიბეს თავად-აზნაურთა შვილებისათვის, მაინც ამ სკოლაში ყველა წოდების ბავშვები სწვლობენ. ამას გარდა ამ მოგებით ინახება ერთი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც იღებენ აგრეთვე ბავშვებს წოდების განურჩევლად.

ბანკის დაარსებიდან დღემდე გამგეობის თავმჯდომარედ ვიმყოფები. ეს თანამდებობა არჩევანით არის და არჩევანი ყოველს სამს წელიწადში ერთხელ სწარმოებს.

1877 წელს დავაარსე ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც შემდეგ ყოველთვიურ ჟურნალად იქმნა გადაკეთებული, ხოლო 1885 წლიდან* ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად. 1902 წელს გაზეთი სხვას გადავეცი და იმის რედაქტორობით გამოდის დღესაც.

ჩემ თხზულებათა შორის რუსულად ითარგმნა სხვადასხვისაგან რამდენიმე წვრილი ლექსი და ერთი პოემა „განდეგილი“ სთარგმნა ბ-ნმა ტხორჟევსკიმ. რუსული თარგმანი ჩემის ლექსებისა ზოგი ჩართულ იქმნა ცალკე კრებულში, რომელიც ტფილისში დაიბეჭდა, ნაწილი კიდევ იბეჭდებოდა „Русская Мысль“-ში, „Живописное Обозрение“-ში და აღარ მახსოვს კიდევ რომელღაშიაც.

ჩემი პოემა განდეგილი გადათარგმნილია ინგლისურადაც M. Wordrop-ის მიერ და პროზად ფრანგულს ენაზედ. გერმანულად ნათარგმნი რამდენიმე ჩემი წვრილი ლექსი ჩართულ იქმნა იმ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა პირველად 1886 წელს ლეიცფიგს. სთარგმნა ის ლექსები არტურ ლეისტმა. კრებულს სათაურად ჰქონდა „Georgische Dichter“. მეორედ ეს კრებული დაიბეჭდა 1900 წელს დრეზდენში. რეცენზიები დაიბეჭდა თავის დროზედ ტფილისის რუსულ გაზეთებში „კავკაზსა“ და „ნოვოე ობოზრენიეში“, ხოლო სატახტო

* 1886 წლიდან გადაკეთდა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად. ეს წვრილმანი გადავიწყებია ავტორს. (შენიშვნა გროგოლ ყიფშიძისა)

ქალაქებისაში, რამდენიმე მახსოვს, „Руская Мысль“-ში, „Живописное Обозрение“-ში და მოსკოვის ერთს გაზეთში, რომლის სახელიც სამწუხაროდ აღარ მახსოვს. საზღვარგარეთ-კი რეცენზიები დაიბეჭდა რამდენიმე გერმანულს გაზეთში და სხვათა შორის „Literarisches Echo“-ში 1898 წელს და „ასადეტუ“-ში, აგრეთვე იტალიური ჟურნალ „Nuova Anthologia“, VI, 1900 წელს. განხილვა ჩემის საზოგადოებრივისა და სალიტერატურო მოღვაწეობისა დაბეჭდილი იყო ფრანგულ „Caucase Illustre“-ში 1902 წელს.

1887 წელს ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა. ვიყავი აგრეთვე არჩეული ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მეჭირა 1881 წლამდე. 1886 წლიდან დღემდე ვიმყოფები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამვრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარედ. ვიყავი აგრეთვე სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის წევრად. ვიღებდი მონაწილეობას ხან მოწვევით, ხან არჩევით, თითქმის ყოველს კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენის მეურნეობისა და სხვა საჭიროებათა საგნებსა.

ჩემი სალიტერატურო მუშაობა დაიწყო 1857 წლიდან, როცა „ცისკარში“ მივეცი დასაბეჭდად რამდენიმე წვრილი ლექსი. ხოლო შემდეგ ჩემი თხზულებანი იბეჭდებოდა „დროებაში“, „კრებულში“, ჩემ მიერ დაარსებულ „საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“, აგრეთვე ჟურნალ „მოამბეში“.

წვრილ ლექსებს გარდა დავწერე რამდენიმე პოემა, სახელდობრ: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“ და დრამატიული ეპიზოდი „დედა და შვილი“. მოთხრობათა შორის შემიძლია დავასახელო 1. „კაცია-ადამიანი?!“, დაბეჭდილი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ და

შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემული პეტერბურგში ქართველ სტუდენტებისაგან; 2. „გლახის ნაამბობი“, იქვე და იმავე წელს დაბეჭდილი; 3. „სცენები გლეხთა განთავისუფლების პირველი დროისა“, დაბეჭდილი 1865 წელს „კრებულში“ და მერე ცალკე წიგნად; 4. „მგზავრის წერილები“, დაბეჭდილი 1874 წელს „კრებულშივე“; 5. „ოთარაანთ ქვრივი“, 1886 წელს; 6. „უცნაური ამბავი“ –„მოამბეში“; 7. „საშობაო მოთხრობა“; 8. „სახრჩობელაზედ“ – „ივერიაში“ და სხვ.

ვთარგმნე ლექსები პუშკინისა („წინასწარმეტყველი“), ლერმონტოვისა („წინასწარმეტყველი“, „ჰაჯი აბრეკი“ და „მწირი“), და ტურგენევისა „ლექსი პროზითა“, აგრეთვე რამდენიმე ლექსი ჰეინესი და გიოტესი. გადავთარგმნე აგრეთვე თ. ივანე მაჩაბელთან ერთად „მეფე ლირი“ შექსპირისა. ვიღებდი მონაწილეობას ცნობილ ქართულ პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენელ კომისიაში, აგრეთვე შემდეგთა თხზულებათა რედაქტორობასა და გამოცემაში: „ლექსნი“ ალ. ჭავჭავაძისა; „ლექსნი“ ვ. ორბელიანისა, ამ ლექსებს დართული აქვს ჩემი წინასიტყვაობა; ძველებური ქართული მოთხრობა „ვისრამიანი“.

ამას გარდა ბევრი წვრილი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საპედაგოგიო საგნების შესახებ. უფრო მოზრდილ საპუბლიცისტო წერილებს შორის შეიძლება დავასახელოთ „ხიზნების საქმე“, „ცხოვრება და კანონი“ და „ყაჩაღობა ამიერკავკასიაში“. საკრიტიკო და საპოლემიკო წერილებს ეკუთვნის სხვათა შორის აგრეთვე გაზეთ ივერიაში ფელეტონებად დაბეჭდილი „აი ისტორია“ და „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ეს უკანასკნელი წერილი ამას წინათ დაიბეჭდა რუსულად და დიდი ალიაქოთი ასტეხა სომხურ მწერლობაში.

ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ბეჭდვა ჩემის ნაწერებისა და დაბეჭდა მხოლოდ 4 ტომი. ვარაუდით კი ათი-თორმეტი ტომი უნდა დაებეჭდა. დაბეჭდილ 4 ტომში მოჰყვა ლექსები, მოთხრობანი, ამბები და სცენები.

[1902-1903]

49. <სიტყვა წარმოთქმული სოხუმში>

იგი პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვენით, მეტისმეტია და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, რომელიც მცირეოდენ ღვაწლსაც კი დიდად აფასებს ხოლმე. მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემთავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებულ პატივისცემისათვის და ღმერთსა ვსთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა ამ საშინელ განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღესაც აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი, იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქმნება მადლობელნიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან, ღმერთმა ნუ ჰქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა

სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონებლად.

[1903]

50. წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გუშინდელს „ივერიაში“ (№20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე და, სწორედ მოგახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი. ბევრს სხვას რომ არ გამოვუდგე, საკმაოდ ვრაცხ მარტო ორი მაგალითი მოვიყვანო, რომელთა შორის ერთი ისეა გადმოცემული, რომ მისი გამგონი ან გიჟებში ჩამთვლის, ან მტკნარ სულელობაში ჩამომართმევს. აი ეს მაგალითი; თქვენი გაზეთი იუწყება, ვითომც მე მეთქვას: „სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის პირას...“ „თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავადაზნაურობას, ეს ადგილები და აქ რაცა გვაქვს, გლეხკაცს მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო“(?!)

ღმერთი-რჯული, — ჯერ ჭკუიდამ არ შევმცდარვარ, რომ პრტყელი და ყოვლად უმსგავსო სულელობა გამომეთქვა. მე ეგ კი არა ვთქვი, მე ეს მოვახსენე კრებას: მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული მიწა-წყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა, მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხს თავისი ადგილებიდამ ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიერო მიიღოს ხაზინის მამულებში; ისიც შესაძლოა, — იმისთანა გლეხკაცნი გამოჩნდნენ, რომ თვით მოინდომონ ჩვენის ქვეყნის სახაზინო მამულებში გადასახლება და დაბინავება, ოღონდ-კი საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უწევენ,

როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ. აი ჩემი აზრი.

თქვენც თვითონ, ბატონო რედაქტორო, მიხვდებით, — რომ ეს ჩემი აზრი და თქვენის გაზეთის მიერ გადმოცემული, ერთი და იგივე არ არის და „შუა უზის დიდი ზღვარი“.

აი მეორე მაგალითიც, საცა ჩემი ნათქვამი აზრი თუმცა უმსგავსოდ გადასხვაფერებული არ არის ზემოხსენებულისამებრ, მაგრამ ისე შეკვეცილია და ბოლომოგლეჯილი, რომ თავისი ფერი აღარ შერჩენია. თქვენი გაზეთი იუწყება, — ვითომც მე ბოლოს მეთქვას: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომლებიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა, ჩვენის ქვეყნისათვის), აქვე ადგილობრივ იწერებოდესო”.

სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში უნდა იწერებოდეს ჩ ვ ე ნ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ი ე რ ა რ ჩ ე უ ლ წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ“. აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძოთ გაგიბედოთ და ერთი სარჩიელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ.

9 მარტი, 1905 წ.

51. წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ჟურნალ „მოგზაურში“ (1905 წ., № 13) დაბეჭდილია წერილი, რომელსაც სათაურადა აქვს: „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“.

ამ წერილის ავტორს სხვათა შორის მე ვყევარ ამოღებული ნიშანში იმ მხრით, ვითომც მე სამარცხვინო გულქვაობით და საზიზღარ ავკაცობით ვექცეოდე საგურამოში მცხოვრებ გლეხკაცობას.

ბატონი ავტორი თავისს სახელსა და გვარს ჰმალავს და ამოჰფარვია ორ ასოს: „ვ. ნ.“. მე არ ვიცი, — ვინ არის ავტორი და არც მინდა ვიცოდე, რადგანაც „ნაყოფი ხისგან და ხე ნაყოფისაგან საცნაურ არს“, ხოლო სახელისა და გვარის დამალვა იმისთანა საქმეში, საცა კაცი კაცს სამარცხვინო საქციელს, ავკაცობას, ავზნეობას სწამებს, საცა ჩირქსა სცხებს ადამიანის პატიოსნებას, სინიდისს, ადამიანურ ღირსებას, ერთის სიტყვით, ყოველვ იმას, რაც ადამიანის უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს, ვერაფერი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაა და ქურდულად, უკანიდამ მიპარვით ისრის ტყორცნასა გავს.

თუმცა ასეა, ბატონო რედაქტორო, მინამ მე ავტორის გამტყუვნებისათვის ვრცელს დასაბუთებულს წერილს მოგართმევდე „ივერიაში“ დასაბეჭდად, ღონისძიება მომცეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო ჩემთა კეთილმყოფელთა სანუგეშოდ, რომ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ

„მოგზაურში“ თავიდამ ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვადასხვა ელფერით შელებილი.

ამისი უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოკითხვა და შემოწმება სჭირია და ამას დრო უნდა.

დასასრულ, ვალად ვრაცხ ჩემს თავს, უგულითადესი მადლობა მოგახსენოთ, რომ არ დაგიჯერიათ იგი ამბები, რასაც ხსენებული ავტორი „მოგზაურის“ შემწეობით ჩემდა შესარცხვენად ჰღაღადებს. იმედი მაქვს თავისს დროზე დაგანახოთ, რომ თქვენს გულის თქმას და თქვენს წინადგრძნობას ამ შემთხვევაში თქვენთვის არ უღალატნია და პრესსა ადამიანის სათელავად არ გაგიხდიათ განუკითხველად. პრესსის უზენაესი და უწმიდესი დანიშნულება იქნება იმოდენად მხილება არ იყოს დამნაშავისა, რამოდენადაც მფარველობა და სარჩელია უდანაშაულოსი.

15 აპრილი, 1905 წ.

52. ნ უ თ უ?

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა)

I

„ივერიის“ მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ „მოგზაურში“ (№13) დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელსაც თუმცა სათაურად ჰქონდა „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, მაგრამ უფრო მე ვყავდი ნიშანში ამოღებული და ჩემი ადამიანური ღირსება.

ავტორი „მოგზაურის“ შემწეობით მე მაბრალებს, — ვითომც მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავზნეობით ვეპყრობოდე საგურამოს გლეხკაცობას და ამისათვის ერთმანეთზე ცოტად თუ ბევრად შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქო მართალია, და ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო.

ეს კორესპონდენცია გადმობეჭდილ იქმნა „ივერიაში“ (№54) ამ დაბოლოვებით: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო“.

თუმცა ის ამბავი, რომ „ივერიამ“ ეს კორესპონდენცია მთლად გადმობეჭდა და იმით ხელი მოუმართა ავტორს, გაევრცელებინა საძაგელი მოთხრობა, თავისთავადაც ასე თუ ისე იკბინება, მაგრამ მე მაინც მადლობელი დავურჩი „ივერიის“ რედაქციას. რაც გინდ იყოს, ზემოაღნიშნული დოსტალუღი პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა, ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმალულ კორესპოდენტის ფეხის ხმას იქ, საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასესს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს.

მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისის თავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინიდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.

ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს.

ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად.

ბევრი კაცი, და იქნება იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ ხელშეუხებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ, ლაფში ამოსვაროს თავიდამ ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, — ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიშარი კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის. ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით.

ეს ხომ თავისუფლება კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით.

ნუთუ დღეს ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხვივმოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით.

ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია მით, რომ პრესისგან უსამართლოდ და უსაბუთოთ შებღალვილს ღონისძიება აქვს თავი იმართლოს ბეჭდვითვეო. ბევრს ეს პრესის მეტზე-მეტის პატივისცემით მოსდის და არა იმისათვის, რომ

ამისთანა უკადრისი საქციელი პრესისა არ ეხამუშებოდეს. ეხამუშება, სწყინს კიდეც, მაგრამ არ უნდა, რომ იმისთანა მზეს, როგორიც დღეს პრესაა, ლაქები რამ ჰქონდეს და არ გაუქარწყლოს.

მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა და ერთს დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავ მისი, მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი-კი არას დროს ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარამარად ბღავჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა.

პრესას, რომლის სამფლობელო მართალი და ჭეშმარიტებაა და რომელიც მარტო ამ ორთა წიაღში უნდა აბრიალებდეს და ამოქმედებდეს უკეთესთა ადამიანთა ჭკუაგონებას და უმაღლეს სულთა-სწრაფვას კაცობრიობისას გზას უკაფავდეს, განა ეპატიება უსამართლოდ გაბიაბრუება ადამიანისა მარტო იმ საზრისით, რომ, თუ აქ კაცი კაცს უსაფუძვლოდ ერჩის, იმედია, გაბიაბრუებული უსაბუთობას რჩოლისას დაგვიმტკიცებსო.

კიდევ ვიტყვი, რომ პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხისსაგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სიმართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება.

ეს ყველაზე უწინარეს პრესამ, ვით სალარომ ადამიანის ჭკუა-გონებისამ, უნდა იცოდეს და

თვითოეულს გაზეთს თუ ჟურნალს თავის დროშაზე დიდის ასოებით ეწეროს. ეს უნდა აუცილებლად კისრად იდოს პრესამ, ამას უნდა აქეთ-იქით გადაუხვევლად ემსახურებოდეს. ამას უნდა თავგამოდებით და უკანდაუხევლად სდევნიდეს თითონ იგი ნაწილი პრესისა, რომელსაც ძირს არ დაუშვია ყოვლად პატიოსანი დროშა ბეჭდურის სიტყვისა. დიაღ, თვით პრესამ უნდა თავი გამოიდოს ამ შემთხვევაში, თუ სადმე მართლა ფეხადგმულია ცნობიერება და ჭკუასა და გონებას თავის ადგილი უჭირავს. თორემ აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან და მაშინ ძაღლიც ვეღარ იცნობს პატრონსა: ერთი-ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-ერთმანეთს დავჭამთ, მაშინ ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის.

ნუთუ ეს სასურველია პრესისათვის, რომლის ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფლობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას.

მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა

აქედამ ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ეგენიც გაუჩენია სამართლიანად თუ უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის კალმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერისით, როგორიც დღეს „მოგზაურის“ რედაქციას ქვეყნის სასაცილოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდამ წაიშალოს!

მართალია, თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა. მაგრამ თავადს, აზნაურს, თვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს, — წიხლი არა ჰკრას, ან მისს ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაროს. ზოგიერთს ასე ჰგონია, რომ, თუ ესე არ მოიქცა, რეტროგრადობას დასწამებენ და ლიბერალობით თავს ვეღარ მოიწონებს, რადგანაც ჭეშმარიტის ლიბერალობისა არა გაეგება რა და მთელი მისი ლიბერალობა ამაზეა ჩამომხდარი და ამაზე შორს აღარ წასულა. ოღონდ წიხლი კი უთავაზოს, თავადია თუ აზნაური, და მიზეზს აღარავინ იკითხავს: ლიბერალობის გვირგვინი მზად არის. დიაღ, იყო ერთს დროს ამისთანა მიმართულება რუსეთში, მაგრამ დიდი ხანია ამ მიმართულების სუფრა ალაგდა და ჩვენი ლიბერალები დღევანდლამდე მის ნასუფრალით იკვებებიან, თითქო მას დღეს აქეთ თვალთახედვამ ადამინისამ არ გაიწ-გამოიწია და უფრო დიდს მანძილს არ გადასწვდა ადამიანის ჭკუა და გონება.

თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვეო, ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელია ასასრულებლად. მაგალითებრ, განა არ შემიძლიან დავწერო და დასაბეჭდად წავიღო, რომ ერთმა გლეხმა მიამბო, რომ ვითომც რედაქტორი „მოგზაურისა“ ერთს ვიღაცის სახლში შესულა, ერთი მანეთი მოუპარავს და გაპარულა.

ნუთუ ეს ყოვლად უსაბუთო, ყოვლად უნუგეშო ბრალდება უნდა დაბეჭდოს ამ გაზეთმა, ან ჟურნალმა იმ იმედით, რომ თუ ეს ამბავი ტყუილია, ბრალდებული ამ ტყუილს დაამტკიცებსო.

განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით? სად არის გეში, სად არის საბუთი, რომ კაცმა ან ასე გახიოს, ან ისე გაფხრიწოს? აქ ცარიელ უარყოფის მეტი ხომ სხვა გზა და ღონე არ არის. რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში?

ან ვისა აქვს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლა და უფლება, იგი ყოვლად შეუწყნარებელი და ადამიანობის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხის საგებლად მოედანზედ გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველ შეხედვით საბუთი — საბუთს ჰგვანდეს და არა ტყუილების გუდას.

იქნება ყოველივე ეს, რაც ზემოთ ვთქვი, ჩვენის კორესპონდენტისათვის მგლის თავზე სახარების წაკითხვაც იყოს. მე ამ ვაჟბატონის დარდი არა მაქვს, რაკი ვიცი, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. საქმე ის არის, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს, — პრესას რა ცეცხლში შეუძლიან ტყუილად დასწოს და დაჰბუგოს, ზნეობრივად სტანჯოს და აწამოს ადამიანი, თუ თავისს წმინდა დანიშნულებას უღალატა და ადამიანის ღირსების პირქვე დასამხობლად, ადამიანის სახელის გასატეხად საბუთად მარტო ის იხმარა, დიაღ, მარტო ის, კორესპონდენტი სწერს, ასე მიამბესო.

სწორედ ამგვარად მომექცა ჩემზე ასე ძლიერ გაბოროტებული ავტორი: სამარცხვინო საქციელები დამწამა და საბუთად მარტო ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში — მეორემაო, ზოგან თავისიც მოაჭორა და ცალიერის

სიტყვის მეტი სხვა არა გვანიშნა რა. მართლა უამბო თუ არა ან ერთმა, ან მეორე გლეხმა, — ეგ მაღლა ღმერთმა იცოდეს და დაბლა თვითონ ავტორის სინიდისმა. ხოლო ნუთუ მბობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე, საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას.

განა გლეხკაცის ნაამბობს კი კბილი არ უნდა გაესინჯოს, განა გამოძიება, განკითხვა, შიგ ჩახედვა და შემოწმება არა სჭირია და ისე სახტ-სალამად დასაჯერი და მისაღებია?

ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისეც გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი.

ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის, ყოველივე ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომია და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი. თუ კაცი სინიდისსა და ნამუსზე ხელაღებულია და ვისიმე ჯავრის ამოყრა გულს მოსწოლია, ადვილად მოახერხებს ათქმევინოს თავად-აზნაურს, თუ გლეხს, ავზნეობა და ავკაცობა ერთმანეთისა.

სრულიადაც არ გამიკვირდება, რომ იმავ თავდაუჭერელმა ავტორმა ხვალ არ დამწამოს შარაგზაზე ხალხის ძარცვა და ამის საბუთად ის არ მოიყვანოს, რომ ერთმა გლეხმა ასე მიამბოო, და თუ გაჭირდა, ერთი ვინმე უნამუსო გლეხი, ანუ სხვა წოდების კაცი, პირში არ წამომიყენოს. მოდი აქ და თავი იმართლე, თუ უსაფუძვლობა ამისთანა ბრალისა თქვენზე მოაგდეს დასამტკიცებლად.

ხოლო მე საკუთრივ ღმერთმა მიბრალა და ამ შემთხვევაში ისეთი წინდაუხედავი და საზრისმოკლებული ბრალმდები მომივლინა, რომ ზოგან თვითონვე თავისის ხელით ყელს იჭრის და ზოგან იმისთანა გარემოებას გვანიშნებს, რომლის

ტყუილი და უსაფუძვლობა ადვილად დასამტკიცებელია და დასამოწმებელი თვალთა ხედვით და ხელშეხებით, თუ ასე ითქმის.

დიაღ, ბატონებო, თუმცა ჩემს მხილებელს, ჩემს მბრალმდებელს სურვილი დიდი ჰქონია ჩემთვის სახელი გაეტეხნა და სირცხვილი ეჭმევია, მაგრამ საფანელი დაჰკლებია და ვერ მოუხერხებია იმიტომ, რომ ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია.

იგი იმისთანა ბრალებსა მდებს, რომელთა გაქარწყლება ძალიან ადვილია, თუ კაცი გაირჯება და თვითოეულის ბრალის გარემოებას და ვითარებას ცოტაოდნად მაინც ჩაუკვირდება და ჭკუადასმით და გულმართლად განიკითხავს.

II

იგი სასახელო კორესპონდენცია, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი წერილი, იმით იწყება, რომ საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვსს მარტს თავი მოიყარა და გადასწყვიტა: „ბოიკოტი გამოეცხადოს აქაურ-მემამულეებს — ილია ჭავჭავაძეს, გივი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილსაო“. ამათთვისვე მიუბაძნია ჭოპორტის საზოგადოებასაც და აქ ვის გამოუცხადეს „ბოიკოტობა“, ჩვენი ავტორი, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებს.

რატომ? იქნება სხვა მემამულე აღარ არის საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოებათა წრეში, საცა, ავტორის სიტყვით, 16 სოფელია. არა, ბატონებო, ბევრი სხვანიც არიან და ერთი ამ ჩვენს კეთილსმოფელს ავტორს ვკითხოთ: იმ ბევრს სხვას რაღა დაჰმართეს? იმათ კი გლეხობამ სალამ-ქალამი გაუგზავნა, ძღვენი მიართვა, და მარტო ჩვენ სამი შეგვრისხა?

პირდაპირი ანგარიშია, რომ ავტორი ასე მოქცეულიყო: ბევრს სხვაზე თვალები დაიბრამვა და მარტო ჩვენს სამზე ყურიც აცქვიტა და თვალიც აახილა. ეგ იმიტომ, რომ ამ საქმეში ილია ჭავჭავაძეა,

რომელიც თვალში ეკლადა სჩრია და რომლის ჯავრი გულს მოსწოლია და არ ასვენებს.

საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოებათა წრეში რომ ილია ჭავჭავაძე სულაც არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ავტორს არავითარი ნაღველი არ ექნებოდა არც საგურამოს, არც ჭოპორტის გლეხთა საზოგადოებისა და არავითარი დარდი გლეხისა არ აალაპარაკებდა.

განა მარტო ეს მაკმარა, რომ „ბოიკოტი“ გამოუცხადესო. დღევანდელ დღეს ვის არ შემთხვევია ეგ ამბავი და ამით ჭავჭავაძეს არა წაუხდებოდა რა. რომ უფრო გააძლიეროს ამ „ბოიკოტის“ მნიშვნელობა ჩემდა სამარცხვინოდ, ავტორი დიდის რიხით და პათოსით შემოგვძახის: „ასე გასინჯეთ, ი. ჭავჭავაძეს ჰყავდა (ვაი ჩემს შერცხვენას!) ერთი დედაბერი მექათმედ. იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, — რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო, და კაცი იძულებული იყო ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერიო“.

მართალია, დედაბერიც, როგორც სხვა მოჯამაგირეები, სულ მთლად დაითხოვეს, მაგრამ სხვა ყოველი, ამ ამბავთან ჩართული, ტყუილი და ურცხვი ლათაიებია თავზე ხელაღებულ ადამიანისა.

ჯერ ერთი ის, რომ ცეცხლის წაკიდება ცოცხალ-ცოცხალი ტყუილია და როგორც მაცნობეს, ამისთანა ამბავი სრულებითაც არ მომხდარა, სახლიც ღვთის მადლით არავისთვის არ გადაუწვავთ. მაშ, რა ძალა დასდგომია ჩვენს ბედნიერს ავტორს, რომ ამისთანა აშკარა ტყუილი, ამისთანა აშრობა უკადრნია და არ უთაკილნია! ამით ვითომ რა ჰსურვებია ეთქვა ჩვენს ბედნიერს ავტორს? ის რომ, რაკი ჭავჭავაძეს დედაბერიც არ დაუყენეს, — სჩანს რაოდენად გაუწბილებია ჭავჭავაძეს გლეხკაცობა, რამოდენად შეუძულებია თავისი თავი, რომ მისდა სავნებელად გლეხკაცებმა თავისი მოძმეც არ დაინდეს.

ავტორს ისიც კი ვერ გაუგია, რომ თუ დედაბერი გაჯიუტებულა და ჭავჭავაძესთან ყოფნა ურჩევნია, ვიდრე შვილთან წასვლა, ეს ამბავი ჭავჭავაძისათვის

უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ავტორისათვის. აგრეთვე ის ამბავიც, რომ გლეხკაცებს ვითომც ამ დედაბერის შვილისათვის სახლი გადაუწვავთო, გლეხთა ავკაცობას უფრო მოასწავებს, ვიდრე საბუთს „ბოიკოტის“ ასე თუ ისე გაძლიერებისას ჩემდა სამარცხვინოდ. აბა, ამას ჭკუა არ უნდა, რომ კაცი აშკარა ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილითვე თავისის ხელით ყელს იჭრიდეს. კიდევ ვიტყვი: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

ღმერთის მადლით და გლეხთა სასარგებლოდ, ეს სახლის გადაწვა, ეს საშინელი და ყოვლად შეუნდობარი ავკაცობა, ავტორისაგან მოგონილი ტყუილია, და გლეხკაცობას რას ემართლება, რომ ასე სახელს უტეხავს, ასეთ ბრალში ჰხვევს.

ასეა თუ ისე, გლეხკაცობა დღეს ყველას შემოსწყრა და მართალი და მტყუანი, ავი და კარგი თან გაიტანა. ეს სტიქიონურ მოძრაობასა ჰგავს და ამიტომაც საერთოდ შემოწყრომა და „ბოიკოტობა“ იმის მაჩვენებელი არ არის, ვინ ვის უყვარს, ვინ ვისა სძულს! ძულებას და სიყვარულს ამისთანა შემთხვევაში ადგილი არა აქვს. ამიტომაც საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰღვიძებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს, — აი, გლეხობა სხვასთან ერთად ამასაც შემოსწყრა, ამას „ბოიკოტობა“ გამოუცხადა, არამედ გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, — ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოვლთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია?

ამიტომაც მკითხველსა ვთხოვ, ნება მიბოძოს მოვახსენო იგი ვითარება საქმისა, იგი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ამ მხრივ შუქსა ჰფენს კორესპონდენტის მიერ ხსენებულს „ბოიკოტს“ ჩემდა მიმართ.

მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამცთუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები, უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა შემომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მოწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა.

ამ სახით, ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება, თუ სადმე განკითხვა და სამართალია.

მართლადაც, რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხკაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნაყმევი, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურს წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე.

და თუ გლეხკაცობა დღეს თავისას მაინცდამაინც არ იშლის და კერძო საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია იმით კი არა, რომ სამართალი რამ მიუძღვოდეთ, არამედ იმით, რომ დღევანდელი მოძრაობა სოფლისა ცეცხლსავით

მოედო მთელს საქართველოს და ყველა ნებით თუ უნებლიეთ თან წაიყოლია.

აქედამ ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო. აბა, უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე.

კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება.

იქნება მე ვცდებოდე, მაგრამ ამაზე კი იმედია ყველა დამეთანხმება, რომ ეს დღევანდელი ამბავი დიდმიზეზიანი საგანია, დიდად გასაფხიზლებელი, დიდფათერაკიანი. აქ საქმე იმაში კი არ არის, ვინ უფრო შორს გადახტება. ამ დღევანდელს ამბავს დიდის გულდადებით და ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგრძე-სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყენოს.

ეს დიდ პასუხისგების საგანია და ამ პასუხისგების შიშქვეშ თვით გლეხკაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ.

III

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ასე გავაჭიანურე ჩემი პასუხი და აქამომდე, სწორედ რომ

ვთქვა, არსებითად საპასუხო თითქმის არა ვთქვი-რა. რა ვქნა? დღევანდელი დღე ისეთი ცეცხლმოსაკიდებელი რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბებს გვერდი აუაროს, რაკი სიტყვა მოიტანს. ეგ ხომ ეგრეაო, მიბრძანებთ, მაგრამ ჩვენ პასუხი მაინც გვინდა და გვინდაო. გნებავთ და აი, მეც მზადა ვარ.

შევუდგები რა ამ ფრიად უსიამოვნო ამბავს, ყოვლთ უწინარეს გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მას, რომ ჩემი კეთილისმყოფელი ავტორი ოთხს ბრალსა მდებს, რომელთა შორის ერთი თითქმის კაცისკვლაა.

ერთი დანაშაული ჩემი თურმე ისა ყოფილა, რომ ერთს „ახალსოფლელს“ გლეხს უამბნია, ვითომც ჩემს კალოზე „ს ა ნ ა დ ე ლ ო“ ყანის ძნა მოუტანია მაშინ კი არა, როცა ჩემს მოურავს დაუვალებია, არამედ მეორე დილას ადრიანად, და მე უ მ ვ ე რ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ ლ ა ნ ძ ღ ვ ა დამიწყია და, რა თქმა უნდა, ჭყივილ-ყვირილით მითქვამს: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, და როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფსო“. გლეხკაცსაც ძნა ისევ „სანადელო“ მიწაში ჩაუტანია.

მართალია, მე და ჩემს მეუღლეს საგურამოს მამულებში წილი გვიდევს, მაგრამ ახალსოფელში კი არც ერთი მტკაველი მიწა არ გაგვაჩნია. იგი სოფელი მთლად ეკუთვნის თ-დ ზაალ გურამიშვილს, რომლის მამულ-დედულს აპეკა განაგებს, რადგანაც პატრონი სნეულია, და იქ ერთი ნაყმევიც არამცთუ ჩვენ, თვით მამულის პატრონსაც არა ჰყავს. მაშასადამე, „ნადელი“, რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს მარტო უსტავნოი გრამოტით საკომლოდ მიზომილ მიწას ნაყმევისას, სრულიად უალაგოდ ხსენებულია და კორესპონდენტისაგან განზრახ მოგონილი. რისთვის? ალბათ იმისთვის, რომ უფრო მოჭირებულ ფერით შეღებოს თავისი ღვარძლიანი გულთნადები ჩემდა მომართ. აქ ავტორის ანგარიში აშკარაა და აი, რატომ:

ნაყმევი — ნამსახური კაცია, ახლად მართლადაც სამარცხვინო უღლიდამ გამოშვებული. ამიტომაც უფრო გულშესატკივარია, უფრო შესაბრალისი, როცა თავის ნაბატონარისაგან იჩაგრება და თვით ნაბატონარიც უფრო უღმრთო და უადამიანო გამოდის თავის ნაყმევის წინაშე, ვიდრე წინაშე სხვა გარეშე კაცისა.

ალბათ, ეს ანგარიში ჰქონია ჩვენს ავტორს, თორემ რა მოსაგონია, რა ჭკუაში მოსასვლელია ამისთანა ტყუილი, რა სახსენებელია „სანადელო ყანა“ იქ, საცა ნაყმევი და, მაშასადამე, „ნადელიც“ არ არის. მართალია, ამისთანა ტყუილის დაჭერაში ბევრი არა ყრია-რა, მაგრამ, კაცმა კაცს რომ ხასიათი და ხარისხი ზნეობისა შეუტყოს, ამისთანა საქციელიც სათვალავში ჩასაგდებია სხვასთან ერთად და ეს სხვა არა ერთგან კიდევ შეგვხვდება, ოღონდ მოთმინება ვიქონიოთ და ტყუილს კარამდე ვდიოთ.

უნდა გამოვტყდე, ჩვენის კორესპონდენტის სასიხარულოდ, რომ იმ ოთხს ბრალთაგან, რომელსაც იგი მე მწამებს, მარტო ამ ამბავს აცხია მართლის ნიშანწყალი, მაგრამ ეს ერთი ნამცეცა მართალიც კი ისე ამოუვლია თავის გულის ზაფრაში, რომ თავისი ნიშანწყალი დაუკარგავს, ტყუილს დიდ მანძილზე არ ჩამორჩება და მოგვაგონებს ხავსს, რომელსაც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე, როცა მეტი გზა არა აქვს.

საქმე აი, რაშია.

იმ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენენ, სულ სახელმწიფო გლეხნი დგანან და იქა ჰხვნენ და სთესენ, საცა მამულის პატრონს მოურიგდებიან. ამ სოფლებში დიდის ხნიდან დადებულია, რომ, ვინც ვის მამულს მოხნავს, მამულის პატრონს მეოთხედი უნდა აძლიოს და თავისის ურმით მემამულეს კალოზე მიუტანოს.

ამ მეოთხედის დათვლა-მიტანა, ათეულების ადგილობრივი შეფარდება და სხვა ამისთანა, მრავალმიზეზიანი საქმეა და ხშირად ამ სარბიელზე ჩხუბი და დავიდარაბა მოსდით მოურავს და გლეხს

ერთმანეთში. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე მიწაში ნამეტნავად თუ ცოტა ოდნად მოზრდილია, შესაძლოა თავიდამ ბოლომდე ერთნაირი ძნა არ იყოს, ხშირად თავში კარგი, პურიანი ძნაა და სხვილი, შუა წელში ან ბოლოში, აოდვილია, მომცდარია, პურნაკლებია, და ამის გამო ათეულები ხშირად ერთისა და იმავე ფარდისანი არ არიან ერთსა და იმავე მიწაში.

საკმაოა მარტო ეს გარემოება დავიყენოთ თვალწინ და მასთან ერთად ისიც, რომ ძნებს ცალ-ცალკე დადგმულ ათეულებით იყოფენ ერთმანეთთან შეფარდებით, საკმაოა-მეთქი ეს წარმოიდგინოთ, რომ მიხვდეთ — რამდენი ხიფათი მოსდევს ამ მეოთხედობას, თუ მოურავი ან გლეხკაცი ერთმანეთს გადაეკიდებიან და ერთმანეთის ჯავრის ამოყრას მოიწადინებენ.

კიდევ ვიტყვი, რომ როგორც მოურავი, ისე გლეხკაცი ყველა უმანკო მტრედი არ არის. ამიტომაც, თუ საქმე მიზეზიანია, ეშმაკობა და მოტყუება ორსავ მხრით ადვილად მოსალოდნელია. ერთის მრივ ამისთანა ამბების ასაცილებლად, რაოდენადაც შესაძლოა, მეორეს მხრით იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, მოურავი ვის ყანიდამ რას გზავნის, ვის რამდენს ართმევს, ერთის სიტყვით, იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოდის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწესე, რომ მოურავმა თვითოეულ გლეხს იქავ, საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო, და თითონაც დავთარში ჩაიწეროს იქავ, თავის თვალწინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ და ისე გამოისტუმროს. გლეხკაცი რომ კალოზე მეოთხედს მოიტანს, ძნის მიმღებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით მიუთვალოს. მერე ეს ბარათები და მოურავის დავთარი ერთმანეთთან შემოწმებით უსწორებენ სიას მამულის პატრონს, რომელსაც ამით ღონისძიება ეძლევა თავისის შემოსავლის ანგარიში იქონიოს და მისი ავი და კარგი იცოდეს.

ეს დიდი ხანია გამოცხადებული აქვს ყველა იმ გლეხს, რომელსაც ჩემთან ხვნა-თესვის საქმე დაუჭერია. დიდმა ნაწილმა გლეხკაცობამ ეს ნებაყოფლობითი წესი მოიწონა, — მტყუანი და მართალი ამით გაირჩევაო, და მიიღო კიდეც.

ხოლო ამ წესის დადგენა განა შესაძლოა ჩვენში ისე მომხდარიყო იმ ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვან გლეხთა შორის, რომელნიც სახნავ-სათესად ჩვენს მამულს ეტანებიან, რომ შიგადაშიგ თითო-ოროლა კაცი არ გამორეულიყო და წესი არ დაერღვია, თუ ბოროტის განზრახვით არა, მოუთმენლობით მაინც, რომ არ დაუგვიანდეს და საქმე წინ წაიგდოს. ბევრი ვეცადე — ეს უბრალო და უმანკო წესი არავისთვის დამერღვევინებინა, მაგრამ ვერარას გავხდი: წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ შიგადაშიგ ხან ერთს გლეხს არ შეეშალა, ხან მეორეს. აქ ყურის მოყრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდა. ბოლოს, სხვა გზა არ იყო, დავემუქარე, — ვინც ჩემს მამულში სახნავ-სათესად შემოხვალთ და მეოთხედს უბარათოდ მომიტანთ, დადებულ ურემს უკან გავაბრუნებ-მეთქი.

ხსენებულ წესის დადგენის აქეთ სულ ორი შემთხვევაში იყო, როცა იძულებულ ვიყავ მე ჩემი მექნა და ეს მუქარა ცალიერ სიტყვად არ დარჩენილიყო. ერთი ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინათ მოხდა, რომ უბარათოდ მოტანილი მეოთხედი უკანვე დავუბრუნე, არ მახსოვს წიწამურელს, თუ გერამიანთკარელს გლეხკაცს, და მას აქეთ მთელმა ხუთმა, თუ ექვსმა წელიწადმა ისე ჩაიარა, რომ არავის დაურღვევია. ხოლო შარშან, თუ შარშანწინ, ერთს გლეხს უბარათოდ მოეტანა ძნა.

აშკარაა, ან ხელახლად ჩემი მუქარა უნდა ამესრულებინა, რომ წესი წესად დარჩენილიყო, ან წესზე ხელი ამეღო, რადგანაც მაგალითი ამისთანა შემთხვევაში მოარულ ჭირზე უფრო ადვილად გადამდებია. რა თქმა უნდა, პირველი ღონისძიება ვირჩიე: გლეხს მუქარა ავუსრულე, უკან დავუბრუნე, — მინამ ბარათს არ მომიტან, ძნას არ მივიღებ-მეთქი.

შესაძლოა ამ წესის დამყარება იმად არა ჰღირდეს, რომ კაცმა კაცს ძნით დადებული ურემი უკან დაუბრუნოს, შესაძლოა ეს ამისთანა წესი ყოვლად გამოუსადეგარი, ყოვლად უაზროც იყოს, იქნება წესის ერთობ ჩამოგდება ქართველისათვის საჭიროც არ იყოს, რადგანაც ჩვენში ყველას, თავადია თუ გლეხი, ბერია თუ ერი, თვლა და ანგარიში ჭირივით ეჯავრება და ყელში ძვალსავით დაადგება ხოლმე, ნამეტნავად საცა და როცა არ უჯობს; ყოველივე ეს შესაძლოა და კისრადაც მიდვია, მაგრამ ნუთუ ეს ამბავი, თუნდაც გლეხის მიერ ნაამბობი, ისეთი რამ არის, რომ კაცმა კაცი გასაბიაბრუებლად გამოიმეტოს?

რაკი საქმე იმაზე მიმდგარა, რომ ავტორს სდომებია ამისთანა ამბებით ფონს გასვლა, სჩანს საფანელი ძალიან დაჰკლებია და მე ისეთი ავი კაცი არა ვყოფილვარ, როგორც ჰსურვებია გამოვეყვანე, თორემ, მე იმის კეთილის გულის ამბავი რომ ვიცი, აბა რას დამზოგავდა.

ღმერთმა ჰქნას, თვითოეული ჩვენგანი და ჩვენთან ერთად თვით იმისთანა წმინდა წყლის კაცი, როგორიც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაულის მეტს სხვას არას ჰგრძნობდეს წინაშე ადამიანისა საერთოდ და გლეხკაცისა საკუთრივ.

ალბად თვითონ ავტორსაც უგრძვნია, რომ აქ ხელჩასაკიდებელი მაგდენი არა არის-რა, — რომ ჩემს ამისთანა საქციელს რაც შეიძლება მეტის ავზნეობის ფერი მოსცხოს, აუღია და მოუჭორებია, ვითომ გლეხი მელანძღოს უშვერის სიტყვით. ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, ამიერ-იმერეთის ქართველთ გარდა, ბევრ სხვადასხვა მილეთის ხალხთან მქონია საქმე, ბევრი სომეხი, რუსი, თათარი, მებაღეებად, მწყემსებად, მოსამსახურეებად მყოლია. ზოგი ამათგანი ათი-ოცი წელიწადია რაც ჩემთან არის და აბა, ერთი ვინმე წამომიყენეთ, რომ ჩემის პირისაგან ამოსული ლანძღვა-გინება ოდესმე გაეგონოთ და ისიც უშვერის სიტყვით, თუმცა იქნება ბევრჯელ გავჯავრებივარ და დამიტუქსავს კიდეც.

დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლებელია, რომ ერთი უნამუსო კაცი ვინმე იშოვოს ჩვენმა ნამუსიანმა კორესპონდენტმა და ჩემდა გასამტყუვნებლად პირში წამომიყენოს, მაგრამ ტყუილი მოწმე განა ისე ადვილად გასააღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ვეღარ ვუპოვოთ?

მართალია, ლანძღვა-გინებაც ხელშეხებაა ადამიანის ღირსებისა, მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას. ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის, გაუზრდელობის, გაუწურთვნელობის საქმეა. იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ქვეყანაზე ბრიყვი და უზრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოვლად კარგი და პატიოსანი.

ალბად ესეც კარგად სცოდნია ჩვენს ბედნიერს ავტორს და, რომ უფრო გააძლიეროს ჩემი დანაშაული, მკითხველს უფრო მეტად აუმღვრიოს ჩემზე გული, გვარწმუნებს, ვითომც გლეხკაცს ჩემის საქციელის მიზეზით ძნა გაოხრებოდეს.

აქ თუ თითონ ავტორი არ ავალაპარაკეთ, სულელობას ნალაპარაკევისას არავინ დაიჯერებს. გლეხს ვითომც ავტორისათვის უთქვამს: „ძნა ისევ იქ ჩავიტანე (ესე იგი „სანადელო“ მიწაში), დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე დღე, მესამე, მაგრამ სად არის მოურავი. ი ქ ვ ე ლ ო დ ე (?), მ ი ნ ა მ ს ა ქ ო ნ ე ლ მ ა ძ ნ ა ა რ დ ა შ ა ლ ა დ ა ა რ გ ა ა ო ხ რ ა ო“.

ის დალოცვილი გლეხი, რაკი იქ ელოდა, რადღა დააშლევინა და გააოხრებინა ძნა საქონელსა? თუ ჩემი მეოთხედი არ ენანებოდა, თავისს სამს მეოთხედს მაინც უპატრონებდა, რაკი იქ ყოფილა, ძნასთან. ეს ლოდინი, მინამ საქონელი ძნას გაუოხრებდა, რა სიტყვის მასალაა? იქ ელოდა და სეირს უყურებდა, საქონელი როგორ უოხრებდა ძნას, რადგანაც მარტო მაშინ გაუთავებია ლოდინი, როცა საქონელს ძნა გაუოხრებია.

აბა, რა დასაჯერია ასეთი სულელური ამბავი! ვთქვათ, გლეხი გაბრიყვდა და ეს უამბო ავტორს, ან ამ ვაჟბატონმა, ან „მოგზაურმა“ ეს ცხადზე უცხადესი სულელობა როგორ დაიჯერეს და თავიანთ პირით მოჰფინეს მთელს საქართველოს. აი, უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, აი საბოროტოდ აშლილს საღერღელს, დაჟინებულს და თავდაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა!

თუნდ ეგეც არ იყოს, განა არის საქართველოში სოფელი, რომ ან მამულის პატრონს, ან თითონ სოფელს არა ჰყავდეს მეველე, რომელიც, თუ მინდორში წანახედია სადმე, ვალდებულია ან თითონ უზღოს წანახედი პატრონს, ან უტყუარი გეში მისცეს იმისი — თუ ვისს საქონელს წაუხდენია, და მერე ორ კაცს უნდა გადააწყვეტინოს საზღაური.

თუ ის ძნის გაოხრება მართალია და აქ განზრახ ჩაკერებული არ არის, განა ძნის პატრონი შეარჩენდა ვისმე საზღაურს და არ შეატყობინებდა ან მეველეს, ან მამულის პატრონს, რომ წანახედი ასე თუ ისე დაებრუნებია. ვთქვათ, გლეხკაცმა სულგრძელება და კაცთმოყვარეობა გამოიჩინა და საზღაური აპატია დამნაშავეს, ხარბი და გულქვა მამულის პატრონი ხომ თავისას არ შეარჩენდა და, მაშასადამე, ხსენებულ გლეხის ძნის გაოხრება შარშანდელ მეველეს შეტყობილი ექნება. აბა ეს მითამდა გლეხკაცის გულშემატკივარი ვაჟბატონი წავიდეს და მეველეს გამოჰკითხოს, მართლა გაუოხრა საქონელმა ძნა არამცთუ იმ გლეხსა, რომელსაც ვითომ ეს ამბავი უამბნია, არამედ სხვას ვისმე ახალ-სოფელში.

მეორე ბრალი, რომელსაც გლეხისათვის ვითომდა გულდამწვარი კორესპონდენტი მე მწამებს, ის არის, ვითომც მე ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი ვთხოვე „ბუნტის ჩასაქრობად“. ესეც მტკნარი ტყუილია ლილახანაწამხდარ ავტორისა, რომ მეტი არა ვთქვა-რა. აი, აქაც რა თაღლითობაა ავტორის მხრით და რა მოურიდებელი ტყუილია.

პირველ ხანებში, როცა გლეხთა მოძრაობამ საგურამომდინაც მოახწია, მე ავად ვიყავ და ტფილისიდამ ფეხი ვერ გავდგი.* ზედიზედ ჩემი მოურავისაგან წერილი მომდიოდა, მოჯამაგირეები, მწყემსები, პურისმცხობელი, და სხვანი სულ გაგვიფანტესო და გაგვირეკესო, ამოდენა ცხვარი, საქონელი, ცხენი და ღორი**, ამოდენა სახლ-კარი, პური, ღვინო უპატრონოდ დაგვრჩაო, ტყეს შეესივნენ და სოფლეურად სჩეხენო.

ჯერ არ დავიჯერე, სწორედ მოგახსენოთ, არ მეგონა, რომ საგურამოს გლეხკაცობა ასე გამომიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს. ყური მოვუყრუე მოწერილ ამბებს და ოთხ თუ ხუდიოდე დღეს გავუჩუმდი, მით უფრო, რომ სოფლის სასახლეში ერთი ნასწავლი მეფუტკრე რუსი მყავს, რუსეთში სოფლის სკოლის მასწავლებლად ყოფილი და იმისგან არა ვიცოდი-რა. ბოლოს ამისი ბარათიც მომივიდა. მწერდა: სასახლეში მარტო მე, მოურავი და მისი ცოლიღა დავრჩით. ეს ამოდენა საქონელი გომებში დამწყვდეულია უსმელ-უჭმელი უპატრონობისა და უკაცურობის გამო, გულამღვრეულ გლეხკაცობის შიშით კარში ვეღარ გამოვსულვართო. თუ ასე იქნებაო და მალე არ მოგვეშველებით, მეტი გზა არ არის, აქაურობას თავი უნდა დავანებო და ამოდენა ფუტკარი (ას ორმოცამდე სკაა) ღმრთის ანაბარად დავტოვოო. მოურავიც წასვლას აპირებსო.

მაშინ-კი ტფილისიდამ კაცი გავგზავნე და მივწერე მოურავსაც და მეფუტკრესაც, ნუ შიშობთ, გლეხკაცნი ისე არ გასულელდებიან, რომ კაცთ დაუშავონ რამ, ავკაცობა რამ შეამთხვიონ. ერთი-ორიოდ დღე როგორმე უპატრონეთ მანდაურობას და მე ვეცდები მოჯამაგირეები აქ, ტფილისში, გიშოვოთ და მოგაშველოთ-მეთქი. ვიშოვე და გავუგზავნე კიდეც,

* გლეხებსავე ჩამოჰქონდათ მალულად.

** ყოველივე ეს კარგა ბლომად მყავს, ჩემის მხილებელის სამწუხაროდ.

მაგრამ გლეხკაცებს ესენიც დაეშინებინათ და გამოერეკნათ. აქეთ მოვდეგ, იქით მივდეგ და კაცი ველარ ვიშოვე მოჯამაგირედ გლეხკაცობის და ამ არეულობის შიშით.

რა უნდა მექნა? ნუთუ ამოდენა ქონება და საქონელი უნდა დამელუპნა, ან გლეხებს ამით რა შეემატებოდათ? ბოლოს, რომ ველარას გავხდი, მაზრის უფროსს დეპეშით ვთხოვე, შველა რამ გაგვიწიეთ-მეთქი. ღმერთმა უშველოს, მაშინვე სამი „სტრაჟნიკი“ გამოეგზავნა, — სასახლეს და კარ-მიდამოს უპატრონეთო. „სტრაჟნიკები“, რა თქმა უნდა, მე ჩემთან დავაყენე, მე ვასმევდი, მე ვაჭმევდი, ცხენებს მე ვუნახავდი და ერთი იმათგანი სოფელს არც-კი მიჰკარებია, არც ერთს მათგანს გლეხკაცის წკირისათვისაც ხელი არ უხლია. როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, „სტრაჟნიკები“ მაშინვე დავითხოვე.

ნუთუ ჩვენმა გალაღებულმა მხილებელმა ეს ამბავი ჩაიწვეთა ყურში და ბუზს აქლემი აშობინა თავის ახირებულ სურვილისამებრ იმ სახით, — ვითომც მე ჯარი მეთხოვოს და გურამიანთკარს ჩამეყენებინოს. პირდაპირ ვამბობ: არც მითხოვნია და არც მოვითხოვ, თუ ჩვენის ავტორის და „მოგზაურის“ წყალობით ზედმოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ან ერთმა, ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხკაცობას მტრულად დავხვდე, რაკი, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემდა საუბედუროდ სხვა გზა არ იქნება თავის გადარჩენისა. ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითოეულ ცალკე ჭია-ღუასაც-კი მიანიჭა, და ნუთუ მარტო ჩემთვის ღმერთმა არ გამოიმეტა, რომ მით ასიამოვნოს ჯერ პირველ „მოგზაურს“ და მერე მის მიერ ხელაპყრობით მიღებულს ავტორს. შესაძლოა, საწადელმა თავბრუდასხმულ ადამიანისამ ამ ჭკუათამყოფელობამდე მიახწიოს, რომ მე ეს უფლება ჩამომართოს. მე-კი მაინც პირდაპირ ვიტყვი, მე ჯარი არც მითხოვნია და არც მოვითხოვ.

ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ ჯარის მოწვევა ძალმომრეობის და ერთმანეთზე მისევის დასაწყნარებლად, რაკი სხვა გზა არ არის, სამარცხვინოდ რადმე მიმაჩნდეს; პირიქით, ბევრი იმისთანა ჭეშმარიტის გულით მოყვარეა გლეხისა, რომელსაც ჯარის მოწვევა ერთადერთ ღონისძიებად მიაჩნია, რომ გლეხკაცმა ჯარის შიშით ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა, ცეცხლწაკიდება და სხვა ამისთანა არა ჩაიდინოს-რა, რადგანაც მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობას. იმას აღარ ვიტყვი, რომ ამისთანა ცუდკაცობა და ავკაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და ამიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩერებსო.

იქნება ესეც იყოს, მაგრამ მე ამ მოძღვრების თანაზიარი არა ვარ, რადგანაც ჯარის შიშით შესაძლოა ბევრს ავთან ბევრი კარგიც შეფერხდეს, ბევრი კარგი თან გადაჰყვეს. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ მარტო კაცთმოყვარეობა და სულგრძელება არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება: სულიერი და ხორციელი ცხოვრება. განა ეს მოსალოდნელია, განა ეს შესაძლებელია ჯარისაგან დაწიოკებულ და აკლებულ გლეხკაცობის მხრით? კაცს ადამიანის ბუნებისა არაფერი არ უნდა გაეგებოდეს, რომ აქ ჰო სთქვას.

დავანებოთ ამასაც თავი და ეხლა სხვა მხრივ გავუსინჯოთ კბილი ამ ჩვენის მაბეზღარის ბეზღობას. ვსთქვათ, კორესპონდენტის სიტყვისამებრ, მთავრობამ ჯარი გაგზავნა საგურამოში, სხვათა შორის ჩემის თხოვნითაც. რაკი ეს ჩემი თხოვნაც საბუთად დასდებია ჯარის გაგზავნას, ამ თხოვნას ხომ კვალი რამ უნდა დარჩენოდა ან მაზრის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარმართებლის კანცელარიაში. ამისთანა არასახუმარად პასუხის საგებელი, მძიმე საქმე, როგორც ერთობ ჯარის გაგზავნა და ჩაყენება

სოფელში, განა შესაძლებელია ისე, რომ მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შიგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი?

კორესპონდენტმა რომ თავისზე მეტი სუნის ამღები მეძებრები არბეინოს საძებნელად, საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში ვერსად ვერ იპოვის ჩემის სახელის ხსენებასაც, რადგანაც ჯარი არავისათვის მითხოვნია არც სიტყვით, არც წერილით. თუ გაჭირდა, ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენ.

ვთქვათ, კიდეც რომ იმდენი შევიძელი და ჯარი გავაგზავნინე. სამ-ოთხ დღეს შემდეგ ხომ ჯარი უკანვე წამოვიდა, თუმცა ხალხი დღეს-აქამომდინაც არ დაწყნარებულა და პირვანდელს ყოფაშია თითქმის. თუ ჯარის მიწვევა შევიძელ, ნუთუ იმას ვერ შევიძლებდი, რომ ჯარი იქავ დარჩენილიყო, მინამ გლეხკაცობა არ დაწყნარდებოდა და ეგრე მალე უკან არ წამოსულიყო.

მაშ, რად უნებებია ამ ჩვენს გახუნებულს ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოცხობა? მად, რომ კაცია და გუნებაო. ღმერთმა ესეთი კაცობა და ესეთი გუნება, თუ ბუნება, მშვიდობაში მოახმაროს ავტორს იმ ერთგვარ ჯგუფის სადღეგრძელოდ, რომელიც არავითარ საზიზღარ ცილისწამებას არ ჰთაკილობს, ოღონდ-კი ჭუჭყი რამ მოსცხოს მისს არა-მასიამოვნებელს და არათანამოაზრეს.

მესამე ბრალი, სხვებზე არა ნაკლებ ტყუილი, ის არის, რომ „არც დიდებული ილია ჭავჭავაძე“ თურმე არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევს ზეზე სადგომის აგებასაო. ამას კი ჩვენი პატიოსანი კორესპონდენტი თავისით ამბობს და არა სხვისა სიტყვით. სტაროსელსკისა არ ვიცი, და „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ კი არადიდებულს ძალიან დანამცეცებულს ავტორს მოახსენებს, რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ სააპეკუნოშია და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მთლად სხვისი მამულია.

მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს.

ან აბა, რა ხელსაყრელია, რა სახეიროა ვისთვისმე, — გლეხკაცს, რომელსაც თავისს საბინადრო ადგილში მიწურის გათხრის ნება აქვს, ზეზეურად სახლის დადგმას უშლიდეს ვინმე. აბა, ეს ასეთი დაშლა რა ჭკუაში მოსასვლელია? იმ ჭკუაში, ბატონებო, რომელიც ღმერთს სხვებისთვის დაურიგებია და ზოგიერთისთვის კი არ გაუმეტნია, — მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო.

ამ სახით, ეს ზეზეურად სახლის დადგმის ამბავიც ჩვენ გახუნებულ ავტორის მიერ შეხანხლული ჭორია და მისდა სასახელოდ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხის ნაამბობი კი არ არის, მის მიერ საკუთრივ მოგონილი და შეთხუზულია და ამიტომაც არის ასეთი კარგი და ლაზათიანი.

რომ ეს მართლა ჭორია და არავითარი საბუთი არ მიუძღვის, ვთხოვ ავტორს წაბრძანდეს და თავის თვალით ინახულოს თუნდ ტფილისიდან პირველი სოფელი წიწამური*, რომელიც სააპეკუნო ადგილშია და ითვლება ხუთ საგურამოს სოფელთა შორის და დიდს შარაგზაზეა, წაბრძანდეს-მეთქი, თუმცა უამისოდაც აქამდე ათასჯერ აუვლია, და ინახულოს, რამდენი სახლია ზეზეურად წამოჭიმული ბექობზე, ზოგი კარგა ხნის ნაგები და ზოგი დღესაც არდამთავრებული.

თუნდ ეგეც არ იყოს, საბძლები, სასიმინდეები და სხვა ამისთანა სამამულო შენობანი ხომ ყველგან ზეზეურადა დგას და, თუ ამათს ზეზეურობას წინ არავინ უდგა, სახლების ზეზეურად დგმას რაღა ჭკუაა წინაღუდგეს. განა აშკარა არ არის, სადაც სცემს ავტორი, როცა ამისთანა ჭორს იგონებს; აშკარაა, ავტორს სდომებია ამ ჭორით ქვეყანა

* მარტო ერთი რვა თუ ცხრაკომლიანი სოფელია, წიწამურად წოდებული, საცა მარტო ორი თუ სამი კომლი ნაყმევია ზაალ გურამიშვილისა.

დაერწმუნებია, რომ, აი „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ რა ღმრთის რისხვა კაცი ყოფილა, — გლეხს უნდა მიწურიდამ ამოძვრეს, მზე დაინახოს, საღი ჰაერი ჰყლაპოს და ჭავჭავაძე კი არ უშვებს და ამ სახით გლეხკაცს მიწურში აღშთობს.

მეტი შხამიღა შეიძლება გულში ატაროს კაცმა კი არა, თუნდ ასპიდმა გველმა, რომ კაცს არც სადმე გლეხი ჰყვანდეს, ერთი მტკაველი საბინადრო მიწა არ ებადოს, ერთი რამ სადმე მიწური გლეხისა არ გააჩნდეს და მაინც ამისთანა გესლიანი კბილი-კი გამოჰკრას, ამისთანა უღმერთობა დასწამოს! აკი მოგახსენეთ, დანახვით-კი მხედვენ და საიდამ და როგორ მომწვდნენ, ის კი არ შესძლებიათ.

ამაზეა ნათქვამი: თხამ სანეკრე დაინახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო.

დაგვრჩა ეხლა მეოთხე და უკანასკნელი ბრალი, ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცისკვლამდეა გაჭიმული. რა ზნეობურ ავლდიდების პატრონია ჩემი პატიოსანი მხილებელი, ისე აშკარად არსადა სჩანს, როგორც ამ მეოთხე ბრალის დაწამებაში, საცა მე და ჩემს მოურავს თუ კაცისმკვლელებად არა, კაცის სიკვდილის მიზეზად მაინც გვხდის. აქ ამოდენა საზიზღარს ბრალსა გვდებს ორ კაცსა და ერთს სიტყვასაც, დიახ, ერთს სიტყვასაც მართლას არ ამბობს, თორემ ხომ ნახავთ, თუ მკითხველი იმოდენა პატივს დამდებს, მოთმინება იქონიოს და ბოლომდე ჯერ თვით ავტორს მოუსმინოს მის მიერ მოთხრობილი ამბავი და მასთან ერთად ჩემი საბუთებიც განიკითხოს.

„ამ ზამთარსაო, — უთქვამს ვითომ ავტორისათვის ერთს გურამიანთკარელს გლეხს — დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინაო ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო“.

ეს მთლად თავიდან ბოლომდე ტყუილია. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მარტო იგი ადვილად თუ უტყუარად შესამოწმებელი გარემოება მოვიხსენიოთ, რომლის კვალიც თავის-დღეში არ

წაიშლება, თუნდაც მთელი სიბრძნე „მოგზაურისა“ და სიცრუე ავტორისა ზედ დააბღერტოთ. საქმე ის არის, რომ სოფელ გურამიანთკარს, მისდა საბედნიეროდ და ავტორის საუბედუროდ, შიგ სოფელში ეგრეთწოდებული თეზამის წყალი ჩამოუდის. ამას გარდა, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცის წლის წინათ გამოიყვანეს სტაროსელსკიანთ მილებით, როგორც თავიანთთვის, ისე სოფლისათვის. ეს წყარო კარგა მოზრდილია, ასე რომ კოდიც-კი უდგას საქონლის წყლის სასმელად.

თეზამის წყალი ხევის წყალია და გაშლილ მინდორზე მოდის შორიდან. რა თქმა უნდა, ბევრჯელ ზამთრობით იყინება. ხოლო გურამიანთკარის წყარო-კი თავის-დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არასდროს არც გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ ბუნება წყაროს წყლისა. ვთხოვ ბატონ რედაქტორს „მოგზაურისას“ და მის მიერ განებიერებულს ავტორს მიბრძანდნენ და იქავ, ადგილობრივ შეამოწმონ ჩემი ნათქვამი. აქ მოწმად მომყავს იმისთანა უტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა და თვალად დასანახავი გარემოება.

გზა რომ არ შეეშალოთ, წინათვე ვანიშნებ, რომ თეზამის წყალი და წყარო იქავ გურამიანთკარშია, ხიდქვეშ გამოდიან, სტაროსელსკის სახლის წინ. ამ სახლსა და ამ წყლებ შუა სულ ორი საჟენი შარაგზაა სოფლისა.

აშკარაა, ნაამბობი ვითომდა გლეხისა „ამ ზამთარს წყლები გაგვეყინა, ასე რომ უწყლოდ დავრჩითო“, ან კუდიანი ტყუილია გლეხისა, ან ზღაპარია თვით ავტორისაგან ხელდახელ შეხანხლული იმის ძალით, რომ რაც მელას აგონდება, ის ეზმანებაო.

ესეთი ცხადზე უცხადესი ტყუილი ერთადერთი სათავეა, საიდამაც ჩვენს სახელოვანს ავტორს წარმოუდგენია იგი შემაძრწუნებელი ტრაგედია, რომელსაც კაცისკვლით ათავებს და ამ კაცისკვლის მიზეზად მე და ჩემს მოურავსა გვხდის.

რაკი ეს ერთადერთი სათავე მიწით აევსო და ჩაეფუშა, რაკი ძირიან-ფესვიანად გამოენგრა ეს ერთადერთი საძირკველი, რომელზედაც ასე უშიშრად აუგია ჩვენს მაბეზღარს მთელი შენობა თავისის სიბრძნე-სიცრუისა, სხვა დანარჩენი ნაშენი ფეხზე როგორღა იდგომილებს და როგორ არ დაემხობა პირ-ქვე თავის-თავად. ამიტომაც მე მარტო ამ ერთადერთის საძირკველის დარღვევა უნდა მეკმარა და აქ დამესვა წერტილი. მაგრამ რა ვქნა, რომ თვითონ ავტორი არ მეშვება და ჩემდა დასაბეზღად ტყუილზე ტყუილს აწებოებს.

ხომ ათქმევინა გლეხს ის ახალი ტყუილი, ვითომც ამ ზამთარს გურამიანთკარელებს წყლები გაჰყინვიათ, ასე რომ მთლად უწყალოდ დარჩენილან. ეს ტყუილი თავისთავად არაფერს ჰნიშნავს, კაცი იტყვის: ილია ჭავჭავაძის რა ბრალია, რომ გურამიანთკარში ზამთრობით წყლები იყინებაო. მოუთმინეთ, ბატონებო, ავტორს, — ის მოგახსენებთ, აქ ძაღლის კუდი სადა მარხია. აი იგი რას მოგვითხრობს, ვითომდა გურამიანთკარელს უამბნია:

,,სოფელ ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინებაო".

ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილი, ან მოლანდებული ზმანებაა თვით ავტორისა. თუ ჩვენი ცრუპენტელა მაბეზღარი მოწყალებას მიიღებს და გურამიანთკარის ზემოთ ამ სოფლიდამ სამი ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში ,,მიუვალ ღელეში" ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კოკა მიდგმით აივსებოდეს, ან როგორმე, და იქავ, საცა გამოჟონავს, ახლო მანძილზე სიპატარაობით არ იკარგებოდეს, დიდი მადლობელი ვიქნები და ვშიშობ არ ითაკილოს, თორემ სამახარობლოსაც მივართმევდი. აქაც მოწმად მოვიყვან თითონ ბუნებას და თვალთა სანახავ გარემოებას, რომელნიც ყოველთვის და ყოველჟამს უტყუარნი არიან. სხვა არა იყოს, რა, მე თითონ სხვისი მამულიდამ ჩემს ეზოში მილებით გამოყვანილ წყაროს წყალს ვხმარობ, რომ გურამიანთკარს ზემოთ

ტყე სტაროსელსკისაა და არა ჩვენი: ჩვენს ტყესა და გურამიანთკარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინდორი და ვენახებია კარგა მანძილზე.

მგონი ცხადია, რომ გურამიანთკარელნი ამ ზამთარს და არც როდისმე უწყლოდ არ დარჩენილან, ჩემს ტყეში მიუვალ ღელეში არავითარი წყარო არ მოიპოვება, არამცთუ სასმელად საკმაო იყოს, არამედ სახსენებლად ღირდეს... ამისდა მიუხედავად გაჯიუტებული ავტორი აი, როგორ მოგვითხრობს ვითომდა გურამიანთკარელ გლეხის ნაამბობს:

,,დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობაო. დაგვისია თავადმა მოურავები*, ბიჭები, და აგვიკრძალა წყლით სარგებლობაო და თანაც გვითხრეს: ვისაც წყალი უნდა, იმან სულ თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო და სასმელ წყალს მუქთად დაგითმობთო. იძულებული ვიყავით დავთანხმებულიყავით და მთელი ზამთარი ვაძლიეთ ეს ხარკიო".

ამ სახით, ავტორი გვარწმუნებს, რომ გურამიანთკარელებს დაუწყიათ სარგებლობა იმ წყაროთი, რომელიც არ არსებობს და მარტო ავტორის ჭკუიდამ მოჩუხჩუხებს. თუნდაც ასე არ იყოს, რა დასაჯერებელია, — კაცმა მიუვალ ღელეში, სოფლიდამ სამს ვერსტზე ,,ზამთრის ყინვასა და სუსხში დაიწყოს სარგებლობა პატარა წყაროთი" მაშინ, როდესაც ცხვირწინ სოფელში აქვს კარგა მოზრდილი წყარო, რომელიც არც გაყინულა და არც იყინება.

საქონლის სასმელ წყალში თვეში ათი შაური უნდა გვაძლიოთო, უთქვამს გურამიანთკარელებისათ-ვის ჩემს მოურავს და ისინიც დათანხმებულან, რადგან წყლების გაყინვის გამო მეტი გზა არა ჰქონიათ, თუ სოფელ ზევით სამს ვერსტზე ჩემს ტყეში მიუვალ ღელეში პატარა წყაროთი არ დაეწყოთ სარგებლობა.

* ჩემს-დღეში ერთის მეტი მოურავი არა მყოლია.

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ იგი პატარა წყარო მიუვალ ღელეშია, საქონელი როგორღა უნდა მისულიყო წყლის სასმელად, და მეორე, — თუ წყარო პატარაა, როგორც ავტორი გვარწმუნებს, ნახირი რამდენი ხანი უნდა გაჩერდეს, ისიც მიუვალ ღელეში, ყინვა-სუსხის დროს, რომ წყურვილი მოიკლას? ერთი დაწაფება ხარისა თუ კამეჩისა და პატარა წყაროს ამოწრუტვნა ხომ ერთი იქნება ამ შემთხვევაში.

ან რა საჭიროა გურამიანთკარისთვის სოფლის ზემოთ სამს ვერსტზე მიუვალ ტყეში ყინვასა და სუსხის დროს საქონლის არეკა წყლის დასალევად პატარა წყაროზე? ჯერ ერთი, რომ შიგ სოფელში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცხვირწინ მშვენიერი და საკმაო წყარო აქვთ საქონლის სასმელადაც და თავიანთთვისაც. მეორე, ვერსტნახევარზე თუ ორს ვერსტზე გურამიანთკარს მთელი არაგვი ჩამოუდის, რომელიც, როგორც დიდი და ჩქარი წყალი, ჩვენში არასდროს არ იყინება მთელ სიგანეზე ისე, რომ საქონლისათვის წყლის სასმელად არა ჰრჩებოდეს ან მთლად გაუყინავი, ან ისე თხლად გაყინული ადვილად ჩასამტვრევი არ იყოს.

გარდა ამისა, არაგვსა და გურამიანთკარს შუა, მაშასადამე, სოფელზე უფრო ახლო, ერთი დიდი ფშაა, რომელიც წისქვილებს აბრუნებს ზამთარ-ზაფხულს, რადგანაც ფშის წყალია და ფშის წყალი ხომ თავის დღეში არ იყინება. ამ წყლებისაკენ უფრო ფართო, უფრო ვაკე და უფრო მოკლე გზაა, ვიდრე ჩემის ტყის მიუვალ ღელისაკენ და ეს გზა სტაროსელსკის მამულზე გადის სოფლიდამვე დაწყებული ხსენებულ წყლებამდე. ამ წყალზე სიარულს დასალევ წყლის ამოსატანად, ან ნახირის წყალზე გარეკას, მამულის პატრონი არავის არ უშლის და მე, რომ ძალიან გულითაც მინდოდეს, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დაშლისა, ან არ-დაშლისა.

ყველა ამის დასამტკიცებლად ხელახლად ვთხოვ „მოგზაურის“ რედაქციას და მის მიერ პატივისცემით

მიღებულ მტყუან კორესპონდენტს, მიბრძანდნენ და ადგილობრივ გამოჰკითხონ ამისთანა მართალს და მიუდგომელ მოწმეს, როგორც ადგილმდებარეობაა და ბუნება, რომელნიც თავის-დღეში არ სტყუიან. მაშ გურამიანთკარს ისე როგორ გაუჭირდებოდა ან როდესმე, ან ამ ზამთარს, რომ ამდენ უფრო ადვილად ხელმისაწვდენს უფრო დიდ წყლებისათვის თავი დაენებებინა და უფრო შორს სადღაც მიუვალ ღელეში დაეწყო „პატარა წყაროთი სარგებლობა“ და ამ სარგებლობისთვის თვეში ათი შაური ბაჟი ეძლია თითო სულს საქონელზე, ვითომდა იმ მიზეზით, სოფელი უწყლოდ დარჩენილა და ჩემს იქით მეტი გზა არა ჰქონებიათ.

მას მერმეთ, რაც მოგახსენეთ წყლების თაობაზე, ნუთუ აშკარა არ არის, რომ გურამიანთკარს ბევრი სხვა გზა და წყალი ჰქონია იქავ ცხვირწინ და, მაშასადამე, მთელი ეს უწყლოდ დარჩენა, ეს პატარა წყაროთი სარგებლობა და ამ სარგებლობისათვის თვეში ათი შაურის იძულებული ძლევა თითო სულ საქონელზე, თუ ურცხვი ტყუილი არ არის, მაშ რა ჯანაბაა.

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ აქ მარტო უმანკო მტრედის უგუნურებაა ავტორის მხრით და სხვა არაფერი. ნურას უკაცრაოდ: ავტორს კარგად სცოდნია, რისთვის რას ამბობს. რაკი გულზე მოსწოლია იგი საძაგელი საწადელი, რომ ასე თუ ისე გამაბიაბუროს, და ამისათვის ის ბრალი მოუგონია, — ვითომც წყლის ბაჟს ვახდევინებდე თვეში ათ შაურს თითო სულ საქონელზე, ავტორს უგრძვნია, რომ ამისთანა ამბავი ბევრს არას იტყვის ჩემდა შესარცხვენად და ჩემი დანაშაული, ეგრეთ სადად მორთული, ისე შემაზრზენი არ იქნება, როგორც ავტორისათვის სასურველია. აშკარაა, ამ დანაშაულის გაძლიერება, გაზვიადება დასჭირებია და ეს ტყუილები კუდად გამოუბამს — ვითომც წყლის ბაჟი სადღაც მიუვალ ღელის პატარა წყაროშო მირთმევია. უამისოდ კაცი იფიქრებდა: ილია ჭავჭავაძეს ალბათ დიდი რამ წყალი, ადვილად

მისაწვდენი, ჰქონია და თუ მართლა ბაჟი დაუდვია, ეს ჯერ იმისთანა ავკაცობა არ არის, რომ ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელი და შესანდობარი არ იყოს.

აი, ეს მცირე წყალობაც არ გაუმეტებია ჩემთვის ამ გულგაჯიქებულს პატიოსანს მაბეზღარს და მიუვალღელეობა და პატარა-წყაროობა მოუგონია, რომ კაცს ათქმევინოს: ეს ილია ჭავჭავაძე რა კაცი ყოფილა, რომ სადღაც მიუვალ ღელეში პატარა წყარო ჟონავს და იმაშიაც კი ბაჟი ურთმევია და ხარჯი დაუდვია გლეხებისათვის. მერე რავდენი? თითო სულ საქონელზე ათი შაური.

საქმე კი აი რაშია: საგურამოში, რომლის წრეშიაც ხუთი სოფელია, გლეხკაცები სხვადასხვა მემამულის ტყესა და მინდორს ჰხვდებიან საქონლის საძოებლად, სხვათა შორის ჩემსა და ჩემის მეუღლის თავისუფალ მამულებსაც. დიდის ხნით დაწესებულია, რომ ვინც სხვის მამულს მოხვდება საბალახედ, მამულის პატრონს უნდა ამლიოს თვეში ერთი შაური თითო სულს საქონელზე, ესე იგი წელიწადში სამი აბაზი, სოფელ წიწამურის გარდა, საცა თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც საძოვრად უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა; მაშინ, როდესაც მთიულები და სხვა შორიდამ მორეკილ საქონლის პატრონები, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ექვს-შვიდ აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საბალახეს, ისიც ხუთს-ექვს შემოდგომის და ზამთრის თვეებში და არა მთელის წლის განმავლობაში.

ალბად ეს არის იგი ხავსი, რომელსაც ჩვენი აქავ წყალწაღებული ავტორი ჩაჰკიდებია, არც უციებია, არც უცხელებია და თვეში ერთი შაური ათ შაურად გაუხდია და საბალახე წყლის ბაჟად უქცევია. აბა რა ეთქმის ამისთანა კაცს, რომელიც მაბეზღარის საქებურს ხელობას შესდგომია და იმოდენა მოხერხებაც არა ჰქონია, რომ ესე ადვილად გამოსაჩხრეკ თაღლითობასაც არ მორიდებია: ჟინი ბეზღობისა, შურისგებისა, ჟინი გულღვარძლიანობისა, როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ჟინი, ძნელად თავდასაჭერია, რაკი კაცს შესჩვევია.

დაგვრჩა ეხლა ერთი ბრალიც, რომელიც ამ ზამთარს წყლების გაყინვის და ამის გამო გურამიანთკარის უწყლოდ დარჩენას მოყოლია ვითომც.

ავტორი უკანასკნელ ბრალის შესახებ ასე მოგვითხრობს, — ვითომდა გლეხის ნალაპარაკევს:

,, ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ღატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ — ღარიბებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავისის ცოლ-შვილით. ერთს დღეს ამ კაცს აევსო ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, — რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. — თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ, მე-კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, სულ ერთი კვირაა, ქვეშაგებიდამ ავღანტალდი და, ხომ იცი, სულ ავადა ვარო“... ,,შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო“ — და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ სავსე კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსაო“.

თუ ეს მთელი ისტორია კოკების მტვრევისა თავიდამ ბოლომდე ტყუილი გამოდგა და სულ მთლად მოუგონია სახელოვანს წარმომადგენელს ერთგვარ პრესისას, რა სახელი უნდა დაერქვას ან ავტორს, ან მის საქციელს!

ვიდრე ამ კოკების მტვრევის ამბავს კრიჭაში ჩავუდგებით და არაქათს გავუწყვეტთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ყველა ეს ამ ზამთარს მომხდარა. დავიჭდიოთ ისიც, რომ აქ ხსენებული საცოვადი გლეხი სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდამ ამდგარა და სულ ავად თურმე ყოფილა. ამისდა მიუხედავად, ამ ავადმყოფს კაცს ცხვირწინ წყაროსათვის თავი დაუნებებია, ზამთრის ყინვასა და სუსხში სოფლის ზემოთ სამ ვერსტზე წახეტიალებულა, ორის კოკით აკიდებული, რომ სადღაც მიუვალ ღელეში, პატარა

წყაროზე, ეს ორი კოკა აევსო, ზურგზე გადაეკიდნა და იმ სიშორიდამ სოფელში ჩამოეტანა.

განა წარმოსადგენია, განა შესაძლოა, რომ კაცი, რომელიც სულ ორი კვირაა რაც აღანტალდა ქვეშაგებიდამ და სულ ავად არის, ორი კოკა სოფელ ზევით მთაში სამ ვერსტზე მიუვალ ღელეში პატარა წყაროზე მიეტანოს, იქ ორი კოკა აევსოს, სავსე კოკები ზურგზე აეკიდნოს და სოფელში ჩამოეტანოს. ორი სავსე წყლით კოკა ჯერ სახედრისა და ცხენისათვის მძიმე სატარებელია და ნაავადმყოფარი, სნეული კაცი როგორ უნდა მორეოდა? ან რა საჭიროა, რა ჭკუაში მოსასვლელია, ნახევრად შიშველმა სნეულმა კაცმა ეს მძიმე საპალნე აიკიდოს და სამი ვერსტის სიშორეზე, მიუვალ ღელეში წავიდეს წყლის ჩამოსატანად, როცა რამდენისამე ლაჯის გადადგმაზე შიგ სოფელში მშვენიერი წყაროა, როგორცა ვთქვით.

რაკი ესეა, მაშ, ეს ნახევრად შიშველი გლეხი და მის ზურგზე კოკების მტვრევა სრული ზღაპარია მაბეზღარისა და სხვა არა-რა. თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენი ტყუილის-მცხობელი მხილებელი ამასაც არა ჰკმარობს და მოგვითხრობს, რომ ამ არაყოფილს მტვრევას კოკებისას გლეხკაცის ზურგზე ილია ჭავჭავაძე —

„ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა (აბა ტრაგედია აქ არის და: ცალკე ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და ცალკე ნახევრად შიშველი გლეხი), გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულს მოურავსო“.

ნუ დაივიწყებთ, რომ ნახევრად შიშველი გურამიანთკარელი გლეხი გზად მიმავალი ყოფილა ჩემის ტყიდამ, როცა მე კოკების მტვრევისათვის მიყურებია. თუნდ ეგეც იყოს, ორმოცთუმნიანი ქურქი აქ რა სახსენებელია! რა სიტყვის პასუხია! თუმცა მე ორმოცთუმნიანი ქურქი ჩემს დღეში არცა მქონია და არც მსხმია, და თუნდ მქონებოდეს და მსხმოდეს, ამაში სამარცხვინოს არასა ვხედავ, რადგანაც მგონია, არც ჩემი მაბეზღარი დაიწუნებდა ორმოცთუმნიან ქურქს, თუ როგორმე მოიხერხებდა, მაგრამ მაინც სასურველია ვიცოდეთ: აქ ჩემი, ვთქვათ, ორმოცთუმნიანი ტყუილი ქურქი რა მოსატანია, რა შუაშია?

რაკი უმიზეზო ქვეყანაზე არა არის-რა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც არის ერთი რამ მიზეზი: ან ის, რომ საშინელი უსამართლოება დაენახვებინა ქვეყნისათვის, აქაო და ერთის მხრით ორმოცთუმნიან ქურქში გახვეული გაბღინძული თავადია და მეორეს მხრით ნახევრად შიშველი საცოდავი გლეხი, ან ალბად მე გამფრთხილებია, არ გაცივდესო, და ორმოცთუმნიანი ქურქი წამოუსხამს, თუ მართლა არა, სურვილით მაინც.

ამ გაფრთხილებისათვის დიდი მადლობელი ვარ, ხოლო ვთხოვ ჩემს მწე-მქებარე ავტორს: მიბრძანდეს, ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოცთუმნიანი კი არა, თუნდ ასთუმნიანი ქურქი წამოისხას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყიდან გზად მომავალ კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი. თუ კაცმა განგებ ჩემს შემოღობილ ეზოზე არ ჩამოიარა, კაცი ჩემის ბალკონიდან კაცს ვერა სასწაულით ვერ დაინახავს. ხოლო ჩემს ეზოზე ჩამოვლა გარეშე კაცს არ შეუძლიან ისე, რომ ჩემმა ძაღლებმა ფეხზე დააყენონ და არ გაწეწ-გაგლიჯონ.

იქნება ჩვენმა გულწრფელმა კაცთმოყვარე ავტორმა ეს ძაღლების ყოლაც დამიგმოს, — თუ ილია ჭავჭავაძე კაი კაცია, გლეხისათვის საშიშარი ძაღლები რადა ჰყავსო და, თუ ჰყავს, რატომ ისე არ გაუწურთვნია, რომ მარტო თავადი და აზნაური სწეწონ და ჰგლეჯონ და გლეხს-კი მუხლმოყრით მიგებებოდნენო. იმიტომ მყავს ამისთანა კაპასი და გაუწურთვნელი ძაღლები, რომ მარტო ვდგევარ მთაში, ტყის პირას, სოფელზე კარგა მოშორებით და, თუ კაპასი, აფთარი ძაღლები არ ვიყოლიე, ნადირისა და ქურდის შიშით მე იქ არ მედგომილება.

მაშასადამე, ჩემი ბალკონზე დგომა, იქიდამ ყურება მისი, თუ ჩემი მოურავი როგორ ამტვრევს გლეხს ზურგზე კოკებსა, ჩემი გულიანად სიცილი და წაქეზება მოურავისა, — სულ მთლად, ეხლა-კი ვიტყვი, უნამუსო ზღაპარია.

არც ეს მაკმარა ამ ყოველ მართებულობაზე, ყოველ ადამიანობაზე ხელაღებულმა ავტორმა და აი, სადამდე გაადგმევინა უწმინდური ფეხი საზიზღარ ბეზღობას. იგი აი, რით ამთავრებს ამ მოჭორილს ამბავს კოკების მტვრევისას.

„უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლეო“.

აი, ბატონებო, ხომ ხედავთ, რა ღმერთი გამწყრომია! კაცი თუ ჩემის ხელით არ მომიკლავს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, კაცის სიკვდილის მიზეზად ხომ ვარ გამომჟღავნებული, საქვეყნოდ, სამარცხვინო დაღდაკრული, საქვეყნოდ სახელგატეხილი.

ეს გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, სწორედ მოგახსენოთ, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა!.. თუმცა ვიცოდი, რომ ავტორი ჩემს დასწრებას კოკების მტვრევაში სტყუის და მით ცოტაოდენი ნუგეში უნდა მეცა ჩემის თავისათვის, რომ დანარჩენიც ტყუილი იქნება, მაგრამ რა მაფიქრებინებდა, რომ ეს ამ ზამთარს გურამიანთკარს გლეხკაცის სიკვდილი მაინც მართალი არ იქნებოდა.

განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულებით. ამიტომაც გულში გამიარა, — ვაი, თუ მართლა ჩემს მოურავს ღმერთი გასწყრომია, ეს კოკების მტვრევა ჩაუდენია და ამ მტვრევას კაცის სიკვდილი ზედ მოჰყოლია. მოვკითხე ამისი პასუხი,

ვისაც ჯერ არს, და იცით, ბატონებო, რა გამოვიდა ჩემდა სასიხარულოდ და ავტორის სამარცხვინოდ?

ის გამოვიდა, რომ ავტორის მიერ შეთითხნილს ტრაგედიას ბოლოც იმისთანა ტყუილი ჰქონია, როგორც დასაწყისი.

თურმე ნუ იტყვით: გურამიანთკარს ამ ზამთარს არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გადაცვლილა არამცთუ ჩემის მიზეზით, არამედ სხვა მიზეზითაც.

პირველ ხანს ეს საოცარი ამბავი არ დავიჯერე, კიდევ ვიტყვი: აბა, ჭკუათამყოფელი ადამიანი კაცის სიკვდილის მიზეზად როგორ გამხდიდა საქვეყნოდ იქ, როცა არავინ არ მომკვდარა. გავგზავნე გურამიანთკარს იქაურ მღვდელთან კაცი და, რადგანაც ჩვენში და ერთობ ვაკე საქართველოში ზამთარი და ნამეტნავად ყინვა ქრისტეშობისთვიდამ იწყება და არა ადრე, ვკითხე, შარშან ქრისტეშობისთვიდამ წლევანდელს აპრილამდე მომკვდარა ვინმე გლეხკაცი გურამიანთკარს, — და აი, რა პასუხი მომივიდა წერილით: „შარშან პირველ დეკემბრიდამ წლევანდელ პირველ აპრილამდე მამაკაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა“.

ნუთუ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა მაგალითი, რომ ბეზღობას ამისთანა რამ მოეხდინოს სადმე? ნუთუ მაგალითი ყოფილა სადმე, რომ კაცის სიკვდილი არსად იყოს, კაცმა ეს სიკვდილი თვით განგებ მოაჭოროს და ამ არ-ყოფილის სიკვდილის მიზეზად კაცი ვინმე გახადოს.

ნუთუ იქნება-ღა მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზღობისა ამაზე უფრო უუსაძაგლესი, ამაზე უფრო შემაზრზენი, ამაზე უფრო გულისასამღვრევი? — ნუთუ ამისთანა მაბეზღარის ხელშემწყობს გაზეთს თუ ჟურნალს პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? თუ ასეა, ნუთუ სამართალი არ მიგვიძღვის წყევლა-კრულვით — ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებლობის წამწყმედი და ძირს დამცემი პრესა შევაჩვენოთ! ნუთუ სამართლიანის გულისწყრომით არ უნდა მიღებულ-იყოს თვით პრესისაგანვე ამისთანა ყოვლად უკადრისი საქციელი?

მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენწინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელაღებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია.

აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭია-ღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს.

ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი და უტყუარი, უცილობელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშუშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნეობადაცემულობისა.

არ ვიცი, — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ. დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდ იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.

]1905]

53. იმერეთის თავადაზნაურობის სულმოკლეობა

ჰამლეტი: „ჯერეთ ერთი თვე ძლივს გასულა, არ გასცვეთია ჯერ ფეხსაცმელი, რომლით იგი, ცრემლის მფრქვეველი, მისდევდა კუბოს უბედურის მამიჩემისას! და ეხლა კი დაქორწილდა — ოჰ, ზეცის მადლო!“ შექსპირი

სწორედ შარშან ამ დროს იმერეთის თავადაზნაურობამ, ხალხის ძლევამოსილ მოძრაობით გამოღვიძებულმა, ხმა ამოიღო, მოითხოვა ავტონომია ჩვენის ქვეყნისათვის. არ გასულა ერთი წელიწადი, — „არ გასცვეთია ჯერ სამოსელი, რომლით იგი ცრემლისმფრქვეველი“ ხალხის მოძრაობას ბანს აძლევდა ეს თავადაზნაურობა და, აი, ეხლა სულ სხვა ჰანგზე მღერის და თავისს ჩვეულებრივ, საუკუნოებით ნაცად და გაცვეთილ იარაღს ხმარობს. კიდევ მადლობა და თაყვანისცემა! მაგრამ რა აქვს სამადლობელი და სადღესასწაულო იმერეთის თავადაზნაურობას? ოქტომბრის მანიფესტი?* ის 17 ოქტომბერი, რომლის ძალითაც და რომლის გამო ჩვენი ქვეყანა სისხლითა და ცრმელით მოირწყო? ის

* თურმე მადლობებით გატაცებული თავადაზნაურობა იქამდის მისულა, იმის მადლობაც კი შეუწერავს, რაც ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი; მაგ. სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომებში მონაწილეობის მიღების ნების მიცემისათვის; მაგრამ საიდან იციან ამ ბრძენმა წინასწარმეტყველებმა, გვაძლევენ თუ არა ჯერ ამის ნებას. რა აჩქარებდათ? ნუთუ 27 აპრილს არ შეეძლოთ ეს მადლობა მიეტანათ, ან იქნებ ეშინიანთ — ვაი თუ მაშინ აღარ იყოს ამისი დროო.

17 ოქტომბერი, რომლის შემდეგაც ჩვენი ქვეყანა სამაგალითოდ იქნა აოხრებული? ნუთუ ამდენად დაჰკარგა ყოველივე ყნოსვა პოლიტიკური, ყოველივე ზნეობრივი სიფაქიზე ამ წოდებამ, რომ თითქო ნიშნის მოსაგებად ამგვარ უცნაურ მადლობებისა და მუხლმოდრეკის განცხადება იკისრა? შარშან ამ დროს თავადაზნაურობამ თავისს წოდებრივ უფლებების უპირატესობის საუკუნოდ მოსპობაზედ მოაწერა ხელი და ამით სახელის მოხვეჭა შეეძლო, დღეს კი მან ხალხისა და ქვეყნის ცრემლსა და ოხვრაზედ აღაგო თავისი სიხარული და აღტაცება, ხალხს ზურგი შეაქცია, საუკუნოდ თავისი ზნეობრივი კოტრობა აღიარა და თავისი თავი სამარცხვინოდ მოსპო, კეთილშობილურის აღშფოთებით აღსავსე წინადადება თავ. დ. მიქელაძისა უკუაგდო და ჩააფუჩეჩა და რაღაც უცნაურის ადრესებისა და მადლობების გამოცხობას მოჰყვა. მართლა, რა ოცნებაა და რა მემკვიდრეობითი გარდამოცემული გულუბრყვილობა და ბალღობა, ელოდე რაიმე ხეირს იმ წოდებისაგან, რომელიც საუკუნის განმავლობაში ნიადაგ იმასა სცდილობდა, რომ მასხარას როლი ეთამაშა.

უსამართლობა იქნება, ესეც არ მივიღოთ მხედველობაში, რომ ის ოცდაათიოდე კაცი, რომელმაც ეს სამარცხვინო ისტორიული ნაბიჯი წარსდგა, სრულიადაც არ შეადგენს მთელს იმერეთის თავადაზნაურობას. ესენი გახლავან მოხელე ჩინოვნიკები, რომელნიც ქუთაისში სცხოვრობენ და მათშიაც იმათ ეჭირათ დირიჟორის როლი, რომლებიც სხვა დროს მზეზე გამოფენას ვერ ბედავენ ხოლმე. დიაღ, ზოგიერთმა ვაჟბატონებმა იდვეს თავს ასეთი დანაშაული და მათ შეიყვანეს დანარჩენი 30 კაცი შეცდომაში, რომლის გამოსწორება ძნელი შესაძლებელია; თორემ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმეტესობა იმ თავადაზნაურობისა, რომელნიც გაღატაკებულია და მოკლებული ყოველგვარ „მფარველობას“, ხალხთან ერთად იტანჯება. საბედნიეროდ, თვით იმ კრებაში გამოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც, თუმცა სუსტად (რაც გასაგებია ამისთანა დროებაში), მაგრამ აშკარად წინააღუდგნენ ამ სამარცხვინო კომედიას (თ. დ. მიქელაძე დ. ლორთქიფანიძე და სვ. გ. წერეთელი. ამ ორმა უკანასკნელმა უარი განაცხადა იმ კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელსაც უნდა შეეთხზა მადლობები).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმეტესობა ჩვენის თავადაზნაურობისა ჩვენთან ერთად აღშფოთებულია ამ არამკითხე მოამბეების მატრაკვეცობით და პასუხს მოსთხოვს, თავისს მსჯავრსა და განაჩენს დასდებს ამ ვაჟბატონებს, რომელთაც ხელში იგდეს მარჯვე დრო და თავიანთი ქვენა გრძნობები გამოაფინეს და მთელს წოდებას ასეთი უცნაური ღალატი და სულმოკლეობა ჩაადენინეს.

ივერიელი

[1906]

შენიშვნები
და
კომენტარები

ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (20 ტომად) წინამდებარე, მეთოთხმეტე ტომი მოიცავს 1898-1906 წლების პუბლიცისტურ წერილებს. ტომში შესულია 51 წერილი; მათ შორისაა 1899 წელს დაბეჭდილი ვრცელი (ასგვერდიანი) ნარკვევი – „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

ტომში შესული წერილების ტექსტი („ქვათა ღაღადის“ გარდა), მოამზადა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა – ლამარა მეგრელიშვილმა;

ტომის სამეცნიერო აპარატი – კომენტარები და მრავალფეროვანი საძიებლები, აგრეთვე „ქვათა ღაღადის“ ტექსტი და სამეცნიერო აპარატი მოამზადა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა – ლამარა გვარამაძემ.

ტომში შესული წერილების ტექსტს უკავია 497 გვერდი, სამეცნიერო-საცნობარო აპარატს – 58 გვერდი.

ტომში შესული 51 წერილიდან, „ივერიაში“ პუბლიკაციის შემდეგ, პირველად ჩვენს ტომში იბეჭდება 22 წერილი.

წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმოუწერელია. მათი ატრიბუციისათვის სხვადასხვა დროს კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ:

პ. ინგოროყვა, თ. მაჭავარიანი, პლ. კეშელავა, ალ. კალანდაძე, თ. სახოკია; მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლევან ჭრელაშვილის მიერ ი. ჭავჭავაძის წერილების ატრიბუციის საკითხზე გამოქვეყნებული ნაშრომები. გარდა ამისა, ხშირად ერთი წერილი საშუალებას გვაძლევდა მომდევნო რამოდენიმე წერილის ავტორის ვინაობა დაგვედგინა, რადგან ეს წერილები თემატურად თუ იდეურად ლოგიკურ კავშირში არიან ერთურთთან და ხშირად მომდეევნო წერილის ტექსტი ადასტურებს წინა წერილის ილიასეულობას. ამ მხრივ საინტერესოა „პატარა საუბრებით“ დასათაურებული და „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილები,

რომელთაგან „ივერიაში“ პუბლიკაციის შემდეგ დაიბეჭდა მხოლოდ ორი – „ქართველნო დედაკაცნო (ათტომეული, ტ. 3, გვ. 427)“ და „კვალის“ მკითხველებს...“ (გ. აბაშიძის გამოცემაში – „კ. აბაშიძე, ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“ (კომენტარები, გვ.49) (იხ. ჩვენი ტომის გვ, 504, 523) დანარჩენი 8 წერილი ამავე სათაურით ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველად, „ივერიაში“ პუბლიკაციის შემდგომ; „ახალ-მოსულის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული ეს წერილები ორგანულად არიან დაკავშირებულნი ამ წლების სხვა წერილებთან და, ამასთან, დადასტურებულნიც ბოლოხანს ბიბლიოგრაფთა მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერილების დიდი ნაწილი „ივერიის“ მოწინავეა და ამიტომ სათაურად მხოლოდ თარიღი ახლავს. მაგ. „ტფილისი, 15 იანვარი“ და ა.შ. სარედაქციო კოლეგიის მოთხოვნით ყველა ეს წერილი დასათაურდა შინაარსთან მისადაგებით, თუმცა ეს იყო აკადემიური გამოცემის პრინციპის მნიშვნელოვანი დარღვევა, მაგრამ რადგან ეს პრეცედენტი უკვე არსებობდა პ. ინგოროყვას გამოცემებში, ადრინდელმა სარედაქციო კოლეგიამ იგი მიზანშეწონილად ჩათვალა. ჩვენ მიერ მიცემული სათაურები ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში. პ. ინგოროყვას მიცემული სათაური კი, როგორც ტრადიციულად უკვე დადასტურებული, მითითებულია მხოლოდ პასპორტის მონაცემებთან.

როგორც ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისათვის არის ნიშანდობლივი საერთოდ, ამ ტომში შესული წერილებიც ყველა იმ საჭირბოროტო პრობლემების ანალიზსა და შეფასებას აწვდის საზოგადოებას, რაც

საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებული სიმწვავითა და პრინციპულობით იდგა დღის წესრიგში. (იხ. ტომის თემატური საძიებელი).

საკითხების მრავალფეროვნებამ განაპირობა საცნობარო აპარატის მრავალფეროვნებაც: ტომს ერთვის სახელთა ანოტირებული საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა, მოხსენიებულ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლთა თუ მოვლენათა ანოტირებუ-ლი საძიებელი, თემატური ანუ საგნობრივი საძიებელი.

ტომს ახლავს სარჩევი, ტექსტისა და კომენტარის გვერდების მითითებით.

ლამარა გვარამაძე, ლამარა მეგრელიშვილი

1. ილია ოქრომჭედლიშვილი, (ნეკროლოგი) (გვ. 9)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ. № 2, 4 იანვარი, გვ. 1

ილია ჭავჭავაძეს გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ილია ოქრომჭედლიშვილთან როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი საქმიანობით.

გვ. 10 – „ვისრამიანიც“ საკუთარის ხარჯით დაჰბეჭდა ... “ – იგულისხმება 1884 წელს ილია ჭავჭავაძის, პეტრე უმიკაშვილისა და ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობით გამოცემული „ვისრამიანი“; ამ გამოცემაში, გარდა სარედაქციო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისა, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის გამოცემისათვის წამძღვარებული წინასიტყვაობის მნიშვნელოვანი ნაწილიც (იხ. ჩვენი გამოცემის ტ. 5, გვ. 654-5). სწორედ მისთვის მიუმართავს ილია ოქრომჭედლიშვილს და გაუგზავნია გამოცემისათვის საჭირო თანხა. „ეს საქმე შენ იკისრე და ისე ოსტატურად წაიყვანე... ჩემი სახელის ხსენება აქ საჭირო არ არის. მიზეზად და წყაროდ რაც გეხერხოს, ის მოიყვანე და საქმე დარჩება ჩვენში, ჩემსა და შენს შორის. როდესაც ამას მოაგვარებ, შემატყობინე, ფულს ნაწილ-ნაწილ თავის დროზე მიიღებ“. (იხ. ა. გვახარია, „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა და ი. ჭავჭავაძე“, ილიას კრებული, II, თსუ-ს გამოცემა, 2004წ., გვ.125).

2. პატარა საუბარი („ქართველნო დედაკაცნო..“) (გვ. 13)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ., №4, 8 იანვარი

ამ სათაურით ილიამ რამოდენიმე წერილი გამოაქვეყნა „ივერიაში“ „ახალმოსულის“ ხელმოწერით. ეს წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ ილიას ავტორობას ადასტურებენ როგორც გაზეთის თანამშრომლები (იხ. ი. ჭავჭავაძე, ათტომეულის ტ. 3, გვ. 505), ასევე თავად ილიას

მომდევნო წერილებში ავტორის მიერვე დამოწმებული ფაქტები (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 25).

გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდვის შემდეგ, წერილი პირველად გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ (ათტომეული, ტ. 3, გვ. 427).

3. <ᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ> (ᲒᲕ. 17)

ტფილისი, 12 იანვარი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ, „ივერია“, 1898 წ., №8, 13 იანვარი

ამ წერილთან დაკავშირებით იხ. აქვე, წერილი № 11-ის კომენტარი.

4. <ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ> (ᲒᲕ. 20)

ტფილისი, 13 – იანვარი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ. №9, 14 იანვარი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ

5. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲥᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ (ᲒᲕ. 25)

ტფილისი, 17 იანვარი; ტფილისი, 19 იანვარი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ. №12, 18 იანვარი; №13, 20იანვარი

წერილი დასათაურებული და გაერთიანებულია პ. ინგოროყვას მიერ.

გვ. 25 – „ჩვენ ამას წინათ „პატარა საუბარი“ დავბეჭდეთ ...“ – იხ. ჩვენი ტომის გვ.13. ილიას ამ წერილს გამოეხმაურა გაზ. „Новое Обозрение“ – 1898წლის №4818-ში დაბეჭდილი წერილით „Обзор печати“, რომელიც გ. თუმანიშვილს ეკუთვნოდა.

გვ. 34 – „სულ ერთი კვირაც არ არის, რაც ასი წელი შესრულდა მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღიდამ“ - იხ. ჩვენი ტომის №3 წერილი (გვ. 17)

„თ. გ. თუმანოვის ამქრის წარმომადგენლებმა... აინუნშიც არ გაიტარეს“ – თუმანოვის ამქარს უწოდებს ილია მაშინდელ თბილისის ქალაქის საბჭოს, სადაც, ილიას აზრით, მიზანსწრაფულად მიკერძოებული არჩევნების შედეგად ილახებოდა საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესები.

6. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ („უკვე გაზეთებში გამოცხადდა“) (ᲒᲕ. 36)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ. №15, 22 იანვარი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

გვ.37 – „კულტუროსანთა საბჭოს არ მოუკითხნია... ანგარიში“ – ილია გულისხმობს ქალაქის საბჭოს მესვეურებს, რომელთაც ხან „გ. თუმანოვის ამქარს“ უწოდებს, ხან „კულტუროსანთა საბჭოს“.

„საომრად გაიყვანეს ბ-ნ ევანგულოვთან და მელასავით კუდამოძუებული გაიპარა ომიდამ“ – იგულისხმება ქალაქის საბჭოს თავის არჩევნებში გ. თუმანიშვილის გაწბილება.

გვ. 38 „რა „მელიქი“ ეყოლებოდა ჩვენს ქალაქს!“ – ილია სხვა წერილებშიც ხშირად მოიხსენიებს მას, როგორც „მელიქს“.

7. ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები (გვ. 39)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ. №18, 25 იანვარი; №24, 31 იანვარი

წერილი დასათაურებულია და გაერთიანებული მომდევნო წერილთან პ. ინგოროყვას მიერ.

გვ. 41 - „ეს დრეიფუსის საქმე იმისთანა რა არის...“ – დრეიფუსი – ალფრედი (დაიბ. 1854წ.), საფრანგეთის არტილერიის კაპიტანი, რომელსაც სამხედრო სასამართლომ უცხოეთის ჯაშუშობაში დასდო ბრალი 1895 წელს და სამუდამო გადასახლება მიუსაჯა. დრეიფუსმა გაასაჩივრა განაჩენი. ფართო საზოგადოებამ აიტაცა ეს პროტესტი. შეიქმნა ე.წ. „დრეიფუსის საქმე“. ფრანგულ რადიკალურ გაზეთში „Aurora“ გამოქვეყნდა ემილ ზოლას მკაცრად მამხილებელი წერილი, მიმართული სამხედრო მმართველობის წინააღმდეგ, რასაც დიდი რეზონანსი ჰქონდა ევროპულ საზოგადოებაში. სწორედ ამას მიუთითებს ილია თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში.

8. <პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო> (გვ. 49)

ტფილისი, 4 თებერვალი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 26, 5 თებერვალი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

გვ. 49 - „ამას წინად ტფილისის საბჭოში საუბარი გაიმართა ... “ – საგულისხმოა, რომ პოლიტექნიკური სასწავლებლების თემას ილია ჭავჭავაძე მომდევნო წერილებშიც განიხილავს მისთვის ჩვეული თანამიმდევრული, გამოწვლილვითი ანალიზით, როგორც ეს იყო მაგ. მეისნერის პროექტთან დაკავშირებით (იხ. ჩვენი გამოცემის ტომი 7, გვ. 26-79). პირველ წერილში გადმოსცემს

პრობლემის გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, შემდგომ კი განიხილავს ამ პრობლემას ყველა სიბრტყეში – მის როლსა და მნიშვნელობას ზოგადად, ნებისმიერი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სივრცეში და, ბოლოს, მის ავკარგიანობას კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და წარმატების საქმეში (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 78, 142).

„Новое Обозрение“ 1898 წლის 14 იანვარს (№ 4820) აქვეყნებს ცნობას, რომ 12 იანვარს საქალაქო დუმაში... პოლიტეხნიკუმის გახსნასთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა დუმის წევრი ა. ივანენკო. ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა ნ. ხუდადოვმა.

„ბ-ნმა ხუდადოვმა დაჰბეჭდა „Новое Обозрение-ში“ – იგულისხმება 1898 წლის 15 იანვარს, №4821-ში დაბეჭდილი წერილის – „Около политехникума“ პასუხად ხუდადოვის მიერ ამავე გაზეთის 1 თებერვლის №4838-ში გამოქვეყნებული წერილი „Письмо в редакцию“.

9. პატარა საუბარი (საკვირველი კაცია...) (გვ. 59)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898 წ., №27, 6 თებერვალი

გვ. 59 „გუშინ „ცნობის ფურცელში“... მწარედ შეუტია ჩვენს თეატრის მემატიანეს...“ - 1898 წლის 5 თებერვალს „ცნობის ფურცელში“ (№ 447) დაიბეჭდა აკ. წერეთლის წერილი: „„ივერიის“ №25-ში დაბეჭდილი „მე გახლავარ“-ის სტატიის გამო“, სადაც იგი ეკამათება სტატიის ავტორს (მ. ნასიძეს) და იცავს საკუთარ პოზიციას (თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 13, გვ. 337-8).

გვ. 62 „ ბ-ნმა სახოკიამ ერთხელ... ნაკვესები დაჰბეჭდა ბ-ნ აკაკის სახელითა...“ – თედო სახოკიას მიერ 1895 წელს გამოქვეყნებულ პატარა წიგნაკს – „აკაკის ნაკვესები“ დიდი მღელვარება მოჰყვა იმ დროის ქართულ

საზოგადოებაში. ამავე წლის 16 აპრილს „ივერიაში“ დაბეჭდილმა „ჩიორას“ (არტემ ახნაზაროვი) კრიტიკულმა წერილმა თედო სახოკიას დიდი გულისწყრომა გამოიწვია და საქმე სასამართლომდეც კი მივიდა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქ. გზირიშვილის მიერ მომზადებული წერილი „წიგნის ისტორია“, გაზ. „ქართული წიგნი“, 2002 წ., №6, 18 ივნისი, გვ. 8-9). შექმნილ უხერხულ ვითარებაში აკაკიმ იუარა, რომ გაცნობილი იყო ამ წიგნის ხელნაწერს (იხ. ამავე წერილში მოტანილი მედიცინის მეცნ. დოქტორის, პროფესორ გ. ხვედელიძის ცნობა, გვ. 9).

10. <სოფლის ახალგაზრდობა და მამულის პატრონობა> (გვ. 63)

ტფილისი, 18 თებერვალი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ. №36, 14 თებერვალი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

11. <ღარიბ მოსწავლეთა მიღება სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით.> (გვ. 68)

ტფილისი, 19 თებერვალი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №37, 20 თებერვალი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

12. ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან (გვ. 72)

ტფილისი, 21 თებერვალი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №39, 22 თებერვალი

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ (ათტომეული, ტ. 4, გვ. 264). პირველ წერილად ამ სათაურქვეშ მოთავსებულია 12 იანვრის მოწინავე (იხ. ჩვ. ტომის წერილი №3, გვ. 16 – „წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენებლად“)

გვ. 73 – „მამული ვეღარ იხილავს ...“ –გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“.

„ვერ გაიგეთა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია...“ – აკ. შანიძე, „ქართ. ხალხ. პოეზია, I, ხევსურული“, გვ. 23.

გვ. 76 – „მოკვდა და თავის ანდერძით... “ – იქვე.

13. პატარა საუბარი (გენერალ-ლეიტენანტმა..) (გვ. 77)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №46, 3 მარტი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

ილია მკაცრად აკრიტიკებს ს. ქიშმიშოვის წიგნს – „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“, რომელიც ერთობ სუბიექტურად მიმოიხილავს XVIII ს-ის საქართველოს ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარებას. ილია იმოწმებს ცნობილი რუსი ორიენტალისტის, პროფესორ ორლოვის აზრს ამის თაობაზე.

14. <ᲝᲘᲜᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲡᲣᲚᲔᲚᲝᲑᲐ?> (ᲒᲕ.79)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., № 45–46, 3 მარტი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ პუბლიკაციის შემდეგ. ილიას ავტორობას ადასტურებს აგრეთვე თემა პოლიტექნიკური სასწავლებლის შესახებ (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 48). აქაც კვლავ გაკრიტიკებულია გ. თუმანიშვილისა და ქალაქის საბჭოს სხვა მესვეურთა ზერელე დამოკიდებულება ქვეყნისათვის ესოდენ საჭირბოროტო საკითხისადმი.

გვ, 82 – „თ. გ. თუმანოვი დრეიფუსობაში ჩამოგვართმევს... ჩვენც ერთი ზოლა გამოგვიჩნდება...“ – იმ ხანად საყოველთაოდ გახმაურებულ დრეიფუსის ამბავს ილია არაერთხელ ეხება თავის წერილებში (იხ. აქვე, გვ. 41).

გვ. 83 – „დღეში თუნდ ორმოცს მაგისთანა გეგმას გამოაცხობს ჯვარის-მამის შოთებსავით“ – ჯვარის მამის ეკლესიის შოთები და ლავაშები თბილისის კიდევ ერთი კოლორიტი იყო იმ დროს. საინტერესოა, რომ საუკეთესო ქართული პური დღესაც ცხვება ეკლესიის ეზოში.

გვ. 93 – ის იცინის ასლად, ვინც ბოლოს გაიცინებს.“ – საგულისხმოა, რომ ილია ამ სიტყვას – „ასლი“– არაბული შესატყვისის მნიშვნელობით ხმარობს –სრულად, სავსებით, ნამდვილად.

15. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ (თ. გ. თუმანოვი გუშინდელ..) (ᲒᲕ.102)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №48, 5 მარტი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მისი გამოქვეყნების შემდეგ.

წერილი გაგრძელებაა ამ ტომის 77-ე გვერდზე დაბეჭდილი „პატარა საუბრისა“ და 79-ე გვერდზე

მოთავსებული ვრცელი წერილისა „ოინბაზობა თუ სულელობა“, პასუხად გაზ. «Новое Обозрение»-ში გ. თუმანიშვილის მიერ დაბეჭდილი წერილებისა (№4866, 4868).

16. ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ! (ᲒᲕ. 106)

ტფილისი. 4 აპრილი

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1898წ., № 73, 4 აპრილი, გვ.1

გვ.106 – „რომელმან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა...“ – მათე 9:17

„მე ვარ ნათელი სოფლისა...“ – იოანე 8:12

„მე ვარ გზა...“ – იოანე 14: 6

„მე ვარ პური...“ – იოანე 6:35

გვ. 107 – „ძველი აღთქმა სჯერდებოდა არა ქმნას ბოროტისას...“ – იხ. ათი მცნება“ – გამოსლვათა 20:1–17; მათე 18, 19;

„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა...“ – მათე 5:48

გვ. 108 – „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა...“ – მათე 5:43

„აღიღეთ უღელი ჩემი...“ – მათე 11:29

17. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲝᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ნეკროლოგი) (ᲒᲕ. 109)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №102, 17 მაისი

18. <ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲖᲔ> (ᲒᲕ. 113)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №103, 19 მაისი

წერილი იბეჭდება პირველად „ივერიაში“ მისი პუბლიკაციის შემდეგ.

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვა ჩართულია წერილში, რომელიც აღწერს სიონის საკათედრო ტაძარში შემდგარ ცერემონიალს, მიძღვნილს გორის ტაძრის ეპისკოპოსის – უსამღვდელოეს ალექსანდრეს კურთხევისადმი გურია–სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად.

19. < ცვლილებანი ბანკის წესდებაში > (გვ. 118)
ტფილისი, 19 ოქტომბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №224, 20 ოქტომბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მისი პუბლიკაციის შემდეგ.

გვ. 118 - „დაიბეჭდა და... გამოცხადდა იგი ცვლილებანი... – 1898 წლის 21 ივნისს („ივერია“, 1898, №155) გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის განკარგულება თბილისის საადგილმამულო–სათავადაზნაურო ბანკის წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

20. <ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში> (გვ. 123)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №245, 246, 247, 14-18 ნოემბერი

დასათაურებულია ჩვენს მიერ, რადგან ეს და კიდევ სხვა წერილები ერთ სათაურქვეშ – „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“ – გააერთიანა პ. ინგოროყვამ (იხ. ათტომეულის ტ. 9, გვ.165-183).

21. უკანონოდ შობილთა უფლება (გვ. 134)
ტფილისი, 18, 19 ნოემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, №248, 249, 19–20 ნოემბერი

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ.

22. სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ (გვ. 143)
ტფილისი, 25-28 ნოემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №253, 255, 26–29 ნოემბერი

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, წინა წერილებში (იხ. გვ. 49, 79), ილია მრავალ პლანში განიხილავს სატექნიკო სასწავლებლების ავკარგიანობას, მიუდგომლად განსჯის ჰოს და არას, მწვავედ აკრიტიკებს უსაფუძვლო და უნიადაგო სჯა-ბაასს. ამ წერილში კი უკვე მისი მწყობრი თვალსაზრისია გადმოცემული ამ საკითხის მიმართ და დასახულია სადღეისო გეგმაც მისი ხორცშესხმისათვის.

გვ. 151 – „ხოლო ღონეც და ხელიც „უხმარ არს“ უცოდინართათვის – იხ. დ. გურამიშვილი – „ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“

23. <ინგლისი ახალ პოლიტიკურ ვითარებაში> (გვ. 153)
ტფილისი, 5 დეკემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №261, 6 დეკემბერი

24. < ბანკის დაფუძნებისათვის შეტანილი თანხის განკარგვა> (გვ. 160)
ტფილისი, 12 დეკემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1898წ., №267, 13 დეკემბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მისი გამოქვეყნების შემდეგ.

გვ. 160 – „პატივცემულმა ანტ. ფურცელაძემ დაბეჭდა ჩვენს გაზეთში...“ - გაზ. „ივერიის“ 1898წ., №264-ში გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის წერილი - „რა ვუყოთ ფულს, რომელიც გვიბრუნდება დამფუძნებელთ ბანკიდან?“ ილია ჭავჭავაძემ გაზეთის მოწინავეში მხარი დაუჭირა იდეას, რომ ეს ფული თავადაზნაურობას მოეხმარებინა ყველაზე საჭირბოროტო ეროვნული საქმის საშველად და მოუწოდა საზოგადოებას, გამოხმაურებოდა ამ წამოწყებას.

1898 წლის №269-ში დაიბეჭდა ივ. როსტომაშვილის წერილი, №273-ში – თ. ვ. თაქთაქიშვილისა და სხვ.; გადაწყდა, რომ ეს ფული სწავლა–განათლების საქმეს მოხმარებოდა.

25. საახალწლოდ (გვ. 165)
ტფილისი, 31 დეკემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №1, 1 იანვარი

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ

გვ. 169 „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“... – წერილის ამ განწყობილებას ეხმაურება ილიას სხვა წერილიც – „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ (იხ, ჩვენი გამოცემის ტ.VII, გვ. 232). ამ შედარებით ვრცელ წერილში ილიას დიდი მხატვრულობით გამოაქვს სააშკარაოზე ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი სიმახინჯენი და როგორც მოთხრობას – „კაცია–ადამიანი?!“ – სარკესავით უმარჯვებს მკითხველს.

26. <ქალაქის თვითმმართველობის დებულების შესახებ> (გვ. 170)
ტფილისი, 26 იანვარს

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, № 19, 1899წ., 27 იანვარი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

27. სომეხთა მეცნიერნი და „ძვათა ღაღადი“ (გვ. 177)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №№ 64, 65, 67–69; 24, 25, 28, 30, 31 მარტი;

ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1899წლის აპრილში.

რუსულ ენაზე ნ. ალექსი-მესხიშვილის თარგმანი დაიბეჭდა 1902 წელს.

1898 წლის მიწურულს პოეტ ვასილ ველიჩკოს უჩუქებია ილიასთვის გ. ა. ეზოვის წიგნი „Сношения Петра Великого с армянским народом, СПБ, 1898, წარწერით: „Столпу народа грузинского, князю Илъе Григоръевичу Чавчавадзе, да будет укором это «научное» исследование лояльного Г.А. Эзова, истинного представителя грузино-армянской солидарности. Руси мегобари» (ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე – „ილია ჭავჭავაძე– ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, გვ. 290). ამავე მატიანეში ვკითხულობთ, რომ ილიას 1899 წლის იანვარშივე დაუწყია ამ ნაშრომზე მუშაობა, ხოლო მარტის შუა რიცხვებში დავით სარაჯიშვილის ოჯახში ქართველ მოღვაწეთა წრეში წაუკითხავს იგი (იქვე, გვ. 292).

ილია ჭავჭავაძის ამ ვრცელ ნაშრომში (დაახ. 100 ნაბეჭდი გვერდი) განხილულია ის საჭირბოროტო საკითხები, რასაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი სიცხოველე –

კერძოდ ისტორიული წარსულის ღრმა და საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლაზე დამყარებული ობიექტური ანალიზი და პირუთვნელი შეფასება. ამისი საჭიროება, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა XIX საუკუნეში, როცა ეროვნული კულტურის თითოეულ მონაპოვარს თვალისჩინივით გაფრთხილება და დაცვა უნდოდა რთული პოლიტიკური ვითარების გამო.

გვ. 179-180 – „მინამ კალამს ხელში ავიღებდით... დიდხანს ჩავუფიქრდით... როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ღმერთმა გვაშოროს, იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთი გუნდია ცოდვილი...“ – წერილის შესავალი ილიას ამ აზრის დასაბუთებას უკავია (გვ.177–186). ილია ცდილობს, რომ მისი სტატია დემაგოგიის მსხვერპლი არ გახდეს „ცრულიბერალების“ ხელში.

გვ. 186-7 – „საოცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცის წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და რუსის მწერლითვე თავდება; ამათ შუა მთელი მწკრივია სომეხთა მეცნიერთ-მწიგნობრებისა... ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან... ერთსულ და ერთხორც... გაჩარხულნი ერთისა და იმავე ანგარიშის ჩარხზე“. – როგორც ყოველთვის, აქაც ილია არსში წვდება მოვლენას და ააშკარავებს რუს „ვაიმეცნიერთა“ იმპერიულ ზრახვებს.

გვ. 203 – „ერთი აკაკისთან მისი (ნ. მარის, ლ. გ.) საუბარი გადაათვალიერეთ...“ – იგულისხმება აკაკი წერეთლისა და ნ. მარის კამათი ქართულ კულტურულ სიძველეთა ხელყოფისა და უძველესი ისტორიული წყაროების უგულებელყოფის საკითხებზე.

1898 წლის იანვარში გამოვიდა „აკაკის კრებულის“ მეხუთე ნომერი, სადაც დაიბეჭდა აკაკის წერილი – „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანის და სომხეთის“, რომელიც შემდგომ არცერთ გამოცემაში მას აღარ შეუტანია. ამ წერილის საპასუხოდ სომხურ გაზეთში „ნორ-დარი“ (№45, 13 მარტი), გამოქვეყნდა აკაკის ზემოხსენებული წერილის საწინააღმდეგო სტატია, ხოლო კრებულში „Братская

Помощъ Армянам“, გვ.561, დაიბეჭდა ნ. მარის წერილი: „ „Отповеди Акакию “, რომლის პასუხადაც აკაკი წერეთელმა თავისი კრებულის მეშვიდე ნომერში დაბეჭდა „პროფესორ მარრის საპასუხოდ“ და იგივე წერილი გამოაქვეყნა გაზ. „Кавказ-“-ში სათაურით: „Ответ приват-доценту Н Марру “; საგულისხმოა, რომ აკაკის არც ერთი ეს წერილი თხუთმეტტომეულში არ შესულა. საპასუხო წერილი ნ. მარმა გაზ. „ Новое Обозрение-ში გამოაქვეყნა სათაურით: „Вместо ответа публицисту - поету“, სადაც იგი ეკამათება აკაკი წერეთელს სომხურ-ქართული კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთზეგავლენის არაობიექტურ შეფასებაში და საყვედურობს, რომ ერთეული შემთხვევა სომხის საქციელისა მას განზოგადებული აქვს და მთელ სომხობას სდებს ბრალს. (იხ. იმდროინდელი სომხური პრესა თბილისში და აგრეთვე ხ. ლ. ვერმიშევის წიგნი: „Материалы для истории грузино-армянских отношений. Ответ на книжку кн. И. Г. Чавчавадзе: Армянские ученые и «вопиющие камни». С.Петербург, 1904წ. გვ. 71-73, 108-109).

ნ. მარისა და აკაკის პოლემიკას გამოეხმაურა გაზ. „ივერიაც“, 1898 წლის №№ 80, 81 ბეჭდავს „მე გახლავარის“ (მ. ნასიძე) წერილს: „პრივატ-დოცენტი მარრი და მისი სამეცნიერო მეტოდი“, რომელშიც მიმოხილულია აკაკის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის უნიათობა.

გვ. 206 – „კარგა ხანია, რაც დაიქადა რომ „ვეფხის-ტყაოსანი“... –ინგლისში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვი და დაგიმტკიცებთ, რომ იქიდამ არის ეგ ნათარგმნი, ან გადმოღებულიო.“

– იგულისხმება ნ. მარის „წერილი ვეფხის ტყაოსნის გამო“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „თეატრში“, 1890 წლის 18 მარტს, №12, გვ. 1-2. წერილში მარი „კატეგორიულად აყენებს ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან თარგმნის დებულებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი არ არის ორიგინალური ქართული ნაწარმოები, ის სპარსული ორიგინალის თარგმანია. ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ ჩქარა აღმოაჩენს ვეფხისტყაოსნის სპარსულ ორიგინალს

ბრიტანეთის მუზეუმში: „ველი ცნობებს ერთს სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანიულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანიაო“ (გაიოზ იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712- 1956 წლები, თბილისი, 1957).

გვ. 242 - „როცა საქართველოში იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტი გამოცხადდა რუსეთთან შეერთებისა – ეს მანიფესტი პავლე I-მა გამოსცა 1801 წლის 18 იანვარს, ხელმოწერილია 1800 წლის 18 დეკემბერს (იხ. З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПБ, 1901. გვ.298)

გვ. 246 – „ ... ბ-ნმა ვლად. გოლმსტრემმა ამ ახლო ხანში დაჰბეჭდა „Петербургские Ведомости“- ში თავისი წერილი ამ სათაურით: „ И камни возопиют!“ – (ფელეტონი დაიბეჭდა 1899 წლის № 33-ში). თუ რა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ილიამ ამ წერილს, ცხადი ხდება იმითაც, რომ თავისი ნაშრომის სათაურად სწორედ ეს სიტყვები გამოიყენა და საფუძვლიანად გააკრიტიკა გოლმსტრემის მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი, თანამიმდევრულად დაადასტურა მისი მეცნიერული პოზიციის უსაფუძვლობა და მცდარობა.

28. <სწავლების სისტემა კლასიკურ გიმნაზიებში> (გვ. 284)

ტფილისი. 9 ოქტომბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №218, 9 ოქტომბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

29. <შესაწირავი დრამატიულ საზოგადოებას> (გვ. 288)

ტფილისი, 18 ოქტომბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №225, 19 ოქტომბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

30. <სიტყვა, წარმოთქმული ე.ლ. მარკოვისა და ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე> (გვ. 292)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №230, 27 ოქტომბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მისი გამოქვეყნების შემდეგ.

ეს ნადიმი თბილისის ქართველ და რუს ინტელიგენციას გაუმართავს 1899 წლის 24 ოქტომბერს „ფანტაზიის“ ბაღში.
წერილის ილიასადმი კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე მომდევნო

წერილი პირობითი სათაურით: <„პასუხი თ. გ. თუმანოვს“>.

31. <პასუხი თ. გ. თუმანოვს> (გვ. 295)

ტფილისი, 3 ნოემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №236, 4 ნოემბერი

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

როგორც წინა, ისე ამ ხელმოუწერელი წერილის ილიასეულობას
ადასტურებს მისი შინაარსი, სადაც არაერთგზისაა ნახსენები გ. თუმანიშვილთან ილია ჭავჭავაძის კამათის საგანი და ნიშანდობლივი ეპითეტები:

გვ. 296 – „ამ ჩვენს დედაქალაქ ტფილისში, სადაც ეგრედწოდებულნი კულტუროსანნი ქედმაღლობენ“ – იხ. ჩვენი ტომის გვ. 25-ზე მოთავსებული წერილი „გ. თუმანოვისა და მისი ამქრის აზრები“., სადაც ილია „კულტუროსნებად“ მოიხსენიებს იმდროინდელი ქალაქის საბჭოს მესვეურებს.

გვ. 298 – „რად სდევნის... „Новое Обозрение“ ბ-ნ ივანოვიჩის პირითა...“ – იხ. „Новое Обозрение“, 1899წ., № 5428, 31 ოქტომბერი, სადაც ფელეტონების რუბრიკაში, სათაურით – Воскресное Эхо დაიბეჭდა ივანოვიჩის (ი. ი. სვედენცოვი) კრიტიკული შენიშვნა მარკოვისა და ბარონ დე-ბაის პატივსაცემად გამართული საღამოსა და ილია ჭავჭავაძის მისასალმებელ სიტყვასთან დაკავშირებით.

გვ 300 – „ ... დაბეჭდილი იყო „Тифл Листок“-ში ვიღაცა „ისტორიკოსის“ სახელით“ – იხ. „ Тифлисский Листок“, 1899წ., № 255, 6 ნოემბერი.

32. ასის წლის წინათ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში) (გვ.304)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ . „ივერია“, 1899წ., №255, 26 ნოემბერი

1898 წლის აპრილში, „ივერიის“ №86-ში იბეჭდება ცნობა, რომ „ქალაქის თავის მიერ მოწყობილ თათბირზე, რომელიც იხილავს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხს, ილია შეჰყავთ თბილისის ისტორიის შემდგენ კომისიის შემადგენლობაში“ (ი. გიორგაძე, ნ. გურგენიძე – „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, 1987წ., გვ. 284).

როგორც ჩანს, ილიას ეს წერილი დაკავშირებულია სწორედ ამ ფაქტთან, რადგან წერილის დიდი ნაწილი ეძღვნება იმ სრულიად გამოუვალი პოლიტიკური ვითარების აღწერას, რამაც აიძულა მეფე გიორგი XII, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ეთხოვნა რუსეთის იმპერატორისათვის ჯარის გამოგზავნა და შემოსეული მტრებისაგან ქვეყნის დაცვა. ბუნებრივია, რომ როგორც მეფისათვის, ისე ხალხისთვის რუსეთის ჯარის შემოსვლა მაშინ გადარჩენისა და ხსნის ერთადერთი იმედი იყო.

გვ.304 – „მეფე ერეკლეს სიკვდილით... „რკინის კარი შეეხსნა“ – იხ. ჩვენი ტომის გვ. 72 – „ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, სადაც ილიას მოჰყავს ეს ეპითეტი ხალხური ლექსიდან.

33. <ინგლისისა და ტრანსვაალის ომი; პოლიტიკური ვითარება ევროპაში > (გვ. 316)

ტფილისი, 1 დეკემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“ 1899წ., №260, 2 დეკემბერი

წერილი იბეჭდება პირველად „ივერიაში“გამოქვეყნების შემდეგ.

34. < ომი ბურებთან> (გვ. 321)

ტფილისი, 15 დეკემბერი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1899წ., №271 , 16 დეკემბერი

წერილი იბეჭდება პირველად „ივერიაში“ მისი გამოქვეყნების შემდეგ.

35. მეცხრამეტე საუკუნე (გვ. 324)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №1,

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ. მასვე ეკუთვნის თანამიმდევრული დასაბუთება ამ წერილის ილიასეულობისა (იხ, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, 1955წ., გვ. 404–405). პ. ინგოროყვას ცნობითვე, ციტატა, რომელიც ილიას აქვს მოხმობილი 297–298 გვერდზე, ნათარგმნია გუსტავ შმოლერის წიგნიდან – „Наука о народном хозяйстве“, რომელიც რუსულად 1898 წელს გამოქვეყნდა.

36. საადგილმამულო გადასახადის საქმე; (გვ. 328)

ტფილისი, 8, 11, 15 მარტი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №51, 9 მარტი; №54, 12 მარტი; №58, 16 მარტი
ხელმოწერა: ახალ-მოსული
წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ

37. უმეცრობის ფართი-ფურთი (გვ. 340)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №60, 18 მარტი; №61, 19 მარტი; №62, 20 მარტი
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

გვ. 345 – „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა ...“ – საიათნოვას ფრთიანი სიტყვა ლექსიდან: „ზღვას ვით დააშრობს ...“;

გვ. 362 – „ ეს კი უეჭველია, რომ უსაბუთობას ვერ მიკიჟინებს...“ – როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ილია მისთვის ჩვეული სიღრმითა და მასშტაბურობით შეისწავლიდა ხოლმე განსახილველ საგანს. ნ. ჟორდანიასადმი ილიას ამ პოლემიკურ წერილთან

დაკავშირებით პ. ინგოროყვა წერს: „.. როგორც ირკვევა მოღწეული მასალებიდან, ილიას... წინასწარ დაუმუშავებია და გამოუყენებია დიდი სამეცნიერო მასალა...“. პ. ინგოროყვას მოაქვს ილიას არქივში დაცული ხელნაწერი რვეულები, სადაც ევროპელ მეცნიერთა შეხედულებებია ამოწერილი სოციალური და ეკონომიკური საკითხების ირგვლივ (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, გვ. 301–303).

38. პატარა საუბარი („კვალის“ მკითხველებს მოეხსენებათ..) (გვ. 362)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №65, 23 მარტი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წერილი პირველად, „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ, დაბეჭდა გ. აბაშიძემ 1991წელს კიტა აბაშიძის წიგნის: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ კომენტარებსა და შენიშვნებში, გვ. 49

გვ. 363 - „ საცნაურ ჰქმნა... „კვალის“ №12-ში ვიღაც კირვალიძე... ხალხის წარმომადგენელი ყოფილა“ - ნოე ჟორდანიასა და ილია ჭავჭავაძის მწვავე კამათში პოზიციების გასამაგრებლად სოციალ-დემოკრატებმა ასპარეზზე გამოიყვანეს „ხალხის სულისკვეთების გამომხატველი“ პერსონაჟები – „გლეხი ვასილ კირვალიძე“ და „პოეტი-ხელოსანი“ ნოშრევან მერკვილაძე (იხ. გ. აბაშიძის წიგნი – „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და ღვაწლი“, თბ. 2005წ., გვ.65–98).

გვ. 364 – „ბ-მა ლალმა ეს საქციელი დაჰგმო... “ - იხ. გ. ლასხიშვილის გამოხმაურება ჟურნ. „მოამბეში“, 1900წ., №1 და „ივერიაში“, 1900წ., №40.

39. ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი (გვ. 367)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №73, 1 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

გვ.367 „იგი მარტო გზა-და-გზა ჰკადრულობს ჩემთან ლაპარაკს...“ –იგულისხმება ნ. ჟორდანიას წერილი „ გზა და გზა“ რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კვალში“, 1900წ., № 12, გვ. 208

გვ. 368 „ ყოველივე ეს საკირვალიძო და სამერკვილაძო შუშხუნებია“ – იხ. წინა (№36) წერილის კომენტარი

40. ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში (გვ. 377)

ტფილისი, 3აპრილი

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №74, 4 აპრილი

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ

41. პატარა საუბარი (თაგვმა სთხარა, სთხარაო) (გვ. 381)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №76, 6 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ მისი გამოქვეყნების შემდეგ.

გვ. 382 – „რაც „ივერიის“ პატრონს ამ ოცდათექვსმეტ წლის წინად უთქვამს, ... ახალ მოძღვრებად ასაღებს 1898 წელს...“ – დასტურად ილიას მოჰყავს პარალელური ტექსტი „საქართველოს მოამბიდან“ და „კვალის“ 1898 წლის №1-ში დაბეჭდილი ნ. ჟორდანიას წერილიდან.

42. პატარა საუბარი („ახირებული კაცი ყოფილა ბ-ნი ჟორდანია“) (გვ. 389)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №78, 13 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ

გვ. 389 „ამ უკანასკნელს ჟამს დასწერა... „პრესსა“ – ნ. ჟორდანიას წერილი „პრესსა“ დაიბეჭდა გაზ. „კვალში“ 1900წლის № 11, გვ. 165

43. ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა (გვ. 392)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900 № 81, 16 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

გვ. 392 – „ბ-ნი ჟორდანია მიწყრება, რომ მისს ფინანსების არცოდნას გამოვეკიდე...“ – იგულისხმება ილიას წერილი „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი (გაზ. „ივერია“, 1900წ., №73, 2 აპრილი); იხ. ჩვენი ტომის გვ. 367

გვ. 397 – „როგორ გაუსწორებთ თვალს 1900 წლის ბ-ნო ჟორდანიავ, ამ 1898 წლის ბ-ნ ჟორდანიას?“ – ილია კრიტიკულად მიმოიხილავს წინააღმდეგობრივ შეხედულებებს, გამოთქმულს ნ. ჟორდანიას წერილებში („კვალი“, 1898წ.,

№№ 1, 3, 4, 6, 12, 18, 29, 36, 40, 41, 48; 1900წ., №№13, 14, 16 და ა.შ.)

44. პატარა საუბარი (ბ-ნი ჟორდანია, რამდენიც დღე გადის...) (გვ. 403)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., № 84, 20 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წერილი პირველად იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ.

გვ. 403 – „მე ბ-ნი ჟორდანია ვამხილე, რომ მან „საქართველოს მოამბის“ პროგრამმა დაიჩემა...“ - იხ. ჩვენი ტომის გვ.382-388

45. ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი ფაჯებ-უკუჯებობანი (გვ. 409)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1900წ., №87, 23 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წერილში კვლავ გრძელდება ილიას კამათი ნ. ჟორდანიასთან სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე (იხ. წინა წერილები ამ ტომში, „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით).

46. გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია (გვ. 423)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902წ., №21, 27 იანვარი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

გვ.424 –„მას აქეთ, რაც ჩვენმა სასიქადულო გომართელმა... წერილი დაბეჭდა „კვალში“ – იგულისხმება „კვალის“ 1902წ., № 1 და 2-ში დაბეჭდილი ივ. გომართელის ვრცელი წერილი – „სიტყვაკაზმული მწერლობა“. ილიამ კბილი გაჰკრა სტატიის იმ ადგილს, სადაც საუბარია ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე (1902, №2, გვ.34)

გვ. 428 – „ღმერთმა უშველოს არჩილ ჯორჯაძეს... მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც ამოს და არც ძველები მოიმდუროს...“ – უნდა იგულისხმებოდეს არჩილ ჯორჯაძის სტატია „ძველი თაობა. ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი“ („მოამბე“, 1901, №VI, გვ. 61–74).

გვ. 432 – „ვიფიქრე: არჩილ ჯორჯაძეს... დავეკითხები-მეთქი.. იმან 10 იანვრის „ცნობის ფურცელი“ მომაჩეჩა...“ – 1902 წლის 8, 9 და 10 იანვრის „ცნობის ფურცელში“ (№1691-93) დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის ვრცელი წერილი – „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა“, რომელიც ეხმაურება ივ. გომართელის შეხედულებებს საზოგადოებრივ საკითხებზე.

47. არაპატარა საუბარი (ღმერთმა ყოველი რჯულიანი..) (გვ. 436)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., №44, 22 თებერვალი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ახალ-მოსული

წინამდებარე წერილში ილია ჭავჭავაძე „ულმობელი ოხუნჯობით“(არჩ. ჯორჯაძე) განიხრეკს 1902 წელს „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ გამართულ კამათს „ახალსა“ და „ძველს“ შორის, როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე მოიხსენიებს თავის სტატიებში: „ძველი წესის“ სულთა-ბრძოლა“ (ცნობ. ფ. 1902წ. №1720, 1721), „ბრაზიანი უძლურება“ (№ 1731) და „უკულმართობის

გამართლება“ (№ 1737). არჩ. ჯორჯაძის ეს წერილები პირდაპირი პასუხია ილიას დაუნდობელი კრიტიკისა.

48. ავტობიოგრაფია (გვ. 443)
(დაწერილი ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისათვის)

ავტობიოგრაფიის სრული ტექსტი დაიბეჭდა ილიას სიკვდილის შემდეგ ჟურნალ „განათლებაში“, 1908 წ., № 1.
თარიღდება ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიაში გამოქვეყნების მიხედვით – „ Чавчавадзе И., ტომი 38, გვ. 359, 1903წ.
რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტის ავტორად ვარაუდობენ ალ. ხახანაშვილს (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 9, გვ. 322).

49. <სიტყვა, წარმოთქმული სოხუმში> (გვ. 451)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., №118, 4 ივნისი

ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვა წარმოთქვა სოხუმის საზოგადოების მიერ მის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე
სიტყვა ჩართულია მიმოხილვაში „ჩვენებური ამბები“, „კოღოს“ ხელმოწერით – „სოხუმი, თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში“

24 მაისს სოხუმის საზოგადოებას თ. შერვაშიძის თაოსნობით საზაფხულო ბაღში მწერლის პატივსაცემად გაუმართავს ნადიმი. ილია ჭავჭავაძის სამადლობელო სიტყვა განსაკუთრებით საინტერესოა დღევანდელი მკითხველისათვის, რადგან პოეტს იმ დროს უკვე დაუნახავს, რომ „აფხაზ–ქართველთა მიწა-წყალს... ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი... მტერი ემუქრება“(იხ. ჩვენი ტომის გვ. 451).

სხვათა შორის, ილიას ამ სიტყვებს გარკვეულწილად ეხმაურება მის მიერ თავად-აზნაურთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვის ის ნაწილი, რომლის ინტერპრეტაციაც მან საგანგებოდ მოახდინა წერილში „რედაქციის მიმართ“ (იხ. ჩვენი ტომის გვ.453-454)

50 . წერილი რედაქციის მიმართ
(„გუშინდელს „ივერიაში“ (№ 20)“ (გვ. 453)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905წ., №21 , 9 მარტი

1905 წლის „ივერიის“ №20-ში (6 მარტს) „მიმომხილველის“ ხელმოწერით დაიბეჭდა თავად-აზნაურთა კერძო თათბირის ანგარიში. ილია ჭავჭავაძე სიტყვით გამოსულა თავად–აზნაურთა ამ კერძო თათბირზე. ილიას სიტყვის მოკლე ჩანაწერი ჩართულია „მიმომხილველის“ ტექსტში; ილია ჭავჭავაძე არ დაუკმაყოფილებია საკუთარი სიტყვის პერიფრაზს და 9 მარტს რედაქციისთვის გაუგზავნია „წერილი რედაქციის მიმართ“, სადაც იგი აზუსტებს თავისი გამოსვლის შინაარსს და საკუთარ პოზიციას სხდომაზე განხილული უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ. 9 მარტით დათარიღებული ილიას ეს წერილი დაიბეჭდა „ივერიის“ № 21-ში.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ილია ჭავჭავაძე

„ივერიის“ პუბლიკაციის შემდეგ წერილი დაბეჭდა პ. ინგოროყვამ (იხ. ათტომეულის ტ. 9, გვ. 263), წინ კი წაუძღვარა „მიმომხილველის“ მოკლე ჩანაწერი, რომლის შინაარსსაც აპროტესტებდა ილია წინამდებარე წერილში.

მკვლევარი გ. აბაშიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ: „ილიას სწორედ ეს წერილი და ეს დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნა იქცა უშუალო მიზეზად ილიას წინააღმდეგ „ესდეკების“ მიერ საბოლოო სამკვდრო-სასიცოცხლო

ბრძოლის წამოწყებისა, რომელიც წიწამურის ტრაგედიით დასრულდა“.(იხ. რეცენზია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 20-ტომეულის XIV ტომის ირგვლივ).

51. წერილი რედაქციის მიმართ
(ჟურნალ „მოგზაურში“ 1905წ. № 13...) (გვ. 455)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 55, 17 აპრილი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ილია ჭავჭავაძე

„ივერიის“ შემდეგ წერილი პირველად დაიბეჭდა მკვლევარ გ. აბაშიძის წიგნში – „ილია ჭავჭავაძე“, გვ. 103-104

გვ. 455 – „ჟურნალ „მოგზაურში“... დაბეჭდილია წერილი...“ – იგულისხმება „ვ. ნ.“-ს ფსევდონიმით ჟ-ლ „მოგზაურში“ დაბეჭდილი პასკვილი, რომლის ავტორი იყო ვინმე ვასილ ნაცვლიშვილი. აი, რას წერს მკვლევარი გ. აბაშიძე ამის შესახებ: „ 10 აპრილს „მოგზაურში“ ქვეყნდება ვრცელი კორესპონდენცია „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“,– ვინმე ვასილ ნაცვლიშვილის („ვ.ნ“-ს) ღვარძლიანი ცილისწამება ილიაზე, რომელიც „გლეხების მჩაგვრელ თავადს“ მის მიერ „ჩადენილ დანაშაულობებში ამხელდა“ და რომელიც, რამდენიმე დღის შემდეგ „ივერიამაც“ გადაბეჭდა, რითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, საგრძნობლად გააფართოვა ილიას წინააღმდეგ „ესდეკების“ ბრძოლის არეალი და დიდად შეუწყო ხელი ამ ცილისმწამებლური წერილის პოპულარიზაციას“ (გ. აბაშიძე, „ილია ჭავჭავაძე, (ცხოვრება და ღვაწლი)“, გვ. 100-101 , თბილისი, 2005 წელი).

წინამდებარე წერილი ერთგვარი მოკლე პროტესტია როგორც „მოგზაურის“კორესპონდენტის, ისე „ივერიის“ რედაქციის მიმართ და წანამძღვარი ილიას ვრცელი ნარკვევისა „ნუ–თუ“, რომელიც ჭეშმარიტად „ერთ-ერთი უბრწყინვალესი წერილია არა მარტო ილიას მემკვიდრეობაში, არამედ საზოგადოდ ქართული

პუბლიცისტიკის ისტორიაში (გ. აბაშიძე, „ილია ჭავჭავაძე,“ გვ. 103)“.

52. ნუთუ?
(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა) (გვ.457)

ავტოგრაფია: S – 5297; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1905წ., №68 (ცალკე დამატება)

ხელნაწერი ნაკლულია, ნაბეჭდ ტექსტთან შეჯერებისას არ იძლევა რაიმე მნიშვნელოვან სხვაობას.

წერილს საფუძვლად დაედო 1905წლის 13 მარტს ჟ-ლ „მოგზაურში“ დაბეჭდილი პამფლეტი „იდუმალი ხმა“ და 10 აპრილს დაბეჭდილი „ვ. ნ-ს“ (ვასილ ნაცვლიშვილის) ვრცელი კორესპონდენცია „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“; იხ. წინა წერილის (გვ. 455) კომენტარი.

ამ წერილისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ვრცლად იხილეთ მკვლევარ გ. აბაშიძის ზემოთ მითითებული მონოგრაფია: „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და ღვაწლი“, თბილისი, 2005წ., გვ. 70–134

53. იმერეთის თავადაზნაურობის სულმოკლეობა (გვ.495)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906წ., № 2034, 23 მარტი

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ივერიელი

გარდა ფსევდონიმისა, ამ წერილის ილიასეულობას ადასტურებს აგრეთვე ი. გიორგაძისა და ნ. გურგენიძის მიერ შედგენილი „ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, თბილისი, „მეცნიერება“, 1987 წ., გვ.342

გვ. 495 - „იმერეთის თავადაზნაურობამ... მოითხოვა ავტონომია ჩვენის ქვეყნისათვის“ – იდეა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის შესახებ ორი საუკუნის მიჯნაზე თანდათან მწიფდებოდა „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ მოწინავე ეროვნულ მოღვაწეთა შორის; ამის დასტურია 1905 წლის 9 მარტს „ივერიის“ რედაქციის მიმართ გაგზავნილი ილიას პროტესტი (იხ. ჩვენი ტომის

გვ. 454), რაც ფაქტიურად „საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას ნიშნავდა“ და რაც თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ იმპერატორისათვის გასაგზავნ პეტიციაშიც შეიტანა (გ. აბაშიძე, „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და ღვაწლი“, გვ.91). ქართველი სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ ამ იდეას. გ. აბაშიძეს მოაქვს ვრცელი ციტატა ნ. ჟორდანიას წერილიდან, სადაც ეს უკანასკნელი საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას „ილია ჭავჭავაძის ძველი დებულების აღდგენად“ მიიჩნევს და მიუღებლად თვლის (იქვე, გვ. 58-59).

„რა აქვს სამადლობელი და სადღესასწაულო
იმერეთის თავადაზნაურობას? ოქტომბრის მანიფესტი?“
——

1905 წლის 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა უმაღლესი მანიფესტი ნიკოლოზ მეორესი, რომელიც აღუთქვამდა ხალხს სამოქალაქო თავისუფლებას, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას და საყოველთაო არჩევნებს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 215).

იმ დროს, როცა საქართველო ცეცხლითა და მახვილით გადაიარა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა, ილია, ბუნებრივია, აღაშფოთა თავადაზნაურობის სამადლობელმა წერილმა იმპერატორის მანიფესტის მისამართით.

საძიებლები

სახელთა ანოტირებული საძიებელი

ა

აბაშიძე ევგენი, სურამის მოურავი – (გეგენა), ხეფინისხევის ბატონი უარყოფითად აფასებდა რუსის ჯარის შემოსვლას, მიმოწერა ჰქონდა (1830წ.) იმერეთში გაქცეულ ბატონიშვილებსა და ლეკის ჯარის მეთაურებთან (მ.ბერძ.) – 242

აბიხი – ვილჰელმ გერმანი (1806-1886), გეოლოგი და მოგზაური, სანკტ-პეტერბურგის მეცნ. აკადემიის წევრი; ხანგრძლივად და ფართოდ იკვლევდა კავკასიასა და ირანს. ყურადღებას იქცევს მისი სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებული წერილები და ჩანაწერები კავკასიის ხალხთა, კერძოდ ქართველთა ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების შესახებ – 200

აბრაამი, სომეხთა პატრიარქი – 198

ავალიშვილი სოლომან – იმპერატორ პავლე I-ს მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მთავარმართებლის ჯილდოზე წარდგენილი ერთ-ერთი წარჩინებული ქართველი – 242

„ალაროდიელნი“, – ალაროდები, ჰეროდოტეს ცნობით, აქემენიდთა სპარსეთის სატრაპიის მცხოვრებნი. ალ–ში შემონახულია სახელი ძვ. ურარტელებისა. ძვ. წ. VIს-ში ჯერ კიდევ ძვ. ურარტუს მიწაწყალზე ცხოვრობდნენ – 256, 264, 265

ალხაზოვი – ალხაზიშვილი იაკობ ქაიხოსროს ძე (1826–1896), გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე კავკასიაში, ინფანტერიის გენერალი – 214

ამილახვარი გიორგი – იხ. აქვე, კომენტ. ს. ავალიშვილზე – 242

ანდერსონი რ., ინგლისელი მეცნიერი – 267, 268

ანუჩინი – დიმიტრი ნიკოლოზის ძე, (1843-1923), ანთროპოლოგი, გეოგრაფოსი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი. ილია ჭავჭავაძის მიერ მოხმობილი ანუჩინის – „Братская помощь Армянам“ გამოქვეყნდა Известия Акад Наук-ში, 90-იან წლებში – 275, 276, 277

არისტოკეს (არისდაგეს) ლასტივერი – XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი – 225
არღუთინსკი – დოლგორუკოვი იოსები, არქიეპისკოპოსი – 241, 242
არღუთინსკი სოლომონ (მოსე) – არღუთინსკი-დოლგორუკოვი (1798-1855), ცნობილი სამხედრო მოღვაწე, რუსეთ-თურქეთის საომარი კამპანიის აქტიური მონაწილე. შემდგომ ძირითადად კავკასიაში მოღვაწეობდა, იყო რუსეთის ჯარის სარდალი დაღესტანში, ებრძოდა შამილს – 214, 242
არწრუნი – გრიგოლ (1845-1892), სომეხი პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ლიბერალთა დასის მეთაური, გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი – 211, 215-220
ასოღიკი, სტეფანოზ - სტეფანოს ტარონეცი, X–XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, მისი უმთავრესი ნაშრომის – „მსოფლიო ისტორიის“ მესამე ნაწილი საინტერესო ცნობებს მოიცავს ტაო-კლარჯეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების, აგრეთვე ბაგრატიონთა მოღვაწეობის შესახებ – 225
ასურელები – ანუ აშურელები, სემიტური მოდგმის ხალხი, აშურის იმპერიის მკვიდრნი, მათი ენა განეკუთვნება სემიტური ენების ჩრდილო შტოს. იყენებდნენ ლურსმულ დამწერლობას. – 248, 249, 264
„ახალ-მოსული“, ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი – 328, 340, 362, 367, 381, 389, 392, 403, 409, 423, 436
აღა-მაჰმად-ხანი – აღა-მოჰამედ-ხანი (1742-1797), ირანის შაჰი, 1795 წელს შემოესია საქართველოს, დაარბია თბილისი (კრწანისის ბრძოლა) – 223, 241
ახნაზაროვი – არტემ, „ივერიის“ თანამშრომელი, წერდა „ჩიორას“ ფსევდონიმით; აქტიურად ებრძოდა ქართველ „ესდეკებს“ ილიას წინააღმდეგ დაუნდობელი ლაშქრობის გამო. – 31, 399

ბ

ბაბოვი – ქალაქის გამგეობის თანამშრომელი – 51
ბაგრატიდნი, ქართველნი ბაგრადიტნი – ბაგრატიონები – სამეფო დინასტია საქართველოში (IX ს. – 1810 წ.); მკვლევართა უმეტესობის აზრით, ბაგრატიონები წარმოშობით ძველი ქართული პროვინციის – სპერის მკვიდრნი იყვნენ. საქართველოში ბაგრატიონები განსაკუთრებით დაწინაურდნენ VIII ს-ში. აშოტ ქართლის მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი გახდა. ბაგრატიდნი – 1900წლის Большая Энциклопедия - „Просвещение“ განმარტავს: „ბაგრატიდები - სამეფო გვარი არმენიასა და საქართველოში, მომდინარეობს ბაგრატიდან, რომელსაც პართელთა მეფის მიერ დაევალა არმენიის მეფეთა ხელდასხმა.“ 200, 201
ბარათაშვილი ზაქარია, მდივანბეგი – 242
ბარიათინსკი – ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი (1815–1879), რუსი მოხელე, გენერალ–ფელდმარშალი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, 1856 წლიდან მთავარსარდალი და მეფისნაცვალი კავკასიაში, ხელმძღვანელობდა საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებას. –
ბარონ ნიკოლაი ა.პ, – ალექსანდრე პავლეს ძე (1821–1899), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ალ. ჭავჭავაძის სიძე; 1862 წლიდან განათლების მინისტრის ამხანაგი, საბატონო გლეხთა მომწყობი კომიტეტის თავ-რე. –
ბარონ დე-ბაი, მეცნიერი არქეოლოგი – ფრანგი მოგზაური და არქეოლოგი, პარიზსა და რეიმსში კითხულობდა მოხსენებებს საქართველოში მოგზაურობის შესახებ („ივერია“, 1902წ., №86, 25 აპრილი) ბარონ დე-ბაის წიგნიც კი გამოუცია პარიზში სათაურით - „იმერეთი“ -- 292
ბაქრაძე დ. – დიმიტრი ზაქარიას ძე (1826–1890), ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზ-ბის თავმჯდომარე, ავტორი გამოკვლევებისა „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ და „ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან XIს-ის დასასრულამდე)“. მწვავე პოლემიკა ჰქონდა ქ. პატკანოვთან „ქართლის ცხოვრების“ საკითხებზე. – 192-201, 273
ბატონიშვილები – 181, 182
ბებუთოვი, დარჩო – დავით ბებუთაშვილი, (1793–1867), გენერალ-ლეიტენანტი, მსახურობდა კავკასიასა და პოლონეთში. – 214, 242

ბეკონი – როჯერ (დაახლ. 1214–1292), ინგლისელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი. – 324
ბოდენშტეტი – ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტი (1819–1892), გერმანელი პოეტი და მწერალი, ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი; 1845წელს იმოგზაურა სომხეთსა და საქართველოში და თავისი შეხედულებები კავკასიის ხალხთა ისტორიულ-კულტურული ცხოვრების შესახებ გამოაქვეყნა ნაშრომში – „Die Volker des Kaukasus und ihre Freiheits kampfe gegen die Russen“ - 227-228
ბოსსუეტი – ბოსსუე, ჟაკ ბენინი, ცნობილი ფრანგი მქადაგებელი (1627– 1704) – 229
ბრამბეუსი, რუსის მწერალი სენკოვსკი, ბრამბეუსად ცნობილი – ლიტერატურული ნიღაბი ოსიპ ივანეს ძე სენკოვსკისა (1800 -1858) (იხ. სენკოვსკი). უფრო ვრცლად ამ ფსევდონიმის შესახებ იხ. ნატალია დერგაჩოვას სტატია – О. И, Сенковский и Барон Брамбеус,) brambeus.htm - 187
ბროსე, მარი – (1802–1880), ფრანგი მეცნიერი, 1836 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრაზე; გამოაქვეყნა 300-მდე ნაშრომი, მათ შორის ქართული დამწერლობისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე. – 200
ბუგუჩარსკი – 167, 168, 169
ბულლერი, მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა – 321, 322
ბურნუფი, ეჟენ; ლინგვისტი ეჟენ ბიურნუფი – ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი (1801-1852) – 204, 257
ბურები – აფრიკანერები, ხალხი სამხრეთ აფრიკაში, XVII საუკ. ჰოლანდიელ, ფრანგ და გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები – 321

გ

გალილეი – გალილეო (1564-1642), იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოეტი. –
გატერიასი, სწავლული – 205, 206
გიაცინტე, დელინგერი და მისი მამა გიაცინტე – ილია დაცინვით უწოდებს ფილოსოფოსთა სახელებს სომეხ მეცნიერებს, რომლებმაც ფრანგ მოგზაურ კუტულს მცდარი ისტორიული ცნობები მიაწოდეს. – 210, 212, 214
გიორგი, წმინდა გიორგი – კაპადოკიელი, ქართველთა ყველაზე აღიარებული წმინდანი, ხალხურ ცნობიერებაში მრავალი ეპითეტით შემკული. – 266
გიორგი მეფე – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1746-1800), ერეკლე II-ს შვილი, ძვ. ლიტ. წყაროებში ზოგჯერ გიორგი XIII-ის სახელითაც იხსენიება – 304–314, 223, 240, 241
გიორგი, საბერძნეთის მეფის შვილი – 40, 43, 44
გიოტე – იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749–1832), გერმანელი მწერალი და მოაზროვნე – 215, 449
გოლიცინი, კავკასიის მთავარმართებელი – 17, 118, 288, 289, 290 .
გოლმსტრემი, ვლად. – ავტორი წერილისა: „ И камни возопиют!“, რომელიც ილია ჭავჭავაძეს საგანგებოდა აქვს განხილული და გაკრიტიკებული ნაშრომში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“; იხ. ჩვ. ტომის გვ. 246–255, 260, 261, 262, 265, 270, 274–282
გომართელი – ივანე გედეონის ძე (1875-1938), ქართველი ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტ. მოღვაწე, „მესამე დასის“ წევრი, ჟ-ლ „მოგზაურის“ თანამშრომელი – 423–432
გუიარი – მასპეროს მოწმობით ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის მკვლევარი – 260
გურამიშვილი ზაალ – საგურამოს მახლობელი სოფლების მფლობელი თავადი - 470, 481
გურამიშვილი ოლღა თადეოზის ასული – ილიას მეუღლე, საგურამოელი მებატონე – 467–469
გურამიანთკარელი გლეხი – 482

დ

დავით ბატონიშვილი – ბაგრატიონი (1767–1819), გიორგი XII-ის უფროსი ძე, ქართლ-კახეთის გამგებელი 1800-1801წ.წ., მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გენერალ-ლეიტენანტი – 308, 310—312
დარეჯანი, ქვრივი დედოფალი – (1738-1807), ქართლ-კახეთის დედოფალი, მეფე ერეკლე II-ს მესამე ცოლი;

ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა. 1803 წელს ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ტაძარში. – 306

დარვინი – ჩარლზ (1809–1882), ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ევოლუციური მოძღვრების ფუძემდებელი – 2?, 437

დე-ბაი – იხ. ბარონ დე-ბაი

დეკრე (საფრანგეთის პალატის წევრი?) – 46-47

დელინგერები – იხ. კომენტარი - „გიაცინტე“ – 209, 212, 214, 241, 255, 275

დელორიე, აღმოსავლეთის მცოდნე – 219

დიოგენე – სინოპელი (დაახ. ძვ.წ. 404–323). ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ყოველგვარი ცივილიზაციის წინააღმდეგი; მოითხოვდა, ადამიანი დაბრუნებოდა პირველყოფილ მდგომარეობას. პლუტარქეს ცნობით, უარუყვია ცხოვრების ჩვეულებრივი წესი და კასრში ჩასახლებულა. ბევრ სხვა უცნაურობებთან ერთად, დღისით მზისით ფარნით დადიოდა თურმე და ამბობდა: „ადამიანს ვეძებო“ – 228

დიუბუა დე-მონპერე – ფრედერიკ (1798-1850), შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი. 1831–34 წ.წ. იმოგზაურა ამიერკავკასიაში. მისმა ნაშრომმა შემოინახა ქართული ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ისეთი ძეგლის აღწერა და ჩანახატები, რომლებიც მას შემდეგ დაიღუპა, ან სახე იცვალა. (იხ. ილია ჭავჭავაძის შენიშვნაში დასახელებული მისი ნაშრომი). – 194, 195

დრეიფუსი – ალფრედ (1859-1935), არტილერიის კაპიტანი, საფრანგეთის გენშტაბის ოფიცერი, რომელსაც ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში. დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს. დრეიფუსმა გააპროტესტა განაჩენი და მოითხოვა ღირსების აღდგენა. მოწინავე საზოგადოებრიობა დადგა დრეიფუსის მხარეზე. განსაკუთრებით მძაფრად გაილაშქრა ემილ ზოლამ (იხ.) – 41, 82

ე

ედესელი, მათეოს – მეთორმეტე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი – 225

ედისონი – ტომას ალვა (1847–1931), ამერიკელი გამომგონებელი, ელექტრონისა და ტელეფონის მეფე – 437

ევანგულოვი – თბილისის ქალაქის საბჭოს თავ-რე 1890-იან წლებში – 37

ეზოვი, გ. ა., ახალი მეცნიერი სომხებისა – ი. ჭავჭავაძე მიმოიხილავს გ. ა. ეზოვის ნაშრომს: „Сношение Петра Великого с армянским народом“ , რომელშიც ავტორი სუბიექტურად აფასებს ვახტანგ მეფის პოზიციას სომეხი ხალხისა და მათი პრობლემებისადმი იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. - 225- 229, 231, 235–237, 238–244, 273, 274, 281

ეკატერინე დიდი – ეკატერინე II, ალექსის ასული (1729–1796), რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან. 1783 წელს დადო მფარველობითი ტრაქტატი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესთან. – 237–239

ელპე - 379

ემინი – იოსებ (1726–1809), XVIIIს. 60-იანი წლების სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, ერეკლე II-ს თანადგომის

მოსურნე ამ მოძრაობაში. „ქვათა ღაღადში“ ილია კრიტიკულად განიხილავს მის ნაშრომს: „История Моисея Хоренского“, 1858წ., გვ.340-344, არაობიექტური ცნობებისათვის (იხ. ჩვ. ტომის გვ.189 დაშემდეგ.) – 189

ერეკლე მეფე – ერეკლე II (1720–1798), თეიმურაზ II-ის ძე, ქართლ-კახეთის მეფე. მისი მეფობის ხანაში ქართლ-კახეთის სამეფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინების საქმეში. XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი სამეფო რუსეთს – 1883 წელს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შესახებ. – 17-19, 33-35, 72-76, 222, 236–241, 304-306

ერისთავი, შანშე – იესეს ძე (1788-1831), პოდპოლკოვნიკი, ცხოვრობდა გორში, ცოლად ჰყავდა ელენე, ივანე ორბელიანის ასული (მ.ბერძ.); პავლე პირველის მანიფესტის მიხედვით მთავარმართებლის მიერ ჯილდოზე წარდგენილი ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი – 242

ერიცოვი, სომხის მეცნიერი – ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში“ კრიტიკულ კონტექსტში ახსენებს მის ნაშრომს, დაბეჭდილს ყოველთვიურ ისტორიულ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ჟურნალში „ Кавказская Старина“, რომელიც თბილისში გამოდიოდა ერიცოვისავე რედაქტორობით 1872 წლიდან – 189

ექვთიმე, არქიმანდრიტი – (? – 1804), მეფე გიორგი XII-ს მოძღვარი, გვარად მჭედლიშვილი (მაქს. ბერძ.). პავლე I-ს მანიფესტით უმაღლეს ჯილდოზე წარდგენილ ქართველ წარჩინებულთა შორის მოიხსენიება – 242

ვ

ვარანცოვები – ი. ჭავჭავაძე აზოგადებს რუს მაღალმოხელეთა გვარებს რუსეთის მმართველობის დროს საქართველოში –

ვარდან დიდი – ვარდან ბარძბერდეცი, ანუ ვარდან აღმოსავლელი (გარდ. 1271წ.), XIII –ის სომეხი სწავლული, ბერი, ავტორი თხზულებისა „მსოფლიოს ისტორია“ (უძველესი დროიდან 1267წ-მდე); ნაშრომში საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ. – 225

ვახტანგ ბატონიშვილი – ბაგრატიონი, ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის ძე; ოჯახთან ერთად გადაასახლეს პეტერბურგში, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ტაძარში. – 313

ვახტანგ მეფე, გორგასლანი – ვახტანგ I გორგასალი, ქართლის მეფე (V ს-ის 40-იანი წ.წ. – 502წ.), პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი. 60-იან წლებში დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა ირანელებისაგან ქართლის გათავისუფლებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის; მოახდინა ეკლესიის რეორგანიზაცია, დააწესა კათალიკოსობა. ფართოდ გაშალა საქალაქო მშენებლობა, ააშენა და გაამაგრა ციხეები. სიკვდილამდე შეუპოვრად იბრძოდა ქვეყნის თავისუფლებისათვის. – 282

ვახტანგ VI – (1678-1737), ქართლის გამგებელი 1703–1714წ.წ., მეფე 1716-1724წ.წ.; გიორგი XI-ის ძმის – ლევანის ძე; იბრძოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისათვის, ეროვნული ზნე-ჩვეულებების აღდგენისა და სამეურნეო-ეკონომიკური თუ კულტურული აღორძინებისათვის; შექმნა კანონთა კრებული – ვახტანგ VI-ს სამარ თლის წიგნი, მის მიერ შექმნილ სტამბაში დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგისავე „თარგმანებითურთ“ (განმარტებებით). – 230-235

ვეიდებაუმი - 33

ვერმიშევი – სომეხი მეცნიერი, ავტორი წიგნისა – Материалы для истории грузино-армянских отношений; Ответ на книжку кн. И. Г. Чавчавадзе „Армианские ученые и вопиющие камни.“ რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში და რომელშიც ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ილიას „ქვათა ღაღადს“.

ვილჰელმი, იმპერატორი – ვილჰელმ II, ფრიდრიხ ვიქტორ ალბერტი (1859–19), გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე – 133

ვლადიკინი - გ. თუმანიშვილის მიერ დამოწმებული ერთ-ერთი კორესპონდენტი „ Новое Обозрение-“დან – 32

„ვრაცები“ – ასე მოიხსენიებდნენ ქართველებს თავის ენაზე სომხები. – 178

ზ

ზედაზნელი, იოანე – სირიელი საეკლესიო მოღვაწე, ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი; საქართველოში მოვიდა ანტიოქიიდან VI ს-ის შუა წლებში, თან მოიყვანა მრავალი მოწაფე და დაგზავნა ისინი ქართლისა და კახეთის მხარეში ქრისტიანობის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად, ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად. – 114, 266

ზოლა – ემილ (1840–1902), ფრანგი მწერალი, „ნატურალიზმის“ წარმომადგენლად მიიჩნევდა თავს.

განსაკუთრებით გახმაურდა მისი ბრძოლა დრეიფუსის (იხ.) დასაცავად და ღირსების აღსადგენად – 41, 82

თ

თაბალი – გვიანდელი ხეთური პოლიტიკური გაერთიანება მცირე აზიაში, ძვ.წ. I ათასწლეულში. ძვ. აღმოს. წყაროების მიხედვით, მდებარეობდა დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე. მისი მოსახლეობის ეთნიური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ჯერ კიდევ იოსებ ფლავიუსმა სცადა ეს სახელი ქართულ სამყაროსთან დაეკავშირებინა. ფლავიუსისეული თეორია გვიანდელი ხანის ავტორებმაც გაიზიარეს. XIXს-ში ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი თაბალის მოსახლეობის ქართული წარმომავლობის შესახებ. – 265

თალესი – მილეტელი (ძვ. წ. 624–547), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ანტიკური ევროპული ფილოსოფიისა და მეცნიერების მამამთავარი. – 269

თიგლათ–პილასარი I – (ძვ.წ. დაახლ. 1120–1100), ასირიელთა მეფე – 255

თიგლათ-პილასარ III, ასურელთა მეფე - 248

„თოგორმ“, ურარტუს ძველი მოსახლეობა (ლენორმანის ნაშრომში) – თოგარმა, იაფეთის ძის, გომერის ძე (დაბ. 10:3; ეზეკ 27:14; 38:6) – 256

თუმანოვი (თუმანიშვილი) გიორგი მიხეილის ძე – (1854–1920), საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, 1891–1903 წლებში გაზ. „Новое Обозрение“-ს რედაქტორი – 25–35, 36–38, 49-58, 79-101, 102–105, 143–152

თუმანოვი, ეგნატე – ბაინდურის ძე (1746-1820), დაოსტატებული კალიგრაფი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ს მდივანი, 1804 წლიდან კოლეგიის მრჩეველი. იმპერატორ პავლე I-ს მანიფესტით კნორინგის მიერ დაჯილდოვებული წარჩინებული, მამა ქართველი პოეტისა და მწიგნობარის – გიორგი თუმანიშვილისა (1774-1837). – 242

თუმანიშვილი სულხან, მდივანი – სულხან გორჯასპის ძე (17. –1812), ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ს ხანაში მდივანი და სახელმწიფო დავალებების შემსრულებელი (მაქს. ბერძ.); XVIIIს-ის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი; 1787–93წ.წ. საქართველოს წარმომადგენელი რუსეთის კარზე. – 242

თურკომანების მეფეები – 268

თუშ-ფშავ-ხევსურნი – 256

ი

იაზიკოვი – ნიკოლოზ დანიელის ძე (1740–1777-ის შემდეგ), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი; 1770წელს მეფის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა გენ. ტოტლებენსა და ერეკლე II-ს შორის კონფლიქტის გასარკვევად, რასაც მოჰყვა ტოტლებენის გაწვევა რუსეთში. – 237

იესო ქრისტე – 106-108, 224

ივანოვიჩი – ი. ი. სვედენცოვი, მწერალი, ბელეტრისტი, თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი, ე.წ. „კულტუროსანთა მარაქიდან“, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქალაქის თვითმმართველობის დებულებაში სწორებების შეტანას (იხ. ჩვენი ტომის წერილი №26, გვ. 170- 176);

ივანოვიჩის ფსევდონიმით გამოაქვეყნა მან აგრეთვე „Новое Обозрение“-ში წერილი „ივერიის“ კორესპონდენციის საწინააღმდეგოდ (იხ. ჩვენი ტომის გვ. 292-294) – 175-6

იოანე, ბოდბელი მიტროპოლიტი – მაყაშვილი (1744-1837), ეხმარებოდა უსახსრო ქართველ ახალგაზრდებს განათლების მიღებაში. – 242

იოანე ზედაზნელი – იხ. ზედაზნელი იოანე

იოანე მოციქული – 108

ისაია, პატრიარქი განჯა–ყარაბაღისა – 231, 232

„ისტორიკოსი“, ხეჩატუროვის გაზეთის Тифлисский Листок-ის კორესპონდენტი, (?) – 300-302

კ

კავალენსკი, რუსეთის რწმუნებული მინისტრი საქართველოში – 1799წელს გენერალ ლაზარევის

დამხმარე ლეგიონს შემოჰყვა საქართველოში, როგორც რუსეთის მთავრობის წაარმომადგენელი გიორგი XII-ს კარზე. მისი ვიზიტი მეფესთან იმდენად თავხედური იყო, რომ გიორგი XII-მ ითხოვა მისი უკან გაწვევა. 1802 წელს იგი საქართველოს მმართველად დანიშნეს, მაგრამ ერთ წელიწადში უკან გაიწვიეს თანამდებობის ბოროტად გამოყენების მიზეზით (მაქს. ბერძ.) – 310-312

კალანკ ტვაცი, სომხის ისტორიკოსი – 198

კაპადოკიელნი ქართველნი – 266

კატინა, მარაბაზი – 201

კიპერტი – მამა-შვილი ჰენრიხ (1818–1899) და რიხარდ (1846 – ?), გერმანელი კარტოგრაფები და გეოგრაფოსები. ჰენრიხ კიპერტიმ საგანგებოდ შეისწავლა და ადგილზე გაეცნო ძველი იმპერიების, განსაკუთრებით საბერძნეთისა და თურქეთის გეოგრაფიას და ისტორიას, შექმნა მეცნიერულად დასაბუთებული მრავალფეროვანი და მრავალმხრივი კარტოგრაფიული დოკუმენტები ძველი კულტურული სამყაროსი. მისმა ვაჟმა განაგრძო მამის საქმიანობა და უამრავი კარტოგრაფიული რუკებით აღჭურვა მოგზაურ მეცნიერთა გამოკვლევები. – 266

კირვალიძე ვ., „გლეხი კირვალიძე“ – ვასილ კირვალიძე, გაზ. „კვალში“ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ „ხალხის წარმომადგენლის“ სახელით ცილისმწამებლური კამპანიის მონაწილე – 363-366, 368, 372-373, 398-401, 406, 420-422

კირიონი, ქართველთა კათალიკოსი – კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი სამაგლიშვილი) (1855–1918), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917–1918წ.წ.; საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, განმანათლებელი, ქართული კულტურის პოპულარიზატორი რუსეთსა და ევროპაში. – 198

კნორინგი, კავკ. ჯარების მთავარმმართველი – კარლ თეოდორეს ძე, გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოში რუსეთის ჯარების პირველი მთავარსარდალი, სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელი; 1805 წელს გადააყენეს. – 242, 243, 311

კონსტანტინე პორფიროგენი (911–959) – პორფიროგენეტი (905–959), 912 წელს ავიდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, თავდაპირველად მეურვეთა თანადგომით, ხოლო 945 წლიდან დამოუკიდებლად დაეუფლა ტახტს; მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას და თავადაც წერდა სხვადასხვა საკითხებზე ისტორიულ ნარკვევებს. – 200

კორსაკი ა., მთარგმნელი პროფ. რაუს შრომებისა – 373

კოხი – კარლ (1809-1879), ბოტანიკოსი, მოგზაურობდა კავკასიაში, ყირიმსა და მცირე აზიაში, აღმ. ამიერკავკასიაში; მისი ინტერესები სცდებოდა ბოტანიკის ფარგლებს და შეისწავლიდა ამ ქვეყნების ხალხთა ცხოვრებასა და ისტორიას. – 195, 200

კუტული, საფრანგეთის გაზეთის – „Temps“-ის კორესპონდენტი – 209, -217, 218-221

კუჩაევი – 221

ლ

ლაზარევი, გენერალი – ივანე პეტრეს ძე (1763–1803), რუსი სამხედრო მოხელე კავკასიაში, გენერალ-მაიორი, განაგებდა დროებით ადგილ. მმართველობას. მოკლა მარიამ დედოფლის მხლებელმა, დედოფლის რუსეთში ძალით გადასახლების მცდელობისათვის. – 215, 242, 242, 309-311

ლაზნი – ჭანები, წარსულში ერთ-ერთი ქართველური ტომი. ცხოვრობდნენ ძირითადად თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, მცირედი რაოდენობით აჭარაში, მდ. ჭოროხის აუზში და სამეგრელოში, ენგურის შესართავთან (ანაკლია); ლაპარაკობენ ქართველური ჯგუფის ზანური ენის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. რელიგია – მუსლიმანობა. - 256

ლანგლუა, მეცნიერი – იკვლევდა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ ღირებულებას ნაშრომში „Essai de classification des suites monetares de la Georgie“, 1860წ. – 195

ლალი – ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1865-1931), პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი – 363–365

ლეისტი არტურ – (1852–1927), მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართული კულტურის მოჭირნახულე,

ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი გერმანულ ენაზე. – 447
ლენორმანი, ფრანსუა – ფრანგი ისტორიკოსი და არქეოლოგი (1837–1883), ყურადღება მიიქცია სინას მთის წარწერების შესახებ მონოგრაფიებით; იკვლევდა ელევსინის ნანგრევებს და ეკავა არქეოლოგიის პროფესორის ადგილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში. – 201-203, 204–206, 254- 259, 264, 274
ლეონიდე, ეპისკოპოსი – 115
ლერმონტოვი – მიხეილ იურის ძე (1814-1841), გამოჩენილი რუსი პოეტი - 437, 449
ლვოვი –რუსი მოხელე – 237
ლორთქიფანიძე დ. - იმერელი თავადი, რომელმაც არ დაუჭირა მხარი თავად-აზნაურთა კრებას, სადაც სამადლობელი ადრესი მზადდებოდა რუსეთის მმართველობის მიმართ. – 495
ლორის-მელიქოვი – მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888), გრაფი, რუსეთის საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, 40–იან წლებში მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ომში. 1880წელს დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და ჟანდარმთა შეფად. 1881 წელს გადადგა და უცხოეთში ცხოვრობდა. – 214

მ

მადათოვი – ვალერიან გრიგოლის ძე (1782-1829), სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთისა და 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე – 214
მაკედონელი, ალექსანდრე – ალექსანდრე დიდი (ძვ. წ. 356-323), სწორუპოვარი მხედარმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე ; ამერიკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მისი ლაშქრობის ვარაუდი ისტ. წყაროებით არ დასტურდება 201
მაკ-კინეი, ამერიკის პრეზიდენტი – 157
მარი, ეხლანდელი სომხების პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში – ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე მარი (1864–1934), ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. – 203, 204–208

მარიამ დედოფალი – ქართველთა უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის ქვრივი, რომელსაც გენ. ლაზარევმა ძალით დაუპირა წაყვანა რუსეთის კარზე. მისმა მხლებელმა ხანჯლით მოკლა გენერალი და გაიქცა. მკვლელობა დედოფალს დაბრალდა; იგი გაასახლეს რუსეთში და 9 წელიწადს მონასტერში გამოამწყვდიეს. – 242
მარკოვი, ევგენი ლეონიდეს ძე, მწერალი – 292-294
მარქსი, კარლ – (1818-1883), მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი - 38, 353, 358–360, 373
მასაგეთნი, ანუ ოსმალნი – ძველ ბერძენ ავტორთა მიხედვით მოსახლეობა ამიერკასპიისა და არალისპირეთს შორის. ჰეროდოტეს ცნობით, მომთაბარენი იყვნენ, მებრძოლები, მათთან ბრძოლაში დაიღუპა აქემენიდთა სახელმწიფოს დამაარსებელი კიროსი. სტრაბონი მასაგეთებს აკუთვნებს ზოგიერთ პრიმიტ. ცხოვრების წესით ბინადართ, აგრეთვე მიწათმოქმედთა ტომს (მაგ. ხვარაზმელებს). - 187, 188
მასპერო – გასტონი (1846-1916), ცნობილი ფრანგი ეგვიპტოლოგი, „სიძველეთა სამსახურისა“ და ეგვიპტური მუზეუმის დირექტორი, არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოავლინა XVII–XXII დინასტიების ფარაონთა მუმიების სამალავი. მას ეკუთვნის ნაშრომი „ კლასიკური აღმოსავლეთის ხალხების ძველი ისტორია“. – 259-260, 266-269
მაყაშვილი ალექსანდრე, სახლთუხუცესი და მარიამ დედოფლის ეშიკაბაში – 24
მეგრელნი – 256
„მელიქი“ – ასე მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძე დამცინავად გ. თუმანიშვილს ქალაქის თავად გასვლის მცდელობის გამო; იხ. აქვე, გვ. 19 - „როცა ქალაქის მოურავობა შორიდამ ალოკვინეს...“ - 81, 83, 85
მერკვილაძეები – მერკვილაძე ნოშრევან, „პოეტი-ხელოსანი“, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამართული კამპანიის ერთ-ერთი მონაწილე – 363, 366, 368, 371-373
მეტუენი, გენერალი – ინგლისელების ბურებთან ბრძოლის მონაწილე, რომელიც სასტიკად გაანადგურეს ბურებმა – 321
მთიულები – 256

მიდიელნი – ირანის ჩრდ.დას. ნაწილში მდებარე ისტორიული პროვინციის, შემდგომ ძველი სახელმწიფოს – მიდიის მცხოვრებნი. ვარაუდობენ, რომ მიდიელები და სპარსელები ენობრივად ენათესავებოდნენ ერთმანეთს. მიდიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. – 187, 188

მინასა ვარდაპეტი, „პირდაპირი შუამავალი იმპერატორის მთავრობასა და სომხებს შორის თვით რუსეთში“ – პეტრე დიდთან სომხების მიერ წარგზავნილი ელჩი; პეტრე დიდის ირანზე გალაშქრებით სომხები განჯა-ყარაბაღის განთავისუფლებას იმედოვნებდნენ. – 230-235, 239

მინგრელსკი, უგანათლებულესი თავადი – მემამულე, რომლისგანაც ილიას თქმით, ი. ორომჭედლიშვილმა მამულები შეიძინა და გაამრავლა თავისი ქონება ქართული კულტურის საკეთილდღეოდ; ალბათ, იგულისხმება ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი, რომელმაც თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა - 11

მიულერი – ამ გვარით ცნობილია რამოდენიმე გერმანელი თუ ავსტრიელი მეცნიერი: ავგუსტი, ორიენტალისტი (1848–1892), დავიდ ჰენრიხი, სემიტოლოგი (1846–1898), ფრიდრიხი, ლინგვისტი (1834–1898), ფრიდრიხ მაქსი, სახელგანთქმული ორიენტალისტი, ფილოლოგი და მწერალი (1823–1900); ვის გულისხმობს კონკრეტულად ილია ჭავჭავაძე, ძნელი გასარკვევია. – 270

მიქელაძე დ. – იმერეთის თავად-აზნაურთა კრების მონაწილე, რომელიც წინააღუდგა „17 ოქტომბრის მანიფესტის სამარცხვინო ქება-დიდებასა და სამადლობელის“ ტექსტის გაგზავნას მთავრობისათვის - 495

მიხაილოვსკი – 296-299

მიხაილი, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი – 242

მორდტმანი – 270

მოსოხები, (მესხნი) – 200, 256

მუშკები (იგივე მოსოხები, თუბალები) – 266

მუხთარ-ფაშა – თურქეთის არმიის გენერალი, 1877-78 წლებში უმაღლესი მთავარსარდალი თურქეთის არმიისა. –

მუხრანბატონი, მეფის სიძე – იოანე კონსტანტინეს ძე (1757–1800), სახლთუხუცესი, ერეკლე II-ს ასულის, ქეთევანის მეუღლე - 314

მღვიმელი, შიო – ერთ- ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანი, შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი და მამამთავარი – 114

ნ

ნეიტგარტი, კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირი – ალექსანდრე ივანეს ძე (1784–1845), ინფანტერიის გენერალი, 1881–1844 წ.წ. კავკასიის მხარის მთავარმართებელი – 444

ნიკოლაძე ნიკო – იაკობის ძე (1843–1928), პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ჟ-ლ „სოვრემენნიკისა“ და „კოლოკოლის“ თანამშრომელი, ჟ-ლ „კრებულის“ რედაქტორი და მუდმივი თანამშრომელი, გაზ. „ობზორის“ რედაქტორ-გამომცემელი – 170-176

ნიკოლაი, ბარონ – იხ. ბარონ ნიკოლაი

ნიკოლსკი, ასირიოლოგ-არქეოლოგი – მიხეილ ვასილის ძე (1848- ?), ასირიოლოგი; ევროპული და ძვ. ებრაულის მონათესავე ენების ცოდნამ საშუალება მისცა, შეეგროვებინა, შეესწავლა და გამოექვეყნებინა ლურსმული დამწერლობის ძეგლები კავკასიაში. – 248, 249, 252, 261-267, 270–277

ნინო, წმიდა ნინო, მოციქულთა სწორი – კაპადოკიელი ბერძენი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IVს-ის 30-იანი წ.წ.) – 266

Novuss – ამ ფსევდონიმით დავით კეზელმა „Тифлисский Листок“-ში (1898, №55) დაბეჭდა წერილი, რომელიც ეხმაურებოდა პოლემიკას ილიასა და გ. თუმანიშვილს შორის – 81, 82

ო

ორბელიანი გ. – გრიგოლ დიმიტრის ძე (1804-1883), პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი - 72

ორბელიანი სტეფანოზ, ორბელიანთა გვარის ბიოგრაფი – 195, 196

ორლოვი, პროფესორი – ილია ჭავჭავაძე მოიხსენიებს მას . ქიშმიშოვის წიგნის (უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი") კრიტიკული განხილვის დროს – 77

ოქრომჭედლიშვილი ილია – (1838-1898), გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, მრეწველი, ქველმოქმედი, ქართული წიგნის გამოცემის მეცენატი და აქტიური მოჭირნახულე – 9

პ

პავლე პირველი, იმპერატორი – რუსეთის იმპერატორი (1754–1801), ეკატერინე II-ს ვაჟი და მისი მემკვიდრე, რომელმაც 1899წლის 23 თებერვალს ბრძანება გასცა, რომ ჩრდ. კავკასიის ჯარების სარდალს – კნორინგს გენერალმაიორ ლაზარევის ეგერთა პოლკი და არტილერია საქართველოში გაეგზავნა., რაც განხორციელდა კიდეც მაისის თვეში – 309-311, 242

პატარა კახი – იხ. ერეკლე II – 72

პატკანოვი, პროფესორი – პატკანიანი ქერობე პეტროსის ძე (1833–1889), აღმოსავლეთმცოდნე, სომხური ისტ. წყაროებისა და ლიტ. ისტ. მკვლევარი. ცალმხრივად და არაობიექტურად იკვლევდა „ ქართლის ცხოვრებასთან" დაკავშირებულ საკითხებს, რამაც ქართველ მოღვაწეთა და მეცნიერთა სამართლიანი გულისწყრომა და მწვავე კრიტიკა გამოიწვია. (იხ. აგრეთვე დიმ. ბაქრაძის თხზულება „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები", თბილისი, 1884) – 192-197, 198-200, 258, 270–274, 281

პერვაზიანი მინას, არქიეპისკოპოსი – 233, 234

პეტრე დიდი – პეტრე I (1672-1725), რუსეთის იმპერატორი, სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, საზღვაო საქმის ენთუზიასტი, დიპლომატი, „ევროპისკენ სარკმლის გამომჭრელი" რუსეთისათვის, დიდი რეფორმატორი. მისი ლაშქრობა კასპიისპირეთში მიზნად ისახავდა აღმ-თისკენ გზების გაკვლევას; ვახტანგ VI-ს პოლიტიკური კავშირი მასთან უიღბლო აღმოჩნდა საქართველოს მეფისთვისაც და ქვეყნისთვისაც. – 229–234, 247

პითაგორი – პითაგორა სამოსელი (ძვ.წ. 570- დაახ.500), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი – 269

პუშკინი – ალექსანდრ სერგეის ძე (1799- 1837) – 398, 408

ჟ

ჟირარდენი – ალექსანდრე, გრაფი (1776–1855), ნაპოლეონ პირველის ლაშქრობების მონაწილე – 449

ჟორდანია ნოე – ნიკოლოზის ძ ე (1868–1953), სოციალ-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, 1898 წლიდან გაზ. „კვალის" რედაქტორი; ილია ჭავჭავაძეს შეურიგებელი იდეური ბრძოლა ჰქონდა მასთან (იხ. ჩვენი ტომის წერილები №№ 5, 6, 8, 11 და ა. შ. – 362-366, 367-376, 381–388, 389-391, 398-402, 403-408, 409-422

რ

რაევსკი – თანამფლობელი ჰაკეს და რაევსკის პანსიონისა, სადაც სწავლობდა ილია ჭავჭავაძე – 444-445

რაუ კ. გ., ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი– 373–375

რაულინსონი (რაულსონი), სახელოვანი ინგლისის მეცნიერი – ჰენრი გრესვიკ რაულინსონი (1810–1895), ინგლისელი მოგზაური და ორიენტალისტი, ლურსმული დამწერლობისა და, საერთოდ, ბაბილონურ-ასირიულ სიძველეთა მცოდნე – 274, 256, 259

რიხტერი ჟ. – 377

როინაშვილი ალექსანდრე – სოლომონის ძე (1846–1898), პირველი ქართველი ფოტოგრაფი, 1865 წელს თბილისში გახსნა ფოტოსტუდია „რემბრანდტი“, შექმნა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების უნიკალური ფოტოპორტრეტები – 109

ს

სალმანასარ I – ასირიის მეფე დაახლ. ძვ.წ. 1330წ. მან დააარსა ქალაქი კელახი – 255
სარგისიანი ვარდაპეტ – 200
სარგონი, ასურელთა მეფე – (ძვ.წ. 722–705), დაიპყრო სამარია და მცხოვრებლები მიდიაში გადაასახლა, ხოლო ისრაელის მიწაზე ბაბილონელები და არაბები დაასახლა. 720წელს გაანადგურა აჯანყებული ფილისტიმელები და ეგვიპტელთა მეფე საბაკონი, რომელიც ფილისტიმელებს ეხმარებოდა. 709 წელს დაიპყრო ბაბილონი და თავი ბაბილონის მეფედ გამოაცხადა. მოკლეს 705 წელს. – 259
სეისი, მეცნიერი – 260, 270
სენკოვსკი – ოსიპ ივანეს ძე (იხ. ბარონ ბრამბეუსი) თავის დროზე ერთობ პოპულარული რუსი მწერალი და ჟურნალისტი (1800–1858), უნივერსიტეტიდანვე გატაცებული იყო აღმოსავლური ენების შესწავლით. თუმცა ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე მან ადრევე თქვა უარი და ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობას შეუდგა. მისი „ლიტერატურული ნიღაბი ... არასოდეს გამხდარა საგანგებო ფილოლოგიური კვლევის საგანი“ (ნ. დერგაჩოვა). სენკოვსკის ლიტერატურულ საქმიანობაზე ენციკლოპედია “პროსვეშჩენიე“ წერს: „სენკოვსკი ნათელი მაგალითია ლიტერატურული ფშუტე ყვავილისა, რომელსაც არავითარი მყარი კვალი არ დაუტოვებია, თუმცაღა ... ბარონ ბრამბეუსს თითქმის ყველა თვისება გააჩნდა მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი როლისათვის ლიტერატურაში“. ილია ჭავჭავაძის ამ წერილში მოტანილი ამონარიდები სენკოვსკის არქეოლოგიური ოპუსებიდან სწორედ ასეთი ზერელობის ილუსტრაციაა. – 187, 188, 193-195, 212, 280

სენ-მარტენი, ვივიან და ჟან – ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, პარიზის „აზიური საზოგადოების“ წევრი, მარი ბროსეს მასწავლებელი; (იხ. დიმ. ბაქრაძის თხზულება „პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, თბილისი, 1884წ., გვ.1, 2) – 192, 211, 266
სერებრიაკოვი ილია, ლაზარევის უნივერსიტეტის პროფესორი – 258
სვანნი – 268
სკვითები – ძველირანული ტომები, მოსახლეობდნენ ჩრდ. შავიზღვისპირეთში; ჰეროდოტეს ცნობით, სახლობდნენ დნეპრისა და დონის სტეპებში, ეწეოდნენ მომთაბარეობას, მისდევდნენ მესაქონლეობას. ძვ.წ. IVს-ში ჩამოყალიბდა სკვითების სახელმწიფო, განვიების მაღალ დონეს მიაღწია ხელოვნებამ. – 249
სოლომონ, იმერეთის მეფე – სოლომონ I (1735–1784), ალექსანდრე V-ის ძე, იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცებისათვის. – 236
სომეხნი, სომხის ერი – 179, 186, 187
სტაროსელსკი გივი – საგურამოელი მემამულე, ი. ჭავჭავაძის მეზობელი და მეგობარი - 465, 480, 484-486
სტრაბონი – (დაახლ. ძვ.წ. 64/63 –ახ.წ. 23/24) ძველი ბერძენიფ ისტორიკოსი და გეოგრაფოსი; მისი 17 წიგნისაგან შემდგარი ნაშრომი – „გეოგრაფია“, ანტიკური მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლისათვის. – 193, 199, 266
სუმბათიანცი მესროფ (ვარდაპეტი) –შემახიის ეპარქიის არქიეპისკოპოსი – 270–272

ტ

ტაბალები (თუბალები) – 266
ტერ-ღუქასოვი, გენერალი – 214
ტესიე – ფრანგი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე – 266
ტვაცი, კაღანკ, სომხის ისტორიკოსი – 108
ტიგრან პირველი, კიროსის თანამედროვე – სომეხთა მეფე (ძვ.წ. 121– ახ.წ. 36), არშაკიდების დინასტიიდან. მის

დროს ძველი სომხეთის სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა,რის გამოც მას დიდი უწოდეს. ძვ.წ. 94წელს შეკრა სამხ.პოლიტიკური კავშირი პონტოს სახელმწიფოსთან, ცოლად შეირთო მისი მეფის – მითრიდატე VI-ს ასული და თანდათანობით გააერთიანა მთელი სომხეთი. მისი წინსვლა რომმა შეაჩერა. რომთან ბრძოლაში სომხეთს ქართველებიც ეხმარებოდნენ, რათა თავიდან აეცდინათ საერთო საფრთხე. შუბოსანმა იბერებმა, პლუტარქეს ცნობით, ყველაზე მეტად გაითქვეს სახელი. ძვ.წ. 66 წელს პომპეუსმა დაამარცხა იგი და რომის ვასალად აქცია. – 201

ტოლსტოი დიმიტრი – ანდრეის ძე (1823-1889), სახალხო განათლების მინისტრი; 1871-1876 წ.წ. კატკოვთან ერთად გაატარა რეფორმები რეალური სასწავლებლების ახალი წესდების შესამუშავებლად. ილია თავიდანვე მკაცრად აკრიტიკებდა სწავლების ამ სისტემას. ამ წერილებში კი იგი ჟორდნიასთან კამათის დროს ახსენებს მას - 284, 374, 390–391

ტოტლებენი – გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ფონ (1715–1773), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ბრალად დაედო სახელმწიფო ღალატი და სიკვდილი მიესაჯა; ეკატერინე II-მ სიკვდილი ქონების კონფისკაციითა და გაძევებით შეუცვალა, უფრო გვიან კი საქართველოში გამოგზავნა. 1770წ. ქართლ-კახეთის ჯართან ერთად ახალციხისკენ გაილაშქრა, მაგრამ უღალატა ერეკლე II-ს და მიატოვა იგი, თუმცა ასპინძის ომში ქართველთა გამარჯვებამ ჩაშალა მისი გეგმები. რუსეთის მთავრობამ გაიწვია იგი საქართველოდან და მის ადგილზე გენ. სუხოტინი დანიშნა. – 236-238

ტურგენევი – ივანე სერგეის ძე (1818- 1883), გამოჩენილი რუსი მწერალი – 450

ტურნეფორი – ჟოზეფ-პიტონი (1655-1708), გამოჩენილი ფრანგი ბოტანიკოსი; ლუი XIV-ის დავალებით 1700 წელს იმოგზაურა საბერძნეთში, ოსმალეთსა და კავკასიაში და წიგნად გამოსცა ამ მოგზაურობის მიმოხილვა; 1988 წელს ტურნეფორის წიგნი ფრანგულიდან ქართულად თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა; იხ. „ჟ.პ. დე ტურნეფორი – მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“, „მეცნიერება“, 1988წ. (იხ. აგრეთვე პროფ. მ. პოლიევქტოვისა და პროფ. გ. ნათაძის წიგნი: „ძველი ტფილისი“, 1934წ., გვ.31-32) – 32

ტხორჟევსკი – კორნელი ვლადისლავის ძე (1858-1896), მწერალი, 1893 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალებს: „Русъ“ და „Воскресенъе“ – 447

უ

უვაროვი, გრაფი – ალექსი სერგეის ძე (1825–1884), რუსი არქეოლოგი, რუს. არქეოლოგიური საზ-ბის დამაარსებელი, არქეოლოგ, ყრილობების ორგანიზატორი; იგი იყო ინიციატორი 1881 წელს თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობისა და დიდი მოსარჩლე ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისა. – 271

უორდროპი მ. – მარჯორი სკოტ (1869-1909), ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი, ქართული მწერლობისა და კულტურის პოპულარიზატორი, ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანის ავტორი – 450

ფ

ფრიდრიხ მეორე – დიდი (1712-1786), პრუსიის მეფე – 34-35

ფურცელაძე ანტ. – ანტონ ნიკოლოზის ძე (1839-1913), მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 60-იანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჟურნალ„ცისკრისა“ და „მნათობის“ აქტიური თანამშრომელი – 160

ქ

ქადეშის მეფეები – კადეში – ხეთების დედაქალაქი. კადეშის მეფეებში იგულისხმებიან ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-სა და ხეთების მეფე მუფათალს შორის მომხდარ კადეშის ბრძოლაში ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლი 330 მეფე და მთავარი – 268

ქიშმიშოვი, ს. ი., სომხის ღენერალი, აწ განსვენებული; „შესთხზა ერთი წიგნი ... „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსნი“ – ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1898 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ „პატარა საუბარში“ (№46, მარტის 3) კრიტიკულად განიხილა

ეს ნაშრომი (იხ. ჩვენი ტომის გვ,), ხოლო უფრო მოგვიანებით, „ქვათა ღაღადში“ მკაცრად გააკრიტიკა ავტორის მცდარი სუბიექტური პოზიცია. – 77, 222, 223, 224, 225, 281

ქსენოფონტე – ქსენოფონტი (დაახლ. ძვ.წ. 435-431 წლებს შორის – 355-354წ.წ.), ძველი ბერძენი ისტორიკოსი, სწავლული და მხედართმთავარი, არისტოკრატი, სოკრატეს მოწაფე. – 260

ყ

ყიფიანი დიმიტრი – ივანეს ძე (1814-1887), საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჯერ თბილისისა და შემდგომ ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თბილისის ქალაქისთავი, ეროვნული მოძრაობის მესვეური, სტავროპოლში გადასახლებული მეფის აგენტებმა მოკლეს.

შ

შარდენი – ჟან (1643–1713), ფრანგი მოგზაური, იმოგზაურა ინდოეთში, სპარსეთსა და ამიერკავკასიაში, სწავლობდა ამ ქვეყნების პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ყოფით ვითარებას. დაწერა ნაშრომი „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“,სადაც საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოს ეხება და გარდა საკუთარი თვალით ნანახისა, შევსებულია ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა ცნობებით. – 227–229

შექსპირი –უილიამ (1564–1616), ინგლისელი დრამატურგი, პოეტი – 326, 495

ჩ

ჩამბერლენი, ინგლისის მინისტრი – ჯოზეფ ჩემბერლენი (1836–1914), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე – 128-130, 155-157

„ჩიორა“ – იხ. ახნაზაროვი არტემ – 32, 399, 419

ჩუბინოვი – დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1814–1891), ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრი, თანამშრომლობდა „ივერიასა“ და „დროებაში“, რუსულ პრესაში. - 266

ცა

ცაგარელი – ალექსანდრე ანტონის ძე (1844–1929), ისტორიკოსი, ქართულ სიძველეთა, ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების შემსწავლელი და გამომცემელი – 237

ციციშვილი გიორგი, სარდალი, სიმამრი მეფისა – ვახტანგის ძე (17? –1806), გიორგი XII-ს სიმამრი - 242

ციციშვილი ტატო – საგურამოელი მემამულე – 465

ციციანოვები – ილია განზოგადებულად მოიხსენიებს რუსეთის სამსახურში მყოფ მოხელეთა გვარებს

წ

წერეთელი გ., აწ განსვენებული გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი (1842-1900), გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, გაზ.„დროების“ რედაქტორი 1866-1869წ.წ.; 1893 წლიდან კი გაზ. „კვალის“ ფაქტიური რედაქტორი. –

წერეთელი სვ. გ. – იმერეთის თავად-აზნაურთა კრების (1906წ.)მონაწილე, რომელმაც არ მოაწერა ხელი მთავრობისადმი მიმართულ „სამარცხვინო სამადლობელს“ – 495

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე, ეშიკაბაში – 242

ჭავჭავაძე გარსევან – რევაზის ძე (1757–1811), XVIIIს-ის II ნახ-ის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის მეფის კარზე; ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა – 307–309

ჭავჭავაძე ივ. სულ. – 74

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე – (1837–1907), - 300, 437, 438

ხ

ხანიკოვი – ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (1819–1878), რუსი აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, დიპლომატი, 1850 წლიდან რუსეთის გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ. ერთ-ერთი ხელ-ლი. – 200

ხეტტი, ხეტტები – ხეთები, უძველესი ხალხები მცირე აზიაში, ბინადრობდნენ ძვ.წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე. იხ. გეოგრ. საძიებელში „ხეტა“ – 265, 266, 269

ხეჩატუროვი, „კულტურონსანი“ – გაზ. „Тифлисский Листок-ის რედაქტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი - 296, 299–301

ხუდაბაშოვი, – სომეხი მეცნიერი, ავტორი წიგნისა „Обозрение Армений“ 1859წ. – 189, 190, 273, 281

ხორენელი მოსე – მოვსეს ხორენაცი, სომეხი ისტორიკოსი, ტრადიციის მიხედვით, V საუკუნის მოღვაწე, თუმცა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, სახელდება V-VI, VII, VIII-IX ს-ები. აღსანიშნავია მისი „სომხეთის ისტორია“, პირველი ცდა გაბმული ისტორიის შექმნისა, დაყრდნობილი ზეპირ, წერილობით, ეროვნულ და უცხოურ წყაროებზე. ბევრი საგულისხმო ცნობებია ამ თხზულებაში აგრეთვე საქართველოს ისტორიის შესახებაც. - 200-202

ხუდადოვი – თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი - 49-51, 53-55, 58

ჯ

ჯვაროსნები – ქრისტეს წმინდა საფლავის მუსლიმანებისაგან განთავისუფლების იდეით წარმოებული ომების მონაწილენი. წარმართავდნენ ამ ომებს დას. ევროპის ფეოდალები და მონარქები. – 268

ჯორჯაძე არჩილ – კონსტანტინეს ძე (1872–1913), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, გაზ. „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი, საქ. სოც.ფედერალისტური პარტიის ლიდერი. – 428, 432-435

ჰ

ჰაკე – დირექტორი და თანამფლობელი პანსიონისა, სადაც სწავლობდა ილია ჭავჭავაძე - 444

ჰამლეტი – შექსპირის ამავე სახელწოდების გმირი, რომლის მონოლოგს ილია იყენებს უპრინციპო და მლიქვნელი ადამიანების მიმართ – 495

ჰეინე (ჰაინე), გერმანიის სახელგანთქმული პოეტი – ჰაინრიხი (1797–1856) – 72, 449

ჰაჯი ხოლმა, მუსლიმანთა მწერალი-გეოგრაფი – ჰაჯი-ხალფა, სრულად მუსტაფა-იბნ-აბდალახი, ანუ ქიათიბ-ჩელები – სახელგანთქმული თურქი მეცნიერი (1600–1658), თურქულ ენაზე დაწერა „ისტორიულ-ქრონოლოგიური ცხრილები“, გეოგრაფია: „ჯიხანუმა“ (სამყაროს სარკე), ოსმანთა საზღვაო ლაშქრობების ისტორია. - 278

ჰეროდოტე – ძველი ბერძენი ისტორიკოსი (დაახლ. ძვ.წ. 485–424), „ისტორიის მამად“ წოდებული; მოიარა მთელი ქვეყანა, მათ შორის კოლხიდა. ავტორია ბერძნულ-სპარსული ომების ისტორიისა, რომელიც გადაზრდილია მსოფლიო ისტორიაში. განსაკ. მნიშვნელოვანია ცნობები ქართველთა ტომების, საქ-ოს ძველი ისტორიის შესახებ. – 216, 281

ჰომიროსი – ძველი ბერძენი პოეტი, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი – 259

ჰომმელი – ფრიცი, ორიენტალისტი (1854–?), ავტორი შრომებისა შუმერულ-აქადური და მისი მონათესავე ენების შესახებ, ეგვიპტური და ბაბილონური წინარესემიტური კულტურების შესახებ, აგრეთვე სამხრეთარაბული ქრესტომათია და სხვ. – 264

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ავლაბარი - 101
ავსტრია – 268
ავსტრო-ვენგრია – 141, 153
ავღანისტანი – 322
ავჭალა – 36
ამასიის ქალაქი, (სტრაბონის სამშობლო) – 266
ამერიკა – 154, 155
ამიერკავკასია – 179
არაგვი – 312, 486
არარატის მაღლობები – ვულკანური მასივი მდ. არაქსის შუაწელში, თურქეთში, საქართველოს საზღვრის მახლობლად – 247, 260
არაქსი, არაქსის წყალთაგამყრელი – არაქსი, არეზი, მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის უდიდესი შენაკადი, მიედინება თურქეთის, სომხეთის, საქართველოსა და აზერბეიჯანის ტერიტორიაზე. – 190
არზრუმი – ერზურუმი, ქალაქი ჩრდ.-აღმ. თურქეთში, ადმინისტრ. ცენტრი. ისტორიულად თეოდოსიოპოლი, ქართ. კარნუ-ქალაქი. უძველესი დროიდან იგი ხელიდან ხელში გადადიოდა რომსა და ირანს, არაბებსა და სელჯუკებს, ყიზილბაშებსა და ოსმალებს, ქართველებსა და რუსებს შორის; საბოლოოდ, რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებით, თურქეთმა დაიბრუნა. – 200, 248
„არმავირი“, რაღაც მითოლოგიური... დედა და სატახტო ქალაქი – ძველი ნანგრევები ბლურის ქედთან – 271
არმენია – ძველ ბერძნულ-რომაულ ისტორიულ წყაროებში ასე მოიხსენიება ისტორიული „დიდი და მცირე არმენია“. თავად სომხები თავის ქვეყანას ჰაიასტანს უწოდებდნენ. სახელი არმენები, დიდი ენციკლოპედიის („Просвещение“, ტ. 2, გვ.74) ცნობით, მიდიელებისგან გადმოვიდა, ასე იწოდებოდა ერთ-ერთი მათი მეზობელი ტომი. (დაწვრილ. იხ. „სომხეთი“); მეცნიერთა ერთი ნაწილი სრულიად გამორიცხავს არმენიის ლურსმული წარწერებისა და საერთოდ, არმენიის ძველი მოსახლეობის ნათესაობას სომხებთან, ჰაოსიანებთან – 273, 278, 278
არტაანი - ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხრ. საქართველოში, მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს. ვახტანგ გორგასალმა აქ საეპისკოპოსო შექმნა. XVI ს-ში დაიპყრეს თურქებმა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, მაგრამ საბოლოოდ თურქეთს დარჩა. – 189, 220
ასტრახანი – ქალაქი რუსეთის ტერიტორიაზე, საოლქო ცენტრი. ისტორიულად ასტრახანზე გადიოდა საქართველოდან მოსკოვისკენ მიმავალი გზა; ასტრახანში ამაოდ ელოდებოდა ვახტანგ VI და ქართველთა ლაშქარი რუსეთის იმპერატორის დაპირებულ ჯარს უცხოელ დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის. ასტრახანში არიან დაკრძალულნი ქართველი მეფეები – ვახტანგ VI და თეიმურაზ II. – 230, 231
ასურეთი – ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ.წ. III ათასწლეულში შუამდინარეთის ჩრდ. ნაწილში და იარსება ძვ.წ. VII საუკუნის ბოლომდე. სემიტურ ენათა ოჯახში შემავალი ასურული ენა, აგრეთვე ასურეთის მოსახლეობა ეთნიკურად, ენით, კულტურით დიდად არ განსხვავდებოდა ბაბილონელთაგან. დედაქალაქი – ასური. – 265, 272, 277
ატენი – ქალაქი ფეოდ. საქართველოში, ატენის ხეობაში, ქართლში. აშენდა მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით XI ს. შუა წლებში. მნიშვნელოვანი სტრატ. ციხე-ქალაქი. ატენის ხეობაშივე მდებარეობს ატენის სიონი – VII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი – 266
აფრიკა –321-323
ახალციხე – უძველესი ქალაქი სამხრ. საქართველოში, ახალციხის ქვაბულშია გაშენებული, მდ. ფოცხოვის ორივე ნაპირზე, ადრე სამცხის ათაბაგთა, ჯაყელების რეზიდენცია - ციხე-ქალაქი იყო. 1578 წ. ოსმალებმა დაიპყრეს. XVII-XVIII ს-ში ტყვე ქრისტიანებით ვაჭრობის მთავარი ბუდე იყო. 1829 წლიდან რუსეთის იმპერიაში შევიდა. – 220, 304, 306, 309
აცმურის მთა, მილიტენის ქალაქის ახლო – 266
აწყური – სოფელი ახალციხის რ-ნში, საქართვ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. წყაროების თანახმად, აუგიათ ბიზანტიის კეისარ ჰერაკლეს დროს (VII ს.) იყო საეკლესიო ცენტრი, მერჩულეს ცნობით, საეპისკოპოსო ტაძარიც არსებობდა. XVI ს-ში ოსმალებმა დაიპყრეს,

ვიდრე ახალციხესთან ერთად რუსეთის მმართველობაში არ შევიდა. – 189

ბ

ბაბილონი – ძვ. ქალაქი შუადინარეთში, ევფრატის სანაპიროზე, (ახლ. ერაყის ტერიტორიაზე). დააარსეს შუმერებმა ძვ.წ. III ს-ში. ბაბილონის პირველი მეფე იყო დამპყრობელი ამორეველების ბელადი სუმუაბუმი, რომელმაც ქალაქს შემოავლო კედელი, ააშენა არქიტექტურული ანსამბლები და ციხე-სიმაგრეები. ბაბილონი იქცა ძვ. აღმოსავლეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. ძვ.წ. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა იგი თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა. – 248, 258, 264, 268

ბადენის საჰერცოგო – მდებ. გერმანიის სამხ,-დას. ნაწილში, ისტორიულად სამარკგრაფო (XIს), 1806წელს დიდ საჰერცოგოდ გამოცხადდა – 145

ბალთა – სოფელი შიდა ქართლის ვაკეზე, ზნაურის რ-ნში, მდ. ფრონის პირას; 2) სოფელი ლაგოდეხის რ-ნში, ალაზნის მარცხენა მხარეს. – 209-210

ბალკანეთის ნ.კ. – 42, 44

ბალკანეთის სახელმწიფოები – ბალკანეთის ნ.კ.-ზე მდებარეობს ბულგარეთი, იუგოსლავიის დიდი ნაწილი, ალბანეთი, საბერძნეთი, რუმინეთის სამხრ., თურქეტის დას. და იტალიის მცირე ჩრდ.აღმ. რ-ნები – 124

ბალხარიის მთები პონტოსა და საქართველოს საზღვრებზე, (გურჯი–ბოღაზი), საქართველოს ყელი – აქ გადიოდა არზრუმიდან საქართველოში მომავალი მაგისტრალური გზა – 266

ბირმინგამი – ბირმინჰემი, ქალაქი ინგლისში - 130

ბაქო – აზერბაიჯანის დედაქალაქი – 215

ბაშკადიკლარი – (ბაშბედიქლერი), სოფელი, სადაც 1853 წ. 19 ნოემბერს მოხდა რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის ბრძოლა ყირიმის ომის დროს. – 220

ბეგლი-ახმედი – რუსეთ-თურქეთის საომარი ასპარეზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი - 220

ბელგია – 144

„**ბლური**“, ქედი ეჩმიაძინის მახლობლად, ძველი, ისტ. ნანგრევებით – 271

ბოლგარია – ბულგარეთი - 44

გ

გავასტგუსი, პატარა ქალაქი ფინეთში – 149

განჯა – ქალაქი აზერბეიჯანში, განჯაჩაის (მტკვრის აუზი) ნაპირზე. დაარსდა VIს-ში,იყო ვაჭრობა-ხელოსნობისა და კულტურის ცენტრი. ხშირად აოხრებდნენ ხან ირანელები, ხან თურქები, მონღოლები თუ სხვანი. ნიზამი განჯელის სამშობლო და ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალების ადგილი. განჯის სახანო XVIIIს-ში ქართლის მოხარკე ქვეყანა იყო. - 222, 229

განჯა–ყარაბაღი – სახანოები აზერბეიჯანის ტერიტორიაზე; მუდმივად ირანის დამპყრობელური ომების ასპარეზი. XVIII ს-ის 20-იან წლებში, ირანის პრობლემებით დაკავებულ პეტრე I-საც გაუჩნდა ინტერესი განჯა-ყარაბაღის მიმართ და ქართლისა და კახეთის მეფეებს თანადგომა შესთავაზა, თუმცა ბოლომდე არ მიჰყვა ამ გეგმას უფრო ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგების გამო. - 229, 230, 231

გაცურის მთა, მურაშინის ქალაქის ახლო – 266

გემრიელ–წყალი, გერმიელ–ჩაი – 266

გერმანია –40-47, 123-158, 316-320, 344- 353, 365-387, 417

გოგჩის ტბა – გოქჩა, სევანის თურქული სახელწოდება. ქართ წყაროებში ხშირად მოიხსენიება გელაქუნის ტბად ან ზღვად. – 248

გურამიანთკარი – სოფელი მცხეთის რ-ნში - 480

დ

დადეშის ტაძარი – დადეში – სოფელი ახალციხის რ-ნში, ქართ. წყაროებში მოიხსენიება XVI ს-დან. შემორჩ. შუა ფეოდ. ხანის საყდრები. - 189

დაღესტანი – უძველესი ისტორ. მხარე ჩრდ. კავკასიაში; აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო გზა ამიერკავკასიაში (დარუბანდის კარით). – 220

დევაბოინე – ერთ-ერთი სოფელი რუსეთ-თურქეთის საომარ ასპარეზზე – 220

დუშეთი – 404

ე

ეგეიის ქალაქები – იგულისხმება ბრინჯაოს ხანის ეგეოსის (ეგეიდური) კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრები: ტროა II, კრეტა, ფესტოსი და კნოსოსი. – 269
ეგვიპტე – 32, 39, 199, 249, 267, 268, 323
ევროპა, ევროპის სახელმწიფოები –40-47, 123-132, 154, 178, 213-219, 267, 268, 284, 316-338, 382, 387, 413-421
ეიუკი, ღალისის მდინარის მახლობლად მდებარე – 268
ელზას-ლორენი – გერმანიის „საიმპერიო მიწა“, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხეების ხაზითა და სამრეწველო პოტენციალით - 132
ენგური – მდინარე დას. საქართველოში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე და კოლხეთის ბარში. სათავეს იღებს მყინვარ ენგურიდან (2614მ ზ.დ.) – 266
ერევნის გუბერნია – ისტ. ერევნის სახანო, დააარსა აბას I-მა აღმ. სომხეთის ტერიტორიაზე, განაგებდა შაჰის მიერ დანიშნული ხელისუფლება. XVIIIს-ის IIნახევარში ქართლ-კახეთის სამეფომ თავის ვასალად აქცია. 1828 წელს რუსეთს შეუერთდა. – 221
ერევნისა და ყარსის ადგილები – ისტ. ადგილები; ყარსი – უძველესი, პოლიტ. მნიშვ. ცენტრი. 1205-6წ.წ. საქ-ოს სახელმწიფომ ყარსი, რომელსაც დიდი სტრატ. მნიშვ. ჰქონდა, გაათავისუფლა სომხეთის დიდ ნაწილთან ერთად, სამეფო ქალაქად აქცია და ქართველი მმართველი დაუნიშნა. XIIIს-დან, მონღოლების შემოსევის შემდეგ ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე 1921 წელს თურქეთის შემადგენლობაში არ შევიდა. - 248
ერუშეთი – ისტ. მხარე სამხრ. საქართველოში, არტაანის ჩრდ.-თით (ახლ. თურქეთის საზღვრებში), ისტ. წუნდის საერისთაოში შედიოდა, ვახტანგ გორგასალს აქ საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია. – 206
ერჯიში, მთა კილიკიაში - ერჯიასი, ვულკანი ანატოლიის ზეგა მცირე აზიის ყველაზე მაღალი მწვერვალი (3770 მ). – 266
ეჩმიაძინი – ქალაქი სომხეთში, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი და კათალიკოსის რეზიდენცია – 271

ვ

ვანის ტბა – გაუდინარი ტბა თურქეთში, სომხეთის მთიანეთში, 1720 მ სიმაღლეზე. მის ნაპირას ისტ. მნიშვნელოვანი ქალაქი მდებარეობდა, რომელიც მრავალგზის დაინგრა დამპყრობელური ომების შედეგად. მის ტერიტორიაზე მოპოვებულია უძველესი არქეოლოგიური მასალა (ძვ.წ VIII-VI ს.ს.) – 247
ვეკფილდი (ქალაქი) – 155
ვლადიკავკავი – ვლადიკავკაზი, ჩრდ. ოსეთის ავტ. რესპუბლიკის დედაქალაქი – ორჯონიკიძე. – 79– 89, 90-102, 209

თ

თავშანი – თავშანთაფა, ვულკანური მთა ჯავახეთის ზეგანზე, ფარავნის ტბის სამხრ.-თით. - 266
თიანეთი – დაბა აღმ. საქართველოში, თიანეთის ქვაბულში, ივრის მარჯვ. ნაპირზე. - 266
თავშავის მთა – იხ. თავშანი - 266
თამარმე, კესარიის ქალაქის ახლოს – 266
თელავის მაზრა – 443
თერგი - 79
თეძამი – მდინარე კასპის რ-ნში – 266, 483
თეჯირის მთა, სივას ქალაქის ახლოს – 266

ი

იაპონია – 40, 46, 126, 155-158
იმერეთი – 222, 236, 474, 495-496
ინგლისი – 39, 40, 44, 47, 128-133, 144- 149, 153-158, 206, 256, 267, 316-325, 416-418
ინდოეთის იმპერია – 44
ინდოეთში ინგლისის სამეფო – 128
ინდოეთი – 321
ინდოეთის ოკეანე – 316
ირლანდია – 322
იტალია – 43, 44

კ

კავკასია – 188, 192, 195, 213-214, 220, 281, 301, 336, 445, 449
კარი–ბაზარი, მთა – 266
კასპიის ზღვა – 178
კახეთი – 77, 222, 307, 414-417, 443
კესარია, ქალაქი – 266
კიაო-ჩუ, ნავსადგური – 44
კილიკია – ქვეყანა მცირე აზიის სამხრ.-აღმოსავლეთში. ძვ.წ. IIს-ში აქ ცხოვრობდნენ ლუვიელები, ხეთები და ხურიტები. – 266
კიშერი, დაბა – 266
კლარჯეთი – მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, მოიცავდა ჭოროხის ქვემო დინების აუზს. – 189
კოლა – მხარე ისტორიულ სამხრ.საქართველოში, მოიცავს მდ. მტკვრის სათავეების ქვაბულს. – 189
კოლხიდელების ქვეყანა – კოლხეთი, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება - 266
კურუკ–დარა –220

ლ

ლიგანისხევი, ჭოროხის ხეობაში - 189
ლილი – ქალაქი საფრანგეთში – 378

მ

მადათოვი – გენერალი, რომელმაც შეიძინა თბილისის საზღვრებში, მდინარე მტკვრის განტოტებაში მოქცეული ყოფილი კუნძული და აქცია იგი სასეირნო ბაღებად და გასართობ ადგილებად – 214
მანგლისის ჯვარი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ჯვარულ-გუმბათოვანი ტაძარი. IVსაუკ. 30-იან წლებში აქ უკვე იდგა ქვის ეკლესია, რ-იც Vს-ის IIნახ-ში ახალი ეკლესია ააგეს. XIს-ის I მეოთხედში გიორგი I-ის დროს საფუძვლიანად გადააკეთეს. - 198
მოსკოვი – 9, 10, 210, 448
მოზდოკი – ქლაქი თერგი ს მარცხ. ნაპირზე, ჩრდ. ოსეთში – 310
მტკვარი – 204
მტკვრის სათავეები – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარის – მტკვრის სათავეები ვულკანურ ქანებში ჩაჭრილ ვიწრო ხეობას წარმოადგენს, რომელიც თანდათან ფართოვდება, დაჭაობებულ არტაანის ველზე ფართო ხეობას ქმნის, ჯავახეთისა და ერუშეთის მთიანეთს შორის მოედინება, ხერთვისს ქვემოთ ხეობა განიერდება, ახალციხის ქვაბულზე გადის და მესხეთისა და თრიალეთის ქედებს შორის მოედინება. – 187, 260
მტკვარსა და არაქსს შუა ადგილები – მტკვარ-არაქსის დაბლობი მტკვრისა და არაქსის ქვემოთში. განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ძვ.წ. IV ათასწ. IIნახ. – IIIათასწ. არქეოლოგიურ კულტურას, რ-იც გავრცელებული იყო მტკვრისა და არაქსის (არეზის) აუზში. - 260? მუხრანი - 64
მცირე აზია – ნახევარკუნძული დას. აზიაში, თურქეთის ტერიტორიის შუა ნაწილი. გარს აკრავს ხმელთაშუა. ეგეოსის, მარმარილოს და შავი ზღვები, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. – 305, 322, 199, 264
მცხეთის ჯვარი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; დგას მთაზე ძვ. დედაქალაქის, მცხეთის პირდაპირ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან. ქრისტიანობის მიღების პირველი წლებიდანვე მეფე მირიანმა აქ ხის ჯვარი აღმართა, რ-საც ქართველებთან ერთად კავკასიის სხვა ქრისტიანი ხალხებიც სცემდნენ თაყვანს. VI ს-ის II ნახევარში ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის გვერდით პატარა ეკლესია ააშენა, ხოლო ამავე საუკუნის მიწურულს ერისმთავარმა სტეფანოზმა ააგო დიდი ტაძარი, რომელიც ზედ გადაეხურა ხის ჯვარს. – 198

ნ

ნავთლული – 101
„ნაირის“ ქვეყანა – ასურეთის ჩრდ.-თით, ვანისა და ურმიის ტბების გარშემო მდებარე ტერიტორია. ძვ.წ. XIII-XI ს.ს. ასურეთის მმართველთა წარწერებში გვხვდება ცნობები ნაირის წინააღმდეგ ლაშქრობათა შესახებ. ნაირის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე ძვ.წ. IXს-ის ასურულ წყაროებში. - 248, 254, 264
ნაქალაქევი – სოფელი ასპინძის რ-ნში. ამ მიდამოებში იყო ძველი ქალაქი წუნდა, შემორჩენილია წუნდის ეკლესია (XII-XIIIს-ის მიჯნა). - 189

ნაჭილობევის მთა – 266
ნებიანი – 266
ნინევია (ასურეთი) – ასურეთის უძველესი ქალაქი, მდებარეობდა მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე. ძვ.წ. XVIII ს-ში შამშიადად I-მა აქ ააგო იშთარის ტაძარი., რომლის თვალისმომჭრელი სილურჯის კარიბჭე ბერლინის ეგვიპტურ მუზეუმშია დაცული. სენახერიბის დროს ქალაქს შემოავლეს 4კმ სიგრძის კედელი 14 ჭიშკრით. ნინევია გახდა ასურეთის დიდი სამეფოს დედაქალაქი; მეფე აშურბანიპალის დროს აქ შეიქმნა უდიდესი და უნიკალური ბიბლიოთეკა (ძვ.წ. VII ს-ში), ჩვენამდე მოაღწია 30000-მა ლურსმულად ნაწერმა თიხის ფირფიტამ. – 258

ო

ონი, შავისზღვის პირზე – 266
ორგუბე, კესარიის ახლოს – 266
ორთაყვის მთა, ნიღდის ქალაქის ახლოს – ორთაყარა(?), მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე – 266
ორონტის ველი – მდ. ორონტის (სირია) ველის დიდი ნაწილი დამუშავებული იყო და განსაცვიფრებელ ბაღნარს წარმოადგენდა ამ უდაბურ გარემოში. – 268
ოსმალეთი – 40-45, 123-125, 133, 154, 304-309

პ

პალესტინა – ისტორიული ოლქი წინა აზიაში. ძვ.წ. III ათასწლეულში აქ ჩამოსახლდნენ ქანაანელი ტომები. ძვ.წ. XII ს-ში სანაპირო ზოლი დაიპყრეს ფილისტიმელებმა (აქედან სახელწოდება „პ“); ძვ.წ. XI ს-ში პალესტინის დანარჩენ ტერიტორიაზე შეიქმნა ისრაელ-იუდეველთა სამეფო – 194, 248
პეტერბურგი – 9, 33-34, 203, 266, 286, 310
პორტ-არტური – ქალაქი და ციხე-სიმაგრე ჩინეთში, (ახლ. ლიუშუნი), რომელიც 1898 წელს რუსეთმა იჯარით აიღო და 1904–1905წ.წ. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მნიშვნელოვან პლაცდარმად გამოიყენა. – 45, 46
პრეტორია (ბურების საატახტო ქალაქი) – 321
პრუსია – 144

რ

რუსეთი – 9, 12, 39-48, 128-138, 182-189, 227- 268, 283-285, 293-295, 305-317, 468 **რუმინია** – რუმინეთი – 45,

ს

საბერძნეთი – 40-44, 47, 124, 194, 268
საგურამო – ილიას მეუღლის – ოლღა გურამიშვილის სამკვიდრო მამული, მათი საზაფხულო რეზიდენცია – 457, 465-467, 470, 479-480, 488
სამცხე–საათაბაგო – ფეოდალური სამთავრო სამხრ.დას.საქართველოში XIVს-ის I ნახევრიდან XVIIს-ის 20-იან წლებამდე. - 189
სარმურსახლი, კესარიის ახლოს – 266
საფრანგეთი – 39-43, 46, 47, 125, 129-132, 153–157, 209, 302, 317, 418
საქართველო – 9-13, 17-18, 33, 72-77, 116, 163, 178, 187-188, 192-196, 212, 218-230, 238-243, 258, 282, 304-311, 363, 383-389, 399-445 და ა.შ.
სერბია – 45
სვანეთი – 11
სირია – სახელმწიფო დას. აზიაში, თურქეთის, ერაყის, იორდანიის, ისრაელისა და ლიბანის მოსაზღვრედ, დას-თით აკრავს ხმელთაშუა ზღვა. ისტორიულად უძველესი ქვეყანა; უკვე ძვ.წ. III–II ათასწლეულში სირიაში გაჩნდა პირველი ადრექრისტ. სახელმწიფოები. ძვ.წ. XVI–XVს-ში დაიპყრეს ეგვიპტის ფარაონებმა., ხოლო ჩრდ. ნაწილი – ხეთებმა. ძვ.წ. XIVს-ში სირიის ტერიტორიაზე არამეელთა მომთაბარე ტომები დამკვიდრდნენ. ძვ.წ. Xს-ში სირია იუდა-ისრაელის სახელმწიფოში შედიოდა, ხოლო მისი დაშლის შემდეგ სირია ჩამოყალიბდა ძლიერ სახელმწიფოდ, დედაქალაქით – დამასკო. - 249, 268, 415
სიღნაღის მაზრა – სიღნაღი – ცივ-გომბორის მთაზე შეფენილი ისტორიული ქალაქი – 443
სოხუმი – 451
სპარსეთი – 225-229, 239, 240, 304-309, 316-319
სპარსეთის ყურე – 321

ტ

ტალიენვანი, ნავსადგური – 45, 46

ტაოსკარი, ჭოროხის ხეობაში – იხ. ბალხარიის მთები („გურჯი-ბოღაზი“) 189, 200

ტაზისკარი (ტაშისკარი) – ტაშისკარი, სოფელი ახლ. ხაშურის რ-ნში. ისტორიულად სტრატეგ. მდებარ. მქონე: 1609 წელს გიორგი საakაძის სარდლობით ქართველებმა ტაშისკართან სასტიკად დაამარცხეს ოსმალთა და ყირიმელ თათართა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. თევდორე მღვდელმა სწორედ აქ გაწირა თავი – მტერი მცდარი გზებით ატარა და ქართველებს საბრძოლო რაზმის შეკრების დრო მისცა. - 200

ტბეთი – კულტურის კერა და რელიგიური ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში, ისტ. შავშეთში (ახლ. თურქეთის ტერიტორიაზე); აქ შეიქმნა ქართული სასულიერო მწერლობის ღირსშესანიშნავი ნიმუშები, მათ შორის ტბეთის სახარება (995 წ,) – 189

ტიგრისა და ეფრატის სათავეები – ტიგროსი, მდინარე თურქეთსა და ერაყში, მიედინება მესოპოტამიის დაბლობზე, ერთვის ევფრატს და ჩაედინება სპარსეთის ყურეში. - 178, 248, 259

ტრანსვაალის რესპუბლიკა – სამხრეთ აფრიკაში მდებარე პროვინცია, რომლის მკვიდრი მოსახლეობა – ბანტუ ბრძოლით განდევნეს ბურებმა. – 321

ტრაპიზონი – ტრაპზონი, ტრაპეზუნდი – ქალაქი და ნავსადგური თურქეთში, ისტორიულად ტრაპიზონის იმპერიის (1204-1461) დედაქალაქი, რომელიც დაარსდა საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით, მას შემდეგ, რაც ქართველთა ჯარმა დაიჭირა ბიზანტიის კეისრის მფლობელობაში მყოფი ძველი პონტოს სამეფოს ტერიტორია; თამარ მეფემ ახლადშექმნილი იმპერიის ტახტზე დასვა უფლისწულები – ალექსი და დავით კომნენები, წარმოშობით ბერძნები და თავის ქვეშევრდომობაში მიიღო ქვეყანა. – 266

ტფილისი – 17, 18, 25, 32-34, 49, 52, 64, 68, 71, 80-95, 101-106, 187-188, 210-213 და ა.შ., 432-481

ტფილისის გუბერნია - 443

უ

ურარტის ქვეყანა – მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი სახელმწიფო ძვ.წ. IX–VI ს-ში. საგანგებო კვლევის საგნად იქცა მსოფლიო მეცნიერებისათვის ურარტუს ენა, კულტურა, ისტორია, ურარტუს სიძველეების, კერძოდ ეპიგრაფიკული ძეგლების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, რასაც სათავე ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან დაედო. მკვლევართა განსხვავებულმა თვალსაზრისმა, პოზიციამ და ფაქტების სხვადასხვა სიბრტყეში განლაგებამ განაპირობა მოვლენების ირგვლივ ხშირად რადიკალური და ერთურთის გამომრიცხავი შეხედულებები, რომელთაც ილია ამ წერილში განიხილავს. – 249-259, 261-277

ურმიის და გოგჩის ტბები – ძველი ურარტუს ტერიტორიაზე. ურმიის ტბა დღევ. დას. ირანის ტერიტორიაზე მდებარეობს. (გოქჩა იხ.) - 249

ფ

ფარხალი და დედა-მთა, სარის მდინარის ახლოს – პარხალი – ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი ისტ. ტაოში, პონტოს მთების აღმ. კალთაზე, დღევ. თურქეთის ტერიტორიაზე. – 266

ფაშოდა – 125

ფრიგია – ძველი ქვეყანა მცირე აზიაში ძვ.წ. I ათასწლეულში. ანტიკური ტრადიციით ფრიგიელები თავდაპირველად ბალკანეთში (თრაკიაში) ბინადრობდნენ. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგ. მასალის საფუძველზე ბალკანეთიდან მცირე აზიაში მათი გადმოსახლება ძვ.წ. IX ს-ში მოხდა. ფრიგია გამოირჩეოდა მაღალი არქიტექ. და მუსიკ. ტრადიციებით. ფრიგიელებმა პირველებმა შექმნეს მცირე აზიის ხალხებში ანბანური დამწერლობა. - 249

ქ

ქალდეი და ეგვიპტე – ქალდეველები, მომთაბარე სემიტი ტომები, ცხოვრობდნენ ძვ.წ. I ათასწლ. I ნახ-ში სპარსეთის ყურის სანაპიროზე, ტიგროსისა და ევფრატის ქვემო დინებაში. IX ს-ში მტკიცედ დამკვიდრდნენ

ბაბილონის სამხ-თით; VII ს–ში ქალდეველთა დინასტია შექმნეს. ეგვიპტეს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ბაბილონთან (ქალდეისთან). - 267
ქართლ–კახეთი – 222
ქაჯთკარი – 266
ქიზიყი, ქალაქი მარმარილოს ზღვის ნაპირას – 266
ქუთაისი – 441
ქურდბელი – 266

ღ

ღალისის მდინარე – 199

ყ

ყვარელი – 441

შ

შავი ზღვა – 316
შავიზღვისპირი - 199
შავშეთი – მხარე ისტორიულ სამხრ. საქართველოში (ახლ. თურქეთის ტერიტორია), IX ს-ში სამონასტრო მშენებლობის კერა. – 206
შინდისი – სოფელი გორის რ-ნში, მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირას. შინდისში დგას წმ. გიორგის ეკლესია (1751) და შემონახულია ძვ. ციხე, ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი. – 211
შორეული აღმ-თი – 318

ჩ

ჩინეთი - 29, 40-46, 125–128, 323
ჩრდ,ამერიკის შტატები – 132
ჩხატალი – 266
ჩოლოქი – მდინარე ქობულეთის რ-ნში – 220
ჩხორუმი – 266

ცხენისწყალი – 12

წ

წიწამური – 481, 488
წყაროსთავი – შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საეპისკოპოსო კათედრალი ისტ. საქართველოში, ჯავახეთში (ახლ. თურქ. ტერიტ.) – 189

ჭ

ჭანეთი – მხარე ისტორიულ სამხრ. საქართველოში, ეკავა შავიზღვისპირეთის სამხრ.აღმ. მთიანეთი, ჭოროხის ზემო წელის აუზი (ახლ. თურქეთის ტერიტ.) მხარე დასახლებული იყო დასავლეთ-ქართული ტომით – ჭანებით. – 200
ჭიჭაკის მთა – 266
ჭოროხის ხეობა – მდინარე ჭოროხი მიედინება საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე, პონტოს მთებსა და ჩრდ. ტავრს შორის, ერთვის შავ ზღვას ბათუმის სამხრ-თით. ხეობა მოფენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით, რომელთა დიდი ნაწილი ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. – 189, 199

ხ

„ხეტტა“ – ხეთა, ხეთე ბის სამეფო – ერთ-ერთი ძველაღმოსავლური სახელმწიფო ძვ.წ. IIათასწლ. მცირე აზიაში. ხეთები „ძველი სამეფოს“ დროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. მათ განავრცეს თავისი ქვეყანა ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე. ხეთები იყენებდნენ აქადურ ლურსმულ დამწერლობას, რომელზეც შექმნეს ისტორიული, ლიტერატურული, რელიგიური, მითოლოგიური, ასტროლოგიური, ასტრონომიული და მათემატიკური ძეგლები, თვითმყოფადი არქიტექტურა, თიხის ფირფიტებზე შემონახული დიდი კულტურა. – 265, 266
ხმელთაშუა ზღვა - 316

ჯ

ჯავახეთი – მხარე სამხრ. საქართველოში, ზემო ქართლში. ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიება ძვ.წ. 785 წელს ურარტუს მეფის არგიშდი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე. უძველესი დროიდანვე

ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში აქ აშენდა ეკლესია-მონასტრები, სამეფო რეზიდენციები. XVI ს-ში ოსმალეთმა მიიტაცა და მოსახლეობას ისლამი მიაღებინა. XIX ს-ის Iნახ-დან აქ დასახლდა თურქეთიდან დევნილი სომეხი მოსახლეობა. 189

ჰ

ჰეიდელბერგი – ქალაქი და ძველისძველი სახელგანთქმული უნივერსიტეტი გერმანიაში. – 209

მოხსენიებულ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლთა თუ მოვლენათა საძიებელი

„არარატი“, სომხური ჟურნალი, რომელიც ეჩმიაძინში გამოდიოდა – 272

ართვინში ძველისძველი ეკლესია – 191

„არმავირი“, რაღაც მითოლოგიური დედაქალაქი, ეჩმიაძინიდან 25 ვერსზე, „ბლურის“ ქედთან – 271

„არმენიის ლურსმული წარწერები“ – სომხეთის ისტორიისა და დამწერლობის მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით უძველესი არმენია და ურარტუ სომეხთა წინაპრებად მოიაზრება და, შესაბამისად, ლურსმული წარწერები ამის დასტურადაა მიჩნეული. (იხ. აქვე „ურარტის ქვეყანა“ და „ხეტტები“). – 254- 260

არწრუნისეული ქარვასლა – XIX–ის თბილისში 13 დიდი ქარვასლა იყო, სადაც ინახებოდა და შემდგომ ნაწილდებოდა მთელ ამიერკავკასიაში უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი და რომლის ბაჟითაც ივსებოდა ქალაქის ხაზინა. სხვათა შორის, გრ. არწრუნი (იხ. სახელთა საძიებელი) იყო მეპატრონე ქარვასლისა,რომლის დიდი დარბაზი ქართული თეატრის მესვეურთა თხოვნით გადააკეთა თეატრის დარბაზად, საიდანაც დიდ შემოსავალს იღებდა. ამ ქარვასლაში გაიხსნა 1880 წლის 24 სექტემბერს პირველი კერძო თეატრი, რომელიც შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ხელში გადავიდა და „არწრუნისეული თეატრი“ ეწოდა. – 72, 73

ასპინძის ომი – ქართველთა ბრძოლა ოსმალეთის ლაშქართან ერეკლე II-ის სარდლობით რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1770 წელს. ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ გაილაშქრებდა ახალციხეზე რუს-ქართველთა ერთობლივი ძალით და გათავისუფლებდა მესხეთს ოსმალთა ბატონობისაგან, მაგრამ რუსთა ლაშქრის უფროსმა – ტოტლებენმა არ გაიზიარა ერეკლეს გეგმა, მერე კი სრულიად მიატოვა იგი და უკან გაბრუნდა. ქართველებმა ერეკლეს სარდლობით არნახული გამარჯვება მოიპოვეს უთანასწორო ბრძოლაში. – 222, 236-237

„ასირიოლოგიური წერილები“ ლენორმანისა – 202, 203, 254-259; (იხ. სახელთა საძიებელში „ლენორმანი“).

Акты , т. 1 – Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею –156

Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, დ. ბაქრაძისა – დაიბეჭდა 1878 წელს სანკტპეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით. ავტორმა – დიმიტრი ბაქრაძემ ნაშრომს წაუმძღვარა: „ამ ნაშრომს ვუძღვნი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორდინარულ აკადემიკოსს მარი ივანეს ძე ბროსეს, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროების შესწავლას. ქართველი საზოგადოების ერთი წევრთაგანი, დიმიტრი ბაქრაძე.“ ეს ნაშრომი 1987 წელს ქართულად თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. - 242

ასი წელიწადი მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღიდან – 17, 72

აღმოჩენანი ედისონისანი – 437.

ახალი აღთქმა – 106, 108

ბაბილონის სრა-სასახლეები – ძვ.წ. XIX ს-ში ბაბილონის პირველმა მეფემ – სუმუაბუმმა ააგო ქალაქის კედლები და საფუძველი ჩაუყარა ახალი არქიტექტურული ანსამბლის მშენებლობას გრანდიოზული სასახლეებითა და ციხე-სიმაგრეებით. – 267, 268

„Библиотека для чтения“ – გამოდიოდა ყოველთვიურად 1834 წლიდან ოსიპ სენკოვსკის (იხ) ანუ „ბარონ ბრამბეუსის“ (იხ.) რედაქტორობით, რომელიც თავის გემოვნებასა და შეხედულებებს უმორჩილებდა ჟურნალის ყველა განყოფილების თემატიკას. მის ხელში ჟურნალმა თანდათან დაკარგა საზოგადოების ყურადღება და მხარდაჭერა ზერელობისა და უღიმღამობის გამო. სენკოვსკის წერილი „Некоторые сомнения касательно истории Грузии“ – დაიბეჭდა 1838წელს. – 187

„Братская помощь Армянам“ – იხ. სახელთა ანოტ. საძიებელში „ანუჩინი“. 203-204.

ბროკჰაუზის ლექსიკონი – გერმანული საგამომცემლო ფირმა, რომელიც 1808წლიდან დღემდე გამოსცემს ყოვლისმომცველი სრულყოფილი ენციკლოპედიის მრავალტომეულს. ამ ენციკლოპედიისათვის დაიწერა სწორედ ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია (იხ. ჩვენი ტომის გვ. 443) – 436

გიორგი მეფის ხანა – 222, 223

გიორგი – საბერძნეთის მეფის შვილის დანიშვნა გენერალ-გუბერნატორად – 43, 44

„დიოგენეს ფარანი“ – იხ. სახელთა საძიებელში „დიოგენე სინოპელი“

Древности Восточные – მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემა – 255, 261

„დრეიფუსობაში ჩამოგვართმევს“ – იხ. ჩვენი ტომის № 13 წერილის კომენტარი, აგრეთვე სახელთა საძიებელში - „დრეიფუსი“ – 41, 82.

„დროება“ – ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; დაარსდა 1866 წელს, ჯერ როგორც ყოველკვირეული, შემდეგ ყოველდღიური გაზეთი. რედაქტორი – გ. წერეთელი, შემდგომ ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე. გაზეთში თანამშრომლობდა თითქმის ყველა გამოჩენილი და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მწერალი. გამოდიოდა 1885 წლამდე. –

ეგვიპტელთა „მუშენი“ – 199

ერეკლე მეფის ხანა – 237

„ერთი გუნდი სომხებისა“ – 198, 200

ვანის წარწერები – ვანი, ძვ. ურარტუს სახელმწიფოს დედაქალაქი ძვ. წ. VI ს-დან, რომელმაც ისტორიას შემოუნახა ლურსმული დამწერლობის უძველესი ნიმუშები იმდროინდელ მცხოვრებთა ვინაობის, ყოფისა და კულტურის შესახებ. – 274, 275, 284, 285

„ვეფხისტყაოსანი“ – 21, 204-208

„ვისრამიანი“ – ძვ. ქართული მწერლობის ძეგლი, XI ს-ის სპარსელი პოეტის ფახრ ალ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის მაღალმხატვრული პროზაული თარგმანი, შესრულებული XII ს-ში. 1884წელს იგი სტამბურად გამოიცა ი. ჭავჭავაძის, პ უმიკაშვილისა და ალ. სარაჯიშვილის თაოსნობით. იხ. ჩვენი ტომის № I წერილის კომენტარი - - 9, 10

ზახალუსის წარწერა – 272

თეორია დარვინისა – 437

„ივერია“ – ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა: 1877-79წ,წ, - ყოველკვირეული გაზეთი; 1879-1885 – ყოველთვიური ჟურნალი; 1886-1906 – ყოველდღიური გაზეთი; დამაარსებელი და რედაქტორი – ილია ჭავჭავაძე. 1906წელს გაზეთს რედაქტორობდა ფ. გოგიჩაიშვილი – 25-27, 258, 381, 382, 386, 403-405, 422, 448

ისლამი – 249

„Кавказ“ – ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; გამოდიოდა 1845-1918 წ.წ., თბილისში – 60, 170

„კავკასიის ერნი“, ბოდენშტეტისა, მიუნხენი – იხ. სახელთა საძიებელში „ბოდენშტედტი“. - 228

„კვალი“ - ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1893-1904 წ.წ. ფაქტიური რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი - 362-373, 381-399, 403-422 423-435

„კრებული“ – ყოველთვიური სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1871-73 წ.წ., თბილისში ნიკო ნიკოლაძის თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით; რედაქტორი – გ. წერეთელი. –

კტეზიის ქრონოლოგიური სისტემა - 201

ლაზარევის ინსტიტუტი – მოსკოვის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ქართველი ინტელიგენციის ბევრმა წარმომადგენელმა მიიღო განათლება. – 9, 10

„Literarische Echo - Nuova Anthologia“ _ 448

მაკედონელის დრო – 201

საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ:(სენკოვსკი, 1837წ.) –187-188

მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღე – 72

„მოამბე“, ჩვენი ჟურნალი – ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1894-1905 წ.წ.; თანამშრომლობდა იმ დროის ყველა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე - 243

„მოგზაური“, – აქ იგულისხმება ქართველი სოციალ-დემოკრატების ყოველკვირეული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1905 წლის იანვრიდან ნოემბრამდე, თითქოს საგანგებოდ ილიას დევნის მიზნით. ფაქტიური რედაქტორი იყო ფ. მახარაძე - 455, 457

მცხეთის სამეუფო ტაძარი – 72

ნადიმი ე.ლ. მარკოვის პატივსაცემად – 292

ნეიშტატის მორიგება 1722 წელს – 229

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი – 443

„Новое Время “ – ელპეს წერილი – ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა სანკტ-პეტერბურგში 1868 წლიდან. – 380

„Новое Обозрение“ – რუსული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1884–1906 წ.წ., ფაქტობრივი რედაქტორი 1891-1906 წ.წ. – კ. და ვ. თუმანიშვილები – 29–37, 49–58, 60, 81, 96–102

„Петербургские Ведомости“, 1899, № 33 - 203

პეტერბურგის უნივერსიტეტი – 1; იურიდიული ფაკ-ტის კამერალური განყ–ბა – 443–448

პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემია – 287.

„Сношения Петра Великого с Армянским народом“ - ეზოვის წიგნი (იხ. სახელთა საძიებელში „ეზოვი“) – 225-244, 273, 274, 281

რაევსკისა და ჰაკეს პანსიონი – 443

„Русская Мысль“ – ლიბერალური მიმართულების ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1880-1889 წ.წ. – 449

„საქართველოს მოამბე“ – სალიტერატურო ჟურნალი, გამოდიოდა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით. გამოვიდა სულ 12 წიგნი. – 445

სიონის სობორო – 17

„სომხური ქრონიკა“ – 193

„სომხებმა ცალკე კრება მოახდინეს დვინს“ – 198

Temps–ის კორესპონდენტი კუტული – 209 - 222

„Терския Ведомости” – 79

„Тифлисский Листок” – 59, 81-82

„Times“ – გავლენიანი გაზეთი ინგლისისა –

„ტიბერნი“ და „კოლხნი“ სტრაბონისა – იგულისხმება სტრაბონის „გეოგრაფია“ 17 წიგნად, რომლის XI–XII წიგნებში აღწერილია შავიზღვისპირეთის მრავალი ტომი, მათ შორის ტიბარენები და კოლხები. – 199

„უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“ – გენერალ- ლეიტენანტი ს.ი. ქიშმიშოვის წიგნი – 222-224

ურარტელნი, ანუ პონტიის ქალდები; ქართველთა ურარტელობა – 205, 248, 251

ქალკედონის მსოფლიო კრებული, 596წ. – ქალკედონის საეკლესიო კრება – მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება გაიხსნა 451 წლის 8 ოქტომბერს, მოიწვია იმპ. მარკიანემ; ამ კრებაზე დაკანონდა მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმატი – ქრისტეს ორბუნებიანობა, შეიმუშავა 30 საეკლესიო კანონი, რომელიც მთლიანად შევიდა არსენ

იყალთოელის (XII ს.) მიერ ქართულად თარგმნილ „დიდ სჯულისკანონში“. - 198
„ქართლის ცხოვრება“ – 192– 196,
ქართული დრამატიული საზოგადოება –10, 288-290
შამახიას დაეცნენ ლეკები და ყაზი-კუმუხები – 229
„ცისკარი“ – სალიტერატურო ჟურნალი, გამოდიოდა 1852-1853 და1857-1875 წლებში ივ. კერესელიძის რედაქტორობით –
„ცნობის ფურცელი“ – ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1896–1906 წ.წ. – 423, 425, 428, 431, 435
ძველი აღთქმა – 106-108
„ჭანიკი“ ე.ი. ქალდეა მოსე ხორენელისა – 200-201
ჭოროხის ხეობაში ქართული ეკლესია-მონასტრები – 200-201
„ჰამლეტი“ – 495
ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი - 374
ჰეროდოტეს „ტიბარენნი“ – ჰეროდოტეს (ძვ.წ, Vს.) ცნობით ტიბარენები მოსხებთან, მოსინიკებთან და მარებთან ერთად აქემენიდთა სპარს. სამეფოს მოხარკენი იყვნენ. მათ მონაწილეობა მიუღიათ სპარსთა მეფის, ქსერქსეს ლაშქრობაში საბერძნეთზე. – 199

თემატური (საგნობრივი) საძიებელი

I. პოლიტიკა

აბაშეთის ქვეყანამ ადუაზე ომში იტალიის სიხარბეს საზღვარი დაუდო – 123
აფრიკაში გაიბა ევროპის სახელმწიფოთა ინტერესების ქსელი – 124
ე. წ. აღმოსავლეთის საქმე – 39-43, 48
ახლო აღმოსავლეთის საქმე – ოსმალეთისა და ევროპის სახელმწიფოთა ცილობის საგანი – 123, 124
ბერძენთა და ოსმალთა ომი – 39, 40, 43, 44
გერმანიის ძლიერების წყარო ევროპაში – 143-148
გერმანიამ ტკივილები აუჩინა, თავსზარი დასცა საფრანგეთს 1870 წელს – 40, 143
გერმანიის მცდელობა ახალშენების დაფუძნებისთვის მცირე აზიაში – 316-319
ეგვიპტის საქმე – 39, 40
ევროპის სახელმწიფოები ბაზრებს ეძებენ – 316-320
რუსეთი და საფრანგეთი ერთმანეთისკენ მოახედა ასეთივე კავშირის შესაქმნელად – 141
სამთა კავშირი გერმანიისა, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიისა შეიკრიბა – 153
ინგლისის საგარეო პოლიტიკა – 153
ევროპის სახელმწიფოები ბაზრებს ეძებენ – 317
ინგლისისა და ტრანსვაალის ომი – 316; ბურებთან ომი – 321, 296-298
იტალია და აბაშეთის ქვეყანა – 123
კრიტის კუნძულის საქმე – 40, 43, 44, 48
კრიტის კუნძული ჩამოათალეს საბერძნეთზე გამარჯვებულ ოსმალეთსა – 124, 154
მაკედონიის საქმე – 154
ფაშოდას ამბავი (ინგლისმა საფრაგეთს ხელი დააბანინა) – 124, 126, 128

II. ეკონომიკა

ბანკის დამფუძნებელი და „ვალის ამღები“ – 351
ბანკის დამფუძნებელთა შენატანი თანხის დაბრუნება – 168

ელექტრობა ღვინის დაყენებაში – 377
თავადაზნაურულ-წოდებრივი ბანკის არსი; საბანკო წესდება; ბანკის კრება – 347
თავისუფალი ვაჭრობა: აფრიკა და ჩინეთი – 154-159
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა – 118
იმერეთის თავადაზნაურობა – 495
კრედიტი, გირაო – 22, 29
კრედიტი – ორპირი მახვილი – 354
მარქსის მოძღვრებაზე აგებული ერფურტის პროგრამა – 359
მთავრობის რევიზია მილის წყლის საქმეზე – 36
მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი – 357
პასტერის მეთოდი ღვინისს შესანახად – 377
პოლიტიკური ეკონომიისს მეცნიერება (ჟორდანიას მარქსისტობა – 357, 359
„რწმუნებულთა კრება“, ზედამხედველი კამიტეტი – 118
საადგილმამულო ბანკის დაარსება – 44
საადგილმამულო გადასახადი – 328
საკრედიტო ბანკი – 344, 352
საბაზრო საქონელი – 356
საკომერციო ბანკები ვაჭართა წოდებისათვის – 357
სასოფლო ბანკები გლეხობისათვის – 357
სასოფლო წვრილი კრედიტი – 24
სახელმწიფო გდასახადი: თამასუქი, ღერბის გადასახადი – 33
სოფლის გამგებელი – 24
სოფლის უნუგეშო ყოფა; უფულობა – სპფლის მოსახლეობის დაკაბალების ერთ-ერთი მიზეზი – 21
სხვადასხვა წვრილი ბანკები – სოფლის უსახსრობის წამალი – 21, 22
ტფილისის ბანკი; დამფუძნებელი წევრები; „სსაზოგადო კრება“ – 118-121
ქუთაისის საადგილმამულო ბანკი (მიხაილოვის სახელობისა) 350-
ღვინის შენახვა-რეალიზაცია – 378
17 ოქტომბრის მანიფესტი – 495
„ძირითადნი დასაბამნი საფინანსო მეცნიერებისა (რაუს წიგნი) – 373
წმინდა შემოსავალი – 332

III. პრესა, განათლება, საზოგადოებრივი ცხოვრება

ახალი კანონმდებლობის მომზდება რუსეთში (უკნონოდ შობილთა უფლებები) – 134-142
„ახალი მიმართულება“, (არჩილ ჯორჯაძე) – 423-432
განათლება; ბერძნულ-ლათინურის სწავლება გიმნაზიებში – 284-287
დედაკაცობის მაღალი სახელი – 13
თავადაზნაურობა და მოხელე – ჩინოვნიკები – 495
ინტელიგენცია – 401, 402, 405
ინგლისის ლორდი, გლეხი, პროლეტარი თუ ფერმერი და „კასტური“ განსხვავებულობა (ქცევასა თუ ტანსაცმელში) – 415-422
კლასიკური და რეალური გიმნაზიები – 284-287
კლასობრივი ბრძოლა, გამწვავებული ეროვნული განსხვავებულობით – 171-176
„კულტურისანთა“ საბჭო – 36-39
ლიბერალობა და რეტროგრადობა – 400-462
მარქსისტი – ძალადმარქსისტი (ნოე ჟორდანია) – 359
მეცხრამეტე საუკუნის მონაპოვარი XX საუკუნის გარიჟრაჟზე – 324
პოლემიკა ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის – („ახალი უმეცრობანი“ და „გზა და გზა“) – 367-376
პოლემიკა „საქართველოს მოამბისა“ (1863წ.) და „კვალის“(1898წ.)
საპროგრამო პრინციპების ირგვლივ; „ჟორდანიას ტყაოსანი“ – 381-388, 403
პოლიტექნიკუმების შესახებ – 79-101
პოლიტექნიკური და პირველდაწყებითი განათლებისს შესახებ – 49-57
პრესა, პრესის თავისუფლება და პასუხისმგებლობა – 455-458
„პრესსა“ – თ. ჟორდანიას სტატია გაზ. „კვალში“ 91900წ. №11)–343
პრობლემები ქალაქისს მართვისს საქმეში – 170-176
ჟურნალ „მოგზაურში“(1905წ. №13) დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული პასკვილი – „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება –„ვ“. „ნ“-ს (ვასილ ნაცვლიშვილის) ხელმოწერით – 455, 457
რუსეთი – მხსნელი და მფარველი – 292, 293

რუსეთის მწერლებისა და საზოგადოების აზრი გიმნაზიათა რეორგანიზაციის შესახებ – 184
საზოგადოების პროგრესი და ოჯახი – 427, 436
„ძველი წესი“, რეაქციის მომხრენი – 438, 440, 442
სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი („ამასწინათ დაიბეჭდა რუსულად და დიდი ალიაქოთი ასტეხა სომხურ მწერლობაში“) – 477
სახელოსნო და ტექნიკური სასწავლებლების როლი ქვეყნის განვითარებაში – 143-152
სოფლის მეურნეობა და ახალგაზრდების როლი – 63-67
ტფილისის სასულიერო სემინარია – 68-71
ტფილისის საბჭო, ტფილისელი „კულტურონსნები“ – 79-102
უმცირესობის და უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინება კანონმდებლობით საზ-ვი ცხოვრების სარბიელზე – 175
ქალაქის თვითმმართველობის დაბულება – 171
ქალაქის საბჭოს არჩევნები – 31, 49-52
წინამძღვრიანთკარის სკოლა – 10
ხმოსანთა არჩევნები – 172

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.ილია ოქრომჭედლიშვილი (ნეკროლოგი).....9 / 503
2.პატარა საუბარი (ქართველნო დედაკაცნო).....13 / 504
3.<წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენებლად>.....17 / 504
4.<სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების გზები>.....20 / 504
5.გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარი აზრები.....25 / 504
6.პატარა საუბარი (უკვე გაზეთებში გამოცხადდა...).....36 / 505
7.ახლო და შორი აღმოს. პოლიტიკის საკითხები.....39 / 506
8.<პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო>.....49 / 506
9.პატარა საუბარი (საკვირველი კაცია...).....59 / 507
10.<სოფლის ახალგაზრდობა და მამულის პატრონობა>.....63 / 508
11.<ღარიბ მოსწავლეთა მიღება სემინარიაში> .....68 / 508
12.ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან.....72 / 509
13.პატარა საუბარი (გენერალ-ლეიტენანტმა...) .....77 / 509
14.<ოინბაზობა თუ სულელობა>.....79 / 510
15.პატარა საუბარი (თ. გ. თუმანოვი გუშინდელი).....102 / 510
16.ქრისტე აღსდგა! .....106 / 511
17.ალექსანდრე როინაშვილი (ნეკროლოგი).....109 / 511
18.<სიტყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის – უსამღვდელოესი ალექსანდრეს კურთხევის ცერემონიალზე>.....113 / 511
19.<ცვლილებები ბანკის წესდებაში>.....118 / 512
20.<ევროპის პოლიტიკა ახლო და შორ აღმოსავლეთში>.....123 / 512
21.უკანონოდ შობილთა უფლება.....134 / 513
22.სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ.....143 / 513
23.ინგლისი ახალ პოლიტიკურ ვითარებაში.....153 / 513

24.<ბანკის დაფუძნებისათვის შეტანილი
თანხის განკარგვა>.....160 / 514
25.საახალწლოდ.....165 / 514
26.ქალაქის თვითმმართველობის დებულების შესახებ.....170 / 515
27.სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ღაღადი“.....177 / 515
28.<სწავლების სისტემა კლასიკურ გიმნაზიებში>.....284 / 518
29.<შესაწირავი დრამატიულ საზოგადოებას>.....288 / 519
30.<სიტყვა, წარმოთქმული ევ. მარკოვისა და ბარონ დე-ბაის
პატივსაცემად გამართულ ნადიმზე> .....292 / 519
31.<პასუხი თ. გ. თუმანოვს>.....295 / 519
32.ასის წლის წინათ.....304 / 520
33.<ინგლისისა და ტრანსვაალის ომი.
პოლიტიკური ვითარება ევროპაში>.....316 / 521
34.<ომი ბურებთან>.....321 / 521
35. მეცხრამეტე საუკუნე.....324 / 522
36. საადგილმამულო გადასახადის საქმე.....328 / 522
37. უმეცრობის ფართი-ფურთი.....340 / 522
38. პატარა საუბარი („კვალის“ მკითხველებს...).....362 / 523
39.ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი.....367 / 524
40.ელექტრონის გამოყენება მელვინეობაში.....377 / 524
41. პატარა საუბარი (თაგვმა სთხარა, სთხარაო...).....381 / 524
42.პატარა საუბარი (ახირებული კაცი ყოფილა...).....389 / 525
43. ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა.392 / 525
44.პატარა საუბარი (ბ-ნი ჟორდანია რამდენიც...).....403 / 526
45.ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და
მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი.....409 / 526
46.გომართელის ფილისოფია და არჩილ ჯორჯაძის
ფსიხოლოგია.....423 / 526
47.არაპატარა საუბარი (ღმერთმა ყოველი რჯულიანი...)....436 / 527
48. ავტობიოგრაფია.....443 / 528
49.<სიტყვა, წარმოთქმული სოხუმში>.....451 / 528

50. წერილი რედააქციის მიმართ (გუშინდელს „ივერიაში“)..453 / 529
51. წერილი რედაქციის მიმართ(ჟურნალ „მოგზაურში“).....455 / 530
52. ნუთუ? (პასუხად „მოგზაურის“კორესპონდენციისა).....457 / 531
53. იმერეთის თავადაზნაურობის სულმოკლეობა.....495 / 531
შენიშვნები და კომენტარები.....499
ტექსტისათვის.....501
საძიებლები.....534
სახელთა ანოტირებული საძიებელი.....534
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....561
მოხსენიებულ ისტორიულ და ლიტერატურულ მოვლენათა
თუ ძეგლთა საძიებელი.....576
თემატური (საგნობრივი) საძიებელი.....582

ТОМ XIV

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

“ИЛИАС ФОНДИ”

2007

კორექტორი: ელენე ბედუკაძე
ტექსტი ააწყო: ნათელა ბერიშვილმა
დააკაბადონა: გიორგი ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო